საქართველოს საპატრიარქო
თბილისის სასულიერო აკადემია

წმიდად გრიგოლ ნოსელი

ქალწულებისათვს
და საღმრთოდსა მოქალაქობისა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები
და ტერმინოლოგიური ლექსიკონი დაურთო
პროტოპრესვიტერმა

გიორგი ზვიადაძემ

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2011

წიგნში პირველად ქვეყნდება დიდი საეკლესიო მოღვაწისა და ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ნოსელის (დაახლ. 331-394 წწ.) ასკეტური შრომის – „ქალწულებისათჳს და სალმრთოსა მოქალაქობისა“ – X-XI სს-ის ქართული თარგმანი, შესრულებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნათობის, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის (955-1028 წწ.) მიერ. ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას განაპირობებს მასში გადმოცემული ღრმა სალვთისმეტყველო სწავლება საეკლესიო ასკეზისის, სახელდობრ, სალმრთო და უსხეულო ბუნებისადმი მიმსგავსებული ქალწულებითი, ანუ ბერ-მონაზვნური ღვაწლის შესახებ. ეს ნაშრომი ერთ-ერთი ფუნდამენტია ასკეტური თეოლოგიისა. წინამდებარე თარგმანში სრულად გამოვლინდა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდის ყველა ღირსება. ბერძნული ორიგინალისა და ქართული თარგმანის დაწვრილებითმა შედარებითმა ანალიზმა ცხადყო მთარგმნელის სულიერი თანამონაწილეობა თხზულების ავტორთან. ქართული თარგმანის მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ იგი მცირედით რედაქტირებულია უდიდესი საეკლესიო მამის, წმ. გიორგი მთაწმიდელის (1009-1065 წწ.) მიერ. გამოცემას ერთვის ამომწურავი ქართულ-ბერძნული დეტალური ლექსიკონი და კომენტარები, რომლებშიც ცალკეული სიტყვები, ფრაზები და ტექსტობრივი მონაკვეთები საეკლესიო მოძღვრების მიხედვით არის განმარტებული.

In this book the Georgian translation of the ascetic work "On Virginity" of the great ecclesiastical figure and theologian St. Gregory of Nyssa (approximately 331-394) has been published for the first time. The translation was made by St. Euthymius the Athonite (955-1028), a luminary of the Georgian Orthodox Church. The particular importance of the monument is determined by the profound theological teaching about the ascetic activity, namely the life in virginity as a similitude of divine and bodiless nature. The work of Gregory of Nyssa is one of the fundaments of ascetic theology. The present translation fully revealed all the dignities of Euthymius the Athonite's translation methods. A detailed comparative analysis of the Greek original and its Georgian translation displayed the translator's spiritual affinity to the author of the work.

The importance of the Georgian translation is also increased by the fact that it is slightly edited by the great church father St. George the Athonite (1009-1065).

The publication includes a detailed Georgian-Greek terminological dictionary supported with illustrations, and also comments, in which particular words, phrases, and textual sections are interpretated according to the ecclesiastical teaching.

რედაქტორი:	ნინო მელიქიშვილი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
	Nino Melikishvili **Doctor of Philological Sciences**
კონსულტანტი:	ედიშერ ჭელიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
	Edisher Chelidze **Doctor of Philological Sciences**
რეცენზენტი:	გიორგი თოდუა
Reviewer:	**Giorgi Todua**

ალნიშნული გამოცემის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე სახით კვლავ ქამოცემა წიგნის ავტორის ნებართვის გარეშე აკრძალულია

© პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე
© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011

ISBN 978-9941-10-344-5

წინასიტყვა

ასკეტიკა, როგორც საეკლესიო ლიტერატურის ერთ-ერთი დარგი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა IV საუკუნის შუა წლებიდან, როდესაც ასკეტური მოღვაწეობის ყველაზე აღმატებულმა სახეობამ – განდეგილობამ – თანდათანობით ჰპოვა ფართო გავრცელება. სწორედ IV საუკუნიდან ჩნდებიან ასკეტური ღვთისმეტყველების სახელოვანი წარმომადგენლები: წმ. ანტონი დიდი, წმ. ათანასე ალექსანდრიელი, წმ. ბასილი დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. მაკარი დიდი ეგვიპტელი, წმ. კირილე იერუსალიმელი და კიდევ არაერთი სხვა.

ამ მოღვაწეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საეკლესიო მოძღვრების ერთ-ერთ უდიდეს გამომთქმელს, ღვთისმეტყველ-ფილოსოფოსს, ნისის საეპისკოპოსოს „უჭკნობ გვირგვინს“ – წმ. გრიგოლ ნოსელს.

ცნობილია, რომ სიჭაბუკეში წმ. გრიგოლ ნოსელი დიდი გატაცებით ეწაფებოდა ანტიკურ კულტურას; მისთვის განსაკუთრებით საწადელი იყო რიტორიკული მეცნიერების, ანუ მჭევრმეტყველებითი ხელოვნების დაუფლება. გარკვეულ ხანს იგი რიტორიკის მასწავლებელიც იყო და მთელი არსებით, თავდავიწყებით ემსახურებოდა ამ საქმეს. თავისი ძმის, ბასილი დიდის, ზეგავლენით წმ. გრიგოლ ნოსელი საეკლესიო მოღვაწე გახდა, მოგვიანებით კი ნისის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი (დაახლ. 372 წ.). 379 წლიდან, ბასილის გარდაცვალების შემდეგ, წმ. გრიგოლ ნოსელმა უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ეკლესიაში როგორც მისტიკოსმა მოძღვარმა და მასწავლებელმა, რომელიც სისტემური სახით გადმოსცემდა საეკლესიო მოძღვრების უმნიშვნელოვანეს დებულებებს.

წმ. გრიგოლ ნოსელის სახით ჩვენ წინაშეა საეკლესიო მოღვაწე, წმ. მამა და მოძღვარი, რომელმაც ქრისტიანული მოძღვრების უიშვიათესი განჭვრეტით გადმოგვცა ფილოსოფიური მსჯელობისა და ტერმინთშემოქმედების გზით სრულყოფამიღწეული სწავლება ქალწულებითი მოღვაწეობის შესახებ. უპირველესად სწორედ ამიტომ იქცევს ბევრი მკვლევრის (და, მათ შორის, ჩვენს) უდიდეს ყურადღებას ნაშრომი „ქალწულებისათჳს“, რაც ასკეტურ ცხოვრებას უკავშირდება. მართალია, აურაცხელი ლიტერატურა არსებობს ასკეტური, ანუ ქალწულებითი ცხოვრების შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ როგორც წმ. გრიგოლ ნოსელს სჩვეოდა, ამ კონკრეტულ ძეგლთან დაკავშირებით (ისევე, როგორც ეს მისი სხვა ნაშრომებისთვისაც არის დამახასიათებელი) იგი უმნიშვნელოვანეს საეკლესიო სწავლებას გვაწვდის არა იმდენად შეგონებითი, დამოძღვრითი, მჭადაგებლური სტილით (რასაც, უდავოდ, თავისი ღირსება აქვს), არამედ გაცილებით მეტად – თანმიმდევრული განხილვის წესით, ანუ სისტემური მოძღვრების სახით. შეიძლება ითქვას, რომ წმ. გრიგოლ ნოსელი ფილოსოფიურ-თეოლოგიური კუთხით ჭვრეტს ქალწულებითი ცხოვრების რაობას და, ამდენად, მის მიერ გადმოცემული სწავლება უარსებითეს მნიშვნელობას იძენს ასკეტური

ცხოვრების წესის შესამეცნებლად.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ სხვა ქვეყნის მეცნიერთა მსგავსად, ქართველი მკვლევრები დიდ ინტერესს იჩენენ აღნიშნული ძეგლისადმი იმის გამოც, რომ მისი მთარგმნელი არის ათონის წმიდა მთაზე, ივირონის მონასტერში მოღვაწე დიდი ბერი, ეფთვიმე მთაწმიდელი, რომლის განსაკუთრებული და ღვთივმადლმოსილი საღვთისმეტყველო მოღვაწეობა ასე შეაფასა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ერთ-ერთმა უდიდესმა წარმომადგენელმა: „მას მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა“ (ეფრემ მცირე).

ასეთი სამოღვაწეო პროფილის ღვთისმეტყველ-მთარგმნელი არა მხოლოდ სულიერი თვალთახედვით, არამედ ფილოლოგიური ასპექტითაც მკვლევართა ცხოველ დაინტერესებას იწვევს, რადგან ხსენებული მოღვაწის კალმით შემატებული თუ დაკლებული ყოველი ადგილი იმგვარადვე არის უმწვერვალესი ჭვრეტისა და ღვთისმხილველობითი მადლის ნაყოფი, როგორც თვით ორიგინალი. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ძეგლის თანააავტორადაც გვევლინება: ნაშრომის ტექსტუალური შესწავლის თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვა დიდმა ქართველმა მთარგმნელმა ეს უღირსეულესი ნაშრომი და როგორ გადმოიტანა ის ქართულად.

ჩვენი მოკრძალებული მცდელობა მიზნად ისახავს, რომ ამ ორი უდიდესი მოღვაწის ღრმადსულიერი ხედვანი კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით (შესასწავლი ძეგლის ფარგლებში) ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზისა და, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური, ანდა საკუთრივ ასკეტური მოძღვრებისათვის განკუთვნილი კომენტარებისა და სქოლიოების გზით სისტემური წესით შევისწავლოთ და ამით ცხადი გავხადოთ ორიგინალისა და თარგმანის ხშირ შემთხვევაში ფორმობრივად განსხვავებული, არსობრივად და სულიერად კი მთლიანი სწავლებანი.

პროტოპრესვიტერი
გიორგი ზვიადაძე

თავი I

წმიდა გრიგოლ ნოსელის შრომა „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“*

§1 ძეგლის საღვთისმეტყველო რაობა

წმ. გრიგოლ ნოსელი საეკლესიო ასკეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ღრმა განსწავლულობა, სულიერი სიმაღლე და ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნება მას საშუალებას აძლევდა განემარტა და არგუმენტირებულად გადმოეცა ურთულესი საღვთისმეტყველო სწავლებანი. ხსენებული ძეგლი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და საყურადღებო ნიმუშია ასკეტური ცხოვრების არსისა და დანიშნულების წარმოსაჩენად. ძეგლის ავტორი გვაწვდის სწავლებას წმიდა და უსხეულო ბუნებას მიმსგავსებული ცხოვრების წესის შესახებ, რაც მხოლოდ ქალწულებითი, ანუ სამონაზვნო ცხოვრებით და საღმრთო მოქალაქობით არის შესაძლებელი. ნაშრომი არცთუ მცირე მოცულობისაა, მას ახლავს შესავალი წერილი, რომელიც შეიცავს თავების დასათაურებათა ჩამონათვალს. თითოეული თავის სათაური მკითხველს უცხადებს იმ უმთავრეს დებულებებს, რომლებიც მასში არის გადმოცემული. შესავალში წარმოჩენილია ავტორის მიზანი – სათნოებითი ცხოვრებისაკენ უწინამძღვროს მკითხველს, ხოლო კარიბჭედ ამგვარ ცხოვრებაში შესასვლელად იგი ქალწულებას მიიჩნევს, რადგან, მისივე განმარტებით: „რომელნი საკრველთაგან სოფლისათა შეკრულ იყვნენ, ძნიად შესაძლებელ არს მათ მიერ დაყუდებით შეყოფაჲ საღმრთოსა მას ცხორებასა, ხოლო რომელნი განშორებულ იყვნენ შფოთითა საესისა ამის ცხორებისაგან, ფრიად ადვილ არს მათთჳს «უზრუნველად»[1] მაღალთა მათ გონებისა ხილვათა შინა «მტკიცედ ყოფაჲ», რაჟამს შფოთთაგან სოფლისათა კიდე იყვნენ“ (115,8-13).

დიდი თეორეტიკოსი და საეკლესიო მოღვაწე ურთულეს ამოცანას უყენებს საკუთარ თავს – ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსჯელობით, სისტემური სახით, მწყობრად გადმოსცეს ასკეტური ცხოვრების წესი და რაობა, დაასაბუთოს, რომ ქალწულება, ანუ სამონაზვნო ცხოვრება და საღმრთო მოქალაქობა უმნიშვნელოვანესი მოღვაწეობაა, რაც საღმ-

---

* ბერძნულ ორიგინალში აღნიშნული თხზულების სათაურია „ქალწულებისათჳს“.

[1] გამოკვლევაში, აქ და ყველგან ქვემოთ, თარგმანიდან მოტანილ ბრჭყალებში ჩასმულ მაგალითებში ჩართულ სიტყვებს წმიდა წერილიდან შიდა ბრჭყალებში ვსვამთ. ციტატების ადგილები მითითებული გვაქვს ტექსტში.

რთო მშვენიერების სიკეთეთა თანაზიარს ხდის პიროვნებას.

დიდი კაბადოკიელი მოძღვარი ქალწულებას წარმოაჩენს როგორც სათნოებითი ცხოვრების უმტკიცეს საფუძველს, როგორც კიბეს, ზეცად აღმყვანებელს, რომლის ძალითაც ადამიანი სიწმიდისა და სულიერების უმაღლეს საფეხურამდე მაღლდება.

შემთხვევითი არ არის, რომ ხსენებული ნაშრომის პირველი თავი დასათაურებულია შემდეგნაირად: „უზეშთაეს არს ყოვლისავე ქებისა ქალწულებაჲ“, რაც ამ ძეგლის არსის ერთგვარი გამოხატულებაა.

ნაშრომის II თავის სათაურში გადმოცემულია ის აზრი, რომ საღმრთო და უხორცო ბუნებისათვის ნიშანდობლივია ქალწულება, რაც ძველ ქართულ ენაზე შემდეგი სიტყვებით არის გამოთქმული: „თჳსი არს წმიდისა მის და უჴორცოჲსა ბუნებისა ქალწულებაჲ“.

წმ. გრიგოლ ნოსელი III თავში გადმოგვცემს სწავლებას იმ სიძნელეთა შესახებ, რაც ქორწინებას ახლავს თან, ავტორი აქვე იმასაც გვაუწყებს, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავადაც იმყოფებოდა ქორწინების საკრველში. ხსენებული სიტყვები წარმოდგენას გვიქმნის ავტორის მსოფლმხედველობის შესახებ და ნათელს ჰფენს მისი ცხოვრების ერთ გარკვეულ მონაკვეთს – ვიდრე იგი ბერად აღიკვეცებოდა და ნისის ეპისკოპოსი გახდებოდა.

წმ. გრიგოლ ნოსელი გვამცნობს, რომ მან თავად გამოსცადა ის სიძნელეები, რაც ქორწინებისმიერ ცხოვრებას უკავშირდება წუთისოფელში. უწმიდესი საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, ქორწინება კურთხეულია ღვთის მიერ.

ქორწინება შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთია და, ბუნებრივია, საეკლესიო მოძღვრებაში ერთმნიშვნელოვნად არის წარმოჩენილი კანონიერი ქორწინების ღირსება და მნიშვნელობა, თუმცა გარკვევით არის ნათქვამი ისიც, რომ უქორწინებლობა, ანუ ქალწულებითი ღვაწლი უფრო აღმატებულ მოსაგრეობას გულისხმობს. წმიდა პავლე მოციქულთან ცხადად არის ნაუწყები ამის შესახებ: „შე-თუ-ყოფილ ხარ ცოლსა, ნუ განუტევებ; თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ ცოლსა; იქორწინე თუ, არა სცოდე; და თუ იქორწინოს ქალწული, არაჲ ცოდა. ჭირი ჴორცთაჲ თავს-იდვიან ესენივითართა მათ... უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა, ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავს სოფლისასა, რაჲთა სათნო-ეყოს ცოლსა. და განყოფილ არს დედაკაცი იგი ქორწინებული და ქალწული, რამეთუ ქალწული ზრუნავს უფლისა, რაჲთა იყოს წმიდა სულითა და ჴორცითა, ხოლო ქორწინებული იგი ზრუნავს სოფლისასა, რაჲთა სათნო-ეყოს ქმარსა“ (I კორ. 7:27-28; 32-34)[1].

[1] პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ აკ. შანიძის რედაქციით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 16, თბ., 1974, გვ. 115-116.

IV თავში წმ. გრიგოლ ნოსელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ წუთისოფელში არსებულ მრავალგვარ ტკივილსა და მწუხარებას დასაბამი ქორწინებისაგან აქვს. ავტორი აქვე გვაუწყებს, თუ როგორია სამონაზვნო ცხოვრების სახე და არსება.

V თავში დიდი კაბადოკიელი მოძღვარი გადმოგვცემს სწავლებას იმის შესახებ, რომ სხეულის სიწმიდეს წინ უნდა უძღოდეს სულის უვნებობა.

VI თავში მოცემულია სწავლება ელია წინასწარმეტყველისა და იოანე ნათლისმცემლის შესახებ, რომელთა საღმრთო მოქალაქობა ქალწულებით ღვაწლსაც გულისხმობს უცილობლად.

VII თავში გადმოცემულია სწავლება სჯულისმიერი ქორწინების შესახებ, რომელიც თავად ღვთის მიერ არის ნაკურთხი და, ამდენად, არ არის რაიმე ბოროტების ან ცოდვის შემცველი.

VIII თავში წმ. გრიგოლ ნოსელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ამქვეყნიური საზრუნავითა და მრავალი საქმით დაკავებული ადამიანისათვის ძნელად მისაღწევია ქალწულებითი ღვაწლი.

IX თავში მოცემულია სწავლება ადამიანში ფესვგადგმული და შესისხლხორცებული ჩვევებისაგან გათავისუფლების სიძნელეთა შესახებ.

X თავში დიდი კაბადოკიელი მოძღვარი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა არის ჭეშმარიტად გულისათქმელი [სასურველი], ანუ რისკენ უნდა ისწრაფდეს ღვთისმოყვარე სული.

XI თავში მოცემულია სწავლება იმის შესახებ, თუ რა გზითა და საშუალებით არის შესაძლებელი ჭეშმარიტ სიკეთესთან, ანუ ღმერთთან თანაზიარება.

XII თავში გადმოცემულია სწავლება იმის შესახებ, რომ განწმედის შედეგად შესაძლებელია საღმრთო მშვენიერების ხილვა.

XIII თავში წმ. გრიგოლ ნოსელი მსჯელობს ქალწულებითი, ანუ სამონაზვნო ღვაწლის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

XIV თავში მოცემულია სწავლება იმის შესახებ, რომ ქალწულებით ღვაწლზე, ანუ სამონაზვნო ცხოვრებაზე ვერ მძლეობს სიკვდილი.

XV თავში გვაქვს მსჯელობა იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი ქალწულება ყოველგვარ ქმედებაში ვლინდება.

XVI თავში წმ. გრიგოლ ნოსელი გადმოგვცემს სწავლებას იმის შესახებ, რომ სათნოების საზღვრებს გარეთ გასვლას თან სდევს გარდაუვალი სასჯელი.

XVII თავში დიდი კაბადოკიელი მოძღვარი გადმოგვცემს სწავლებას იმის შესახებ, რომ თუნდაც ერთი სათნოებისაგან ნაკლულევან პიროვნებას არ აქვს სისრულე სიკეთეში.

XVIII თავში წმ. გრიგოლ ნოსელი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ადამიანის სულიერი ძალები სათნოებითი მოღვაწეობისაკენ უნდა იყოს მიმართული.

XIX თავში გვაქვს სწავლება პირველი მღვდელმთავრის, აარონის

დის – მარიამის შესახებ, რომელიც, წმ. გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ქალწულებითი ცხოვრების პირველსახედ მიიჩნევა.

XX თავში გადმოცემულია სწავლება ხორციელ გულისთქმებს დამონებული ადამიანის საღმრთო სიკეთეთა თანაზიარების შეუძლებლობის შესახებ.

XXI თავში წმ. გრიგოლ ნოსელი გემოძღვრავს იმის შესახებ, რომ ქალწულებითი, ანუ ასკეტური ღვაწლი უცილობლად გულისხმობს ხორციელი გულისთქმებისაგან განშორებას.

XXII თავში გადმოცემულია სწავლება ქალწულებით ღვაწლში „სამეუფო გზის", ანუ, რაც იგივეა, ასკეტურ მოსაგრეობაში ზომიერების (უკიდურესობათა უარყოფის) შესახებ.

XXIII თავი, რომლითაც სრულდება ეს ნაშრომი, გვაუწყებს, რომ ქალწულებით ღვაწლში წარმატების მსურველს მართებს, განისწავლოს მისგან, რომელსაც აქვს ასკეტური მოღვაწეობის გამოცდილება.

ამრიგად, ჩვენ წინაშეა უალრესად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი ქალწულებითი ღვაწლის შესახებ, რომლის თითოეული სიტყვა საეკლესიო აზროვნების სინატიფითა და სიღრმით არის აღბეჭდილი. წმ. გრიგოლ ნოსელი უდიდესი განსწავლულობით და სულიერებით გადმოგვცემს სწავლებას ქალწულებითი ანუ სამონაზვნო ცხოვრების შესახებ, რაც უდიდესი ღვაწლია ღვთის წინაშე. კვლავაც აღვნიშნავთ, რომ წმიდა მამა, რომელიც არის საეკლესიო მოძღვრების ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი გამომთქმელი, გვაწვდის ღრმა თეოლოგიურ და სისტემურ სწავლებას ასკეტური ცხოვრების წესისა და რაობის შესახებ.

§2. ძეგლის გამოცემები და შესწავლის ისტორია[1]

წმიდა გრიგოლ ნოსელის დასახელებულმა თხზულებამ მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. 1562 წელს რომში გამოიცა პიერ გალესინიუსის სპეციალური ნაშრომი: Gregorii Nyseni, Liber de Virginitate, a Petro Galesinio converseus.

როგორც ფრანგი მკვლევარი მიშელ ობინო წერს, უცნობია, რომელი ხელნაწერიდან შესრულდა ეს ლათინური თარგმანი, რომელსაც ხანგრძლივად არსებობა ხვდა წილად, რადგან აღნიშნული ძეგლი მინის პატროლოგიაში შევიდა სხვა ტრადიციის ბერძნულ ტექსტთან ერთად.

[1] ამ პარაგრაფის მასალა ემყარება შემდეგ გამოცემებში დაცულ ცნობებს: Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966, p. 215-243.

1574 წელს ანვერსში პლანტენმა განახორციელა ბერძნული ტექსტის პირველი გამოცემა: D. Patris Gregorii Nysseni antistitis de Virginitate liber, graece et latine nune primum editus, interprete Johanne Livineio Candensi. Antverpiae ex officina Christophori Plantini. მან ისარგებლა Vat. gr. 401-ით და ამით გალესინიუსისათვის ცნობილი ტექსტობრივი ტრადიციისაგან განსხვავებულ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი (ფრანგი მკვლევარი მას PF ჯგუფის მსგავსს უწოდებს). პლანტენს ასევე გამოუყენებია cod. Montepessulanus 122.

გრიგოლ ნოსელის თხზულებათა პირველი ორენოვანი გამოცემა შესრულდა პარიზში, 1615 წელს, სომნიუსის მიერ. „ქალწულებისათჳს" შესულია II ტომში, გვ. 543-611-ზე, შენიშვნები კი – იმავე ტომის დანართში, გვ. 8-14-ზე. გალესინიუსის ლათინური რედაქცია შედარებულია ლივინეიუსის ბერძნულ ტექსტთან, რომელიც უმნიშვნელოდ ჩაასწორა კლერმონის კოლეჯის ბიბლიოთეკარმა, XVII ს-ის დამდეგის ერუდიტმა, ფრონტონ დიუ დუკმა (იხ.: Bibliotheque de la Compagnie de Jesus, éd. C. Sommervogel, 1893, III, p. 233-249).

XIX ს-ის შუა წლებში მინმა უზრუნველყო მორელუსის სამი ტომის თანმიმდევრული გამოცემა თავის „პატროლოგია გრეკას" ტ. 44-46-ში, რომლებშიც „ქალწულებისათჳს" ტ. 46-ის col. 317-416-შია დასტამბული (ფრანტონ დიუ დუკის შენიშვნები იხ.: col. 1185-1200).

1952 წელს უერნერ იეგერის მიერ დაფუძნებულ სერიაში: „გრიგოლ ნოსელის თხზულებები", გამოვიდა კავარნოსის მიერ შესრულებული დასახელებული ნაშრომის პირველი მეცნიერული გამოცემა (GN 8,1, გვ. 217-343).

1966 წელს მ. ობინომ გამოაქვეყნა ყველაზე სრულყოფილი გამოკვლევა წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომისა „ქალწულებისათჳს". ფრანგი მეცნიერის ნაშრომს ერთვის წმ. გრიგოლ ნოსელის ტექსტი ბერძნულ და ფრანგულ ენებზე. ობინომ გაითვალისწინა ყველა წინარე გამოცემა და შეეცადა უაღრესად არგუმენტირებული მსჯელობით გადმოეცა და განემარტა მრავალი საკამათო საკითხი, რაც ამ ძეგლის კვლევასთან იყო დაკავშირებული.

ავტორი გვაუწყებს, რომ მისთვის ცნობილი იყო წმ. გრიგოლ ნოსელის ზემოხსენებული ნაშრომის მხოლოდ სამი თარგმანი:

I – რუსული, შესრულებული მოსკოვის აკადემიის პროფესორთა მიერ პ. კაზანსკის რედაქტორობით, რომელიც შეტანილია გრიგოლ ნოსელის თხზულებათა სრულ თარგმანში (ტ. VII, მოსკოვი. 1865, გვ. 284-394).

II – ინგლისური, ე. მურის მიერ, რომელიც გამოქვეყნდა: A Select Library of Nicene and Post-Nicene Fathers of the Christian Church, II სერია, ტ.V, Gregory of Nyssa, Oxford 1893, p.343-371. თარგმანი საკმაოდ მაღალ დონეზეა შესრულებული.

III – ესპანური, შესრულებული იოაკინ მარტინეს არეკას მიერ, ფრ. დე ბ. ვიზმანოსის ნაშრომში Las Virgines christianas de la Iglesia prim-

itiva, Madrid, 1949, p. 1110-1172. მთარგმნელი, როგორც ჩანს, უფრო ხშირად გალესინიუსის ლათინური ვერსიით სარგებლობდა, ვიდრე გრიგოლ ნოსელის ბერძნული ტექსტით.

მ. ობინო აღნიშნავს ჟ. პ. კავარნოსის დამსახურებას, რომელსაც X-XVII საუკუნეების 25 ხელნაწერი შეუსწავლია (კავარნოსი, გვ. 217-234).

ფრანგი ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს კავარნოსის სადისერტაციო ნაშრომს ("De ratione quae inter familias codicum intercedit") და თავადაც იზიარებს მის დასკვნებს, თუმცა საფუძვლიანი შესწორებებიც შეაქვს მათში.

კავარნოსი თხზულების შემცველ ხელნაწერებს ორ ჯგუფად ყოფს: I ჯგუფში (SΩ) შედის 8 ხელნაწერი; ამ ჯგუფის ტექსტთან ბევრი საერთო აქვს სირიულ რედაქციას. II ჯგუფი მოიცავს სამ ქვეჯგუფად დაყოფილ 18 ხელნაწერს, რომელთაგან ძირითადი ნუსხებია: E (X ს.), P (XI ს.), F (XII ს.), B (XII ს.), K (XI ს.) და C (XII-XIII სს.).

კავარნოსმა, გაითვალისწინა რა ძეგლის შედგენილობა (შესავალი წერილი, თავების სათაურების სარჩევი და დასათაურებულ თავებად დაყოფილი თხზულება), ამასთანავე, ის ფაქტიც, რომ I რედაქციის ყველაზე თვალსაჩინო და ძველ, XII ს-ის ნუსხას (Ω) არ გააჩნია შესავალი წერილი, არც თავებადაა დაყოფილი და სარჩევის გარეშეა, დასვა კითხვა: ხომ არ შემოინახა ამ ძალზედ დაზიანებულმა ხელნაწერმა (Ω) თხზულების უძველესი ფენა, რაც მალე შეიცვალა ავტორის (გრიგოლ ნოსელის) მიერვე რეეიზირებული, შევსებული და გავრცობილი ტექსტით? რაც შეეხება I რედაქციის S ჯგუფის ხელნაწერებს, რომლებშიც არის Ω-ს ტექსტისაგან განსხვავებული წაკითხვები, მათ კავარნოსი II რედაქციიდან ნასესხებად მიიჩნევს.

კავარნოსის საპირისპიროდ, ფრანგი მკვლევარი მ. ობინო SΩ ტექსტის (ანუ I რედაქციის) გვიანდელობას ამტკიცებს. ის არ გამორიცხავს, რომ ეს რედაქცია გრიგოლ ნოსელის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა სხვა ავტორის მიერ II, ნამდვილად გრიგოლისეული, რედაქციის საფუძველზე. ამგვარად, მ. ობინომ ერთადერთ გრიგოლისეულ რედაქციად მიიჩნია EPFBKC-ში წარმოდგენილი ტექსტი, ხოლო პარაფრაზირებულ რედაქციად – SΩ ჯგუფში არსებული. გამოცემაში ობინომ სწორედ EPFBKC-ს ტექსტი გამოაქვეყნა და ამ ხელნაწერებს ორი ახალი, FB ხელნაწერის, ტექსტი დაუმატა; ამდენად, ამ ჯგუფის ხელნაწერთა რაოდენობა 18-დან 20-მდე გაზარდა. გამოცემაში ობინომ შეიტანა კავარნოსის კრიტიკული აპარატის ძირითადი ელემენტები. ამ აპარატის მეშვეობით მკითხველს შეუძლია ნებისმიერ შემთხვევაში გაეცნოს ამა თუ იმ ხელნაწერის წაკითხვას. SΩ ჯგუფის ყველა ერცელი განსხვავება დანარჩენი ნუსხების წაკითხვისაგან წარმოდგენილია ფრანგული თარგმანით, აღნიშნულია, აგრეთვე, განსხვავებები წინა, კრიტიკული გამოცემისაგან.

თავი II

წმიდა გრიგოლ ნოსელის თხზულების შემცველი ქართული ხელნაწერები და ნუსხათა ურთიერთმიმართება

§1 თხზულების შემცველი ქართული ხელნაწერები

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების „ქალწულებისათჳს და საღმრთოისა მოქალაქობისა“ ქართული თარგმანი დაცულია რამდენიმე ხელნაწერში: სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილების P3-ში (311v-345v), ათონის ქართველთა მონასტრის Ath. 39-ში (102r-132v) და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის A108-ში (147v-151v); ზემოაღნიშნული სათაურით თხზულება შეტანილია კიდევ ოთხ ხელნაწერში: A 394 (302v-303v), H 2350 (236v-237v), S 3661 (215r-216r), S 139 (გვ. 202-205). ეს ნუსხები XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდებიან, შერეული კრებულებია და შეიცავენ ბიზანტიელ ავტორთა თხზულებებს. მათ შორის არის დაცული წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაც „ქალწულებისათჳს“, მაგრამ ამ ხელნაწერებში წარმოდგენილია მხოლოდ ტექსტის შესავალი ნაწილი. ხელნაწერების ურთიერთშეჯერებისას გაირკვა, რომ გარდა მცირეოდენი ვარიანტული სხვაობისა, ტექსტები ემთხვევა ერთმანეთს.

1. ხელნაწერი P3 (A ლიტერი) წარმოადგენს შერეულ კრებულს[1]; შედგება 428 ფურცლისაგან; მასში შესულია წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის 23 თხზულება და წმ. გრიგოლ ნოსელის ხუთი ნაშრომი; დაწერილია ეტრატზე, ნუსხურით; სათაურები და საზედაო ასოები მთაერულითაა შესრულებული. შემოსილია ყავისფერი ტყავგადაკრული ხის ყდით; დაზიანებულია. ტექსტს ბოლოში ერთვის ვრცელი ანდერძი, რომლიდანაც ირკვევა, რომ გადამწერები არიან დეკანოზები: გაბრიელ და იოვანე; გადაიწერა ქართველთა მონასტერში, კალიპოსში (ანტიოქია), 1040 წ-ს: „დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგან წელთა ხქკდ, ჭელითა ჩუენითა ცოდვილითა და შეიმოსაცა ქუეყანასა ასურეთისასა, საზღვართა ანტიოქისათა, სანახებთა წმიდისა სჳმეონ საკჳრველთმოქმედისათა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მონასტერსა

[1] ხელნაწერის აღწერილობა ეკუთვნის თ. ბრეგაძეს. იხ.: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერი აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თამარ ბრეგაძემ, 1988 წ., გვ. 70-78. P3-ზე საუბრისას ვეყრდნობით ამ აღწერილობას.

ქართველთასა, კალიპოსს, მეფობასა ბერძენთა ზედა წმიდისა მეფისა მიხაილისსა და აფხაზთა და ქართველთა ზედა ბაგრატ კურაპალატისასა. – ადიდენ ღმერთმან მეფობაჲ მათი, – ქორონიკონსა ს˙ჲ[1]. ანდერძში ორი დათარიღებაა მოცემული: „დასაბამითგან“ და „ქორონიკონით“. ამ უკანასკნელით გამოდის 1040 წელი (260+780=1040). „დასაბამითგანში“ კი, ჩვენი აზრით, დაშვებულია შეცდომა. უნდა იყოს არა ხქკდ (რაც უდრის 1020 წ-ს), არამედ ხქმდ (6644-5604=1040 წ.). ანდერძიდან ისიც ირკვევა, რომ გადამწერებს, გაბრიელსა და იოვანეს, ხელნაწერი შეუწირავთ ჯვრის მონასტრისათვის: „სახელითა ყოვლადწმიდისა სამებისაჲთა შევწირეთ წმიდაჲ ესე წიგნი ჩუენ, გლახაკთა და ცოდვილთა, გაბრიელ და იოვანე, დიდითა გულსმოდგინებითა წმიდასა მონასტერსა, ღმრთისა მიერ აშენებულსა ჯუარს, რომელი აღეშენა ჴელითა წმიდისა და სანატრელისა მამისა და მოძღურისა ჩუენისა პროხორესითა, მახლობელად წმიდასა ქალაქსა იერუსალემსა“ (428r).

ხელნაწერის მინაწერებიდან საგულისხმოა გიორგი ავალიშვილის მინაწერი: „წელსა ჩყკ (1820 წ.), აპრილის დ (4), მივიღე წიგნი ესე „ცხოვრება და განგება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისა“ იერუსალიმს ჯვარის ამაღლების მონასტრიდამ, ბრძანებითა წმიდისა პეტრას მიტროპოლიტის მისაელისა და სრულიად კრებულისა მისისა თანხმობითა, თავადმან გიორგი ავალოვმან“ (1r). გ. ავალიშვილმა ჯვრის მონასტრიდან რამდენიმე ქართულ ხელნაწერთან ერთად წამოიღო P3-ც. ის ამჟამად ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში მისი ძველი ნომერია Georg. 149.[2]

1820 წ-ს გამოქვეყნებულ ალ. ცაგარლის კატალოგში დამატების სახით არის დართული იერუსალიმიდან წამოღებული ხელნაწერების აღწერილობა. კატალოგში ზემოაღნიშნული ხელნაწერი გატარებულია 144-ე ნომრით.[3]

წინამდებარე ტექსტს ბოლოს ერთვის ანდერძი: „ლოცვა-ყავთ მამისა ეფთჳმესთჳს, რომელმან ესე წიგნი თარგმნა. ღმერთმან ადიდენ სულითა, ამინ“ (345v).

311v-ზე, აშიაზე, ტექსტის ხელით მიწერილია: „სანატრელნო მამანო, ვახედავ, რომელ ესე წმიდაჲ გრიგოლ ნოსელი ესეთივე კაცი ყოფილა, ვითა დიდი ბასილი, თაჳსა ძმაჲ, და თუ ვინმე არა იცნობდეს, თქუმულთა მისთადა უჭურეტნეს“.[4]

---

[1] ანდერძი სრული სახით გამოქვეყნებულია. იხ. გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა დასახ. აღწერილობა, გვ. 75-77.

[2] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1980, გვ. 129-130.

[3] **А. Цагарели, Сведения О памятниках Грузинской письменности, С. Пб., 1889, II, стр. 43-44.**

[4] გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა... აღწერილობა, გვ. 75.

2. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციის ხელნაწერი A108 (B ლიტ.) კრებულია და მხოლოდ გრიგოლ ნოსელის თხზულებებს შეიცავს (25). შედგება 425 ფურცლისაგან. საწერ მასალად გამოყენებულია ბომბიცინი; გადაწერილია ნუსხურით XII საუკუნეში; ასომთავრული გამოყენებულია საზედაო ასოებისა და სათაურისთვის, შეფერადებულია სინგურითა და ჭიაფერით, ანუ „კარმინით“. ზოგიერთი ადგილი მხატერულადაა გაფორმებული, მელანი ყავისფერია. ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია, აკლია შიგნითაც; სინესტისაგან ფურცლები ისეა დაზიანებულია. ახლად რესტავრირებულია და ჩასმულია შინდისფერ კოლენკორგადაკრულ მუყაოს ყდაში. ხელნაწერი ადრე ეკუთვნოდა მრავალმთის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს.[1]

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველ 4 კრებულს შორის (A 55, Ath. 14, Ath. 49, A 108) A 108 ერთადერთია, რომელშიც დაცულია „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“. ტექსტი ჩვენამდე ფრაგმენტულადაა მოღწეული, დაახლოებით ოთხნახევარი ფურცლის მოცულობით; მასში დაცულია შესავალი მთლიანად და I-III თავები; ნუსხა წყდება შემდეგ სიტყვებზე: „...ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს ცნობად, თუ ვითარ აღვსებულ არს ბოროტითა ცხორებაჲ, რომლისაჲ უკუეთუ გრწამს ძუელთა მათ თქუმულთაჲე, აღმოიკითხენ, რომელთა შინა ჰპო...“ (151v).

3. ათონის მთაზე დაცული ხელნაწერი Ath. 39 (C ლიტ.) კრებულია, შედგება 132 ფურცლისაგან. ის პაგინირებული არ არის, რვეულებრივი სათვალავიც არ ჩანს. თავბოლონაკლულია, ეტრატია, დაწერილია ათონური სკოლისათვის დამახასიათებელი XI საუკუნის ნუსხურით. მელანი ყავისფერია, შემოსილია შავ ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდით; ხელნაწერი გადაწერილია სამი პირის მიერ;[2] რ. ბლეიკი ორ ხელს გამოყოფს და, მისი სათვალაჲით, ხელნაწერი 126 ფურცელს შეიცავს.[3]

კრებული ნარევია: 1r-6v-ზე არის რომელიღაც (სავარაუდოდ, გრიგოლ ნოსელის) თხზულება; ტექსტი გრძელდება ასე: „ძე იგი და ვიდრე აქად დღედმდე...“ შემდეგ მოდის ეპიფანე კვიპრელ მთავარეპისკოპოსის საკითხავი იესუ ქრისტეს დაფლვისათვის (7r-13v); გრიგოლ ნოსელის „შესხმაჲ წმიდისა მოწამისა მამაჲსი“ (13v-15v); ძირითადი ნაწილი უკავია კირილე ალექსანდრიელის წინასწარმეტყველთა წიგნების თარგ-

---

[1] იხ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I$_2$, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, 1976, გვ. 29-34. A 108-ის შესახებ მონაცემები ავიღეთ ამ აღწერილობიდან.

[2] Ath. 39 აღწერილია ლ. ხევსურიანის მიერ. ჩვენ ვსარგებლობთ მის მიერ შედგენილი გამოუქვეყნებელი აღწერილობით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

[3] იხ. R. P. Blake, Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliotheque de la Laura D' Iviron au Mont Athos, 1931-1932, p. 123-125.

მანებებს (16v-101r). და ბოლოს, გრიგოლ ნოსელის თხზულებას – „ქალწულებისათჳს“ (102r-132v).

კრებულის დასაწყისი ფურცლები (1-24) გადაწერილია წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ. შეიცავს სამ თხზულებასა და მეოთხე თხზულების დასაწყის 8 ფურცელს. ამ უკანასკნელს აგრძელებს მეორე ხელი (გვ. 25-101). აქ წყდება წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანების ტექსტი, მას ბოლო ნაწილი აკლია; მესამე გადამწერის მიერ გადაწერილია წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულება „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ (102r-132v). აღნიშნული ტექსტიც ბოლონაკლულია. P3-თან შეჯერებისას გაირკვა, რომ მას აკლია დაახლოებით ბოლო ორი ფურცელი. ტექსტი წყდება: „...აწ უკუმ ჩუენცა სასოებითა ღმრთისაჲთა უცოომელად განველოთ განსაცდელთა იგი ზღუაჲ, შესრულთა მოქალაქობასა მას ანგელოზებრსა და წარმართებულთა მას შინა. შენ უკუე ქა... გამო...“ (132v). მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ფურცელი ბუნდოვანია და ტექსტი ძნელად იკითხება, გარკვევით ჩანს, რომ უკანასკნელი სიტყვები „შენ უკუე ქა... გამო...“ სხვა ხელითაა ნაწერი.

ხელნაწერის ყდის წინა და უკანა საცავ ფურცლებზე იკითხება მკაზმავის, მღვდელ-მონაზონ ბენედიქტეს მინაწერები: „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყუაო ღმრთისაო, შემიწყალე ცოდვილი ვენედიქტონ, ამისი შემკაზმავი, დედ-მამით და მოყვასითურთ, ამინ. ჩყ˙კგ“ (1823). ამავე ფურცელზე ქვემოთ არის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საფონდო ნომერი „Αρ. 79“.

ბერძნულში შესავალ ნაწილში აღრიცხულია (დანომრილია) და იქვე მოტანილია თითოეული თავის სრული დასათაურება. თავის ნომერი და სრული სათაური კვლავ მეორდება თვით ტექსტში, შესაბამისი თავის დასაწყისში. რაც შეეხება ქართულს, ტექსტის შესავალში, მართალია, თავების დასათაურებანი ჩამოთვლილია, მაგრამ – დანომვრის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ ხსენებული დასათაურებანი მთარგმნელისგან აღქმულია მხოლოდ როგორც ამა თუ იმ საკითხზე მითითება. შესაბამისად, ორიგინალისეული დასათაურებანი თავებისა ეფთვიმესგან მიჩნეულია მხოლოდ როგორც საკითხთა ჩამონათვალი. ამიტომაა, რომ თვით ტექსტიც (ე. ი. შესავლის შემდგომი ნაწილი), ბერძნულისგან განსხვავებით, ქართულში წარმოდგენილია მთლიანი სახით, თავებად დაყოფის გარეშე. აღვნიშნავთ, რომ ესა თუ ის საეკლესიო ძეგლი თავისი თავდაპირველი, ავტორისეული სახით, ჩვეულებრივ, თავებად და დასათაურებულ მონაკვეთებად დაყოფის გარეშე იყო წარმოდგენილი, რასაც შემდეგში, მკითხველის მიერ ტექსტის აღქმის გასაადვილებლად, მიმართავდნენ მოგვიანო ეპოქის მოღვაწეები (არაიშვიათად ხსენებული ძეგლის ღვთივსულიერი ავტორის უშუალო მოწაფეები). ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ გვეჩვენება შეუძლებლად ვარაუდი იმისა, რომ ეფთვიმესეული თარგმანის სახე (კერძოდ ის, რომ ტექსტი თავებად დაყოფილი არ არის და შესავალშიც მხოლოდ საკითხთა ჩამონათვალია მოცემული) იცავდეს ორიგინალის თავდაპირველ ტექსტობრივ ვითარებას, ხოლო ბერძნულ

ნუსხებში წარმოდგენილი თავებად დაყოფა გვიანდელი ეპოქის პროდუქტი იყოს.

§2 ნუსხათა ურთიერთმიმართება

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების, „ქალწულებისათჳს და საღმრთოისა მოქალაქობისა", წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი შესულია 1040 წ-ის ხელნაწერ P3-ში, XI ს-ის Ath. 39-სა და XII ს-ის A 108-ში. ტექსტი სწორედ ამ სამი ნუსხის მიხედვით მოვამზადეთ გამოსაცემად. მათ შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირი ჩანს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ნუსხაში წარმოდგენილი ტექსტი ერთი რედაქციისაა: ამოსავალი ჩანს P3-ში არსებული ტექსტი, საიდანაც უშუალოდ ან, შესაძლოა, რომელიმე შუალედური ხელნაწერიდან არის გადაწერილი ტექსტი Ath. 39-ში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ Ath. 39-ის ტექსტის გადაწერის შემდეგდროინდელ სწორებებს – წაშლილ ადგილებს, პირველად ტექსტში ჩამატებებსა და ზემოდან გადაწერილ ტექსტს, თანხვედრა P3-სა და Ath. 39-ს შორის სრულია. P3-ისა და Ath. 39-ის ტექსტებს ერთმანეთისაგან მხოლოდ ფონეტიკურ-ორთოგრაფიული წაკითხვები განასხვავებს, რომლებიც XI-XII საუკუნეთა ცოცხალი მეტყველების გამო ჩნდება წერილობით ძეგლებში, აგრეთვე ძალიან მცირერიცხოვანი ენობრივი ფორმები, რომლებიც ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში ერთმანეთის პარალელურად არსებობდა. ეს განსხვავებები გადამწერის მიერ უნდა იყოს შეტანილი Ath. 39-ში. ასევე, გადამწერის მიერ უნდა იყოს გამოტოვებული რამდენიმე ადგილას სიტყვა, რომელიც აღდგენილია იმავე P3-ის მიხედვით Ath. 39-ში წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ. მაგ.: „მჯურვალისა და გრილისა", რომელიც არის P3-ში, Ath. 39-ში ზემოდან არის მიწერილი სტრიქონზე (22,1)[1]. „გნებავს-ა" (C 20,4) C-ში ზემოდან არის ჩამატებული. ასეთი შემთხვევები ბევრი არ არის. გადამწერსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ის რამდენიმე უმნიშვნელო განსხვავება, რომელიც არის C-სა და A-ს შორის და რაც C-ს სწორების შედეგი არ არის, მაგ.: ხედვასა C, ხილვასა A (20,3). რაც შეეხება A 108-ს, ის მომდინარე ჩანს Ath. 39-დან; ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ Ath. 39-ის რედაქტირებული ტექსტი არის გადასული A 108-ში, ე.ი. Ath. 39-ის ტექსტის გადაწერის შემდეგ გაკეთებული სწორებები A 108-ის ძირითად ტექსტში არის შესული. ამ შემთხვევაშიც ზუსტად თქმა იმისა, უშუა-

[1] II და III თავებში მოტანილ მაგალითებთან ვუთითებთ გრიგოლ ნოსელის თხზულების ჩვენ მიერ გამოცემულ ქართული თარგმანის თავებსა და ქვეთავებს.

ლოდ Ath. 39-დან არის გადაწერილი A 108, თუ რომელიღაც შუალედური ხელნაწერიდან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ ფაქტია, რომ A 108-ს საფუძვლად უდევს Ath. 39-ის ნარედაქციევი ტექსტი. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს: შესწორებად BC,შესწორებულად A (2,1); შთაჭრისამცა BC, შთაჭრის A (3,1). C-ში ეს სწორებები ხან სტრიქონის ზემოდან არის მიწერილი, ხან წაშლილია ერთი ან რამდენიმე სიტყვა – ამ ადგილას მხოლოდ თავისუფალი სტრიქონი ჩანს, წაშლილი ფრაზის თუ სიტყვის კვალი აღარ არის.

Ath. 39 არის კრებული, რომელშიც შესულია წმ. გიორგი მთაწმიდელის ხელით გადაწერილი რიგი თხზულებები. ეს ფაქტი გახდა ჩვენი ვარაუდის საფუძველი, რომ ამ ნუსხაში შესული გრიგოლ ნოსელის თხზულების ეფთვიმესეული თარგმანის რედაქტირება სწორედ გიორგი მთაწმიდელის მიერ შეიძლება მომხდარიყო. იმ ხელწერის შედარება, რომლითაც ნასწორებია Ath. 39-ში გრიგოლ ნოსელის თხზულების ტექსტი, გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფული ნაწილის ხელწერასთან, არ გამორიცხავს ამ ვარაუდს, თუმცა დაბეჯითებით ამის მტკიცება ჭირს: როგორც ავტოგრაფული ნაწილი, ასევე სწორებები ძალიან წვრილი ხელწერით არის შესრულებული; ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ის უალრესად კვალიფიციური ჩარევა ეფთვიმე ათონელის თარგმანში, რომელიც Ath. 39-ის ტექსტის ნასწორევ ნაწილშია. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ეფთვიმესეული თარგმანის სწორებას ძნელად გაბედავდა რომელიმე უსახელო რედაქტორი. ქვემოთ მოვიტანთ ამ სწორებათა ამსახველ მასალას, ცხადია, შეზღუდული მოცულობით.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ რა სახის ცვლილებები შეუტანია რედაქტორს Ath. 39-ის ტექსტში: არის ეს ბერძნულთან ხელახალი შედარების შედეგად გამოვლენილი სხვაობები P3-სა და Ath. 39-ს შორის, თუ ხდება ეფთვიმეს თარგმანის მხოლოდ სტილისტური რედაქტირება?

არსებული სხვაობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ გვაქვს ძირითადად პირველი სახის სწორებები. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს, როდესაც ეფთვიმეს თარგმანი გასწორებულია ბერძნულის მიხედვით:

ა) 6,2-ში Ath. 39-ში ჩამატებულია მთელი ფრაზა, რომელიც არ არის P3-ში და არის ბერძნულ ტექსტში: „...და ჭეშმარიტისა მის გზისა სლვაჲ წარჰმართიან“ C ...ἐπί της εὐθείας ἑαυτὸν φυλάσσει (348,35).[1]

ბ) არის რამდენიმე მაგალითი, როდესაც P3-ის ჩვენება წაშლილია Ath. 39-ში იმის გამო, რომ ეს სიტყვა არ არის ბერძნულ ტექსტში. მაგ. 5,1-ში P3-ში ნახმარია „შემსგავსებულად“, რომელიც წაშლილია Ath.

[1] ბერძნული მაგალითები მოგვაქვს შემდეგი გამოცემიდან: Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966.

39-ში. ასევე, „სათნოებაჲ დიდი“ (7,2) არის P3-ში და არ არის ბერძნულ დედანში, სათანადოდ, წაშლილია Ath. 39-შიც.

გ) რედაქტორი ასწორებს გადამწერის მიერ დაშვებულ შეცდომებსაც, მაგ.: „...აღასრულებენ გულისთქუმასა მათსა პარვისმოყუარებასა ზედა“ A (17,1). ბერძნულ დედანში ამ ადგილას არის „პატივისმოყუარებასა ზედა“ («φιλαρχίαις» 456,4). ასევე არის Ath. 39-ში: „...პატივისმოყუარებასა ზედა“; გადამწერის მიერ ჩანს გამოტოვებული სიტყვა „მიცემაჲ“ A-ში (4,5), რომელიც ბერძნულის მიხედვით აღდგენილია Ath. 39-ში: „ცეცხლად მიცემაჲ“.

დ) დავადასტურეთ რამდენიმე საინტერესო მაგალითი, როდესაც Ath. 39-ის სწორება მიზნად ისახავს იმ ორაზროვნების, ბუნდოვანების თავიდან აცილებას, რომლის საფუძველსაც თითქოსდა ქმნის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი. მაგ.: „...ყოველიეე, რაიცა არს უფალი, კეთილთა თანა შეერთებული, არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ“ (16,2). Ath. 39 ასეთნაირად ასწორებს ამ ფრაზას: „...ყოველიეე, რომელიცა არს უფლისა კეთილთა თანა შეერთებული, არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ“. მართალია, ბერძნულში გვაქვს სახ. ბრუნვა «ὁ κύριος» და არა ნათესაობითი (უფლისა), როგორც ეს წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ ნასწორებ ტექსტში გვხვდება, მაგრამ სავარაუდოა, რომ გიორგი მთაწმიდელისეული რედაქტირება მიზნად ისახავდა სრული სიცხადის შეტანას წინადადების აზრში, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული თუნდაც მცირეოდენი ბუნდოვანება – გიორგისეული ჩარევის შედეგად უფრო მეტად არის გამოკვეთილი წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლება. მსგავსი სწორება ჩანს Ath. 39-ში, როდესაც P3-ის წაკითხვა: „...დაცემული კაცთა ბუნებაჲ...“ (2,2) წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ გასწორებულია შემდეგნაირად: „დაცემულსა კაცთა ბუნებასა“. საქმე ისაა, რომ როდესაც ეფთვიმე იწყებს ბერძნული წინადადების თარგმნას, იგი აკუზატივს, ჩვეულებისამებრ, სახელობითით თარგმნის, რაც მოცემულ კონტექსტში არაზუსტია, რადგან შემდეგ კვლავ ეხვდებით სხვა სიტყვის (χειρα) აკუზატივს, ეს კი აუცილებელს ხდის, რომ „კაცობრივი ბუნებაჲ“ მიცემითით იქნეს გადმოტანილი, როგორც ასწორებს კიდეც წმ. გიორგი მთაწმიდელი.

ე) თუ როგორ გააზრებულად ჩაერია რედაქტორი ეფთვიმესეულ ტექსტში, ჩანს ბერძნული Προηγούμενος-ის თარგმანის მაგალითზე. გიორგი არ დააკმაყოფილა ეფთვიმეს მიერ გამოყენებულმა სიტყვამ – „უაღრეს“ – და დაუმატა მას „ფრიად“, რადგან „ფრიად უაღრეს“ უფრო ზუსტად გადმოსცემს ბერძნული სიტყვის კონტექსტისეულ მნიშვნელობას (7,2).

ვ) განსახილველ ტექსტში გვაქვს რედაქტირების სხვა სახეც: ეს არ არის ბერძნულთან შედარების საფუძველზე ტექსტის სწორება, არამედ უფრო სტილური სახის ცვლილებები: Ath. 39 უმატებს რამდენიმე სიტყვას აზრის უფრო გასაგებად და ნათლად გადმოცემის მიზნით. მაგ: რამდენიმეჯერ ხდება „მიერ“ თანდებულის დამატება (3,2; 20,4), ასევე

უმატებს სიტყვებს: „რამეთუ“ (7,1), „ვითარმედ“ (2,3), „ხოლო“ (2,3), „და ესე“ (20,4; 16,1).

ძალიან ხშირია Ath. 39-ში „და“ კავშირის ჩამატება: შესატყვისი καί ზოგჯერ არის ბერძნულ ტექსტში, ზოგჯერ – არა (3,2; 3,10; 14,3; 18,5; 22,2; 23,1; 4,4; 9,1; 10,2; 7,1; 3,3). ასევე, აზრი არ იცვლება შემდეგ წინადადებაში რედაქტირების შედეგად: „იქმნების წინაალმდგომთა მათ ერთობაჲ“ A, „იქმნების ერთობად მოყვანებაჲ და ერთობაჲ“ C (22,1).

Ath. 39-ში ჩამატებული სიტყვა „მეტისა“ ასევე არ ცვლის აზრს, უფრო ამკვეთრებს მას: „რომელი მიდრკეს მეორესა მას კერძსა მეტისა სიწმიდისასა“ (7,2). ეს სიტყვა არ არის არც P3-ში, არც ბერძნულ ტექსტში. ე.ი. რედაქტორი მოცემულ შემთხვევაში უმნიშვნელოდ ერევა ტექსტში ორიგინალისაგან დამოუკიდებლად (ბერძნულში გვაქვს: ὁ δὲ παρελθὼν τῆς σωφροσύνης τό βάσιμον... 354,20-21; „ვინც განვლო სიწმიდის საფეხური“).

ასეთი სახის თავისუფლებას დედნის მიმართ, როგორც ცნობილია, ხშირად იჩენს სწორედ ეფთვიმე ათონელი: მისი თარგმანის განხილვა გვაძლევს ამის თქმის უფლებას. გიორგი მთაწმიდელი ამგვარ შემთხვევებში არ ერევა ეფთვიმესეულ ტექსტში, არ კვეცს მას, პირიქით, შეიძლება ზოგჯერ თავისი შეხედულებისამებრ კიდევ გაავრცოს ეფთვიმესეული უკვე გავრცობილი თარგმანი. მაგ.: ეფთვიმე ბერძნულ ტექსტს უმატებს მთელ წინადადებას: „რაჲთა მას ოდენ თჳსი სიწმიდე არა დაეხრწეოდის გინა თუ ჭამისა მიერ, გინა თუ გარდარეულისა მარხვისა“ (22,2); რედაქტორმა არათუ ამოიღო ეს ფრაზა, არამედ, თავის მხრივ, „სიწმიდე“-ს დაუმატა „მოღუაწება“: „სიწმიდე და მოღუაწება“.

და ბოლოს, მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს, რომელიც იმის დამატებით არგუმენტს წარმოადგენს, რომ ეფთვიმესეული თარგმანის რედაქტირება Ath. 39-ში გიორგი მთაწმიდელის მიერ მოხდა; ბერძნული κατὰ μόνας (414,33) P3-ში, ანუ ეფთვიმეს თარგმანში, წარმოდგენილია როგორც „მხოლომან“, ხოლო Ath. 39-ში – „მხოლოდ“. ეს არის 32-ე ფსალმუნის მე-15 მუხლი, ჩართული გრიგოლ ნოსელის თხზულების ტექსტში: „...დაჰბადნა მხოლომან გულნი ჩუენნი“ A. ...მხოლოდ... C (12,3). გიორგი მთაწმიდელის მიერ ნარედაქციევ ფსალმუნშიც ამ ადგილას არის „მხოლოდ“.

მაგალითების მოტანა განსახილველი თხზულების ტექსტიდან კიდევ არის შესაძლებელი. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელმა, ბერძნულ ორიგინალთან ხელმეორედ შედარების გზით, შეასწორა ეფთვიმესეული თარგმანის ზოგიერთი ადგილი, რომლებიც, შესაძლოა, მკითხველის მიერ არაერთმნიშვნელოვნად ყოფილიყო გაგებული.

თავი III

წმიდა გრიგოლ ნოსელის თხზულების – „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ – ქართული თარგმანის ენობრივი მიმოხილვა

წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების, „ქალწულებისა და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“, წმ. ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი გამოსაცემად მოვამზადეთ სამი უძველესი ნუსხის მიხედვით: P3 (1040 წ.), Ath. 39 (XI ს.) და A 108 (XII ს.). ტექსტის მოკლე ენობრივ მიმოხილვაში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ იმ მოვლენებზე, რომლებიც განსხვავებულ ჩვენებებს იძლევა ამ სამი ნუსხის მიხედვით.

§1. ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მოვლენები[1]

როგორც ცნობილია, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ადრეულ საფეხურზე ⴖ-ს ფუნქცია ეი დიფთონგის აღნიშვნა იყო.

ცოცხალ მეტყველებაში ეი დიფთონგი თანდათან იშლება, ამიტომ ამ პროცესის დასრულების შემდეგ წერილობით ძეგლებში მატულობს ⴖ გრაფემის „შეცდომით“ ხმარების შემთხვევები: გადამწერთ აღარ ესმოდათ ამ გრაფემის ფუნქცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ძეგლში ის მაინც ხშირად იჩენდა თავს. განსახილველი თხზულების შემცველი ხელნაწერებიც იმის ნიმუშია, რომ ⴖ-ს ხმარება აღარ ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებას:

P3 (A): სახე (9,1); ძე (2,1), მაგრამ: მეორⴖ (6,1); სივრცⴖ (9,1)...

Ath. 39 (C): მეორე (6,1); სივრცე (9,1), მაგრამ: სახⴖ (9,1)...

A 108 (B): ნუუკუე (2,3), მაგრამ: ძⴖ (2,1)...

იგივე შეიმჩნევა ჲ-ს ხმარებისას: ხშირია მისი ზედმეტად ხმარება იმავე მიზეზით: ზოგიერთ შემთხვევაში ჲ თანდათან კარგავს თავის ფუნქციას. ამის გამო ის გადამწერთა მიერ ზოგჯერ უადგილოდ იხმარება ან არ იხმარება იქ, სადაც საჭიროა. მოვიტანთ ჲ-ს შეცდომით ხმარების რამდენიმე მაგალითს: საიდუმლოთასა C (1,1). A და B ხმარობენ სწორ ფორმას: „საიდუმლოთასა“. C საკუთარ სახელში „ესაია“

[1] ამ თავში მოტანილი მასალის გაანალიზება ხდება ძირითადად შემდეგ ფუნდამენტურ გამოკვლევებზე დაყრდნობით: აკაკი შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976; ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ. 1997; მისივე: ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984. A 108-ში ტექსტი ნაკლულია, ამიტომ მაგალითები ამ ნუსხიდან მხოლოდ შესავლიდან და I-III თავებიდან არის მოტანილი.

სწორად წერს „ი-ს“, A კი ხმარობს „ი“-ს: ესაია (19,1).

Ⴎ-სა და ი-ს არასწორი ხმარება არცთუ ხშირი მოვლენაა აღნიშნულ ნუსხებში.

უ-ს დაწერილობის წესი ძველ ქართულში ბერძნულიდან მოდის. ამ რთული დაწერილობის გამო იგი არ შედის გრაფემათა რიგში და არ მოეპოვება რიცხვითი მნიშვნელობა. სწორედ უ-ს რთული დაწერილობა გახდა მიზეზი, რომ IX ს-იდან წერილობით ძეგლებში ხშირია ო-სა და უ-ს ურთიერთშენაცვლება. ამ მოვლენას არავითარი ფონეტიკური საფუძველი არა აქვს. ასეთ შეცდომათა რიგს განეკუთვნება ზემოთ დასახელებულ ნუსხებში დაფიქსირებული შემდეგი შემთხვევები: მოკუდომისა A (12,4); C-ში არის სწორი ფორმა: „მოკუდომისა“. ხურშაკითა A (12,4); C-ში არის სწორი ფორმა: „ხორშაკითა“. დაიბორნეს A (12,4); C-ში ისევ სწორი ფორმაა: „დაიბურნეს“. „დაღაცათომცა“ B, დაღაცათუმცა AC (12,3). და ბოლოს, A ძალიან ხშირად ხმარობს ფორმას „თითუეული“ (3,9; 18,1; 18,5; 3,10; 4,1), თუმცა, ვხედებით სწორ ფორმასაც: თითოეული (18,1). სწორი და არასწორი ფორმა A-ში ერთმანეთისაგან სულ რამდენიმე სტრიქონის დაშორებით იხმარება.

§2. ფონეტიკური მოვლენები

რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია

V-VIII საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით ირკვევა, რომ /ს/: /შ/ პოზიცია ნეიტრალიზაციას განიცდის ნუნისმიერ შიშინა ფონემათა წინ და არქიფონემად /შ/ გვევლინება. ეს პროცესი შედარებით გვიანდელ ძეგლებშიც დასტურდება: ერთმანეთის პარალელურად იხმარება სჯ და შჯ კომპლექსები, ასევე სჭ და შჭ. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს განსახილველ ნუსხებში წარმოდგენილი ტექსტებიდან: A ნუსხა (P3) ძირითადად ხმარობს სჯ კომპლექსს, C (Ath. 39) კი – შჯ-სა და შჭ-ს: სასჯელი – A, საშჯელი C (4,5); სამსჯავროდ A, სამშჯავროდ C (3,10); სჯაი A, შსჯაი C (7,1). ეს უკანასკნელი მაგალითი C-ში კიდევ იმით არის საინტერესო, რომ ერთდროულად არის წარმოდგენილი სჯ კომპლექსი და მასზე დამატებული შინი (შსჯაი). შემსჭუალული A, შემშჭუალული C (4,7; 5,1; 71; 14,1; 15,1); სჭირს A შჭირს C (23,2).

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის მაგალითია A-ში წარმოდგენილი „ღაღატ-უო“ (10,2), რომელიც C-ში ამოსავალი „ღაღად-ყო“ ფორმითაა. როგორც ვხედავთ, თუ სჯ>შჯ, სჭ>შჭ შემთხვევებში A იძლეოდა ამოსავალ ფორმას, დ>ტ შემთხვევაში C-მ წარმოადგინა ის. ამჯერად მკვეთრ ხშულთა წინ დაპირისპირება „მკვეთრი – მყლერი“ იშლება და არქიფონემად მკვეთრი გვევლინება.

რეგრესული დისტანციური ასიმილაცია

ძირეული /შ/ იმსგავსებს პრეფიქსისეულ /ს/-ს: შაშოვალი A (17,2). ეს ერთადერთი შემთხვევაა ამ სამ ნუსხაში „შაშოვალი“ ფორმის ხმარებისა. როგორც წესი, იხმარება ამოსავალი ფორმები: საშუვალი||საშოვალი (7,1; 7,2).

პროგრესული დისტანციური ასიმილაცია

წ-დ > წ-თ
მისწუთეს (11,3). C-ში არის ამოსავალი ფორმა „მისწუდეს“.

დისიმილაცია

ა) დისიმილაცია წარმოების რაგვარობის მიხედვით

კომპლექსი შჩ, რომელიც მიღებულია შჯ-სგან ასიმილაციური დაყრუების შედეგად, დისიმილაციით რჩ მიმდევრობად იქცევა. დისიმილაცია ხდება სპირანტული ელემენტის მიხედვით. ჩვენი თხზულების ტექსტის შემთხვევაში არ დაფიქსირდა ეს შუალედური შჩ კომპლექსიანი ფორმა. გვაქვს მხოლოდ სჯ-სგან მიღებული შჯ კომპლექსიანი „უშჯულოებაჲ“ C და შჩ-სგან მიღებული რჩ კომპლექსიანი „ურჩულოებაჲ“ A (7,2). „უშჯულონი“ C, „ურჩულონი“ A (3,10).

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ B-ში (A 108) ამოსავალი სახით წარმოდგენილი „ეპისკოპოსი“, რომელიც AC-ში „ებისკოპოსი“ ფორმითაა (შესავალი, გვ. 3). ამ შემთხვევაში ხდება დისიმილაციური გამყერება.

ბ) პროგრესული – კონტაქტური დისიმილაცია: ფს>ბს; ფრ>ბრ; ბს> ფს

ამოსავალ ფორმას, ისევე როგორც ხშირად სხვა შემთხვევებში, აქაც C ხმარობს: უფსკრულად C, უბსკრულად A (18,5), უფსკრულისასა C, უბსკრულისასა A (18,1); საფრჭეთა C, საბრჭეთა AB (3,2). ნებსით C, ნეფსით A (4,6).

ბგერათა კარგვა

ვინის კარგვის ყველაზე მეტი შემთხვევა მოდის „პოვა“ ფორმაზე. ძირითადად ამოსავალი, ვინიანი ფორმა, წარმოდგენილია A ნუსხაში (4,1; 12,3; 13,2; 14,4; 11,5; 11,2; 2,1; 2,3; 3,1; 3,9). არის ორიოდე შემთხვევა, როდესაც სურათი იცვლება: იპოვების C, იპოების A (12,3); ჰპოვებს C, ჰპოებს A (6,2). ზმნის ფორმებში კიდევ ერთხელ გეხვდება ვინიანი და მის გარეშე ფორმა: ისწავოს B, ისწაოს AC (შესავალი, გვ. 112,76). დანარჩენი შემთხვევები ვინის კარგვისა მოდის სახელებზე: საშუვალი A, საშუალი C (7,2); შუვამდგომელობითა A, შუამდგომელო-

ბითა BC (2,3); შუაკედელი A, შუაკედელი C (21,1); ტყუვილი AB, ტყუილი C (3,4). აქაც სამიოდე შემთხვევაა, როდესაც ვინი წარმოდგენილია C ნუსხაში: ტყუვილსა C, ტყუილსა A (4,6); გლოვისა C, გლოისა A (14,2); დასაწუველად C, დასაწუელად" A (21,1).

სადმე > სამე (დონის კარგვა)
ამოსავალი ფორმა „სადმე" არის C-ში, „სამე" – A-ში (10,2).

რ-ს კარგვა
დადგრომაი C, დადგომაი A (18,4).

ვლტ > ლტ
ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ამ კომპლექსში შემჩნეულია ლ-ს კარგვა; ამ ფუძისათვის არც ვინის კარგვა არის უცხო: „ივლტოდის რაი" C, „ილტოდის რაი" A (17,2).

ჩნს კომპლექსის გამარტივება დისიმილაციური კარგვის ნიადაგზე: უჩნს A (4,4); ძნელ-მიჩნს C, ძნელ-მიჩს A (11,2).

ბგერათა განვითარება

დავადასტურეთ რამდენიმე შემთხვევა ვინის განვითარებისა: ცრუეი A, ცრუ C, (10,2); ამავე ქვეთავში A ნუსხა C-ს მსგავსად ხმარობს „ცრუ" ფორმას: ცრუ C, ცრუი A (10,2). სარგებელ-მეყოფვოდა C, სარგებელ-მეყოფოდა AB (3,1). უვაღრესიცა C, უაღრესიცა A (12,1).

მეტათეზისი

ძარცუ > ძუარც
აღძარცუად A, აღძურცად C (13,1). ტექსტის ამავე ქვეთავში მეორდება მეტათეზისის ეს შემთხვევა: აღძარცუვად A, აღძურცად C (13,1).

ბგერათა მონაცვლეობა

ე > ა: მარჯუენესა C, მარჯუენასა A (18,3).
ო > ვ: რაოდენნი C, რავდენნი A (3,1).
ვ > უ: იყვნიან B, იყუნიან AC (3,10). უდებ-ვყვნეთ C, უდებ-ვყუნეთ A (4,7).

ზემოთ წარმოვადგინეთ ორთოგრაფიულ-ფონეტიკური მოვლენების პარალელური ხმარების თითქმის ყველა შემთხვევა. როგორც ვხედავთ, ამ ნუსხებში აისახება ის პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ XI-XII სს-ეებში ცოცხალ მეტყველებაში, ანუ ის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური ცვლილებები, რომლებიც ენაში ხდებოდა და განაპირობებდა სამწერლობო ენის თანდათანობით ცვლას. ამასთან, საკმაოდ ძნელი სათქმე-

ლია, ამ ნუსხათაგან[1] რომელი მეტად იცავს სამწერლობო ტრადიციას და რომელი – ნაკლებად: სურათი ჭრელია: თუ ერთ შემთხვევაში Ath. 39 გვაწვდის ამოსავალ ფორმას, სხვა შემთხვევაში ამას P3 აკეთებს. ფონეტიკური პროცესის შედეგად შეცვლილი ფორმები ჩამოტანილი გვაქვს გამოსაცემად მომზადებული ტექსტის ვარიანტულ წაკითხვებში, ხოლო ამოსაეალი ფორმა დატოვებულია ძირითად ტექსტში.

§3. ზოგი მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენა

P3-ისა და Ath. 39-ის ენობრივი თვალსაზრისით განსხვავებული წაკითხვები, როგორც წესი, ასახავს ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ოდითგანვე არსებულ პარალელურ ფორმებს: ძნელი გასარკვევია, თუ როდის ჩაეყარა მათ საფუძველი ამიტომ არ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს ენობრივად განსხვავებული ფორმები შედეგია ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ცვლილებებისა, როგორც ეს გავაკეთეთ ფონეტიკური ცვლილებების კლასიფიკაციისას.

ა) I სერიაში პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნის ხმარება

პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშანი ზმნას I სერიაში III პირში ძველ ქართულში შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს, ამდენად, დასაშვებია ორგვარი ფორმის არსებობა. ეს მდგომარეობა აისახა A და C ნუსხებში, ძირითადად „ხედვა“ ზმნასთან დაკავშირებით: C ნუსხა, როგორც წესი, წარმოადგენს ამ ნიშანს, ხოლო A-ში ის არ არის[2] (3,3; 4,8; 11,1; 12,3). პირდაპირ ობიექტური პირის „ჰაე“ C ნუსხაში იქაც არის, სადაც „ხედვა“ ზმნას დაკარგული აქვს პირდ. ობიექტური პირი („იმზირება“ მნიშვნელობით ხმარებისას), მაგრამ ამ დაკარგული პირის ნიშანი ინერციით იხმარება: „რომელნი... სათნოებისა მიმართ ჰხედვენ“ C (2,1); „რაჟამს ყოველნივე კეთილისა მიმართ ჰხედვიდენ“ C (12,3).

ბ) წრფელობითი და სახელობითი ბრუნვების პარალელური ხმარება

ეს პროცესი ძველი ქართული ენის სამწერლობო ძეგლებში უძვე-

[1] A 108-ში (B) ტექსტი მალე წყდება: III თავის მე-10 ქვეთავის შუაში, ამიტომ ძირითადად P3-ისა (A) და Ath 39-ის (C) მასალას ვიმოწმებთ.

[2] A ნუსხა ამ მხრივ ბოლომდე თანმიმდევრული არ არის: ზოგჯერ წარმოდგენილია ზმნა პირდ. ობ. პირის ნიშნით I სერიაში.

ლესი დროიდან შეიმჩნევა. ზ. სარჯველაძე წრფელობით ბრუნვას, როგორც უნიშნო სახელობითს, ისე განიხილავს თავის ნაშრომში[1]. ასე რომ, არანაირი მოულოდნელობა არ არის, რომ A და C ნუსხებშიც სახ. ბრუნვის ჲ ხან იხმარება, ხან – არა, ანუ სახელი ხან წრფელობითი, ხან სახელობითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. მოვიტანთ მხოლოდ ისეთ მაგალითებს, სადაც ჲ-ს ხმარება ან არხმარება არღვევს შეთანხმებას სინტაქსურ წყვილს შორის[2]: ...გულისჴმის-ყოფაჲ ...ქალწულებისათაჲ BC, ...ქალწულებისათა A (3,1), ...ჭეშმარიტებაჲ სიტყჳსაჲ ამის BC, ...სიტყჳსა ამის A (3,1); ...სხუაჲ არარაჲ არს C, ...სხუა... A (13,1); ...უჴორცოჲსა მის ბუნებისა B, ...ბუნებისაჲ AC (2,2).

ძველ ქართულ სამწერლობო ენაში არის კიდევ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პარალელური ფორმების ხმარება დასაშვებია. ამ შემთხვევათაგან, ზემოთ აღნიშნულის გარდა, განსახილველ ნუსხებში დადასტურდა შემდეგი:

ობიექტის მრავლობითობა ზმნაში ხან აისახება, ხან – არა:

„სასოებაჲ და მოთმინებაჲ ...კუერთხისა წილ იჴმაროს A, ...იჴმარნის C (18,3). A-ში არ აისახა ორი ობიექტის არსებობა, C-ში – აისახა.

...სიმჴნე და ახოვნება უჴმს, რაჲთა საჭურველისა წილ ჴელთა აქუნდეს A ...აქუნდენ C (18,3). ამ შემთხვევაშიც C-ში ასახულია ობიექტის მრავლობითობა, A-ში – არა. ორსაე შემთხვევაში შესწორება გაკეთებულია Ath. 39-ის (C) შემდეგდროინდელი რედაქტირებისას.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ხშირია აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის შენაცვლება. ეს აისახა A და C ნუსხებშიც: „არარას გარეგან ჭეშმარიტებისა იტყჳნ“ A, „...იტყჳნ“ C (20,1).

ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში არ არის იშვიათი II კავშირებითისა და II ხოლმეობითის პარალელური ხმარება. ჩვენც დავადასტურეთ ასეთი შემთხვევა: „..გჳანთა მათ ასწრაფობნ, ვიდრემდის ყოველნი შეასწორნეს სირბილითა“ A, ...შეასწორნის C (22,2).

ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი C ნუსხის გადაწერის შემდეგ მის რედაქტირებაზე, რაც, ვფიქრობთ, უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური ძეგლის თარგმანის ორიგინალთან მიმართების თვალსაზრისით. აღვნიშნავთ, რომ ძირითად ტექსტში მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რიგ შემთხვევაში შეგვეტანა გიორგი მთაწმიდლისეული სწორებები როგორც ძველი ქართული ენის კლასიკური ნორმების მიხედვით უფრო სწორი ფორმები.

---

[1] ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ. 1997, გვ. 25.

[2] ასეთ შემთხვევაში ძირითად ტექსტში წარმოდგენილია ჲ-იანი ფორმა.

თავი IV

წმიდა გრიგოლ ნოსელის შრომის – „ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა“ – ეფთვიმესეული თარგმანი

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობითი მეთოდი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ზედმიწევნით და სრულყოფილად არის შესწავლილი. საზოგადოდ ცნობილია, რომ მისთვის დამახასიათებელია შემოქმედებითი მიდგომა სათარგმნი ტექსტისადმი, სახელდობრ, ბერძნული ენის ღრმა ცოდნა და სულიწმიდისეული განბრძნობილობა ეფთვიმეს საშუალებას აძლევდა განევრცო ან შეემოკლებინა ორიგინალი, საჭიროების შემთხვევაში „გაექართულებინა“ და თავისუფალი თარგმანით გადმოეღო ის, რაც რთული აღსაქმელი შეიძლებოდა ყოფილიყო ქართველი მკითხველისათვის[1]. ამგვარიევე სურათს ვხედავთ წინამდებარე ძეგლთან დაკავშირებით.

საგანგებოდ გვსურს კიდევ ერთხელ იმის აღნიშვნა, რომ დასახელებული ნაშრომი, რომელიც წმ. გრიგოლ ნოსელს ეკუთვნის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასკეტური თხზულებაა; მოსალოდნელი იყო, რომ ეფთვიმე ათონელისეულ პრინციპებს თარგმანთან დაკავშირებით ამ ძეგლში კიდევ უფრო მეტად ეჩინა თავი, რადგან დოგმატური ძეგლებისაგან განსხვავებით, ეს შრომა მთარგმნელს გაცილებით მეტ თავისუფლებას აძლევდა, რითაც ათონის მთაზე მოღვაწე წმიდა მამა და დიდი ღვთისმეტყველი აუცილებლად ისარგებლებდა.

ეფთვიმე ათონელისეული თავისუფალი თარგმანის მეთოდი განსახილველი თხზულების თითქმის ყოველ წინადადებაში გარკვეული მოც-

---

[1] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ.: კ. კეკელიძე, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, ეტიუდები, ტ. II, თბ., 1945, 237-268;

კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები, ტ. I, თბ., 1956, 183-197;

კ. კეკელიძე,უცხო აეტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები,V,1957,5-114.

რ. მიმინოშვილი, ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი ხერხები, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, თბ., 1963.

ც. ჭურციკიძე, ისევ ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ, „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, VI, თბ., 1978, 24-34.

ე. რაფავა, აეტორისა და მთარგმნელის უფლებათა გაგებისათვის (გრიგოლ ნაზიანზელის რამდენიმე ჰომილიის ეფთვიმე მთაწმიდლისა და ეფრემ მცირის თარგმანების მიხედვით), „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XVI, თბ., 1991, 20-27.

თ. ჭყონია, ეფთვიმე ათონელის ნათარგმნი „წინამძღვარი“ და მისი ბერძნული წყაროები (ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში).

ნ. მელიქიშვილი, რამდენიმე დაკვირვება ეფთვიმე ათონელისა და ეფრემ მცირის მთარგმნელობით მეთოდზე, „მაცნე“, ელს, №4, 1987, 119-128.

ულობით ირენს თავს, ამიტომ შეუძლებელია უკლებლივ ყველა ნიმუშის წარმოდგენა, თუმცა თუნდაც ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითებიც კი მთელი სისავსით ცხადყოფს მთარგმნელის, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის, შემოქმედებით თანამონაწილეობას ორიგინალის ავტორთან, წმ. გრიგოლ ნოსელთან.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ განსახილველი თარგმანი არის უმწვერვალესი მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთი ნიმუშთაგანი. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მისთვის დამახასიათებელი სულიწმიდისეული განბრძნობილობით არსობრივად წვდება წმ. გრიგოლ ნოსელის უაღრესად სიღრმისეულ სწავლებას ქალწულებითი ცხოვრების შესახებ.

დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე ორიგინალის ტექსტის გამარტივების, განმარტებისა და სტილური ლაკონურობის მიზნით არაიშვიათად მიმართავს კლების, მატებისა და თავისუფალი თარგმანის მეთოდს. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში, სახეზეა ფორმობრივი სხვაობა თარგმანსა და ორიგინალს შორის, მაგრამ ეკლესიის დიდი მამისა და მასწავლებლის, ნისის ეპისკოპოსის, წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების უმთავრესი აზრი და შინაარსი, რაც ქალწულებითი ღვაწლის, ანუ სამონაზვნო ცხოვრების უდიდესი მადლის წარმოჩენას უკავშირდება, არსობრივად ზედმიწევნით არის შენარჩუნებული. აღვნიშნავთ, რომ მთარგმნელის ყოველი ამგვარი ჩარევა ორიგინალის ტექსტში მხოლოდ ერთი მიზნით არის განპირობებული: მკითხველს გაუადვილოს ამ უმნიშვნელოვანესი ასკეტური ძეგლის შემეცნება. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დიდი კაბადოკიელი მოძღვრის ასკეტურ ძეგლს შეუნარჩუნოს ფილოსოფიური აზროვნების სიმწყობრეცა და მაღალი სულიერებაც. მარგმნელი გავრცობას ერთი ან ორი სიტყვით როდი ცდილობს, არამედ ხშირად მიმართავს საკმაო მოცულობის მატებებს, რაც მიზნად ისახავს ორიგინალის ტექსტში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას, კონტექსტის განმარტებითად თარგმნას, ბერძნული ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის გაღრმავებას მასში საღვთისმეტყველო სწავლებათა ჩართვის გზით.

ამგვარად, ეფთვიმე მთაწმიდელისეული თავისუფალი თარგმნის მეთოდი გულისხმობს გავრცობასაც და კლებასაც: ეს სხვადასხვაგვარი სახით ვლინდება, თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მთარგმნელი თითქმის არასოდეს ცვლის დედნისეულ აზრს. თარგმანში ნათლად ვლინდება წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის პიროვნული დამოკიდებულებაც იმ უმნიშვნელოვანესი სწავლებისადმი, რომელსაც წმ. გროგოლ ნოსელი სიღრმისეულად და სისტემურად გადმოგვცემს. შეიძლება ითქვას, რომ ეფთვიმე ძეგლის ავტორთან ერთად ერთგვარ გზამკვლევადაც კი გვევლინება იმის შესამეცნებლად, თუ რამდენად აღმატებული ღვაწლია ჭეშმარიტად ქალწულებითი, ანუ სამონაზვნო ცხოვრება, რაც უცილობლად გულისხმობს საღმრთო მოქალაქობას.

§1. ტექსტის გავრცობა

ტექსტის გავრცობა არაერთ შემთხვევაში საკმაოდ განსხვავებული სახით ვლინდება, რაც გულისხმობს სიტყვათა შენაცვლებას, ჩართულ მსჯელობას, თხზულების ავტორთან ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას და განმარტებითად გადმოცემას; ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ არა მხოლოდ ბიზანტიელი ღვთისმეტყველის, არამედ, საკუთრივ, მთარგმნელის დამოკიდებულებას ქალწულებითი, ანუ ასკეტური ცხოვრების წესისა და რაობის შესახებ.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს, რომელიც ყრმობიდანვე მონასტერში აღიზარდა, უდიდესი გამოცდილება ჰქონდა ქალწულებითი, ანუ სამონაზვნო ცხოვრებისა. მისთვის, ბუნებრივია, მთელი სისავსით არის საწვდომი იმ სწავლების განსაკუთრებული მნიშვნელობა და სულიერი სიმაღლე, რის შესახებაც წერდა მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მისტიკოსი მოძღვარი და მასწავლებელი, წმ. გრიგოლ ნოსელი. ბერმონაზვნური ცხოვრების გამოცდილება, ასკეტური ღვაწლით მოპოვებული სიწმიდე, სულიერება, საქართველოს ეკლესიის მნათობს, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს, საშუალებას აძლევდა ჩასწვდომოდა ქალწულებითი ცხოვრების არსებითი საკითხების უღრმეს შრეებს და შინაარსობრივი სიზუსტით გადმოეცა ნისის ეპისკოპოსის ნაფიქრ-ნააზრევი. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არაიშვიათად მიმართავს ტექსტის გავრცობას დამატებითი ნიმუშების მოხმობით, რაც მიზნად ისახავს ორიგინალში ნაგულისხმევი აზრის წარმოჩენას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქალწულებითი, ანუ სამონაზენო ღვაწლი. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის ამაღლებული გონებისა და განწმედილი თვალისათვის უხილავი, არამატერიალური, სულიერი სამყარო ჭეშმარიტად ცხადქმნილია და, შეიძლება ითქვას, ის თავადაც მოუკლებელად განიცდის იმ უხრწნად მშვენიერებას, რაც მხოლოდ ღმერთთან სიახლოვით, ქალწულებითა და სათნოებითი ცხოვრებით არის შესაძლებელი. სწორედ ამგვარი ღვაწლისკენ წინამძღვრობს წმ. გრიგოლ ნოსელი მკითხველს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უაღრესად სიღრმისეული და სულიერი სწავლებით.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს მხოლოდ ღვთის მადლით, სულიწმიდისეული განბრძნობილობით შეეძლო ისე ეთარგმნა კაბადოკიელი მოძღვრის უმნიშვნელოვანესი ასკეტური ძეგლი, რომ არც დედანს დასცილებოდა და არც სიტყვასიტყვით გადმოეღო ყოველი წინადადება ქართული ენის ბუნების გაუთვალისწინებლად, რათა ხელოვნური და ძნელად აღსაქმელი არ ყოფილიყო იგი მკითხველისთვის.

უპირველესად ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ შემთხვევებზე, რომლებშიც ორიგინალის ტექსტის ეფთვიმესეული გავრცობა განსაკუთრებით იჩენს თავს და, შეძლებისდაგვარად, განემარტავთ, თუ რით შეიძლება იყოს განპირობებული მთარგმნელის ჩარევა დედნისეულ ტექსტში.

გავრცობა-კლებისა და თავისუფალი თარგმანის შემთხვევების ცალცალკე აღნუსხვა პირობით ხასიათს ატარებს, რამდენადაც თარგმანში, ერთსა და იმავე კონტექსტში, არაიშვიათად გვაქვს ერთდროული გავრცობა, კლება და თავისუფალი თარგმანი. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, საჭიროდ მივიჩნიეთ, შეძლებისდაგვარად გამოგვეყო ერთმანეთისაგან ეს შემთხვევები და მოგვეტანა სათანადო ნიმუშები, რათა ფაქტობრივი სიცხადე შეიძინოს ორიგინალთან ქართული ტექსტის მიმართების შესახებ ზემოგამოთქმულმა წინასწარმა დაკვირვებებმა.

ეფთვიმესეული გავრცობის მეთოდი სხვადასხვა სახით ვლინდება, მათ შორის, სიტყვათა ერთდროული დამატებითა და ამა თუ იმ სიტყვის სინონიმური ჩანაცვლებით.

Ὁ μὲν σκοπὸς τοῦ λόγου ἐστὶν ἐπιθυμίαν τῆς κατ' ἀρετὴν ζωῆς τοῖς ἐντυγχάνουσιν ἐμποιῆσαι· πολλῶν δὲ τῶ κοινοτέρῳ βίῳ, καθὼς ὠνόμασεν ὁ θεῖος ἀπόστολος, τῶν περισπασμῶν ἐγκειμένων ἀναγκαίως ὁ λόγος ὥσπερ τινὰ θύραν καὶ εἴσοδον τῆς σεμνοτέρας διαγωγῆς τὸν τῆς παρθενίας ὑποτίθεται βίον (246,1-6).

„პირი სიტყჳსა ამის ჩუენისაჲ, ჲ საყუარელნო, ესე არს, რაჲთა სურვილი სათნოჲსა ცხორებისაჲ შთაუგდოთ გულსა მკითხველთასა. და ვინაჲთგან მოქალაქობასა მას შინა სოფლისასა, ვითარცა წმიდაჲ მოციქული იტყჳს, მრავალნი ამბოხებანი და უცალოებანი არიან, ამისთჳს წიგნსა ამას შინა ჩუენსა, ვითარცა კარი და შესავალი პატიოსნისა ცხორებისაჲ და საღმრთოჲსა მოქალაქობისაჲ, პირველად ქალწულებაჲ დავაწესეთ“ (115,1-7).[1]

დამოწმებულ კონტექსტში მთარგმნელისეული შენამატია „ჰოჲ საყუარელნო“, ისევე როგორც „გულსა“; რაც შეეხება ორიგინალის შესიტყვებას – τῶ κοινοτέρῳ βίῳ („საზოგადო ცხოვრება“), იგი ეფთვიმეს მიერ გადმოლებულია თავისუფალი თარგმანის მეთოდით: „მოქალაქობასა მას შინა სოფლისასა“. ამავე კონტექსტში ეფთვიმე ბერძნულ ტერმინს – ὁ θεῖος („საღმრთო“) – თარგმნის განსხვავებული ლექსიკური მონაცემით „წმიდაჲ“. ასევე მთარგმნელისეული შენამატია შემდეგი ფრაზებიც: „წიგნსა ამას შინა ჩუენსა“[2], „საღმრთოჲსა მოქალაქობისაჲ“, „პირველად“, რაც მიზნად ისახავს კონტექსტის განმარტებითად გადმოცემას. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს დაკონკრეტებას, დაზუსტებას, რათა მკითხველს გაუადვილოს დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის წვდომა.

---

[1] დაწყებული ამ ადგილიდან, მოტანილ მაგალითებთან ვუთითებთ ჩვენ მიერ გამოცემული ტექსტის გვერდსა და სტრიქონს. ქვემოთ, ყველგან, ვიმოწმებთ ეფთვიმესეულ ტექსტს და არა გიორგი მთაწმიდელისეულ ჩარევებს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ძირითად ტექსტში გვაქვს ატანილი.

[2] შდრ. ბერძნ. λόγος („სიტყვა“).

დავიმოწმებთ სხეა ნიმუშსაც:

Ἡ δὲ ἀκολουθία τῶν νοημάτων ἐστὶν αὕτη· (252,1).

„ხოლო შენ, იკითხვიდე რაჲ, ძალი ესევითარი ჰპოვო სიტყუათა ამათ შინა“ (116,2,27-28).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს გავრცობის მეთოდით გადმოაქვს ზემოაღნიშნული წინადადება, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „ხოლო მსჯელობათა [აზრთა] თანმიმდევრობა არის ეს“[1*]

ვფიქრობთ, რომ ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად ისახავს წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის გამკვეთრებას, რის შედეგადაც, მართალია, სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა დედნისეულ ტექსტსა და თარგმანს შორის, მაგრამ წინადადების აზრი და შინაარსი სრულად არის შენარჩუნებული.

წმ. გრიგოლ ნოსელს ნაშრომის შესავალ ნაწილში მოცემული აქვს ცალკეული თავების დასათაურებანი, რათა მკითხველისთვის წინდაწინვე ცხადი გახადოს თითოეული თავის მიზანდასახულობა და შინაარსი. ამგვარი დასათაურებანი დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში იოლად მოძებნოს შესაბამისი სწავლებანი ქალწულებითი, ანუ ასკეტური ღვაწლის შესახებ, რაც თანმიმდევრული განხილვის წესით, ანუ სისტემური მოძღვრების სახით, სიღრმისეულად არის გადმოცემული დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ.

თავების სათაურთა ეფთვიმესეული თარგმანი არაიშვიათად მცირედით სხვაობს ორიგინალისაგან, რაც შედეგია მისთვის დამახასიათებელი მთარგმნელობითი მეთოდისა.

დავიმოწმებთ სათანადო ნიმუშს:

Οτι ἴδιον τῆς θείας τε καὶ ἀσωμάτου φύσεως κατόρθωμά ἐστιν ἡ παρθενία (252,3).

„და მერმე, ვითარმედ თჳსი არს წმიდისა მის და უჯორცოჲსა ბუნებისა ქალწულებაჲ“ (117,31-32).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, ერთი მხრივ, განაერცობს ორიგინალს – „და მერმე, ვითარმედ“, რითაც ხაზს უსვამს აზრობრივ კავშირს წინა მუხლებთან, ხოლო მეორე მხრივ, კლებასაც მიმართავს, როდესაც არ თარგმნის ბერძნულ κατόρθωμα-ს („წარმატება“)[2*]. იქვე, ორიგინალის θείας (საღმრთოჲსა) გადმოაქვს განსხვავებული ლექსიკური მონაცემით, კერძოდ, „წმიდისა“, რის შედეგადაც, მართალია, აშკარაა ტერმი-

[1*] აქ და ქვემოთ ყველგან ბერძნული ტექსტის ეფთვიმეს მიერ შეცვლილ ან გამოტოვებულ ჩვენეულ სიტყვასიტყვით თარგმანში, საჭიროების შემთხვევაში, ეხსნით კვადრატულ ფრჩხილს და ვსვამთ მასში სიტყვას, რომელიც აადვილებს თარგმანის გაგებას.

[2*] აქ და ქვემოთ ყველგან ეფთვიმეს მიერ გამოტოვებული ან შეცვლილი ბერძნული ტექსტის ჩვენეული თარგმანი ჩასმული გვაქვს ფრჩხილებში და მის შიგნით – ბრჭყალებში.

ნოლოგიური ცვლილება, თუმცა შინაარსი შენარჩუნებულია.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიტანთ წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების სიტყვასიტყვით თარგმანს: „საღმრთო და უხორცო ბუნებისათვის ნიშანდობლივი წარმატებაა ქალწულება“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Μνήμη τῶν ἐκ τοῦ γάμου δυσχερῶν καὶ ἔνδειξις τοῦ τὸν γεγραφότα τὸν λόγον μὴ ἄγαμον εἶναι (252,5).

„და შემდგომად ამისა იპოვოს ჴსენებაჲ ძნელოვანებისა მის, რომელი აქუს ქორწინებასა; და ვითარმედ მეტყუელი ამათ სიტყუათაცა შთავარდა ოდესმე საკრველთა მათ შინა“ (117,33-35).

წმ. ეფთიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობის მეთოდს, რაც შემდეგი სიტყვების შემატებას გულისხმობს: „და შემდგომად ამისა იპოვოს“. იქვე ორგინალის ფრაზა: καὶ ἔνδειξις τοῦ τὸν γεγραφότα τὸν λόγον μὴ ἄγαμον εἶναι („წარმოჩინება იმისა, რომ ამ სიტყვის (მოძღვრების) დამწერი უქორწინებელი არ იყო“) — გადმოაქვს განსხვავებულად: „და ვითარმედ მეტყუელი ამათ სიტყუათაცა შთავარდა ოდესმე საკრველთა მათ შინა“, რის შედეგადაც, მართალია, სახეზეა ფორმობრივი სხვაობა დედნისეულ ტექსტსა და თარგმანს შორის, თუმცა წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვების ძირითადი აზრი შენარჩუნებულია.

ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას იმის ნათელსაყოფად, რომ ქორწინება, რომელიც ღვთის მიერ არის ნაკურთხი, ამავე დროს, შესაძლოა, ერთგვარ საკრველად, ანუ ბორკილად წარმოჩნდეს მათთვის, რომლებიც ასკეტურ ღვაწლს ეშურებიან. საეკლესიო სწავლების მიხედვით აშკარაა, რომ ქალწულებითი ასკეზისის მადლი ბევრად აღემატება ქორწინებულთა მოღვაწეობას. კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეში წმ. პავლე მოციქული წერს: „...უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა, ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ცოლსა... უქორწინებელი იგი ზრუნავს უფლისასა, რაჲთა იყოს წმიდა ჴორცითაცა და სულითაცა, ხოლო ქორწინებული ზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს ქმარსა... და რომელმან იქორწინოს თჳსი იგი ქალწულებაჲ, კეთილად ჰყოფს, ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს“ (7,32-38).[1]

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οτι δύσκολόν ἐστι τοῦ σκοποῦ τυχεῖν τὸν εἰς πολλὰ τῇ ψυχῇ μεριζόμενον (252,15).

„და მერმე, ვითარმედ ძნიად მოიგოს საწადელი იგი ცხორებაჲ, რომ-

[1] პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები... გვ. 116-118.

ლისა სული მრავალთა შინა საქმეთა გაბნეულ იყოს“ (117,44-45).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობას, როდესაც ორიგინალის τοῦ σκοποῦ („მიზანი“) გადმოაქვს როგორც „საწადელი იგი ცხორებაჲ“, რაც განპირობებული უნდა იყოს აღნიშნული სიტყვის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებისა და დაკონკრეტების მიზნით, კერძოდ, იმაზე მითითებით, რომ მოცემულ კონტექსტში „მიზანი“ გულისხმობს ქალწულებით, ანუ ასკეტურ ღვაწლს, რასაც განსაკუთრებული ღირსება და მადლი აქვს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οτι τὸ ὀπωσοῦν ἔξω γενέσθαι τῆς ἀρετῆς ἴσον κίνδυνον ἔχει (254,29).

„და ვითარმედ უკუეთუ მცირედცა ვინ გარეგან სათნოებისა საზღვართა განვიდეს, სასჯელსა ქუეშე არს“ (117,59-60).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, როდესაც ორიგინალის სიტყვები – κίνδυνον ἔχει („საფრთხე აქვს“) – გადმოაქვს შემდეგნაირად: „სასჯელსა ქუეშე არს“. დედნისეულ ტექსტში ამგვარი ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამკვეთრებასა და განმარტებითად თარგმნას, კერძოდ, იმაზე მითითებას, რომ სათნოებით საზღვრებს მიღმა მცირედით გასვლაც კი გარდაუვალ სასჯელს გულისხმობს. აშკარაა, რომ მიუხედავად გარკვეული ფორმობრივი სხვაობისა ორიგინალის ტექსტსა და თარგმანს შორის, დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწავლების ძირითადი აზრი სრულად არის შენარჩუნებული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οτι χρὴ τὸν τὴν ἀκρίβειαν του βίου τούτου μαθειν βουλόμενον παρὰ τοῦ κατορθώσαντος διδάσκεσθαι (254,44-55).

„და მერმე ესე ჰპოვო, ვითარმედ უჴმს, რაჲთა რომელი კეთილად ისწავლიდეს ცხორებასა ამას, მისგან ისწაოს, რომელსა წარემართოს იგი“ (118,75-77).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, რამდენადაც სიტყვები: „და მერმე ესე ჰპოვო“, მთარგმნელისეული შენამატია. აღნიშნული მატება მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის ქვეთავებს შორის აზრობრივი კავშირის წარმოჩენას. ამავე კონტექსტში ბერძნული სიტყვა τὴν ἀκρίβειαν („ზედმიწევნითობა“, „სიზუსტე“) ეფთვიმეს გადმოაქვს მკითხველისათვის უფრო მარტივად გასაგები ლექსიკური ერთეულით – „კეთილად“. მეტი სიცხადისათვის მოვიტანთ ორიგინალის ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს: „რომ ჰმართებს ამ ცხოერების ზედმიწევნითობის სწავლის მსურველს განისწავლოს წარმატებულისაგან“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εἰ γὰρ τὸ κατόρθωμα τῆς σεμνῆς ταύτης παρθενίας ἐστὶ τὸ *ἄμωμόν* τινα γενέσθαι καὶ ἅγιον - ταῦτα δὲ τὰ ὀνόματα κυρίως καὶ πρώτως εἰς δόξαν παραλαμβάνεται τοῦ ἀφθάρτου θεοῦ (256,16-19).

„რამეთუ უკუეთუ საქმე ქალწულებისაჲ ესე არს, რომელ მომგებელ-

სა მისსა «წმიდა და უბიწო» ჰყოფს, ხოლო ესე სახელნი ბუნებით და ჭეშმარიტებით სადიდებელნი არიან დამბადებელისა ღმრთისანი. რამეთუ რაჟამს ვადიდებდეთ მას, «წმიდა და უბიწო» ვხადით. და ვინაჲთგან სახელნი[1], რომელნი ღმერთსა ეწოდებიან, ქალწულებაჲ კაცთა, მოქმედთა მისთა, მიანიჭებს" (119,18-23).

ეფთვიმესეული გავრცობის კვალი აღნიშნულ კონტექსტში უფრო დიდი მოცულობით ვლინდება, რამდენადაც ბერძნულ ტექსტში არ დასტურდება ციტირებული ქართული თარგმანის ბოლო ნაწილი: „რამეთუ რაჟამს ვადიდებდეთ მას, «წმიდა და უბიწო» ვხადით. და ვინაჲთგან სახელნი, რომელნი ღმერთსა ეწოდებიან, ქალწულებაჲ კაცთა, მოქმედთა მისთა, მიანიჭებს...".

ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის განმარტებითად თარგმნას – ქალწულებითი ღვაწლის უდიდეს მადლთან დაკავშირებით, ერთი მხრივ, ციტირებულია წმ. პაულე მოციქულის სიტყვები (ეფ. 5,27), ხოლო მეორე მხრივ, მოცემულია საკუთრივ წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლება: „რამეთუ უკუეთუ საქმე ქალწულებისაჲ ესე არს, რომელ მომგებელსა მისსა «წმიდა და უბიწო» ჰყოფს, ხოლო ესე სახელნი ბუნებით და ჭეშმარიტებით სადიდებელნი არიან დამბადებელისა ღმრთისანი". სწორედ აღნიშნული მონაკვეთის შემდგომ გვაქვს თარგმანში ზემოხსენებული ჩანართი, რაც გულისხმობს დაკონკრეტებასა და იმის ხაზგასმას, რომ ღვთისადმი განკუთვნილი სიტყვები: „წმიდა და უბიწო", ითქმის ასკეტურ ღვაწლში მყოფთა მიმართაც, რომელთაც ქალწულებითი, ანუ სამონაზვნო მოსაგრეობა იტვირთეს და სიწმიდითა და უბიწოებით ღმერთს მიემსგავსნენ.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Μηδεὶς δὲ τοὺς κομπωδεστέρους παρ' ἡμῶν ἐπιζητείτω τῶν λόγων· ἔστι μὲν γὰρ οὐδὲ βουλομένοις ἡμῖν ἴσως δυνατὸν τὸ τοιοῦτον, ἀμελετήτοις οὐσι τῆς τοιαύτης λέξεως· ει δὲ καὶ παρῆν τοῦ κομπάζειν ἡ δύναμις, ουκ ἂν τοῦ κοινῆ λυσιτελοῦντος τὸ ἐν ὀλίγοις ευδοκιμῆσαι προετιμήσαμεν (270,17 – 272,22).

„ნუმცა ვინ ეძიებს ჩუენგან საფილაფოზოთა და ძნელოვნებითა დაბხზნულთა სიტყუათა, რამეთუ ნუუკუე დაღაცათუმცა გჳნდა, ვერვემცა უძლეთ ესევითარი საქმე, რომელნი-ესე უსწავლელ ვართ ესევითართა სიტყუათა. გარნა დაღაცათუმცა ძალ-გუეძდა, არამცა დაუტეევეთ ყოველთა სარგებელად თქუმაჲ და მცირეთა ვიეთმემცა სათნოყოფად ვისწრაფეთ" (122,3,14-18).

[1] ძველი ქართული ენის ნორმებით, უნდა იყოს „სახელთა". მსგავსი შემთხვევა წმ. გიორგი მთაწმიდელს, ეფთვიმესეული თარგმანის რედაქტირებისას, სხვა ადგილას გასწორებული აქვს (გვ. 121,2,8-9). ამ საკითხის შესახებ იხ. ჩვენი კომენტარი: სჭოლიო №1, გვ. 68.

ორიგინალში გვაქვს τοὺς κομπωδεστέρους. ეს არის შედარებითი ხარისხი სიტყვისა κομπώδης, რაც ნიშნავს „მკვეხარას“, „ტრაბახას“, ასევე – „მჭევრს“. ეფთვიმე გავრცობილად თარგმნის აღნიშნულ სიტყვას და უმატებს „საფილაფოზოთა“-ს, რაც წმ. გრიგოლ ნოსელთან არ დასტურდება. ცნობილია, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი „ფილაფოზს“ უწოდებს წარმართ ფილოსოფოსს, ანუ იმას, ვინც საეკლესიო სიბრძნის, ღვთის უცვალებელი რჯულისა და მოძღვრების გარეთ იმყოფება. „ფილაფოზი“ ეფთვიმესთან განმაქიქებელი სიტყვაა და ტერმინი „საფილაფოზოც“ ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს გამოყენებული მის მიერ.

ფრაზაში: „ძნელოვნებითა დათხზნულთა სიტყუათა“ – ეფთვიმე უნდა გულისხმობდეს ანტიკური მჭევრმეტყველებისათვის დამახასიათებელ სიტყვათა კეთილშეწყობილებას, ანუ მაღალფარდოვანებას, რაც მიზნად ისახავდა მსმენელზე (მკითხველზე) ემოციურ ზემოქმედებას. მეორე მხრივ, ეს შესიტყვება კარგად წარმოაჩენს რთული სინტაქსური წყობის მქონე ანტიკური მჭევრმეტყველებისათვის დამახასიათებელ ვრცელ ფილოსოფიურ განსჯებს.

დიდი კაბადოკიელი მოღვაწე ავითარებს იმ აზრს, რომ მისთვის თვითმიზნური არ არის მაღალფარდოვანი მეტყველება, არამედ ამჯობინებს თუნდაც მოკლე სიტყვით არგოს მკითხველს, ვიდრე საერთოდ არ ჰქონდეს სარგებლობა მის ნათქვამს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წმ. გრიგოლ ნოსელს უმაღლესი რიტორიკული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და სწავლობდა სახელგანთქმულ ლიბანიოსთან, ამასთანავე, თვითვე საკმაო ხანს იყო რიტორიკის მასწავლებელი, ჩნდება კითხვა, თუ რას უნდა გულისხმობდეს იგი, როდესაც წერს: „რომელნი-ესე უსწავლელ ვართ ესეეითართა სიტყუათა“. საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვაქვს თავმდაბლური თვითდაკნინების ჩვეულებრივ ნიმუშთან.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ἐως γὰρ ἂν ἄνθρωποι ὦσι, τὸ θνητὸν τοῦτο καὶ ἐπίκηρον πρᾶγμα, καὶ τοὺς τάφους τῶν ἀφ' ὧν γεγόνασι βλέπωσιν, ἀχώριστον ἔχουσι καὶ συνεζευγμένην τῇ ζωῇ τὴν λύπην, εἰ καὶ μικρὸν μετέχοιεν τοῦ λογίζεσθαι (278,4-8).

„პირველად უკუე ესე გულისჴმა-ყავ, ეითარმედ ხედვიდენ რაჲ საფლავებსა მამათა მათასა და იცოდინ ხრწნილებაჲ კაცობრიჲისა ბუნებისაჲ, განუშორებელად აქუს მწუხარებაჲ ცხორებისაგან მათისა, უკეთუ აქუნდეს მცირედიცა გულისჴმისყოფაჲ და იცოდინ ბუნებაჲ კაცობრიჲ“ (124,3,2-6).

მოტანილი კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გავრცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. გრიგოლ ნოსელთან არ დასტურდება ეფთვიმესეული ფრაზა: „პირველად უკუე ესე გულისჴმა-ყავ“, იქვე თარგმანში გამოტოვებულია ორიგინალის სიტყვები Ἕως γὰρ ἂν ἄνθρωποι ὦσι („ვიდრე ისინი ადამიანები არიან“); ამავე კონტექსტში ეფთვიმე თავისუფალ თარგმანსაც მიმართავს, როდესაც დედნისეული ფრაზა:

τὸ ϑνητὸν τοῦτο καὶ ἐπίκηρον πρᾶγμα („ეს მოკვდავი და ხრწნადი საქმე“) გადმოაქცს შემდეგნაირად: „იცოდინ ხრწნილებაჲ კაცობრივისა ბუნებისაჲ“. ეფთვიმესეულ თარგმანში ასევე შეცვლილია ბერძნული წინადადების წყობა და სიტყვათა თანმიმდევრობა.

ამავე კონტექსტში თავისუფალი თარგმანის სხვა შემთხვევაც გვაქვს, როდესაც მთარგმნელს ორიგინალის სიტყვები: τῶν ἀφ' ὧν γεγόνασι („რომელთაგან იშვნენ“) – გადმოაქცს შემდეგნაირად: „მამათა მათთასა“, რაც არსობრივად ერთი და იგივეა. ამავე მეთოდით თარგმნის ეფთვიმე კონტექსტის ბოლო ფრაზას: εἰ καὶ μικρὸν μετέχοιεν τοῦ λογίζεσϑαι („თუკი მცირედით მაინც ეზიარებიან განმსჯელობას“), რის შედეგადაც სახეზეა დედნისეული ტექსტისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „უკუეთუ აქუნდეს მცირედიცა გულისჴმისყოფაჲ და იცოდინ ბუნებაჲ კაცობრივი“. აშკარაა, რომ ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში მიზნად ისახავს კონტექსტის განმარტებითად გადმოცემას.

მეტი სიცხადისათვის სრულად მოვიტანთ ზემოგანხილული ბერძნული ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს: „რადგან ვიდრე ისინი ადამიანები არიან, მოკვდავი და ხრწნადი ქმნილებანი, და ვიდრე ხედაენ იმათ საფლავებს, რომელთაგანაც იშვნენ, მათ ცხოვრებას, თუკი მცირედით მაინც ეზიარებიან განმსჯელობას, განუშორებლად ახლავს მწუხარება“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εἰ ταῦτα καὶ τὰ τοιαῦτα διανοοῖτο, ἆρ' ἐν εὐφροσύνῃ βιώσεται; Ἆρα πιστεύσει τοῖς παροῦσιν αὐτῷ χρηστοῖς ὡς ἀεὶ παραμένουσιν (282,1-3).

„უკუეთუ ამას და ესევითარსა იგონებდეს, ვითარმცა ჰრწმენა ტყუვილი ამის სოფლისა კეთილთაჲ? და არამცა, ვითარცა სიზმრისა უცნებათა, ხედვიდა სოფელსა ამას და საქმეთა მისთა, ვითარცა ჭეშმარიტად მისგან უცხოთა? რამეთუ არარაჲ არს კეთილთაგან ამის სოფლისათა ჭეშმარიტ“ (125,4,1-5).

აღნიშნული კონტექსტი ასევე სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გაერცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას: ἆρ' ἐν εὐφροσύνῃ βιώσεται („განა სიხარულში იცხოვრებს?“), თუმცა იქვე ამატებს მთელ წინადადებას: „და არამცა, ვითარცა სიზმრისა უცნებათა, ხედვიდა სოფელსა ამას და საქმეთა მისთა, ვითარცა ჭეშმარიტად მისგან უცხოთა?“ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ზემორე მონაკვეთის დამაბოლოებელი სიტყვები: ὡς ἀεὶ παραμένουσιν („როგორც მარადის შენარჩუნებულნი“), გადმოღებულია თავისუფალი თარგმანის მეთოდით: „რამეთუ არარაჲ არს კეთილთაგან ამის სოფლისათა ჭეშმარიტ“. ასევე, თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქცს ეფთვიმეს ორიგინალის ფრაზა: Ἆρα πιστεύσει τοῖς παροῦσιν αὐτῷ χρηστοῖς; („განა მისთვის სარწმუნო იქნება ამჟამინდელი სიკეთენი?“), რის შედეგადაც სახეზეა დედნისეული ტექსტისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „ვითარმცა ჰრწმენა ტყუვილი ამის სოფლისა კეთილთაჲ?“

ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში ამ შემთხვევაშიც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ წუთისოფელი, ერთი მხრივ, მხოლოდ წარმავალი მოვლენების ადგილია, სადაც ყველაფერი ცვალებადობას არის დაქვემდებარებული, ხოლო მეორე მხრივ, ის, რაც გარეგნულად, ზედაპირულად შეიძლება კეთილად ჩანდეს ამქვეყნიურ ყოფაში, სინამდვილეში დიდად იყოს დაშორებული ჭეშმარიტი სიკეთისა და სულიერებისაგან.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

διαπαίζων ταῖς ἐλπίσι τοὺς πρὸς αὐτὸν κεχηνότας, καὶ διὰ τῆς τῶν φαινομένων πλάνης συγκαλύπτων αὐτὸς ἑαυτόν, ἕως ἂν ἀθρόως ἐν ταῖς μεταβολαῖς ἐλεγχθῇ ἄλλο τι ὢν παρὰ τὴν ἀνθρωπίνην ἐλπίδα τὴν διὰ τῆς ἀπάτης τοῖς ἀνοήτοις ἐγγινομένην (284,9-13).

„და სასოებითა კეთილისაჲთა აცთუნებს მოყუარეთა მისთა და შუებისა და მცირედჟამისა სიხარულისა ჴურელთა შინა მალავს თავსა თჳსსა, ვიდრემდის ჟამსა შეცვალებისასა გამოჩნდეს ტყუვილი მისი, ვითარ-იგი სხუაჲ იყო და სხუად ჩანდა და ამაოდ აცთუნებდა კაცთა“ (125,4,5-9).

მოცემულ კონტექსტში სახეზეა ერთდროული გავრცობაც და თავისუფალი თარგმანიც. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის შენამატია „კეთილისაჲთა“. ორიგინალში მხოლოდ „სასოების“ აღმნიშვნელი სიტყვაა მრავლობითი რიცხვის ფორმით, კერძოდ, ταῖς ἐλπίσι, რაც ეფთვიმეს მიერ შემატებულ სიტყვასაც გულისხმობს. მიუხედავად ამისა, მთარგმნელმა, კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებისა და დაკონკრეტების მიზნით, საჭიროდ მიიჩნია გავრცობის მეთოდის გამოყენება, რაც მხოლოდ ერთი სიტყვის შემატებას გულისხმობს, კერძოდ, „კეთილისაჲთა“. ამავე კონტექსტში ეფთვიმე თავისუფალი თარგმანის მეთოდსაც მიმართავს, როდესაც ორიგინალის ფრაზა: καὶ διὰ τῆς τῶν φαινομένων πλάνης συγκαλύπτων αὐτὸς ἑαυτόν („ხილულთა საცთურის გზით მალავს თავის თავს“) – გადმოაქვს შემდეგნაირად: „და მცირედჟამისა სიხარულისა ჴურელთა შინა მალავს თავსა თჳსსა“. დედნისეულ ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად სახეზეა ბერძნულისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი, თუმცა წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების ძირითადი აზრი შენარჩუნებულია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

οὐκ ὀρφανίαν θρηνεῖ, οὐ χηρείαν ὀδύρεται· ἀεὶ σύνεστι τῷ ἀφθάρτῳ νυμφίῳ, ἀεὶ ἐπαγάλλεται τοῖς τῆς εὐσεβείας γεννήμασι· τόν τε οἶκον τὸν ἀληθῶς ἴδιον πᾶσι τοῖς καλλίστοις ὁρᾷ διηνεκῶς εὐθηνούμενον διὰ τὸ παρεῖναι καὶ ἐνοικεῖν ἀεὶ τὸν τοῦ οἴκου δεσπότην, ἐφ' ἧς ὁ θάνατος οὐ χωρισμόν, ἀλλὰ συνάφειαν τοῦ πθουμένου ποιεῖ· ὅταν γὰρ «ἀναλύσῃ», τότε «σὺν Χριστῷ» γίνεται, καθώς φησιν ὁ ἀπόστολος. (294,18-25).

„არა აქუს გლოვაჲ სიობლისაჲ, არცა გოდებაჲ სიქურივისათჳს, არამედ მარადის შეერთებულ არს უხრწნელსა მას თანა სიძესა, მარადის იხ-

არებს ღმრთისმოშიშებისა ნაშობთა ზედა და სახლსა მას ჭეშმარიტად თჳსსა ჰხედავს მარადის ყოვლითა კეთილითა შემკულსა, რამეთუ მას შინა მკჳდრ არს ყოველთა მეუფჱ, რომელსა ზედა სიკუდილი არა განყოფასა, არამედ უფროჲსად შეერთებასა ჰყოფს ჭეშმარიტსა მას თანა საწადელსა მისსა სიძესა, რამეთუ რაჟამს «მიიცვალოს», მაშინ «ქრისტესა შეერთჳის», ვითარცა მოციქული იტყჳს" (125,8,6-14).

წმ. ეფთჳმე მთაწმიდელი აღნიშნულ კონტექსტში ორჯერ იყენებს სიტყვა „სიძეს", რაც ორიგინალში ერთხელ არის ნახსენები, კერძოდ, წინადადების დასაწყისში: τῶ ἀφθάρτῳ νυμφίῳ („უხრწნელ სიძეს"). მთარგმნელის მიერ მისი გამეორება მიზნად უნდა ისახავდეს მკითხველისთჳის იმის დაკონკრეტებას, რომ ორიგინალის τοῦ ποθουμένου („სასურველი", „საწადელი") გულისხმობს მაცხოვარს, უფალ იესო ქრისტეს, „უხრწნელ სიძეს", რომლის შესახებაც აშკარა მინიშნებაა კონტექსტის დასაწყისში: „საწადელსა მისსა სიძესა" (τῶ ἀφθάρτῳ νυμφίῳ).

ამავე კონტექსტში წმ. ეფთჳმე მთაწმიდელი თავისუფალი თარგმანის მეთოდსაც მიმართავს, როდესაც ორიგინალის სიტყვები: τὸν τοῦ οἴκου δεσπότην („სახლის უფალი") – გადმოაქვს განსხვავებული მონაცემით: „ყოველთა მეუფჱ", რაც მიზნად უნდა ისახავდეს აღნიშნული სიტყვების კონტექსტისეული აზრის განმარტებითად გადმოცემას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εἶτα παραμετρῶν τοῖς ἀπείροις αἰῶσι τὸ ἀκαριαῖον τοῦτο διάστημα, ἐλεεῖ τῆς χαυνότητος τὸν ἐπὶ τοῖς οὕτω γλίσχροις καὶ ταπεινοῖς καὶ προσκαίροις τὴν ψυχὴν ἐπαιρόμενον (310,19-22).

„და იხილავს მისსა მას სიგრძესა ჟამთა მათ თანა საუკუნოსა მის ცხორებისათა და გულისჴმა-ჰყოფს, ვითარ უნდო და არარაჲ არს საწუთროჲ ესე და ყოველივე მას თანა. და ესე რაჲ გულისჴმა-ყოს, მერმე შეეწყალების უბადრუკებაჲ იგი მათი, რომელნი ამას არარასა ზედა ესრეთ ზუაობენ და იხარებენ" (130,17-21).

აღნიშნული კონტექსტი ასევე საყურადღებო ნიმუშია ერთდროული გავრცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. ეფთჳმესეული გავრცობა ამ შემთხვევაში შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „და გულისჴმა-ჰყოფს, ვითარ უნდო და არარაჲ არს საწუთროჲ ესე და ყოველივე მას თანა", რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას. ამავე კონტექსტში ეფთჳმე, ერთი მხრივ, არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: τὴν ψυχὴν ἐπαιρόμενον („აღზავებული სული"), რაც, აგრეთვე, მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, ხოლო მეორე მხრივ, თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს დედნისეული ტექსტის ბოლო წინადადება: ἐλεεῖ τῆς χαυνότητος τὸν ἐπὶ τοῖς οὕτω γλίσχροις καὶ ταπεινοῖς καὶ προσκαίροις τὴν ψυχὴν ἐπαιρόμενον („სიბრალულს იჩენს იმათი უბადრუკებისადმი, რომლებიც ენებადთა, მდარეთა და წუთიერთა მიმართ სულიერად აზავებიან"), რის შედეგადაც თარგმანში შემდეგი მონაცემი გვაქვს: „და ესე რაჲ გულისჴ-

მა-ყოს, მერმე შეეწყალების უბადრუკებაჲ იგი მათი, რომელნი ამას არარაისა ზედა ესრეთ ზუაობენ და იხარებენ“. აშკარაა, რომ დედნისეულ ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად, რაც გულისხმობს კონტექსტის განმარტებითად გადმოცემას, სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა ბერძნულ ტექსტსა და თარგმანს შორის, თუმცა დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწავლების უმთავრესი აზრი ადამიანის გონების ღვთის უნივთო და მარადიულ სიკეთეთა მჭვრეტელობამდე ამაღლების შესახებ, შენარჩუნებულია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

„აღსასრული არს სასჯელი გეჰენიად და ბნელად გარესკნელად და ცეცხლად“ (133,31-32).

τὸ τέλος κατάκρισις εἰς γέενναν καὶ σκότος καὶ πῦρ καταλήγουσα (322,32-33).

აღნიშნული წინადადების შემდგომ თარგმანში არის ეფთვიმესეული ჩანართი სხვადასხვა ცოდვის მიზეზთა, ურთიერთკავშირისა და მათგან გამოწვეული უმძიმესი შედეგის შესახებ, რაც მიზნად უნდა ისახვდეს იმის დაკონკრეტებას, თუ რამდენად დამღუპველია მომაკვდინებელი ცოდვების გაბატონება ადამიანის სულზე. მეტი სიცხადისათვის სრულად მოვიტანთ ეფთვიმესეულ ჩანართს:

„და კუალად უდებებაჲ იქმნების დაჴსნილობითა გონებისაჲთა და დაჴსნილობასა თანა-შეუდგს ნაყროვნებაჲ და ძილი, და ამათ მიერ – სიბრმე გონებისაჲ და სიბრმისაგან გონებისა – სიძვაჲ, და მის მიერ – სასოწარკუეთილებაჲ, და სასოწარკუეთილებისაგან – მისლვაჲ გეჰენიად. ეგრეთვე ცუდადმზუაობრობასა შეუდგს ამპარტავანებაჲ, ვითარცა ზემოცა ვთქუთ, და ამპარტავანებასა – განკითხვაჲ მოყუსისაჲ, და განკითხვასა – მიშუებაჲ ღმრთისაჲ და მერმე ყოველნივე ბოროტნი: გმობაჲ, სიძვაჲ და ყოველნივე უკეთურებანი, და მერმე – მისლვაჲ ღირსებისაებრ ჯოჯოხეთად“ (133,33-41).

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Πάλιν ὁ εὐσεβὴς οὔτε ἄθεος οὔτε δεισιδαίμων ἐστίν· ἴσον γὰρ ἐπ' ἀμφοῖν τὸ ἀσέβημα καὶ τὸ μηδένα θεὸν καὶ τὸ πολλοὺς εἶναι οἴεσθαι. (352,5-354,7).

„ეგრეთვე, უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ არცა ერთი არს ღმერთი, ანუ მრავალნი ღმერთნი აღიარნეს, ორივე ესე არს ურჩულოებაჲ. ხოლო ღმრთისმსახურებაჲ არს ამათ ორთა საშუალი“ (142,2,4-6).

მოცემულ კონტექსტში წმ. გრიგოლ ნოსელი გადმოსცემს სწავლებას ჭეშმარიტი ღვთისმსახურების, კეთილმორწმუნეობის შესახებ, რაც ემიჯნება უკიდურესობებს – ერთი მხრივ, ღმერთის უარყოფას, ხოლო მეორე მხრივ, მრავალღმერთიანობის აღიარებას. დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწავლებით, კეთილმოწრმუნე არ არის ის, ვინც საერთოდ არ აღიარებს ღმერთს (ἄθεος) და არც ის, ვინც მრავალღმერთიანობის საცთურში იმყოფება (δεισιδαίμων).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი საჭიროდ მიიჩნევს, გავრცობის მეთოდით თარგმნოს ორიგინალის ტექსტი, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „ხოლო ღმრთისმსახურებაჲ არს ამათ ორთა საშუალი“. მთარგმნელისეული მატება, ვფიქრობთ, მიზნად ისახავს იმის ხაზგასმას, თუ რა არის „სამეუფო გზა“ ზემოხსენებულ ორ უკიდურესობას შორის. მოცემული კონტექსტი საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხის განსამარტავად, რაც უკავშირდება წმ. პავლე მოციქულის მიერ არეოპაგში წარმოთქმულ სიტყვებს: „კაცნო ათინელნო, ყოვლითურთ, ვითარცა მრჩობლეშმაკეულთა, გხედავ თქუენ...“. („საქმე მოციქულთა“ 17,22). ἄνδρες Ἀθηναῖοι, κατὰ πάντα ὡς δεισιδαιμονεστέρους ὑμᾶς θεωρῶ.

დამოწმებული ნიმუშიდან ნათლად ჩანს, რომ ბერძნული δεισιδαιμονεστέρους „სამოციქულოს“ ძველ ქართულ რედაქციებში თარგმნილია როგორც „მრჩობლეშმაკეულნი“. წმ. გრიგოლ ნოსელის შრომაში გამოყენებულ იმავე სიტყვის მიმღეობურ ფორმას, δεισιδαίμων-ს, ეფთვიმესეულ თარგმანში უარყოფითი მნიშვნელობა აქვს: „უკუეთუ ვინ მრავალნი ღმერთნი აღიარნეს“. ბერძნულ სიტყვას – δεισιδαίμονια – ორი ძირითადი, ერთმანეთისაგან უკიდურესად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს: „ღვთისმოშიშება“ და „ცრუმორწმუნეობა“. „საქმე მოციქულთა“-ს სხვაენოვან თარგმანებში ბერძნული δεισιδαιμονεστέρους-ის ეკვივალენტური ტერმინია: ინგ. very religious; რუს. **особенно набожный**; ფრანგ. piété. ეფიქრობთ, რომ საკითხისადმი ინტერესს აძლიერებს ის, თუ რა აზრით მოიხმობს წმ. პავლე მოციქული აღნიშნულ სიტყვას. ქართველი მოღვაწეები ერთსა და იმავე ტერმინს სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული ლექსიკური მონაცემით თარგმნიან, რაც ადასტურებს, რომ „საქმე მოციქულთა“-ს ძველ ქართულ რედაქციებში გამოყენებული შესატყვისი ზედმიწევნით ასახავს „სამოციქულოს“ ქართველ მთარგმნელთა ხედვას. საინტერესოა ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „სამოციქულოს განმარტებაში“ არსებული კომენტარი, რომელიც ზემოხსენებულ ტერმინს ეხება:

„არა ძაგებად დადგა, არამედ ქებად, რამეთუ მრჩობლეშმაკეულებაჲ ათინელთა შორის ესრეთ გულისჴმა-იყოფებოდა, ვითარცა მრჩობლ-მოსწრაფე იყვნეს ზორვად ღმერთთა საცნაურთა და უცნაურთა; ამისთჳს სიმრავლესა ღმერთთა მათთასა ეშმაკ უწოდდეს, ვითარ-იგი ზემო თქუეს პავლესთჳს, ვითარმედ „უცხოთა ეშმაკთა ჩანს მომთხრობელად“, ესე იგი არს უცხოთა ღმერთთა; რამეთუ ესმა რაჲ სახელი იესუჲსი და აღდგომისაჲ, ორთავე ღმერთად ჰგონებდეს“.[1]

[1] განმარტება სამოციქულოსი წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ეკვთიმე კოკლამაზაშვილმა, თბ. 2000, გვ. 224.

აღნიშნული სწაელება ნათელს ხდის, რომ „სამოციქულოს“ მითითებულ მუხლში სიტყვა δεισιδαιμονία დადებითი მნიშვნელობის შემცველი ტერმინია, რამდენადაც იგი უიგივდება „ღმრთისმოშიშებას“, „რელიგიურობას“, განსხვავებით იმ უარყოფითი მნიშვნელობისაგან, რაც მას აქვს დიდი კაბადოკიელი მოძღვრის ასკეტური ძეგლის ზემოაღნიშნულ კონტექსტში.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

τοῦτο γὰρ ἡ ἱστορία δοκεῖ μοι σημαίνειν τὴν βαρύτητα τῶν ὀφθαλμῶν τοῦ πατριάρχου διηγουμένη (358,13-14).

„რამეთუ მე ეჯგონებ, თუ ამას მოასწავებს წერილი სიმძიმესა, რაჲთა მამადმთავრისა მის თუალთასა იტყოდის, ვითარმედ სიმძიმე თუალთაჲ ამისი სახე იყო, თუ გარემოიქცეულ იყო ყოველთავე სოფლისა საქმეთა ხედვასა და სიყუარულისა“ (143,13-17).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „ვითარმედ სიმძიმე თუალთაჲ ამისი სახე იყო, თუ გარემოიქცეულ იყო ყოველთავე სოფლისა საქმეთა ხედვასა და სიყუარულისა“. მოცემულ შემთხვევაში ეფთვიმე, როგორც ჩანს, სახისმეტყველებით გაერცობით თარგმნის ორიგინალის ფრაზას: τὴν βαρύτητα τῶν ὀφθαλμῶν τοῦ πατριάρχου („პატრიარქის თვალთა სიმძიმე“). წმიდა წერილში ძველი აღთქმის პატრიარქის, ისააკის, დაუძლურებულ მხედველობასთან დაკავშირებით გამოყენებულია შემდეგი სიტყვები: ἠμβλύνθησαν οἱ ὀφθαλμοὶ αὐτου (შეს. 27,1), რაც წმიდა წერილის ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „დაუბრყულდეს თუალნი მისნი“ (O, CB, AKSH). ეფთვიმემ საჭიროდ მიიჩნია კომენტირებულად გადმოეცა წმ. გრიგოლ ნოსელის ზემოხსენებული ფრაზა, რაც საეკლესიო ეგზეგეტიკის კუთხით ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τίς γὰρ ὀλίγῳ σπινθῆρι προσεικάζει τὸν ἥλιον ἢ ῥανίδα βραχεῖαν πρὸς τὴν τῶν ἀβύσσων ἀπειρίαν ἀνθίστησιν; (372,28-30).

„რამეთუ ვინმცა მიამსგავსა მცირესა ნაბერწყალსა მზჱ, ანუ მცირესა რასმე წუეთსა ვინ შეასწორნა მიუწდომელნი იგი უბსკრულნი ზღუათანი?“ (149,1,34-36).

მოცემულ კონტექსტში ორიგინალის კითხვითი წინადადების შემდეგ თარგმანში გვაქვს ეფთვიმესეული ჩანართი, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „ანუ ვინმცა შეამსგავსა კაცთდენისა სახლისა სიმაღლესა სიმაღლე ცისაჲ?“ (149,1,36-37). აღნიშნული გავარცობა მიზნად უნდა ისახავდეს კიდევ ერთი დამატებითი ნიმუშის მოხმობას იმის ნათელსაყოფად, თუ რამდენად სხვაობს ერთმანეთისგან ღვთის უნივთო, სულიერი და მარადიული სიკეთეები ყველაფერ ამქვეყნიურისაგან. ეფთვიმემ საჭიროდ მიიჩნია განევრცო ორიგინალის კონტექსტი, რათა მკითხველისათვის კიდევ უფრო სარწმუნო გაეხადა დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწაელება საღმრთო მშვენიერების ზეა-

ღმატებულ და გამოუთქმელ ნეტარებასთან დაკავშირებით.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τῷ τοίνυν πάσας ἑαυτοῦ τὰς τῆς ψυχῆς δυνάμεις ἐκ «παντὸς εἴδους κακίας» ἀποκαθάραντι τολμῶ καὶ λέγω ὅτι ἐμφανὲς γίνεται τὸ μόνον τῇ φύσει καλόν (396,1-3).

„რომელმანცა უკუე ყოველნივე ძალნი სულისა თჳსისანი «ყოველისაგანვე სხჳსა უკეთურებისა» განიწმიდნეს, ეიკადრებ და ვიტყჳ, ვითარმედ მას გამოეცხადოს ბუნებითი იგი კეთილი, რომელი-იგი არს ყოველისავე კეთილისა და შუენიერებისა მიზეზი“ (154,6,1 – 155,4).

წმ. ეფთჳმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „რომელი-იგი არს ყოველისავე კეთილისა და შუენიერებისა მიზეზი“. ეფთჳმესეული მატება ამ შემთხვევაშიც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას. ეფთჳმე საჭიროდ თვლის კიდევ უფრო მეტი სიცხადე შესძინოს წმ. გრიგოლ ნოსელის უაღრესად სიღრმისეულ საღვთისმეტყველო სწავლებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინც სულიერი განწმედის შედეგად ბუნებისეულად, და არა გაუკუღმართებულად, გამოიყენებს სულის ძალებს, მას გამოუჩნდება ბუნებითი იგი კეთილი, ე. ი. ღმერთი, რომელიც არის მიზეზი ყოველივე სიკეთისა და მშვენიერებისა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

καὶ ἡ ἀληθινὴ παρθενία καὶ ἡ περὶ τὴν ἀφθαρσίαν σπουδὴ εἰς τοῦτον τὸν σκοπὸν καταλήγει, τὸ δι' αὐτῆς δυνηθῆναι τὸν θεὸν ἰδεῖν· (396,6-9).

„და ჭეშმარიტი ქალწულებაჲ და მონაზონებისა ჯეროვანი მოქალაქობაჲ, ვითარი უკმს მონაზონთა, ამას საქმესა მივლენ. და ესე არს პირველი მათი, რაჲთა შეუძლონ ხილვად ღმრთისა“ (155,7-10).

აღნიშნულ კონტექსტში ერთდროულად გვაქვს თავისუფალი თარგმანიც და გაერცობაც. ეფთჳმეს ორიგინალის ფრაზა; καὶ ἡ ἀληθινὴ παρθενία καὶ ἡ περὶ τὴν ἀφθαρσίαν σπουδὴ („ჭეშმარიტი ქალწულებაჲ და უხრწნელებისადმი მოწადინება“) – გადმოაქვს შემდეგნაირად: „და ჭეშმარიტი ქალწულებაჲ და მონაზონებისა ჯეროვანი მოქალაქობაჲ, ვითარი უკმს მონაზონთა“. მთარგმნელმა შეცვალა დედნისეული სიტყვები: ἡ περὶ τὴν ἀφθαρσίαν σπουδὴ („უხრწნელებისადმი მოწადინება“), რითაც სრულად წარმოაჩინა კონტექსტისეული აზრი იმის შესახებ, რომ უხრწნელებისადმი სწრაფვა ქალწულებასთან ერთად გულისხმობს საღმრთო მოქალაქობას – ჭეშმარიტ რწმენას, სიწმიდეს, სიმდაბლეს, მოთმინებას და სხვა სათნოებებს, რაც ასკეტური სწავლების მიხედვით შეადგენს ჭეშმარიტი სამონაზვნო მოღვაწეობის არსს. ეფიქრობთ, ეფთჳმესეული ჩარევა ამ შემთხვევაშიც მიზნად ისახავს კონტექსტის განმარტებითად გადმოცემას, წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას, კერძოდ, სათნოებითი მოღვაწეობის გარდაუვალ აუცილებლობას ცხონების საქმეში.

ამავე კონტექსტში ეფთჳმე გაერცობის მეთოდით თარგმნის ორიგი-

ნალის ფრაზას: τὸ δι' αὐτῆς δυνηθῆναι τὸν θεὸν ἰδεῖν („რაჲთა შეუძლონ ხილვად ღმრთისა"), რის შედეგადაც სახეზეა დედნისეული ტექსტისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „და ესე არს პირველი მათი, რაჲთა შეუძლონ ხილვად ღმრთისა". აღნიშნული მატება მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის განმარტებითად გადმოცემას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ ქალწულებითი ღვაწლის უმთავრესი დანიშნულება ანგელოზებრივი ცხოვრების წესს, სიწმინდეს, გონებითი ზეაღსვლის გზით ღვთისმხილველობამდე ამაღლებას გულისხმობს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τὴν δὲ συμφορὰν ταύτην, ἣ νῦν κεκράτηται τὸ ἀνθρώπινον, αὐτὸς ἑθελοντὴς ἀπάτῃ παρενεχθεὶς ἐπεσπάσατο, αὐτὸς τῆς κακίας εὑρετὴς γενόμενος, οὐχὶ παρὰ θεοῦ γενομένην εὑρών· «θεὸς γὰρ θάνατον οὐκ ἐποίησεν», ἀλλὰ τρόπον τινὰ κτίστης καὶ δημιουργὸς τοῦ κακοῦ κατέστη ὁ ἄνθρωπος (402,17-22).

„ხოლო ესე განსაცდელი, რომლითა აწ კაცებაჲ შეპყრობილ არს, მან თჳთ ნებსით მორჩილებითა საცთურისაჲთა მოიზიდა თავსა ზედა თჳსსა, იგი იქმნა უკეთურებისა მომპოვნებელ, არა თუ ღმრთისა მიერ შექმნული პოვა იგი, ნუ იყოფინ, რამეთუ «რომელმან სიკუდილი არა ქმნა», ნუ იყოფინ, არამედ ესრეთსახედ კაცი იქმნა მოქმედ ბოროტისა თჳსისა" (156,2,16 – 157,21).

მოცემულ კონტექსტში ეფთვიმესეული შენამატია სიტყვები: „ნუ იყოფინ!", რაც ორგზის მეორდება თარგმანში. გავრცობის ეს შემთხვევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექტის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ ცოდვით დაცემისა და ადამიანური ბუნების დასნეულების მიზეზი პირველმშობელთა ნებაყოფლობითი შეცოდებაა, რაც თავისუფალი ნების არაჯეროვნად, გაუკუღმართებულად გამოყენებას გულისხმობს და ადამიანისვე ნამოქმედარია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

„ხოლო არა თავს-იდვა დიდმან ღმრთისა სახიერებამან წარწყმედაჲ ჩუენი, არამედ გარდამოჴდა ზეცით მხოლოდშობილი ძჱ და სიტყუაჲ, მამისა თანაარსი და თანამოსაყდრე მისი, და შეიმოსნა ჩუენნი ესე გლახაკნი ჴორცნი და იქმნა ყოველითურთ, თუნიერ ცოდვისა, მსგავს ჩუენდა; და ივნო ჩუენთჳს და მოკუდა და აღადგინნა ჯოჯოხეთს შინა დავიწყებულნი; იქმნა პირმშო შესუენებულთა და დაჰჴსნნა სალმობანი სიკუდილისანი და შემმოსა ჩუენ პირველი იგი დიდებაჲ და მოგუცა ძალი, რაჲთა უკუეთუ გუენებოს, შეუძლოთ მოგებად პირველი იგი დიდებაჲ და უვაღრესიცა ფრიად" (158,54-62).

მთელი ეს კონტექსტი, რომელშიც გადმოცემულია სწავლება მაცხოვრის გამომხსნელობითი ღვაწლის შესახებ, ეფთვიმესეული ჩანართია, რაც უშუალოდ ერთვის წმ. გრიგოლ ნოსელის შემდეგ სიტყვებს: „ხრწნილი იგი და თიჴისა ხატი ცოდვისა მიერ შეიმოსა" (158,53).

აღნიშნული ჩანართი მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტე-

ქსტისეული აზრის გაღრმავებას უწმიდესი საეკლესიო სწავლებით მაცხოვრის გამომხსნელობითი ღვაწლის შესახებ, რომელმაც თავისი განკაცებით, ჯვარცმითა და აღდგომით შემუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი, ცოდვის მძლეობისგან გაათავისუფლა კაცობრიები ბუნება, აღადგინა იგი თავდაპირველ პატივში და უფრო აღმატებული ხარისხით განუახლა მას ხატება და მსგავსება ღვთისადმი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

καὶ ὅσον τὸ ἐφ' ἑαυτῶ συντέλειαν τῆς κατὰ σάρκα ζωῆς ἐν ἑαυτῷ ποιήσας ἀναμένει λοιπὸν (440,9-10).

„რომელი-იგი განშორებულ იყოს ქორწინებისაგან და სოფლისა და შეიმოსოს სახე იგი მოლუაწებისაჲ მოლუაწეთაჲ და რაჲზომცა მისსა ძალსა ეტეოდის, ექმნას აღსასრული ჴორციელისა ცხორებისაჲ“ (165,4,10-12).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: **„რომელი-იგი განშორებულ იყოს ქორწინებისაგან და სოფლისა და შეიმოსოს სახე იგი მოლუაწებისაჲ მოლუაწეთაჲ“**. დედნისეულ ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას ქალწულებითი ღვაწლის შესახებ, მართალია, სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა ბერძნულ ტექსტსა და თარგმანს შორის, თუმცა წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების ძირითადი აზრი შენარჩუნებულია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ἐι γὰρ ἰσάγγελος ἡ ζωή, ἡ μετὰ τὴν ἀνάστασιν παρὰ του κυρίου τοις δικαίοις ἐπήγγελται, τῆς δὲ ἀγγελικῆς φύσεως ἴδιον τὸ ἀπηλλάχθαι τοῦ γάμου ἐστίν, ἤδη δέδεκται τὰ τῆς ἐπαγγελίας καλὰ «ταις λαμπρότησι τῶν ἁγίων» ἀναμιγνύμενος καὶ τῷ ἀμολύντῳ τῆς ζωῆς τὴν καθαρότητα τῶν ἀσωμάτων μιμούμενος (442,15-20).

„რამეთუ ვინაჲთგან ანგელოზთა მსგაესყოფად არს მაშინ ცხორებაჲ მართალთაჲ, აღთქუმისაებრ უფლისა, ხოლო ანგელოზებრივისა ბუნებისა ერთი საქმე არს ქორწინებისაგან და ზრუნვათაგან ამაოთა უცხოებაჲ და გულისთქუმათაგან ჴორციელთა, და ესევე აქუს ჭეშმარიტისა მონაზონებისა აღმასრულებელთა და ამით ჯერითა მოუღებიეს სადმე კეთილი იგი საქმე აღდგომისაჲ, შეერთებული «ბრწყინვალებასა წმიდათასა», და შეუგინებელობითა და უზრუნველობითა ცხორებისა მისისაჲთა სიწმიდესა უჴორცოთასა მიმსგავსებული“ (165,4,19 – 166,26).

მოცემულ კონტექსტში მთარგმნელისეული შენამატია შემდეგი ფრაზა: **„და ზრუნვათაგან ამაოთა უცხოებაჲ და გულისთქუმათაგან ჴორციელთა, და ესევე აქუს ჭეშმარიტისა მონაზონებისა აღმასრულებელთა“**, რაც ასევე მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებასა და განმარტებითად გადმოცემას ქალწულებითი, ანუ სამონაზონო ასკეზისის არსისა და დანიშნულების შესახებ.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

καὶ περὶ τῶν λοιπῶν ὡσαύτως ποιῶν, ἄτοπος ἂν εἴη τις καὶ ἀλλόκοτος, ὡς μηδ' ἂν εἰπεῖν ἀξίως τινὰ δυνηθῆναι τὴν ἀτοπίαν (472,34-36).

„და სხუათა ყოველთა ძალთა სულისათა ესრეთ განაგებდეს, ესევითარი იგი ბოროტ არს და უკეთურ, რომელ არცა თუ ვინ შემძლებელ არს მისისა ბოროტისა ღირსად თქუმად“ (175,36-39).

მოცემული კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გაერცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. ეფთვიმეს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ორიგინალის სიტყვები: καὶ περὶ τῶν λοιπῶν ὡσαύτως ποιῶν ἄτοπος ἂν εἴη τις καὶ ἀλλόκοτος („...და მსგავსადვე სხვა დანარჩენთა შესახებ იქმოდეს, ამგვარი ვინმე უგუნურია“), რის შედეგადაც თარგმანში სახეზეა ორიგინალის ტექსტისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: **„და სხუათა ყოველთა ძალთა სულისათა ესრეთ განაგებდეს, ესევითარი იგი ბოროტ არს და უკეთურ“**. ეფთვიმე ორიგინალის სიტყვას, ἄτοπος, რომელიც აღნიშნავს „უადგილოს“, „უწესოს“, „უაზროს“, „უგნურს“, თარგმნის განსხვავებული ლექსიკური ერთეულით, კერძოდ, **„ბოროტად“**, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებას. ბერძნულში ორჯერ გეხვდება სიტყვა τὴν ατοπίαν და ორივე შემთხვევაში მის შესატყვისად გვაქვს **„ბოროტი“**. ეფთვიმე იქვე გაერცობის მეთოდსაც მიმართავს, როდესაც დედნისეული სიტყვები: καὶ περὶ τῶν λοιπῶν ὡσαύτως ποιῶν („და მსგავსადვე სხვა დანარჩენთა შესახებ იქმოდეს“) – გადმოაქვს შემდეგნაირად: „და სხუათა ყოველთა ძალთა სულისათა ესრეთ განაგებდეს“. მთარგმნელისეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში, რის შედეგადაც სახეზეა ბერძნულისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი, მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებასა და განმარტებითად გადმოცემას ადამიანის სულიერი ძალების შესახებ, რაც სათნოებათა აღსრულებისკენ უნდა იყოს მიმართული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ὅσον δὲ θεῷ φίλον καὶ διορατικὸν τῆς ἀληθείας ἐστίν, ὅπερ Ἰσραὴλ ὑπὸ τῆς ἱστορίας ὠνόμασται, τουτο μόνον ὡς ξηρὰν αὐτὴν διεξέρχεται οὐδαμου τῆς πικρίας καὶ τῆς ἅλμης τῶν βιωτικῶν κυμάτων συνεφαπτόμενον (482,27-30).

„ხოლო რომელი იყოს ღმრთისმოყუარე და მხილველ ჭეშმარიტებისა, რომელსა «ისრაელ» ეწოდების, რომელ არს «მხილველი ღმრთისაჲ», იგი მხოლოჲ წიაღ-ვალს მას შინა, ვითარცა ჴმელსა, და არასადა ღელვათა მათ მიერ მწარეთა და მლაშეთა სოფლისათა დაინთქმის“ (177,22-25).

აღნიშნული კონტექსტი ასევე სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გაერცობისა და კლებისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: **„რომელ არს მხილველი ღმრთისაჲ“**. ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის კომენტირებული სახით გადმოცემას, კერძოდ, სიტყვა „ისრაელის“ განმარტებას საეკლესიო ეგ-

ზეგეტიკის კუთხით. ამავე კონტექსტში ეფთვიმე კლების მეთოდსაც მიმართავს, როდესაც არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: ὑπὸ τῆς ἱστορίας („ისტორიის მიერ“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ბერძნული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სიტყვის – τῆς ἱστορίας, რაც საეკლესიო მწერლობაში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად საკუთრივ წმიდა წერილს გულისხმობს, თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ἡ γὰρ ἂν οὐκ ἐκ του ἀδελφου αὐτῆς Ἀαρών, ἀλλ' ἐκ του ἀνδρός, εἴπερ ἦν, ὠνομάζετο καὶ ἐγνωρίζετο, ἐπειδὴ κεφαλὴ γυναικὸς οὐχ ὁ ἀδελφός, ἀλλ' ὁ ἀνὴρ προσηγόρευται (488,20-23).

„თუ არა არა აჰრონის და მოსესგან, არამედ ქმრისაგანმცა ეწოდებოდა, რამეთუ თავ დედაკაცისა ქმარი არს“ (178,17-19).

აღნიშნული კონტექსტი ასევე საგულისხმო ნიმუშია ერთდროული გავრცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობის მეთოდს, რაც მხოლოდ ერთი სიტყვის – „მოსესგან“ – შემატებას გულისხმობს. ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა ამ შემთხვევაში მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტისეული აზრის დაკონკრეტებას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ნახსენები მარიამი, რომელსაც ქალწულებითი ცხოვრების ძველაღთქმისეულ წინასახედ დაგვისახავს წმიდა მამა, არა მხოლოდ აარონის („აჰრონის“), არამედ მოსე წინასწარმეტყველის ხორციელი დაც არის (დედანში მითითებულია მხოლოდ აარონი). ამავე კონტექსტში კლების შემთხვევაც დასტურდება, როდესაც ეფთვიმე არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას: εἴπερ ἦν („თუკი ეყოლებოდა“), ისევე, როგორც ἐγνωρίζετο-ს („გვეცოდინებოდა“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს დედნისეული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. აქვე გვაქვს კლების კიდევ ერთი ნიმუში, როდესაც ორიგინალის ფრაზა: ἐπειδὴ κεφαλὴ γυναικὸς οὐχ ὁ ἀδελφός, ἀλλ' ὁ ἀνὴρ προσηγόρευται („რადგან თავი ცოლისა არა ძმა, არამედ ქმარია“) – გადმოღებულია შემდეგნაირად: „რამეთუ თავ დედაკაცისა ქმარი არს“, ანუ გამოტოვებულია სიტყვები οὐχ ὁ ἀδελφός, ἀλλ' („არა ძმა, არამედ“). უფრო მეტი სიცხადისათვის სრულად მოვიტანთ ორიგინალის ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს: „მარიამი (იგულისხმება „გამოსლვათა“ წიგნში მოხსენიებული მარიამ წინასწარმეტყველი [შდრ. 15,20-21], რომელიც მოსეს და აარონის ხორციელი დაა) არა მისი ძმის – აარონისგან, არამედ ქმრისაგან, თუკი ეყოლებოდა მას [ქმარი], იწოდებოდა და გვეცოდინებოდა, რადგან თავი ცოლისა არა ძმა, არამედ ქმარია“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Δῆλον δὲ ὅτι κοινὸς ὁ λόγος ἐστὶν ἐπί τε ἀνδρῶν ὁμοίως καὶ γιναικῶν εἰς τὴν περὶ τὸν τοιουτον γάμον σπουδήν· ἐπειδὴ γάρ, καθώς φησιν ὁ ἀπόστολος, «οὐκ ἔνι ἄρσεν καὶ θῆλυ», «πάντα δὲ καὶ ἐν πᾶσι Χριστός»

(502,35-39).

„ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ სიტყუაჲ ესე ზიარ არს მამათათჳსცა და დედათა, ჭაბუკთა და მოხუცებულთა, რამეთუ, ვითარცა იტყჳს მოციქული, «არა არს მამაკაცებაჲ და დედაკაცებაჲ, არამედ ყოველივე ყოველსა შინა ქრისტჱ არს»“ (182,35-38).

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „პაულეთა“ სიტყვების ციტირებას (გალ. 3,28), რაც უაღრესად საინტერესო კონტექსტშია დამოწმებული, კერძოდ, თხზულების ამ მონაკვეთში წმ. გრიგოლ ნოსელი მსჯელობს სიწმიდისა და ქალწულებითი ღვაწლის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მის მიერ გადმოცემული სწავლება საყოველთაოა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი საჭიროდ მიიჩნევს კონტექსტის გავრცობას შემდეგი ფრაზის შემატებით: „ჭაბუკთა და მოხუცებულთა“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებასა და ორიგინალის ტექსტის განმარტებითად გადმოცემას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οἶμαι δὲ ἀπὸ μέρους ἐνταυθα περὶ παντὸς αἰσθητηρίου προειρηκέναι τὸν κύριον (506,15-16).

„რამეთუ მე ვჰგონებ, ვითარმედ ერთისა მის საცნობელისა მიერ, რომელ არიან თუალნი, ყოველნიე საცნობელნი მოასწავნა უფალმან“ (183,1,14-16).

აღნიშნულ კონტექსტში ეფთვიმესეული გავრცობა გულისხმობს შემდეგი სიტყვების შემატებას: „რომელ არიან თუალნი“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის სიტყვის αἰσθητηρίου („გრძნობის ორგანოსი“) დაკონკრეტებას წინა კონტექსტის გათვალისწინებით.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშიც:

Ἀλλὰ τί μοι τὰ καθ' ἕκαστον δι' ἀκριβείας διεξιέναι, ὅπως ταῦτα καὶ τέτμηται ἀπ' ἀλλήλων τῇ ἐναντιώσει τῆς φύσεως καὶ πάλιν ἥνωται τῇ συγγενείᾳ τῶν ποιοτήτων ἀλλήλοις ἀνακιρνάμενα; (514,11-14).

„და რასა ვაგრძელებდე, თუ ვითარ განიყოფვიან და შეიერთებიან იგინი, ვითარცა ღმერთსა ჰნებავს?“ (185,21-22).

მოცემული კონტექსტი ნიმუშია ერთდროული გავრცობისა და კლებისა. თარგმანში დედნისეული ტექსტის თითქმის მთელი კონტექსტი შემოკლებულად არის გადმოცემული. მეტი სიცხადისათვის მოვიტანთ ორიგინალის სიტყვასიტყვით თარგმანს: „თუმცა რა [საჭიროებაა] ჩემთვის თითოეულად დაწვრილებით გადმოცემა იმისა, თუ როგორ განიკვეთებიან ურთიერთისგან ესენი ბუნებითი დაპირისპირებით და კვლავ როგორ უერთდებიან ურთიერთს, თვისებათა თანამონათესავეობით თანაარეულნი“. ამავე კონტექსტში ეფთვიმე გავრცობის მეთოდსაც მიმართავს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „ვითარცა ღმერთსა ჰნებავს“. ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების კომენტირებულად, განმარტებითად გადმოცემას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ ზემოაღნიშნული მოვლენა

(სტიქიონთა განყოფა-შეერთებანი) ღვთის ყოველისშემძლეობითა და განგებულებით აღესრულება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὗτος ὁ τελεώτατος τῆς ἐγκρατείας σκοπός, οὐχὶ πρὸς τὴν του σώματος βλέπειν κακοπάθειαν, ἀλλὰ πρὸς τὴν τῶν ψυχικῶν διακονημάτων εὐκολίαν (520,25-28).

„ესე არს სრული იგი მარხვისა წესი, რაჲთა არა ჴორცთა საქმესა ხედვიდეს კაცი, არამედ – სულისა მსახურებათა აღსრულებასა, რაჲთა მას ოდენ თჳსი სიწმიდე არა დაეხრწეოდის, გინა თუ ჭამისა მიერ, გინა თუ გარდარეულისა მარხვისა“ (186,21-24).

აღნიშნულ კონტექსტში წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: **„რაჲთა მას ოდენ თჳსი სიწმიდე არა დაეხრწეოდის, გინა თუ ჭამისა მიერ, გინა თუ გარდარეულისა მარხვისა“**. ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის განმარტებითად გადმოცემას „სრული მარხვის წესთან“ დაკავშირებით, რაც ყოველთვის გულისხმობს ზომიერების, ანუ საშუალის დაცვას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ἐντεῦθεν οἱ ἐνυπνιασταὶ οἱ τὰς ἐκ τῶν ὀνείρων ἀπάτας πιστοτέρας τῶν εὐαγγελικῶν διδαγμάτων ποιούμενοι καὶ ἀποκαλύψεις τὰς φαντασίας προσαγορεύοντες (536,21-24).

„ამათგან იქმნებიან მესიზმრენი, რომელნი ცთომათა სიზმართასა უფროჲს ირწმუნებენ, ვიდრე-ღა სიტყუათა სახარებისათა და უცნებათა საეშმაკოთა ანგელოზთა გამოჩინებად სახელ-სდებენ“ (189,3,18-21).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გაერცობის მეთოდს, რაც ორი სიტყვის შემატებას გულისხმობს: **„საეშმაკოთა“** და **„ანგელოზთა“**. ამის მიზეზი უნდა იყოს კონტექსტში ნაგულისხმევი აზრის განმარტებითად გადმოცემა, კერძოდ, იმის ხაზგასმა, რომ ორიგინალში წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ გამოყენებული სიტყვა – ἀποκαλύψεις („გამოცხადება“) – აღნიშნავს სალმრთო გამოცხადებას, ხოლო რაც შეეხება დედნისეულ φαντασίας, იგი მოხმობილია ეშმაკეული წარმოსახვის, ზმანების მნიშვნელობით. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი საჭიროდ მიიჩნევს ორიგინალის ტექსტში ჩარევას დაკონკრეტებისა და ბერძნული ტექსტის კომენტირებულად გადმოცემის მიზნით, რაც გულისხმობს ზემოაღნიშნულ მატებას იმის ნათელსაყოფად, თუ რა აზრით არის გამოყენებული დედნისეული სიტყვები: ἀποκαλύψεις და φαντασίας დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὐκουν ἔχομεν πρὸς ὃν ἀποβλέψαντες ἀσφαλῶς τὸν κλύδωνα τῶν πειρασμῶν διαπλεύσωμεν (552,29-30).

„აწ უკუე ჩუენცა სასოებითა ღმრთისაჲთა უცთომელად განვლოთ განსაცდელისა იგი ზღუაჲ, შესრულთა მოქალაქობასა მას ანგელოზებრსა და წარმართებულთა მას შინა“ (191,6,42-44).

აღნიშნულ კონტექსტში წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზების შემატებას გულისხმობს: „ჩუენცა სასოებითა ღმრთისაჲთა“ და „შესრულთა მოქალაქობასა მას ანგელოზებრსა და წარმართებულთა მას შინა“. ამის მიზეზი ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს ორიგინალის ტექსტის კომენტირებული სახით, განმარტებითად გადმოცემა, კერძოდ იმის ხაზგასმა, თუ რამდენად დიდი ღვაწლია სამონაზონო ცხოვრება, ქალწულებითი ასკეზისი, რაც ეკლესიის მამათა სწავლებით, ანგელოზთა მსგავსი მოქალაქობაა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τί μοι πολυπραγμονεις, εἴ τινες τῶν ταυτα διανοηθέντων ἠττήθησαν, καὶ διὰ τουτο ἀπογινώσκεις ως ἀμηχάνου του πράγματος (552,1-3).

„შენ რასა გამოეძიებ და აღჰრაცხავ, თუ სადა ვიეთნიმე შემოვიდეს მოქალაქობასა ამას და იძლინეს ენებათაგან და არარაჲ იქმნა საქმე მათი და ამისთჳს უსასო ხარ, ვითარცა შეუძლებელისა საქმისა მის მიმართ?“ (191,7,1-4).

მოცემული კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გავრცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. ეფთვიმესეული გავრცობა ამ შემთხვევაში გულისხმობს შემდეგი ფრაზების შემატებას: „და აღჰრაცხავ“, „და იძლინეს ენებათაგან“, „და არარაჲ იქმნა“; ასევე მთარგმნელის შენამატია დამოწმებული კონტექსტის ბოლო ფრაზაც: „და ამისთჳს უსასო ხარ, ვითარცა შეუძლებელისა საქმისა მის მიმართ?“

ორიგინალის ტექსტში მთარგმნელისეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს დედნისეული ტექსტის განმარტებითად გადმოცემას, რაც გულისხმობს ქალწულებით ღვაწლში, ასკეტურ მოსაგრეობაში მყოფთა სულიერ განმტკიცებას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Πρὸς τὸν κατωρθωκότα βλέπε, καὶ θαρρῶν κατατόλμησον τῆς ἀγαθῆς ναυτιλίας τῇ ἐπιπνοίᾳ του ἁγίου πνεύματος ὑπὸ κυβερνήτῃ τῷ Χριστῷ εὐθυνόμενος (552,3-6).

„შენ მათ ხედევდი, რომელთა წარჰმართეს იგი კეთილად და შენცა მიენდევე და შეჰკადრე კეთილსა მას მენავეობასა ნავითა სულისა წმიდისაჲთა მენავეთმოძღურებითა ქრისტესითა ნაცსა შინა სიწმიდისასა ღმრთისა მიერ მამისა წარმართებული“ (191,7,4-7).

ეფთვიმესეული გავრცობა გულისხმობს შემდეგი ფრაზის შემატებას: „ღმრთისა მიერ მამისა“. ვფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა იყოს დედნისეული სწავლებისთვის დასრულებული სახის მიცემა; რამდენადაც დიდი კაბადოკიელი მოძღვარი აღნიშნულ კონტექსტში მხოლოდ წმიდა სამების ორ ჰიპოსტასს – სულიწმიდას და იესო ქრისტეს – ახსენებს და, ცხადია, გულისხმობს სამივეს (ანუ ყოვლადწმიდა სამებას), წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა საჭიროდ მიიჩნია ორიგინალში ნაგულისხმევი ზემორე სიტყვების დამატება.

§2. ტექსტის შემოკლება

წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური ძეგლის ეფთვიმესეულ თარგმანში არაიშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი მიმართავს კლებას, რაც ზოგჯერ ერთი ან ორი სიტყვით, ზოგჯერ კი მთელი წინადადებით არის გამოხატული. გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ეფთვიმე არ თარგმნის ორიგინალის ტექსტის საკმაო მოცულობის მონაკვეთებს და მთელ ქვეთავებსაც კი. რასაკვირველია, ყოველი ამგვარი ნიმუშის განხილვისას აუცილებელია ნათლად წარმოჩნდეს, თუ რა მიზნით შეიძლება იყოს განპირობებული მთარგმნელისეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში. აშკარაა, რომ დედნისეული ტექსტის მთარგმნელისეული გავრცობა, კლება და თავისუფალი თარგმანი მიზნად ისახავს ორიგინალის ტექსტის გამარტივებას, განმარტებასა და ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით გადმოცემას, რათა ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ასკეტური ძეგლი ადვილად შესამეცნებელი იყოს მკითხველისთვის. არაერთ შემთხვევაში ნათლად იკვეთება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მთარგმნელისთვის, ორიგინალის ზოგჯერ უაღრესად რთული სინტაქსური წყობა ბუნებრივად მიუსადაგოს ქართულ ენას და გადმოსცეს ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითია. რაც შეეხება უშუალოდ კლების შემთხვევებს, ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში თითქმის ყოველთვის მიზნად ისახავს დედნისეული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არაიშვიათად იყენებს კლების მეთოდს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც, კონტექსტის მიხედვით, ამა თუ იმ სიტყვის, ფრაზის, ან დედნისეული ტექსტის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთის, ან თუნდაც მთელი ქვეთავის თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა.

დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს იმის ნათელსაყოფად, რომ სწორედ ამ პრინციპებით არის განპირობებული ეფთვიმესეული ჩარევა დედნისეულ ტექსტში და მისთვის დამახასიათებელი მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენება. სათანადო ნიმუშების მოტანისას ზოგიერთ შემთხვევაში წინადადების მხოლოდ იმ ნაწილს დავიმოწმებთ, რაც უშუალოდ აკლია ქართულ ტექსტს და არა მთლიან კონტექსტს.

Καὶ ἐπειδὴ μὴ τοσοῦτον τὰ ἐν τοῖς διηγήμασιν ὑποδείγματα δύναται πρὸς κατόρθωσιν ἀρετῆς ὅσον ἡ ζῶσα φωνὴ καὶ τὰ ἐνεργούμενα τῶν ἀγαθῶν ὑποδείγματα, ἀναγκαίως πρὸς τῷ τέλει τοῦ λόγου τοῦ θεοσεβεστάτου ἐπισκόπου καὶ πατρὸς ἡμῶν ἐπεμνήσθημεν, ὡς μόνου δυνατῶς ἔχοντος τὰ τοιαῦτα παιδεύειν (250,14-20).

„და ვინაჲთგან არა ესრეთ სურვიელ-ჰყოფენ კაცსა ძუელნი სათნოებისა სახენი, ვითარ ახლად ქმნილნი, ამისთჳს ჯეროვნად დასასრულისა კერძსა სიტყჳსასა ვაჴსენეთ სათნოებაჲ ებისკოპოსისა და მამისა ჩუენისაჲ, ვითარცა მხოლოჲ შემძლებელი ესევითარისა სწავლად“ (116,2,15-19).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის ὅσον ἡ ζῶσα

φωνῃ-ს („რამდენადაც ცოცხალ ხმას“), ხოლო თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს კონტექსტის მომდევნო ნაწილი: Καὶ ἐπειδὴ μὴ τοσοῦτον τὰ ἐν τοῖς διηγήμασιν ὑποδείγματα δύναται πρὸς κατόρθωσιν ἀρετῆς ὅσον ἡ ζῶσα φωνὴ καὶ τὰ ἐνεργούμενα τῶν ἀγαθῶν ὑποδείγματα, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „რადგან ნაუწყებ ნიმუშებს იმდენად არ ძალუძთ სათნოებაში წარმატებულ-გვყოს, რამდენადაც ცოცხალ ხმას და მოქმედებაში აღსრულებული სიკეთის ნიმუშებს“.

ვფიქრობთ, ეფთვიმესეული კლება მიზნად ისახავს ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც გამოტოვებული სიტყვების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა. ეფთვიმე ასევე არ თარგმნის ორიგინალის τοῦ θεοσεβεστάτου-ს („უღმრთისმსახურესისა“), რაც „ებისკოპოსთან“ ერთად მსაზღვრელის ფუნქციით არის გამოყენებული წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ. ჩვენი აზრით, აღნიშნული შესიტყვება („უღმრთისმსახურესი ებისკოპოსი“) უნდა უკავშირდებოდეს ეკლესიის უდიდეს ავტორიტეტს, წმ. ბასილი დიდს. ბერძნული τοῦ θεοσεβεστάτου-ს გამოტოვების მიზეზი, ერთი მხრივ, შეიძლებოდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ ჭეშმარიტი ეპისკოპოსი საკუთრივ ეპისკოპოსობის ხარისხით თანაბარია ნებისმიერ სხვა მართლმადიდებელ ეპისკოპოსთან და ყველა მათგანი „უღმრთისმსახურესია“, მეორე მხრივ, ეფთვიმე, შესაძლოა, მხედველობაში იღებდა იმ ფაქტს, რომ მის დროს ბასილი დიდის სახელი საყოველთაო დიდებით იყო მოსილი და მისდამი რაიმე აღმატებული ეპითეტის მოხმობა განსაკუთრებულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

დავიმოწმებთ კიდევ ერთ ნიმუშს მთარგმნელისეულ კლებასთან დაკავშირებით, რაც უკავშირდება ცალკეული თავების დასათაურებას: "Ὅτι ὁ ἑαυτὸν ἐκκαθάρας ἐν ἑαυτῷ τὸ θεῖον κάλλος κατόψεται· ἐν ᾧ καὶ περὶ τῆς τοῦ κακοῦ αἰτίας (254,21-22).

„და ვითარმედ რომელსა თავი თჳსი განეწმიდოს, იხილოს მას შინა საღმრთოჲ იგი შუენიერებაჲ“ (117,51-52).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ავტორის სიტყვებს: ἐν ᾧ καὶ περὶ τῆς τοῦ κακοῦ αἰτίας („ამავეში ბოროტების მიზეზის შესახებაც“). წმ. გრიგოლ ნოსელი მეთორმეტე თავის დასათაურებაში აღნიშნავს, რომ მასში გადმოცემულია სწავლება, ერთი მხრივ, ქალწულებითი ღვაწლითა და საღმრთო მოქალაქობით განწმედილი ადამიანის საღმრთო მშვენიერებასთან ზიარების, ხოლო მეორე მხრივ, ბოროტების მიზეზის შესახებ.

ვფიქრობთ, საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული აღნიშნული კლება, რამდენადაც მეთორმეტე თავში, როგორც ეს ორიგინალის შესაბამის მუხლშიც არის მინიშნებული, დიდი კაბადოკიელი მოძღვარი საგანგებოდ მსჯელობს ბოროტების მიზეზის შესახებაც. არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს ხელთ ჰქონოდა ისეთი რედაქცია,

რომელშიც აღნიშნული სიტყვები ასევე გამოტოვებული იყო. თუ ზემორე სიტყვები ეფთვიმეს მიერ შეგნებულად არის გამოტოვებული, ეს, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ მთარგმნელმა თავიდან აარიდოს მკითხველს შესაძლო გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ხსენებულ თავში თითქოსდა ორი სრულიად სხვადასხვა საკითხია მექანიკურად გამთლიანებული. მართლაც, ერთი მხრივ, საღმრთო მშვენიერებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ბოროტების მიზეზებზე ერთ თავში მსჯელობა მოუმზადებელი მკითხველისათვის, შესაძლოა, ძნელად აღსაქმელი ყოფილიყო.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Διὰ τοῦτο γὰρ οἶμαι καὶ τὴν πηγὴν τῆς ἀφθαρσίας αὐτὸν τὸν κύριον ἡμῶν Ἰησοῦν Χριστὸν μὴ διὰ γάμου εἰσελθεῖν εἰς τὸν κόσμον, ἵνα ἐνδείξηται διὰ τοῦ τρόπου τῆς ἐνανθρωπήσεως τὸ μέγα τοῦτο μυστήριον (266,11-14).

„რამეთუ მე ვჰგონებ, ვითარმედ ამისთჳს წყაროჲცა იგი უხრწნელებისაჲ – უფალი ჩუენი იესუ – არა ქორწინებისა მიერ შემოვიდა სოფლად, რაჲთა გამოაჩინოს თჳსითა განკაცებითა დიდი ესე საიდუმლოჲ“ (122,2,11-14).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: διὰ τοῦ τρόπου-ს („ამ სახით“), რაც უკავშირდება ქალწულისაგან მაცხოვრის შობის, ძე ღმერთის განკაცების საიდუმლოს. წმ. გრიგოლ ნოსელის აღნიშნული სიტყვები გულისხმობს შობის იმ განსაკუთრებულ წესს, სახესა და გვარს, რაც მხოლოდ იესო ქრისტესთან მიმართებით გამოვლინდა. ეფთვიმესეული კლება მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სიტყვები უფლის განკაცების შესახებ: „არა ქორწინებისა მიერ შემოვიდა სოფლად, რაჲთა გამოაჩინოს თჳსითა განკაცებითა დიდი ესე საიდუმლოჲ“, რაც ზედმიწევნითი სიზუსტით არის თარგმნილი ეფთვიმეს მიერ, გარკვეულწილად გულისხმობს გამოტოვებული სიტყვების აზრს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Νυνὶ δὲ ζηλωτὶ μὲν ὄντως καὶ πάσης εὐχῆς καὶ ἐπιθυμίας ἐπέκεινα πράττοντες, οἷς ἡ δύναμις τῶν ἀπολαύσεων τῶν ἀγαθῶν τούτων οὐκ ἀποκέκλεισται (274,21-24) („აწ კი ჭეშმარიტად მოშურნენი არიან [ამ სიკეთეთათვის] და ყოველგვარ სურვილსა და გულისთქმაზე მეტს იქმან ისინი, რომელთაც ძალა ამ სიკეთეთა ტკბობისა დახშული არა აქუთ“).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის აღნიშნულ წინადადებას (III,1), რაც განპირობებული უნდა იყოს როგორც წინა, ისე მომდევნო კონტექსტის გათვალისწინებით, სადაც გამოტოვებული სიტყვების აზრი ქალწულებითი, ანუ სამონაზვნო ღვაწლის უპირატესობის შესახებ, ისედაც ნათლად იკითხება.

დავიმოწმებთ კლების სხვა ნიმუშსაც, სადაც ტექსტის საკმაოდ ერ-

ცელი მონაკვეთია გამოტოვებული:

Βούλει, ἀπὸ τῶν ἡδίστων ἀρξώμεθα; Οὐκοῦν τὸ κεφάλαιον τῶν ἐν τῷ γάμῳ σπουδαζομένων τὸ κεχαρισμένης ἐπιτυχεῖν συμβιώσεως. Καὶ δὴ ταῦθ' οὕτως ἐχέτω καὶ διὰ πάντων μακαριστὸς ὑπογεγράφθω ὁ γάμος (276,6-10).

(„გსურს, რომ უტკბილესთაგან ვიწყოთ? ამრიგად, უმთავრესი, რისი მოსწრაფენიც არიან ქორწინებაში, ეს არის მიღწევა ბედნიერი თანაცხოვრებისა. დაე, ასე იყოს! და აღვწეროთ ყოვლითურთ სანეტარო ქორწინება“).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ზემოაღნიშნულ კონტექსტს, რაც, ვფიქრობთ, განპირობებულია სტილური ლაკონურობისკენ სწრაფვით. დამოწმებული კონტექსტი ერთ-ერთი საგულისხმო ნიმუშია იმისა, თუ როგორ ტოვებს მთარგმნელი ავტორისეულ წანამძღვარს, ზოგად მსჯელობას და უშუალოდ გადმოსცემს იმ სწავლებას, რაც არსებითი მნიშვნელობისაა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ამავე კონტექსტში გავრცობასაც მიმართავს, როდესაც მის მიერ გამოტოვებული მონაკვეთის ნაცვლად წერს: „რამეთუ იხილენ ბოროტნი მისნი: ვთქუათ, ვითარმედ“ (124,2,7), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთს შორის ბუნებრივი კავშირისა და მთლიანობის შენარჩუნებას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

'Αλλ' ὅρα τὴν τοῖς ἀπηριθμημένοις χρηστοῖς ἀναγκαίως συμπαροῦσαν καὶ ὑποσμύχουσαν λύπην. Οὐ λέγω τὸν τοῖς εὐδοκιμοῦσιν ἐπιφυόμενον φθόνον καὶ τὸ πρόχειρον εἶναι πρὸς ἐπιβουλὴν τῶν ἀνθρώπων τὸ δοκοῦν εὐημερεῖν ἐν τῷ βίῳ, καὶ ὅτι πᾶς ὁ μὴ ἰσομοιρῶν ἐν τῷ κρείττονι φυσικόν τι πρὸς τὸν ὑπερέχοντα τὸ μῖσος ἔχει· καὶ διὰ τοῦτο δι' ὑποψίας τοῖς δοκοῦσιν εὐθυμεῖν ὁ βίος ἐστί, πλείω τῶν ἡδέων τὰ λυπηρὰ παρεχόμενος (278,15-23).

„არამედ იხილე ამათ ყოველთა კეთილთა თანა აქავე შეერთებული მწუხარებაჲ, დაუტეო შური იგი სხუათამიერი, რომელი არს ესევითარსა მას ზედა, და ბრძოლათა, რომელნი სხუათა მიერ იყუნიან, ვითარ-იგი აქუს სოფელსა ჩუეულებაჲ და წესი“ (124,2,12-15).

აღნიშნული კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული კლების, მატებისა და პერიფრაზირებისა, რაც, მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. წარმოვადგენთ ზოგიერთ იმ სიტყვასა და წინადადებას, რაც ეფთვიმეს მიერ გამოტოვებულია: (...ἀναγκαίως..., ...ἀπηριθμημένοις..., ...ὑποσμύχουσαν..., ...εὐδοκιμοῦσιν..., ...ἐπιφυόμενον..., ...τὸ δοκοῦν εὐημερεῖν ἐν τῷ βίῳ, καὶ ὅτι πᾶς ὁ μὴ ἰσομοιρῶν ἐν τῷ κρείττονι φυσικόν τι πρὸς τὸν ὑπερέχοντα τὸ μῖσος ἔχει· καὶ διὰ τοῦτο δι' ὑποψίας τοῖς δοκοῦσιν εὐθυμεῖν..., ...πλείω τῶν ἡδέων τὰ λυπηρὰ παρεχόμενος...).

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ἡ γὰρ διηνεκὴς τοῦ θανάτου προσδοκία οὐκ ἐπὶ ῥητοῖς τισι σημείοις ἐπιγινωσκομένη, ἀλλὰ διὰ τὴν ἀδηλίαν τοῦ μέλλοντος

πάντοτε ὡς ἐνεστηκυῖα φοβοῦσα τὴν ἀεὶ παροῦσαν εὐφροσύνην συγχεῖ, τῷ φόβῳ τῶν ἐλπιζομένων τὰς εὐθυμίας ἐπιταράσσουσα. Εἰ γάρ ἦν δυνατὸν πρὸ τῆς πείρας τὰ τῶν πεπειραμένον μαθεῖν (280,8-13).

მთელი ეს მონაკვეთი, რომელშიც საუბარია გარდაუვალი სიკვდილის განუწყვეტელი მოლოდინის, გაურკვეველი მომავლისა და გამუდმებული შიშის შესახებ, რაც მწუხარებითა და ტკივილით ავსებს ყოველგვარ ამქვეყნიურ სიხარულსა და კეთილდღეობას, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ გამოტოვებულია (III,2).

ვფიქრობთ, აღნიშნული კლება მიზნად ისახავს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც ზემორე კონტექსტის აზრი ამ ასკეტური ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთებიდანაც ნათლად იკითხება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც, სადაც ასევე ერცელი მონაკვეთია გამოტოვებული მთარგმნელის მიერ:

Πόση φυλακὴ καὶ προμήθεια τοῦ μήποτε ταῖς ἀφύκτοις πάγαις ἐγκρατηθῆναι, ὧν τὴν δυσκολίαν οὐκ ἔστιν ἄλλως δι' ἀκριβείας μαθεῖν, μὴ ἐντὸς τῶν ἀρκύων γενόμενον. Εἴδες γὰρ ἄν, εἴπερ ἰδεῖν ἀκινδύνως ἐξῆν, πολλὴν τῶν ἐναντίων τὴν σύγχυσιν (280,16-21).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ტოვებს კონტექსტის პირველ წინადადებას: Πόση φυλακὴ καὶ προμήθεια τοῦ μήποτε ταῖς ἀφύκτοις πάγαις ἐγκρατηθῆναι, ὧν τὴν δυσκολίαν οὐκ ἔστιν ἄλλως δι' ἀκριβείας μαθεῖν, μὴ ἐντὸς τῶν ἀρκύων γενόμενον, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „რაგვარი დაცულობა და წინდახედულებაა [საჭირო], რომ არ შთავეკვეთოთ ძნელად განსარიდებელ ხაფანგში, რომლის სიძნელეც სხვაგვარად შეუძლებელია ზედმიწევნით იცოდეს ვინმემ, თუკი თავად არ აღმოჩნდება მის ხლართებში".

ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. იმის გათვალისწინებთ, რომ გამოტოვებული წინადადების აზრი მეტ-ნაკლებად იკითხება წინა კონტექსტში, აღნიშნული მონაკვეთის თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა, რის გამოც ეფთვიმემ მიმართა კლების მეთოდს. ამავე კონტექსტში ეფთვიმე არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას: εἴπερ ἰδεῖν ἀκινδύνως ἐξῆν, πολλὴν τῶ ἐναντίων τὴν σύγχυσιν („თუკი შესაძლებელი იყო უსაფრთხოდ დანახვა საწინააღმდეგოთა დიდი შერწყმისა"), რაც ასევე სტილური ლაკონურობის მიღწევის მიზნით უნდა იყოს განპირობებული, რამდენადაც აღნიშნული სიტყვები წანამძღვარს წარმოადგენს და კონტექსტის მიხედვით მისი თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οταν ἴδῃ ὁ νυμφίος τὸ ἀγαπώμενον πρόσωπον, εὐθὺς πάντως καὶ ὁ φόβος τοῦ χωρισμοῦ συνεισέρχεται· κἂν ἀκούσῃ τῆς ἡδίστης φωνῆς, καὶ τὸ μὴ ἀκούσεσθαί ποτε ἐννοήσει· καὶ ὅταν εὐφρανθῇ τῇ θεωρίᾳ τοῦ κάλλους,

τότε μάλιστα φρίττει τὴν προσδοκίαν τοῦ πένθους· ἐὰν τὰ τίμια τῇ νεότητι καὶ ὅσα παρὰ τῶν ἀνοήτων σπουδάζεται κατανοήσῃ, οἷον ὀφθαλμὸν τοῖς βλεφάροις λάμποντα καὶ ὀφρῦν περικεχυμένην τῷ ὄμματι καὶ παρειὰν ἐν ἡδεῖ καὶ γλαφυρῷ μειδιάματι καὶ χεῖλος ἐπηνθισμένον τῷ φυσικῷ ἐρυθήματι, κόμην τε χρυσομιγῆ καὶ βαθεῖαν τῷ ποικίλῳ τῆς ἐμπλοκῆς τῇ κεφαλῇ περιστίλβουσαν καὶ πᾶσαν τὴν πρόσκαιρον ἀγλαΐαν ἐκείνην, τότε πάντως, κἂν μικρὸν αὐτῷ προσῇ τοῦ λογίζεσθαι κἀκεῖνο τῇ ψυχῇ ἐννοεῖ ὅτι τοῦτο μὲν τὸ τοιοῦτον κάλλος οἰχήσεταί ποτε διαρρυὲν καὶ εἰς τὸ μὴ ὂν περιστήσεται, ὁστέα βδελυρά τε καὶ εἰδεχθῆ ἀντὶ τοῦ νῦν φαινομένου γενόμενον, οὐδὲν ἴχνος, οὐδὲν μνημόσυνον, οὐδὲν λείψανον τοῦ παρόντος ἄνθους ἐπιφερόμενον (280,24 – 282,41).

ორიგინალის ტექსტის ეს მონაკვეთი, რომელშიც დიდი კაბადოკიელი მოძღვარი მსჯელობს წუთისოფელში არსებულ ამქვეყნიურ ბედნიერებასა და სიხარულთან შეერთებული მწუხარების, ხორციელი სილამაზის წარმავლობისა და სხვადასხვა განსაცდელის შესახებ, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს მხოლოდ რამდენიმე წინადადებით, კლების მეთოდით აქვს გადმოცემული: „რამეთუ იხილამცა სოფლისა ამის საქმეთა შინა სიცილი, ცრემლთა თანა შეზავებული, და მწუხარებაჲ, სიხარულსა თანა შერთული, ყოველსავე საქმესა თანა სიკუდილი განმზადებული და ყოველსავე ჰასაკსა ზედა უწყალოდ მომავალი. და რომელი-იგი დღეს შუენიერ არნ და შუებულ, ხვალე სამარესა შინა საძაგელ და მყრალ და არარა ქმნილ არნ, არცა კუალი, არცა საჴსენებელი ჩან მისისა მის სიკეთისაჲ“ (124,3,10 – 125,16).

დედნისეულ ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად სახეზეა ორიგინალისაგან ფორმობრივად განსხვავებული თარგმანი, თუმცა წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების უმთავრესი აზრი შენარჩუნებულია. კლების ეს შემთხვევაც მიზნად უნდა ისახავდეს სტილურ ლაკონურობას.

ორიგინალისა და თარგმანის ტექსტობრივი ანალიზის შედეგად, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც იკვეთება ისეთი შემთხვევები, როდესაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის არამარტო რომელიმე სიტყვას ან წინადადებას, არამედ ბერძნული ტექსტის ვრცელ მონაკვეთებსაც კი. აღნიშნული კლება ეხება III თავის V-VI-VII ქვეთავებს, ასევე VIII ქვეთავის დასაწყის ნაწილს (8,1-13). ორიგინალის ტექსტის ეს ნაწილი მოიცავს ბერძნული გამოცემის 284,1-294,13 გვერდებს.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ გამოტოვებულ კონტექსტში დაწერილებით არის საუბარი იმ განსაცდელთა და სიძნელეთა შესახებ, რაც საერო ცხოვრებაში ვლინდება, კერძოდ, ხორციელ, მატერიალურ სიკეთეთა მსწრაფლწარმავლობაზე, ასევე იმ ტკივილსა და მწუხარებაზე, რაც, ჩვეულებრივ, თან სდევს ადამიანის ხანმოკლე ბედნიერებასა და სიხარულს ამ წუთისოფელში.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა, ვფიქრობთ, საჭიროდ აღარ მიიჩნია ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოეღო წმ. გრიგოლ ნოსელის ვრცელი მსჯელობა

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ნათლად იკითხება ამ ასკეტური ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთიდანაც. ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში ამ შემთხვევაშიც განპირობებული უნდა იყოს სტილური ლაკონურობისკენ სწრაფვით.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Καὶ εἰ βούλει μαθεῖν τὰ δυσχερῆ τοῦ κοινοτέρου βίου, ἄκουσον οἷα λέγουσιν αἱ τῇ πείρᾳ τὸν βίον γνωρίσασαι, ὅπως μακαρίζουσι τὴν ζωὴν τῶν ἐξ ἀρχῆς τὸν ἐν παρθενίᾳ βίον προελομένων καὶ μὴ διὰ συμφορᾶς μεταμαθόντων τὸ κάλλιον, ὅτι πάντων τῶν τοιούτων κακῶν ἀνεπίδεκτός ἐστιν ἡ παρθενία (294,13-18).

„და უკუეთუ გნებავს, რაჲთა სცნა ძნელოვნებაჲ ამის სოფლისაჲ, ისმინე, რასა იტყჳან, რომელნი საქმით გამოცდილ არიან საქმესა მას, ვითარ ჰნატრიან პირველითგან ქალწულებასა შინა დადგრომილთა და კუალად, რომელთა დაეტეოს იგი და განშორებულ იყვნენ“ (125,8,1-4).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: καὶ μὴ διὰ συμφορᾶς μεταμαθόντων τὸ κάλλιον („და არც უბედურების მიერ ისწაւლეს უმჯობესი“), ხოლო თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ამავე კონტექსტის დამაბოლოებელი წინადადება: ὅτι πάντων τῶν τοιούτων κακῶν ἀνεπίδεκτός ἐστιν ἡ παρθενία („რომ ყველა ამგვარი ბოროტების ვერმიმღებელია ქალწულება“), რის შესატყვისადაც ეფთვიმესთან გვაქვს: „და კუალად, რომელთა დაეტეოს იგი და განშორებულ იყვნენ“.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაშიც ეფთვიმესეული კლება მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც გამოტოვებული სიტყვების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Σὺ δ', εἰ βούλει μαθεῖν ὅπως ἐμπέπλησται τῶν τοιούτων κακῶν ἡ ἀνθρωπίνη ζωή, μή μοι ἀναλάβῃς τὰ παλαιὰ διηγήματα, ἃ τοῖς ποιηταῖς τῶν δραμάτων τὰς ὑποθέσεις ἔδωκε· μῦθοι γὰρ ἐκεῖνα διὰ τὴν ὑπερβολὴν τῆς ἀτοπίας νομίζονται (298,14 – 300,18).

„ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს ცნობად, თუ ვითარ აღვსებულ არს ბოროტითა ცხორებაჲ სოფლისაჲ, უკუეთუ გრწამს ძუელთა მათ თქუმულთაჲ, აღმოიკითხენ, რომელთა შინა ჰპოვნე“ (127,18-20).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას: ἃ τοῖς ποιηταῖς των δραμάτων τὰς ὑποθέσεις ἔδωκε· μῦθοι γὰρ ἐκεῖνα διὰ τὴν ὑπερβολὴν τῆς ἀτοπίας νομίζονται, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: „...რომელთაც პოეტებს მასალა მისცეს დრამებისათვის, რადგან ისინი ზღაპრებად მიიჩნევა შეუსაბამობათა [დაუჯერებელ ამბავთა] სიჭარბის გამო“. ეფთვიმესეული ჩარევა დედნისეულ ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც აღნიშნული წინადადების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა.

ქსტის ბოლო წინადადების დასაწყისს: πλοῦτοί τε καὶ τρυφαὶ καὶ πενίαι καὶ ἀπορίαι („სიმდიდრენი, განცხრომანი, სიგლახაკენი, შეჭირვებანი"), რაც, განპირობებულია წინა კონტექსტით, რომელშიც ეფთვიმეს მიერ გამოტოვებული ორიგინალისეული სიტყვების აზრი მეტ-ნაკლებად იკითხება. აღვნიშნავთ, რომ სხვა ნიმუშების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც სახეზეა ეფთვიმესეული კლება, რაც მიზნად ისახავს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὗτός ἐστι καὶ πᾶς ὁ τοιοῦτος ὁ ἐν σκότει διαπορευόμενος, καθώς φησιν ἡ γραφή, ὁ τῶν ἐν τῷ βίῳ τούτῳ ‹‹κακῶν ἐφευρετής›› (318,7-9).

„ეგევითარი და ყოველი მსგავსი მისი «ბნელსა შინა მავალ არს», ვითარცა წერილი იტყჳს" (132,5,6-7).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის კონტექსტის ბოლო ნაწილს: ὁ τῶν ἐν τῷ βίῳ τούτῳ κακῶν ἐφευρετής („«ბოროტებათა განმზრახველი» ხდება ამ ცხოვრებაში"), რომელშიც ციტირებულია წმ. პავლე მოციქულის სიტყვები: „ბოროტებათა განმზრახველი" (რომ. 1,30; შდრ. ათონამდელი, გიორგი მთაწმიდლისეული და ეფრემისეული რედაქციები: „მომპოვნებელ ბოროტისა")[1]. ეფთვიმემ, საკარაუდოდ, კონტექსტის გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნია, კლების მეთოდით გადმოეღო ორიგინალის ტექსტი, რამდენადაც დედნისეული „ბოროტებათა განმზრახველი" და „ბნელსა შინა მავალ არს" არსობრივად ერთი და იგივეა. საფიქრებელია, აღნიშნული სიტყვების უთარგმნელობის მიზეზი ისიც იყოს, რომ ორიგინალის კვალობაზე ეფთვიმეს მიერ თარგნილი სხვადასხვა ენების ჩამონათვალი, რაც მომდევნო კონტექსტში გვხვდება, მეტ-ნაკლებად გულისხმობს გამოტოვებული სიტყვების აზრს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τί οὖν ἐκ τούτων μανθάνομεν; Τὸ καθ' ὁμοιότητα τῶν ἁγίων ἀνδρῶν μηδενὶ τῶν βιωτικῶν πραγμάτων προσασχολεῖν τὴν διάνοιαν τὸν ἐπιθυμοῦντα τῷ θεῷ συναφθῆναι (342,41 – 344,44).

„ამას უკუე ვისწავებთ ამის ყოვლისაგან, რაითა არღარას სოფლისა საქმეთაგანსა შეაქცევდეს გონებასა თჳსსა, რომელსა სუროდის შეყოფად ღმრთისა" (139,1,40-42).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს ორიგინალის ტექსტის პირველი კითხვითი წინადადება: Τί οὖν ἐκ τούτων μανθάνομεν – გადმოაქვს თხრობითით: „ამას უკუე ვისწავებთ ამის ყოვლისაგან"; იქვე არ თარგმნის ბერძნულის ფრაზას: Τὸ καθ' ὁμοιότητα τῶν ἁγίων ἀνδρῶν-ს („მსგავსად ამ წმიდა კაცთა"), რაც, კონტექსტის მიხედვით, უნდა გულისხმობდეს წმ. ელია და წმ. იოანე წინასწარმეტყველებს. ეფიქრობთ, ამის

[1] პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები..., გვ. 9.

მიზეზი უნდა იყოს სტილური ლაკონურობისკენ სწრაფვა, რამდენადაც ქალწულებითი ცხოვრებისა და ასკეტური ღვაწლის პირველნიმუშებად დასახელებული ამ ორ უდიდეს წინასწარმეტყველზე არაერთგზისი მითითებაა წინა კონტექსტში.

დაეიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Βούλει καὶ δι' ἑτέρων ἐπιγνῶναι τὸ δόγμα (354,7-8) („გსურს, რომ სხვა [მაგალითებით] შეიცნო ეს მოძღვრება?“).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ზემორე წინადადებას, რაც, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ აღნიშნული წანამძღვრის თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი არ შეიცავს არსებითი მნიშვნელობის სწავლებას. ამასთან ერთად, ორიგინალში კითხვითი ფორმით გადმოცემული ზემორე სიტყვები, სტილური ნიშნით, გარკვეულწილად ორ ნაწილად ყოფს მომდევნო კონტექსტში ჩამოთვლილ კონკრეტულ ნიმუშებს.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, წინა კონტექსტთან ბუნებრივი კავშირისა და ტექსტის აზრობრივი მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, გავრცობის მეთოდსაც მიმართავს, რაც გამოხატულია შემდეგი სიტყვებით: „და კუალად“.

დაეიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ὁ δὲ παρελθὼν τῆς σωφροσύνης τὸ βάσιμον καὶ ὑπερπεσὼν τοῦ μέσου τῆς ἀρετῆς, οἷον κρημνῷ τινι «τῇ διδασκαλίᾳ τῶν δαιμόνων» ἐγκατηνέχθη «καυτηριάζων», καθώς φησιν ὁ ἀπόστολος, «τὴν ἰδίαν συνείδησιν» (354,20-356,24).

„და კუალად, რომელი მიდრკეს მეორესა კერძსა სიწმიდისასა და გარდაჰჭდეს საშუალობასა მისსა, იგი შთაეარდა «ეშმაკთა ზრახვასა» და «თჳსისა გონებისა დაშჯილებასა»“ (142,2,18-21).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის τῆς ἀρετῆς-ს („სათნოების“), რაც მსაზღვრელის ფუნქციით არის გამოყენებული დედნისეულ ტექსტში: τοῦ μέσου τῆς ἀρετῆς. როგორც ჩანს, ეფთვიმემ ბერძნულ ტერმინში კონკერტულად სიწმიდის სათნოება იგულისხმა და არა ზოგადად სათნოება, რის გამოც საჭიროდ აღარ მიიჩნია ხსენებული ტერმინის – τῆς ἀρετῆς – თარგმნა და ნაცვალსახელი „მისსა“ გამოიყენა კონკრეტული სათნოების, სიწმიდის, აღსანიშნავად. ამავე კონტექსტში ეფთვიმე არ თარგმნის წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებს: οἷον κρημνῷ τινι („როგორც რამ უფსკრულში“) და καθώς φησιν ὁ ἀπόστολος („როგორც მოციქული ამბობს“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც აღნიშნული სიტყვების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა.

დაეიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ἐπειδὴ τοίνυν διὰ τὸ τῆς φύσεως ἀσθενὲς οὐ παντός ἐστι τῆς εἰς τὰ τοιαῦτα συμμετρίας ἐπιτυγχάνειν, ἐπικίνδυνον δὲ τὸ ἔξω τοῦ μέτρου

παρεικχθέντα «εἰς ὕλην βυθοῦ» κατὰ τὸν ψαλμῳδὸν ἐμπαγῆναι, λυσιτελὲς ἂν εἴη, καθὼς ὑφηγεῖται ὁ λόγος, ἀπείρατον τῶν τοιούτων διαβιῶναι, ὡς ἂν μὴ τῇ προφάσει τῶν συγκεχωρημένων εἴσοδον λάβοι κατὰ τῆς ψυχῆς τὰ πάθη (362,36-42).

„და ვინაჲთგან უძლურებისათჳს ბუნებისა ჩუენისა ვერ ყოველთა ძალ-უც ესევითარსა მას საქმესა შინა ზომსა ზედა და ჯეროვანსა დგომაჲ, ხოლო გარდასლვაჲ საზომსა მას ბოროტ არს და «მორევსა მას უბსკრულისასა ქუეშე დამფარველ», ამისთჳს კეთილ არს და უმჯობეს მიერ განშორებაჲ და მოღებად ცხორებაჲ იგი ანგელოზებრივი მონაზონებისაჲ; და ნეტარ, თუ ყოვლადვე გემოჲცა არა იხილოს საქმისა მის გულისთქუმათაჲსაჲ ქორწინებისა მიერ, რაჲთა არა მიზეზითა მით შენდობილთა მათ საქმეთაჲთა პოვონ ენებათა შესაჲალი სულსა შინა“ (145,39-47).

აღნიშნული კონტექსტი ერთდროული მატებისა და კლების სიმპტომატური ნიმუშია. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: κατὰ τὸν ψαλμῳδὸν („მეფსალმუნის მიხედვით“), ასევე გამოტოვებულია ბერძნულის καθὼς ὑφηγεῖται ὁ λόγος („როგორც სიტყვა გვასწავლის“). ეფთვიმესეული ჩარევა დედნისეულ ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. გამომდინარე იქიდან, რომ კონტექსტის მიხედვით გამოტოვებული სიტყვების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ იყო, მან, წყაროზე ყოველგვარი მითითების გარეშე, უშუალოდ ის სწავლება გადმოსცა, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. საფიქრებელია, რომ ორიგინალის სიტყვების: καθὼς ὑφηγεῖται ὁ λόγος – უთარგმნელობის მიზეზი ისიც იყო, რომ აღნიშნულ ფრაზას, რაც მინიშნებაა წმიდა წერილზე, მკითხველისთვის შეიძლება გაერთულებინა კონტექსტი, რამდენადაც გამოტოვებული ფრაზის მომდევნო სიტყვები: ἀπείρατον τῶν τοιούτων διαβιῶναι, ὡς ἂν μὴ τῇ προφάσει τῶν συγκεχωρημένων εἴσοδον λάβοι κατὰ τῆς ψυχῆς τὰ πάθη – ზედმიწევნით ამგვარი ტექსტობრივი სახით წმიდა წერილში არ გეხვდება და მხოლოდ მის პერიფრაზს წარმოადგენს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τίς οὕτως ἔξω τῶν εὐαγγελικῶν μυστηρίων ἐστίν, ὡς ἀγνοεῖν ὅτι ἓν ὄχημα τῇ ἀνθρωπίνῃ ψυχῇ τῆς ἐπὶ τοὺς οὐρανοὺς πορείας ἐστί, τὸ τῷ εἴδει τῆς καταπτάσης περιστερᾶς ἑαυτὸν ὁμοιῶσαι, ἧς τὰς πτέρυγας γενέσθαι αὐτῷ καὶ Δαβὶδ ὁ προφήτης ἐπόθησεν (386,4 – 388,9).

„ვინ არს ესრეთ გარეგან საიდუმლოთა მათ სახარებისათა, რაჲთამცა უმეცარ იყო ამას, ვითარმედ ეტლ სულისა, ზეცად აღმყვანებელ, ესე არს, რაჲთა მიამსგავსოს თავი თჳსი, ძალისაებრ ბუნებისა ჩუენისა, სახესა მას ზეცით გარდამოსრულისა ტრედისასა, რომლისა ფრთეთა მოგებად სუროდა დავითსაცა“ (152,4,5-9).

მოცემულ კონტექსტში მთარგმნელისეული კლება მხოლოდ ერთი სიტყვითაა გამოხატული, კერძოდ, ეფთვიმე არ თარგმნის ორიგინალის ὁ προφήτης-ს („წინასწარმეტყველი“), რის შედეგადაც თარგმანში, ნაცვ-

ლად დავით წინასწარმეტყველისა – Δαβὶδ ὁ προφήτης – გვაქვს: „დავითსაცა“. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა საკმარისად მიიჩნია დავით წინასწარმეტყველის მხოლოდ სახელის დამოწმება, რაც მასთან მიმართებით ძველ ქართულ თარგმანებში ჩვეულებრივი მოვლენაა არა მხოლოდ ეფთვიმესათვის, არამედ სხვა მთარგმნელებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა ორიგინალის ტექსტში უმნიშვნელო ჩარევა, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აღნიშნული ნიმუშის დამოწმება იმის ნათელსაყოფად, რომ დიდი კაბადოკიელი მოძღვრის ასკეტური ძეგლის ძველ ქართულ თარგმანში მსგავსი შემთხვევებიც დასტურდება, როდესაც ეფთვიმესეული კლება, ისევე როგორც გავრცობა, მხოლოდ ერთი სიტყვის შემატებას ან დაკლებას გულისხმობს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὐκοῦν ὁ πάσης πικρίας καὶ σαρκικῆς δυσωδίας ἑαυτὸν ἀποστήσας καὶ πάντων τῶν ταπεινῶν τε καὶ χαμαιζήλων ὑπεραρθείς, μᾶλλον δὲ παντὸς τοῦ κόσμου γεγονὼς ὑψηλότερος ἐν τῷ προειρημένῳ πτερῷ, ἐκεῖνος εὑρήσει τὸ μόνον ἐπιθυμίας ἄξιον καὶ γενήσεται καὶ αὐτὸς καλὸς τῷ καλῷ προσπελάσας· καὶ ἐν αὐτῷ γεγονὼς λαμπρός τε καὶ φωτοειδὴς ἐν τῇ μετουσίᾳ τοῦ ἀληθινοῦ φωτὸς καταστήσεται (388,13-20).

„და ამისთჳს, რომელმან ყოველისაგანეე სიმწარისა და ჴორციელისა სიმყრალისა განაშოროს თავი თჳსი და ყოველთაგანეე მდაბალთა და ამაოთა საქმეთა ამაღლდეს და უფროსღა გარეგან ყოველისა სოფლისა იქმნას იგი, ბრწყინვალე და ნათლითშემოსილ იქმნების ზიარებითა ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲთა“ (153,14-18).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: ἐν τῷ προερημένῳ πτερῳ („ზემოთქმული ფრთით“), ისევე, როგორც მათ მომდევნო ფრაზას: ἐκεῖνος εὑρήσει τὸ μόνον ἐπιθυμίας ἄξιον καὶ γενήσεται καὶ αὐτὸς καλὸς τῷ καλῷ προσπελάσας („იგი ჰპოვებს ერთადერთ ღირსეულ გულისსათქმელს და თავადაც გახდება კეთილი კეთილთან მიახლოებით“), რაც, ეფიქრობთ, მიზნად ისახავს ბერძნული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც მათი თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა. ეფთვიმესეული ჩარევა დედნისეულ ტექსტში, ერთ შემთხვევაში, განპირობებული უნდა იყოს წინა კონტექსტის გათვალისწინებით, რომელშიც არაერთგზის არის გამოყენებული სიტყვები: „ფრთითა მით ზეცისაჲთა“, „ფრთეთა მოგებად“, რის გამოც, მან, ტავტოლოგიის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ არ მიიჩნია ზემოაღნიშნული სიტყვების თარგმნა. ხოლო რაც შეეხება კლების მეორე შემთხვევას („იგი ჰპოვებს ერთადერთ ღირსეულ გულისსათქმელს და თავადაც გახდება კეთილი კეთილთან მიახლოებით“), ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ ეფთვიმეს მიერ გამოტოვებული სიტყვების აზრი მეტ-ნაკლებად იკითხება კონტექსტის ბოლო წინადადებაში: „ბრწყინვალე და ნათლითშემოსილ იქმნების ზიარებითა ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲთა“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ἦν ἀποθέσθαι συμβουλεύει ὁ λόγος, οἷόν τινι ὕδατι τῷ καθαρῷ τῆς πολιτείας ἀποκλυσάμενον, ὡς ἂν περιαιρεθέντος τοῦ γηΐνου καλύμματος πάλιν τῆς ψυχῆς φανερωθῇ τὸ κάλλος (408,60-63).

„და აწ ჩუენი არს, უკუეთუ გუენებოს, რაჲთა მწყრე იგი, რომელი შემდგომად წმიდისა ნათლისღებისა მოვაწიეთ ჩუენ ზედა ცოდვათა მიერ, განვიბანოთ კუალად, ვითარცა წყლითა, კეთილითა მოქალაქობითა, რაჲთა აღგუეძარცოს მიწისაგანი იგი საბურველი და კუალად გამოჩნდეს სულისა სიკეთე“ (158,2,63-67).

აღნიშნული კონტექსტიც ეფთვიმესეული ერთდროული მატებისა და კლების სიმპტომატური ნიმუშია, რაც მიზნად უნდა ისახავდეს მკითხველისათვის ორიგინალის ტექსტის, ერთი მხრივ, მოკლედ, გამარტივებულად და ლაკონურად, ხოლო მეორე მხრივ, გავრცობის გზით, განმარტებითად გადმოცემას. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: ἦν ἀποθέσθαι συμβουλεύει ὁ λόγος („რის ჩამოცილებასაც გვირჩევს მოძღვრება“); გამოტოვებული სიტყვების ნაცვლად ეფთვიმე მიმართავს ორიგინალის ტექსტის გავრცობას კონტექსტის განმარტებითად გადმოცემის მიზნით, რის შედეგადაც თარგმანში სახეზეა საკმაოდ ვრცელი ჩანართი უფლის განკაცების, ჯვარცმის, აღდგომისა და ჯოჯოხეთში მყოფი მართალთა სულების აღმოყვანების, ასევე ღვთისადმი ადამიანის თავდაპირველი ხატების მაცხოვრის მიერ განახლებისა და, აგრეთვე, იმის შესახებ, რომ ჩვენზეა დამოკიდებული ნათლისღების შემდგომი ცოდვებისაგან განწმედაც სინანულის საიდუმლოთი და საღმრთო მოქალაქობით.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Καὶ καλῶς ἐστι τὸ ἀποστολικὸν εἰπεῖν ἐπὶ τούτῳ ὅτι «σῴζεται διὰ τῆς τεκνογονίας» ταύτης ἡ τῶν τοιούτων τέκνων μήτηρ εὐφραινομένη, καθὼς ἐν θείοις ὕμνοις ὁ ψαλμῳδὸς ἀνευφήμησεν εἰπών· «Ὁ κατοικίζων στεῖραν ἐν οἴκῳ μητέρα ἐπὶ τέκνοις εὐφραινομένην» (430,13-17).

„«და ცხონდების მის შვილიერებისა მიერ» ესევითართა მათ შვილთა დედაჲ სულიერი სიხარულით, ვითარცა თქუა საღმრთოთა მათ გალობათა შინა მეფსალმუნემან, ვითარმედ: «დაამკუდრის ბერწი სახლსა შინა მხიარულად, ვითარცა დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი»“ (162,3,14-17).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: Καὶ καλῶς ἐστι τὸ ἀποστολικὸν εἰπεῖν ἐπὶ τούτῳ ὅτι... („კარგია სამოციქულო სიტყვის თქმა იმის შესახებ, რომ...“). მთარგმნელი, წყაროზე მითითების გარეშე, უშუალოდ წმ. პავლე მოციქულის სწავლებას გადმოსცემს: „ცხონდების მის შვილიერებისა მიერ“ (I ტიმ. 2,15). ჩვენი აზრით, ამის მიზეზი უნდა იყოს ორიგინალის ტექსტში არსებული ორგზისი მითითება: ერთ შემთხვევაში „სამოციქულოზე“, ხოლო მეორე შემთხვევაში – „ფსალმუნზე“, რის გამოც ეფთვიმემ, კონტექსტის გამარტივებისა და სტილური ლაკონურობის მიზნით, საჭიროდ აღარ მიიჩნია ორივე მათგანის დამოწმება. საფიქრებელია, რომ ეფთვიმემ, კონტე-

ქსტიდან გამომდინარე, რომელშიც, ერთი მხრივ, გადმოცემულია სწავლება ქალწულებითი ღვაწლის უდიდესი მადლის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიემადლება ბერწს შვილმრავლობა, უპირატესობა მიანიჭა ფსალმუნზე მითითებას, რამდენადაც ციტირებული სიტყვები ზედმიწევნით თანხვდება დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწავლებას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τί δὲ ἄλλο τῶν τῆς ψυχῆς ἀγαθῶν οὕτω φανήσεται μέγα καὶ τίμιον, ὡς τῷ μεγαλείῳ τοῦ χαρίσματος τούτου παρισωθῆναι διὰ συγκρίσεως; (442,22 – 444,24).

„ანუ რაჲ პოვოს სხუაჲ საქმე ესრეთ დიდ და პატიოსან, რაჲთამცა დიდებულებასა მისსა თანა-შეესწორა?“ (166,28-30).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: τῶν τῆς ψυχῆς ἀγαθῶν – („სულის სიკეთეთა“); მთარგმნელმა აღნიშნული სინტაგმა შეცვალა ერთი ლექსიკური ერთეულით, კერძოდ, „საქმით“, რითაც გარკვეულწილად გაამარტივა სინტაქსურად რთული ბერძნული კონტექსტი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὐκ ἐμὸς ὁ λόγος, ἀλλ' αὐτῆς τῆς θείας φωνῆς· τὸ δόγμα φανερῶς γὰρ τῆς τοῦ κυρίου διδασκαλίας ἔστιν ἀκοῦσαι, ἐν οἷς διδάσκει τοὺς μαθητάς, ὡς ἄρνας λύκοις συναναστρεφομένους, μὴ περιστερὰς εἶναι μόνον, ἀλλ' ἔχειν τι καὶ τοῦ ὄφεως ἐν τῷ ἤθει (460,23-28).

„არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, არამედ თავადისა უფლისაჲ არს ბრძანებაჲ და ისმინეთ მისი, ვითარ ასწავლიდა თჳსთა მოწაფეთა, რაჟამს ვითარცა კრავნი შორის მგელთა იქცეოდინ, არა ტრედ ოდენ იყვნენ, არამედ გუელისაცა რაიმე აქუნდეს“ (172,26-29).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, ერთი მხრივ, თავისუფალი თარგმანის მეთოდს მიმართავს, როდესაც ორიგინალის სიტყვები: τῆς θείας φωνῆς („საღმრთო ხმისა“) გადმოაქვს როგორც „უფლისა“, ხოლო მეორე მხრივ, არ თარგმნის წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებს: φανερῶς („ნათლად“) და ἐν τῷ ἤθει („ჩვევად“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ბერძნული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც გამოტოვებული სიტყვების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა. იმის ნათელსაყოფად, რომ ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში მხოლოდ ფორმობრივ და არა შინაარსობრივ სხვაობას გულისხმობს, დავიმოწმებთ დედნისეული ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს: „არა ჩემია ეს სიტყვა, არამედ თავად საღმრთო ხმისა, რადგან ეს ბრძანება ნათლად ისმინება უფლის სწავლებიდან, როდესაც იგი ასწავლის თავის მოწაფეებს, რომ რაჟამს იქცეოდნენ როგორც კრავნი მგელთა შორის, არა მხოლოდ მტრედნი იყვნენ, არამედ გუელისაც რაღაც ჰქონდეთ ჩვევად“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εἰ δέ τινι βεβιασμένη καὶ ἀπρόσκολλος ἡ τοιαύτη τῆς ἱστορίας ἐκδοχὴ

φαίνεται, καὶ οὐ δέχεται πρὸς ὠφέλειαν ἡμῶν τὴν διὰ τῆς θαλάσσης θαυματοποιίαν ἀναγεγράφθαι, ἀκουσάτω τοῦ ἀποστόλου ὅτι «Ἐκείνοις μὲν συνέβαινε τυπικῶς, ἐγράφη δὲ πρὸς νουθεσίαν ἡμῶν» (484,40-45).

„რამეთუ, ვითარცა მოციქული იტყჳს, «მათ ზედა აღესრულა სახედ, ხოლო დაიწერა სასწაელელად ჩუენდა»“ (177,35-36).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის დამოწმებული კონტექსტის დასაწყისს: Εἰ δέ τινι βεβιασμένη καὶ ἀπρόσκολλος ἡ τοιαύτη τῆς ἱστορίας ἐκδοχὴ φαίνεται, καὶ οὐ δέχεται πρὸς ὠφέλειαν ἡμῶν τὴν διὰ τῆς θαλάσσης θαυματοποιίαν ἀναγεγράφθαι, რაც სიტყვა-სიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „თუკი ვინმეს ისტორიის ამგვარი განმარტება უჩნს იძულებითად და ძალდატანებითად და არ ეთანხმება იმას, რომ ჩვენი სარგებლობისათვის აღიწერა ის სასწაული, ზღვის გადალახვისას რომ მოხდა“. აღნიშნული კლება, ჩვენი აზრით, მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც წინა კონტექსტში არაერთგზისი მითითებაა ისრაელიანთა მიერ მეწამული ზღვის სასწაულებრივად გადალახვის შესახებ, რის გამოც გამოტოვებული მონაკვეთის თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εἰ οὖν ἀληθὴς ὁ λόγος – πάντως δέ ἐστιν ἀληθὴς διὰ τὴν ἐν αὐτῷ λαλοῦσαν ἀλήθειαν – οὐδὲν ἀπεικὸς καὶ γάμον διπλοῦν ἐννοεῖν ἑκατέρῳ τῶν ἐν ἡμῖν ἀνθρώπων πρόσφορόν τε καὶ κατάλληλον (492,5-8).

„და ვინაჲთგან ორკეცი არს კაცი, არა უჯერო არს, რაჲთა ორკეციცა ქორწინებაჲ გულისჴმა-ეყოთ: ერთი – გარეშისა კაცისაჲ და ერთი – შინაგან“ (180,1,4-6).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: Εἰ οὖν ἀληθὴς ὁ λόγος – πάντως δέ ἐστιν ἀληθὴς διὰ τὴν ἐν αὐτῷ λαλουσαν ἀλήθειαν („თუ ჭეშმარიტია ეს სიტყვა, ხოლო არის ყოველითურთ ჭეშმარიტი, რადგან მასში [ე. ი. სიტყვაში] მეტყველებს თავად ჭეშმარიტება“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც ეფთვიმემ, ზემოაღნიშნული წანამძღვარის გარეშე, უშუალოდ გადმოსცა წმ. გრიგოლ ნოსელის არსებითი მნიშვნელობის სწავლება ადამიანის ბუნების „ორკეცობასა“ (ორმაგობასა) და, მისგან გამომდინარე, „ორკეც“ (ორმაგ) ქორწინებასთან დაკავშირებით, რომელთა შორის უფრო აღმატებულად დიდი კაბადოკიელი მოძღვარი სულიერ, შინაგან ქორწინებას დაგვისახავს, ანუ იმგვარ ქორწინებას, როდესაც ზეციური სიძე თავად უფალია მისდამი სულიერად დაწინდულთათვის.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Μία γὰρ οὖσα τῷ γένει ἡ ἡδονή, καθὼς ἀκούειν ἔστι τῶν σωφῶν (504,8).

„რამეთუ ერთი არს ბუნებასა შინა გულისთქუმაჲ“ (183,1,7-8).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: καθὼς ἀκούειν ἔστι τῶν σωφῶν („როგორც გვსმენია ბრძენთაგან“), არამედ

§3. თავისუფალი თარგმანი, ანუ გერძნული ტექსტის ეფთვიმესეული გაქართულება

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მეთოდზე მსჯელობისას განსაკუთრებით აღინიშნება დედნისეული ტექსტის თავისუფალი თარგმანით გადმოღება, ქართული ენის ბუნებისადმი მისადაგება; ეს გულისხმობს ეფთვიმესეულ ჩარევას ორიგინალის ტექსტში როგორც გავრცობის, ასევე შემოკლების კუთხით. მთარგმნელი, უმრავლეს შემთხვევაში, მიზნად ისახავს კონტექსტის გამარტივებას, ხაზგასმას არსებითი მნიშვნელობის საკითხებზე, სტილურ ლაკონურობას. ეფთვიმესეული თავისუფალი თარგმანის მეთოდი ასევე ითვალისწინებს მთარგმნელისეულ ჩანართებს, დედნისეული სიტყვების შეცვლას სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით, სტილური ლაკონურობისკენ სწრაფვით განპირობებულ კლებას. არის შემთხვევები კითხვითი წინადადების თხრობითად გადაკეთებისა, ისევე როგორც მიმღეობური კონსტრუქციებისა – ზმნის პირიან ფორმებად, რაც ქართული ენისთვის უფრო ბუნებრივია.

მოვიტანთ თავისუფალი თარგმანის რამდენიმე ნიმუშს, სადაც ნათლად ვლინდება ტექსტის „გაქართულება", ანუ ეფთვიმესთვის დამახასიათებელი თავისუფალი თარგმანის პრინციპები.

Συνέσοως γὰρ ἡμῖν χρεία πολλῆς, δι' ἧς ἔστι γνῶναι τὴν ὑπερβολὴν τῆς χάριτος ταύτης, ἥτις συνεπινοεῖται μὲν τῷ ἀφθάρτῳ πατρί· ὃ δὴ καὶ παράδοξον ἐν πατρὶ παρθενίαν εὑρίσκεσθαι τῷ καὶ υἱὸν ἔχοντι καὶ δίχα πάθους γεννήσαντι. Τῷ δὲ μονογενεῖ θεῷ τῷ τῆς ἀφθαρσίας χορηγῷ συγκαταλαμβάνεται, ὁμοῦ τῷ καθαρῷ καὶ ἀπαθεῖ τῆς γεννήσεως αὐτοῦ συνεκλάμψασα· καὶ πάλιν τὸ ἴσον παράδοξον υἱὸς διὰ παρθενίας νοούμενος (262,1 – 264,8).

„რამეთუ ფრიადი მეცნიერებაჲ გჳღირს, რაჲთა გულისჴმა-ვყოთ გარდამეტებულებაჲ ამის მადლისაჲ, რომელი-იგი გულისჴმა-იყოფების უხრწნელსა მას თანა მამასა, რომელმან შვა უვნებელად დაუსაბამოჲ იგი ძჱ და სიტყუაჲ, და იხილვების მხოლოდშობილსა მას ძესა და ღმერთსა თანა, მომცემელსა მას უხრწნელებისასა, რამეთუ წმიდასა და უვნებელსა შობასა მისსა თანა გამობრწყინდა" (121,1,1-6).

აღნიშნული კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გაერცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს თავისუფალი თარგმანის მეთოდს, როდესაც ორიგინალის ფრაზა: ὃ δὴ καὶ παράδοξον ἐν πατρὶ παρθενίαν εὑρίσκεσθαι τῷ καὶ υἱὸν ἔχοντι καὶ δίχα πάθους γεννήσαντι („ამრიგად, საკვირველი ისაა, რომ ქალწულება განიჭვრიტება მამაშიც, რომელსაც ძეც ჰყავს, ვნების გარეშე შობილი") – გადმოაქცს შემდეგნაირად: „რომელმან შვა უვნებელად დაუსაბამოჲ იგი ძჱ და სიტყუაჲ". ეფთვიმემ, სტილური ლაკონურობის მიზნით, საჭიროდ აღარ მიიჩნია ეთარგმნა წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვები: ὃ δὴ καὶ παράδοξον ἐν πατρὶ παρθενίαν

εὑρίσκεσθαι τῷ καὶ υἱὸν ἔχοντι („ამრიგად, საკვირველი ისაა, რომ ქალწულება განიჭვრიტება მამაშიც, რომელსაც ძეც ჰყავს"), რამდენადაც ამის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა. ეფთვიმე აქვე გავრცობასაც მიმართავს, რაც ორი სიტყვის შემატებას გულისხმობს: „დაუსაბამოჲ" და „სიტყუაჲ", რის შედეგადაც თარგმანში ორიგინალის ტექსტისაგან ფორმობრივად მცირედით განსხვავებული მონაცემია, კერძოდ: „რომელმან შვა უვნებელად დაუსაბამოჲ იგი ძჲ და სიტყუაჲ". ასევე გაერცობის მეთოდით გადმოაქვს ეფთვიმეს მომდევნო წინადადებაც: Τῷ δὲ μονογενεῖ θεῷ τῷ τῆς ἀφθαρσίας χορηγῷ συγκαταλαμβάνεται, ὁμοῦ τῷ καθαρῷ καὶ ἀπαθεῖ τῆς γεννήσεως αὐτοῦ συνεκλάμψασα („[ქალწულება განიჭვრიტება ასევე] უხრწნელების მომნიჭებელ მხოლოდშობილ ღმერთში, რაც მის წმიდა და უვნებო შობასთან ერთად თანაგამობრწყინდა"), რის შედეგადაც თარგმანში ნაცვლად წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვებისა (შდრ. ინ.1,18): Τῷ μονογενεῖ θεῷ („მხოლოდშობილი ღმერთი"), გვაქვს: „მხოლოდშობილსა მას ძესა და ღმერთსა თანა". ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი სიტყვის („ძესა") შემატებას გულისხმობს (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ჩვენი კომენტარი, გვ. 92-93).

ამავე კონტექსტში ეფთვიმე ტექსტის გამარტივებისა და სტილური ლაკონურობის მიზნით არ თარგმნის ბოლო ფრაზას: καὶ πάλιν τὸ ἴσον παράδοξον υἱὸς διὰ παρθενίας νοούμενος („და კვლავ მსგავს გაკვირვებას იწვევს ის, რომ ძეც ქალწულებისაგან მოიაზრება"), რამდენადაც აღნიშნული ფრაზა, შესაძლოა, ერთი მხრივ, რთულად აღსაქმელი ყოფილიყო მკითხველისათვის, ხოლო მეორე მხრივ, გამომდინარე იქიდან, რომ გამოტოვებული სიტყვების აზრი კონტექსტში ისედაც იგულისხმება, მისი თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὐκοῦν καλῶς ἔχει τοὺς μὲν ἐγκωμιαστικοὺς λόγους ἐπὶ ταύτης ἐᾶν, ὡς ἀμήχανον ταῖς ὑπερβολαῖς τῆς ὑποθέσεως συνεπᾶραι τὸν λόγον, ὡς δέ ἔστι δυνατὸν ἀεὶ μεμνῆσθαι τοῦ θείου τούτου χαρίσματος καὶ ἐπὶ γλώττης ἔχειν τὸ ἀγαθόν, ὅπερ ἴδιον μὲν τῆς ἀσωμάτου φύσεώς ἐστι καὶ ἐξαίρετον, ὑπὸ φιλανθρωπίας δὲ θεοῦ καὶ τοῖς διὰ σαρκὸς καὶ αἵματος λαχοῦσι τὴν ζωὴν ἐχαρίσθη, ἵνα καταβληθεῖσαν τὴν ἀνθρωπίνην φύσιν ὑπὸ τῆς ἐμπαθοῦς διαθέσεως, ὥσπερ τινὰ χεῖρα τὴν τῆς καθαρότητος μετουσίαν ὀρέξασα, πάλιν ὀρθώσῃ καὶ πρὸς τὰ ἄνω βλέπειν χειραγωγήσῃ (266,1-10).

„და ამისთჳს კეთილ არს, რაჲთა შესხმისა სიტყუანი დავაცადნეთ მისთჳს, ვინაჲთგან შეუძლებელ არს სიმაღლესა თანა მისსა ამაღლებაჲ სიტყჳსა ჩუენისაჲ. არამედ, რაჲზომცა ოდენ ძალ-გუედვას, ვიჴსენებდეთ კეთილსა ამას სათნოებასა და მარადის ენასა ზედა და გულსა გუაქუნდეს იგი, რომელი-ესე თჳსი არს უჴორცოჲსა მის ბუნებისაჲ, ხოლო კაცთმოყუარებითა ღმრთისაჲთა მონიჭებულ არს ჩუენდაცა, რომელნი-ესე

ჴორცთა მიერ და სისხლთა შეერთებულსა ცხორებასა შინა ვიყოფებით, რაჲთა დაცემული კაცთა ბუნებაჲ[1] ვნებულისა გონებისა მიერ, ვითარცა ჴელი, მისცეს სათნოებაჲ ესე ქალწულებისაჲ და აღპმართოს და კუალად ზეცისა დიდებისა მიმართ მხედველ-ყოს“ (121,2,1-10).

დამოწმებული კონტექსტი ასევე საგულისხმო ნიმუშია ერთდროული მატებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ორიგინალის ფრაზა: τοῦ θείου τούτου χαρίσματος („ღვთის ამ მადლის...“), რის შედეგადაც თარგმანში სახეზეა ბერძნულისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „კეთილსა ამას სათნოებასა“. ამგვარად, ორიგინალის სინტაგმა: θείου τούτου χαρίσματος მთლიანად შეიცვალა, რაც მიზნად უნდა ისახავდეს დედნისეული სწავლების კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებას ქალწულების სათნოებასთან დაკავშირებით. საფიქრებელია ისიც, რომ ეფთვიმე, შესაძლოა, სარგებლობდა დღეისათვის ცნობილი ბერძნული ტექსტისგან განსხვავებული რედაქციით. ასევე თავისუფალი თარგმანის მეთოდს მიმართავს ეფთვიმე, როდესაც ორიგინალის ფრაზა: τὴν τῆς καθαρότητος μετουσίαν („სიწმიდესთან თანაზიარება“) გადმოაქვს შემდეგნაირად: „სათნოებაჲ ესე ქალწულებისაჲ“. დედნისეულ ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვები: „სიწმიდესთან თანაზიარება“ სწორედ ქალწულების სათნოებასთან თანაზიარებას გულისხმობს. ამავე კონტექსტში ეფთვიმე გავრცობის მეთოდსაც მიმართავს, როდესაც ორიგინალის ἐπὶ γλώττης („ენაზე“) გადმოაქვს შემდეგნაირად: „ენასა ზედა და გულსა“. სიტყვა „გული“ მთარგმნელისეული შენამატია, რითაც უფრო გაღრმავებულია აღნიშნული სწავლების გამომსახველობითი მხარე.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ὡς μακάριόν γε ἄν ἦν, εἰ μὴ οὕτως εἶχε μηδὲ τῇ ὑστεροβουλίᾳ τὸ καλὸν ἐγνωρίσαμεν (274,20-21).

„ნეტარ იყო, თუმცა არა ესრეთ იყო, და არცა შემდგომად საბრჭესა შთაჰკრისა გუეცნა კეთილი ესე“ (123,21-22).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს თავისუფალი თარგმანის მეთოდს, როდესაც ორიგინალის ფრაზა τῇ ὑστεροβουλίᾳ („გვიანმოწ-

[1] როგორც ვხედავთ, ეფთვიმეს სახელობითი ბრუნვით გადმოაქვს ის, რაც ბერძნულში აკუსატივშია წარმოდგენილი, თუმცა ქართულში მოსალოდნელი იყო მიცემითი ბრუნვა. ამგვარი ვითარება იმით აიხსნება, რომ ბერძნული აკუსატივი, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული, ჩვეულებრივ, სახელობითი ბრუნვით გადმოიცემა, რაც ზოგჯერ (ისევე როგორც წინამდებარე შემთხვევაში, გვ. 34, სქოლიო №1) აზრობრივ ხარვეზს ჰქმნის. ცხადია, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ წმ. გიორგი მთაწმიდელმა ეფთვიმესეული თარგმანის სახელობითი ბრუნვა მიცემითით შეცვალა.

ადინება", „გეიანმოსურვება", „გეიანგამზრახველობა") გადმოაქვს როგორც „შემდგომად საბრჴესა შთაჭრისა", რაც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის განმარტებითად თარგმნას, რამდენადაც ეფთვიმემ რთულად სათარგმნელ ბერძნულ კომპოზიტს ὑστεροβουλία შეუნაცვლა მკითხველისათვის შედარებით უფრო ადვილად აღსაქმელი „შემდგომად საბრჴესა შთაჭრისა", რითაც შესამჩნევად გაამარტივა ორიგინალის ტექსტი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Πότε ἡσθήσεται κατὰ ἀλήθειαν ὁ ταῦτα φρονῶν καὶ τοῖς δοκοῦσιν αὐτῷ παρεῖναι χρηστοῖς εὐφρανθήσεται (284,15-16).

„ოდესმცა მხიარულ იქმნა გული მისი საწუთროსა ამას ზედა, რომელი ამას კეთილად გულისჴმა-ჰყოფდეს და იცნას საქმე ამის სოფლისაჲ?" (125,4,11-13).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს აღნიშნული კონტექსტი, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „და როდისღა შეიგრძნობს ამგვართა მზრახველი ჭეშმარიტად და [როგორღა] განიხარებს იმით, რაც თანამყოფია მასთან და იმასთან, რაც კარგი ეჩვენება მას?".

აშკარაა, რომ ორიგინალში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა დედნისეულ ტექსტსა და თარგმანს შორის, თუმცა დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწავლების კონტექსტისეული აზრი და შინაარსი სრულად არის შენარჩუნებული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Μᾶλλον δὲ τί χρὴ μικρολόγως τοῦ τοιούτου βίου τὴν ἀτοπίαν ἐλέγχειν, ἐν μόναις μοιχείαις καὶ διαστάσεσι καὶ ἐπιβουλαῖς περιορίζοντας τὴν τῶν συμφορῶν ἀπαρίθμησιν (302,1-4).

„არამედ რად საჭმარ არს ესრეთ უნდოდ თქუმაჲ ესევითარისა მის ცხორებისაჲ – ბოროტთა და მრუშებათა ოდენ და კაცისკლვათა და სიკუდილთა მიერ გამოვაჩინებთ განსაცდელთა მისთა?" (128,1-3).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს აღნიშნული კონტექსტის ბოლო ნაწილი: ἐν μόναις μοιχείαις καὶ διαστάσεσι καὶ ἐπιβουλαῖς περιορίζοντας τὴν τῶν συμφορῶν ἀπαρίθμησιν („მხოლოდ მრუშობებით, დაპირისპირებებით და მზაკვრობებით შემოვსაზღვრაეთ უბედურებათა ჩამონათვალს?"), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის სწაელების გამკვეთრებას წუთისოფელში არსებულ სხვადასხვა განსაცდელთან დაკავშირებით.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Δοκεῖ γάρ μοι τῷ ὑψηλοτέρῳ καὶ ἀληθεστέρῳ λόγῳ πᾶσα ἡ τοῦ βίου κακία ἡ πᾶσι πράγμασι καὶ ἐπιτηδεύμασιν ἐνθεωρουμένη μηδεμίαν εὑρίσκειν ἀρχὴν κατὰ τῆς τοῦ ἀνθρώπου ζωῆς, εἴ τις ἑαυτὸν μὴ ὑπαγάγοι τῇ ἀνάγκῃ τοῦ βίου τούτου (302,4-7).

„რამეთუ მე ესრეთ ეჰგონებ, ვითარმედ ყოველი უკეთურებაჲ სოფლისა ამის, რომელი თითოსახედ ყოველთა შინა საქმეთა სოფლისათა

იპოების, ვერ ჰპოვებს ადგილსა კაცთა თანა, რომელი ჭეშმარიტად განეშოროს სოფელსა და ცხორებასა მას ამაოსა“ (128,4-7).

მოცემული კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გავრცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას: τῷ ὑψηλοτέρῳ καὶ ἀληθεστέρῳ λόγω („მაღალი და ჭეშმარიტი აზრით“), ისევე როგორც ბერძნულ სიტყვას – ζωῆς, რომელიც მსაზღვრელთან ერთად არის გამოყენებული, რის შედეგადაც თარგმანში ნაცვლად ორიგინალის სიტყვებისა: κατὰ τῆς τοῦ ἀνθρώπου ζωῆς („ადამიანის ცხოვრებაზე“), გვაქვს: „კაცთა თანა“. აღვნიშნავთ, რომ ეფთვიმეს მიერ გამოყენებულ სიტყვებს შინაარსობრივად იგივე დატვირთვა აქვს, რაც ბერძნულ სინტაგმას: „ადამიანის სიცოცხლე“. ეფთვიმე ამავე ფრაზაში ორიგინალის სიტყვას – ἀρχὴ („მიზეზი“, „დასაწყისი“, „ძალაუფლება“, „მთავრობა“) თარგმნის განსხვავებული ლექსიკური მონაცემით: „ადგილი“, რაც კარგად ესადაგება კონტექსტს, რამდენადაც წმ. გრიგოლ ნოსელის ფრაზა: „ცერავითარ ხელმწიფებას ვერ იქონიებს ადამიანის სიცოცხლეზე“, ისევე როგორც ეფთვიმესეული თარგმანი: „ვერ ჰპოვებს ადგილსა კაცთა თანა“ – აზრობრივად ერთი და იგივეა.

ასევე თავისუფალი თარგმანის მეთოდით არის გადმოღებული კონტექსტის ბოლო ფრაზა: εἴ τις ἑαυτὸν μὴ ὑπαγάγοι τῇ ἀνάγκῃ τοῦ βίου τούτου („თუკი ვინმე თავის თავს არ დაუქვემდებარებს ამ ცხოვრების ჭირს“), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „რომელი ჭეშმარიტად განეშოროს სოფელსა და ცხორებასა მას ამაოსა“. აშკარაა, რომ ორიგინალში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა ბერძნულ ტექსტსა და თარგმანს შორის, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების კონტექსტისეულ შინაარსზე, რაც სრულად არის შენარჩუნებული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ὄντως γὰρ ἐν σκότῳ βιοτεύουσιν οἱ «μετὰ τῶν σκηνωμάτων τούτων» τῇ ζωῇ παροικοῦντες· (314,16-17).

„რამეთუ ჭეშმარიტად ბნელსა შინა არიან ამათ ბოროტთა შინა «მწირქმნულნი იგი»“ (131,17-18).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ზემოაღნიშნული წინადადება, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „რადგან ჭეშმარიტად ბნელში მკვიდრობენ, «ამ კარვებითურთ» ცხოვრებაში მსხემნი“. საფიქრებელია, რომ ეფთვიმე ორიგინალის კონტექსტისეული სწავლების გამკვეთრების მიზნით მიმართავს აღნიშნულ მეთოდს, როდესაც დედნისეულ ფრაზას: «μετὰ τῶν σκηνωμάτων τούτων» τῇ ζωῇ παροικοῦντες („«ამ კარვებითურთ» ცხოვრებაში მსხემნი“) თარგმნის როგორც: „ამათ ბოროტთა შინა «მწირქმნულნი იგი»“, რის შედეგადაც, მართალია, სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა ბერძნულ ტექსტსა და თარგმანს შორის, თუმცა წმ. გრიგოლ

ნოსელის სიტყვების კონტექსტისეული შინაარსი ზედმიწევნით არის შენარჩუნებული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ἐπειδὴ οὖν ἅπαξ εἰσῆλθεν εἰς τὸν βίον ἡ ἀκολουθία τῶν τοιούτων παθῶν μίαν ὁρῶμεν ἐκ τῆς τῶν θεοπνεύστων γραφῶν συμβολῆς τὴν διέξοδον τούτων, τὸ χωρισθῆναι τοῦ τοιούτου βίου τοῦ συνημμένην ἔχοντος μεθ' ἑαυτοῦ τὴν τῶν ἀναιρῶν ἀκολούθησιν (322,1-5).

„და ვინაჲთგან ერთგზის შემოვიდა სოფელსა ამას მწყობრი ესე ბოროტთაჲ, ერთსა ვჰპოებთ, ვითარცა წმიდათა წერილთაგან შემოგუკრებიეს, განთავისუფლებასა მათგან, რაჲთა განეშოროს კაცი ესევითარისა მისგან ცხორებისა, რომელსა შეერთებულად აქუს თავსა თჳსსა თანა ბანაკი ესე ვნებათაჲ“ (133,6,1-5).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ორიგინალის ტექსტი, როდესაც ბერძნულ სიტყვას παθῶν („ვნებათა“) თარგმნის როგორც „ბოროტთაჲ“, რის შედეგადაც, ნაცვლად დედნისეული ფრაზისა: ἡ ἀκολουθία τῶν τοιούτων παθῶν („ამგვარ ვნებათა მწყობრი“), თარგმანში გვაქვს: „მწყობრი ესე ბოროტთაჲ“.

ვფიქრობთ, რომ ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად ისახავს კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებას, რაც გამოიხატა სიტყვა „ვნების“ უკეთური შინაარსის წარმოჩენაში.

ასევე ტექსტის თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოლების შედეგია ორიგინალის ფრაზის – μίαν ὁρῶμεν ἐκ τῆς τῶν θεοπνεύστων γραφῶν συμβουλῆς τὴν διέξοδον τούτων („ერთს ვხედავთ ღვთივსულიერ წერილთა რჩევის კვალობაზე ამათგან გამოსავალს“) – თარგმნა შემდეგნაირად: „ერთსა ვჰპოებთ, ვითარცა წმიდათა წერილთაგან შემოგუკრებიეს, განთავისუფლებასა მათგან“. საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ორიგინალის სიტყვებს: ἐκ τῶν θεοπνεύστων γραφῶν („ღვთივსულიერთა წერილთაგან“), მოცემულ კონტექსტში თარგმნის სხვა შესატყვისით, კერძოდ: „წმიდათა წერილთაგან“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ბერძნული ტექსტის გამარტივებას, რამდენადაც „ღვთივსულიერი“, რომელიც კომპოზიტური ტერმინია, შესაძლოა, უფრო რთულად აღსაქმელი ყოფილიყო მკითხველისათვის. ეფთვიმე ამავე კონტექსტში იყენებს ტერმინს – „შემოგუკრებიეს“, რაც ორიგინალის მეცნიერული პუბლიკაციის ძირითადი ტექსტის მიხედვით თითქოს შესატყვისად განიკუთვნებს συμβουλη-ს („რჩევა“). ასეთ შემთხვევაში ეფთვიმესეული „შემოკრება“ („შემოგუკრებიეს“) თავისუფალი თარგმანის ნიმუშად წარმოჩნდებოდა, მაგრამ ბერძნული ტექსტის ვარიანტული სხვაობების შესწავლამ ცხადყო, რომ ეფთვიმე, როგორც ჩანს, სარგებლობდა ორიგინალის იმ რედაქციით, რაც დაცულია XII-XIII სს-ის C ნუსხაში. მართლაც, ხსენებული ნუსხა[1]

[1] Codex Cantabrigiensis collegii Trinitatis gr. B. 9. I, membr., saec. XII-XIII.

სხვა ნუსხათა συμβουλη-ს ნაცვლად შეიცავს ტერმინს συμβολη, რაც სწორედ „შეკავშირებას“, „შემოკრებას“, „შეერთებას“ ნიშნავს და კარგად ესადაგება ზემომითითებულ ეფთვიმესეულ შესატყვისს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ταύτης ουν τῆς διανοίας καὶ τῆς ὑψηλῆς ἐπιθυμίας συνεργόν, καθὼς τῇ γραφῇ δοκεῖ, καὶ βοηθὸν τῶ ἀνθρώπῳ τὴν παρθενίαν δεδόσθαι φαμέν (330,1-3).

„ხოლო ამის საქმისა და მაღლისა მის და კეთილისა სურვილისა შემწედ კაცისა ვიტყჳ ქალწულებასა და მოღუაწებით ცხორებასა განშორებულად სოფლისაგან“ (135,9,1-3).

აღნიშნული კონტექსტი ასევე სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გაერცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ორიგინალის τῆς ὑψηλῆς ἐπιθυμίας („აღმატებულის სურვილის“) თარგმნის შემატების მეთოდით: „მაღლისა მის და კეთილისა სურვილისა“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას, რამდენადაც ბერძნული ფრაზის – „აღმატებული სურვილი“ – კონტექსტისეული მნიშვნელობა ღვთის უნივთო სიკეთეებისკენ სწრაფვას გულისხმობს. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ამავე კონტექსტში ერთი სიტყვით თარგმნის ბერძნულ συνεργον-სა და βοηθόν-ს, კერძოდ, „შემწედ“; არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას καθὼς τῇ γραφῇ δοκει („როგორც წერილი მიიჩნევს“), ხოლო თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს დედნისეული სიტყვები: καὶ βοηθὸν τῶ ἀνθρώπῳ τὴν παρθενίαν δεδόσθαι φαμέν („შემწედ ადამიანისა ქალწულების ბოძებულობას ვამბობთ“), რის შედეგადაც თარგმანში გვაქვს: „შემწედ კაცისა ვიტყჳ ქალწულებასა“. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად გარკვეული ფორმობრივი სხვაობა ბერძნულსა და თარგმანს შორის, წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების ძირითადი აზრი ეფთვიმეს მიერ სრულად არის შენარჩუნებული. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ეფთვიმე აქვე გავრცობასაც მიმართავს, როდესაც ორიგინალის ფრაზას – „შემწედ კაცისა ვიტყჳ ქალწულებასა“, კონტექსტის განმარტებითად გადმოცემის მიზნით, თარგმანში შემდეგ სიტყვებს უმატებს: „და მოღუაწებით ცხორებასა განშორებულად სოფლისაგან“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τί οὖν ἐκ τούτων μανθάνομεν; Τὸ καθ' ὁμοιότητα τῶν ἁγίων ἀνδρῶν μηδενὶ τῶν βιωτικῶν πραγμάτων προσασχολεῖν τὴν διάνοιαν τὸν ἐπιθυμοῦντα τῷ θεῷ συναφθῆναι. Οὐδὲ γάρ ἐστι δυνατὸν τὸν εἰς πολλὰ τῇ διανοίᾳ διαχεόμενον πρὸς θεοῦ κατανόησιν καὶ ἐπιθυμίαν εὐθυπορῆσαι (342,41-344,46).

„ამას უკუე ვისწავებთ ამის ყოვლისაგან, რაჲთა არღარას სოფლისა საქმეთაგანსა შეაქცევდეს გონებასა თჳსსა, რომელსა სუროდის შეყოფად ღმრთისა. რამეთუ არცა შესაძლებელ არს, რომლისა გონებაჲ

მრავალთა მიმართ საქმეთა განბნეულ იყოს, თუმცა იგი გულისჴმისყოფისა მიმართ და სურვილისა ღმრთისა წარემართა“ (139,1,40-45).

აღნიშნული კონტექსტი ასევე ერთდროული კლებისა და თავისუფალი თარგმანის აშკარა ნიმუშია. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ორიგინალის კითხვით წინადადებას – Τί οὖν ἐκ τούτων μανθάνομεν („და ამრიგად რას ვსწავლობთ მათგან?“) – თხრობითად თარგმნის: „ამას უკუე ვსწავებთ ამის ყოვლისაგან“; არ თარგმნის დედნისეულ სიტყვებს: Τὸ καθ' ὁμοιότητα τῶν ἁγίων ἀνδρῶν („მსგავსად იმ წმიდა კაცთა“), ხოლო ბერძნული βιωτικῶν-ის („ცხოვრებისეულთა“) შესატყვისად იყენებს განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულს – „სოფლისაგან“.

დედნისეულ ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა, რის შედეგადაც სახეზეა გარკვეული ფორმობრივი სხვაობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὐκοῦν καὶ ἡ σωφροσύνη μεσότης ἐστί, καὶ φανερὰς ἔχει τὰς ἐφ' ἑκάτερα πρὸς κακίαν παρατροπάς· (354,15-16):

„ეგრეთვე არს უკუე სიწმიდე საშუალი ორთა მათ კაპანთაჲ და ცხადად არიან ორკერძოვე მისნი კაპანნი“ (142,2,14-15).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ზემორე წინადადება, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „ასე რომ, საღი გონებაც [„სიწმიდე“] შუალედურობაა, რაც ნათელს ხდის ორივე მხრივ ბოროტებისკენ გადახვევას“. საფიქრებელია, ამის მიზეზი იყოს ის, რომ წინა კონტექსტში სიტყვა „ბოროტი“ არაერთგზის არის გამოყენებული „უკიდურესობის“ მნიშვნელობით, რის გამოც ეფთვიმემ, სტილური ლაკონურობიდან გამომდინარე, საჭიროდ აღარ მიიჩნია აღნიშნული სიტყვის გამეორება და ამჯობინა მის ნაცვლად შემოეტანა სახეობრივი შესატყვისი – „კაპანი“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εὐφραίνεται γὰρ ὡς ἀληθῶς ἡ παρθένος μήτηρ, ἡ τὰ ἀθάνατα τέκνα κυοφοροῦσα διὰ τοῦ πνεύματος, στεῖρα διὰ τὴν σωφροσύνην ὑπὸ τοῦ προφήτου ὠνομασμένη (430,17-20).

„რამეთუ ჭეშმარიტად იხარებს ქალწული იგი სული, რომელმან შვნის უკუდაინი იგი შვილნი სულისა წმიდისა მიერ, რომელი-იგი სიწმიდისათჳს და ქალწულებისა ბერწად წოდებულ არს წინაამსწარმეტყუელისა მიერ“ (162,3,18-20).

აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკვეთრი ტერმინოლოგიური სხვაობა ორიგინალის ტექსტსა და თარგმანს შორის, რაც გულისხმობს ეფთვიმეს მიერ ბერძნული სიტყვის – μήτηρ („დედა“) გადმოღებას სხვა ლექსიკური ერთეულით, კერძოდ „სული“-თ, რის შედეგადაც თარგმანში, ნაცვლად დედნისეული: ἡ παρθένος μήτηρ („ქალწული დედა“), გვაქვს: „ქალწული სული“.

საფიქრებელია, რომ ეფთვიმეს მკითხველისათვის ძნელად აღსაქმელად

წარმოუჩნდა ორიგინალის სახისმეტყველებითი სინტაგმა „ქალწული დედაჲ“, რაც შეცვალა უფრო გასაგები ფრაზით: „ქალწული სული“. ამავე კონტექსტში გავრცობის შემთხვევაც დასტურდება, როდესაც ეფთვიმე ორიგინალის სიტყვას σωφροσύνην („სიწმიდის“)[1] უმატებს „ქალწულებისა“. აღნიშნული მატება მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალში ნაგულისხმევი აზრის გამკვეთრებას, კერძოდ იმის ხაზგასმას, რომ ჭეშმარიტი სიწმიდე ყველაზე მეტად ქალწულებით ცხოვრებასა და ასკეტურ მოღვაწეობაში ვლინდება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Ὥσπερ γὰρ τοῦ ξίφους ἡ μὲν λαβὴ λεία καὶ εὐαφὴς καὶ περιεξεσμένη καὶ στίλβουσα καὶ τῷ τύπῳ τῆς παλάμης ἐμφυομένη, τὸ δὲ λοιπὸν σίδηρός ἐστι, θανάτου ὄργανον, φοβερὸν μὲν ἰδεῖν, φοβερώτερον δὲ εἰς πεῖραν ἐλθεῖν (436,8-12).

„ვითარცა ჴრმალი შესახებელად არს გლუ და ბრწყინვალე და წმიდა და ჰამო ნებსა ზედა, ხოლო პირი მისი არს ორღანოჲ სიკუდილისაჲ, საშინელ ხილვად და უსაშინელესი, რომელსა ეცეს“ (164,2,10-13).

ორიგინალში გვაქვს ხმლის ვადის აღმნიშვნელი სიტყვა ἡ λαβή, რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია სიტყვით: „შესახებელად“; ბერძნული στίλβουσα-ს („ბრწყინვალე“) თარგმანში ემატება „წმიდა“. დედნისეული სიტყვები: τῷ τύπῳ τῆς παλάμης ἐμφυομένη („ხელისგულის ფორმას მისადაგებული“) გადმოღებულია როგორც „ჰამო ნებსა ზედა“, რაც თავისუფალი თარგმანის შედეგია. ასევე თავისუფალი თარგმანის მეთოდს მიმართავს ეფთვიმე, როდესაც ორიგინალის ფრაზა: τὸ δὲ λοιπὸν σίδηρός ἐστι („ხოლო დანარჩენი რკინაა“) – გადმოაქცს შემდეგნაირად: „ხოლო პირი მისი“, რაც არსებითად ერთი და იგივეა, რადგან ორივე შემთხვევაში იგულისხმება ხმლის ბასრი პირი. ამავე კონტექსტში ეფთვიმეს ორიგინალის შესიტყვება – εἰς πεῖραν ἐλθεῖν („გამოცდილებამდე მისვლა“) – გადმოაქვს თავისუფალი თარგმანის მეთოდით, რის შედეგადაც სახეზეა დედნისეული ტექსტისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „რომელსა ეცეს“. ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებას, რამდენადაც ბერძნული ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანი: „გამოცდილებამდე მისვლა“, რაც გულისხმობს ხმლის ბასრი პირის მოქმედება'ში მოყვანას, შესაძლოა, მკითხველისათვის ძნელად აღსაქმელი ყოფილიყო.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

οὐδὲν διάστημα μεταξὺ ἑαυτοῦ καὶ τῆς παρουσίας τοῦ θεοῦ διὰ τῶν διὰ

---

[1] ტერმინი σωφροσύνη ძველ ქართულ ტექსტებში მრავალგვარად ითარგმნებოდა. ერთერთი გამოკვეთილი ტერმინოლოგიური შესატყვისია სწორედ „სიწმიდე“, რაც უძველესი დროიდან გვხვდება (იხ. ე. ჭელიძის შენიშვნა თარგმანზე: წმ. დიონისე არეოპაგელი, „სალუთო სახელთა შესახებ“, გზა სამეუფო, 1995, გვ. 6, შენ. 5).

μέσου γενεῶν ἐργαζόμενος. Εἶτα τὸ ἐξαίρετον τῶν ἐν τῇ ἀναστάσει καλῶν καὶ ἐν τῷ παρόντι καρποῦται βίῳ· (440,11-14).

„და არცა ერთისაღა იქმნ შუვაკედლობასა შორის თჳსსა და ქრისტეს მოსლვისა, შორის შემომავალთა მიერ მისგან ქორწინებითა ნათესავთა. და მერმე ამას ზედა უმეტესი იგი ყოველთა მათ აღდგომასა მას გამოჩინებადთა მათ კეთილთაჲ ამასვე ცხორებასა მოიგის“ (165,4,14-18).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი დედნისეულ ზოგად ტერმინს – „ღმერთი“ (τοῦ θεοῦ) – ცვლის „ქრისტეთი“, რის შედეგადაც ორიგინალის ფრაზის τῆς παρουσίας τοῦ θεου („ღმრთის მოსლვისა“) შესატყვისად თარგმანში გვაქვს: „ქრისტეს მოსლვისა“; ეფთვიმესეული ცვლა ამ შემთხვევაშიც მიზნად ისახავს დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას. აღნიშნული სწავლება უკავშირდება საკუთრივ განკაცებული ღმერთის, მაცხოვარის, იესო ქრისტეს (და არა, ცხადია, ყოვლადწმიდა სამების) მეორედ მოსვლას. ეფთვიმე ამავე კონტექსტში გავრცობასაც მიმართავს, როდესაც ბერძნულ ფრაზას διὰ τῶν διὰ μέσου γενεῶν („თაობათა შუამავლობით“) უმატებს „შემომავალთა... მისგან ქორწინებითა“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის ტექსტის განმარტებითად გადმოცემას. ასევე გავრცობის მეთოდს მიმართავს წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, როდესაც ბერძნულის τῇ ἀναστάσει („აღდგომასა“) გადმოაქვს როგორც „ყოველთა მათ აღდგომასა“. ამის მიზეზი უნდა იყოს ორიგინალში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტება მაცხოვრის მეორედ მოსვლის ჟამს კაცობრიობის საყოველთაო აღდგომასთან დაკავშირებით.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

μοιχὸς ἡ ὀργή, μοιχὸς ἡ πλεονεξία, μοιχὸς ὁ φθόνος, ἡ μνησικακία, ἡ ἔχθρα, ἡ βασκανία, τὸ μῖσος· καὶ πάντα ὅσα παρὰ τοῦ ἀποστόλου κατείλεκται ὡς «ἀντικείμενα τῇ ὑγιαινούσῃ διδασκαλίᾳ» μοιχῶν ἐστιν ἀπαρίθμησις (450,9-13).

„რამეთუ მემრუშე არს რისხვაჲ, მემრუშე არს ანგაჰრებაჲ, მემრუშე არს შური, ძჳრისჴსენებაჲ, მტერობაჲ, სიძულილი და ყოველნი იგი, რომელთა აღრაცხაჳს მოციქული, ეითარცა «წინააღმდგომნი ღმრთისმსახურებისანი», მემრუშეთა ბანაკნი არიან“[1] (169,12-15).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მოცემულ კონტექსტში არ თარგმნის ორიგინალის βασκανία-ს („ცილისწამება“); იქვე თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვები „სამოციქულოდან“ (I ტიმ. 1,10): ἀντικείμενα τῇ ὑγιαινούσῃ διδασκαλίᾳ („მოწინააღმდეგენი საღი სწავლებისა“), რის შედეგადაც თარგმანში სახეზეა ორიგინალისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „წინააღმდგომნი ღმრთისმსახურებისანი“. როგორც ვხედავთ, წმ. ეფთვიმე

[1] შდრ. რომ. 1,29-30.

მთაწმიდელი ციტირებულ სიტყვებს: τῇ ὑγιαινούσῃ διδασκαλίᾳ („საღი სწავლება“) – თარგმნის ტერმინით: „ღმრთისმსახურებისანი“, რაც ცხადყოფს, რომ ეფთვიმესთვის ჭეშმარიტად „საღი სწავლება“ სწორედ ღმრთისმსახურებაა. აღვნიშნავთ, რომ „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმანრედაქციებში წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვები წარმოდგენილია შემდეგნაირად: „სიცოცხლისა მოძღურებაჲ“ (ABCD), რაც ტერმინოლოგიურად ზედმიწევნითი თარგმანია ბერძნული τῇ ὑγιαινούσῃ διδασκαλίᾳ-სი.

ასევე თავისუფალი თარგმანის შედეგია ორიგინალის სიტყვების: μοιχῶν ἐστιν ἀπαρίθμησις („მემრუშეთა ჩამონათვალია“) გადმოღება შემდეგნაირად: „მემრუშეთა ბანაკნი არიან“. სიტყვა „ბანაკის“ ნაცვლად ორიგინალში დასტურდება სულ სხვა ტერმინი, კერძოდ, ἀπαρίθμησις („ჩამონათვალი“), თუმცა ეფთვიმესეული „ბანაკი“ კონტექსტისადმი მისადაგებულობის კუთხით ორიგინალის აზრთან შესატყვისობაშია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Τίς γὰρ ἐπίνοια συναρμόσει τὸ τῇ φύσει ἀλλότριόν τε καὶ ἀκοινώνητον; Ἄκουσον τοῦ αποστόλου μηδεμίαν «κοινωνίαν ειναι φωτὶ πρὸς σκότος» διδασκοντος η «δικαιοσύνη πρὸς ἀνομίαν» η συνελόντι φάναι πάντα, ὅσα ἐστὶν ὁ κύριος κατὰ τὴν διαφορὰν τῶν ἐν αυτῷ θεορουμένων νοούμενός τε καὶ ὀνομαζόμενος, πρὸς πάντα τὰ ἐν κακίᾳ κατὰ τὸ ἐναντίον νοούμενα (452,1 – 454,7).

„რამეთუ რომელმან ღონემან შეაერთოს ერთად ბუნებით უცხოჲ იგი და უზიარებელი? ისმინე მოციქულისაჲ, ვითარ იტყჳს, ვითარმედ: «არცა ერთი ზიარებაჲ არს ბნელისაჲ ნათლისა თანა, ანუ სიმართლისაჲ უშჯულოებასა თანა», ანუ რაჲთა მოკლედ ვთქუა – ყოველივე, რაჲცა არს უფალი, კეთილთა თანა შეერთებული, არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ“ (170,2,1-7).

აღნიშნული კონტექსტი სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული კლებისა და თავისუფალი თარგმანისა.

ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში გულისხმობს დამოწმებული კონტექსტის ბოლო წინადადების გადმოღებას თავისუფალი თარგმანისა და კლების მეთოდით. ორიგინალის ფრაზა: ὅσα ἐστὶν ὁ κύριος κατὰ τὴν διαφορὰν τῶν ἐν αυτῷ θεορουμένων νοούμενός τε καὶ ὀνομαζόμενος, πρὸς πάντα τὰ ἐν κακίᾳ κατὰ τὸ ἐναντίον νοούμενα („რაოდენიც არის უფალი, – მასში განჭვრეტილთა ნაირგვარობის შესაბამისად მოაზრებული და სახელდებული, – ყოველივე იმისადმი, რაც კი მის საპირისპიროდ ბოროტებაში მოიაზრება“) – ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „რაჲცა არს უფალი, კეთილთა თანა შეერთებული, არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. ეფთვიმე დედნისეულ სიტყვას ὅσα („რომლებიც“, „რაოდენიც“) თარგმნის განსხვავებული ლექსიკური მონაცემით, კერძოდ, „რაჲცა“, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ მკითხველის მიერ ღმერთი რაოდენობრივი

შინაარსით არ იყოს აღქმული. აღვნიშნავთ იმასაც, რომ დამოწმებული კონტექსტის თარგმნა ეფთვიმეს მიერ კლების მეთოდის გამოყენებასაც გულისხმობს, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების ძირითად შინაარსზე.

ამრიგად, ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევის შედეგად, მართალია, სახეზეა ბერძნულისაგან ფორმობრივად საკმაოდ განსხვავებული თარგმანი, მაგრამ დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სწავლების კონტექსტისეული აზრი ზედმიწევნით არის შენარჩუნებული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Εἰ δὲ μὴ φλυαρίαν τινὰ καὶ ἀδολεσχίαν τοῦ λόγου τις καταγνώσεται, εἰρήσεται καὶ καθ' ἕκαστον ὅπως ἄν τοῖς παροῦσιν αὐτῷ χρώμενος πρὸς τὸ συμφέρον αὑτῷ τὸν βίον οἰκονομήσειε (468,18-21).

„და უკუეთუ ვინ არა ცუდად შეპრაცხოს სიტყუაჲ ჩუენი, ვთქუათ თითოეულისათჳს, თუ ვითარ ვინ იჴმაროს უმჯობესისა მიმართ“ (174,2,14-15).

აღნიშნული კონტექსტი ასევე აშკარა ნიმუშია ერთდროული კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. ეფთვიმეს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ორიგინალის ტექსტი, რაც სიტყვასიტყვით ასე შეიძლება ითარგმნოს: „ვინმემ რომ არ გაკიცხოს ჩვენი სიტყვის ფუჭმეტყველება და ყბედობა, უნდა ითქვას სათითაოდაც, თუ როგორ უნდა განაგოს თითოეულმა თავისი ცხოვრების სარგებლობისათვის [ის ძალნი], რაც აქვს“.

თავისუფალ თარგმანთან ერთად სახეზეა კლების შემთხვევაც, როდესაც მთარგმნელი ბერძნულის სიტყვებს: φλυαρίαν („ფუჭმეტყველება“) და ἀδολεσχίαν („ყბედობა“) უნაცვლებს ერთ ლექსიკურ ერთეულს – „ცუდი“, ხოლო საერთოდ არ თარგმნის τὸν βίον-ს („ცხოვრების“).

აშკარაა, რომ ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში მიზნად ისახავს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რის შედეგადაც, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ნაწილობრივი ფორმობრივი სხვაობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, კონტექსტის დედნისეული აზრი და შინაარსი სრულად არის შენარჩუნებული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὐκοῦν προνοητέον ἡμῖν τῆς ἐν τούτοις εὐαρμοστίας, ἣν ἡ ἀληθὴς σωφροσύνη πέφυκεν ἐμποιεῖν ταῖς ἡμετέραις ψυχαῖς. Καὶ εἰ χρὴ τὸν τελεώτατον τῆς σωφροσύνης ὅρον σκοπῆσαι, τάχα τοῦτο σωφροσύνη κυρίως ἄν λέγοιτο, ἡ πάντων τῶν ψυχικῶν κινημάτων μετὰ σοφίας καὶ φρονήσεως εὔτακτος οἰκονομία (474,1-6).

„ამისთჳს უკუე თანა-გუაც, რაჲთა ვიზრუნოთ წესიერად განგებაჲ მათ ძალთაჲ, რომელსა ჭეშმარიტი მონაზონებაჲ და სიწმიდე მოგუატყუებს ჩუენ. რამეთუ «ჭეშმარიტად სიწმიდედ» ითქუმის ყოველთავე აღძრვათა სულისათა სიწმიდით და სიბრძნით განგებაჲ“ (175,4,1-4).

აღნიშნული კონტექსტი ასევე აშკარა ნიმუშია ერთდროული მატების, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. შედარებისათვის მოვიტანთ

ორიგინალის სიტყვასიტყვით თარგმანს: „ჭეშმარიტი გონიერება ჩვენს სულებში წარმოშობს სულის ძალთა კეთილად განგებას. თუკი საჭიროა განვჭვრიტოთ ყველაზე სრული განსაზღვრება გონიერებისა, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ზედმიწევნითი გაგებით, გონიერება — ეს არის ყოველგვარ სულიერ აღძრვათა [მოძრაობათა] სიბრძნით და გონებით კეთილშეწყობილი განგება“.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობას, როდესაც ორიგინალის სიტყვები: ἡ ἀληθὴς σωφροσύνη („ჭეშმარიტი სიწმიდე“) გადმოაქვს შემდეგნაირად: „ჭეშმარიტი მონაზონებაჲ და სიწმიდე“. მთარგმნელისეული ჩარევა დედნისეულ ტექსტში მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტში ნაგულისხმევი აზრის დაკონკრეტებას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ ჭეშმარიტი სიწმიდე, გონიერება, მთელი თავისი ღირსებით სწორედ ქალწულებით ღვაწლში, ანუ სამონაზვნო ცხოვრებაში ელინდება. ამავე კონტექსტში ეფთვიმე არ თარგმნის ორიგინალის ფრაზას: καὶ ει χρὴ τὸν τελεώτατον τῆς σωφροσύνης ὅρον σκοπῆσαι („თუკი საჭიროა განვჭვრიტოთ ყველაზე სრული განსაზღვრება გონიერებისა“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ბერძნული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც აღნიშნული ფრაზის თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა. აღვნიშნავთ იმასაც, რომ მთარგმნელს ორიგინალის φρονήσεως („გონებით“) გადმოაქვს განსხვავებული ლექსიკური ერთეულით კერძოდ, — „სიწმიდით“, რაც ძველ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში ეფთვიმემდე დამკვიდრებული ტერმინშესატყვისობის ასახვაა. ეფთვიმე იქვე არ თარგმნის ბერძნულ სიტყვას εὔτακτος („კეთილშეწყობილი“), რასაც დიდი კაბადოკიელი მოძღვარი იყენებს ადამიანის სულის ძალებთან [აღძრულობებთან] დაკავშირებით. ეფიქრობთ, მთარგმნელმა საჭიროდ აღარ მიიჩნია მისი თარგმნა, რამდენადაც სიტყვები „სიწმიდით და სიბრძნით განგებაჲ“ გულისხმობს გამოტოვებული ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Θαλάσσῃ τροπικῶς ὑπό τῆς παραβολῆς ὠνομασμένῳ· καθὼς καὶ ὁ ψαλμῳ δὸς ὀνομάζει, διδασκαλίαν ἐξομολογήσεως ἔν τινι τῶν ψαλμῶν ἡμῖν ὑφηγούμενος, τὸν ἄστατον τοῦτον καὶ ἐμπαθῆ καὶ ταραχώδη βίον «ὕδατα ψυχῆς ἀπτόμενα καὶ βάθη θαλάσσης καὶ καταγίδα»[1] καλῶν, ἐν ᾗ πᾶσα μὲν ἀποστατικὴ διάνοια καθ' ὁμοιότητα τῶν Αἰγυπτίων «ὡς λίθος εἰς τὸν βυθὸν καταδύεται[2]», ὅσον δὲ θεῷ φίλον καὶ διορατικὸν τῆς ἀληθείας ἐστίν, ὅπερ Ἰσραὴλ ὑπὸ τῆς ἱστορίας ὠνόμασται, τοῦτο μόνον ὡς ξηρὰν αὐτὴν διεξέρχεται[3] οὐδαμοῦ τῆς πικρίας καὶ τῆς ἅλμης τῶν βιωτικῶν κυμάτων συνεφαπτόμενον (480,20 — 482,30).

---

[1] ფს. 68,2-3.

[2] გამოსლვ. 15,5.

[3] შდრ. გამოსლვ. 14,22; ებრ. 11,29.

„რომელი-იგი იგავით «ზღუად» იწოდების, ვითარცა-იგი მეფსალმუნე იტყჳს სწავლასა მას შინა აღსარებისასა. რამეთუ დაუდგრომელსა მას შფოთითა სავსესა ცხორებასა «წყლად სულისა დამთქმელად და სიღრმედ ზღჳსა და ნიავქარად» სახელ-სდებს, რომელსა შინა ყოველი ბოროტისმოყუარე და განდგომილი გონებაჲ, მსგავსად მეგუპტელთაჲსა, ვითარცა «ლოდი დაინთქმის». ხოლო რომელი იყოს ღმრთისმოყუარე და მხილველ ჭეშმარიტებისა, რომელსა «ისრაელ» ეწოდების, რომელ არს «მხილველი ღმრთისაჲ», იგი მხოლოჲ წიალ-ვალს მას შინა, ვითარცა ჴმელსა, და არასადა ღელეთა მათ მიერ მწარეთა და მლაშეთა სოფლისათა დაინთქმის“ (176,5,16 – 177,25).

მოცემული კონტექსტი ასევე სიმპტომატური ნიმუშია ერთდროული გავრცობის, კლებისა და თავისუფალი თარგმანისა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი დედნისეულ სინონიმურ ტერმინებს: τροπικῶς და παραβολης თარგმნის ერთი ლექსიკური ერთეულით, კერძოდ, „იგავით“, რაც ორივე ტერმინის შინაარსს იტევს. იქვე არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: τινι τῶν ψαλμῶν („ერთ-ერთ ფსალმუნში“), რაც მიზნად უნდა ისახავდეს ბერძნული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც გამოტოვებული სიტყვების თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა, მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ როგორც ორიგინალის ტექსტში, ისე თარგმანში, წმ. გრიგოლ ნოსელის ფრაზა: „ვითარცა-იგი მეფსალმუნე იტყჳს სწავლასა მას შინა აღსარებისასა“ (καθὼς καὶ ὁ ψαλμῳδὸς ὀνομάζει, διδασκαλίαν ἐξομολογήσεως...) – ნათლად მიანიშნებს, რომ ციტირებული სიტყვები დაჳთ წინასწარმეტყველის „ფსალმუნიდან“ არის დამოწმებული.

ამავე კონტექსტში ეფთვიმე გავრცობის მეთოდსაც მიმართავს, როდესაც ორიგინალის ფრაზას: πᾶσα μὲν ἀποστατικὴ διάνοια („ყოველი განდგომილი გონება“) თარგმნის შემდეგნაირად: „ყოველი ბოროტისმოყუარე და განდგომილი გონებაჲ“. ეფთვიმემ ჰენდიადისის გზით თარგმნა ἀποστατικὴ, რითაც უფრო ნათლად გამოკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ „განდგომილი გონება“ იდენტურია „ბოროტისმოყვარე გონებისა“, რაც ღვთის სიკეთისაგან გაუცხოებას გულისხმობს. ამავე კონტექსტში ეფთვიმე არ თარგმნის ორიგინალის სიტყვას εἰς τὸν βυθὸν („სიღრმეში“), რამდენადაც ეფთვიმეს მიერ გამოყენებული ზმნა „დაინთქმის“ თავისთავად გულისხმობს სიღრმეში დანთქმას. ეფთვიმე ასევე არ თარგმნის ორიგინალის სიტყვებს: ὑπὸ τῆς ἱστορίας („ისტორიის მიერ“), რადგან კონტექსტის მიხედვით საკმაოდ აშკარაა, რომ დედნისეული „ისტორია“ მოცემულ შემთხვევაში წმიდა წერილს გულისხმობს და მისი თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს იქვე კომპოზიტის სახით გადმოაქვს ორიგინალის θεῷ φίλον („ღვთის მეგობარი“, შდრ. ფრანგ. ami de dieu), კერძოდ, როგორც „ღმრთისმოყუარე“; რაც შეეხება ტერმინს διορατικὸν („განმჭვრეტელობა“), მთარგმნელი მის შესატყვისად იყენებს განსხვავე-

ბულ ლექსიკურ ერთეულს, კერძოდ, „მხილველს“. აღნიშნული ტერმინი კიდევ ორგან გვხვდება ორიგინალში. ერთ შემთხვევაში გასუბსტანტივებული τὸ διορατικὸν თარგმნილია როგორც „შინაგანმხედველობაჲ“ (148,1,14), ხოლო მეორე შემთხვევაში ზედსართავი διορατικός გადმოტანილია ტერმინით „შინაგანმხედველი“ 151,1,8).

აშკარაა, რომ ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად ისახავს კონტექსტის გამარტივებას, განმარტებასა და სტილურ ლაკონურობას, რის შედეგადაც, მართალია, თარგმანი ფორმობრივად მცირედით სხვაობს ორიგინალის ტექსტისაგან, მაგრამ ზედმიწევნით არის შენარჩუნებული ნოსელისეული სწაელების ძირითადი აზრი და შინაარსი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Οὕτω τυπικῶς ὑπὸ καθηγεμόνι τῷ νόμῳ – τύπος δὲ ἦν ὁ Μωυσῆς τοῦ νόμου – καὶ ὁ Ἰσραὴλ τὴν θάλασσαν διεπέρασεν ἄβροχος, καὶ τούτῳ συνδιαπερῶν ὁ Αἰγύπτιος ὑποβρύχιος ἦν, ἑκάτερος ὑπὸ τῆς συμπαρούσης ἑαυτῷ διαθέσεως, ὁ μὲν κούφως διεξιών, ὁ δὲ εἰς βυθὸν καθελκόμενος (482,30-35).

„რამეთუ ესრეთსახედ წიაღ-ელო ისრაელმან ზღუაჲ წინამძღურებითა მოსესითა და მეგჳპტელი აღჴდა გზასა მას ზედა და დაინთქა თითოეული მის თანა მყოფისა გონებისაგან, რამეთუ ისრაელი სუბუქად ვიდოდა მას ზედა, ხოლო მეგჳპტელი უბსკრულად შთავიდოდა“ (177,26-29).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს თავისუფალი თარგმანის მეთოდს, როდესაც ორიგინალის ფრაზა: Οὕτω τυπικῶς ὑπὸ καθηγεμόνι τῷ νόμῳ – τύπος δὲ ἦν ὁ Μωυσῆς τοῦ νόμου – καὶ ὁ Ἰσραὴλ τὴν θάλασσαν διεπέρασεν ἄβροχος („ამ სახით რჯულის წინამძღოლის მიერ, – მოსე კი სახე იყო რჯულისა, – ისრაელმა წიაღველო ზღვა დაულტოლველად“) გადმოაქცს შემდეგნაირად: „რამეთუ ესრეთსახედ წიაღ-ელო ისრაელმან ზღუაჲ წინამძღურებითა მოსესითა“. ეფთვიმე არ თარგმნის დედნისეულ ἄβροχος-ს („დაუსველებელი“, „დაულტოლველი“), რამდენადაც, კონტექსტიდან გამომდინარე, ამის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა, ხოლო ტერმინ διαθέσεως-ს („სიყვარულისმიერი დამოკიდებულება“, „მოთვისეობა“, „განწყობა“) თარგმნის განსხვავებული ლექსიკური ერთეულით, კერძოდ, „გონებით“, რის შედეგადაც ნაცვლად ორიგინალის ფრაზისა: ἑκάτερος ὑπὸ τῆς συμπαρούσης ἑαυτῷ διαθέσεως, („თითოეული თანამყოფი განწყობის შესაბამისად“) – თარგმანში გვაქვს: „თითოეული მის თანა მყოფისა გონებისაგან“.

ასევე თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქცს ეფთვიმეს დამოწმებული კონტექსტის ბოლო ფრაზა, რის შედეგადაც ნაცვლად დედნისეული სიტყვებისა: ὁ μὲν κούφως διεξιών, ὁ δὲ εἰς βυθὸν καθελκόμενος („ერთი მსუბუქად გადადის, ხოლო მეორე სიღრმეში ეფლობა“) – თარგმანში სახეზეა ბერძნულისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი: „რამეთუ ისრაელი სუბუქად ვიდოდა მას ზედა, ხოლო მეგჳპტელი უბსკრულად შთავიდოდა“ ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად ისახავს კონტექსტისეული აზრის

დაკონკრეტებას, რამდენადაც მთარგმნელმა მისათითებელი ფუნქციის მქონე რიცხვითი სახელი შეცვალა შესაბამისი არსებითი სახელით, რითაც მკითხველს გაუმარტივა ხსენებულ რიცხვით სახელებში ნაგულისხმევის გაგება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Καίτοι παρ' οἷς εὐλογίας μέρει τὸ παιδοποιεῖν ἐσπουδάζετο καὶ νόμιμον ἦν, εἰ φανείη τίμιον τὸ τῆς παρθενίας χάρισμα, ἐκ πολλοῦ τοῦ περιόντος ἡμεῖς ταύτην τὴν σπουδὴν ἀσπασώμεθα οἱ οὐ κατὰ σάρκα τῶν θείων λογίων, ἀλλὰ πνευματικῶς ἐξακούοντες (488,23 – 490,27).

„რამეთუ უკუეთუ რომელთა თანა პატიოსან იყო შვილიერებაჲ და კურთხეულ და საძიებელ, უკუეთუ მათ შორის გამოჩნდეს ქალწულებაჲ, არა უფროჲსად ჩუენ მოსწრაფებით მოვიგოთა? იგი, რომელნი-ესე არა ჴორცელად, არამედ სულიერად ვისმენთ წერილისა სიტყუასა?!“ (178,19-23).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის ორიგინალის νόμιμον-ს („სჯულიერი“), სავარაუდოდ, იმის გამო, რომ თარგმანში, ბერძნულის კვალობაზე, გვაქვს სიტყვა „კურთხეულ“, რაც კონტექსტის მიხედვით იტევს გამოტოვებული სიტყვის მნიშვნელობასაც. ეფთვიმე ასევე არ თარგმნის ორიგინალის χάρισμα-ს („მადლი“), რომელიც სიტყვა „ქალწულებასთან“ არის გამოყენებული როგორც საზღრული: τὸ τῆς παρθενίας χάρισμα („ქალწულების მადლი“). საფიქრებელია, მთარგმნელმა სტილური ლაკონურობის მიზნით საჭიროდ აღარ მიიჩნია აღნიშნული სიტყვის თარგმნა, რამდენადაც „ქალწულება“ და „ქალწულების მადლი“ არსობრივად ერთი და იგივეა. იქვე დედნისეული სიტყვები: τῶν θείων λογίων-ს („საღმრთოთა სიტყუათა“) – თარგმნილია როგორც „წერილისა სიტყუასა“, რაც უნდა გულისხმობდეს ორიგინალისეული ზოგადი ცნების (θεῖος – „საღმრთო“) დაკონკრეტებას, ანუ იმის ხაზგასმას, რომ ხსენებული სწავლება წერილობით არის გადმოცემული.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

οὐδὲν ἀπεικὸς καὶ γάμον διπλοῦν ἐννοεῖν ἑκατέρῳ τῶν ἐν ἡμῖν ἀνθρώπων πρόσφορόν τε καὶ κατάλληλον· καὶ τάχα ὁ τολμήσας εἰπεῖν τὴν σωματικὴν παρθενίαν τοῦ ἔνδοθεν καὶ πνευματικοῦ γάμου συνεργὸν καὶ πρόξενον γίνεσθαι οὐ πόρρω τοῦ εἰκότος ἀποτολμήσει (492,7 – 494,11).

„და ვინაჲთგან ორკეცი არს კაცი, არა უჯეროჲ არს, რაჲთა ორკეცისა ქორწინებაჲ გულისჴმა-ვყოთ: ერთი – გარეშისა კაცისაჲ და ერთი – შინაგან, და რომელმან თქუას, თუ ჴორცთა სიწმიდე შინაგანსა მას ქორწინებასა შეეწევის, არარას გარეგან ჭეშმარიტებისა იტყჳს“ (180,1,4-8).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობის მეთოდს, როდესაც კონტექსტის დასაწყისი ფრაზა: οὐδὲν ἀπεικὸς καὶ γάμον διπλοῦν ἐννοεῖν („არ იქნება შეუსაბამო, რომ ქორწინებაც ორმაგი გულისხმავყოთ“) გადმოაქვს შემდეგნაირად: „და ვინაჲთგან ორკეცი არს კაცი, არა უჯეროჲ არს, რაჲთა ორკეცისა ქორწინებაჲ გულისჴმა-ვყოთ“. საფიქრებელია, ამის მიზეზი იყოს წინა კონტექსტში (492,5-6) წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვების: Εἰ οὖν ἀληθὴς ὁ λόγος πάντως δέ ἐστιν

ἀληθὴς διὰ τὴν ἐν αὐτῷ λαλοῦσαν ἀλήθειαν („ამრიგად, თუ ჭეშმარიტია სიტყვა, არის კი ყოვლითურთ ჭეშმარიტი, რადგან მის მიერ მეტყველებს ჭეშმარიტება") – გამოტოვება ეფთვიმეს მიერ, რაც მიზნად უნდა ისახავდეს დედნისეული ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას. იქვე, წინარე კონტექსტთან აზრობრივი კავშირის შესანარჩუნებლად, ეფთვიმე მიმართავს გავრცობის მეთოდს, რაც შემდეგი ფრაზის შემატებას გულისხმობს: „და ვინაჲთგან ორკეცი არს კაცი". ამავე კონტექსტში ეფთვიმეს ორიგინალის სიტყვები: τὴν σωματικὴν παρθενίαν („ხორციელი ქალწულება") გადმოაქვს როგორც „ჴორცთა სიწმიდე", რაც მიზნად ისახავს ბერძნული ტექსტის გამარტივებას, რამდენადაც წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ გამოყენებული ტერმინი: „ხორციელი ქალწულება" – მწიგნობრული ფრაზაა და ეფთვიმემ საჭიროდ მიიჩნია მისი თარგმნა განსხვავებული ლექსიკური მონაცემით, კერძოდ როგორც „ჴორცთა სიწმიდე". ამავე კონტექსტში ეფთვიმე კლების მეთოდსაც მიმართავს, როდესაც ორიგინალის სიტყვებს: τοῦ ἔνδοθεν καὶ πνευματικου („შინაგანი და სულიერი") თარგმნის ერთი ტერმინით: „შინაგანი". საფიქრებელია, ეფთვიმემ საჭიროდ აღარ მიიჩნია ცალკე ეთარგმნა ბერძნული πνευματικοῦ („სულიერი"), რადგან მოცემულ კონტექსტში ტერმინი „შინაგანი", ცხადია, იტევს გამოტოვებული სიტყვის მნიშვნელობას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

σωφρονούντων ἂν εἴη μήτε διαμαρτεῖν τῆς ἐκλογῆς τοῦ συμφέροντος μήτε τὴν ἐπὶ τοῦτον ἄγουσαν ὁδὸν ἀγνοῆσαι, ἣν οὐκ ἔστιν ἄλλως ἢ διὰ τοιαύτης τινὸς ἀναλογίας μαθεῖν (496,14-17).

„ესე არს კაცთა ბრძენთა საქმე, რაჲთა არა მოვსწყდეთ უმჯობესისა მის გამორჩევასა და არცა უფლისა მიმყვანებელსა გზასა უმეცარ ვიქმნეთ, რომლისა პოვნაჲ ესრეთ იქმნების" (181,3,13-16).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს თავისუფალი თარგმანის მეთოდს, როდესაც ორიგინალის სიტყვები: ἢ οὐκ ἔστιν ἄλλως ἢ διὰ τοιαύτης τινὸς ἀναλογίας μαθεῖν („სხვაგვარად არ ისწავლება, თუ არა რაღაც ამგვარი რამ ანალოგიის გზით") – გადმოაქვს შემდეგნაირად: „რომლისა პოვნაჲ ესრეთ იქმნების". ეფთვიმემ საჭიროდ აღარ მიიჩნია სიტყვა-სიტყვით ეთარგმნა წმ. გრიგოლ ნოსელის წანამძღვარი და უშუალოდ გადმოსცა სწავლება ადამიანის ორმაგ ქორწინებასთან დაკავშირებით, რომელთაგან დიდი კაბადოკიელი მოძღვარი უფრო აღმატებულად სულიერ ქორწინებას დაგვისახავს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Γένους δὲ σεμνότητα οὐ κατὰ τὴν αὐτόματον συντυχίαν πολλοῖς καὶ τῶν φαύλων προσοῦσαν κἀκεῖνος ἔχειν φιλοτιμήσεται, ἀλλὰ τὴν πόνῳ καὶ σπουδῇ δι' οἰκείων κατορθωμάτων προσγινομένην, ἣν μόνοι αὐχοῦσιν οἱ τοῦ φωτὸς υἱοὶ καὶ τέκνα θεοῦ καὶ «τῶν ἀφ' ἡλίου ἀνατολῶν εὐγενεῖς» διὰ τῶν ἔργων τῶν φωτεινῶν χρηματίζοντες (498,11-17).

„ხოლო ნათესაობისა პატიოსნობაჲ – არა ამაოჲ ესე და თჳთმოსრუ-

ლი, რომელი მრავალთა უკეთურთაცა აქუს, არამედ რომელი-იგი შრომითა და მოსწრაფებითა თჳსთა სათნოებათაგან მოგებულ იყოს, რომელი მათ ხოლო აქუს, რომელნი არიან ძე ნათლისა და შვილ ღმრთისა და «ნათესავ დიდებულ აღმოსავალით მზისა» პატიოსნებისათჳს და სინათლისა საქმეთა მათთაჲსა" (181,4,10-15).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ორიგინალის συντυχίαν-ს („შემთხვევითობა", „კეთილბედობა"), თარგმნის განსხვავებული ლექსიკური ერთეულით: „ამაოჲ", ხოლო ბერძნული სიტყვის – ἀυχοῦσιν-ის („ქადება") – შესატყვისად იყენებს ზმნას „აქუს". ამავე კონტექსტში წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებულ სიტყვებს წმიდა წერილიდან (იობი 1,3): τῶν ἀφ' ἡλίου ἀνατολῶν εὐγενεῖς – ეფთვიმე თარგმნის შემდეგნაირად: „ნათესავ დიდებულ აღმოსავალით მზისა". აღნიშნული მუხლი იობის წიგნის ძველ ქართულ რედაქციებში წარმოდგენილია შემდეგი თარგმანით: „აზნაური მზისა აღმოსავლისათაგანი". უაღრესად საინტერესოა, რომ ეფთვიმე გვაწვდის ბერძნული εὐγενεῖς-ის ახალ ტერმინოლოგიურ შესატყვისს: „ნათესავ დიდებულ".

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

Καὶ τίς ἂν διεξέλθοι πάντα τὰ τοιαῦτα πτώματα, εἰς ὅσα ἐκφέρεται τῷ μὴ θέλειν τοῖς κατὰ θεὸν εὐδοκιμοῦσι προστίθεσθαι; Ἐκ τούτων γὰρ ἔγνωμεν καὶ τοὺς τῶ λιμῶ μέχρι θανάτου ἐγκαρτεροῦντας, ὡς «τοῦ θεοῦ ταῖς τοιαύταις εὐαρεστουμένου θυσίαις», καὶ πάλιν ἄλλους ἐκ διαμέτρου πρὸς τὸ ἐναντίον ἀποστατήσαντας, οἳ μέχρις ὀνόματος τὴν ἀγαμίαν ἐπιτηδεύσαντες οὐδὲν διαφέρουσι τοῦ κοινοῦ βίου (538,1-7).

„და ვითარ ვინ წარმოთქუნეს ყოველნი იგი ესევითარნი დაცემანი, თუ რავდენთა ბოროტთა წინამძღუარ იქმნების განუკითხველობაჲ და თჳსსა ნებასა შედგომაჲ, რამეთუ ამისგან გუცნობიენ ვიეთნიმე, რომელნი შიმშილსა შინა დაადგრეს ვიდრე სიკუდილამდე და ჰგონებდეს, თუ «სთნავს ღმერთსა ესევითარი მარხვაჲ». და კუალად სხუანი თჳსთა ნებათა შედგომითა მეორესა კერძსა მიდრკეს, რამეთუ სახელად ოდენ მოიგეს მონაზონებაჲ და უქორწინებელობაჲ და არარაჲთა უმეტეს იქმნეს ერისა კაცთასა" (189,4,1-8).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს თავისუფალ თარგმანს, როდესაც დედნისეული სიტყვები: εἰς ὅσα ἐκφέρεται τῷ μὴ θέλειν τοῖς κατὰ θεὸν εὐδοκιμοῦσι προστίθεσθαι („არ სურთ შეუერთდნენ მათ, რომლებიც ღმერთს სათნო-ეყვნენ") – გადმოაქვს შემდეგნაირად: „თუ რავდენთა ბოროტთა წინამძღუარ იქმნების განუკითხველობაჲ და თჳსსა ნებასა შედგომაჲ". ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის კომენტირებულად, განმარტებითად გადმოცემას, კერძოდ, იმის ხაზგასმას, რომ ასკეტურ მოღვაწეობაში თვითრჯულობა და თვითნებობა დაცემის მიზეზი ხდება. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ფორმობრივი სხვაობა ორიგინალსა და თარგმანს შორის, წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლების უმთავრესი აზრი ეფთვიმეს მიერ შენარჩუნებულია.

§4. ციტატები წმიდა წერილიდან

წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტურ ძეგლში დამოწმებული სიტყვები წმიდა წერილიდან უაღრესად საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, თუ როგორია წმ. ეფთვიმე ათონელის, როგორც ღვთისმეტყველისა და მთარგმნელის, დამოკიდებულება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან ციტირებულ სიტყვებთან, ანუ რამდენად ვრცელდება მისთვის დამახასიათებელი თავისუფალი თარგმანის მეთოდი წმიდა წერილის ციტაციაზე და თუ ვრცელდება, რა მოცულობით და რა მიზანდასახულობით.

წმ. გრიგოლ ნოსელი არაიშვიათად ახდენს წმიდა წერილის ციტირებას, რაც მიზნად უნდა ისახავდეს დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ გადმოცემული სხვადასხვა სწავლების გამყარებას ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე დაყრდნობით.

ეკლესიის მამებთან საკმაოდ ხშირია წმიდა წერილის ამა თუ იმ მუხლის დამოწმება არა სიტყვასიტყვით, არამედ პერიფრაზირებულად, რაც, ბუნებრივია, ყოველთვის იდენტური არ არის წმიდა წერილის ტექსტისა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ჯერ იმის გარკვევა, თუ რამდენად თანხვდება თხზულების ავტორის მიერ მოტანილი ციტატი წმიდა წერილის შესაბამის მუხლს, ხოლო თუ მათ შორის გარკვეული სხვაობაა, როგორია მთარგმნელის პოზიცია: მიჰყვება იგი უშუალოდ თხზულების ავტორს, ანუ გვაწვდის სიტყვასიტყვით თარგმანს, თუ პერიფრაზირებულად გადმოაქვს ტექსტი; მიმართავს თუ არა შემატება-კლებისა და თავისუფალი თარგმანის მეთოდს ისევე, როგორც დანარჩენი ტექსტის ფარგლებში აკეთებს ამას; ითვალისწინებს თუ არა ძველ ქართულ ენაზე უკვე არსებულ ბიბლიურ თარგმანებს, თუ თავად ქმნის ახალ რედაქციას; უმნიშვნელოდაც კი არ ცვლის წმიდა წერილის ტექსტს, თუ ამ ტექსტსაც საკუთარი მიზანდასახულობით, კონკრეტულად ამ ნაშრომის წინაშე დასმული ამოცანისთვის, იყენებს.

კვლევამ აჩვენა, რომ არაიშვიათად სიტყვები წმიდა წერილიდან უცვლელად არის გადმოღებული აღნიშნულ თარგმანში. ეფთვიმე ზოგჯერ მიმართავს გავრცობას საკუთრივ წმიდა წერილზე დაყრდნობით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იგი არ თარგმნის ციტირებულ სიტყვებს; ეს, უმეტეს შემთხვევაში, მაშინ ხდება, როდესაც, კონტექსტის მიხედვით, ამის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა. წმიდა წერილიდან ციტირებულ სიტყვებთან მიმართებით ასევე გამოიკვეთა ეფთვიმეს მიერ თავისუფალი თარგმანის მეთოდის გამოყენებაც, ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც იგი თავად ქმნის ახალ რედაქციას, რის გამოც ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ამა თუ იმ მუხლის მისეული თარგმანი სხვაობს ძველი ქართული რედაქციებისაგან. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განსხვავება ეფთვიმეს თარგმანსა და წმიდა წერილის ტექსტს შორის მხოლოდ ნიუანსურია.

სწორედ ამ კუთხით შევეცადეთ წარმოგვეჩინა დიდი კაბადოკიელი

მოძღვრის ასკეტურ ძეგლში ციტირებული წმიდა წერილის სიტყვების მიმართება ძველ ქართულ თარგმანთან. ასევე მნიშვნელოვნად მიეჩინიეთ დაგვედგინა, თუ რამდენად თანხვდება ეფთვიმესეული თარგმანი ბიბლიის უძველეს ქართულ რედაქციებს. სწორედ ამ თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებო ნიმუშები შეეუდარეთ როგორც ბერძნული ბიბლიის შესაბამის მუხლებს, ისე ძველ ქართულ რედაქციებს,* მათ შორის ათონამდელ თარგმანებს.

დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ პერიფრაზირებულად ციტირებულ სიტყვებს წმიდა წერილიდან (შდრ. შესაქ. 1,31): πάντα ὅσα ἐποίησεν ὁ θεὸς καλὰ λίαν (404,44-45), რაც, მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც წინადადებაში ერთი და იმავე შინაარსის შემცველი ორი ციტაცია გვაქვს, რომელთაგან ეფთვიმე მხოლოდ პირვ-

---

* ძეგლში არსებული ბიბლიური ციტატების ძველ ქართულ რედაქციებთან შესადარებლად ვიყენებთ შემდეგ გამოცემებს:

წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კეკელიძემ, თბ., 1989.

წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი,ნაკვეთი 2, ლევიტელთაჲ,რიცხვთაჲ,მეორისა სჯულისაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, თბ. 1990.

მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქებაჲ ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები - ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.

ძველი ქართული ენის ძეგლები, 11, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მ. შანიძემ, თბ., 1960.

პაველეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ, ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1974.

ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ზ. სარჯველაძემ და ს. სარჯველაძემ, თბ. 2003.

ქართული ოთხთავის ორი პოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979.

ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963.

პაველეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებათაგან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ეკვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003.

სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ეკვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ. 2006.

ელს, კერძოდ, წმ. პავლე მოციქულის სიტყვებს თარგმნის (I ტიმ. 4,4): Πᾶν γὰρ κτίσμα θεοῦ καλὸν καὶ οὐδὲν ἀπόβλητον (404,43-44; „ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს და არარაჲ არს ბოროტ“ 157,40-41), ხოლო, რაც შეეხება მეორეს, რომელიც, ფაქტობრივად, იმავე აზრის შემცველია, უთარგმნელად ტოვებს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად იმოწმებს წმიდა წერილის სიტყვებს (იგ. 20,6; 12,27): «τὸ μέγα καὶ τίμιον τοῦτο» ὁ ἄνθρωπος (406,52 – 408,53). „იგავთა“ წიგნის შესაბამისი მუხლები მცხეთურ ბიბლიაში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „დიდ არს კაცი და პატიოსან“ (20,6); „მონაგებ პატიოსან არს კაცი“ (12,27). ეფთვიმეს თარგმანში განსხვავებული ვითარება გვაქვს: „დიდსა მას და პატიოსანსა ცხოველსა“ (157,48). როგორც ვხედავთ, ორიგინალის ἄνθρωπος ანუ „ადამიანი“ ეფთვიმეს მიერ გადმოტანილია სიტყვით „ცხოველი“, რისი მიზეზიც, ეფიქრობთ, უნდა იყოს ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტრადიციაში დამკვიდრებული არისტოტელესეული დებულება ადამიანის, როგორც მოაზროვნე ცხოველის (ცოცხალი არსების) შესახებ, რამაც, ჩანს, ქართველ მთარგმნელს შესაძლებლობა მისცა ტერმინი „ადამიანის“ ტერმინი „ცხოველით“ (ცოცხალი არსებით) შეენაცვლებინა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ორიგინალში გვაქვს წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ არასრულად ციტირებული სიტყვები წმიდა წერილიდან (II რჯ. 6,5; მთ. 22,37): ἐξ ὅλης καρδίας καὶ δυνάμεως τὸν Θεὸν ἀγαπᾶν (366,13-14), რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს, ბიბლიის შესაბამისი მუხლის მიხედვით, შეესებული აქვს თავის თარგმანში წმიდა წერილის ტექსტთან სრული ზედმიწევნითობის შენარჩუნების მიზნით: „შეიყუარო უფალი ღმერთი ყოველითა გულითა და ძალითა“ (147,12-13). ეფთვიმესეული ჩარევა ორიგინალის ტექსტში გულისხმობს მხოლოდ ერთი სიტყვის შემატებას, კერძოდ, „უფალი“, რაც წმ. გრიგოლ ნოსელთან არ დასტურდება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს ციტირებას წმიდა წერილიდან (სიბრძნ. 1,13): Θεὸς γὰρ θάνατον οὐκ ἐποίσεν (402,20), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „რომელმან სიკუდილი არა ქმნა“ (157,20). მთარგმნელი ნაცვალსახელით ცვლის ღმერთის აღმნიშვნელ სიტყვა Θεός-ს, რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ აღნიშნული სიტყვა ორჯერ არის გამოყენებული ერთსა და იმავე წინადადებაში, რის გამოც ეფთვიმემ, საფიქრებელია, ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ ჩათვალა, სიტყვა „ღმერთის“ გამეორების ნაცვლად გამოეყენებინა შესაბამისი ნაცვალსახელი, კერძოდ, „რომელმან“, რაც საესებით გამართლებულია როგორც საღვთისმეტყველო, ისე ფილოლოგიური ასპექტითაც.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს ციტირებას წმიდა წერილიდან (ეკლეს.

4,10): οὐαὶ τῷ ἑνὶ ὅταν πέσῃ (532,9), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია განსხვავებულად: „«ვაჲ არს ესევითარისა მის»,... რამეთუ «რაჟამს დაეცეს, არავინ ჰყავნ აღმადგინებელი»“ (189,3,7-9). წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაში საკუთრივ წმიდა წერილის ბერძნული ტექსტის შესაბამისად გამოყენებულ რიცხვით სახელს: τῷ ἑνὶ (ერთს) ეფთვიმე უნაცვლებს სხვა ლექსიკურ ერთეულს, კერძოდ, „ესევითარისა“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ტავტოლოგიის თავიდან აცილებას, რამდენადაც იგივე „ერთი“ კიდევ ორგზის გვხვდება შესაბამის წინადადებაში. უფრო მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებთ კონტექსტს: „რამეთუ «ყეთილ არიან ორნი უფროჲს ერთისა», ვითარცა სოლომონ იტყჳს, და ადვილად დაეცემის ერთი იგი, რაჟამს უმეცარ იყოს, მტერისა მიერ, რომელი უმზირის ყოველსა კაცსა. და ჭეშმარიტად «ვაჲ არს ესევითარისა მის», სიტყჳსაებრ მისვე ბრძნისა სოლომინისა, რამეთუ «რაჟამს დაეცეს, არავინ ჰყავნ აღმადგინებელი»“ (188,3,5-9).

ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც გრიგოლ ნოსელთან გვაქვს წმიდა წერილის პერიფრაზი, ან ამა თუ იმ მუხლის მხოლოდ ნაწილის დამოწმება, ან კიდევ – მთელი მუხლისა, ეფთვიმე, კონტექსტის გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნევს საკუთრივ წერილისეული ტექსტის ზედმიწევნითი სიზუსტით დამოწმებას (როდესაც დედანში პერიფრაზი გვაქვს), ან ხსენებული ადგილის სრულად მოტანას (როდესაც ორიგინალში შესაბამისი მუხლის მხოლოდ ნაწილია დამოწმებული), ანდა წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული მონაკვეთის შევსებას სხვა მუხლით, რაც, ჩვენი აზრით, მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული სწავლების განმარტებას. მაგ.: წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს დავით წინასწარმეტყველის სიტყვების ციტირებას (ფს. 119,5): Οἴμοι, φησίν, ὅτι ἡ παροικία μου ἐμακρύνθη (314,19-20), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „ვაიმე, რამეთუ განმიგრძდა მე მწირობაჲ ჩემი“. ციტირებულ სიტყვებს ეფთვიმე ავსებს ბიბლიის შესაბამისი მუხლით: „დავემკჳდრე მე მყოფთა თანა კედარისათა“ (131,21), რაც, ეფიქრობთ, მიზნად ისახავს ორიგინალის ტექსტის განმარტებითად გადმოცემას, რათა მკითხველს გაუადვილდეს კონტექსტის სიღრმისეული შემეცნება, რომელშიც „კედარის“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაზეც არის საუბარი. საფიქრებელია, ეფთვიმემ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ, მართალია, წმ. გრიგოლ ნოსელი ციტირების გარეშე ტოვებს აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილს და ციტატის სახით შესაბამისი მუხლის მხოლოდ პირველი ნაწილი მოაქვს (რომელშიც სიტყვა „კედარი“ იხსენიება), მაგრამ, აშკარაა, იგი შესაბამის ბიბლიურ მუხლს მთლიანობაში მოიაზრებს, რადგან იქვე საგანგებოდ განმარტავს სიტყვა „კედარს“ (ბიბლიური ციტატის მხოლოდ დასაწყისის მოტანა ჩვეულებრივია წმიდა მამათა შრომებში). ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ „ფსალმუნის“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში „მყოფთა“-ს ნაცვლად, რაც ეფთვიმეს თარგმანსა და ძველ ქართულ რედაქციებში (ABD) დასტურდება, გვაქვს „საყოფელთა“, რომელიც ტერ-

მინოლოგიურად ზედმიწევნით შეესატყვისება წმიდა წერილის ბერძნულ ტექსტში გამოყენებულ σκηνωμάτων-ს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს ციტირებას ფსალმუნიდან (90,1): ἐν τῇ σκέπῃ τοῦ Θεοῦ (352,20), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „საფარველსა ქუეშე ღმრთისასა“ (141,20-21); ბერძნული ἐν-ის შესატყვისად ეფთვიმესთან გვაქვს: „ქუეშე“, რაც არ დასტურდება ფსალმუნის ძველ ქართულ რედაქციებში, სადაც აღნიშნული სიტყვები შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „საფარველსა ღმრთისასა“ (ᲪᲦᲚ)[1]. თუნდაც ეს შემთხვევა ნათლად მოწმობს, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი წმიდა წერილის სიტყვების გადმოღებისას არაიშვიათად ითვალისწინებს საკუთრივ ბერძნული ტექსტის მონაცემს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად იმოწმებს ფსალმუნის სიტყვებს: οὐ καὶ «οὐρανοὶ διηγοῦνται δόξαν καὶ στερέωμα καὶ πᾶσα ἡ κτίσις ἀναγγέλει τὴν γνῶσιν» (386,13-14); შდრ. „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და დაბადებულსა ქმნულსა ჴელთა მისთასა სამყაროჲ; დღე დღესა აუწყებს სიტყუასა და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა“ (ფს. 18,2-3) რაც ეფთვიმეს მიერ განსხვავებულად არის თარგმნილი: „რომლისა «დიდებასა უთხრობენ ცანი და სამყაროჲ და ყოველნი დაბადებულნი ქადაგებენ სიბრძნესა მისსა»“ (152,3,13-14).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მრავლობითი რიცხვით თარგმნის მხოლობითში დასმულ მსაზღვრელ-საზღვრულს πᾶσα ἡ κτίσις – („ყოველნი დაბადებულნი“), რაც შეეხება სიტყვას – τὴν γνῶσιν („ცოდნა“, ძვ. ქართ. „მეცნიერებაჲ“, რაც გვხვდება კიდეც ფსალმუნის ძვ. ქართულ რედაქციებში), ეფთვიმეს მიერ თარგმნილია როგორც „სიბრძნე“, როგორც ჩანს, ორიგინალის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრების, კონტექსტთან მისადაგებულად თარგმნის მიზანდასახულობით, რამდენადაც აღნიშნულ კონტექსტში საუბარია საღმრთო მშვენიერებისა და სიკეთის შესახებ, ისევე როგორც „სიბრძნით დამბადებელი“ ღმერთის განუსაზღვრელ დიდებასა და ძლიერებაზე.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ბერძნულ ἀναγγέλει-ს, რომლის შესატყვისადაც ფსალმუნის ძველ ქართულ რედაქციებში გვაქვს „მოუთხრობს“, ეფთვიმე თარგმნის განსხვავებული ლექსიკური მონაცემით, კერძოდ, „ქადაგებენ“, რაც არსობრივად ერთი და იგივეა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად იმოწმებს წმიდა წერილს (ესაია 26,17-18): Ἀπὸ τοῦ φόβου σου, κύριε, ἐν γαστρὶ ἐλάβομεν (490,32-33; „შიშითა შენითა, უფალო, მიუდეგით“ 178,28-29), რაც ეფთვიმემ, წმიდა

[1] ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X-XIII სს-ეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა შ. ყაუხჩიშვილმა, I, ტექსტი, თბ., 1960, ვკ. 33.

წერილის იმავე მუხლზე დაყრდნობით, განავრცო წინასწარმეტყველისვე სიტყვებით: „და გუელმოდა და ეშევით სული მაცხოვარებისა შენისაჲ“ (178,29-30). აშკარაა, რომ ეფთვიმესეული მატების შედეგად ციტატას უფრო დასრულებული სახე მიეცა, რის შედეგადაც დიდი კაბადოკიელი მოძღვრის კონკრეტული სწავლება წმიდათა შეილიერების შესახებ („თუ ვითარი შვილიერებაჲ უკმს წმიდათა“) მკითხველის მიერ უფრო სიღრმისეულად შეიმეცნება: მოცემულ კონტექსტში შობის განსხვავებულ, განსაკუთრებულ წესთან, კერძოდ, უენებო შობასთან დაკავშირებით, დიდი კაბადოკიელი მოძღვარი, ერთი მხრივ, ყურადღებას ამახვილებს წმ. პავლე მოციქულზე, რომელიც ქორწინების გამოუცდელი იყო, მაგრამ წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებით: „ქალაქები და ერები შვა, და არა მარტო კორინთელები და გალატელები შემოიყვანა სინათლეში, არამედ იერუსალიმიდან ილურიკემდე აავსო ქვეყნიერება თავისი შვილების მიერ, რომლებიც ქრისტეს მიერ სახარებით შვა“ (შდრ. ძვ. ქართ. თარგმანი: „ქალაქნი და ნათესავნი შენა და არა კორინთელნი და გალატელნი ხოლო თჳსითა საშოჲთა ნათლად მოიყვანნა უფლისა მიერ, არამედ «იერუსალჱმითგან ვიდრე ილირიკედმდე» აღავსო სოფელი თჳსთა შვილთა მიერ, «რომელნი იგი ქრისტეს მიერ სახარებითა შენა»), ხოლო მეორე მხრივ, ყოველადწმიდა ღვთისმშობელზე, მარადქალწულ მარიამზე, რომლის შესახებაც ამბობს: „სანატრელია ქალწულებრივი წიაღი, რომელიც ემსახურა უხრწნელ შობას, და არც შობამ გააუქმა ქალწულება, და არც ქალწულება გახდა ამგვარი შობის შემაფერხებელი, რადგან სადაც იშვება «მაცხოვარების სული», როგორც ესაია ამბობს, იქ აღარ არის საჭიროება არანაირი ხორციელი ენებისა“ (შდრ. ძველი ქართული თარგმანი: „სანატრელ არს ქალწულებისაცა საშოჲ, რომელმან უხრწნელსა მას შობასა ჰმსახურა, და არცა შობამან ქალწულებაჲ დაჰჴსნა და არცა ქალწულებაჲ ესევითარისა მის შობისა დამაბრწეველ იქმნა, რამეთუ სადა «სული მაცხოვარებისაჲ» იშვას, ვითარცა ესაია იტყჳს, მუნ უჴმარ იქმნებიან ყოველნი ჴორცთა ენებანი“).

ეფიქრობთ, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ წმიდა წერილის მუხლის მეორე ნაწილის („და გუელმოდა და ეშევით სული მაცხოვარებისა შენისაჲ“) დასაწყისშიც მოტანა, რაც წმ. გრიგოლ ნოსელს ნაწილობრივ დამოწმებული აქვს კონტექსტის დასასრულს (ὅπου γὰρ πνεῦμα σωτηρίας γεννᾶται, καθὼς Ἡσαΐας φησίν; შდრ. ეფთვიმესეული თარგმანი: „რამეთუ სადა «სული მაცხოვარებისაჲ» იშვას, ვითარცა ესაია იტყჳს...“ 179,38-39), მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული სწავლების განმარტებას, რათა მკითხველს არ შეექმნას რაიმე აზრობრივი გაუგებრობა დიდი კაბადოკიელი მოძღვრის უაღრესად მნიშვნელოვანი სწავლების სიღრმისეულ აღქმაში.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელს პერიფრაზირებულად აქვს დამოწმებული დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვები (7,10): Χίλιαι χιλιάδες παρεστήκεισαν (560,48-49), რაც ასე შეიძლება ითარგმნოს: „ათასნი ათასთანი გარე-

მოადგიან მას“ (აღნიშნული მუხლი ბიბლიის ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „ათასნი ათასთანი... წარდგომილ იყვნეს წინაშე მისსა“). წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი საერთოდ არ თარგმნის დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებულ სიტყვებს. როგორც ჩანს, ორიგინალის ტექსტის შეკვეცა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კონტექსტის მიხედვით, დანიელ წინასწარმეტყველის ზემორე სიტყვების ციტირების განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა. მოვიტანთ შესაბამის ადგილს იმის ნათელსაყოფად, თუ რა კონტექსტში აქვს დამოწმებული წმ. გრიგოლ ნოსელს დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვები და რით შეიძლება იყოს განპირობებული აღნიშნული ციტატის უთარგმნელობა. დიდი კაბადოკიელი მოძღვარი წერს: „რამეთუ უკუეთუ ესენი მცირედ გიჩან და არა დიდ, მცირედ სამე შეჰრაცხნე ამათ მიერ მომაჳალნი იგი კეთილნი, რამეთუ მის თანა ჯუარცუმისაგან მის თანაცა ცხორებაჲ და მის თანა დიდებაჲ და სუფევაჲ იქმნების, ხოლო თავისა თჳსისა წინაშე ღმრთისა წარდგინებისაგან ბუნებისაგან კაცობრივისა ანგელოზთა ბუნებისა მსგავსობაჲ მოგუეცემის“. ამ ადგილას ბერძნულ ტექსტში გვაქვს დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვები, რაც გამოტოვებული აქვს ეფთვიმეს, ხოლო შემდეგ არის გაგრძელება: „და რომელმან ჭეშმარიტი მღდელობაჲ მოიგოს და დიდსა მას მღდელთმთავარსა შეეყოს, «ეგოს იგიცა მღდელ უკუნისამდე, არღარა მიცემული ჴელთა სიკუდილისათა»“. ყურადღებას მივაპყრობთ იმასაც, რომ ბერძნული ტექსტის გამომცემელი მ. ობინო შესაბამის სქოლიოში პარალელს აკეთებს წმ. იოანე ოქროპირთან და აღნიშნავს: „იგივე ციტატა დანიელისა გვაქვს იოანე ოქროპირთან (მითითებულია ნაშრომი „ქალწულებისათჳს“, თ. 14). მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს გვაქვს რაიმე სახის პარალელიზმი, სინამდვილეში, იოანე ოქროპირთან დანიელ წინასწარმეტყველის ზემორე სიტყვების დამოწმება ხდება სხვა კონტექსტში: „და მაშ რად გიპყრობს ფუჭი შიში და რად ძრწი იმის გამო, რომ თითქოს ქორწინების გაუქმებით [არარსებობით, პროტოპრესვიტ. გ.ზ] არსებობას შეწყვეტდა ადამიანთა მოდგმაც? მაგრამ «ანგელოსთა ბევრი ბევრთანი მსახურებენ ღმერთს და მთავარანგელოსთა ათასნი ათასთანი გარშემო უდგანან მას» და არც ერთი მათგანი არ შექმნილა ურთიერთმონაცვლეობითად [ე.ი. ერთიმეორისაგან], არცთუ შობათაგან, სალმობათაგან და მუცლადღებათაგან“ PG. t 48 col. 344.

როგორც ვხედავთ, წმ. იოანე ოქროპირი დანიელ წინასწარმეტყველის სიტყვებს მოიხმობს კონტექსტთან სრულ შესაბამისობაში, რაც, როგორც აღვნიშნეთ, წმ. გრიგოლ ნოსელთან დაკავშირებით ნაკლებად შესამჩნევია; ამის გამო, ვფიქრობთ, ეფთვიმემ საჭიროდ არ მიიჩნია აღნიშნული სიტყვების თარგმნა.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს ციტირებას სახარებიდან (მთ. 13,43): τοὺς δικαίους λάμψειν καϑ' ὁμοιότητα τοῦ ἡλίου (390,33-34; „მართალთა მსგავსად მზისა გამობრწყინვებად“), რაც ეფთვიმეს მიერ გავრცობილად

არის თარგმნილი. გავრცობა ორი სიტყვით არის გამოხატული: „და უმეტესცა მზისა“ (153,37).

აღვნიშნავთ, რომ ეფთვიმე საკუთრივ წმიდა წერილის მუხლს კი არ განავრცობს, არამედ კომენტარის სახით ურთავს ზემორე სიტყვებს („და უმეტესცა მზისა“) წმიდა წერილის ტექსტს, რაც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებას მართალთა, ანუ ღვთის მცნებების აღმსრულებელ ადამიანთა სამომავლო ხვედრთან დაკავშირებით, რომელთა გაბრწყინებაც ზეციურ სასუფეველში, მაცხოვრის სიტყვების თანახმად, მზის ბრწყინვალების მსგავსი იქნება. ეფთვიმესეული მატება გულისხმობს ციტირებული სიტყვების კომენტირებულად გადმოცემას, კერძოდ, იმაზე მითითებას, რომ ცხონებულ ადამიანთა გაბრწყინება ზეციურ სასუფეველში, ეკლესიის მამათა სწავლებით, მზის ბრწყინვალებაზე, ანუ მატერიალურ სინათლეზე აღმატებული იქნება. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ იგივე მატებაა სახეზე წმ. იოანე ოქროპირის სახელგანთქმულ შრომაში „მათეს სახარების განმარტება“, რომლის ძველი ქართული თარგმანი სწორედ ეფთვიმე მთაწმიდელს ეკუთვნის. დავიმოწმებთ შესაბამის ტექსტს: „მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზე, და ფრიად უმეტესცა მზისა. არამედ არაჲ არს ამას სოფელსა უბრწყინვალესი მზისა, ამისთჳს მას მოვიღებთ სახედ მაშინდლისა მის მართალთა ბრწყინვალებისა. რამეთუ მთასა ზედაცა თაბორსა, რომელ თქუა მახარებელმან, ვითარმედ: «განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე», ამისთჳს ესრეთ თქუა, რამეთუ არღარაჲ პოა სოფლისა საქმეთაგან ხილულთა უბრწყინვალესი მზისა, რაჲთამცა მას მიამსგავსა სახე იგი. უკუეთუ არა, ესე ცხად არს, თუ რაჲზომ უმეტეს იყო ბრწყინვალებაჲ იგი ნათელსა მზისასა, რამეთუ, აჰა, ესერა, მცხინვარებისა მისგან მზისა არაჲინ დავარდების პირსა ზედა, ხოლო მაშინ ესოდენ გარდაემატა ბრწყინვალებაჲ იგი ნათელსა მზისასა, რომელ ყოელადვე ვერ იტჳრთეს მოწაფეთა, არამედ დაცჳვეს პირსა ზედა. ჭეშმარიტად უკუე გამობრწყინდენ მართალნი დღესა მას მეორედ მოსლვისასა უმეტეს მზისა“ (წმ. იოანე ოქროპირი, „თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ“, წიგნი III, თბ. 1998, გვ. 116; შდრ. ბერძნ. *Τότε οἱ δίκαιοι ἐκλάμψουσιν ὡς ὁ ἥλιος*: μᾶλλον δὲ πλέον ἢ ὁ ἥλιος. Τοςοῦτον δὲ εἴρηται, οὐκ ἐπειδὴ τοσοῦτον αὐτων μόνον ἔσται τὸ φῶς: ἀλλ' ἐπειδὴ τοῦ ἄστρου τούτου φαιδρότερον οὐκ ἴσμεν ἕτερον, ἀπὸ τοῦ γνωρίμου παραστῆσαι ἠβουλήθη τὴν μέλλουσαν λαμπηδόνα τῶν ἁγίων. Ἐπεὶ καὶ ἐν τῷ ὄρει εἰπὼν, ὅτι *Ἔλαμψεν ὡς ὁ ἥλιος*, διὰ τὴν αὐτὴν αἰτίαν οὕτως εἴρηκεν. "Οτι γὰρ τοῦ ὑποδείγματος μεῖζον ἦν τὸ φῶς, ἔδειξαν οἱ μαθηταὶ πεσόντες. Εἰ δὲ μὴ ἄκρατον ἦν τὸ φῶς, ἀλλὰ τῷ ἡλίῳ σύμμετρον, οὐκ ἂν ἔπεσον, ἀλλ' εὐκόλως νεγκαν ἄν. Οἱ μὲν οὖν δίκαιοι ἐκλάμ-ψουσιν ὡς ὁ ἥλιος, καὶ ὑπὲρ τὸν ἥλιον). როგორც ვხედავთ, ეფთვიმესეული თარგმანის ფრაზები „ფრიად უმეტესცა მზისა“ და „უმეტეს მზისა“ ზედმიწევნით ანალოგს პოულობს ბერძნულში: μᾶλλον δὲ πλέον ἢ ὁ ἥλιος და ὑπὲρ τὸν ἥλιον. საფიქრებელია, ეფთვიმემ ჯერ ოქროპირის აღნიშნული შრომა თარგმნა, საიდანაც შეითვისა შესაბამი-

სი სახარებისეული სიტყვების კომენტირებული გაერცობის ის სახე, რაც ორიგინალშია და შემდგომ უკვე, კერძოდ, ნოსელის აღნიშნული შრომის თარგმნისას, საჭიროებისამებრ, თავად მიმართა აღნიშნულ გაერცობას ორიგინალისგან (ნოსელის ბერძნული ტექსტისგან) დამოუკიდებლად.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად ახდენს ციტირებას სახარებიდან (ინ. 1,13): οὐδὲ ἐξ αἱμάτων, οὐδὲ ἐκ θελήματος ἀνδρὸς καὶ ἐκ θελήματος σαρκός, ἀλλ' ἐκ θεοῦ μόνου ἡ γέννησεις γίνεται (438,14-16), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია არა ისე, როგორც ეს ორიგინალშია, არამედ წმიდა წერილის ტექსტის გათვალისწინებით: „არცა სისხლთაგან, არცა ნებითა ჴორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იქმნებოდის შობაჲ“ (165,3,14-15). ეფთვიმეს მიერ აღდგენილია სიტყვათა სახარებისეული თანმიმდევრობა: „არცა ნებითა ჴორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა“, მაშინ, როდესაც წმ. გრიგოლ ნოსელთან სიტყვათა გადანაცვლების შედეგად ჯერ გვაქვს – „არცა ნებითა მამაკაცისაჲთა“, ხოლო შემდეგ – „არცა ნებითა ჴორცთაჲთა“. ვფიქრობთ, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს აღნიშნული სიტყვების ზეპირი ციტირება წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ, რაც საკმაოდ ხშირია ეკლესიის მამათა შრომებში. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ციტირებული სიტყვების ბოლოს, ეფთვიმე უთარგმნელად ტოვებს ორიგინალის μόνου-ს („მხოლოდ“, წმ. გრიგოლ ნოსელთან, სიტყვასიტყვითი თარგმანით, გვაქვს შემდეგი: „მხოლოდ ღმრთისაგან არის შობა“), რაც, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ აღნიშნული სიტყვა, ერთი მხრივ, სახარების ბერძნული ტექსტის შესაბამის მუხლში ასევე არ დასტურდება[1], ხოლო მეორე მხრივ, მისი თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა, რამდენადაც კონტექსტის მიხედვით სავსებით აშკარაა, რომ დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ იოანე ღვთისმეტყველის სახარებიდან ციტირებულ სიტყვებში საუბარია შობის უჩვეულო, არაბუნებისეულ, ანუ არახორცისმიერ, არცთუ კაცობრივ ნებას დაქვემდებარებულ სახეზე, არამედ სულიერ შობაზე, რაც ნათლისღების საიდუმლოთი აღესრულება და მოგვემადლება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს ციტირებას იოანეს სახარებიდან (1,18): Τῷ δὲ μονογενεῖ θεῷ (262,5), რაც ეფთვიმეს მიერ გავრცობილად არის თარგმნილი: „მხოლოდშობილსა მას ძესა და ღმერთსა...“ (121,1,4-5). ეფთვიმესეული გაერცობა გულისხმობს ერთი სიტყვის („ძესა“) შემატებას, რაც წმ. გრიგოლ ნოსელთან არ დასტურდება. აღვნიშნავთ, რომ

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში დასტურდება მსგავსი შემთხვევები, როდესაც ეფთვიმე მთაწმიდელი ეკლესიის მამათა მიერ ციტირებულ სიტყვებს წმიდა წერილიდან უშუალოდ ბიბლიის ბერძნული ტექსტიდან იმოწმებს და არა სათარგმნი ორიგინალის მიხედვით.

„მხოლოდშობილი ღმერთი“, რაც იკითხება წმ. გრიგოლ ნოსელთან, ეფუძნება ახალი აღთქმის მრავალი უძველესი ბერძნული ნუსხის წაკითხვას; რაც შეეხება ალექსანდრიულ კოდექსს, იქ ვკითხულობთ: „მხოლოდშობილი ძე“[1]. ასეევე სახარების ძველი ქართული თარგმანის ორივე ათონამდელ რედაქციაში (ადიშისა და ჯრუჭ-პარხლის)[2], აგრეთვე მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ ეფთვიმე ათონელისეულად მიჩნეულ ურბნისისა და პალესტინურ ოთხთავებში[3] და გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში[4]. ამ ორ წაკითხვას შორის („მხოლოდშობილი „ღმერთი“ და „მხოლოდშობილი ძე“) არ არის არსობრივი სხვაობა, რამდენადაც ორივე შემთხვევაში საუბარია მამა ღმერთის მხოლოდშობილი ძის, იესო ქრისტეს შესახებ, რომელიც მარადიულად და დაუსაბამოდ იშვება მამისაგან. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ითვალისწინებს იოანე ღვთისმეტყველის სახარების ამ მუხლის ბერძნულ-ქართულ რედაქციებში არსებულ ორგვარ წაკითხვას და საჭიროდ მიიჩნევს, ციტირებულ სიტყვებს „მხოლოდშობილი ღმერთი“ დაუმატოს სახარების ძველი ქართული რედაქციებისა და ალექსანდრიული კოდექსის ამ ადგილის წაკითხვაც („ძე“), რის შედეგადაც ეფთვიმესეულ თარგმანში გვაქვს: „მხოლოდშობილსა მას ძესა და ღმერთსა“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად ახდენს ციტირებას „სამოციქულოდან“ (I კორ. 7,35): παρεδρεύειν ἀπερισπάστως (248,10), რაც მცირედით სხვაობს წმიდა წერილის ტექსტისაგან. წმ. გრიგოლ ნოსელთან გვაქვს ინფინიტივი Παρεδρεύειν, რასაც არ ახლავს ἐν ზმნიზედა, ხოლო „სამოციქულოს“ შესაბამის მუხლში ძირითადი ტექსტის ამგვარი მონაცემია: ἐυπάρεδρον τῷ κυρίῳ ἀπερισπάστως. „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში „სამოციქულოს“ შესაბამისი მუხლის ბერძნული ტექსტი შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „კეთილად დადგრომისა... უზრუნველად“ (AB), ან კიდევ: „კეთილად დადგრომად... უზრუნველად“ (CD)[5]. წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვები ეფ-

---

[1] **Толковая Библия или коментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета, т. 3, Новый Завет, Петербург, 1911-1913, издание преемников А.П. Лопухина, стр. 319.**

[2] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბ., 1945.

[3] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბ., 1979, გვ., 545. შდრ.: ზ. სარჯველაძე, წ|ქართოჲსაჲს ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხები, ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 29, თბ., 2001.

[4] ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია..., გვ., 545.

[5] იხ. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები.., გვ. 117. A და B ლიტერებით გამოცემაში აღნიშნულია ათონამდელი რედაქციები, C-თი – გიორგი მთაწმიდლისეული, ხოლო D-თი – ეფრემ მცირისეული.

თვიმეს მიერ, როგორც ჩანს, „პავლეთა“ ბერძნული ტექსტის იმ ნუსხათა მიხედვით არის თარგმნილი, რომლებშიც სახეზეა არა ზმნიზედა ἀπερισπάστως, არამედ: ἀπερισπάστους εἶναί, რასაც უფრო თანხვდება ეფთვიმესეული „მტკიცედ ყოფაჲ“ (115,12). „სამოციქულოს“ ამ ადგილის ტექსტის ეფთვიმესეულ თარგმანში, ისევე როგორც მის თარგმანებაში, „მტკიცედ ყოფაჲ“ არ არის: თარგმანში ის მიყვება AB რედაქციებს, ხოლო თარგმანებაში გამოტოვებული აქვს ტექსტისეული სიტყვა „შუენიერად“, რომელიც გამოყენებულია ჰენდიადისურ წყვილში: „შუენიერებისათჳს და კეთილად დადგრომისა“[1].

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად ახდენს ციტირებას „სამოციქულოდან“ (რომ. 1,23): εἰς δόξαν παραλαμβάνεται τοῦ ἀφθάρτου θεοῦ (256,19), რაც საკუთრივ წმიდა წერილის ბერძნულ ტექსტში ასეა წარმოდგენილი: καὶ ἤλλαξαν τὴν δόξαν τοῦ ἀφθάρτου θεοῦ. „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში აღნიშნული მუხლი თარგმნილია შემდეგნაირად: „და ცვალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღმრთისაჲ...“ (ABCD).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ნოსელთან წმიდა წერილისაგან ოდნავ განსხვავებული ვითარება გვაქვს, რადგან დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებულ სიტყვებში გვხვდება ზმნა παραλαμβάνεται, რაც უშუალოდ მოსდევს „დიდებას“ (τὴν δόξαν). რაც შეეხება მის მომდევნო სიტყვებს: „უხრწნელი ღმერთის“ (τοῦ ἀφθάρτου θεοῦ), იგი ეფთვიმეს თარგმანში არ დასტურდება, რადგან ეფთვიმეს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს აღნიშნული სიტყვები, რის შედეგადაც, „პავლეთა“ ძველი ქართული რედაქციებისაგან განსხვავებით, წმ. გრიგოლ ნოსელის ნაშრომის ეფთვიმესეულ თარგმანში გვაქვს: „სადიდებელნი არიან დამბადებელისა ღმრთისანი“ (119,20). ორიგინალის ἀφθάρτου-ს („უხრწნელი“) ეფთვიმე თარგმნის განსხვავებული ტერმინით, კერძოდ, „დამბადებელისა“, რაც განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ეფთვიმე ორიგინალის შედარებით იშვიათ სინტაგმას (ქართული თარგმანით „უხრწნელ ღმერთს“) ცვლის გაცილებით ცნობილი და ფართოდ გავრცელებული შესიტყვებით – „დამბადებელი ღმერთი“.[2] ამდენად, ეფიქრობთ, რომ ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებას.

---

[1] პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებათაგან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003, გვ. 213.

[2] ამ ადგილის „სამოციქულის“ თარგმანების ეფთვიმესეული თარგმანის მიხედვით, ღმრთის დიდება გულისხმობს „დამბადებელობასა და განმგებელობას“ (სამოციქულოს განმარტება, II... გვ. 24). შესაძლებელია, ეფთვიმეს მიერ „უხრწნელი ღმრთის“ ჩანაცვლება „დამბადებელი ღმრთის“-ათი, ამ გარემოებით იყოს განპირობებული. აქვე გვსურს აღვნიშნოთ,

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად ახდენს „პავლეთას“ ციტირებას (კოლ. 2,9): τοῦ πληρώματος τῆς Θεότητος ἐν τῷ Χριστῷ (268,19), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „სავსებაჲ იგი ქრისტეს ღმრთისაჲ“ (122,2,19). აღვნიშნავთ, რომ ის შესიტყვება, კერძოდ, τοῦ πληρώματος τῆς Θεότητος, რაც იდენტურია როგორც „პავლენში“, ისე წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტურ ძეგლში, განსხვავებულად არის თარგმნილი ეფთვიმეს მიერ, კერძოდ: „სავსებაჲ... ღმრთისაჲ“. ძველ ქართულ რედაქციებში აღნიშნული სიტყვები, წმიდა წერილის ბერძნული ტექსტის შესაბამისად, შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „სავსებაჲ ღმრთეებისაჲ“ (განსხვავება „სამოციქულოს“ ტექსტსა და წმ. გრიგოლ ნოსელის ციტირებას შორის კი მხოლოდ ნიუანსურია: „სამოციქულოს“ ბერძნულ ტექსტში πλήρωμα სახელობით ბრუნვაშია, გრიგოლ ნოსელთან კი – ნათესაობითში).

ამრიგად ნოსელისეული პერიფრაზი: τοῦ πληρώματος τῆς Θεότητος ἐν τῷ Χριστῷ („სავსება ღმრთეებისა ქრისტეში“) ეფთვიმეს მიერ თავისუფალი თარგმანის მეთოდით არის გადმოღებული, რის შედეგადაც სახეზეა ორიგინალისა და საკუთრივ წმიდა წერილის ბერძნული ტექსტისაგან ფორმობრივად განსხვავებული მონაცემი, კერძოდ: „სავსებაჲ იგი ქრისტეს ღმრთისაჲ“ (122,2,19). როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს მცირედით განსხვავებულ წაკითხვასთან, რაც ეფთვიმესგან, ცხადია, მოულოდნელი არ არის. ვფიქრობთ, აღნიშნული ცვლილების მიზანი უნდა ყოფილიყო რთული ტერმინოლოგიური ფრაზის („სავსება ღმრთეებისა ქრისტეში“) დასაშვები გამარტივება („სავსება ქრისტე ღმერთისა“), რაც, საზოგადოდ, ნიშანდობლივია ეფთვიმეს სამწერლობო სტილისათვის.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს პავლე მოციქულის სიტყვათა ციტირებას (II კორ. 5,16): «Οὐ γὰρ γινώσκομεν ἔτι», φησί, «κατὰ σάρκα Χριστόν» (268,22-23), რასაც ეფთვიმე არ თარგმნის. აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „...რამეთუ არღარა ვიცით ქრისტე ჴორციელად“. ციტირებული სიტყვების გამოტოვება მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც ორიგინალში, „სამოციქულოდან“ დამოწმებულ სიტყვებთან ერთად, ასევე გვაქვს საკუთრივ წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებაც, რაც გარკვეულწილად იმავე აზრის

რომ პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებში განსამარტავი ტექსტის მოტანისას ეფთვიმე ძირითადად ემყარება ათონამდელ თარგმანს (B რედაქციის ⅂ ხელნაწერს), მაგრამ არცთუ იშვიათად საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს მასში. ეს ცვლილებები გულისხმობს „სამოციქულოს“ ტექსტის ღრმა გააზრებას ბერძნული დედნის საფუძველზე და, როგ შემთხვევაში, მისი ათონამდელი თარგმანისაგან განსხვავებული წაკითხვის შეხოტანას.

შემცველია. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოაქვს დიდი კაბადოკიელი მოძღვრის სიტყვები: („არღარა თუ ჭორციელად იქმნების უფლისა მოსლვაჲ“ 122,2,22; შდრ. ბერძნ. οὐκέτι σωματικὴν ποιουμένου τοῦ κυρίου τὴν παρουσίαν· 268,21-22), ხოლო რაც შეეხება ციტირებულ მუხლს, მას არ თარგმნის, გამომდინარე იქიდან, რომ ამის განსაკუთრებული აუცილებლობა კონტექსტის მიხედვით არ შეიმჩნევა.

საფიქრებელია, ეფთვიმემ შეგნებულად აუარა გვერდი ამ სიტყვებს აზრის სირთულის გამო, რადგან, შესაძლებელია, ივარაუდა, რომ აღნიშნული ციტატის თარგმნა კიდევ უფრო მეტად გაართულებდა ისედაც რთულ საღვთისმეტყველო კონტექსტს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს წმ. პავლე მოციქულის სიტყვათა ციტირებას (II კორ. 5,4): ἐν τῷ σκήνει (312,12), რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „ჴორცთა ამათ შინა“ (131,13-14). „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმანებში მეტი ტერმინოლოგიური ზედმიწევნითობა გვაქვს, რამდენადაც ბერძნული σκήνει-ს შესატყვისად როგორც ათონამდელ, ისე ათონის შემდგომი პერიოდის რედაქციებში გვაქვს – „საყოფელი“ (შდრ. „საყოფელსა ამას“ AB; „საყოფელსა ამას შინა“ C$^{\text{ჯ}}$D). ეფთვიმესეული თარგმანი: „ჴორცთა ამათ შინა“ – განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ საეკლესიო ღვთისმეტყველებაში ტერმინი σκήνει გაიგება კაცობრივი სხეულის მნიშვნელობით, რისი ერთ-ერთი დადასტურებაც არის აღნიშნული თარგმანი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „სამოციქულოს“ სიტყვათა ციტირებას (ეფეს. 4,18): ἀπηλλοτριωμένος δὲ τῆς ζωῆς τοῦ θεοῦ (318,4-5), რასაც ეფთვიმე შემდეგნაირად თარგმნის: „უცხოქმნული ცხორებისაგან საღმრთოჲსა“ (132,5,4). დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებული სიტყვა ἀπηλλοτριωμένος (318,4) წმ. პავლე მოციქულთან მრ. რიცხვის ფორმით არის მოცემული – ἀπηλλοτριωμένοι (663), რაც ასევე ასახულია „სამოციქულოს“ წმ. გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში: „უცხოქმნულნი ცხოვრებისაგან ღმრთისა“. აღნიშნულ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე ცვლილება, რომელიც შეიტანა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა თავის თარგმანში. „პავლეთა“ ძველ ქართულ, ათონამდელ რედაქციებში აღნიშნული მუხლი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „უცხოქმნულ ცხოვრებისაგან ღმრთისაჲსა“ (AB). მიუხედავად იმისა, რომ სხვაობა ათონამდელ რედაქციებში არსებულ თარგმანსა და ეფთვიმეს თარგმანს შორის ნიუანსურია, საჭიროდ მივიჩნიეთ დაგვემოწმებინა აღნიშნული კონტექსტი, რამდენადაც ამ მუხლის ეფთვიმესეული თარგმანი: „უცხოქმნული ცხორებისაგან საღმრთოჲსა“, ჩვენი აზრით, შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ გამოთქმა „ცხორებაჲ ღმრთისაჲ“ (შდრ. ძვ. ქართ. რედაქციები: „უცხოქმნულ ცხოვრებისაგან ღმრთისაჲსა“ AB; „უცხოქმნულნი ცხოვრებისაგან ღმრთისა“ CD) არ ყოფილიყო გაგებული იმ აზრით, თუ როგორ ცხოვრობს ღმერთი, მაშინ,

როდესაც „ცხორებაჲ საღმრთოჲ“ სავსებით ნათლად ადამიანის სათნოებითი ცხოვრების, სათნოებითი მოღვაწეობის აღმნიშვნელია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი იმოწმებს „სამოციქულოს“ სიტყვებს (ეფეს. 2,12): ξένος τῶν διαθηκῶν τῆς ἐπαγγελίας (318,5), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „განშორებული აღთქუმათაგან საუკუნეთა“ (132,5,4-5). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „სტუმარ შჯულთა მათგან აღთქუმისათა“ (AB), ან „უცხო რჩულთა მათგან აღთქუმათაჲსა“ (CD).

მართალია, ტერმინოლოგიურად მეტი სიზუსტეა დაცული „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში, სადაც სიტყვა ξένος-ის შესატყვისად გვაქვს ტერმინები: „სტუმარი“ (AB) ან კიდევ, „უცხო“ (CD), მაგრამ, ვფიქრობთ, ეფთვიმესეული „განშორებული“ მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებას, რომელშიც დიდი კაბადოკიელი მოძღვარი, „სამოციქულოზე“ დაყრდნობით, გადმოსცემს სწავლებას იმ ადამიანთა სულიერი მდგომარეობის შესახებ, რომლებიც ხორციელი გულისთქმებისა და ვნებებისადმი მონობით სრულიად გაუცხოებულნი არიან ღმრთისაგან. აღვნიშნავთ იმასაც, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვები ეფთვიმეს მიერ გავრცობითად არის თარგმნილი, რაც მხოლოდ ერთი სიტყვით არის გამოხატული, კერძოდ, ეს არის სიტყვა „საუკუნეთა“ („განშორებულ აღთქუმათაგან საუკუნეთა“). ვფიქრობთ, წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა აღნიშნული სიტყვის გამოყენებით ხაზი გაუსვა ამ აღთქმათა მარადიულობას, რაც, განსხვავებით კაცობრიჲი აღთქმებისგან, გულისხმობს მათ ღვთისადმი კუთვნილებას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად იმოწმებს „სამოციქულოს“ სიტყვებს (II პეტრე 2,18): ἐν τῇ πλάνῃ τοῦ βίου ἀναστρεφόμενον (324,15-16), რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „საცთურსა მას შინა სოფლისასა იქცეოდის“ (134,6,16). წმ. გრიგოლ ნოსელთან გვაქვს „ცხოვრების“ აღმნიშვნელი სიტყვა – τοῦ βίου, რომლის შესატყვისადაც ეფთვიმეს გამოყენებული აქვს სიტყვა „სოფლისასა“, რაც მოცემულ კონტექსტში სრულად იტევს ბერძნული τοῦ βίου-ს მნიშვნელობას. აღნიშნული სიტყვა წმ. პეტრე მოციქულთან არ დასტურდება და, შესაბამისად, არც კათოლიკე ეპისტოლეთა ძველ ქართულ რედაქციებში, სადაც „სამოციქულოს“ ეს მუხლი შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „საცთურსა შინა იქცევიან“ ქშ. რაც შეეხება სხვა ხელნაწერებს, კერძოდ, Sin 17/39-სა და Sin 16/31-ს, მათში ამ მუხლის შესაბამისი ძველი ქართული თარგმანი ამგვარია: „საცთურისაგან სლვისა“. ვფიქრობთ, ის სხვაობა, რაც ორიგინალსა და „სამოციქულოს“ საკუთრივ ბერძნულ ტექსტებს შორის არსებობს, განპირობებულია აღნიშნული სიტყვების ზეპირი ციტირებით დიდი კაბა-

დოკეელი მოძღვრის მიერ, რასაც ეფთვიმე, არა „სამოციქულის“ შესაბამისი მუხლის, არამედ წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულების მიხედვით თარგმნის.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს სამოციქულოს ციტირებას (I ტიმ. 4,2): κεκαυτηριασμένους τὴν ἰδίαν συνείδησιν (350,12), რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ გაერცობილად, ჰენდიადისით არის თარგმნილი: „დაშჯილ და დამწუარ გონებითა“ (141,13-14). „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში აღნიშნული მუხლი შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „შეცთომილნი თჳსითა გონებითა“ (AB); „შემწუარნი თჳსითა გონებითა“ (CD). სიტყვა „დაშჯილ“, რაც ეფთვიმესეული შენამატია, არ დასტურდება როგორც „პავლეთა“ საკუთრივ ბერძნულ ტექსტში, ისე ძველ ქართულ რედაქციებში. აღნიშნული მატება მიზნად უნდა ისახავდეს ორიგინალის კონტექსტისეული აზრის გამკვეთრებას ადამიანის უკიდურეს სულიერ დაცემულობასთან დაკავშირებით.

აღვნიშნავთ, რომ სიტყვა κεκαυτηριασμένους-ის ციტირება წმ. გრიგოლ ნოსელთან სხვა კონტექსტშიც გვხვდება იმავე მიმღეობითი ფორმით, კერძოდ, καυτηριάζων (356,23), რაც ეფთვიმეს მიერ შესაბამისად არის ასახული ქართულ თარგმანში.

ზემოაღნიშნული ბერძნული სიტყვა მომდინარეობს ზმნა καυτηριάζω-დან, რაც ნიშნავს „წვას“, „დაწვას“, „ცეცხლში გამოხურვებას“. აღნიშნული მუხლი, როდესაც მას მეორედ იმოწმებს დიდი კაბადოკიელი მოძღვარი, ეფთვიმეს მიერ თარგმნილია როგორც „დაშჯილება“ (შდრ. „თჳსისა გონებისა დაშჯილებასა“ (142,2,20-21; καυτηριάζων τὴν ἰδίαν συνείδησιν 356,23-24), რაც ზედმიწევნით ასახავს სინდისის ქენჯნის მდგომარეობას.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „სამოციქულოს“ სიტყვების ციტირებას (II ტიმ. 2,26): οἱ ἐζωγρημένοι εἰς τὸ ἐκείνου θέλημα (352,21-22), რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „შემსჭუალულნი მისსა ნებასა“ (141,21-22). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „მონადირებულ არიან მის მიერ ნებისაებრ მისისა“ (AB), „მონადირებულთა მის მიერ ნებისაებრ მისისა“ (CD). ბერძნული სიტყვა οἱ ἐζωγρημένοι ეფთვიმეს მიერ თარგმნილია როგორც „შემსჭუალულნი“, რაც ტერმინოლოგიურად თავისუფალი თარგმანის შედეგია. ბერძნული სიტყვა მომდინარეობს ზმნა ζωγρέω-დან, რაც, პირდაპირი მნიშვნელობით, ადამიანის „ცოცხლად დაკავებას“, „ტყვედ აყვანას“ გულისხმობს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით – „მონადირებას“. ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში დადასტურებული სიტყვა, თუმცა ეფთვიმეს მიერ გამოყენებული შესატყვისი, კერძოდ, „შემსჭუალულნი“ მთელი სისავსით იტევს ბერძნული ტერმინის მნიშვნელობას, რადგან „მონადირებულნი“ და „შემსჭუალულნი“ მოცემულ კონტექსტში აზრობრივად ერთი და იგივეა. ვფიქრობთ, ტერმინი „შემსჭუა-

ლულნი“ ტექსტის ამ ადგილას სხვა ნიუანსურ დატვირთვას იძენს, კერძოდ, ამ სიტყვის გამოყენებით ხაზი ესმევა გარკვეულ ნებელობით მიდრეკილებასაც ცოდვისკენ, მაშინ როდესაც „მონადირებული“ შეიძლება გულისხმობდეს უნიებლიე ცოდვას, ან ისეთ მდგომარეობას, როდესაც გულისხმიერებასა და განმრჩეველობის უნარს მოკლებული ადამიანი კეთილად მიიჩნევს საკუთარ განზრახვას, რასაც აღასრულებს კიდეც, სინამდვილეში კი უკეთური ძალის მიერ არის მონადირებული, რასაც გონებითი სიბრმავის გამო ვერ აცნობიერებს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „სამოციქულოს“ სიტყვების ციტირებას (I ტიმ. 4,1-2): δαιμόνων διδασκαλίας (350,14), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „სწავლასა ეშმაკთასა“ (141,15). აღნიშნული ციტირება მეორედაც გვხვდება წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტურ ძეგლში: τῆ διδασκαλία τῶν δαιμόνων (354,22), რაც ეფთვიმეს მიერ განსხვავებულად არის თარგმნილი, კერძოდ: „ეშმაკთა ზრახვასა“ (142,20). რაც შეეხება „პაელეთა“ ძველ ქართულ რედაქციებს, აღნიშნული მუხლი შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „მოძღურებასა ეშმაკთასა“ (ABCD). ტერმინი „ზრახვა“ ძველ ქართულ ენაში აღნიშნავდა „განზრახვას“. ეს არის ამ სიტყვის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა, თუმცა იგი ასევე აღნიშნავს „დაფარულ საუბარს“, „ფიქრს“, „საიდუმლოს“. ჩვენი აზრით, ბერძნული διδασκαλία-ს შესატყვისად ეფთვიმეს მიერ ტერმინ „ზრახვა“-ს გამოყენება, შესაძლოა, განპირობებული იყოს იმით, რომ იგი უფრო მეტად გულისხმობს უკეთურ მოქმედებასთან დაკავშირებულ შინაარსს, ვიდრე „მოძღურება“, რაც „პაელეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებშია დადასტურებული. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელმა, ეფიქრობთ, კონტექსტის გათვალისწინებით, მართებულად მიიჩნია ზემოაღნიშნული ტერმინის გამოყენება, რათა უფრო მეტი უარყოფითი დატვირთვა მიენიჭებინა ამ სიტყვებისათვის.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

ორიგინალში ციტირებულია პაელე მოციქულის სიტყვები (II ტიმ. 3,4): φιλήδονον αὐτὸν μᾶλλον εἶναι ἢ φιλόθεον (362,35-36), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „იქმნას გემოთმოყუარე და არა ღმრთისმოყუარე“ (145,37-38). აღნიშნული მუხლი „პაელეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „გულისთქუმისმოყუარე უფროს, ვიდრე ღმრთისმოყუარებასა“ (AB), ან კიდევ: „გულისთქუმისმოყუარე უფროს, ვიდრე ღმრთისმოყუარე“ (CD). ბერძნული სიტყვა φιλήδονον, რომლის შესატყვისად „პაელეთას“ ძველ ქართულ რედაქციებში გვაქვს „გულისთქუმისმოყუარე“, რაც ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია, ეფთვიმეს მიერ, კონტექსტის გათვალისწინებით, თარგმნილია როგორც „გემოთმოყუარე“; ეს სიტყვა, ეფიქრობთ, უფრო მეტად იტევს უარყოფით შინაარსს, ვიდრე „გულისთქუმისმოყუარე“. ასევე გვსურს იმის აღნიშვნაც, რომ ეფთვიმე, ერთი მხრივ, არ თარგმნის ორიგინალის სიტყვას – μᾶλλον („უფროს“), რაც, „სამოციქულოს“ ბერძნუ-

ლი ტექსტის შესაბამისად, ყველა ძველ ქართულ რედაქციაშია დადასტურებული, ხოლო ორიგინალის ἤ φιλόθεον, რის შესატყვისადაც ყველა ნუსხაში გვაქვს „ვიდრე ღმრთისმოყუარებასა“ AB, ან „ვიდრე ღმრთისმოყუარე“ CD, გადმოაქვს შემდეგი თარგმანით: „და არა ღმრთისმოყუარე“, რაც ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია, რადგან ძველ ქართულ რედაქციებში ეს სიტყვა შედარებითი ფორმის დატვირთვით არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ეფთვიმესთან მას მკვეთრად დაპირისპირებითი შინაარსი აქვს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

გრიგოლ ნოსელთან ციტირებულია წმ. პავლე მოციქულის სიტყვები (ფილ. 4,7): πάντα νοῦν ὑπερεχόντων (368,25), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია როგორც: „უზეშთაესთა ყოვლისა გონებისათა“ (147,25). „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში აღნიშნული მუხლი შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა“ (ABCD). აღვნიშნავთ, რომ ეფთვიმესეული „უზეშთაესთა“ ტერმინოლოგიურად უფრო ზედმიწევნითია, ვიდრე „პავლეთა“ ძველ ქარულ რედაქციებში დადასტურებული „ჰმატს“, თუმცა, ორივე ლექსიკური ერთეული არსობრივად ერთი და იგივეა, რამდენადაც ორივე მათგანი გადმოსცემს ზეშთაღმატებულ საკეირველებას, რაც არის ღვთის სიტყვის განკაცება. დავიმოწმებთ საკუთრივ წმ. პავლე მოციქულის სიტყვებს: „და მშუდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქუენნი და გონებანი თქუენნი ქრისტე იესუს მიერ“ და იოანე ოქროპირისეულ შესაბამის განმარტებას: „საიდუმლოსა მას ჩუენთჳს ჴორცშესხმულისა სიტყუსასა ეწოდების და ნამდჳლვე არს აღმატებულ ზეშთა ყოველთა გონებათა, არა ხოლო ამით, რამეთუ ღმერთი განკაცნა, რომელი-ესე არს უზეშთაეს ყოველთა საუკუნითგანთა საკჳრველებათა, არამედ ამითცა, რამეთუ ჩუენ, ესოდენ მტერ ღმრთისა ქმნულნი და ყოლად განერდომილნი მისგან შეცოდებითა, არა ხოლო დამაგნა ღმერთსა მამასა, დაჴსნითა მტერობისა შუვაკედელისაგთა და მოტევებითა პირველ ქმნულთა ბრალთაგთა, არამედ განგუწმიდნა-ცა და განგუამართლნა და შვილებისა ღმრთისა საზომსა აღმიყვანნა სისხლითა თჳსითა. და უკუეთუ მშუდობაჲ ღმრთისაჲ ზეშთაღემატების ყოველთა გონებათა, რაჲღა ვინ თქუას მათთჳს, რომელნი აზმნიან (განიზრახავენ) გამოკულევად არსებასა მისსა!“[1]

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „სამოციქულოს“ სიტყვათა ციტირებას (ებრ. 5,14): γεγυμνάσθαι τὰ αἰσθητήρια πρὸς τὴν τοῦ καλοῦ καὶ μὴ τοιούτου διάκρισιν (382,7-8), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „საცნობელთა ჩუენთადა განყოფაჲ ჴეროვნად კეთილისა

[1] სჳოციქულოს განმარტება, II... გვ. 635-636.

და ბოროტისაჲ“ (151,2,6-7). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „გონებანი წურთილნი ჰქონედ ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (AB); „გონებანი წურთილნი ჰქონედ განრჩევად კეთილისა და ბოროტისა“ (CD). „სამოციქულოს“ ბერძნული ტექსტის შესაბამის მუხლში გვაქვს: ἐχόντων და καὶ κακου, რაც წმ. გრიგოლ ნოსელთან არ დასტურდება, თუმცა, დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებულ სიტყვებში გვაქვს μὴ τοιούτου, რაც „სამოციქულოს“ ბერძნულ ტექსტში არ გვხვდება. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორია ეფთვიმეს, როგორც მთარგმნელის, დამოკიდებულება აღნიშნულ ციტატთან, მიჰყვება იგი „პავლეთა“ ბერძნულ ტექსტს და, ამდენად, ათონამდელ თარგმანს, თუ თარგმნის აღნიშნულ მუხლს ისე, როგორც ის წმ. გრიგოლ ნოსელთან არის ციტირებული. კვლევამ აჩვენა, რომ ეფთვიმეს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვები, რამდენადაც იგი, ერთი მხრივ, არ თარგმნის ორიგინალის γεγυμνασμένα-ს, რომლის შესატყვისადაც „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში გვაქვს ტერმინი „წურთილნი“ (აღნიშნული ბერძნული სიტყვა მომდინარეობს ზმნა γυμνάζω-დან, რაც „რაღაცაში გაწვრთნას“, ანუ, გადატანითი მნიშვნელობით, „განსწავლას“ ნიშნავს), ხოლო მეორე მხრივ, წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ პერიფრაზირებულად ციტირებული სიტყვები: καὶ μὴ τοιούτου-ს („და არა ამგვარის“) გადმოაქვს სხვა შესატყვისით, კერძოდ, „ბოროტისაჲ“, ისევე, როგორც ეს ათონამდელ თარგმანშია.

აშკარაა, რომ წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ითვალისწინებს როგორც წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ დამოწმებული ციტაციის წაკითხვას, როდესაც არ გვაწვდის ბერძნული ἐχόντων-ის თარგმანს, რომლის შესატყვისადაც, წმიდა წერილის ტექსტის შესაბამისად, „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში გვაქვს ტერმინი „ჰქონედ“, ასევე „სამოციქულოს“ ძველი თარგმანის წაკითხვას იქ, სადაც წმ. გრიგოლ ნოსელის პერიფრაზს სიტყვასიტყვით არ თარგმნის. „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში ბერძნული τὰ αἰσθητήρια-ს („გრძნობის ორგანოები“) შესატყვისად გამოყენებულია ტერმინი – „გონებანი“, ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ როგორც დღეისათვის გარკვეულია, ბერძნული αἰσθητήρια უძველეს ეპოქაში (V ს.) ქართულად ითარგმნებოდა ტერმინით „გონებანი“, სხვა სენსორული ტერმინები („გულისჴმისაყოფელნი“, „საგრძნობელნი“, „საცნობელნი“ და მისთ.), შედარებით გვიან ავლენენ თავს ძველ ქართულ საეკლესიო ლიტერატურაში. როგორც ე. ჭელიძე მიიჩნევს, „გონებანი“ გვხვდება „პავლეთა“ უადრეს ვერსიებში (ტრადიციის ძალით, გადასულია გიორგი მთაწმიდლის რედაქციაშიც), რადგან ეს ვერსიები მეტად მჭიდროდ უკავშირდება ბერძნულს. ეჭვი არ არის, რომ ქართული ტექსტის მთარგმნელ-რედაქტორთა მიერ სიტყვა „გონებანი“ ბერძნული τὰ αἰσθητήρια-ს შესატყვის ტერმინად არის მოხმობილი. დავძენთ, რომ პავლე მოციქულის ხსენებული ფრაზა ციტ-

ირებულია გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმეში“, რომლის უძველეს თარგმანში სწორედ „ტონებანი“ გვაქვს („ტონებათაგან წურთილთა“ შატბ. კრბ. გვ. 102), მაშინ, როდესაც გიორგი მთაწმიდლის თარგმანში არის „საცნობელნი“ („...წურთილებად საცნობელთა“, გვ. 93).[1]

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელს პერიფრაზირებულად მოაქვს ციტატი წმიდა წერილიდან (I კორ. 15,47; შდრ. შესაქ. 2,7): ὁ πρῶτος ἐκ γῆς ἄνθρωπος 404,35-36), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „პირველმან მან კაცმან“ (157,34). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქარულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან...“ (ABCD).

დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ დამოწმებულ სიტყვებს ორიგინალში წინ უძღვის οὕτω καὶ („ამგვარადაც“), რასაც ეფთვიმემ, ქართული ენის ბუნების გათვალისწინებით, დაუმატა ზმნა „ქმნა“, ხოლო რაც შეეხება ბერძნული ἐκ γῆς-ის („ქუეყანისაგან“) გამოტოვებას, ეფიქრობთ, ამის მიზეზი უნდა იყოს კონტექსტის გამარტივება და სტილური ლაკონურობისკენ სწრაფვა. წმ. გრიგოლ ნოსელი სხვადასხვა ანალოგიური მაგალითის მოშველიებით მსჯელობს პირველი ადამიანის ცოდვით დაცემის შესახებ, რომელიც ბუნებით კეთილად იყო დაბადებული ღვთის მიერ, მაგრამ ღვთის მცნების უგულვებელყოფითა და ცოდვისკენ ნებაყოფლობითი მიდრეკით, „ბუნებისა გარეგანი“ (არაბუნებისმიერი) „ბოროტისა გამოცდილებაჲ“ (ბოროტების გამოცდილება) შეიძინა. საფიქრებელია, რომ ეფთვიმემ კონტექსტში გადმოცემული სწავლების გათვალისწინებით, საჭიროდ მიიჩნია დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებული სიტყვების თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოღება, რამდენადაც „სამოციქულოს“ შესაბამის მუხლში აღნიშნული სიტყვები სხვა კონტექსტშია გამოყენებული და სხვა აზრობრივ დატვირთვას შეიცავს, კერძოდ, იქ ერთმანეთთან არის შეპირისპირებული მიწიერი და ზეციური (შდრ. „პირველი იგი კაცი ქუეყანისაგან მიწისაჲ, ხოლო მეორჱ იგი კაცი ზეცით გამო სულიერი“)[2].

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელთან ციტირებულია წმ. პაველ მოციქულის სი-

---

[1] აღნიშნული საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ე. ჭელიძე, ძველი ქართული სალთოისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996, გვ. 355.

[2] სიტყვა „სულიერი“ დასტურდება „სამოციქულოს“ ათოსამდელი თარგმანის AB რედაქციებში, CD-ში ეს სიტყვა არ არის. არ არის ის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ „სამოციქულოს“ არც ბერძნულ, სომხურ და სირიულ რედაქციებში. გამოთქმულია აზრი, რომ „სულიერი“ ტექსტს ქართველმა მთარგმნელმა თუ რედაქტორმა დაუმატა (კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბ., 1998, გვ. 464-465).

ტყვები (I ტიმ. 4,4): πᾶν γὰρ κτίσμα θεοῦ καλὸν καὶ οὐδὲν ἀπόβλητον (404,43-44), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი – „რამეთუ «ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს და არარაჲ არს ბოროტ»“ (157,40-41); „პაელეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში აღნიშნული მუხლი შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს და არარაჲ არს განსაგდებელ“... (ABCD).

დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებული სიტყვები წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით, შინაარსობრივად გადმოაქვს კონტექსტის გათვალისწინებით, რამდენადაც ორიგინალის ἀπόβλητον-ს, რომელიც თავისი პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს „მოძულებულს“, „მოკვეთილს“, „უარსაყოფს“, „მოსაცილებელს“, თარგმნის როგორც „ბოროტს“. ეფიქრობთ, ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია „პაელეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში ἀπόβλητον-ის შესატყვისად დადასტურებული ტერმინი „განსაგდებელ“, რაც უფრო ფართო და ნეიტრალური აზრის შემცველია, ვიდრე ეფთვიმეს მიერ გამოყენებული შესატყვისი „ბოროტი“.

ეფთვიმესეული თარგმანი, ჩვენი აზრით, განპირობებული უნდა იყოს იმ მოსაზრებით, რომ „ბოროტი“ კონტექსტუალურად უფრო მეტად იტევს უკეთურის გაგებას, ვიდრე ძველ ქართულ რედაქციებში დადასტურებული „განსაგდებელი“.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად ახდენს პავლე მოციქულის სიტყვათა ციტირებას (შდრ. II კორ. 12,4): ἁρπαγείη πάλιν εἰς τὸν παράδεισον, ἐν ᾧ καὶ Παῦλος γενόμενος ἤκουσέ τε καὶ εἶδε τὰ ἄρρητα καὶ ἀθέατα, ἃ οὐκ ἐξὸν ἀνθρώπῳ λαλῆσαι (426,32-35), რაც ეფთვიმეს მიერ თავისუფალი თარგმანის მეთოდით არის გადმოღებული: „მიიტაცოს სამოთხედ, სადა-იგი მივიდა პავლე მოციქული და ესმა და იხილნა უსმენელნი და უხილავნი, რომელი არა ჯერ-არს კაცთა მიერ სიტყუად“ (161,30-162,32).

აღვნიშნავთ, რომ ქართულ თარგმანში „პაელეთა“ საკუთრივ ბერძნული ტექსტისა და გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული τὰ ἄρρητα-ს („უთქუმელი“) შესატყვისად გამოყენებულია ტერმინი „უსმენელნი“, მაშინ როდესაც „პაელეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში აღნიშნული სიტყვის ეკვივალენტად გვაქვს „უთქუმელი“ AB, ან კიდევ, მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა: „უთქუმელნი“ CD, რაც ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია, რამდენადაც იგი ზედმიწევნით შეესატყვისება ბერძნულ ἄρρητα-ს.

ეფიქრობთ, აღნიშნული შემთხვევა უაღრესად მნიშვნელოვანია ბიბლიური ციტაციის თარგმნასთან დაკავშირებით, რამდენადაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს ბერძნულის τὰ ἄρρητα, როდესაც მის შესატყვისად „პაელეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში დადასტურებული ტერმინის, „უთქუმელი“-ს ან „უთქუმელნი“-ს, ნაცვლად იყენებს „უსმენელს“, რადგან, ცხადია, რომ ის,

რაც მატერიალური ხმოვანებით წარმოუთქმელია, მატერიალური სასმენელით აღუქმელია კიდეც. შესაბამისად, აღნიშნულ კონტექსტში „უთქუმელი“ და „უსმენელნი“ არსებითად ერთი და იგივეა. ეს რომ ასეა, ამას მკაფიოდ გვიდასტურებს „პავლეთა“ აღნიშნული მუხლის საეკლესიო (ძირითადად წმ. იოანე ოქროპირის) განმარტება, სადაც „უთქუმელის“ სინონიმად „უსმენელნი“ არის მოხმობილი. დავიმოწმებთ წმ. პავლე მოციქულის სიტყვებს სათანადო საეკლესიო კომენტარით: „და ვიცი ესეითარი კაცი, გინა თუ ჴორცითა, გინა თუ გარეშე ჴორცთაჲსა, არა ვიცი, ღმერთმან იცის; რამეთუ მიიტაცა სამოთხედ და ესმნეს უთქუმელნი სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად“ (II კორ. 12,3-4). თარგმანება: „ესოდენ არს ყოველსა ადგილსა სახელოვნებაჲ სამოთხისაჲ, ვიდრეცა მაცხოვარი ეტყჳს ავაზაკსა: «დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა», ვინაჲცა აწ მოციქულმან შემდგომად სამ ცადმდე აღწევნისაღა თქუა მიტაცებაჲ სამოთხედ და მუნ სმენაჲ სიტყუათა ეგეეითართაჲ, რომელთა არავისი უდარესისა კაცთაგანისა სასმენელი, არამედ პავლესი ოდენ და მსგავსთა (VE) მისითაჲ შემძლებელ არს დატევნად“.

პკუმენისი: „ამიერ განიქიქებოდედ სიცოფითი სილაღე მათი, რომელნი კადნიერ იქმნნეს აღწერად სიტყუათა მათ უსმენელთა და კაცთა მიერ ვერ დასატევნელთა, და უწოდეს მას პავლეს გამოცხადება“[1].

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელთან ციტირებულია „პავლენი“ (კოლ. 1,5): δι' ἐλπίδος ἀποκειμένων (440,5), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „წინამდებარეთა მათ სასოებითა“ (165,5-6). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „სასოებისა მისთჳს, რომელ განმზადებულ არს“ AB; ან კიდევ: „სასოებისა მისთჳს, განმზადებულისა“ CD. ეფიქრობთ, რომ ტერმინოლოგიურად (თუ სათარგმნი ლექსიკური ერთეულის წინდებულს არ მივიღებთ მხედველობაში), უფრო ზუსტია წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „პავლეთა“ სიტყვების ციტირებას (ტიტე 2,13): τὴν μακαρίαν ἐλπίδα καὶ ἐπιφάνειαν τοῦ μεγάλου θεοῦ (440,10), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „გამოჩინებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“ (165,4,13-14).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, მიუხედავად გარკვეული ნიუანსური სხვაობისა, უმთავრესად მაინც მიჰყვება „სამოციქულოს“ საკუთრივ ბერძნულ ტექსტს და არა წმ. გრიგოლ ნოსელისეულ პერიფრაზს. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ეფთვიმესეული თარგმანი ამავე დროს არც „სამოციქულოს“ საკუთრივ ბერძნულ ტექსტს თანხვდება ზედმიწევნით, რამდენადაც იგი არ

[1] სამოციქულოს განმარტება, II... გვ. 450.

თარგმნის წმ. პავლე მოციქულის სიტყვებს: τὴν μακαρίαν ἐλπίδα („ნეტარ სასოებას“), რაც დამოწმებული აქვს წმ. გრიგოლ ნოსელს (შდრ. ბერძნ. τὴν μακαρίαν ἐλπίδα καὶ ἐπιφάνειαν τοῦ μεγάλου θεοῦ). აღნიშნული სიტყვები „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „ნეტარსა მას სასოებასა“ (ABCD). ეფთვიმესეული კლება, შესაძლოა, მიზნად ისახავდეს ორიგინალის ტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რამდენადაც ამავე კონტექსტში ნოსელისეული ფრაზა: „გამოჩინებადთა მათ კეთილთაჲ“ (165,17) გარკვეულწილად გულისხმობს გამოტოვებული სიტყვების მნიშვნელობას, რის გამოც, ეფთვიმემ საჭიროდ აღარ მიიჩნია ეთარგმნა ციტირებული სიტყვები. იქვე წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი მიმართავს გავრცობას, როდესაც დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ მოტანილ ციტატს: ἐπιφάνειαν τοῦ μεγάλου θεοῦ („გამოჩინებასა დიდისა ღმრთისა“), „სამოციქულოს“ შესაბამის მუხლზე დაყრდნობით, ავსებს: „და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“. აშკარაა, რომ მთარგმნელმა განმარტებისა და დაკონკრეტების მიზნით საჭიროდ მიიჩნია „სამოციქულოს“ შესაბამისი მუხლის სრულად დამოწმება, მიუხედავად იმისა, რომ წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებულ სიტყვებში სწორედ მაცხოვრის გამოჩინება, ანუ უფლის მეორედ მოსვლა იგულისხმება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს პავლე მოციქულის სიტყვათა ციტირებას (ეფეს. 5,27): μὴ ἔχουσαν σπίλον ἢ ῥυτίδα ἤ τι τῶν τοιούτων (454,14), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „რაჲთა «არა აქუნდეს ბიწი რაჲმე, ანუ ნაოჭი ცოდვისაჲ»“ (170,14-15). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში ძირითადად იდენტური თარგმანებით არის წარმოდგენილი: „არა აქუნდეს მწინკულევანება, არცა ნაოჭ ბრძყლის, არცა სხვაჲ რაჲ ესევითარი (AB); ან კიდევ: „რაჲთა არა აქუნდეს მწინკულევანება, არცა ნაოჭ ბრძყლისა, არცა სხვაჲ რაჲ ესევითარი“ (CD).

აღვნიშნავთ, რომ „პავლეთა“ ზემოხსენებული ძველი ქართული თარგმან-რედაქციები ორ ლექსიკურ ერთეულს [„ნაოჭი ბრძყლისაჲ“] უსადაგებენ ბერძნულ ტერმინს – ῥυτίς („ნაოჭი“), რაც, ჩვენი აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ ცალკე აღებული ქართული სიტყვა „ნაოჭი“ ნაკლებად შეიცავს „ცოდვილიანობის“, „ბიწის“, „მწიკვლის“, ან ამ მნიშვნელობის კარგად დამტევი „ბრძყლის“ შინაარსს, რასაც ზემორე კონტექსტში უთუოდ გულისხმობს ბერძნული ῥυτίς (ამიტომ ითარგმნა აღნიშნული ტერმინი რუსულად როგორც „**порок**“). ამითვე უნდა განიმარტოს ისიც, რომ თვით ეფთვიმეც ზემოხსენებულ ბერძნულ ტერმინს ორი შესატყვისით თარგმნის: „ნაოჭი ცოდვისაჲ“, ამასთანავე, ათონამდელ თარგმანებში არსებულ „მწინკულევანება“-ს ცვლის სინონიმური სიტყვით: „ბიწი“. „პავლეთა“ ზემორე სიტყვები ეფთვიმეს ანალოგიურადვე აქვს თარგმნილი წმ. იოანე ოქროპირის „მათეს სახარების განმარტებაში“: „ვიღუაწოთ განკურნებად წყლულებათა მათ და სენთა სულთა

ჩუენთასა და განვაგდოთ ჩუენგან ყოველი ბიწი და ყოველი ნაოჭი ცოდვისაჲ, რაჲთა მრთელნი და შუენიერნი სულითა წარვიდეთ ამიერ და არა უსარგებლოდ ვინანდეთ შემდგომად სიკუდილისა, რამეთუ არა არს მაშინ აღსაარებაჲ და სინანული“[1].

როგორც ვხედავთ, ეფთვიმემ, წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული სიტყვების გადმოღებისას, გაითვალისწინა როგორც „სამოციქულოს“ ბერძნული ტექსტის, ისე ათონამდელი ძველი ქართული რედაქციების მონაცემები და, საბოლოოდ, ასეთი თარგმანი მოგვცა: „ბიწი რაჲმე, ანუ ნაოჭი ცოდვისაჲ“.

ზემოხსენებული ბერძნული ῥυτίς-ის შესატყვისად თითქმის იმგვარივე ორსიტყვედის (კერძოდ, სინტაგმის „ნაოჭი ბრალისაჲ“) დამოწმებას ვხვდებით აგრეთვე იმავე წმ. გრიგოლ ნოსელის შრომაში – „ცხორება წმიდისა მაკრინაჲსი“, რომლის ძველ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „და ნუმცა რაჲ აქუს სულსა ჩემსა ბრძყალი და ბიწი, გინა ნაოჭი ბრალისაჲ ხატსა შინა თჳსსა“ («μὴ ἔχουσα σπίλον ἢ ῥυτίδα» ἐν τῇ μορφῇ τῆς ψυχῆς μου, Gregorius Nyssenus, Vita macrinae, PG 41 24. 42-46)[2].

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ეფთვიმე, ერთი მხრივ, არ თარგმნის დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებულ სიტყვებს: ἤ τι τῶν τοιούτων, რაც „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „არცა სხუაჲ რაჲ ესევითარი“ (ABCD), ხოლო მეორე მხრივ, ბერძნული «ἤ»-ს შესატყვისად, ნაცვლად ძველ ქართულ რედაქციებში დადასტურებული შესატყვისისა – „არცა“ (ABCD), იყენებს სხვა ლექსიკურ ერთეულს, კერძოდ, „ანუ“-ს, რაც, ვფიქრობთ, ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელთან ციტირებულია „პავლენი“ (II კორ. 6,4): οἱ ἐν παντὶ συνιστῶντες ἑαυτούς (500,24-25), რასაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი არ თარგმნის. აღნიშნული სიტყვები „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „წარუდგინენით თავნი თჳსნი“ AB; „წარუდგინენით თავნი თჳენნი“ CD). ეფთვიმე, ვფიქრობთ, სტილური ლაკონურობიდან გამომდინარე, არ თარგმნის აღნიშნულ სიტყვებს, რამდენადაც კონტექსტის მიხედვით მათი თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა. წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ამავე კონტექსტში გაერცობის მეთოდსაც მიმართავს, როდესაც წმ.

[1] წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წ. III, თბ., 1998, გვ. 293.

[2] გრიგოლ ნოსელი, წმიდა მაკრინას ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარი დაურთო ლალი დათაშვილმა, თბ., 2010, გვ. 28.

გრიგოლ ნოსელის მინიშნებას „სულის ნაყოფთა“, ანუ სულიწმიდის ნიჭთა შესახებ აკონკრეტებს უშუალოდ იმ სათნოებათა ჩამონათვალით, რომლებიც წმ. პავლე მოციქულთან გვხვდება გალატელთა მიმართ ეპისტოლეში. კერძოდ, ეს სათნოებანია: „სიმართლე, მშჳდობაჲ, სიხარული“ (გალ. 5,22). გრიგოლ ნოსელის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევა, რაც ერთდროულად გულისხმობს როგორც კლებას, ასევე მატებას, ეფიქრობთ, ერთი მხრივ, განპირობებული უნდა იყოს კონტექსტის გამარტივების, ხოლო მეორე მხრივ, განმარტებითად თარგმნის მიზნით, რამდენადაც წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ კორინთელთა მიმართ ეპისტოლეზე დაყრდნობით სახელდებულ მთავარ სათნოებას – „სიწმიდე“-ს (შდრ. ბერძნ. Καὶ ἐν ἁγνότητι) ეფთვიმე, დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მინიშნების კვალობაზე (Καὶ πάλιν ὅσα ἑτέρωθι ἐν τοῖς τοῦ πνεύματος καρποῖς ἀπαριθμεῖται – „და კიდევ რაოდენიც სხეაგან სულის ნაყოფებად აღირიცხება“), ისევ წმ. პავლე მოციქულის სიტყვებზე დაყრდნობით, ავსებს სხვა სათნოებათა ჩამონათვალით, რაც მეტ სრულყოფილებას სძენს აღნიშნულ კონტექსტს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელთან ციტირებულია „პავლენი“ (რომ. 10,8): Ἐγγύς σου τὸ ῥῆμα (522,10-11), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „ახლოს არს სიტყუაჲ იგი“ (187,1,7). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „მახლობელ არს სიტყუაჲ იგი“ (AB); „მახლობელ შენდა არს სიტყუაჲ ეგე“ (CD).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელთან, ისევე როგორც „პავლეთა“ ძველი ქართული თარგმანის ათონამდელ, AB, რედაქციებში, არ გვხვდება ნაცვალსახელი „შენდა“, რაც არის გიორგისა და ეფრემის თარგმანებში, ანუ CD რედაქციებში, ისევე როგორც „სამოციქულოს“ ბერძნულ ტექსტში. ეფთვიმეს თარგმანი ახლოს დგას AB რედაქციასთან, რაც უადრეს ვითარებას ასახავს.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „პავლეთა“ სიტყვების ციტირებას (II ტიმ. 3,6): ἀπὸ τούτων εἰσὶν οἱ ἐνδύνοντες εἰς τὰς οἰκίας (536,24-25), რასაც ეფთვიმე არ თარგმნის. აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ამათგანნი არიან, რომელნი შევლენან სახლებსა“ (ABCD). ეს შემთხვევაც აშკარა ნიმუშია იმისა, რომ ეფთვიმე იშვიათად, როდესაც კონტექსტიდან გამომდინარე დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებული სიტყვების განსაკუთრებული თარგმნის აუცილებლობა არ შეიმჩნევა, კლების მეთოდს ბიბლიურ ციტაციაზეც განაერცობს და არ თარგმნის წმიდა წერილის სიტყვებს. რაც შეეხება უშუალოდ კლების ამ შემთხვევას, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული სიტყვების თარგმნას მოცემულ კონტექსტში, წმ. პავლე მოციქულის კონკრეტული სწავლების სრულად გათვალისწინების გარეშე, შესაძლოა, მკითხველისთვის ერთგვარად

გაერთულებინა (დაევიწროებინა) ციტირებული სიტყვების უმთავრესი აზრი.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელთან ციტირებულია „პაულენი" (ებრ. 13,16): τοῦ θεοῦ ταῖς τοιαύταις εὐαρεστουμένου θυσίαις (538,4-5), რაც ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „სთნავს ღმერთსა ესეეითარი მარხვაჲ" (189,4,5). აღნიშნული სიტყვები „პავლეთა" ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „ესეეითარნი მსხუერპლნი სათნო არიან ღმრთისა".

მიუხედავად იმისა, რომ წმ. გრიგოლ ნოსელი პერიფრაზირებულად იმოწმებს „პავლეთა" ტექსტს, ის სიტყვა, რაც განსხვავებულად არის თარგმნილი ეფთვიმეს მიერ, ერთი და იმავე, კერძოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით გვხვდება როგორც „სამოციქულოს" ბერძნულ ტექსტში, ისე წმ. გრიგოლ ნოსელთან. ეს არის ბერძნული θυσίαις, რომელიც თავისი ძირითადი მნიშვნელობით აღნიშნავს „მსხვერპლს", „შესაწირავს". აღნიშნული ბერძნული სიტყვა წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თარგმნილია განსხვავებული ტერმინით, კერძოდ, „მარხვაჲ", რაც უფრო მეტად ესადაგება კონტექსტს, რომელშიც საუბარია თვითრჯულობის შესახებ, რაც სხვადასხვა უკიდურესობაში, მათ შორის მარხვასთან დაკავშირებით, ვლინდება და ყოველთვის დაცემის მიზეზი ხდება.

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ერთგან შედარებით ვრცლად მსჯელობს სათნოებითი მოღვაწეობის შესახებ. მოვიტანთ შესაბამისი მონაკვეთის სიტყვასიტყვით ახალქართულ თარგმანს: „ხოლო სათნოების საქმეთა მიმართ, რომელთა მიერაც «სულით ცოცხალნი» შეიცნობიან როგორც ჭეშმარიტად სულიერნი, მოქმედნი და ძალმოსილნი – აი, ცხოვრების ამ კანონისკენ გქონდეს მიმართული მზერა" (შდრ. ორიგინალი: πρὸς δὲ τὰ τῆς ἀρετῆς ἔργα, δι' ὧν οἱ «τῷ πνεύματι ζῶντες» ἐπιγινώσκονται, ἀληθῶς ἔμψυχον καὶ ἐνεργὸν καὶ ἰσχύοντα, πρὸς τοῦτον βλέπε τὸν κανόνα τοῦ βίου (544,6-9). აღნიშნული კონტექსტი ეფთვიმეს მიერ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „ხოლო საქმეთა მიმართ სათნოებისათა, რომლითა ჭეშმარიტნი იგი «სულიერნი გამოჩნდებიან», ჭეშმარიტად ძლიერ და ახოვან და მჭნე. ესეეითარისა მის წესისა მიმართ ხედევდი" (190,7-10).

დამოწმებული ტექსტიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შესიტყვება „ჭეშმარიტნი იგი სულიერნი გამოჩნდებიან". ერთი შეხედვით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეფთვიმესეული ფრაზა – „სულიერნი გამოჩნდებიან" – შეესატყვისება ორიგინალის სიტყვებს: οἱ τῷ πνεύματι ζῶντες, რაც, თავის მხრივ, „პავლეთა" ციტირებაა (გალ. 5,25). ქართულ ტექსტზე უფრო ღრმა დაკვირვება იმ შთაბეჭდილებას გვიქმნის, რომ ეფთვიმესეული „სულიერნი გამოჩნდებიან" უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის შემდეგ სიტყვებს: ἐπιγινώσκονται... ἔμψυχον, რაც, როგორც მივუთითებდით, ასე ითარგმნება: „შეიცნობიან... სულიერნი". ხსენებული „შეიცნობიან" იტევს იმავე შინაარსს, რასაც ეფთვიმესეული „გამო-

ჩნდებიან“. ამას შთამბეჭდავად ადასტურებს რუსული თარგმანიც: **являясь одушевленнымъ**.

ამრიგად, შესაძლოა, ეფთვიმე ან არ თარგმნის ციტირებულ სიტყვებს „სამოციქულოდან“, ანდა თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოსცემს მას ერთი ლექსიკური ერთეულით: „ჭეშმარიტნი“. ამასთან, კაბადოკიელი მოძღვრის საყურადღებო გამონათქვამს – „შეიცნობიან როგორც... სულიერნი“ – თითქმის ადეკვატურად თარგმნის სიტყვებით: „სულიერნი გამოჩნდებიან“.

თუნდაც ეს შემთხვევაც ცხადი ნიმუშია ორიგინალის ტექსტში ეფთვიმესეული ჩარევისა მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება ბიბლიურ ციტაციას, რაც მიზნად უნდა ისახავდეს კონტექსტის გამარტივებასა და სტილურ ლაკონურობას, რომელშიც დიდი კაბადოკიელი მოძღვარი გადმოსცემს სწავლებას სალმრთო ცხოვრებისა და სათნოებითი მოღვაწეობის შესახებ (შდრ. „ესევითარისა მის წესისა მიმართ ხედევდი, იგი იყავნ შენდა სახე სალმრთოჲსა ცხორებისაჲ“ 190,9-10).

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს „პავლეთა“ ციტირებას (გალ. 5,17): ἡ σὰρξ ἐπιθυμεῖ κατὰ τοῦ πνεύματος (548,18), რაც ეფთვიმეს მიერ თარგმნილია შემდეგნაირად: „ჴორცთა აქუს ბრძოლაჲ სულისა მიმართ“ (191,6,29-30). აღნიშნული მუხლი „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „რამეთუ ჴორცთა გული-უთქუამს სულისათჳს“ (ABCD), რაც ტერმინოლოგიურად უფრო ზუსტია, რადგან ხსენებულ რედაქციებში გამოყენებული ტერმინი „გული-უთქუამს“ ზედმიწევნით გადმოსცემს ბერძნული ἐπιθυμεῖ-ს მნიშვნელობას.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს ბერძნული ἐπιθυμει თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოაქვს, კერძოდ, „აქუს ბრძოლაჲ“, რაც მიზნად უნდა ისახავდეს ციტირებულ სიტყვებში ნაგულისხმევი აზრის გამკვეთრებას. აღვნიშნავთ, რომ, მართალია, ტერმინოლოგიურად უფრო ზედმიწევნითია „პავლეთა“ ძველ ქართულ რედაქციებში დადასტურებული „გული-უთქუამს“, თუმცა ორივე შესატყვისი არსებითად ერთი და იგივეა, რის ნათელსაყოფადაც სრულად დავიმოწმებთ აღნიშნულ მუხლს: „რამეთუ ჴორცთა გული-უთუქუამს სულისათჳს, ხოლო სულსა – ჴორცთათჳს; ესენი მჴდომ არიან ურთიერთას, რაჲთა არა რაჲ-იგი გინდეს, მას ჰყოფდეთ“ (AB). ამრიგად, წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური ძეგლის ეფთვიმესეულ თარგმანში სახეზეა „პავლეთა“ ძველი ქართული რედაქციებისაგან განსხვავებული ტექსტობრივი მონაცემი, რაც წმ. პავლე მოციქულის აღნიშნული სიტყვების დაბოლოებას უფრო შეესაბამება, რადგან სწორედ იქაა გამოყენებული „ბრძოლის“ სინონიმური ტერმინი: „მჴდომ არიან“. ეფთვიმესეული თარგმანი, ცხადია, გამართლებულია, რადგან პავლე მოციქულის აღნიშნული სიტყვების წინა ნაწილში მოხმობილი ტერმინი „გულისთქუმა“ კონტექსტისეული გაგებით სწორედ „ბრძოლას“, „მჴდომობას“ ნიშნავს. ამას მკაფიოდ ადასტურებს „პავლეთა“

მითითებული მუხლის შესაბამისი საეკლესიო კომენტარი: „და მარადის ზოგად მყოფთა მათთჳს – სულისა და ჴორცთა – წინააღმდგომობაჲ ითქუმის, რამეთუ მიწისაჲ მიგჳზიდავს მიწად, ხოლო ზეცისაჲ მიგჳწოდს ზეცად. და ესე არს ჴდომაჲ მათი ურთიერთას, რამეთუ გარეშისა განხრწნაჲ, შინაგანისა – განახლება, ხოლო ამისი შუებულებაჲ – მისდა დაძუელება იქმნების; ვინაჲცა სიტყუათა ამათ მიერ არცა ორთა კაცთა, არცა ორთა გუამთა იტყჳს ჩუენ შორის, არამედ გულისსიტყუათა წინააღმდგომობასა, კეთილისა და ბოროტისასა ესრეთ სახელ-სდებს.[1]

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელთან პერიფრაზირებულად არის ციტირებული „პაელენი“ (ებრ. 7,23-24): μένει πάντως καὶ αὐτὸς ἱερεὺς εἰς τὸν αἰῶνα, οὐκέτι ϑανάτῳ παραμένειν εἰς τὸ διηνεκὲς κωλυόμενος (560,50-52), რაც წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ თავისუფალი თარგმანის მეთოდით არის გადმოღებული: „ეგოს იგიცა მღდელ უკუნისამდე, არღარა მიცემული ჴელთა სიკუდილისათა“ (193,52-53). აღნიშნული მუხლი „პაელეთა“ ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში განსხვავებული ტექსტობრივი მონაცემით არის წარმოდგენილი, კერძოდ: „მრავალნი არიან მღდელად დადგინებულ სიკუდილისაგან დაყენებითა დადრგომად“ (ABCD). განსხვავება ძველი ქართული თარგმან-რედაქციების ტექსტობრივ მონაცემსა და ეფთვიმესეულ თარგმანს შორის განპირობებულია იმით, რომ დიდი კაბადოკიელი მოძღვარი პერიფრაზირებულად და არა ზედმიწევნითი სიზუსტით ახდენს ციტირებას.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ძირითადად მიჰყვება წმ. გრიგოლ ნოსელის ტექსტს, თუმცა, გარკვეულწილად, მაინც მიმართავს თავისუფალ თარგმანს, როდესაც დიდი კაბადოკიელი მოძღვრის მიერ ციტირებულ სიტყვებს: οὐκέτι ϑανάτῳ παραμένειν εἰς τὸ διηνεκὲς κωλυόμενος („აღარ დაბრკოლებული სიკვდილში სამარადჟამოდ“) თარგმნის განსხვავებულად: „არღარა მიცემული ჴელთა სიკუდილისათა“. აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად გარკვეული ფორმობრივი სხვაობისა, ეფთვიმესეულ თარგმანში სრულად არის შენარჩუნებული „პაელეთა“ შესაბამისი მუხლის ძირითადი აზრი, რამდენადაც სიტყვები: „არღარა მიცემული ჴელთა სიკუდილისათა“ და „პაელეთა“ ბერძნული ტექსტის კვალობაზე ძველ ქართულ თარგმან-რედაქციებში არსებული ტერმინოლოგიურად ზედმიწევნითი მონაცემი: „სიკუდილისაგან დაყენებითა დადგრომად“, აზრობრივად ერთი და იგივეა, რამდენადაც წმ. გრიგოლ ნოსელი, პაველე მოციქულზე დაყრდნობით, შეგვაგონებს, რომ ყველა ის, ვინც ჭეშმარიტი მღვდლობის ღირსი გახდება და მარადიულ მღდელმთავარს მადლით თანა-შეერთვის, თავადაც მღვდელი იქნება უკუნისამდე. ეფთვიმემ, კონტექსტიდან გამო-

[1] საბოციქულოს განმარტება, II... გვ. 520.

მდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია განმარტებითად ეთარგმნა აღნიშნული მუხლი, რათა მკითხველს ნათლად აღექვა ჭეშმარიტი მღვდლობის უდიდესი მადლი და მნიშვნელობა, რაც არ უქმდება სიკვდილის მიერ და ამისთვის ისევ სამოციქულოს ტექსტის მომდევნო მუხლი გამოიყენა: **„ხოლო ამას წარუვალი აქუს მღდელობაჲ იგი უკუნისამდე“** (ებრ. 7,24).

დავიმოწმებთ სხვა ნიმუშსაც:

წმ. გრიგოლ ნოსელი ახდენს ციტირებას წმიდა წერილიდან (112,9) Ὁ κατοικίζων στεῖραν ἐν οἴκῳ μητέρα ἐπὶ τέκνοις εὐφραινομένην (430,16-17), რაც ეფთვიმეს მიერ განსხვავებულად არის თარგმნილი: „დაამკჳდრის ბერწი სახლსა შინა მხიარულად, ვითარცა დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი“ (162,3,16-17). აღნიშნული მუხლი ფსალმუნის ათონამდელ რედაქციებში შემდეგი თარგმანით არის წარმოდგენილი: „დააშენა ბერწი სახლსა შინა მხიარულად, ვითარცა დედაჲ შვილთა მიერ სახარულევანი“ (Ⴑ). ციტირებული სიტყვები წმ. გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციაში თარგმნილია შემდეგნაირად: „დააშენის ბერწი სახლსა შინა, დიდად შვილთა ზედა სახარულევანად“ (Ⴊ).

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, ერთი მხრივ, ფსალმუნთა ძველი ქართული თარგმანის გავლენით ინარჩუნებს სიტყვას „მხიარულად“, რაც არ გვხვდება არც ბერძნულში და არც გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში, ხოლო მეორე მხრივ, წინააათონურ რედაქციასთან მიმართებით ცვლის ლექსიკურ ერთეულს და დროის კატეგორიას. აღვნიშნაეთ იმასაც, რომ ბერძნულის ἐπὶ τέκνοις („შვილებზე“), რომლის შესატყვისადაც წინააათონურ თარგმანში გვაქვს „შვილთა მიერ“, ეფთვიმეს მიერ თარგმნილია როგორც „შვილთა ზედა“, რაც ზედმიწევნით ესადაგება ბერძნულ ტექსტს.

ციტირებული სიტყვების უფრო ღრმად გააზრების მიზნით, საჭიროდ მივიჩნიეთ მოგვეტანა აღნიშნული მუხლის შესაბამისი კომენტარი:

„უფრო საკუთრივ ეს სიტყვები შეიძლება განეკუთვნოს ეკლესიას, რადგან უნაყოფოსა და უშვილოსაგან მან [ღმერთმა] გახადა ის დედად, რომელიც ხარობს ურიცხვი შვილით. აღმატებული აზრით, თითოეული სული უშვილო და ქვრივი, უნაყოფობის გამო მკვიდრდება ღვთის მიერ სახლში – ეკლესიაში, და ხდება სულიერი დედა საქმეთა, შეგონებათა, აზრთა და სიტყვათა, და ხარობს ღვთის სიტყვის მიერ ნაშობ შვილებთან ერთად, რომელიც ცოცხლობს მასში“ (ათანასე, ევსუქი [თარგმანი ჩვენია პროტოპრესვიტერი გ.ზ.]), რუს. ტექსტი: **Более собственно слова эти можно относить к Церкви. Ибо из неплодной и бездетной Он сделал ее матерью, веселящуюся о бессчисленных чадех. В высшем смысле каждая душа безчадная и вдова, по безплодству поселяется Богом в доме – Церкви, и становится духовной матерью дел, поучений, мыслей и слов, и веселится вместе с рожденными ею от живущего в ней Божьего слова чадами (Афанасий, Исихий. Псалтирь в святоотеческом изъяснении, Свято-Успенская Почаевская Лавра, 2003, стр. 441).**

ჩატარებული კვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა მასალის სისტემატიზირება იმ თვალსაზრისით, თუ როგორია წმ. ეფთვიმე ათონელის, როგორც ღვთისმეტყველისა და მთარგმნელის, მიდგომა ბიბლიური ციტაციისადმი. წარმოვადგენთ ძირითად დასკვნებს:

1) წმ. ეფთვიმე მთაწმიდელს უცვლელად გადმოაქვს გრიგოლ ნოსელისეული ციტატა და არ იყენებს წმიდა წერილის ათონამდელ რედაქციებს.

2) წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი თხზულებაში პერიფრაზირებულად ციტირებულ ზოგიერთ ადგილს ცვლის წმიდა წერილის ქართულ რედაქციებზე დაყრდნობით.

3) წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, თხზულებაში ციტირებული ზოგიერთი ადგილის თარგმნისას, ათონამდელი რედაქციისგან განსხვავებულ რედაქციას გეთავაზობს, რაც განპირობებულია ტექსტის ზედმიწევნითი გადმოღების მიზნით. ზოგიერთ შემთხვევაში ეს ჩარევა უმნიშვნელოა, ხდება სიტყვის სინონიმური ჩანაცვლება; ამგვარი ჩარევა ხშირად სრულყოფს თარგმანის სტილურ, გამომსახველობით მხარეს და, ჩვეულებრივ, განმარტებითი მიზანდასახულობისაა.

4) წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებულ ადგილს წმიდა წერილიდან ზოგჯერ ავრცობს. ეს გავრცობა ყველა შემთხვევაში ეფუძნება თვით წმიდა წერილს, როდესაც, კონტექსტიდან გამომდინარე, ეფთვიმე ავსებს დედანში ციტირებულ სიტყვებს დამატებითი მუხლით.

არის საპირისპირო შემთხვევებიც, კერძოდ, როდესაც ეფთვიმე კვეცს ან არ თარგმნის წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაში ციტირებულ რომელიმე მონაკვეთს. ამას იგი, როგორც წესი, მაშინ მიმართავს, როდესაც, კონტექსტის მიხედვით, ციტატის თარგმნის განსაკუთრებული აუცილებლობა არ შეიმჩნევა, ან როდესაც ციტირებულ სიტყვებში გადმოცემული აზრის განმეორებას აქვს ადგილი. შესაბამისად, სტილური ლაკონურობიდან გამომდინარე, ეფთვიმე მიმართავს კლების მეთოდს.

5) წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი, კონტექსტიდან გამომდინარე, გრიგოლ ნოსელის მიერ დამოწმებულ სიტყვებს უნაცვლებს სხვა ციტატს.

6) იმ შემთხვევაში, თუ წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ ციტირებული მუხლი ერთმნიშვნელოვნად შეიძლებოდა არ აღქმულიყო მკითხველის მიერ გამომდინარე იქიდან, რომ ზოგ შემთხვევაში, თავისი სულიერი წვდომის შესაბამისად, ავტორს პერიფრაზირებულად მოაქვს ბიბლიური ტექსტი, ეფთვიმე მთაწმიდელი ამჯობინებდა დედნისეული პერიფრაზირების ნაცვლად მოეცა ბიბლიური ტექსტის პირდაპირი ციტაცია.

7) წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი ციტატის გადმოღებისას ზოგჯერ გარკვეულწილად ცვლის ტექსტს მხოლოდ სტილური სრულყოფილების, ბუნებრიობისა და ლაკონურობის მისაღწევად.

დასკვნები

აღნიშნული ნაშრომის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურმა ანალიზმა და ბერძნულ ორიგინალთან მისმა ზედმიწევნითმა შედარებამ აჩვენა, რომ ეფთვიმე, როგორც ღვთიეგანბრძნობილი მოღვაწე, რომელსაც „მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელ-ეწიფებოდა შემატებაიცა და კლებაიცა“ (ეფრემ მცირე), თავისუფლად ერევა დედანში:

ა) მიმართავს გავრცობას, როდესაც მის მიერ თარგმნილ ტექსტს ამდიდრებს სხვადასხვა სახის ჩანართებით, რათა ქართველი მკითხველისათვის უფრო ნათელი და მკაფიო გახადოს ავტორის მსჯელობა. ამგვარი მატებანი, ნაშრომის ამა თუ იმ მონაკვეთის შინაარსის შესაბამისად, ან ვრცელია, ან რამდენიმე სიტყვით არის გადმოცემული.

ბ) საკუთარი მიზანდასახულობის შესაბამისად ეფთვიმე შედარებით იშვიათად ამოკლებს ტექსტს, რაც განსხვავებული სახით ვლინდება მის მიერ თარგმნილ ძეგლში – არის შემთხვევები, როდესაც ეფთვიმე უთარგმნელად ტოვებს არა მხოლოდ ცალკეულ სიტყვას ან წინადადებას, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში – რამდენიმე ქვეთავსაც კი.

გ) ეფთვიმე მიმართავს თავისუფალ თარგმანს, რითაც „აქართულებს“ ბერძნულ ტექსტს და ქართული ენისათვის დამახასიათებელი ბუნებრიობით გადმოგვცემს სათქმელს. გრამატიკული ნორმების გათვალისწინებით, ამარტივებს ტექსტს, ცვლის დედანში არსებულ სიტყვათა თანმიმდევრობას, აკონკრეტებს ავტორის მსჯელობას, რაც ორიგინალში მხოლოდ ნაგულისხმევია და მოცემული არ არის. ქართველი მკითხველისათვის ძნელად აღსაქმელ სახისმეტყველებით სინტაგმებს ცვლის უფრო გასაგები ფრაზეოლოგიით, აკეთებს კომენტარებს, აზრის გასამძაფრებლად სვამს კითხვას, ცვლის დედნისეულ სტილს, ფორმის მხრივ განსხვავებულად გვაწვდის ავტორის სხვადასხვა სწავლებას, მაგრამ შინაარსობრივად არ ცვლის მას. ნიუანსურად ცვლის ტექსტს, ფართოდ იყენებს მოცემული სიტყვის სინონიმურ მნიშვნელობებს. ეფთვიმესეული თავისუფალი თარგმანი ვრცელდება ცალკეული თავების სათაურებზეც.

დ) მრავალგვარია მისი დამოკიდებულება ბიბლიურ ციტატებთან. არის შემთხვევები, როდესაც ეფთვიმე უთარგმნელად ტოვებს წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ დამოწმებულ ამა თუ იმ ციტატას, ან დედანში პერიფრაზით თუ არასრული სახით მოტანილ მუხლს ასწორებს ბიბლიის ტექსტის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ავტორთან დამოწმებული ძველი და ახალი აღთქმის ციტატების ეფთვიმესეული თარგმანი ზოგიერთ შემთხვევაში არ თანხვდება ჩვენამდე მოღწეულ უძველეს ქართულ რედაქციებს.

ე) ჩვენ მიერ შესწავლილი სამი ხელნაწერიდან უძველესია P3-ის ტექსტი; რაც შეეხება Ath. 39-ს, მასში შეიმჩნევა გვიანდელი რედაქტირების კვალი, რაც, ჩვენი აზრით, წმ. გიორგი მთაწმიდელს უნდა ეკუთვნოდეს. ვფიქრობთ, A 108-ს საფუძვლად უნდა ედოს Ath. 39-ის

ნარედაქციევი ტექსტი.

ვ) თარგმანი ლინგვისტური თვალსაზრისით ძირითადად თავსდება ძველი ქართული ენის კლასიკურ ნორმებში, თუმცა არის გარკვეული სახის გადახვევებიც, რაც ენობრივ მიმოხილვაშია ნაჩვენები.

აღნიშნული ძეგლის ქართული თარგმანი კიდევ ერთხელ ადასტურებს ეფთვიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მეთოდთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრების მართებულობას, რომ დიდ ათონელ მამას „მადლითა სულისა წმიდისაჲთა ჴელ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა".

ტექსტისათვის

1. წმ. გრ. ნოსელის ასკეტური შრომის ეფთვიმესეული თარგმანი გამოსაცემად მომზადებულია სამი ნუსხის მიხედვით: P3 (1040 წ., A ლიტერი); Ath. 39 (XI ს., C ლიტ.); A 108 (XII ს., B ლიტ.). A 108-ში ტექსტი ნაკლულია – არის მხოლოდ შესავალი და I-III თავები.
2. Ath. 39-ის წაკითხვები (გიორგი მთაწმიდლისეული სწორებები) ეფთვიმეს თარგმანს ზედმიწევნით აახლოებს ბერძნულ ორიგინალთან. ყველა ასეთი სწორება ასახულია ძირითად ტექსტში.
3. ქართული ტექსტი თავებად და მუხლებად დაყოფილი გვაქვს შემდეგი ბერძნული გამოცემის მიხედვით: Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966.
4. ნუსხებს შორის არსებული აზრობრივი და ორთოგრაფიულ-ფონეტიკური სხვაობები ვარიანტებშია ნაჩვენები.
5. ტექსტში ვარსკვლავით (*) აღვნიშნავთ ბიბლიურ ციტატებსა და ჩვენეულ შენიშვნებს.
6. ბიბლიური ციტატები ჩასმულია ბრჭყალებში.
7. კომენტარში განმარტებულ სიტყვასა თუ ფრაზას ტექსტში უზის შესატყვისი კომენტარის კვადრატულ ფრჩხილში ჩასმული ნომერი: [...].

თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაჲ ქალწულებისათჳს და საღმრთოჲსა მოქალაქობისა*

A 311v
B 147v
C 102r

გუაკურთხენ, უფალო![2]

1. პირი სიტყჳსა ამის ჩუენისაჲ, ჱ საყუარელნო, ესე არს, რაჲთა სურვილი სათნოჲსა ცხორებისაჲ შთაუგდოთ გულსა მკითხველთასა. და ვინაჲთგან მოქალაქობასა მას შინა სოფლისასა, ვითარცა წმიდაჲ მოციქული იტყჳს,[1]* მრავალნი ამბოხებანი და უცალოებანი არიან, ამისთჳს წიგნსა ამას შინა ჩუენსა, ვითარცა კარი და შესავალი პატიოსნისა ცხორებისაჲ და საღმრთოჲსა მოქალაქობისაჲ, პირველად ქალწულებაჲ დავაწესეთ.

რამეთუ რომელნი საკრველთაგან სოფლისათა შეკრულ იყვენენ, ძნიად შესაძლებელ არს მათ მიერ დაყუდებით შეყოფაჲ საღმრთოსა მას ცხორებასა, ხოლო რომელნი განშორებულ იყვნენ შფოთითა სავსისა ამის ცხორებისაგან, ფრიად ადვილ არს მათთჳს „უზრუნველად“ მაღალთა მათ გონებისა ხილვათა შინა[1] „მტკიცედ ყოფაჲ“,[2]* რაჟამს შფოთთაგან სოფლისათა კიდე იყვენენ.

და ვინაჲთგან ესრეთ ლიტონად სწაელაჲ[3] არა ფრიად კეთილ არს დასარწმუნებელად და მარტივითა სიტყჳთა[2] ვერვინ მოსდრეკს კაცსა საქმისა რაჲსამე მიმართ, უკუეთუ არა პირველად აქოს და პატიოსნად გამოაჩინოს საქმე იგი, რომლისა მიმართ ენებოს | მოყუანებაჲ მის მიერ B 148r სწაელულისაჲ მის,[3] ამისთჳს სიტყუაჲ ესე ჩუენი იწყებს პირველად შესხმად ქალწულებისა და ესრეთ მოვალს სწაელად; და ვინაჲთგან უმეტესი გამოჩინებაჲ იქმნების კეთილისაჲ, რაჟამს წინააღმდგომისა მისისა სიძნელე გამოცხადნეს, ამისთჳს სიძნელეცა ცხორებისა მის სოფლიოჲსაჲ[4] ვაჴსენეთ და მერმე გამოსახჳაჲ შემოვიღეთ სათნოჲსა ცხორებისაჲ; და ვითარმედ ვერ შემძლებელ არს მისდა მიმთხუევად, რომელი სოფლისა ზრუნვათა შინა იყოს. და ვინაჲთგან სოფლით განსრულთა უჭმს, რაჲთა ჴორციელი გულისთქუმაჲ სრულიად განდევნონ, ამისთჳს თჳსსა ადგილსა ჯეროვნად ძიება-ვყავთ, თუ რაჲ არს ჭეშმარიტი იგი გულისსათქუმელი, რომლისათჳს მოცემულ არს ძალი გულის-

---

* ძე. ქართული თარგმანი დავყავით თავებად და ქვეთავებად ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემის მიხედვით (იხ. მ. ობინოს ზემოდამოწმებული პუბლიკაცია).

[1] ქალწულებისაათჳს B; [2] მამაო, გუაკურთხენ B; [3] სწაელად B.

[1*] I კორ. 7,35; [2*] I კორ. 7,35.

თქუმისაჲ დამბადებელისა მიერ ბუნებისა ჩუენისადა. | ხოლო ვინაჲთ- A 312r
გან ესე ძალისაებრ ჩუენისა გამოვაჩინეთ, მერმე შემდგომითი-შემდგო-
მად შემოვიდა ძიებაჲ, თუ რაჲმცა ღონე მოვიპოვეთ მიმთხუევად ჭეშ-
მარიტისა მის კეთილისა.[5]

2. და იპოვა ჭეშმარიტი ქალწულებაჲ, განშორებული ყოველთაგე ცოდვისა ბილწებათაგან, კეთილ და განმარჯუებულ ესევითარისა მისთჳს ღონისა, და სიტყუაჲ ჩუენი, დაღაცათუ სხუად და სხუად მიდრკებოდის, ყოველითურთ ქალწულებისაგე შესხმასა ისწრაფის.

| ხოლო თითოეულად მოქალაქობათა მათ, რომელნი მოიპოვნეს მო- C 102v
ქმედთა ამის პატიოსნისა ცხორებისათა, თანა-წარჴდა სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ უზომოებისაგან იელტოდა; არამედ ოდენ ძირნი იგი მცნებათანი აჴსენნა და მათთჳს ყო სწავლაჲ და შემოიღო ესეცა, რაჲთა არარაჲ ვინ კეთილთაგანი უგულებელს-ყოს და უზომოებისაგანცა ივლტოდის.

და ვინაჲთგან რაჟამს კაცმან იხილნეს ვიეთნიმე, რომელნი საქმესა რასამე[1] შინა დიდად გამოჩინებულ იყვნენ, გულსმოდგინე იქმნების[2] საქმისა მის მოგებად, ამისთჳს სამართლად უქორწინებელობასა შინა გამოჩინებულნი წმიდანი ვაჴსენენით.[3]

და ვინაჲთგან არა ესრეთ სურვიელ-ჰყოფენ კაცსა ძუელნი სათნოებისა სახენი, ვითარ ახლად ქმნულნი,[4] ამისთჳს ჯეროვნად დასასრულისა კერძსა სიტყჳსასა ვაჴსენეთ სათნოებაჲ ეპისკოპოსისა[5] და მამისა ჩუენისაჲ,[1*] ვითარცა მხოლოჲ შემძლებელი ესევითარისა სწავლად.

ხოლო ჴსენებაჲ იგი არა სახელით იქმნა, არამედ საქმეთაგან, რომელნი გამოაჩინებენ, თუ ვისთჳს არს სიტყუაჲ ჩუენი, რაჲთა რომელნი იკითხვიდენ შემდგომად ჟამთა ჩუენთა სიტყუასა ჩუენსა, არა გარდასრულისა მიმართ ხედვიდეს გონებაჲ მათი, არამედ ოდენ გულისჴმა-ჰყოფდენ, თუ ვითარ არს ჯეროვნად სახედ-სახედ ყოფად ესევითარისა მის ცხორებისა, და ესევითართა მოიღებდენ წინამძღურად სათნოებისა, რამეთუ ანუ რომელსა ეძიებდენ, პოეონ, ანუ თუ ვითარი[6] ჯერ-არს, არა უმეცარ-იყვნენ. | ხოლო შენ, იკითხვიდე რაჲ, ძალი ესევითარი ჰპოეო სიტყუათა B 148v
ამათ შინა:

I. პირველად, ვითარმედ უზეშთაეს არს ყოველისაგე ქებისა ქალწულებაჲ;

---

[1] რასმე B; [2] იქმნებიან A; [3] ვაჴსენნეთ A; [4] ქმნილნი AC; [5] ეპისკოპოსისა AC; [6] რომელი BC.

[1*] ოგულისხმება წმ. გრიგოლ ნისელის ძმა, წმ. ბასილი დიდი.

II. და მერმე, ვითარმედ თჳსი არს წმიდისა მის | და უჴორცოჲსა A 312v
ბუნებისა ქალწულებაჲ;

III. და შემდგომად ამისა იპოვოს ჴსენებაჲ ძნელოვნებისაჲ[1] მის,
რომელი აქუს ქორწინებასა; და ვითარმედ მეტყუელი ამათ სიტყუათაჲ-
35 ცა შთავარდა ოდესმე საკრველთა მათ შინა;

IV. და მერმე, ვითარმედ ყოველთა ჭირთა ამის ცხორებისათა დასაბამი ქორწინებისაგან აქუს, და თუ ვითარი არს ჭეშმარიტად სოფლისაგან განშორებული;

V. და შემდგომად ამისა ჰპოვო, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა წინა-
40 უძღოდის სულისა უნებელობაჲ ჴორცთა სიწმიდესა;

VI. და მერმე აღმოიკითხო, ვითარმედ ელია და იოვანე მოიგეს კეთილადცხორებაჲ ესე;

VII. და კუალად, | ვითარმედ არცა ქორწინებაჲ ბოროტ არს; C 103r

VIII. და მერმე, ვითარმედ ძნიად მოიგოს საწადელი იგი ცხორებაჲ,
45 რომლისა სული მრავალთა შინა საქმეთა განბნეულ იყოს;

IX. და ვითარმედ ძნელ არს ყოველსავე ზედა შეცვალებაჲ ჩუეულებისაჲ;

X. და ამისა შემდგომად ჰპოვო, თუ რაი არს ჭეშმარიტად გულისსათქუმელი;

50 XI. და თუ ვითარითა ვინ ღონითა პოოს[2] ჭეშმარიტი იგი კეთილი;

XII. და ვითარმედ რომელსა თავი თჳსი განეწმიდოს, იხილოს მას შინა საღმრთოჲ იგი შუენიერებაჲ;

XIII. და ვითარმედ დასაბამი თავისა თჳსისა ზრუნვისაჲ არს განშორებაჲ ქორწინებისაგან;

55 XIV. და ვითარმედ ქალწულებაჲ უზეშთაეს არს მძლავრებასა[3] სიკუდილისასა;

XV. და ვითარმედ ჭეშმარიტი ქალწულებაჲ ყოველსა საქმესა შინა იხილვების;

XVI. და ვითარმედ უკუეთუ მცირედცა ვინ გარეგან სათნოებისა
60 საზღვართა განვიდეს, სასჯელსა ქუეშე არს;

XVII. და ვითარმედ არასრულ არს კეთილისა მიმართ, რომელი ერთისაგანცა სათნოებისა ნაკლულევან იყოს;

XVIII. და ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა ყოველნივე ძალნი სულისანი სათნოებისა მიმართ ჰხედვიდენ[4];

65 XIX. ამისა შემდგომად ჰპოვო ჴსენებაჲ მარიამისი, დისა აჰრონისი, ვითარმედ იწყო ამას შეკალაქობასა;

---

[1] ძნელოვანებისა A; [2] პოოს A; (ჰპოვო B-ში ხან „ვ"-ინითაა, ხან — მის გარეშე); [3] მძლავრებისაგან A; [4] ხელყიდენ B.

XX. და მერმე, ვითარმედ შეუძლებელ არს, რაჲთამცა ჴორციელთა გულისთქუმათა ჰმონებდა სული და მასმცა აქუნდა საღმრთოჲ იგი სიხარული;

70 XXI. და ვითარმედ უჴმს, რომელსა ენებოს კეთილადცხორებაჲ, ყოველისავე ჴორციელისა გულისთქუმისაგან უცხოყოფაჲ;

XXII. და ვითარმედ უმეტეს ზომისა მოღუაწებაჲცა არავე კეთილ არს, რამეთუ წინა-აღუდგების სულსა სისრულედ შეუბაჲცა ჴორცთაჲ A 313r და უზომოჲცა შრომაჲ;

75 XXIII. და მერმე ესე ჰპოო,[1] ვითარმედ უჴმს, რაჲთა რომელი კეთილად ისწავლიდეს ცხორებასა ამას, მისგან ისწაოს,[2] რომელსა წარემართოს იგი.

[1] ჰპოეთ AB; [2] ისწაოს B.

თჴუმული წმიდისა მაჲრისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელისაჲ

თავი I

პატიოსანსა მას საქმესა ქალწულებისასა, რომელი საწადელ არს ყოველთა მიერ, რომელნი ჭეშმარიტსა კეთილსა გულისჴმა-ჰყოფენ, ხოლო იპოვების მათ თანა ოდენ, რომელთა მადლი ღმრთისაჲ კეთილისა მათისა გონებისაებრ სურვილისა შემწე ეყოს ამის სათნოებისა მიმართ, თჳთ თავით თჳსით აქუს მას ჯეროვანი ქებაჲ სახელისა მისგან, რომელი წოდებულ არს მის ზედა.

| რამეთუ უხრწნელება ეწოდების მას, რომელი-ესე მისსა მას ფრიადსა სიწმიდესა მოასწავებს და ამისთჳს სახელისაგან ოდენ შესაძლებელ არს ცნობად გარდამეტებულებაჲ იგი პატიოსნებისა მადლისა ამის დიდისაჲ. B 149r

| რამეთუ მრავალ და ურიცხუ არიან სათნოებათა სახენი და ესე ოდენ პატივცემულ არს სახელითა მით უხრწნელებისაჲთა. C 103v

უკუეთუ კულა საჴმარ არს შესხმითაცა სიტყუათაჲთა ქებაჲ დიდისა ამის ნიჭისა ღმრთისაჲ, კმა-არს მაქებელად მისდა წმიდაჲ მოციქული პავლე, რომელმან მცირედითა სიტყჳთა დაფარა ყოველივე შესხმისა სიტყუაჲ, რამეთუ „წმიდა და უბიწო“[1*] სახელ-სდვა ამის მადლისა მიერ შემკობილთა.

რამეთუ უკუეთუ საქმე ქალწულებისაჲ ესე არს, რომელ მომგებელსა მისსა „წმიდა და უბიწო“ ჰყოფს, ხოლო ესე სახელნი ბუნებით და ჭეშმარიტებით სადიდებელნი არიან დამბადებელისა ღმრთისანი.[2*]

რამეთუ რაჟამს ვადიდებდეთ მას, „წმიდა და უბიწო“ ვხადით. და ვინაჲთგან სახელნი, რომელნი ღმერთსა ეწოდებიან, ქალწულებაჲ კაცთა, მოქმედთა მისთა, მიანიჭებს, რაჲმცაღა იყო უზეშთაესი ქებაჲ მისი ვითარ ესე, რომელ მსგაჳს ღმრთისა ჰყოფს მზრახვალთა მათ მისთა საიდუმლოთასა,[1] რაჲთა იქმნენ იგინი ზიარ დიდებისა მხოლოჲსა მის ჭეშმარიტად წმიდისა და უბიწოჲსა და უხრწნელისა ღმრთისა, სიწმიდისა მიერ და უხრწნელებისა თჳსად და საკუთრად მისსა ქმნილნი?

ხოლო რომელნი გრძელთა სიტყუათა შეაწყობენ შესხმად ქალწულებისა და ჰგონებენ, თუ სიტყუათა მათთა მიერ შე-მცა-რაჲმე-სძინეს დიდებასა მისსა, იგინი, ვითარ მე ვჰგონებ, თჳსსავე გულისსიტყუასა

[1] საიდუმლოთაჲსა A.

[1*] იხ. ეფ. 5,27; [2*] შდრ. რომ. 1,23.

წინა-აღუდგებიან და ვერ სცნობენ, რამეთუ სიტყუათა მათ მიერ შესხმისათა, რომლითა ჰგონებენ, ვითარმედ აღამაღლებენ ქალწულებასა, უფროჲსად იჭუეულ ჰყოფენ მას.

რამეთუ რომელთაცა საქმეთა თჳთ ბუნებით[1] აქუს | დიდებულებაჲ, A 313v
მათი ქებაჲ თჳსით არს და არარაჲ უჴმს სიტყუათამიერი[2] შეწევნაჲ, ვითარცა-იგი ცისა სიმაღლესა და მზისა ბრწყინვალებასა არა ეჴმარების სიტყუათამიერი[3] გამოჩინებაჲ, არამედ თჳთ გამოაჩინებენ სიმაღლესა და ბრწყინვალებასა მათსა. ხოლო რომელნი საქმენი ბუნებით მდაბალნი იყუნენ, მათ ეჴმარების, რაჲთა შესხმისა სიტყუთა აღამაღლონ მცირედ სიმდაბლე მათი. და ამისთჳს მრავალგზის სიტყუათაგან კაცთაჲსა ამაღლებული საქმე მრავალთა მიერ იჭუეულ იქმნების.

ხოლო ჭეშმარიტი და ღირსი ქალწულებისა ქებაჲ ესე არს, რაჲთა კაცმან ესე განაჩინოს, ვითარმედ უზეშთაეს არს წესსა ქებისასა სათნოებაჲ ესე და უფროჲსად საქმით ადიდოს და არა სიტყუთა[4] სიწმიდე. ხოლო რომელი სიტყუთ ისწრაფდეს შესხმად და ქებად მისა, მსგავს არს იგი კაცსა, | რომელი ჰგონებდეს, თუ ნაწუეთი თჳსისა ოფლისაჲ C 104r
ჯეროვან არს განსამრავლებელად დიდთა მათ სიღრმეთა ზღუსათა; ეგრეთ არს, რომელი ჰგონებდეს,[5] თუ თჳსითა სიტყუთა შემძლებელ არს უმეტეს რასმე[6] დიდებად ესევითარისა მის მადლისა და ანუ თჳსსა ძალსა უმეცარ არს, ანუ რომელსა იგი აქებს, არა იცნობს.

[1] საქმეთა თჳთ ბუნებით]თჳთ გონებით B; [2] სიტყუათა მიერ AB; [3] სიტყუათა მიერ AB; [4] სიტყუთ BC; [5] თუ ნაწუეთი... ჰგონებდეს] – B; [6] რომელ არს A.

თავი II

| 1. რამეთუ ფრიადი მეცნიერებაჲ გჳღირს, რაჲთა გულისჴმა-ვყოთ B 149v
გარდამეტებულებაჲ ამის მადლისაჲ, რომელი-იგი გულისჴა-იყოფების
უხრწნელსა მას თანა მამასა, რომელმან შვა უცნებელად დაუსაბამოჲ
იგი ძჱ[1] და სიტყუაჲ, და იხილვების მხოლოდშობილსა[1*] მას ძესა და
ღმერთსა თანა, მომცემელსა მას უხრწნელებისასა, რამეთუ წმიდასა და
უცნებელსა შობასა[6] მისსა თანა გამობრწყინდა, და ეგრეთვე მსგავსად
გამოჩნდების სულისა წმიდისა უხრწნელსა მას და ბუნებითსა სიწ-
მიდესა თანა. რამეთუ რაჟამს წმიდაჲ და უხრწნელი სოქუა[2] სხუთა
სახელითა, ქალწულებისავე ბუნებასა იტყჳს, რომელი-იგი, ვითარცა ვთქუ,
წმიდასა სამებასა თანა იხილვების და ყოველთავე ზესკნელისა ბუნებათა
თანა მოქალაქობს უცნებელობისა მიერ. და იყოფების უზეშთაესთა[3] მათ
ძალთა თანა: არცა ვის წმიდათაგანსა განეშორების, არცა ვის
წინააღმდგომთაგანსა შეერთვის. რამეთუ ყოველნივე, რომელნი ბუნებით
და გონებით სათნოებისა მიმართ ჰხედვენ[4] და მისა მოყუარე არიან,
ყოველნივე სიწმიდითა მით უხრწნელებისაჲთა განშუენდებიან. და ყოველნი, A 314r
რომელნი წინააღმდგომსა კერძსა მიდრეკილ არიან, დაცემითა სიწმიდ-
ისაგან არიან ესევითარნი-იგი.[5]

რომელი უკუე სიტყუათა ძალი იპოოს[6] შესწორებულად[7] ესევი-
თარისა მის მადლისა? ანუ ვითარ არა გჳკმს შიში, ნუუკუე სიტყუათა
ჩუენთა მიერ ეავნოთ სიმაღლესა მისსა, რაჟამს უდარესად თჳსისა მის
ბუნებითისა დიდებისა იჭჳ მივსცეთ მისთჳს მსმენელთა სიტყუათა ჩუენ-
თაჲსა.[8]

2. და ამისთჳს კეთილ არს, რაჲთა შესხმისა სიტყუანი დავაცადნეთ
მისთჳს, ვინაჲთგან შეუძლებელ არს სიმაღლესა თანა მისსა ამაღლებაჲ
სიტყჳსა ჩუენისაჲ. არამედ, რაჲზომცა ოდენ ძალ-გუეძვას, ეჳსენებდეთ
კეთილსა ამას სათნოებასა და მარადის ენასა ზედა და გულსა გუაქუნდეს
იგი, რომელი-ესე თჳსი არს უჯორცოჲსა მის ბუნებისაჲ,[9][7] ხოლო კაცთ-
მოყუარებითა ღმრთისაჲთა მონიჭებულ არს ჩუენდაცა, რომელნი-ესე
ჯორცთა მიერ და სისხლთა შეერთებულსა ცხორებასა შინა ვიყოფებით,
რაჲთა დაცემულსა[10] კაცთა ბუნებასა[11] ვნებულისა გონებისა მიერ,[8]
ვითარცა ჴელი, მისცეს სათნოებაჲ ესე ქალწულებისაჲ და აღჰმართოს
და კუალად ზეცისა დიდებისა მიმართ მხედველ-ყოს.

---

[1] ძე B; [2] თჳა BC; [3] უზეშთაეს B; [4] ხედვენ AB; [5] იგი] – A; [6] იპოოს A; [7] შეს-
წორებად BC; [8] ჩუენთასა BC; [9] ბუნებისა B; [10] დაცემული A; [11] ბუნებაჲ A.

[1*] შდრ. ინ. 1,18.

| რამეთუ მე ვჰგონებ, ვითარმედ ამისთჳს წყაროჲცა იგი უხრწნელებ- C 104v
ისაჲ – უფალი ჩუენი იესუ ქრისტე[1] – არა ქორწინებისა მიერ[9] შემოვიდა სოფლად, რაჲთა გამოაჩინოს თუსითა განკაცებითა დიდი ესე საიდუმლოჲ. ვითარმედ ღმრთისა მოსლვასა და ჩუენ შორის დამკუდრებასა იქმს ქალწულებაჲ და სიწმიდე, რომელსა-იგი სხუებრ[2] ვერარაჲთ შესაძლებელ[3] არს ჭეშმარიტებით[4] მოგებად, არამედ რაჲთა კაცმან თავი თჳსი სრულიად ენებათაგან ჴორციელთა უცხო-ყოს.

რამეთუ რაჲ-იგი უხრწნელსა მარიამს თანა იქმნა ჴორციელად, რამეთუ „საცსებაჲ იგი ქრისტეს ღმრთისაჲ“[1*][10] გამობრწყინდა ქალწულებისა მისისაგან, ესევე იქმნების ყოველსა სულსა ზედა, | რომელსა ჭეშმარიტი ქალწულებაჲ მოეგოს. B 150r

რამეთუ არღარა თუ ჴორციელად იქმნების უფლისა მოსლვაჲ,[2*] არამედ სულიერად დაიმკუდრებს სულსა მას შინა მამისა თჳსისა თანა, ვითარცა თავადი იტყჳს სახარებასა შინა.[3*]

3. და ვინაჲთგან ესევითარი არს ქალწულებისა ძალი, რომელ ზეცათა შინაცა მამასა მას თანა სულთასა[4*] ჰგიეს და კაცთა ცხორებასა იქმს და ღმერთსა თავისა თჳსისა მიერ კაცობრიჲისა ცხორებისა ზიარებად მოიყვანებს და კაცთა თავისა თჳსისა მიერ ზეცისა საქმეთა სურვილად მიიყვანებს და ვითარცა საკრველი რაჲმე იქმნების კაცთა ღმრთისა თანა შეერთებისაჲ | და ესეზომ ბუნებით ურთიერთას[5] შორიელთა თჳსით- A 314v
თა შუვამდგომელობითა[6] ერთობად მოიყვანებს,[11] რაჲმცა ძალი იპოა[7] სიტყუათაჲ სიმაღლესა მას[8] თანა საკჳრველებათა მისთასა ამაღლებად? არამედ, ვინაჲთგან არა კეთილ არს, რაჲთამცა უცნობელთა და უტყუთა მიეემსგავსენით ყოველითურთ, რაჲთა არა ორთაგანი ერთი ითქუას[9] ჩუენთჳს, ანუ თუ ვითარმედ[10] არა გჳცნობიან ქალწულებისა კეთილნი, ანუ თუ ვითარმედ[11] ულმობელ და აღუძრველ ვართ ჭეშმარიტისა კეთილისა სურვილად, ამისთჳს მცირედი რაჲმე ვთქუათ მისთჳს.

ხოლო ნუმცა ვინ ეძიებს ჩუენგან საფილაფოზოთა[12] და ძნელოვნებითა დათხზულთა[13] სიტყუათა,[12] რამეთუ ნუუკუე[14] დაღაცათუმცა გუნდა, ვერევემცა უძლეთ ესევითარი საქმე, რომელნი-ესე უსწავლელ ვართ ესევითართა სიტყუათა. გარნა დაღაცათუმცა[15] ძალ-გუედვა, არამცა დაუტეევეთ ყოველთა სარგებელად თქუმაჲ და მცირეთა ვიეთმემცა სათნოყოფად ვისწრაფეთ.

რამეთუ კაცსა ბრძენსა უჴმს, რაჲთა არა ესევითარსა საქმესა იქმოდის, რომლისაგან სხუანი აქებდენ მას, არამედ რომლისაგან თაესაცა თუსსა და სხუათაცა არგებდეს.

---

[1] ქრისტე] – A; [2] სხუაჲ A; [3] შემძლებელ A; [4] ჭეშმარიტად A; [5] ურთიერთარს B; [6] შუამდგომელობითა C; [7] იპოვა AB; [8] მას] – A; [9] იქუას B; [10] ვითარმედ] – AB; [11] ვითარმედ] – AB; [12] საფილაფოსთა B; [13] დათხზნულთა AC; [14] ნუუკუმ AC; [15] დაღაცათუმცა B.

[1*] კოლ. 2,9; [2*] შდრ. II კორ. 5,16; [3*] შდრ. ინ. 14,23; [4*] შდრ. ებრ. 12,9.

თავი III

1. და ნეტართუმცა შესაძლებელ იყო, რაჲთამცა მეცა სარგებელ-
მეყოფვოდა[1] ესეეითარისა ამის მოსწრაფებისაგან, რაჲთამცა | უმეტესი- C 105r
თა მოსწრვაფებითა ექმენ შრომაჲ ესე, უკუეთუმცა, სიტყჳსა მისებრ
წერილისა, ამითმცა „სასოებითა ვიღუწიდი“ სიტყუასა ამას, რაჲთამცა
მეცა მოვიღე ნაყოფი „ჴნვისა და თესვისა“[1*] ჩემისაჲ.

ხოლო აწ ერთჯერ[13] უსარგებლო არს ჩემდა ცნობაჲ და გულისჴ-
მისყოფაჲ კეთილთა მათ ქალწულებისათაჲ[2], ვითარცა ჴარისათჳს,[2*] რომე-
ლი ჭიმითა იქცეოდის კალოსა ზედა, უსარგებლო არს მისთჳს იფქლი
იგი, ანუ ვითარცა წყურიელისათჳს კაპანსა ქუეშე მდინარე წყალი,
რაჟამს ვერ მიეახლებოდის მას.

არამედ ნეტარ არიან, რომელთა ჴელმწიფებასა შინა არს გამორჩევაჲ
უმჯობესისაჲ და არა შუვაკედელ ქმნულ არს მათდა პირველი ცხორე-
ბაჲ.[3] ვითარცა ჩუენ ღრმითა რაჲთმე მთხრებლითა შორის ჩუენსა მდე-
ბარითა, ესრეთ განშორებულ ვართ სიქადულისაგან ქალწულებისა, რომ-
ლისა მიმართ არღარა შესაძლებელ არს მოქცევად, რომელი ერთგზის
საერისკაცოსა ცხორებასა შესრულ-იყოს. | ამისთჳსცა მხილველნი B 150v
ოდენ ვართ სხუათა კეთილისანი | და მოწამე სხუათა ნეტარებისა,[4] და A 315r
დაღაცათუ გულისჴმა-ვყოთ რაჲმე[5] და ვთქუათ ქალწულებისათჳს, მს-
გავს ვართ მზარაულთა და მსახურთა, რომელნი სანოვაგეთა მათ ჰამო-
თა მდიდართა მათ უფალთა მათთა უმზადებენ და თჳთ გემოსა ვერ
იხილვენ. და ნეტარ იყო, თუმცა არა ესრეთ იყო, და არცა შემდგომად
საბრჴესა[6] შთაჰჴრისა[7] გუეცნა კეთილი ესე.[14]

ხოლო აწ, ვითარცა რომელნი სხუათა სიმდიდრესა თანა განიცდიდენ
თჳსსა სიგლახაკესა, უმეტესად იწყლვიან გონებანი მათნი, ეგრეთცა,[8]
რაჲზომცა გულისჴმა-ვჰყოფდეთ ქალწულებისა კეთილსა, ეგეზომად
საწყალობელად გუაქუს მეორე იგი ცხორებაჲ, თუ რაბამთა და რაჲზომ-
თა კეთილთაგან გლახაკ არს. არა მათგან ოდენ ვიტყჳ, რომელნი მას
საუკუნესა სათნოდ ცხორებულთა მიეცემიან, არამედ რაოდენნი[9] ამას
ცხორებასა უაღრესობანი ჰქონან ქალწულებასა.

რამეთუ უკუეთუ ვის კეთილად ცხორებისა ამის სოფლიოჲსა ენებოს
ქალწულებისა და მონაზონებისა თანა გამოძიებაჲ, ესეზომ პოოს[10] განყო-

---

[1] სარგებელ-მეყოფოდა A; [2] ქალწულებისათა A; [3] ცხორებაჲ] + ვითარცა ჩუენ განშორებულ ვართ A; [4] ნეტარებისანი A; [5] რაჲ A; [6] საჟრჴესა C; [7] შთაჰრისაშცა BC; [8] ეგრეთვე A, ეგრეცა B; [9] რაედენნი A; [10] პოეოს A.

[1*] 1 კორ. 9,10; შდრ. II რჯ. 25,4; [2*] შდრ. 1 კორ. 9.9.

ფილებაჲ, რაჲზომ აქუს ქუეყანასა ცისაგან და კეთილ არს, რაჲთა ჭეშმარიტებაჲ სიტყჳსაჲ[1] ამის საქმეთა ხილვითა გულისჴმა-ვყოთ.

2. ხოლო სადაჲთ ვინ იწყოს თქუმად, რაჲთა ღირსად წარმოთქუნეს | საქმენი მძიმისა ამის და უბადრუკისა ცხორებისანი? ანუ ვითარ ვინ გამოაჩინნეს სოფლისა ამის ბოროტნი, რომელნი ყოველთა კაცთა იცნიან[2] გამოცდილებისაგან და არა უწყი, თუ ვითარ რომელთა იცნიან,[3] მათიე[4] თჳსთა საფრჴეთა მიერ[5] სოფელმან ღონე-ყო. და ნებსით[6] არა ჰნებავს კაცთა გულისჴმისყოფაჲ, თუ რასა შინა არიან?! C 105v

რამეთუ იხილენ ბოროტნი მისნი: ვთქუათ, ვითარმედ იყოს კაცი მდიდარი მშობელთა დიდებულთაჲ და[7] შეერთებულ იყოს მეუღლისადა ეგრეთვე დიდებულისა, იყოს ყუავილსა მას შინა სიჭაბუკისასა, აქუნდეს ურთიერთას[8] სიყუარული ფრიადი და აქუნდეს დიდებაჲ და ძლიერებაჲ, რაოდენი ენებოს.

არამედ იხილე ამათ ყოველთა კეთილთა თანა აქავე შეერთებული მწუხარებაჲ, დაუტეო შური იგი სხუათამიერი, რომელი არს ესევითარსა მას ზედა, და ბრძოლათა (sic), რომელნი სხუათა მიერ იყენიან,[9] ვითარიგი აქუს სოფელსა ჩუეულებაჲ და წესი. დაუტეო ესე ყოველი და ვთქუა, თუ არა იყოს მათ ზედა შური და ბრძოლაჲ სხუათამიერი, რომელ ესე არა უწყი, თუმცა სადა იპოა[10] ესევითარი, რომელ სიმდიდრემცა აქუნდა და დიდებულებაჲ და მტერნი და მოშურნენი მისნი არავინ იყვნეს. გარნა[11] ვთქუათ, თუ იყოს ცხორებაჲ მათი ყოველისა ესევითარისაგან[12] თავისუფალ, და ვიხილოთ, თუ შე-რომელი-უძლონ-ა სიხარულსა შინა ყოფად? A 315v

3. და უკუეთუ სთქუა: და ვითარმედ რაჲ-ღა-მცა იყო ესევითარისა მის შემაწუხებელ, პირველად უკუე ესე გულისჴმა-ყავ, ვითარმედ ჰხედვიდენ[13] რაჲ საფლავებსა მამათა მათთასა და იცოდინ ხრწნილებაჲ კაცობრივისა ბუნებისაჲ, განუშორებელად | აქუს მწუხარებაჲ ცხორებისაგან მათისა, უკუეთუ აქუნდეს მცირედიცა გულისჴმისყოფაჲ და იცოდინ ბუნებაჲ კაცობრივი. B 151r

ხოლო სხუათა მათთჳს ბოროტთა სოფლისათა რაჲღა ვინ თქუას, რომელნი-იგი უკუეთუმცა ვინ შეუძლო ჯეროვნად გულისჴმისყოფად, ოდესმცა დაადგრა მას შინა და არამცა სრბით განეშორა მისგან და შეეძიდა ცხორებასა მას მოღუაწებისასა?[15] რამეთუ იხილამცა სოფლისა ამის საქმეთა შინა სიცილი, ცრემლთა თანა შეზავებული, და მწუხარებაჲ, სიხარულსა თანა შერთული, ყოველსავე საქმესა თანა სიკუდილი განმზადებული და ყოველსავე ჰასაკსა ზედა უწყალოდ მომავალი. და

---

[1] სიტყჳსა A; [2] იციან A; [3] იციან A; [4] მათიეე A (ორიგინალი უფრო თანხვედება C-ს: ἐν αὐτοις) [5] მიერ] – A (C-ში ზემოდან არის მიწერილი); [6] ნეფსით A; [7] და] – A; [8] ურთიერთარს B; [9] იყუნიან A; [10] იპოვა A; [11] გინა A; [12] ესეეითარისა B; [13] ხედვიდენ A.

რომელი-იგი დღეს შუენიერ არნ და შუებულ, ხვალე სამარესა შინა
15 საძაგელ და მყრალ | და არარა ქმნილ არნ და[1] არცა კუალი, არცა C 106r
საჴსენებელი ჩან მისისა მის სიკეთისაჲ.

4. უკუეთუ ამას და ესევითარსა იგონებდეს, ვითარმცა ჰრწმენა ტყუვილი ამის სოფლისა კეთილთაჲ? და არამცა, ვითარცა სიზმრისა უცნებათა, ხედვიდა სოფელსა ამას და საქმეთა მისთა, ვითარცა ჭეშმარიტად მისგან უცხოთა? რამეთუ არარაჲ არს კეთილთაგან ამის სოფლისათა
5 ჭეშმარიტ, არამედ სხუაჲ არს და სხუად გუეჩუენების, და სასოებითა კეთილისაჲთა აცთუნებს მოყუარეთა მისთა და შუებისა და მცირედ-ჟამისა სიხარულისა ჴურელთა შინა მალაეს თავსა თჳსსა, ვიდრემდის ჟამსა შეცვალებისასა გამოჩნდეს ტყუილი[2] მისი, ვითარ-იგი სხუაჲ იყო და სხუად ჩანდა და ამაოდ აცთუნებდა კაცთა.
10 რაჲმცა უკუე სიხარული მოვიდა გულსა, რომელი ამას ყოველსა იგონებდეს? ოდესმცა მხიარულ იქმნა გული მისი საწუთროსა ამას ზედა, რომელი ამას კეთილად გულისჴმა-ჰყოფდეს და იცნას საქმე ამის სოფლისაჲ?...*

| 8. ...და უკუეთუ გნებავს, რაჲთა სცნა ძნელოვნებაჲ ამის სოფლისაჲ, A 316r
ისმინე, რასა იტყჳან, რომელნი საქმით გამოცდილ არიან საქმესა მას, ვითარ ჰნატრიან პირველითგან ქალწულებასა შინა დადგრომილთა და კუალად, რომელთა დაეტეოს იგი და განშორებულ იყვნენ.
5 რამეთუ ქალწულებაჲ და მონაზონებაჲ ჭეშმარიტი ამათ ყოველთა ბოროტთაგან თავისუფალ არიან, არა აქუს გლოვაჲ სიობლისაჲ, არცა გოდებაჲ სიქურივისათჳს, არამედ მარადის შეერთებულ არს უხრწნელ-სა მას თანა სიძესა,[16] მარადის იხარებს[3] ღმრთისმოშიშებისა ნაშობთა[4] ზედა და სახლსა მას ჭეშმარიტად თჳსსა ჰხედავს მარადის[5] ყოველითა
10 კეთილითა შემკულსა, რამეთუ მას შინა მკჳდრ არს ყოველთა მეუფჱ,[6] რომელსა ზედა სიკუდილი არა განყოფასა, არამედ უფროჲსად შეერთე-ბასა ჰყოფს ჭეშმარიტსა მას თანა საწადელსა მისსა სიძესა, რამეთუ რაჟამს „მიიცვალოს“, მაშინ „ქრისტესა შეერთჳს“,[1*] ვითარცა მოციქულ-ი იტყჳს.

9. ხოლო სხუათა მათთჳს ამის სოფლისა მოქალაქობათა რაჲ ვთქუათ? რამეთუ მდიდრად და უჭირველად მყოფთათჳს ვთქუთ მცირედი ესე, ვითარმედ შეუძლებელ არს, თუმცა მოაკლდა მწუხარებაჲ. არამედ სხ-

---

[1] და] – A; [2] ტყუეილი AB; [3] იხარებდ B; [4] ნაყოფთა B; [5] მარადის] – B; [6] მეუფე AB.

* ქართულ თარგმანს აკლია V,VI,VII კეთილების და VIII კეთილის დასაწყისი, რაც შესაძლოა მთარგმნელისეული კლება იყოს (თუმცა არც მსგავსი ხარვეზის მქონე ბერძნული ნუსხის არსებობაა შეუძლებელი). ბერძნულთან შესაბამისობის მიზნით დაკლებულ ნაწილს მრავალწერტილით აღნიშნავთ.

[1*] ფილ. 1,23.

უათა | მათთჳს რაჲ ეთქუათ, რომელნი იყვნენ სიგლახაკესა შინა და B 151v
ჭირვეულობასა და ურიცხუთა მათ სოფლისა განსაცდელთა შინა, რომელნი შერთულ არიან ცხორებასა კაცთასა, რომელთა გინა ყოველთავე კაცი, რომელი თჳსსა ოდენ სულსა ზრუნვიდეს, ანუ განერების მათგან, ანუ, უკუეთუ მოიწინეს, ადვილად თავს-იდებს მათ განსაცდელთა, რაჟამს-იგი თავსა ოდენ თჳსსა შინა შემოკრებულ იყოს გონებაჲ მისი და არა მრავალკერძო | განიბნეოდის ზრუნვათა მიერ. ხოლო რომელი ზრუნ- C 106v
ვასა სოფლისა საქმეთასა შექცეულ იყოს, მას არცა თუ მოეცალების თჳსთა ბოროტთა ზედა სულთქუმად, არამედ განბნეულ არნ გონებაჲ ქორწინებულისაჲ ცოლისა მიმართ და შვილთა და სხუათა მათ ურიცხუთა ზრუნვათა.

და რასა მრავალსა ვიტყოდით? რამეთუ უკუეთუ მდიდართა და დიდებულთა არა დააკლდების ბოროტი და მწუხარებაჲ და ჭირი, ჭირვეულთა და გლახაკთათჳს რადღა საჴმარ არს თქუმად?! ანუ დაღაცათუ გუენებოს, სადა იპოოს[1] სიტყუაჲ ღირსად გამოთქუმად მათ ბოროტთა, რამეთუ მდიდართა და დიდებულთა შეაწუხებს მოლოდებაჲ, გინათუ მოსლვაჲ სიკუდილისაჲ, ხოლო გლახაკთა და ჭირვეულთა — დაყოვნებაჲ მისი. და ცხორებაჲ მდიდართა და გლახაკთაჲ ფრიად შორს არს | ურთიერთას, ხოლო A 316v
მწუხარებაჲ და ჭირი ორთაჲვე აურაცხელი არს და მიუთხრობელი.

10. ესრეთ ყოვლითკერძო საცთურ არს ქორწინებაჲ[17] და ჭირთა მოატყუებელ, რამეთუ უკუეთუ იშვნენ შვილნი, განსაცდელ არიან და უკუეთუ არა იშვნენ — მწუხარება. და კუალად, უკუეთუ იყვნენ, საჭირო არიან და უკუეთუ მოკუდენ, საგლოველ. და რომელიმე არნ შვილმრავალ და, არცა საზრდელი აქუნ, რაჲთამცა გამოზარდა თავიცა თჳსი, და რომელსამე მრავალთა მათ მონაგებთა, ჭირით და ცოდვით მოგებულთა, არცა თუ მკუდრი ჰყავნ ნაშობი მისი. და ამათ ორთავე, თითოეულსა,[2] მეორისა განსაცდელი კეთილად უჩნს: და შვილმრავალსა მას ულონოსა სურის უშვილოებისათჳს, ხოლო უშვილოსა მას მდიდარსა სანატრელად უჩნ შვილმრავალი იგი გლახაკი.

და კუალად, რომელსამე მოუკუდის საყუარელი შვილი და რომლისაამე[3] ცოცხალ არნ, ურჩი და უკეთური. და საწყალობელ იყუნიან ორნივე: ერთი იგი სიკუდილსა შვილისა მის საყუარელისასა იგლოვნ და მეორე — ჭირთა მათ უკეთურისა მის ცოცხლისათა. და რაჲ ვთქუა ბრძოლათათჳს და მტერობათა ერთისასა მეორისა მიმართ და თუ ვითართა განსაცდელთა და ვნებათა მიიწევიან აღსასრულნი მათნი, რამეთუ ვინმცა აღრაცხნა ყოველნი თითოეულად?[4]

---

[1] იპოოს AB; [2] თითუეულსა A, თუთოეულსა B; [3] რომლისაჲმე AB; [4] თითუეულად A; თუთოეულად C.

ხოლო შენ, უკუეთუ გნებავს ცნობად, თუ ვითარ აღვსებულ არს
ბოროტითა ცხორებაჲ სოფლისაჲ, უკუეთუ გრწამს ძუელთა მათ თქუ-
20 მულთაჲ,[18] აღმოიკითხენ, | რომელთა შინა ჰპოჳნე* შეილთა კლვანი და C 107r
მამა-დედათა ჭოცანი და ძმათა დაკლვანი და შეერთებანი უშჯულო-
ნი![19] და თითოსახე იგი ბუნებისა შფოთი და განრყუნილებაჲ,[20] რომელნი-
იგი ყოველნი ქორწინებისაგან იწყებენ თხრობად და ესევითართა გან-
საცდელთა მიერ ჰყოფენ აღსასრულსა სიტყჳსა მათისასა.
25 უკუეთუ კულა ძუელთა მათ ურწმუნო ხარ, აწინდელნი ესე იხილენ,
რომელნი წინაშე თუალთა ჩუენთა იქმნებიან, რომელთა მომატყუებელ
ექმნების ქორწინებაჲ და ერისკაცობაჲ.
მიევედ სამშჯავროდ,[2] აღმოიკითხენ ესევითართა საქმეთათჳს დაწერ-
ილნი რჩულნი[21] და[3] მუნ იხილნე ქორწინებისა საქმენი, რამეთუ რაჟამს
30 გესმას მკურნალთაჲ, იტყოდიან ვითარცა-რაჲ თითოფერთა მათთჳს სენ-
თა უბადრუკებასა, გულისჴმა-ჰყოფ კაცობრივთა ამათ[4] ჭორცთასა, | A 317r
ეგრეთვე რაჟამს შჯულნი აღმოიკითხნე და იხილნე თითოსახეთა მათ
ბოროტთა სატანჯველნი, სცნნე საქმენი სოფლისანი და განსაცდელნი
ქორწინებისანი, რაჟამს აღმოიკითხნე მრავალფერნი იგი უშჯულოებანი
35 მისნი, რამეთუ ვითარცა მკურნალი არაარსთა სენთა კურნებასა არა იტყჳს,
ეგრეთვე არცა შჯული არაარსთა ბოროტთა ტანჯვასა არა შემოილებს.

[1] ურჩულონი A; [2] სამსჯაუროდ C; [3] და] – A; [4] მათ C.

* ამ ადგილიდან წყდება ტექსტი A 108-ში.

თავი IV

1. არამედ რად საკმარ არს ესრეთ უნდოდ თქუმაი ესეევითარისა მის ცხორებისა[1] ბოროტთაი,[2] და მრუშებათა ოდენ და კაცისკლვათა და სიკუდილთა მიერ გამოჩინებაი[3] განსაცდელთა მისთაი?[4]

რამეთუ მე ესრეთ ვიგონებ, ვითარმედ ყოველი უკეთურებაი სოფლისა ამის, რომელი თითოსახედ ყოველთა შინა საქმეთა სოფლისათა იპოების, ვერ ჰპოებს[5] ადგილსა კაცთა თანა, რომელი ჭეშმარიტად განეშოროს სოფელსა და ცხორებასა მას ამაოსა. და ესრეთ გულისჴმა-ყაჲთ სიტყუაი ესე ჩუენი, ვითარმედ ჭეშმარიტ არს.

რამეთუ რომელმან იხილოს საცთური ამის სოფლისაი განწმედილითა თუალითა სულისაითა[22] და უზეშთაეს საქმეთა მისთა იქმნას და, ვითარცა მოციქული იტყჳს: ყოველი კეთილი მისი სიმყრალედ და უბადრუკებად შეჰრაცხოს[1*] და უცხო-ყოს თავი თჳსი მისგან, მას არცა ერთი აქუს ზიარებაი კაცობრივთა მათ ბოროტთა თანა, ანგაჰრებასა ვიტყჳ და შურსა, რისხვასა და ამაოჲსა დიდებისა სიყუარულსა და სხუათა ყოველთაევე, რომელნი ამათ საქმეთა თჳსნი არიან. და რაჟამს ყოველიეე ესეევითარი შეურაცხად აქუნდეს და ყოველითურთ აზნაურ და მშჳდობით იყოს ცხორებაი მისი, არღარას ზედა აქუნდეს მას ცილობაი ანუ შური, რაჟამს არღარა მოყუარე | იყოს საქმეთა მათ, რომელთაგან იშვების შური. C 107v

რამეთუ რომელსა ყოვლისა სოფლისაგან ცხორებაი თჳსი აღემაღლოს და თჳსად პატიოსნად მონაგებად სათნოებაი ოდენ შეერაცხოს, მისი ცხორებაი არს მარადის უშფოთველ და შეუწუხებელ და მშჳდობით.

რამეთუ სათნოებისა იგი მონაგები, დაღაცათუ ყოველნი კაცნი მიიღებდენ მისგან, არამედ თითოეული,[6] რაჲზომცა ძალ-ედვას, აღივსების მის მიერ და იგი მოუკლებელე არს და არა ქუეყანისა მონაგებთა მსგავს არს, რომელსა-იგი განჰყოფენ კაცნი თითოსახედ და რაჲზომცა შეჰმატონ ერთსა მას ნაწილსა, ესეზომ მოაკლებენ მეორისაგან და მისთჳს არიან უმეტესისათჳს ბრძოლანი და შურნი,[7] ხოლო იგი მონაგები უშურველი არს და მას ზედა | ანგაჰრებაი უშფოთველ არს და რომელმან უმეტესი მოიტაცოს, არცა ერთსა დაჭირვებასა მოატყუებს, რომელსა ენებოს სწორად მისა მოგებაი მისი, არამედ რაჲზომცა ვინ A 317

[1] ცხორებისაი A; [2] ბოროტთა A; [3] გამოვაჩინებთ A; [4] მისთა A; [5] პპოებს A; [6] თითუეული A; [7] შურნი და ბრძოლანი C.

[1*] შდრ. ფილ. 3,8.

დაიტევდეს, თუთცა აღივსების კეთილითა მით სურვილითა და სიმდიდრე იგი სათნოებათაჲ სხუათათჳს არა მოაკლდების.

2. და რომელიცა უკუე ამის ესევითარისა ცხორებისა მიმართ ჰხედვიდეს[1] და სათნოებასა იუნჯებდეს თავისა თჳსისათჳს, რომელსა-იგი არცა ერთი საზღუარი კაცობრივი გარეშემოსწერს, მანმცა თაესიდვა-ა მდაბალთა რათმე და ხენეშთა საქმეთა მიმართ მიდრეკად სულისა თჳსისა?

ანუ და-მცა-სადა-უკჳრდა-ა ქუეყანისა სიმდიდრე, ანუ ძლიერებაჲ კაცობრივი, ანუ სხუაჲ რაჲმე, რომელი წინაშე უგუნურთა კაცთაჲსა[2] საკჳრველად ჩანს? რამეთუ უკუეთუ ვინ ჯერეთ ესევითართა მათ საქმეთა თანა დამდაბლებულ იყოს და ესევითარნი იგი არარანი საქმენი უყუარდენ, იგი გარეგან არს კრებულისა მისგან ჭეშმარიტთა მათ მოლუაწეთაჲსა და არარაჲ აქუს ზიარებაჲ ჩუენსა ამას სიტყუასა თანა.

უკუეთუ კულა ზეცისასა ზრახვიდეს[1*] და ღმერთსა თანა იქცეოდის გონებითა, იგი უმაღლეს არს ამის ყოელისაგან, რაჟამს არარაჲ აქუნდეს მიზეზი იგი ამის ესევითარისა საცთურისაჲ, ქორწინებასა ვიტყჳ.

რამეთუ ბოროტი იგი ვნებაჲ ამპარტავანებისაჲ, რომელსა-იგი უკუეთუ ვინ თესლად სახელ-სდვას, ანუ ძირად ყოვლისაეე ცოდვათა ეკლისა,[23] არა შესცთეს ჭეშმარიტებისაგან — იგი ვნებაჲ მიზეზსა დაწყებისასა უმეტესად ქორწინებისაგან მიიღებს.

3. და ეგრეთვე ანგაჰრებისა იგი ბოროტი მისგან იწყების, რამეთუ ყოველი ქორწინებული მიზეზად ანგაჰრებისა შვილთა შემოიღებს და ყოველი ამპარტავანი ნათესავთა დიდებულებისაგან ზუაობს და ისწრაფის, რაჲთა არა უდარეს რაჲთამე იქმნას პირველ მისა ყოფილთაჲსა. და C 108r
ეგრეთვე სხუანი ვნებანი, რომელნი-იგი სულისა სენნი არიან: შური და ძჳრისჴსენებაჲ, სიძულილი და სხუანი იგი მსგავსნი მათნი, ამისვე მიზეზისაგან არიან. რამეთუ ესე ყოველნი მოყუარეთა თანა სოფლისა საქმეთასა იპოებიან, რომელთაგან უცხოქმნული იგი და გარეგან მათსა განსრული, ვითარცა მაღალსა რასმე სახედველსა აღსრული, შორით ხედავენ[3] კაცობრივთა მათ ვნებათა და სწყალობენ უბადრუკებასა მათსა, A 318r
რომელნი ესევითარისა მის ამაოებისადა დამონებულ არიან და დიდად აქუს ჭორცთა შუებაჲ.

რამეთუ რაჟამს იხილოს ესევითარმან მან კაცთაგანი ვინმე დიდებული და შემკული პატივითა და სიმდიდრითა და ძლიერებითა, ეცინინ უგუნურებასა მას ესევითართა მათ საქმეთა ზედა მზუაობართასა და

[1] ხედვიდეს A; [2] კაცთასა A; [3] ხედავნ A.

[1*] შდრ. კოლ. 3.2.

აღრაცხავს გრძელსა მას უფროჲს ყოველთასა ჟამსა ცხორებისა კაცთაჲსა, ვითარცა-იგი მეფსალმუნე იტყჳს,[1*] და იხილავს მისსა მას სიგრძესა ჟამთა მათ თანა საუკუნოჲსა მის ცხორებისათა[24] და გულისჴმა-ჰყოფს, ვითარ უნდო და არარაჲ არს საწუთროჲ ესე და ყოველივე მას თანა. და ესე რაჲ გულისჴმა-ყოს, მერმე შეეწყალების უბადრუკებაჲ იგი მათი, რომელნი ამას არარასა ზედა ესრეთ ზუაობენ და იხარებენ.

რამეთუ რაჲ არს საქმეთაგან ამის სოფლისათა ღირს ნეტარებისა? იხილეთლა, რამეთუ კაცთა შორის უფროჲს ყოველისა პატიჲი და მრავალთაგან დიდებაჲ არს საწადელ. რაჲ უკუე სარგებელი ვის შეემატების მისგან, ვინაჲთგან მოკუდავი იგი მოკუდავადვე ჰგიეს, გინათუ პატივიცემებოდის, გინათუ-არა. ანუ მონაგებთა სიმრაელე სთქუაა, თუ კეთილ არს?

არამედ გულისჴმა-ყავთ, თუ რაჲ არს მისი შესაძინელი, გარნა ესე, რაჲთა ჰგონებდეს უგუნური იგი მისდა არამისსა მას, რამეთუ უგულისჴმოჲ არნ უბადრუკი იგი, ვითარმედ „უფლისაჲ არს ჭეშმარიტად ქუეყანაჲ და სავსებაჲ მისი“,[2*] რამეთუ „მეუფჱ ყოვლისა ქუეყანისაჲ ღმერთი არს“.[3*]

ხოლო კაცთა ანგაჰრებისა იგი ვნებაჲ ტყუვილით სახელსა მას უფლებისასა მისცემს არა მათსა მას ზედა, რამეთუ „ქუეყანაჲ“, ვითარცა იტყჳს ბრძენი სოლომონ ეკლესიასტესა შინა, „უკუნისამდე ჰგიეს“[4*] და ყოველთა ნათესავთა ჰმსახურებს და თითოეულად მას ზედა მოსავალთა ზრდის.

ხოლო კაცნი, რომელთა არა აქუს თჳსთაცა თავთა ზედა უფლებაჲ, | არამედ ნებისა მისებრ მჰყრობელისაჲსა, ოდეს არა იცოდინ, შემოვლენ C 108v
ცხორებასა ამას და კუალად, ოდეს არა ენებოს, განეშორებიან მისგან იგინი ფრიადისა მის ამაოებისა მათისაგან, ჰგონებენ, თუ უფალ არიან ჟამითი-უამად შობადნი იგი და მოკუდომადნი მარადის მდგომარისა ამის სოფლისა.[25]

4. არამედ რომელი ამას ყოველსა გულისჴმა-ჰყოფდეს და ამისთჳს შეურაცხად აქუნდეს ყოველივე საქმე სოფლისაჲ, კაცთა მიერ პატიოსნად შერაცხილი, | და ოდენ საღმრთოჲსა მის ცხორებისა აქუნდეს A 316v
ტრფიალებაჲ,[26] რომელმან იცოდის, ვითარმედ: „ყოველი ჴორცი[2] თივაჲ არს და ყოველი დიდებაჲ კაცისაჲ ვითარცა ყუავილი თივისაჲ“,[5*] მანცა ოდეს შეჰრაცხა „თივაჲ“ საწადელად, რომელი-იგი დღეს არს და ხვალე არაარს იქმნების? რამეთუ[3] იცინ[4] ჭეშმარიტმან მან გულისჴმისმყოფელმან,[27] ვითარმედ არა თუ კაცობრიეთა საქმეთა ოდენ[5] არა აქუს

---

[1] არს ღმერთი A; [2] ჴორციელი C; [3] რომელი A; [4] იცის C; [5] ოდენ] – A.

[1*] შდრ. ფს. 89,9-10; [2*] ფს. 23,1; [3*] ფს. 46,8; [4*] ეკლ. 1,4; [5*] ეს. 40,6; შდრ. I პეტრე 1,24; იაკ. 1,10.

სიმტკიცე, არამედ არცა ყოველი სოფელი ჰგიეს დაუსრულებელად.
ამისთჳსცა, ვითარცა უცხოჲ და განქარვებადი, აქუს საწუთროჲსა ამის
ცხორებაჲ.

რამეთუ სიტყჳსაებრ მაცხოვრისა, „ცაჲ და ქუეყანაჲ წარჴდენ“[1]* და
ყოველნივე ნივთნი შეიცვალნენ და ამისთჳს, ვიდრეცა იყოს „ჴორცთა
ამათ შინა“[2]*[28] ესეევითარი იგი, მძიმენ უჩნს მას ცხორებაჲ ესე ამაოჲ
და გოდებენ განგრძობისათჳს ამის მწირობისა,[29] ვითარცა-იგი მეფსალ-
მუნე გალობათა[3]* მათ შინა თჳსთა იქმს.

რამეთუ ჭეშმარიტად ბნელსა შინა არიან ამათ ბოროტთა შინა „მწირქმ-
ნულნი იგი“.[4]* ამისთჳსცა სულთ-ითქუნა წინაჲსწარმეტყუელმან განგრ-
ძობასა მას ზედა მწირობისასა და თქუა: „ვაჲმე, რამეთუ განმიგრძდა[1]
მე მწირობაჲ ჩემი“, და „ბნელად“ სახელ-სდვა მკჳდრობასა მას და
თქუა: „და დავემკჳდრე მე მყოფთა თანა კედარისათა“,[5]* რამეთუ „ბნელ-
სა“ ეწოდების ებრაელითა ენითა „კედარი“,[30] ვითარცა ბრძენთაგან
გჳსწავიეს, ანუ არა ესრეთ არს-ა?[2]

ჭეშმარიტად, ვითარცა უკუნისა მიერ ბნელისა შეპყრობილნი, ესრეთ
ბრმა არიან კაცნი, რაჲთამცა იცნეს საცთური სოფლისაჲ, და არა იციან,
ვითარმედ რავდენი კაცთა მიერ ამას ცხორებასა შინა კეთილად შე-
რაცხილ არს ანუ ბოროტად, იჭუთა მით ოდენ[3] უგულისჴმოთაჲთა[4] არს
ესრეთ.[31]

რამეთუ თუთ თავით თჳსით არარა არიან, რამეთუ არცა რაჲ გლახაკ-
თა შეილობაჲ არს, არცა მდიდართა შვილობაჲ, არცა დიდებაჲ და
სიმდიდრე არს რაჲმე, არცა ძალი, არცა სიგლახაკე და უძლურებაჲ,
არცა სხუათა ზედა | უფლებაჲ არს რაჲმე, არცა მონებაჲ და არცა C 109r
სხუაჲ რაჲმე ამის სოფლისა უწესოებაჲ, არამედ ამათ[5] შორის წინაშე
უგუნურთასა ფრიადი განყოფილებაჲ არს, რომელთაცა ჴორციელი
გულისთქუმაჲ ჰყავს მსაჯულ ესევითართა მათ საქმეთა. ხოლო რომ-
ლისა გონებაჲ საღმრთოსა სიმაღლესა მიწუდომილ[6] იყოს, მას სწორად
უჩნს[7] ესე ყოველივე და არარაჲთ უპატიოსნეს უჩნს ერთი მეორისა
ესევითართა მათ საქმეთაგანი ამისთჳს, რამეთუ განსუენებასაცა შინა
და ჭირვეულობასაცა,[8] სიმდიდრესაცა და სიგლახაკესა, მონებასაცა და A 319r
უფლებასა სწორად რბის სარბიელი იგი ცხორებისა ჩუენისაჲ და
სწორი ძალი არს ორსავე მას შინა აღსასრულსა, კეთილად გინა ბორო-
ტად ცხორებისასა,[9] ვითარცა მოციქული იტყჳს, ვითარმედ: „საჭურველ-

განმიგრძა A; [2] არსაა A; [3] A-ში შემდეგაა სტრიქონის ზემოთ ჩამატებული;
[4] უგულისჴმოჲთა C (A-ს წაკითხვის მართებულობას ადასტურებს ორიგინალი: τῆ ὑπολήψει
τῶν ἀνοήτων); [5] ამას A; [6] მიწდომილ C; [7] უჩს A; [8] ჭირვეულებასაცა A; [9] ცხორებისა
A.

[1]* მთ. 24,35; ლკ. 21,33; [2]* II კორ. 5,4; [3]* ფს. 119,5; [4]* შდრ. ფს. 119,5; [5]* ფს. 119,5.

ითა მარჯუენითა და მარცხენითა, დიდებითა და უპატიოებითა“.[1]*

რამეთუ ამათ ორთავე ცხორებათა შინა გულისჴმისმყოფელი და განკრძალული სწორად ვალს გზასა თჳსსა და ისწრაფის აღსასრულსა თჳსსა მისლვად, არცა განსასუენებელთა მათ საქმეთა შინა იშუებს, არცა ფიცხელთაგან დამდაბლდების, არამედ, ჩუეულებისაებრ მგზავრთაჲსა, წაღმართ ვალს და ხილულთა მათ საქმეთა არა ფრიად მიჰხედავს. რამეთუ ჩუეულებაჲ აქუს მგზავრთა, რომელ, ვიდრედიან რაჲ გზასა მათსა, გინათუ სამოთხეთა და ყუავილოვანთა ადგილთა თანა-წარჰვლიდენ, გინათუ კლდოვანთა და ეკლოვანთა, არცა კეთილნი იგი ადგილნი იქმნებიან დამაყენებელ მათდა თჳსითა შუენიერებითა, არცა ძნელოვანნი ექმნებიან დამახრწეველ თჳსითა უშუერებითა, არამედ იგინი მიისწრაფდენ რაჲ სადგურად, ყოველსავე მას სწორად თანა-წარჰვლენ.

ეგრეთვე ღმრთისმოშიში და საუკუნოჲსა მის ცხორებისა მიმართ მოსურნე[1] დაუყენებელად მიისწრაფის წინამდებარისა მის ჭეშმარიტისა სადგურისა მიმართ[32] და[2] არარაჲსა მიმართ მიჰხედავს გზასა მას შინა ხილულსა, არამედ ზეცად ოდენ აღუპყრიან თუალნი და წარჰვლის სოფლისა ამის ზღუასა,[33] ვითარცა კეთილმან რაჲ მენავეთმოძღუარმან მყუდროდ ნავთსაყუდელად წარჰმართის ნავი.

5. ხოლო ზრქელი იგი და ქუედადრეკილი გონებითა და სულითა[34] გულისთქუმათა მიმართ ჴორცთაჲსა, ვითარცა პირუტყჳ, საძოვრისა მიმართ შექცეული, მუცლისა ოდენ ცხორებასა და მუცლისაგან შობილთა ვნებათა, და „უცხოქმნული ცხორებისაგან საღმრთოჲსა“[2]* და „განშორებული აღთქუმათაგან საუკუნეთა,“[3]* რომელსა არარაჲ უჩნდეს კეთილად, გარნა გემონი ჴორცთანი, ეგევითარი და ყოველი მსგაჲსი მისი „ბნელსა შინა მავალ არს,“ ვითარცა წერილი იტყჳს.[4]* C 109v

რამეთუ ესევითართა მათ შორის დაიმკჳდრებენ ანგაჰრებაჲ და შეგინებულებისა სიყუარული გულისთქუმათა მიმართ უზომოჲ, მთავრობისა მოყუარებაჲ და ამაოჲსა დიდებისა სურვილი და სხუანი | იგი ბანაკნი კაცთა შორის შემავალთა ვნებათანი.[5]* A 319v

რამეთუ ბოროტთა შორის შეუდგს ერთი მეორესა და რომელსა თანა ერთმან დაიმკჳდროს, სხუანიცა მისა მიჳლენ, ვითარცა ბუნებითისა ჭირისა რაჲსამე მიერ მიზიდულნი, ვითარცა-იგი უკუეთუ ვინ უპყრას ერთსა წუერსა ჯაჭჳსასა და ზიდვიდეს, შეუძლებელ არს, თუმცა არა ყოველნივე ურთიერთას გამოკიდებულნი ჯაჭუნი შეუდგეს, არამედ ერთი იგი კერძი პირველისა მის დადრეკილისაჲ მოიზიდავს მეორესა მას დადრეკილსა მისდა გამოკიდებულსა მას კერძსა და იგი კუალად მისსა შემდგომსა და

[1] მოშურნე A; [2] და] – A.

[1]* II კორ. 6,7-8; [2]* ეფ. 4,18; [3]* ეფ. 2,12 [4]* შდრ. ინ. 12,35; [5]* შდრ. რომ 1,30.

იგი სხუასა, ვიდრემდის დაესრულნენ ურთიერთას მოკიდებულნი იგი ჯაჭუნი.
ეგრეთ მოკიდებულ არიან და შეერთებულ ურთიერთას ვნებანი და ერთისა მიერ პირველშემოსრულისა[1] სხუანი იგი ბოროტთა მწყობრნი დაემკჳდრებიან სულსა შინა. და უკუეთუ გნებავს გამოსახვაჲ ბოროტისა მის ჯაჭჳსაჲ, გულისჴმა-ყავ, ვითარმცა ვინ იძლია გულისთქუმისა რაჲსაგანმე ცუდადმზუაობრობისა მიერ, არამედ ცუდადმზუაობრობასა მას თანა-შეუდგს მონაგებთაცა გულისთქუმაჲ, რამეთუ არავინ იქმნების ანგაჰრ, უკუეთუ არა ცუდადმზუაობრობამან მოიყვანოს მისა მიმართ, და მერმე ანგჰარებისა ვნებაჲ აღატყინებს მის შორის მრისხანებასა მოყუასთა მიმართ და ამპარტავანებასა უმრწემესთა მიმართ და შურსა უხუცესთა მიმართ.

და შურსა შეუდგს ორგულებაჲ და ორგულებასა — სიმწარე და სიმწარესა — კაცთმოძულებაჲ და ამის ყოვლისა აღსასრული არს საშჯელი[2] გეჰენიად და ბნელად გარესკნელად და ცეცხლად მიცემაჲ.[3][35] და კუალად უდებებაჲ იქმნების დაჴსნილობითა გონებისაჲთა და დაჴსნილობასა თანა-შეუდგს ნაყროვნებაჲ და ძილი, და ამათ მიერ — სიბრმე გონებისაჲ და სიბრმისაგან გონებისა — სიძვაჲ, და მის მიერ — სასოწარკუეთილებაჲ, და სასოწარკუეთილებისაგან — მისლვაჲ გეჰენიად.

ეგრეთვე ცუდადმზუაობრობასა შეუდგს ამპარტავანებაჲ, ვითარცა ზემოცა ვთქუთ, და ამპარტავანებასა — განკითხვაჲ მოყუსისაჲ, და განკითხვასა — მიშუებაჲ ღმრთისაჲ[36] და მერმე ყოველნივე ბოროტნი: გმობაჲ, სიძვაჲ და ყოველნივე უკეთურებანი, და მერმე — მისლვაჲ ღირსებისაებრ ჯოჯოხეთად.

| იხილე-ა მწყობრი იგი ბოროტთაჲ, ვითარ ყოველნი ურთიერთას შეუდგან? A 320r

6. და ვინაჲთგან ერთგზის შემოეიდა სოფელსა ამას მწყობრი ესე ბოროტთაჲ, ერთსა ვჰპოებთ, ვითარცა წმიდათა წერილთაგან შემოგუკრებიეს, განთავისუფლებასა მათგან, რაჲთა განეშოროს კაცი ესეეითარისა მისგან ცხორებისა, რომელსა შეერთებულად აქუს თავსა თჳსსა თანა ბანაკი ესე ვნებათაჲ. რამეთუ შეუძლებელ არს სოდომისა ქალაქსა შინა ყოფითა განრომაჲ წჳმისა მისგან ცეცხლისა. და შეუძლებელ არს, თუმცა განვიდა ვინ სოდომით და კუალადმცა მოიქცა ხილვად მოოჴრებისა მისისა და იგიმცა არა იქმნა ძეგლ მარილისა.[1*]

და ვერცა განთავისუფლდეს მონებისა მისგან მეგუპტელთაჲსა,[37] რომელმან არა დაუტეოს ეგუპტე, — ბნელსა მას და უკუნსა სოფლისა ცხორებასა ვიტყჳ, — და წიაღვლოს არა მეწამული იგი,[38] არამედ შავი ესე და

[1] შესრულისა A; [2] სასჯელი A; [3] მიცემაჲ] — A.

[1*] შდრ. შესაქ. 19,26.

ბნელი ამაოჲსა ამის ცხორებისა ზღუაჲ.[39]

და უკუეთუ, ვითარცა უფალი იტყჳს, არათუ „განმათავისუფლნეს ჩუენ ჴეშმარიტებამან,“[1*] ბოროტსა მას მონებასა შინა დავშთებით, ვითარ ეგებოს შესლვაჲ ჴეშმარიტებასა, რომელი ტყუეცილსა[1] ეძიებდეს და „საცთურსა მას შინა სოფლისასა იქცეოდის“.[2*] ანუ ვითარ ვინ განერეს ამის მონებისაგან, რომელსა თჳსი ცხორებაჲ ნებსით[2] მონებასა შთაეგდოს და საკრველითა მისითა შეეკრას თავი თჳსი?

და უკუეთუ გნებავს, იგავით გამოვაჩინოთ სიტყუაჲ ჩუენი, რამეთუ ვითარცა მდინარე, დღეთა მათ ზამთრისათა დიდად აღძრული და აღმრღუეული და სასტიკად მომავალი, რომელსა ქვაჲ და ძელი დიდ-დიდი მოაქუნ, მას შინა შთასრულთათჳს არს მწარე და მომკლველ, ხოლო შორს მისგან მდგომარეთათჳს ცუდად და ამაოდ ოხრინ და მათ ვერ-არას ავნებ, ეგრეთვე სოფლისა ღელვანი მას შინა მყოფთა | არიან C 110v დამფარველ და მათ ზედა მიიწევიან მოქცეევანი ვნებათანი, რომელნი-იგი მოიქცევიან სოფელსა ამას შინა და რომელნი იპოვნენ მათ შინა, მორევითა მით მათითა დაჰფარენ. უკუეთუ კჳლა ვინ დაუტეოს ღუარი ესე და „წყალნი ესე დაუდგრომელნი“,[3*] ვითარცა წერილი იტყჳს, იგი განერეს ნადირისაგან კბილთა სოფლისათა და, ვითარცა სირი, ფრთითა მით სათნოებისაჲთა[40] განერეს მახისაგან ეშმაკთაჲსა.

| 7. რამეთუ, ვითარცა ვთქუ სახე იგი ღუარისაჲ, ესრეთ ყოველთა A 320v შფოთითა და უწესოებითა აღმრღუეულ არს კაცობრივი ცხორებაჲ და მარადის შთაღმართ დის და არარაჲ არს საქმეთა მისთაგან მტკიცე და არცა ელის განძღომასა სურვიელთა მისთასა, არამედ ყოველივე მო-მავალი მისი მიეახლის მეძიებელთა მისთა და მეყსეულად ივლტინ ფიცხლითა მით დინებითა და უჩინო-იქმნის თუალთაგან.

ამისთჳს უკუე კეთილ არს, რაჲთა შორს-ვყენეთ თავნი ჩუენნი ესევითარისა მის მძაფრისა ღუარისაგან, რაჲთა არა დაუდგრომელთა მათ[3] ძიებითა მტკიცენი იგი და შეურყეველნი[41] უდებ-ვყენეთ,[4] რამეთუ გჳლისჴმა-ვყოთ-ა, თუ ვინ რას შეიძენს სოფლისა სიყუარულისაგან და მისთა საქმეთაჲსა, რაჲ არს მის თანა საწადელთაგანი სამარადისოჲ: რომელი სიჭაბუკისა სიკეთე, რომელი ძლიერებისა ანუ შუენიერებისა სახე,[5] რომელი სიმდიდრე, რომელი დიდებაჲ? არა ესე ყოველი ერთსა შინა მცირესა ჟამსა ყუავინ-ა[6] და კუალად მეყსა შინა წარჴდის? ვინ დაყო მარადის სიჭაბუკესა შინა, ვის თანა დაადგრა სამარადისოდ ძლიერებაჲ? ხოლო სიკეთისა ყუავილი არა ყუავილთა მათ თივისათა უძლურეს არს-ა? რამეთუ იგინი, მო-რაჲ-იწიის ჟამი, აღყუავდიან და

[1] ტყუილსა A; [2] ნეფსით A; [3] დაუდგრომელითა მით A; [4] უდებ-ვყუნეთ A; [5] სახტ AC; [6] ყუავინ C.

[1*] ინ. 8,32; [2*] II პეტრე 2,18; [3*] ფს. 123,4-7.

მცირედ ჟამ ყუაოდიან და კუალად განჴმიან. და მერმე კუალად, მო-
რაჲ-იწიის ჟამი, ყუაოდიან, ხოლო კაცობრივი ყუავილი ერთგზის გამოა-
ჩინის ბუნებამან გაზაფხულსა მას სიჭაბუკისასა და მერმე დაშრიტის
იგი ზამთარმან მან სიბერისამან და არღარა ოდეს მოიქცის სიკეთედ,
ანუ ჟამსა მასვე შუებისასა ეწიის სიკუდილი და განაჴმის სრულიად.
და ეგრეთვე სხუაჲ ყოველივე | საქმე სოფლისაჲ მცირედსა ჟამსა C 111r
მოუჴდის გემოსა მას ჴორცთასა და მეყსეულად წარჴდის და და-
ფარის იგი დავიწყებამან.

8. და ვინაჲთგან ესევითარსა შეცვალებასა შინა არიან კეთილნი სოფლისანი, განაღა მოყუარესა მათსა და მათდა შემშჭუალულსა,[1] შე-
რაჲ-იცვალებოდინ, შეუძლებელ არს, თუმცა არა შეაწუხებდეს და ეს-
რეთ არაოდეს დააკლდეს მოყუარესა მათსა წუხილი.

| ერთ არს უკუე განრომაჲ ბოროტთაგან, რაჲთა არცა ერთი შეცვალებაჲ A 321r
საქმეთაჲ მათ შემძლებელ იქმნეს შეცვალებად სულისა თავისა თჳსისა
თანა, ანუ ჭირი – მწუხარებად, ანუ სიხარული – მხიარულებად.

ხოლო ესე მაშინ წარეჰმართოთ, რაჟამს განვეშორნეთ ვნებულისა მის და ჴორციელისა ცხორებისაგან და უფროჲსად უცხო-ვიქმნეთ
ჴორცთა ჩუენთა სიყუარულისა და წყალობისაგან, რაჲთა არა ნები-
საებრ ჴორცთაჲსა ყოფითა თანამდებ ვიქმნეთ[2] განსაცდელთა მათ
ჴორციელთა.

ხოლო ესე იგი არს, რაჲთა სულიერად ოდენ ვცხონდებოდით და ძალისაებრ ვჰბაძვიდეთ უჴორცოთა მათ ძალთა ცხორებასა, რომელთა
შორის „არცა იქორწინებიან და არცა განიქორწინებიან“,[1*] არამედ საქმე და მოსწრაფებაჲ და წარმართებაჲ მათი ესე არს, რაჲთა ჰხედვიდენ[3] მამასა მას უხრწნელებისასა[42] და პირმშოჲსა მის შუენიერებისა[43] მიმართ მსგაესებითა ამკობდენ თჳსსა მას სიკეთესა მსგავსებითა მით, რომელი შესაძლებელ არს მათდა.

9. ხოლო ამის საქმისა და მაღლისა მის და კეთილისა სურვილისა შემწედ კაცისა ვიტყჳ ქალწულებასა და მოღუაწებით ცხორებასა, განშორებულად სოფლისაგან და ვითარცა სხუათა ყოველთავე საქმეთა ჴელოვნებანი და ჭურჭელნი მოპოვნებულ არიან თითოეულისა საქმისა
აღსრულებად, ეგრეთვე ეჰგონებ, ვითარმედ ესეცა ღონე ქალწულებისაჲ და მონაზონებისაჲ ჴელოვნებაჲ არს და ჭურჭელი საღმრთოჲსა მის ცხორებისა აღმასრულებელი, რომელი-იგი ასწავებს ჴორცთა შინა მყოფთა უჴორცოთა ბუნებასა მსგავსებად.

[1] შემსჭუალულსა A; [2] ვიქმნეთ A; [3] ხედვიდენ A.

[1*] ლკ. 20,34-35; მთ. 22,30; მკ. 12,25.

თავი V

რამეთუ ყოველი საქმე ესევითარისა მის ცხორებისაჲ ესე არს, რაჲთა
არა სიმაღლე იგი | სულისაჲ ზედააღდგომითა ვნებათაჲთა და გულისთქუ- C 111v
მათაჲთა დამდაბლდეს და თავისუფლებით ყოფისა წილ და ზეცად ხედვი-
სა[1] გონებაჲ ჩუენი მიდრკეს ვნებათა მათ მიმართ ჴორცთა და სისხლ-
თაჲსა და ეხრეთ დაეცეს.

რამეთუ ვითარცა უძლოს სულიერისა მის და გონიერისა ნათლისა[44]
მიმართ აღხილვად[2] თუალთა თავისუფლებით, რომელი-იგი[3] შემ'მჭუალულ[4]
იყოს ქუეყანისა და გულისთქუმათა ჴორციელთადა და სურვილი მისი
კაცობრივთა ვნებათადა შეექციოს.

რამეთუ რაჟამს ნივთიერთა საქმეთა მიმართ და ვნებათა აქუნდეს სულ-
სა მიდრეკილებაჲ ბოროტთა მათ ჩუეულებათა მიერ, მაშინ ვითარცა-იგი
თუალნი ეშუთანი ბუნებით ქუედადრეკილ არიან და ხილვისაგან ზეცისა
შუენიერებათაჲსა – უცხო, | ეგრეთვე იქმნების ჴორცთა სიხენეშესა თანა A 321v
დამდაბლებული სული და ვერღარა ძალ-უც ზეცად და საღმრთოთა მათ
შუენიერებათა მიმართ ხედვად, რაჟამს-იგი მდაბლისა მის და პირუტყუე-
ბრივისა ბუნებისა[1*][45] თანა დადრეკილ არნ.

ხოლო რაჲზომცა თავისუფლად და სუბუქად ჰხედვიდეს[5] სული საღმ-
რთოჲსა მის და ნეტარისა გულისთქუმისა[46] მიმართ და განუძღომელისა
მის სიტკბოებისა,[47] ეგეზომად განეშორების სოფლისა ამის საქმეთა ხედ-
ვად და რაჲზომცა განეშორებოდის მათგან, უმეტესად განჴურდების გული
მისი[48] საღმრთოჲსა სიტკბოებისა სურვილითა, და რაჲზომცა ესრეთ განჴურ-
დებოდის გული მისი, უმეტესად მოსძაგდებიან გემონი სოფლისანი და
შეიცვალების ძალი იგი ტრფიალებისა მისისაჲ ჴორციელთაგან სულიერისა
მის და უნივთოჲსა სიკეთისა[6][49] ხედვად.

ესევითარისა მის უკუე სიმტკიცისა და ესევითარისა სურვილისა დამტ-
კიცებად სულთა შინა ჩუენთა მოვიპოვეთ ღონე ესე ქალწულებისა და

---

[1] ჰხედეისა A; [2] ახილვად A; [3] რომელი-იგი] + შემსგავსებულად A; [4] შემსჭუალულ A; [5] ხედვიდეს A; [6] სიკუდილისა A; როგორც ვხედავთ A-ში ნაცვლად „სიკეთისა“ გვაქვს „სიკუდილისა“, რაც გადამწერის შეცდომად მიგვაჩნია, რადგან, ერთი მხრივ, ბერძნულში „სიკეთის“ აღმნიშვნელი τοῦ καλοῦ დასტურდება, მეორე მხრივ კი, A-ს მონაცემი – „სიკუდილისა“, რაც ნუსხაში გარკვევით იკითხება, კონტექსტისათვის სრულიად შეუსაბამოა.

[1*] ბერძნული დედნის «τῆς φύσεως» ადგილას AC -ში (B-ს აკლია) არის „გონებისა“, რაც გადამწერისეულ შეცდომად მიგვიჩნიეთ და გავასწორეთ.

მონაზონებისაჲ, რაჲთა იქმნეს დავიწყებაჲ სულსა შინა ვნებულთა მათ აღძრვათა ბუნებისათა,[1] რაჟამს არღარა აქუნდეს მიზეზი მაიძულებელი ჴორციელთა ვნებათა შინა შთავრდომად.

30 რამეთუ რომელი-იგი განთავისუფლებულ არნ ერთგზის ესეითართა მათ საკრველთაგან, არღარა აქუს საქმე, რომელიმცა ჰმსძლავრობდა[2] დავიწყებად საღმრთოჲსა მის და უხრწნელისა სიტკბოებისა, რომელი-იგი მოინადირების ჩუენ მიერ სიწმიდითა გულისა და გონებისაჲთა.

[1] ბუნებისათაჲ A; [2] მსძლავრობდა A.

თავი VI

1. და ამისთჳს დიდი წინაისწარმეტყუელთა შორის ელია და „სულითა მით და | ძალითა ელიაჲსითა“[1*] შემდგომად მისა მოსრული, „რომლისა C 112r
უზეშთაეს არავინ აღდგომილ არს ნაშობთა შორის დედათაჲსა“,[2*] იგინი დაღაცათუ სხუათაცა მრავალთა საქმეთა, არამედ უფროჲს ყოვლისა ამას გუასწაულიან და დაამტკიცებენ თჳსისა ცხორებისა მიერ, რაჲთა რომელსა ენებოს ხედვათა მიერ საღმრთოთა განათლებაჲ,[50] განეშოროს სოფლისაგან და საქმეთაგან მისთა, რაჲთა არა შეექცეს ესევითართა მათ მიერ საცთურთა და ცთომითა ჴორციელთა საცნობელთაჲთა[51] შერევნაჲ და ცთომაჲ ქმნას განყოფასა შინა ჭეშმარიტისა კეთილისასა ცრუჲსა მის და მტყუვარისა კეთილისაგან.

რამეთუ ორნივე იგი[52] უცხო იქმნენს სოფლისა და კაცობრივისა ცხორებისაგან და ვითარცა ბუნებისა გარეგან დაადგინნეს თავნი თჳსნი შეურაცხებითა ჭამადთა და სასუმელთაჲთა და ყოფითა უდაბნოსა შინა, რაჲთა სასმენელნიცა თჳსნი შეუშფოთებელად დაიცვნენ და თუალნიცა და პირი ეგრეთვე აღუმრღუეველ ყონ. A 322r

ამისთჳსცა ფრიადსა მყუდროებასა და დაწყნარებასა შინა დაამტკიცნეს თავნი თჳსნი და ამისთჳს ესევითარსა სიმაღლესა მაღალთასა ამაღლდეს, ვითარ-იგი ორთავე აჴსენებს წმიდაჲ წერილი.

რამეთუ ელია ვითარცა საუნჯე რაჲმე იქმნა ნიჭთა ღმრთისათაჲ და ზეცით მომავალთა მათ საჴმართა ჴელმწიფებით დაყენებად ცოდვილთა და მოცემად მონანულთა უფალ იყო.[3*]

ხოლო იოვანესთჳს ესევითარისა რაჲსამე სასწაულისა საქმესა არა აჴსენებს წერილი, არამედ მის თანა დამკუდრებული მადლი უზეშთაეს ყოვლისა წინაისწარმეტყუელისა[4*] იქმნა, ვითარცა მხილველი იგი დაფარულთაჲ წამებს.

ხოლო ესე ყოველი ამისთჳს იქმნა მათ ზედა, ვითარ მე ეჰგონებ, რამეთუ წმიდად და შეურევნელად ყოვლისაგან[1] ნივთიერისა საქმისა[2] და სიყუარულისა იყვნეს და სურვილი მათი პირველითგან ვიდრე აღსასრულადმდე დადგეს ღმრთისა მიმართ. და არცა ცოლთა ზრუნვასა, არცა შვილთა სიყუარულსა, არცა სხუასა რას კაცობრივთაგანსა შეაქცინეს თავნი მათნი, რომელთა-იგი „არცათუ მდღეურისა და საჭიროჲსა ჴორცთა საზრდელისა ზრუნვაჲ ჯერ-იჩინეს“[5*] და სამოსელთა სიკეთე უგულებელსყვეს; და ერთი იგი „თხის ტყავითა“[6*] და მეორე[3] „სტეჳთა აქლემისაჲ-

[1] ყოველისა A; [2] საქმისაგან A; [3] მეორემ A.

[1*] ლკ. 1,17; [2*] ლკ. 7,28; [3*] შდრ. III მეფ. 17,1; 18,41-45; [4*] შდრ. მთ. 11,9; ლკ. 7,26; [5*] შდრ. მთ. 6,31; [6*] ებრ. 11,37.

თა“[1]* ჰფარვიდეს ჴორცთა თჳსთა. ხოლო არამცა მიწთომილ იყვნეს ესე
35 ესევითარსა მას სიმაღლესა, უკუეთუმცა ჴორციელთა გემოთა მიმართ
მიდრეკილ იყვნეს | ქორწინებისა მიერ და საქმეთა სოფლისა ამის C 112v
ბოროტისათა.

ხოლო ესე ყოველი არა ცუდად დაწერილ არს, არამედ, ვითარცა მოციქული იტყჳს, „ჩუენდა სასწაულად“,[2]* რაჲთა მათისა მოქალაქო-
40 ბისა მიმართ წარეპმართოთ ჩუენიცა. ამას უკუე ვისწავებთ ამის ყოველისაგან, რაჲთა არღარას სოფლისა საქმეთაგანსა შეაქცევდეს გონებასა თჳსსა, რომელსა სუროდის შეყოფად ღმრთისა. რამეთუ არცა შესაძლებელ არს, რომლისა გონებაჲ მრავალთა მიმართ საქმეთა განბნეულ იყოს, თუმცა იგი გულისჴმისყოფისა მიმართ და სურვილისა ღმრთისა
45 წარემართა.

2. ხოლო უკუეთუ გნებავს, შემოვიღოთ რაჲმე სახე ამის პირისათჳს, რამეთუ ვითარცა წყალი, მრავლად განბნეული, უსარგებლო არს და შერაჲ-კრბეს ერთად, მრავალთა საქმეთა შინა სარგებელ იქმნების; ′და გულისჴმა-ყავ წყალი, რომელი გამოვალნ წყაროჲსაგან და მრავალთა
5 ადგილთა მიმართ განიბნევინ და ვიდრემდის ესრეთ განბნეულად იყოს, | უჴმარ არს იგი და არარად სარგებელ, რამეთუ ვერვის ძალ-უც წარყ- A 322v
ვანებაჲ მისა მორწყვად ყანისა, გინა სამოთხისა, რამეთუ განბნეულ არნ და არა ჩანნ. უკუეთუ კულა ვინ უწესოჲ იგი განბნევაჲ მისი შეკრიბოს და ერთსა სადინელსა წარჰმართოს, მრავალთა საქმეთა შინა საჴმარ
10 იქმნების ძლიერებითა მით დინებისაჲთა.

ეგრეთვე არს გონებაჲ კაცობრივი: უკუეთუ ყოველსა საქმესა შინა განბნეულ იყოს და სადაცა გულისთქუმაჲ ჴორციელთა საცნობელთაჲ ზიდვიდეს და მიდრკებოდის, არა აქუს ძალი არცა ერთი ჭეშმარიტისა მის კეთილისა მიმართ სლვად. უკუეთუ კულა ყოველითკერძო შემოკრბეს
15 თავისა თჳსისა შორის და შემოკრებულად და განუბნეელად თჳსისა მის ბუნებითისა საქმისა მიმართ წარემართოს, არარაჲ იყოს დამაყენებელ მისა ზეცად ამაღლებად და ჭეშმარიტებისა ხილვად.

ვითარცა წყალი იგი სოლინართაჲ, შეიწრებული მრავალგზის, მართლიად ზე აღვიდის სიმაღლედ, რაჟამს არა აქუნ ადგილი, სადამცა
20 დიოდა, დაღაცათუ შთაღმართ მდინარე არს ბუნებაჲ მისი, ეგრეთვე გონებაჲ კაცისაჲ, რაჟამს შეაიწრის მარხვამან, ვითარცა სოლინარმან წყალი, აღვიდის იგი სურვილად[1] მაღალთა მათ საქმეთა, რაჟამს არა უტევებენ მას შიში უფლისაჲ და მოღუაწებაჲ განბნევად.

რამეთუ ესე შეუძლებულ არს, თუმცა გონებაჲ უქმად დგა. რამეთუ
25 ესევითარი ბუნებაჲ | მოუღებიეს დამბადებელისაგან, რაჲთა დაუდგრომელი C 113r

[1] სურვიელად A.

[1]* მთ. 3,4; მკ. 1,6; [2]* I კორ. 10,11.

და სამარადისოდმავალი აღძრეაჲ[53] აქუნდეს და რაჟამს ამაოებისა სლვათა მიმართ მოღუაწებისა იგი აღჳრი არა შეუნდობდეს, შეუძლებელ არს, თუმცა არა ჭეშმარიტებისა მიმართ წარჰმართა სლვაჲ თჳსი. ვინაჲთგან იგი უქმად ვერ არს და ბოროტისა მიმართ სლვად დაყენებულ არს.

რამეთუ ვითარცა მგზავრთა იცოდნიან რაჲ დრკუნი იგი გზანი და დააყენნიან თავნი თჳსნი მათ ზედა სლვად და ჭეშმარიტებისა მის გზისა სლვაჲ წარჰმართიან[1] ეგრეთვე გონებაჲ ჩუენი ამაოებისაგან დაყენებითა ჰპოვებს[2] ჭეშმარიტებისა გზასა. და ამას გუასწავლის ჩუენ ჴსენებაჲ დიდთა მათ წინაჲსწარმეტყუელთაჲ, რომელნი ვაჴსენენით, რაჲთა არარას სოფლისა საქმეთაგანსა შევემსჭუალეოდით[3], რომელთაგანი ერთი არს ქორწინებაჲ და უფროჲსად დასაბამი და ძირი ამაოთა საქმეთა სიყუარულისაჲ.

[1] და ჭეშმარიტისა მის გზისა სლვაჲ წარჰმართიან — A; [2] ჰპოებს A; [3] ასეა C-შიც.

თავი VII

1. ხოლო ნუმცა ვინ ჰგონებს, თუ ჩუენ განგებულებასა მას ქორწინებისასა შეურაცხ-ვჰყოფთ, რამეთუ არა უმეცარ ვართ, ვითარმედ ესეცა | კურთხეევისაგან ღმრთისა არა უცხო არს, არამედ[1] მისდა მას- A 323r
წავლელად და შემწედ კმა არს თჳთ კაცობრივი ბუნებაჲ.
რამეთუ თავით თჳსით დასდებს მისლვასა მისდა მიმართ გონებასა შინა ყოველთასა,[2] რომელნი შობისა მიერ შემოვლენ ცხორებასა ამას და რამეთუ[3] ქორწინებისა მიერ შემოვლენ სოფლად და წინააღმდგომ არს მისდა ბუნებით ქალწულებაჲ, ამისთჳს უჴმარ არს, რაჲთამცა ქორწინებისათჳს სწავლათა ეწერდით მისსა მიმართ წუენად, ვინაჲთგან
აქუს მას შემწედ[4] ძნიადმოსაწყუედელი იგი და ძნიადდასამორჩილებელი[54] გულისთქუმისა საქმე. და არარად საჴმარ არს მისთჳს თქუმად, გარნა თუ მწვალებელთათჳს საჴმარ იყუნენ ესეევითარნი სიტყუანი, რომელნი-იგი გარდააქცევენ კანონთა ეკლესიისათა[55] და არიან „დაშჯილ და დამწუარ გონებითა“[1]*, რამეთუ დაუტეევებიეს ბრძანებაჲ სულისა წმიდისაჲ და „სწავლასა ეშმაკთასა“[2]* დაამტკიცებენ გონებათა შინა მათთა და დაბადებულთა ღმრთისათა სძაგებენ და შეგინებად და ბოროტად და ბილწებისა მიზეზად სახელ-სდებენ მათ.
არამედ „რად საჴმარ არს[5] ჩემდა გარეგანთა მათ სჯაჲ“,[6] ვითარცა მეტყუელი იგი იტყჳს,[3]* რამეთუ ჭეშმარიტად გარეგან არიან იგინი
საიდუმლოთაგან ღმრთისათა[56] და „არა საფარველსა ქუეშე ღმრთისასა“,[4]* არამედ ბაკსა მას შინა უკეთურისასა[57] | იქცევიან, „შემშჭუა- C 113v
ლულნი[7] მისსა ნებასა“,[5]* ვითარცა მოციქული იტყჳს და ამისთჳს არა გულისჴმა-ჰყოფენ უბადრუკნი, ვითარმედ ყოველი სათნოებაჲ საშუალსა[8] ზედა არს[58] და მეტობასა და ნაკლულევანებასა[9] რაჲ მიიწიოს, უკეთურება[10] იქმნების, და[11] რაჟამს კაცმან ნაკლულევანებისაგან და მეტობისა[12] მოსწყჳდოს თავი თჳსი, მაშინ სათნოებასა შეევალს.
2. და ესრეთ გულისჴმა-ყავთ სიტყუაჲ ჩემი: მოშიშებაჲ და სიფიცხჱ — ორნივე ბოროტნი არიან, ერთი იგი — ნაკლულევანებისაგან და მეორე — მეტობისა. და საშუალი[13] საქმე არს სიმჴნე — სათნოებაჲ დიდი.[14]

---

[1] არამედ]+ ვინაჲთგან A; [2] ყოველთა A; [3] რამეთუ] — A; [4] შეწევნაჲ A; [5] არიან A; [6] შსჯაჲ C; [7] შემსჭუალულნი A; [8] საშოვალსა A; [9] ნაკლულევანობასა A; [10] უკეთურებაჲ A; [11] და] — A; [12] მეტობისა]+ და A; [13] საშუალი C; [14] სათნოებაჲ დიდი] C-ში ეს სიტყვა პერძნულის კვალობაზე არის წაშლილი გვიანდელი რედაქტორისაგან.

[1]* I ტიმ. 4,2.; [2]* I ტიმ 4,1; [3]* I კორ. 5,12; [4]* ფს. 90,1; [5]* შდრ. II ტიმ. 2,26.

ეგრეთვე უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ ყოვლადვე არა არს[1] ღმერთი, ანუ მრავალნი ღმერთნი აღიარნეს, ორივე ესე არს უშჯულოებაჲ.[2] ხოლო ღმრთისმსახურებაჲ არს ამათ ორთავე[3] საშუალი.

და კუალად, რომელი ანგაჰრ იყოს, უკეთურ არს, და რომელი ამაოთა და ცუდთა და სულისა მავნებელთა წარსაგებელთა შექცეულ იყოს, იგიცა ბოროტ არს. და ერთი იგი ნაკლულევანებისაგან არს ბოროტ. A 323v და მეორე — მეტობისა, ხოლო საშუალი[4] არს, თავისუფლებაჲ და ჯეროვანსა ჟამსა წარგებაჲ. და ეგრეთვე სხუანი ყოველნი სათნოებანი არიან.[5] რაჲთა არა თითოეულსა ვიტყოდით, რამეთუ ორთა წინააღმდგომთა, — მეტისა და ნაკლულისა, — საშუალი სათნოებად ვიცით.[6]

ეგრეთვე არს უკუე სიწმიდე საშუალი ორთა მათ კაპანთაჲ და ცხად[7] არიან ორკერძოვე მისნი კაპანნი. რამეთუ რომელი ნაკლულევან იყოს ძალისაგან სულიერისა და ძლეულ ვნებითა გულისთქუმისაჲთა და ამისთჳს ვერ მიეახლოს გზასა მას წმიდისა ცხორებისასა, იგი შთაიჭრა „ვნებათა ბილწებისათა“.[1*] და კუალად, რომელი მიდრკეს მეორესა მას[8] კერძსა მეტისა[9] სიწმიდისასა და გარდაჰჭდეს საშუალობასა მისსა, იგი შთავარდა „ეშმაკთა ზრახვასა“[2*] და „თჳსისა გონებისა დაშჯილებასა“.[3*] რამეთუ რომელი იტყჳს, თუ ქორწინებაჲ საძაგელ არს, თავსა თჳსსა შთააგდებს ყუედრებასა მას შინა. რამეთუ უკუეთუ ხმ იგი ბოროტ არს, ვითარცა სახარებაჲ იტყჳს,[4*] განაღა ნაყოფიცა ხისა მის მსგავს არს. და ვინაჲთგან ნერგისა მის ქორწინებისა მორჩი არს კაცი და ნაყოფი, გმობაჲცა და ყუედრებაჲ ქორწინებისაჲ, მეტყუელსა მისსა ზედა მივლენ.

3. არამედ იგინი, მოწყლულნი გონებითა | ბოროტთა მათ ზრახვათა- C 114r
აგან, თუთ მხილებულ არიან, ხოლო ჩუენ ქორწინებისათჳს ესე უწყით, ვითარმედ ჯერ-არს, რაჲთა ვიტყოდით, ვითარმედ ფრიად[10] უაღრეს[11] არს საღმრთოჲ მოსწრაფებაჲ და სურვილი და განშორებაჲ სოფლისაგან და რაჲთა ქორწინებისაცა საქმესა არა შეურაცხ-ვჰყოფდეთ, რომელსა ძალ-ედვას სიწმიდით და ღმრთისმოშიშებით ჴმარებად საქმისა მის.[12]

ვითარ-იგი[13] იყო მამადმთავარი ისაკ, რომელმან-იგი არა შეიწყნარა რებეკაჲს შეყოფაჲ ჟამსა სიჭაბუკისასა,[5*] რაჲთა არა ვნებისა საქმე იქმნას ქორწინებაჲ, არამედ რაჟამს-იგი სიჭაბუკისა ჰასაკი წარჴდა,

---

[1] ყოვლადვე არა არს] არცა ერთი არს A; [2] ურჩულოებაჲ A; [3] ორთა A; [4] საშოვალი A; [5] არიან] – C; [6] სათნოებად ვიცით] იცის სიტყუამან სათნოებად C (შესწორებულია რედაქტორისაგან ბერძნულის კვალობაზე); [7] ცხადად A; [8] მას] – A; [9] მეტისა] – A; [10] ფრიად] – A; [11] უაღრეს A; [12] მის]+ რამეთუ A; [13] რომელი-იგი A.

[1*] რომ. 1,20; [2*] I ტიმ. 4,1.; [3*] I. ტიმ. 4,2; [4*] შდრ. მთ. 7,18; [5*] შდრ. შესაქ. 4,1-2.

მაშინ შეეყო მას თესლებისა მისთჳს, რომელსა ზედა იყო კურთხევაჲ ღმრთისაჲ,[59] და მცირედჟამ ვიდრე ერთგზის მუცლადღებამდე ჰმსახურა ქორწილსა[60] და კუალად უხილავთა მათ საქმეთა შექცეულ. იყო ყოვლითურთ და დაიყვნა ჭორციელნი საცნობელნი. რამეთუ მე ეჰგონებ, თუ ამას მოასწავებს წერილი სიმძიმესა,[1*] | რაჲთა მამადმთავრისა მის A 324r
თუალთასა იტყოდის, ვითარმედ სიმძიმე თუალთაჲ ამისი სახჱ[1] იყო, თუ გარემიქცეულ იყო ყოველთავე სოფლისა საქმეთა ხედვისა[2] და სიყუარულისაგან.[3]

[1] სახე A; [2] ხედვასა A; [3] სიყვარულისა A.

[1*] შესაქ. 27,1; 48,10.

თავი VIII

არამედ ესე იყავნ, ვითარცა აქუს და თარგმნიან ესევითართა მათ საქმეთა მეცნიერნი, ხოლო ჩუენ ჩუენისავე სიტყჳსა გზასა მოვიდეთ.

რაჲ იყო უკუე სიტყჳაჲ ჩუენი? ვითარმედ: უკუეთუ შესაძლებელ იყოს, რაჲთა გულისთქუმისა მისგან საღმრთოჲსა გონებაჲ არა განე-
5 შორებოდის და ქორწინებასაცა[1] შინა იყოს. არცა ერთი არს სიტყჳაჲ, რომელიმცა განგებულებასა მას ბუნებისასა შეურაცხ-ჰყოფდა და, ვითარცა საძაგელსა, შეასმენდა პატიოსანსა მას.[1*]

რამეთუ ვითარცა არს პირველთქუმული იგი წყლისა და წყაროჲსა სახჱ, რაჟამს მუშაკი ყანისა რაჲსამე მიმართ მიიყვანებდეს ერთსა
10 სადინელსა შინა შეყენებულად წყალსა და შორის მისავალისა მის ენების მცირედისა რაჲსამე სხუად მიყვანებაჲ საქმრისა რაჲსათჳსმე და შეუქმნის მცირე ალაგი და განიყვანის წყალი იგი და მერმე, ოდესცა ინების, მეყსა შინა დაუყჳის ალაგი იგი და დაიმჭირის წყალი, და უკუეთუ კულა მრავალნი და ვრცელნი განსავალნი განუხუნეს,
15 წარსწყმედს წყალსა მას და, ოდეს ენებოს, ვერღარა შეჰკრებს მას მიყვანებად თჳსსა მას ყანასა, სადა-იგი მიჰყავნ, ეგრეთვე ვინაჲთგან საქმარი ქორწინებისაჲ ჩანს სოფელსა ამას ურთიერთარს[2] შემდგომებისათჳს,[3] უკუეთუ ვინ ესრეთ იქმაროს საქმე იგი, რაჲთა სულიერსა და
საღმრთოსა მოსწრაფებასა და სურვილსა მისსა | არაჲ ევნოს და C 114v
20 აქუნდეს იგი შინაგანად და მტკიცედ და შეურყეველად სულსა შინა თჳსსა და ქორწინებისა საქმესა იქმარებდეს გარეწარად და უნდოდ, იგი არს სიწმიდისა მუშაკი, რომელი აღასრულებს ქორწინებასა მას, რომელსა მოციქული აწუევს.[2*] რამეთუ იგი ესევითარსა იტყჳს ქორწინებასა და არარაჲ ევნების ესევითარსა მას მისგან, დაღაცათუ ყოვ-
25 ელსავე ზედა უაღრეს არს[4] ქალწულებაჲ და მონაზონებაჲ.

ხოლო რომელსა ეშინოდის, ნუუკუე გულისთქუმისა ჰორციელისა მიმართ მიდრეკითა იქმნას ყოველითურთ ჰორც და სისხლ,[6i] „რომელთა შინა არა დაადგრების სული ღმრთისაჲ“,[3*] და იყოს იგი უძლურ გონებითა და ვერშემძლებელ ბუნებისა მის მიმართ გულისთქუმათაჲსა ახოვნად
30 წინადადგომად, | ძნელ არს მისთჳს მას შინა ყოფაჲ და უჴმს შორს A 324v განდგომაჲ მათ საქმეთაგან, ვიდრე ყოფაჲ მას შინა, რომლისა ვერ ეძლოს წინააღდგომად.

---

[1] ქორწინებასა A; [2] ურთიერთას A; [3] შემდგომებისა A (C-ში ეს სიტყვა აშიაზეა მიწერილი); [4] არს უაღრეს A.

[1*] შდრ. ებრ. 13,4; [2*] შდრ. 1 კორ. 3,9; [3*] შესაქ. 6,3.

რამეთუ არა მცირედი ბოროტი არს და ღელვაჲ, უკუეთუ ძძლიოს იგი ჰორცთა გულისთქუმისაგან და არღარაჲ შეერაცხოს კეთილად თუნიერ ჰორცთა გულისთქუმისა და გარე-მიაქციოს გონებაჲ თჳსი სრულიად გულისთქუმისაგან უჰორცოთა მათ კეთილთაჲსა და იქმნას ყოველითურთ ჰორციელ და ჰორცთა გემოსა ეძიებდეს მარადის „და იქმნას გემოთმოყუარე და არა ღმრთისმოყუარე“.[1]*

და ვინაჲთგან უძლურებისათჳს ბუნებისა ჩუენისა ვერ ყოველთა ძალ-უც ესევითარსა მას საქმესა შინა ზომსა ზედა და ჯეროვანსა დადგრომაჲ,[1] ხოლო გარდასლვაჲ საზომსა მას ბოროტ არს და „მორევსა მას უფსკრულისასა[2,2]* ქუეშე დამფარველ“, ამისთჳს კეთილ არს და უმჯობეს მიერ განშორებაჲ[3] და აღებად[4] ცხორებაჲ იგი ანგელოზებრივი მონაზონებისაჲ, და ნეტარ არს იგი, რომელმან[5] ყოვლადვე გემოჲცა არა იხილოს საქმისა მის გულისთქუმათაჲსაჲ ქორწინებისა მიერ, რაჲთა არა მიზეზითა მით შენდობილთა მათ საქმეთაჲთა პოვონ ვნებათა შესავალი სულსა შინა მისსა[6].

[1] დგომაჲ A (C-ში „დგომაჲ“ გადასწორებულია როგორც „დადგრომაჲ“); [2] უფსკრულისასა A; [3] მის განშორებაჲ C; [4] მოღებად A; [5] ნეტარ არს იგი, რომელმან] ნეტარ თუ A; [6] მისსა] –A.

[1*] II ტიმ. 3,4; [2*] შდრ. ფს. 68,2.

თავი IX

1. რამეთუ ძნიადსაბრძოლელი რაჲმე საქმე არს ჩუენულებაჲ ყოველსავე ზედა და ფრიადი ძალი აქუს თავისა თჳსისა მიმართ მიზიდვად სულისა და კეთილად აღუჩენს საქმესა მას, რომლისა მიმართ კაცი მიდრეკილ იყოს სიყუარულითა ჩუენულებისაგან. და სახედ ამის სიტყჳსა იხილე ცხორებაჲ კაცთაჲ, რომელსა შინა ესეზომნი | ნათესავნი C 115r არიან და არა ყოველნი ერთისა საქმისა მეძიებელ არიან, არამედ სხუათა სხუაჲ რაიმე უყუარს და სხუათა – სხუაჲ რაჲმე, რამეთუ თითოეული ჩუენულებასა თითოეულისა საქმისასა თავისა თჳსისა მიმართ მიუდრეკია.

და არათუ ოდენ ნათესავთა შორის არს ესე, არამედ ერთსაცა ქალაქსა და ერთსა ნათესავსა შინა: თითოეულსა სხუაჲ და სხუაჲ რაჲმე პატიოსნად უჩნს ჩუენულებისა მიერ, და ძმანიცა, ერთისა საშოჲსაგან[1] გამოსრულნი, ჩუენულებამან, რომლისაცა საქმისა მიმართ იყოს, თავისა მიმართ თჳსისა თითოეული მიდრიკის. და ესეცა არაე საკჳრველ არს, არამედ ესე იხილე, რამეთუ ერთი კაცი | ერთსა ჟამსა სხჳსა საქმისა მოყუარე A 325r არნ და კუალად ოდესმე სხუაჲ შეიყუარის, და[2] რომლისა მიმართცა შეექმნის ჩუენულებაჲ, მუნცა მიდრიკის გონებაჲ.

და რაჲთა არა შორიელთა საქმეთა ვიტყოდით, მახლობელ ჩუენისა სიტყჳსა სახჱ[3] გითხრათ: მრავალნი გჳხილვან ჩუენ, რომელნი სიჭაბუკისა ჰასაკსა შინა ტრფიალ სიწმიდისა იყუნეს და დასაბამ და დაწყება შეგინებულისა ცხორებისა[62] ყეღა შჯულიერი იგი და შენდობილი ქორწინებაჲ, რამეთუ ვინაჲთგან ერთგზის გამოცდილებაჲ იგი ესეეთარი შეიწყნარეს სახისა მისებრ, რომელი წყლისაჳს ვთქუთ, ყოველითურთ ძალი გულისთქუმისა მათისაჲ შეცვალეს და მიდრეკილობაჲ გონებისაჲ საღმრთოთაგან მდაბალთა მათ და უჴმართა საქმეთა მომართ მოიყუანეს და ფრიადი სიურცჱ[4] თაეთა შორის თჳსთა განუღეს ვნებათა, ვიდრეღა ყოვლითურთ ზეცად მიმართ სლვისაგან დასცხრეს და განჴმეს, რაჟამს გულისთქუმაჲ მათი ყოველივე ვნებათა მიმართ დადგეს.

2. ამისთჳს ვიტყჳ, ვითარმედ უმჯობეს არს უძლურთათჳს ქალწულებისა და მონაზონებისა მიმართ მივლტოლვად, ვითარცა ზღუდისა მიმართ მტკიცისა და უშიშისა. და რაჲთა არა დგენ სოფელსა შინა და მოუწოდდენ თავთა თჳსთა ზედა განსაცდელთა და ბრძოლად სხუასა მას შჯულსა, „რომელი-იგი წინა-აღუდგების შჯულსა მას გონებისა ჩუენისასა“[1*]

---

[1] ერთისაგან საშოისა A; [2] და] – A; [3] სახე A; [4] სიურცე A.

[1*] რომ. 7,23.

ვნებათა მიერ ჯორცთაჲსა და დაგუაჭირევებს ჩუენ არა ჯორციელთა და წარმავალთა და ქუეყანისა საქმეთა, უკუეთუ მძლე გუექმნას, არამედ სასოებასა მას საუკუნესა, რომლისა მიმართ არს სწრაფაჲ ჩუენი.

რამეთუ ვერ ძალ-უც, რომელი გონებითა სოფლისა საქმეთა მიმართ მიდრკეს და მათი ზრუნვაჲ აღიღოს | და შეექცეს მაჩუენებლობასა C 115v
კაცთასა, აღსრულებად დიდსა მას და პირველსა მცნებასა უფლისასა, რომელსა იტყჳს, რაჲთა „შეიყუარო უფალი ღმერთი ყოვლითა გულითა და ძალითა“.[1*] რამეთუ ვითარ შეიყუაროს ღმერთი ყოვლითა გულითა, რაჟამს განეყოს გული თჳსი ღმრთისა მიმართ და სოფლისა და იპარ-
ვიდეს სიყუარულსა მას, რომელი მისა მიმართ ოდენ თანა-აც და წარაგებდეს მას ვნებათა ზედა კაცებრივთა? „რამეთუ უქორწინებელი ზრუნავენ უფლისასა, ხოლო ქორწინებული ზრუნავენ[1] სოფლისასა“.[2*] უკუეთუ კულა საჭიროდ ჩანს ბრძოლაჲ ჯორცთა[2] და გულითქუმათაჲ, ნუეინ იშიშვინ, არამედ მინდობილ იყავნ ყოველი კაცი, რამეთუ ამასცა შინა არამცირედი ჩუეულებაჲ | იქმნების, დაღაცათუ ძნელად ჩანს, არამედ მას შინა A 325v
მრავალჟამ ყოფითა დაუტკბის გონებასა საქმე იგი და შეექმნის[3] მისა მიმართ გულისთქუმაჲ, გულისთქუმაჲ კეთილი იგი და საწადელი და წმიდაჲ, რომლისა ღირს არს შეტკბობაჲ და მისა შექცევაჲ, ვიდრეღარა[4] სიყუარულითა ამაოებისაჲთა დიდთა მათგან კეთილთა და ჭეშმარიტად „უზეშთაესთა ყოვლისა გონებისათა“[3*] უცხოყოფაჲ.[63]

[1] ზრუნავეს A; [2] ჯორცთაჲ A; [3] შეექმნების A; [4] რა A.

[1*] II რჯ. 6,5; მთ. 22,37; [2*] I კორ. 7,32-33; [3*] ფილ. 4,7.

თავი X

1. რამეთუ თუ ვითარი დაჭირვებაჲ არს დაცემაჲ ჭეშმარიტისა მისგან კეთილისა და უცხოყოფაჲ, რომელმანმე სიტყუამან უძლოს გამოჩინებად, რომლითა ვინ გონებითა გულისჴმა-ყოს ღირსად, ვითარ ვინ გამოაჩინოს და განცხადებულად მოიყვანოს, რომელი-იგი სიტყჳთა გამოუთქუმელ არს და გონებითა – მიუწდომელ?

რამეთუ რომლისა გულისა თუალი ესეზომ[1] წმიდა იქმნას,[2] რომელ შეუძლოს მცირედცა[3] რაჲმე ხილვად კეთილთა მათ ჭეშმარიტთა და ნეტარებანი იგი, რომელნი უფალმან აღგუთქუნა,[1*] გულისჴმა-ყვნეს, იგი ყოველსა სიტყუასა, ამის სიკეთისა და შუენიერებისა გამომაჩინებელსა, შეურაცხ-ჰყოფს და იცის, ვითარმედ ვერარაჲ სიტყუაჲ შემძლებელ არს მისა გამოჩინებად და ხილულითა სიტყჳთა თქუმად.

ხოლო უკუეთუ ვინ ჯერეთ ნივთიერთა მათ სოფლისა ვნებათა შინა მჯდომარე იყოს და ვნებულსა ზრახვასა გონებისასა,[64] ვითარცა არმურსა რასმე ზრქელსა, სულისა იგი შინაგანმხედველობაჲ დაებნელოს,[65] მისაცა მიმართ ამაო არს ყოვლისავე სიტყჳსა ძალი, რამეთუ რომლისა გონებაჲ უგულისჴმო იყოს, მისთჳს დამცირებაჲცა და ამაღლებაჲცა[4] სიტყჳთა საკჳრველებათაჲ ერთად შერაცხილ[5] არს,[66] ვითარცა რომელსა არა ეხილვოს მზისა ნათელი შობითგან, უსარგებლო არს მისა და ცუდ სიტყჳთ ნათლისა მის გამოთარგმანებაჲ, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს, თუმცა | ნათლისა ვის შარავანდედი სასმენელთა მიერ გამოუბრწყინდა. ეგრეთვე სულიერისა მის და ჭეშმარიტისა ნათლისა ხილვად თითოეულსა თჳსნი თუალნი უჴმან, რაჲთა იხილოს სიკეთე იგი, რომელი-იგი უკუეთუ ვის უხილავს საღმრთოჲთა რაჲთმე ნიჭითა და ღონითა, მას უხილაესა მას ადგილსა გონებისა[67] თჳსისასა აქუს განკჳრვებაჲ[68] იგი დამარხულ,[6] ხოლო რომელსა არა ეხილვოს ყოვლადვე იგი ნათელი, იგი ვერცა გულისჴმა-ჰყოფს დაჭირვებასა მას, თუ ვითართა კეთილთაგან გამოჴუებულ არს, | რამეთუ ვითარ ვინ უჩუენოს მას კეთილი იგი, რომლისაგან უცხოქმნულ არს? C 116r A 326r

ვითარ ვინ გულისჴმა-ყოს გამოუთქუმელი იგი? რამეთუ განწესებულნი სიტყუანი, მის სიკეთისა გამომაჩინებელნი, არა გჳსწავიან, რაჲთამცა რაჟამს იგინი ვთქუენით, ყოველთაჲვემცა გულისჴმა-ყვეს კეთილისა მის

[1] ესრეთ C; [2] არს A; [3] მცირედ A; [4] აშაღლებაჲ A; [5] ერთად შერაცხილ] + ესე A; [6] დამარხული A.

[1*] მთ. 5,8.

საზომი. სახჱ[1] მისი არსთა შორის არარაჲ არს, ამის სოფლისა საქმეთაგან საცნაურყოფაჲ მისი შეუძლებელ არს.

რამეთუ ვინმცა მიამსგავსა მცირესა ნაბერწყალსა მზჱ, ანუ მცირესა რასმე წუეთსა ვინ შეასწორნა მიუწდომელნი იგი უბსკრულნი ზღუათანი? ანუ ვინმცა შეამსგავსა კაცოდენისა სახლისა სიმაღლესა[69] სიმაღლე ცისაჲ?

რამეთუ ვითარი სწორებაჲ აქუს უბსკრულთა თანა ზღჳსათა ერთსა წუეთსა წყლისასა, ანუ დიდისა მის მზისა ბრწყინვალებასა თანა უნდოსა მას ნაბერწყალსა, ანუ სიმაღლესა თანა ცისასა მცირესა მას სახლსა? ეგრეთ არიან და ფრიად უდარეს ამათსა ყოველნივე კაცთა შორის კეთილად შერაცხილნი საქმენი მას სიკეთესა და შუენიერებასა თანა, რომელი-იგი პირველსა მას კეთილსა თანა და უზეშთაეს ყოვლისა კეთილისასა იხილვების.

2. რომელმანმე უკუე ღონემან სიდიდე იგი დაჭირვებისაჲ მის გამოუჩინოს მას, რომელსა ზედა მიწევნულ იყოს იგი? კეთილად სადმე[2] დიდმან დავით[70] გამოაჩინა ესე შეუძლებელობაჲ, რომელი-იგი ოდესმე გონებითა აღმაღლდა ძალისა მიერ წმიდისა სულისა და ვითარცა უზეშთაეს იქმნა თავისა თჳსისა და იხილა მიუწდომელი იგი და მოუგონებელი შუენიერებაჲ ნეტარსა მას განკურებასა შინა. ხოლო იხილა, ვითარცა შესაძლებელ არს კაცისა მიერ ხილვად, გარეგან რაჲ ჴორციელთა მათ საბურველთაჲსა[71] იქმნა და შეევიდა გონებითა უჴორცოთა მათ და სულიერთა კეთილთა[72] ხილვად და სუროდა თქუმად სიტყუაჲ რაჲმე ღირსი | ხილულისა მის დიდებისაჲ, ესრეთ ღაღად-ყო,[3] ვითარმედ: C 116v „ყოველი კაცი ცრუ[4] არს“.[1*]

ხოლო ესე იგი არს, ვითარ ჩემი სიტყუაჲ ჰგონებს, თუ ყოველი კაცი, რომელსა სიტყჳთა კაცობრიჲთა ენებოს გამოუთარგმანებელისა მის ნათლისა გამოთარგმანებად, ჭეშმარიტად ცრუ არს, არათუ რამეთუ არა ჰნებავს თქუმად ჭეშმარიტისა და ამისთჳს არს ცრუ,[5] არამედ რამეთუ მოუძლურდების ყოველი ენაჲ გამოთქუმად მისა, რამეთუ ხილული შუენიერებაჲ, რომელიცა ჩუენსა ამას ცხორებასა შინა იქცევის, გინათუ უსულოთა ნივთთა შინა, გინათუ სულიერთა გუამთა, ფეროვნებითა რაჲთამე იხილვების და შემძლებელ არს გონებაჲ ჩუენი დაჯერებად და[6] სათნოყოფად მას ზედა და[7] ქებად მისა და საცნაურყოფად მეორისაცა, გინათუ სიტყჳთ, | ანუ თუ წერით, რაჟამს ვითარცა ხატსა შინა სიტყუსა A 326v

[1] სახე A; [2] სამე A; [3] ღაღატ-ყო A; [4] ცრუეი A; [5] ცრუჲ A; [6] დაჯერებად და] – A; [7] და] – A.

[1*] ფს. 115,2.

თჳსისასა გამოსახოს სიკეთე მისი, ხოლო რომლისა ფერი ვინ არა იცოდის გონებითა და საზომსა უმეცარ იყოს, ვითარ გამოსახოს იგი, რაჟამს ლონესა გამოსახვისასა ვერას ჰპოებდეს, ფერსა ვერ იტყოდის, ანუ სახესა, ანუ გუარსა, გინა სიდიდესა, ანუ სხუასა რასმე ესევითარსა?

რამეთუ უფეროჲ იგი და უსახოჲ და ყოველისავე რაბამობისაგან უცხოჲ და ყოველთაგან საქმეთა, რომელი ამათ საცნობელთაგან იხილვების, განშორებული, ხილულთა სახეთა მიერ ვითარმცა ვინ საცნაურჯო? გარნა არა ჯერ-არს, თუმცა ვინაჲთგან მიუწდომელ არს იგი, ამისთჳსმცა წარვიკუეთეთ სასოებაჲ სურვილისა მისისაჲ, არამედ რაჲზომცა დიდად გამოაჩინა სიტყუამან საძიებელი იგი, ეგოდენ ჯერ-არს, რაჲთა აღმაღლდებოდის გონებაჲ და სდევდეს სიმაღლესა მას საძიებელისასა, რაჲთა არა ყოვლითურთ გარეგან ზიარებისა კეთილისა მის იქმნეს.

რამეთუ არამცირე დანთქმაჲ არს ესე, უკუეთუ მიუწდომელობისა და გამოუთქუმელობისა მისისათჳს სრულიად გონებაჲ ჩუენი მისგან მოვსწყუდოთ და არღარაჲ[1] გუაქუნდეს ზრუნვაჲ ძიებად მისსა.[2]

[1] არარაჲ A; [2] ზრუნვაჲ ძიებად მისსა] საძიებელი მისი A.

თავი XI

1. ჯერ-არს უკუე ამის უძლურებისათჳს საცნობელთა ჩუენთა მეცნიერთა საქმეთა მიერ წარძღომად გონებისა უხილავისა მის მიმართ, ხოლო ღონე ჩუენი ესეეითარი არს, რამეთუ ვითარცა რომელნი ლიტონად და თუნიერ გულისჴმისყოფისა რაჲსამე ჰხედვიდენ[1] საქმეთა მათ, რაჟამს იხილიან კაცი, ანუ სხუაჲ რაჲმე ხილულთაგანი, არღარას | C 117r უმეტესად ხილულისა მის გულისჴმა-ჰყოფენ, რამეთუ კმა-იყვიან გუამისა ოდენ ჰასაკისა ხილვად და ვითარმცა ყოველითურთ ეხილვა კაცი. ხოლო შინაგანმხედველი სულითა და სწავლული არა თუალისა მიერ ოდენ ხედვად საქმეთა არა დაადგრის ხილულსა მას ზედა ოდენ, არამედ ბუნებასაცა სულისასა[73] მოიგონებს[74] და ნიჳთთა მათ ჴორცთასა[75] და თითოეულისა მის განყოფასა მოიგონებს და კუალად — ერთობასა.[76]

ეგრეთვე ძიებასა მას კეთილისასა უძლურმან მან გონებითა,[77] რაჟამს იხილის რაჲმე საქმე, რომელსა ზედა არ[ნ] სიკეთისა რაჲსამე ოცნებაჲ,[78] ჰგონებს მას თჳთმებრ[2] ბუნებით კეთილად, რომლისა მიმართცა საცნობელნი მისნი გულისთქუმისა მიერ მიდრკიან და არარას უმეტესსა გამოეძიებენ.

| ხოლო განწმედილმან თუალითა სულისაჲთა და შემძლებელმან A 327r სულიერად ხედვად საქმეთა, დაუტევის ხედვაჲ სიკეთესა მას შინა მყოფისა მის ნივთისაჲ და განყვის შუენიერებაჲ იგი, რომელი არ მას ნივთსა ზედა და იგი, ვითარცა კიბედ, იჴმარის[79] უხილავისა მის სიკეთისა და შუენიერებისა ხილვად, რომლისა ძალითა არიან სხუანი იგი ყოველნი შუენიერებანი.

2. ხოლო ძნელ-მიჩნს[3] მრავალთათჳს საქმე ესე, რომელნი სიზრქესა გონებისასა შემშჭუალულ[4] არიან, რაჲთა განკუეთონ გონებითა ნიეთი იგი და განყონ მის ზედა დადებულისა მის შუენიერებისაგან და თჳთ თავით თჳსით კეთილისა მის და შუენიერისა ბუნებაჲ განიცადონ. და უკუეთუ ვინ კეთილად გამოიძიოს მიზეზი გონებათა ცთომისაჲ, ვერ პოოს[5] სხუაჲ, ვითარ მე ვჰგონებ, გარნა ესე, რომელ არა გუსწავიეს „საცნობელთა ჩუენთადა განყოფაჲ ჯეროვნად კეთილისა და ბოროტისაჲ“.[1*][80]

ამისთჳს განეშორნეს კაცნი ჭეშმარიტისა მის კეთილისა ძიებისაგან და რომელნიმე ჴორცთა ტრფიალებასა შთავარდეს, და სხუანი უსულოჲსა მის საფასეთა ნივთისა მიმართ გულისთქუმითა მიდრკეს, სხუათა დიდებასა და პატივსა და ძიებასა ამის სოფლისასა სახელ-სდვეს, და

[1] ხედვიდენ A; [2] თჳთ A; [3] ძნელ-მიჩს A; [4] შემსჭუალულ A; [5] პოოს A.

[1*] ებრ. 5,14.

სხუანი ჴელოვნებათა რათმე და საქმეთა შეექცეს, სხუათა მუცელი და ნაყროვანებაჲ ყვეს კეთილისა მსაჯული.[81]

ხოლო უკუეთუმცა განეშორნეს ნივთიერთა მათ ზრახვათა და
15 სიყუარულსა ხილულთასა და ეძიებდესმცა მარტიჳსა მას და უნივთოსა და გამოუსახველსა მას | კეთილისა ბუნებასა,[82] არამცა შესცეს C 117v
გამორჩევასა მას შინა გულისსათქუმელთასა და არამცა ესრეთ ესევითართა მათ ცთომათაგან იძლეოდეს, რომელ არცა თუ წარმავალობასა ჴორციელთა მათ გულისთქუმათასა გულისჴმა-ჰყოფდენ, რაჲთამცა ეს-
20 რეთ შეურაცხ-ყვნეს იგინი.

3. აწ უკუე ესე იქმნების ჩუენდა გზა ჭეშმარიტისა მის კეთილისა პოვნად მიმყვანებელი, რაჲთა ყოველთა მათ საქმეთა სოფლისათა, რომელნიცა კაცთა მიერ კეთილად შერაცხილ არიან და გულისთქუმასა მათსა თავისა თჳსისა მიმართ მისდრეკენ, თანა-წარჰჴდებოდით,
5 ვითარცა მდაბალთა და წარმავალთა,[83] და არარას ზედა მათგანსა წარვაგებდეთ გულისთქუმისა ჩუენისა ძალსა და არცა კუალად უქმად და აღუძრველად | თავთა შორის ჩუენთა შევაყენოთ და გუაქუნდეს იგი, A 327v
არამედ განვიწმიდოთ სიყუარულისაგან ამაოთა საქმეთაჲსა და მუნ აღვიყვანოთ, სადა ოდენ მისწუთებოდის გონებაჲ, რაჲთა არცა ცისა
10 სიკეთე დაგჯკვირდებოდის, არცა ბრწყინვალებანი მნათობთანი, არცა სხუაჲ რაჲ ხილულთაგან კეთილთა. არამედ შუენიერებისა მის მიერ, რომელი მათ ყოველთა ზედა იხილვების, წარვემართნეთ მის შუენიერებისა და სიკეთისა სურვილად, რომლისა „დიდებასა უთხრობენ ცანი და სამყაროჲ და ყოველნი დაბადებულნი ქადაგებენ სიბრძნესა მისსა“.[1*]
15. რამეთუ რაჟამს ესრეთ აღვიდოდის სული და ყოველსა, რომელსა მისწუდებოდის, ვითარცა უდარესსა მისისა მის საძიებელისასა დაუტეობდეს, მაშინ უძლოს, ძალისაებრ კაცობრივისა, გულისჴმისყოფად „დიდადშუენიერებისა მის, რომელი-იგი ამაღლებულ არს უფროჲს ზესკნელს ცათა“.[2*]

4. არამედ ვითარ მისწუდეს[1] სიმაღლესა მას, რომელსა მოსწრაფებაჲ მდაბალთა მათ შინა აქუნდეს? ვითარ აღფრინდეს ზეცად, რომელი არა ფრთოვანქმნულ იყოს ფრთითა მით ზეცისაჲთა[84] და ზეაღმავალ და სუბუქქმნილ იყოს საღმრთოჲთა მოქალაქობითა?
5 ვინ არს ესრეთ გარეგან საიდუმლოთა მათ სახარებისათა, რაჲთამცა უმეცარ იყო ამას, ვითარმედ ეტლ სულისა, ზეცად აღმყვანებელ,[85] ესე არს, რაჲთა მიამსგავსოს თავი თჳსი, ძალისაებრ ბუნებისა ჩუენისა, სახესა მას ზეცით გარდამოსრულისა ტრედისასა, | რომლისა ფრთეთა მოგებად[86] C 118r
სუროდა დავითსაცა.[3*]

[1] მისწუთეს A.

[1*] ფს. 18,2-3; [2*] ფს. 8,2; [3*] შდრ. ფს. 54,7.

რამეთუ ესრეთსახედ[1] ჩუეულ არს წერილი[2] ძალსა მას სულისა წმიდისასა წოდებად, გინათუ რამეთუ ნაეღლისაგან უცხო არს მფრინველი ესე, ანუ თუ,[3] რამეთუ სიმყრალისა მტერი არს, ვითარცა იტყჳან ესევითართა მეცნიერნი.[87]

და ამისთჳს, რომელმან ყოვლისაგანვე სიმწარისა და ჴორციელისა სიმყრალისა განაშოროს თავი თჳსი და ყოველთაგანვე მდაბალთა და ამაოთა საქმეთა ამაღლდეს და უფროჲსღა გარეგან ყოვლისა სოფლისა იქმნას იგი, ბრწყინვალე და ნათლითშემოსილ იქმნების ზიარებითა ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲთა.

რამეთუ ვითარცა ღამით მეყსეულნი იგი ჰაერისა გამობრწყინვებანი, რომელ ვითარცა ვარსკულავნი რბიან, რომელთაცა „მორბედად | ვარსკულავად“ ეწოდების, არარაჲ არიან სხუაჲ, ვითარცა იტყჳან ესევითართა სიბრძნისმეტყუელნი,[88] გარნა სული და ორთქლი ჰაერისაჲ,[89] რომელი სიმძაფრისაგან ქართაჲსა ადგილსა მას ათერისასა, რომელი-იგი[4] არს ცეცხლი, შორის ჩუენსა და ზეცისა მყოფი, შეიბნევის.[90] რამეთუ სული იგი და ორთქლი, ქუეყანით აღმავალი ქართაგან, მას ცეცხლსა ათერისასა შეევალს, ვითარცა იტყჳან, და ცეცხლისა მისგან ესრეთ ალისფერ იქმნების და წარვლოს რაჲ ცეცხლი იგი, ცათა შინა ალისსახედ, ვითარცა ვარსკულავი, გამოისახჳის. A 328r

და აწ უკუე, ვითარცა-იგი ქუეყანისა ესე ჰაერი, ამაღლდეს რაჲ მძლავრებისაგან ქართაჲსა, ნათლისსახე[5] იქმნების, სიწმიდითა მით ათერისაჲთა შეცვალებული, ეგრეთვე გონებამან კაცობრივმან, უკუეთუ დაუტეოს მრღუე ესე და არმურიანი ცხორებაჲ სოფლისაჲ, რაჟამს-იგი წმიდა იქმნას ძალითა მით სულისაჲთა და ნათლითშემოსილ და შეერთოს ჭეშმარიტსა მას და მაღალსა სიწმიდესა, ელვარედ[6] გამოჩდების იგიცა მას შინა და შარავანდედითა აღიცჳების და ნათელ იქმნების, სიტყჳსაებრ უფლისა, რომელმან აღგუთქუა „მართალთა მსგაესად მზისა გამობრწყინვებად“[1*] და უმეტესცა მზისა.

და კუალად ესევე ქუეყანასაცა ზედა[7] იხილვების სახჱ[8] სარკესა შინა[9] და წყალსაცა, ანუ თუ სხუათა მათ ნივთთა შინა, რომელთა ბუნებით აქუს სიწმიდე. რამეთუ რაჟამს ესევითართაგანმან რაჲმე შეიწყნაროს მზისა შარავანდედი, მერმე იგიცა თავსა შორის თუსსა სხუასა ბრწყინვალებასა გამოაჩინებს, ხოლო უკუეთუ ბაყლითა რაჲთმე სიწმიდე იგი და სიგლუვე ნივთისაჲ მის განირყუნეს და უხმარ იქმნეს, | არღარა C 118v

[1] სახედ] – A; [2] წერილი]+სახედ A; [3] თუ] – A; [4] რომელი-იგი] რომელი C; [5] სახჱ C; [6] ელვარედ] – A; [7] ზედა] – A; [8] სახე A; [9] ჴედა A.

[1*] მთ. 13,43.

გამოჩნდების[1] მის თანა ბრწყინვალებაჲ იგი, ეგრეთვე უკუე, გინათუ ჩუენ ზეცად აღვმაღლდეთ და დაუტეოთ სოფლისა ამის ბნელი, მუნ ნათლისფერ ვიქმნენეთ მიახლებითა მით ქრისტჱს,[2] ჭეშმარიტისა მის ნათლისაჲთა.[3] გინათუ კუალად „ჭეშმარიტი იგი ნათელი, რომელი ბნელსა შინა ჩანს“,[1*] ჩუენდამდის მოვიდეს, იხილოს რაჲ ჩუენი მისა მიმართ სურვილი, ეგრეთცა ჩუენ ნათელ ვიქმნენეთ, ვითარცა ეტყჳს მოწაჲეთა უფალი,[2*] უკუეთუ ოდენ არა მოფენილ იყოს გულსა ზედა ბნელი რაჲმე უკეთურებისაჲ და ნათელი იგი ჩუენისა მის მადლისაჲ დაებნელოს.[4]

5. ნუუკუე აწ მცირედ რაჲმე სახეთა ამათ მიერ გჳჩუენა სიტყუამან ღონე უმჯობესისა მიმართ შეცვალებისა ჩუენისაჲ | და გამოჩნდა, ვი- A 328v თარმედ შეუძლებელ არს სხჳთა სახითა შეერთებაჲ სულისაჲ უხრწნელისა ღმრთისა თანა, უკუეთუ არა იგიცა, ძალისაებრ კაცობრივისა, წმიდა იქმნას უხრწნელებისა მიერ, რაჲთა მსგავსითა მსგავსი პოოს,[5][91] რაჟამს, ვითარცა სარკე, დაუდგას თავი თჳსი უხრწნელებასა ღმრთისასა და სიწმიდესა, რაჲთა ზიარებითა პირმშოჲსა მის შუენიერებისაჲთა შეიცვალოს იგიცა მისდა მსგავსად.

საცნაურ უკუე იყავნ, ვითარმედ იყოს ესევითარი, რომელ დაეტეოს ყოველივე კაცობრივი, გინა ჴორცნი, გინა საჴმარნი, გინა ჴელოვნებანი, გინა სხუაჲ რაჲმე, რომელი განსასუენებელად და კეთილად ჩნდეს სოფელსა შინა, რამეთუ იგინი არიან, რომელნი აცთუნებენ კაცსა, და რომელი ყოვლისა ესევითარისაგან უცხო იქმნას, მას შეექმნას ტრფიალებაჲ იგი და გულისთქუმაჲ კეთილი და წმიდაჲ ჭეშმარიტისა მის კეთილისა და შუენიერისა მიმართ, რომელსა-იგი არა სადაჲთ აქუს სხჳთ სიკეთე, არცა ვისგან მიუღებიეს სადა შუენიერებაჲ, არცა მსგავსებითა რაჲსაჲთამე არს ესევითარი, არამედ თავისა თჳსისაგან და თავისა მიერ და თავისა თჳსისა შორის ესევითარი — მარადის კეთილ და შუენიერ,[92] და არასადა მიუღებიეს შუენიერებაჲ, რომელი ოდესმე არა აქუნდა, არცა ყოფად სადა არს, რომელ არა არს; არცა ოდესმე არს კეთილ და შუენიერ და ოდესმე — არა, არამედ მარადის ერთ არს უზეშთაეს[6] ყოველისაცე შეძინებისა და აღორძინებისა[7][93] და შეუწყნარებელ ყოველისაცე ქცევისა და შეცვალებისა.[94]

6. რომელმანცა უკუე ყოველნივე ძალნი სულისა თჳსისანი „ყოველისაგანვე სხჳსა უკეთურებისა“[3*] განიწმიდნეს, ეკადრებ და ვიტყჳ, ვითარმედ მას | გამოეცხადოს ბუნებითი იგი კეთილი,[4*] რომელი-იგი C 119r

[1] გამოჩნდეს A; [2] ქრისტჱს] — A; [3] ნათლისა ქრისტჱსა A; [4] დააბნელოს A; [5] პოჳოს A; [6] უზეშთაესი A; [7] აღორძინებისაჲ A.

[1*] ინ. 1,5; 1,9; [2*] შდრ. მთ. 5,14; შდრ. ინ. 12, 36.46; [3*] I თეს. 5,22; [4*] შდრ. მთ. 20,15; 19,17; მარკ. 10,18.

არს ყოვლისაჲე კეთილისა და შუენიერებისა მიზეზი. რამეთუ ვითარცა
5 თუალსა, რომელსა ყოველივე სიბრმე განეგდოს, ბრწყინვალედ ხედავს
ყოველთა ჰაერისა საქმეთა, ეგრეთვე სულსა თანა უხრწნელებისა მიერ
მოვალს ძალი მის ნათლისა განცდად და ჭეშმარიტი ქალწულებაჲ და
მონაზონებისა ჯეროვანი მოქალაქობაჲ, ვითარი უჴმს მონაზონთა, ამას
საქმესა მიველენ. და ესე | არს პირველი მათი, რაჲთა შეუძლონ ხილვად A 329r
10 ღმრთისა.

რამეთუ ჭეშმარიტი და პირველი და მხოლოჲ კეთილი და სახიერი და წმიდაჲ ყოველითურთ[1] ღმერთი არს. და არავინ არს ესრეთ ბრმა გონებითა, რომელმანმცა ესე თავითცა თჳსით თჳნიერ ჩუენისა სიტყჳსა არა იცოდა.

[1] ყოველთა A.

თავი XII

1. არამედ ამას ეჰგონებ, ვითარმედ არავინ უმეცარ არს, გარნა ვიცი, ვითარმედ მრავალნი ეძიებენ, უკუეთუ შესაძლებელ არს პოვნად ღონისა რასმე და წინამძღუარსა ესევითარისა მის კეთილისა პოვნად.

სავსე უკუე არიან საღმრთონი წიგნნი ესევითარისა მის თხრობითა და მრავალნი წმიდანი, ვითარცა სანთელსა, მიუპყრობენ თჳსსა ცხორებასა ყოველთა, რომელთა ჰნებავს საღმრთოდ სლვაჲ. და შესაძლებელ არს ყოვლისა კაცისა მიერ გამორჩევად წმიდათა წერილთაგან ძუელისა და ახლისა შჯულისათა უშურველად ამის პირისათჳს სწავლათა წინაისწარმეტყუელთა მიერ და შჯულისა და კუალად სახარებისაგან და წმიდათა მოციქულთა.

ხოლო რაჲდენსა ჩუენცა გულისჴმა-ვჰყოფთ წმიდათა მათვე სახეთა სწავლითა, ესე არს:

2. სიტყჳერი ესე და გონიერი ცხოველი,[95] რომელ არს კაცი, რომელი[1] წმიდისა მის და უხრწნელისა ბუნებისა მიერ დაიბადა მისდაჲვე მსგავსად,[96] რამეთუ ესრეთ წერილ არს მისთჳს სოფლისდაბადებასა შინა,[97] ვითარმედ ხატად ღმრთისა შექმნა იგი,[1*] ამას უკუე ცხოველსა, კაცსა, არა ბუნებითად, არცა მის თანა დაბადებულად აქუნდა პირველითგან ვნებულებაჲ და მოკუდავებაჲ.[98] რამეთუ არცა შესაძლებელ იყო, თუმცა აღსრულა სიტყუაჲ იგი ხატებისა და მსგავსებისა ღმრთისაჲ, უკუეთუმცა წინააღმდგომად იყო გამოსახული იგი სიკეთე პირმშოჲსა მისგან,[99] არამედ უკუანაჲსკნელ შემოვიდა[2] მას ზედა ვნებაჲ შემდგომად დაბადებისა.

და ესრეთ ვიდოდა, რამეთუ ხატ და მსგავსება იყო, ვითარცა ვთქუ, ყოველთა მათ არსთა მეუფისა ძალისაჲ[3] და ამისთჳს თუთმფლობელობითა მით გონებისაჲთაცა თუთმფლობელსა მას ყოველთასა მსგავს იყო; რამეთუ არცა ერთისა რაჲს გარეშეთა[4] | ჭირისადა დამონებულ იყო,[100] C 119v
არამედ თჳსითა ნებითა, ვითარცა ენება, იყოფებოდა, და რაჲ სათნო არნ წინაშე მისსა, ჴელმწიფებით გამოირჩევდა, ხოლო ესე განსაცდელი, რომლითა აწ კაცებაჲ შეპყრობილ არს, მან თუთ[5] ნეფსით მორჩილებითა | საცთურისაჲთა მოიზიდა თავსა ზედა თჳსსა, იგი იქმნა უკეთურებისა მომჰოვნებელ,[2*] არა თუ ღმრთისა მიერ შექმნული პოვა იგი, ნუ A 329v

[1] რომელი] – A; [2] შევიდა A; [3] ძალთაჲსა C; [4] რაჲ გარეშეთაგანისა A; [5] თავადმან] თუთ A.

[1*] შესაქ. 1,27; [2*] შდრ. რომ. 1,30.

იყოფინ, რამეთუ, „რომელმან სიკუდილი არა ქმნა“[1*] ნუ იყოფინ, არამედ ესრეთსახედ კაცი იქმნა მოქმედ ბოროტისა თუსისა.[101]

რამეთუ ვითარცა მზისა ნათელი ზოგად მდებარე არს წინაშე ყოველთა ხედვად, რომელსაცა აქუს ძალი ხედვისაჲ, ხოლო უკუეთუ ვის უნდეს, შემძლებელ არს დაყოფად თუალთა თჳსთა და გარეგანყოფად ხედვასა მას ნათლისასა, არათუ რამეთუ მზემ[1] სხუადაჳრძო წარვიდის და ამისთჳს[2] იგი დაბნელდის, არამედ რამეთუ თჳთ მან კაცმან საბურველი იგი წამწამთაჲ თუალთა ზედა მოიდეა და ქმნა იგი შუვაკედელ[3] შორის თჳსსა და მზისა, რამეთუ ძალი იგი ხედვისაჲ უქმ[4] არნ დაყოფასა მას თუალთასა და საქმედ საქმისა თჳსისა[5] ვერ შემძლებელ არნ; და ამისთჳს უქმებაჲ[6] იგი მისი მიზეზ სიბნელისა ექმნის, ნებით[7] თჳსით მოგებული კაცისა მის მიერ. ანუ უკუეთუ ვინ სახლი იშენოს და არცა ერთი ვინ[8] დაუტეოს შემოსავალი[9] ნათლისაჲ, ეგრეთვე იყოფოდის იგიცა ბნელსა შინა, რამეთუ ნებსით[10] დაუკშა ბრწყინვალებასა კარი, ეგრეთვე ქმნა „პირველმან მან კაცმან“[2*] და უფროსად, რომელმან-იგი უკეთურებაჲ შჳა კაცთა თანა, რამეთუ ბუნებასა შინა[11] კეთილი ყოველითკერძო წინამდებარე აქუნდა, არამედ ნებსით[12] თავსა ზედა თჳსსა ბუნებისა გარეგანი იგი მოიყვანა და ბოროტისა გამოცდილებაჲ[102] გარემიქცევითა სათნოებისაჲთა თჳსსა გონებასა შინა დაჰბადა ნებითა თჳსითა.

რამეთუ ბოროტი, ნებისა გარეგანი და თჳსითა არსებითა ხილული, არსთა შორის არარაჲ არს,[103] რამეთუ „ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს და არარაჲ არს ბოროტ“,[3*] არამედ[13] სახითა ამით, ვითარცა[14] ვთქუთ, შემოვიდა ცხორებასა კაცთასა ცოდვაჲ და მცირედისა მის მიზეზისაგან აღორძნდა და უზომოდ განვრცელდა კაცთა შორის უკეთურებაჲ და ღმრთივშუენიერი იგი სულისა სიკეთე, მსგავსად პირმშოჲსა მის სიკეთისა ქმნული, ვითარცა რკინაჲ რაჲმე, ესრეთ დაშავდა გესლითა მით უკეთურებისაჲთა და არღარა აქუნდა თჳსისა მის და ბუნებითისა ხატისა მადლი, არამედ სიდუხჭირე იგი ცოდვისაჲ შეიმოსა და ეწოდა „დიდსა მას და პატიოსანსა ცხოველსა“[4*] | მოკუდავად, და- A 330r
რაჲ-ეცა | თჳსისა პატივისაგან, ვითარცა წაეკიდების, რომელნი შე- C 120r
ბრკოლდენ და შთავარდენ მწურესა მყრალსა და თიჯითა მით თჳსი ფერი განრყუნან და იქმნებიან უცნაურ მეცნიერთა მიერ, ეგრეთვე იგი შთავარდა მწურესა ცოდვისასა და წარწყმიდა ხატყოფაჲ უხრწნელისა

[1] მზე A; [2] მისთჳის C; [3] შუაკედელ A; [4] უქმად A; [5] საქმისა თჳსისა] – A; [6] უქმობაჲ A; [7] ნეფსით A; [8] ვინ] – C; [9] შესავალი C; [10] ეგრეთვე... ნებსით] (A-ს ეს წინადადება აკლია); [11] შინა] – C; [12] ნეფსით A; [13] არამედ] + ვინაჲთგან A; [14] ვითარცა] – A.

[1*] სიბრძ. 1,13; [2*] I კორ. 15,47; შდრ. შესაქ. 2,7; [3*] I. ტიმ. 4,4; შდრ. შესაქ. 1,31; [4*] იგ. 20,6; 12,27.

ღმრთისაჲ[1]* და ხრწნილი იგი და თიჳსა ხატი ცოდვისა მიერ შეიმოსა.

ხოლო არა თავს-იდვა დიდმან ღმრთისა სახიერებამან წარწყმედაჲ ჩუენი, არამედ გარდამოჴდა ზეცით მხოლოდშობილი ძჱ და სიტყუაჲ,[2]* მამისა თანაარსი და თანამოსაყდრე მისი, და შეიმოსნა ჩუენნი ესე გლახაკნი ჯორცნი და იქმნა ყოველითურთ, თუნიერ ცოდვისა, მსგავს ჩუენდა; და ივნო ჩუენთჳს და მოკუდა და აღადგინნა ჯოჯოხეთს შინა დავიწყებულნი;[3]* იქმნა პირმშო შესუენებულთა და დაჰჴსნნა სალმობანი სიკუდილისანი და შემმოსა ჩუენ პირველივე[1] იგი დიდებაჲ და მოგუცა ძალი, რაჲთა უკუეთუ გუენებოს, შეუძლოთ მოგებად პირველი იგი დიდებაჲ[2] და უაღრესიცა[3] ფრიად.

და აწ ჩუენი არს, უკუეთუ გუენებოს, რაჲთა მწჳრე იგი, რომელი შემდგომად წმიდისა ნათლისღებისა მოვაწიეთ ჩუენ ზედა ცოდვათა მიერ, განვიბანოთ კუალად, ვითარცა წყლითა, კეთილითა მოქალაქობითა, რაჲთა აღგუეძარცოს მიწისაგანი იგი საბურველი და კუალად გამოჩნდეს სულისა სიკეთე.

ხოლო აღძარცუეაჲ უცხოჲსა მის არს ბუნებითისა მის მიმართვე მიქცეეაჲ, რომლისა მიმთხუეაჲ არა არს სხუებრ,[4] არათუ ვიქმნეთ, ვითარ პირველითგან დავიბადენით.

რამეთუ არა ჩუენი საქმე არს, არცა კაცობრივისა ძალისა საქმარი, მსგავსებაჲ ღმრთისაჲ, არამედ ესე ღმრთისა, უხუადმიმნიჭებელისა, ნიჭი არს, რომელ პირველსა მას დაბადებასა მეყსეულად მოანიჭა ბუნებასა ჩუენსა მისი მსგავსებაჲ.[104]

და კუალად, ურჩებითა დაცემულნი ესე თუსითა მოსლვითა განგუაახლნა.

3. ხოლო აწ ჩუენი საქმე არს, რაჲთა ბაყლი იგი, ჩუენ ზედა მოსრული ცოდვათა მიერ, განვიწმიდოთ[5] და დაფარული იგი სულისა სიკეთე გამოვაჩინოთ.

და ამას მოასწავებს უფალი სახარებასა შინა და იტყჳს, ვითარმედ: „სასუფეველი ცათაჲ შინაგან თქუენსა არს“,[4]* რაჲთა გულისჴმა-ყონ ესე ყოველთა, რომელთა ძალ-უც სმენად საიდუმლოდ თქუმულისა მის სიბრძნისა.

რამეთუ, ვითარ მე ეჰგონებ, ამას მოასწავებს სიტყუაჲ ჩემი,[105] ვითარმედ სახიერებაჲ | ღმრთისაჲ არა შორს არს ჩუენისა ბუნებისაგან, არცა A 330v ძნიად საპოვნელ არს მეძიებელთა მისთაჳს, არამედ მარადის თი-

[1] პირველი A; [2] პირველისა მის დიდებისა C; [3] უეაღრესიცა A; [4] სხუაებრ A; [5] განვწმიდოთ A.

[1]* შდრ. რომ. 1,23; I ტიმ. 1,17; [2]* შდრ. იაკობი 1,21; ეფ. 4,22; [3]* შდრ. გამოსვლ. 34,35; II კორ. 3,16 [4]* შდრ. ლკ. 1,21.

თოჲულსა თანა არს; და არნ უცნაურად და დაფარულად, რაჟამს-იგი „გულისთქუმათაგან სოფლისათა მოშთობილ არნ“,[1]* ხოლო იპოვების[1] კუალად, რაჟამს | მისა მიჳაქციოთ გონებაჲ ჩუენი. C 120v

შკუმოუ კულა გნებავს, რაჲთა სხჳთკერძოცა სიტყუაჲ ჩუენი სარწმუ-
15 ნო ეყოთ, ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ ამასვე მოასწავებს უფალი „წარწყმედულისა მის დრაქმისა“[2]* ძიებითა, ვითარმედ არარაჲ არს სარგებელი სხუათა მათ სათნოებათაგან, რომელთა „დრაქმად“ უწესა სიტყუამან, დაღაცათუ ყოველნი იყვნენ, რაჟამს ერთი იგი არა აქუნდეს დაქურივებულსა მას სულსა, რომელ არს თჳსისა ბუნებისა სიკეთე, ამისთჳსცა
20 პირველად სანთლისა აღნთებასა ბრძანებს, რომლითა, ვითარ მე ვჰგონებ, სიტყუასა მას მოასწავებს, განმანათლებელსა დაფარულთასა,[3]* და მერმე თჳსსა სახლსა შინა, ესე იგი არს, თავსა თჳსსა შორის იტყჳს მოძიებად წარწყმედულისა მის დრაქმისა, ხოლო საძიებელისა მის დრაქმისა მიერ გინა ყოველადვე[2] მეუფისა ხატსა[106] მოასწავებს, რომე-
25 ლი-იგი არა სრულიად წარწყმედულ არს, არამედ ნეხუსა ქუეშე და სკორესა დამალულ არს, ხოლო ნეხუად და სკორედ, ჯერ-არს, რაჲთა ჭორცთა ენებანი და მწყრე გულისჴმა-ვყოთ, რომელ-იგი, რაჟამს განწმდეს და მოიმართოს კეთილადცხორებითა, მერმე იპოვოს[3] საძიებელი იგი, რომელსა ზედა განიხაროს თავადმანცა სულმან, რომელმან პოჲა,
30 და ზიარებად თჳსისა სიხარულისა შემოკრიბნეს მახლობელნი თჳსნი.

რამეთუ ჭეშმარიტად ყოველნი იგი თანამკჳდრნი სულისა ძალნი, რომელთა აწ „მახლობელად“ სახელ-სდვა, რაჟამს გამოჩნდეს და გამობრწყინდეს დიდი ესე მეუფისა ხატი, რომელი პირველითგან გამოისახა ჩუენსა ამას დრაქმასა ზედა, რომელმან-იგი „დაპბადნა მხოლომან[4]
35 გულნი ჩუენნი“,[4]* მაშინ იგინიცა საღმრთოჲსა მის სიხარულისა და მხიარულებისა მომართ მოვიდენ და გამოუთქუმელსა მას სიკეთესა პოვნილისა მის ხატისასა ჰხედვიდენ,[5] რამეთუ „იხარებდითო ჩემ თანა“, „რამეთუ ვპოვე დრაქმაჲ იგი, რომელი წარვწყმიდე“.[5]*

ხოლო მახლობელნი იგი და თანამკჳდრნი სულისა ძალნი, რომელნი
40 პოვნასა მას ზედა საღმრთოჲსა მის | დრაქმისასა იხარებენ, ესენი A 331r არიან: ძალი იგი მოგონებისაჲ და გულისთქუმისაჲ, მწუხარებისა და რისხჳისაჲ და რანიცა არიან სხუანი ძალნი სულისა თანა, სამართლად „მახლობელ“ და „მეგობარ“ იწოდებიან, რომელნი-იგი ყოველნი მაშინ „იხარებდენ უფლისა მიმართ“,[6]* რაჟამს ყოველნივე კეთილისა მიმართ

[1] იპოების A; [2] C-ში გარკუეით არ იკითხება; [3] იპოოს C; [4] მხოლოდ C (რედაქტორის შესწორება); [5] ხედვიდენ A.

[1]* ლკ. 8,14; [2]* ლკ. 15,8-10; [3]* შდრ. I კორ. 4,5; [4]* ფს. 32,15; [5]* ლკ. 15,9; [6]* ფილ. 3,1.

ჰხედვიდენ[1] და ყოველნივე დიდებად ღმრთისა ისწრაფდენ[1*] და არღარა იქმნებოდინ ცოდვისა საჭურველ.[2*]

4. და ვინაჲთგან ესე არს ღონე საძიებელისა მის პოვნად | საღმრ- C 121r თოჲსა მის ხატისა პირველისა მის სიკეთისა მიმართ მიქცევაჲ, რომელი-იგი აწ ვნებათა მწუხრესა შინა დამალულ არს, ამისთჳს თანა-გუაც, რაჲთა ესრეთ ვიქმნეთ,[2] ვითარ-იგი იყო პირველდაბადებული კაცი პირველსა მას ცხორებასა შინა, რაჟამს არა უფლებულ იყო ცოდვისა მიერ.

ხოლო გულისჴმა-ყავთ, თუ ვითარ იყო იგი, რამეთუ იყო შიშუელ[3*] სამოსელთა მათგან ტყავისა მის მკუდრისათა[3] და ჰხედვიდა[4] კადნიერებით პირსა ღმრთისასა და არა გემოჲსხილვითა და თუალითა გამოარჩევდა კეთილსა, არამედ „უფლისა მიმართ იშუებდა“[4*] და მოცემულსა მას შემწესა[5*] იჴმარებდა მას ზედა შემწედ, ვითარცა იტყჳს წერილი.

რამეთუ არღა ეცნა[6*] იგი, ვიდრემდის გამოვარდა სამოთხით[7*] და ვიდრემდის[5] ცოდვისა მისთჳს, რომელ ცოდა,[8*] დაისაჯა[9*] სალმობათა ტანჯვითა. და აწ, რომლისა საქმისა მიერ სამოთხით გამოვვარდით, მის მიერ გუჴმს კუალადმიქცევაჲ პირველსა მასვე ნეტარებასა.

რაჲ იყო უკუე საქმე იგი გამოვრდომისა ჩუენისაჲ? გარნა გულისთქუმამან, მაშინ საცთურისა მიერ შემოსრულმან, ყო დაწყებაჲ დაცემისაჲ, რომელ არს გემოჲსხილვაჲ ძელისაჲ მის და მერმე სირცხჳლი[10*] და შიში[11*] ვნებასა მას გულისთქუმისასა შეუდგა და არღარა კადრებაჲ[6] ყოფად წინაშე თუალთა დამბადებელისათა, არამედ ფურცელთა და აჩრდილთა ქუეშე დამალვაჲ[12*] და შემდგომად ამისა ტყავითა[13*] მკუდრისაჲთა დაიბურნეს[7] და ესრეთ სენიანსა ამას და ხორშაკითა[8] სავსესა და საჭიროსა სოფელსა ექსორიობად მოიელინნეს,[107] რომელსა შინა ქორწინებაჲ ნუგეშინისსაცემელად მოკუდომისა[9] და ღონედ მოპოვნებულ იქმნა, რაჲთა არა დაილიოს კაცებაჲ.

---

[1] ხედვიდენ A; [2] ეკმნეთ A; [3] მკუდრისათა C, მკუდრისაჲთა A; [4] ხედვიდა A; [5] ვიდრემდის] + იგი A; [6] კადრება A; [7] დაიბორნეს A; [8] ხურშაკითა A; [9] მოკუდუმისა A.

[1*] შდრ. I კორ. 10,31; [2*] შდრ. რომ. 6,13; [3*] შდრ. შესაქ. 2,25; [4*] ფს. 36.4 [5*] შდრ. შესაქ. 2,18; [6*] შდრ. შესაქ. 4,1; [7*] შდრ. შესაქ. 3,16; [8*] შდრ. შესაქ. 3,16; [9*] შდრ. შესაქ. 3,14; [10*] შდრ. შესაქ. 3,7; 2,25; [11*] შდრ. შესაქ. 3,10; [12*] შდრ. შესაქ. 3,7.8.10; [13*] შდრ. შესაქ. 3,21.

თავი XIII

I. და აწ, უკუეთუ გუნებავს წარსლვაჲ ამიერ და ქრისტეს თანა ყოფაჲ,[1*] კუალად დასასრულით გჳჭმს დაწყებაჲ უკუნქცევად | პირველისა A 331v
მის მიმართ კეთილისა, ეითარცა რომელნი თჳსთა ქუეყანათაგან უცხო იქმნიან, რაჟამს მუნვე მიიქცეოდინ, პირველად მას ადგილსა დაუტეობენ, რომელსა, გამო-რაჲ-ვიდეს თჳსთაგან, უკუანაჲსკნელ მიემთხუნეს. და ვინაჲთგან სამოთხით განშორებისა უკუანაჲსკნელი საქმე ქორწინებაჲ არს, ამისთჳს პირველ ყოვლისა მისსა დატეობასა, ეითარცა უკუანაჲსკნელისა საზომისასა,[108] ქრისტეს მიმართ მიმავალთა აწუევს სიტყუაჲ, და მერმე განშორებად უბადრუკებისაგან ამის სოფლისა, რომელსა შევარდა შემდგომად ცოდვისა კაცი, და მერმე გარეგან ჴორციელთა მათ საბურველთა ყოფად და „სამოსელთა მათ | ტყავისათა“[2*] აღძარცუვად,[1] რომელ-არს „ზრახვაჲ ჴორცთაჲ“[3*] და „დატეობად ყოველთა მათ დაფარულთა სირცხჳლისათა“[4*] და არღარა ყოფად ლეღუსა[5*] მას ქუეშე მწარისა მის ცხორებისასა, არამედ აღძურცად[2] წარმაჲალთა მათ და განხრწნადთა ფურცელთა საბურველი და კუალად მისლვად წინაშე თუალთა დამბადებელისათა, და გემოჲსმოყუარებისა და თუალთამიერისა[3] საცთურისა დატეობად და არღარა მოგებად განმზრახად წამლიანი იგი გუელი,[109] არამედ მცნებაჲ ღმრთისაჲ. ხოლო ესე იგი არს — კეთილისა ოდენ შეხებაჲ და ბოროტისა[6*] გემოსა არა ხილვაჲ, რაჲთა ესრეთ საქმემან კეთილისამან დაწყებაჲ მოიღოს არა მიახლებითა ბოროტისაჲთა.[110] C 121v

რამეთუ ამისთჳს ბრძანებულ იქმნა პირველდაბადებულთა მათ, რაჲთა არა აქუნდეს „კეთილისა[4] თანა ბოროტისაცა ცნობაჲ“,[7*] არამედ რაჲთა განეშორნენ საცნაურსა მას კეთილსა ბოროტისასა[111] და წმიდად და ბოროტისაგან შეურევნელად აქუნდეს კეთილი, რომელი-იგი სხუაჲ[5] არარაჲ არს, ვითარ ჩემი სიტყუაჲ ჰგონებს, გარნა ღმრთისა თანა ოდენ ყოფაჲ და იგი ქონებად სამარადისოდ და დაუცხრომელად საშუებელად და არა შერთვად საშუებელსა მას თანა კეთილისასა ბოროტისაცა გულისთქუმაჲ. და უკუეთუ ჯერ-არს კადრებად და თქუმად, ამას ვიტყჳ, ვითარმედ, ვითარ ეჰგონებს, ესრეთ აღიტაცოს კაცი სოფლისა ამისგან, რომელი-ესე „ბოროტსა შინა არს,“[8*] და მიიტაცოს სამოთხედ, სადა-იგი მივიდა პავლე მოციქული და ესმა და იხილნა უსმენელნი და უხილავ-

---

[1] აღძურცად A; [2] აღძრცუად A; [3] მიერ A; [4] კეთილისაცა A; [5] სხუა A.

[1*] ფილ. 1,23; [2*] შესაქ. 3,21; [3*] რომ. 8,6; [4*] II კორ. 4,2; [5*] შდრ. შესაქ. 3,7; [6*] შდრ. შესაქ. 2,9; [7*] შესაქ. 2,9 [8*] I ინ. 5,19.

ნი, რომელი არა ჯერ-არს კაცთა მიერ სიტყუად.[1]*

2. არამედ ვინათგან | სამოთხჱ[1] „ცხოველთა საყოფელი არს“ და A 332r
ცოდვისა მიერ მომკუდართა არა შეიწყნარებს, ხოლო ჩუენ ჴორციელ
ვართ და მოკუდავ, განსყიდულ ცოდვითა,[2*][112] ვითარ ეგების „სოფელსა
მას ცხოველთასა“[3*] შესლვად, რომელი მძლავრებითა სიკუდილისაჲთა
შეპყრობილ იყოს? ანუ რაჲ-მე ვინ ღონე პოოს,[2] რაჲთა ამის ჴელმ-
წიფებისაგან განთავისუფლდეს? გარნა კმა არს ამისთჳსცა სწავლაჲ
სახარებისაჲ. რამეთუ გუესმა სახარებისაჲ, ვითარ ეტყოდა ნიკოდიმოსს
უფალი, ვითარმედ: „შობილი იგი ჴორცთაგან ჴორცი არს და შობილი
სულისაგან სული არს“.[4*] ხოლო ვიცით, ვითარმედ ჴორცნი ცოდვი-
სათჳს სიკუდილსა ქუეშე დაშჯილ არიან, ხოლო სული ღმრთისაჲ
უხრწნელ არს და ცხოველსმყოფელ და უკუდავ.

3. და ვითარცა ჴორციელსა შობასა თანა დამკუდრებულ არს სიკუდ-
ილისაცა იგი ძალი, დამჴსნელი შობილისაჲ მის, ეგრეთვე სული მის
მიერ შობილ|თა თანა ცხოველსმყოფელსა მას ძალსა დაამკუდრებს; C 122r
ხოლო რაჲ გამოგუეცხადების ჩუენ სიტყუათა ამათ მიერ? გარნა ესე,
რაჲთა განვეშორნეთ ჴორციელისა ცხორებისაგან, რომელსა უეჭუელად
შეუდგს სიკუდილი, და ესევითარი აღვასრულოთ ცხორებაჲ, რომელი
არღარა მოიზიდვიდეს ჯაჭუსა მას სიკუდილისასა, ხოლო ესე არს
ქალწულებით და მონაზონებით ცხორებაჲ. და ვითარმედ ჭეშმარიტე-
ბით[3] არიან თქუმულნი ესე, მცირედ გამოვაჩინო.

რამეთუ ვინმცა არა იცოდა ესე, ვითარმედ ჴორციელი იგი შეერთე-
ბაჲ[4] ქორწინებისაჲ[5] საქმე არს მოკუდავთა გუამთა შექმნაჲ, და ვი-
თარცა ვთქუ, ესე აქუს[6] საქმედ, ხოლო ზიარებასა მას შინა სულისასა
ცხორებაჲ და უხრწნელებაჲ ზიარებულთა მათ შვილთა წილ ესხმიან,
„და ცხონდების მის შვილიერებისა მიერ“[5*] ესევითართა მათ შვილთა
დედაჲ სულიერი სიხარულით, ვითარცა თქუა საღმრთოთა მათ გალობა-
თა შინა მეფსალმუნემან,[6*] ვითარმედ: „დაამკუდრის ბერწი სახლსა
შინა მხიარულად, ვითარცა დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი“.

რამეთუ ჭეშმარიტად იხარებს ქალწული იგი სული,** რომელმან შვინის
უკუდავნი იგი შვილნი სულისა წმიდისა მიერ, რომელი-იგი სიწმიდისათჳს
და ქალწულებისა ბერწად წოდებულ არს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ.

---

[1] სამოთხე A; [2] პოეოს A; [3] ჭეშმარიტ C; [4] შეერთება იგი A; [5] ქორწინებისა A; [6] არს A.

[1*] შდრ. II კორ. 12,4; [2*] შდრ. რომ. 7,14; [3*] ფს. 114,9; შდრ. ფს. 26,13; [4*] ინ. 3,6 [5*] I ტიმ. 2,15; [6*] ფს. 112,9.

** ბერძნულში გვაქვს «Μητηρ» (დედა), ხოლო ხელნაწერში – „სული“. ჩანს, ეფთვიმემ შეგნებულად აარიდა თავი ზედმიწევნით თარგმანს, „ქალწული დედა“ მკითხველისათვის, შესაძლოა, გაუგებარი ყოფილიყო.

თავი XIV

1. აწ უკუე ესევითარი იგი ცხორებაჲ პატივცემულ იყავნ ყოველთა მიერ, რომელთაცა აქუს გონებაჲ, რამეთუ უზეშთაეს ძალსა მას სიკუდილისასა არს იგი. რამეთუ ჴორციელი შვილთა-სხმაჲ, – ნუმცა ვის A 332v უცხოდ უჩნს სიტყუაჲ ესე, – არა ცხორებისა, არამედ უფროჲსად სიკუდილისა მიზეზ ექმნების კაცთა.

რამეთუ ხრწნილებასა დასაბამი შობისაგან აქუს, რომლისაგან განშორებულთა მათ ქალწულებისა მიერ გინათუ მონაზონებისა, – მათ თავთა შორის თჳსთა დააყენეს სიკუდილისა იგი სრბაჲ და წაღმართ მათ მიერ სლვად არა უტევეს და ყვნეს თავნი თჳსნი ვითარცა შუაკედელ სიკუდილისა და ცხორებისა, და არა შეუნდვეს სიკუდილსა უმეტესად სრბად მათ მიერ.

და ვინაჲთგან ვერ თანა-წარჰვალს ქალწულებასა სიკუდილი, არამედ მისდამდე მიჳალს და დაიჴსნების, ცხადად გამოჩინებულ არს, ვითარმედ უზეშთაეს ძალსა სიკუდილისასა არს ქალწულებაჲ.

და კეთილად უხრწნელ ეწოდების გუამსა მას, რომელსა არა ემსახუროს განხრწნილისა მის ცხორებისა მსახურებასა, არცა თავს-ედვას, რაჲთამცა მოკუდავისა მის თესლებისა ორღანო იქმნა. რამეთუ ამის მიერ განიკუეთა განხრწნისა და მოკუდომისა იგი შეერთებაჲ.

ამისთჳსცა ადამისითგან ვიდრე დღეთამდე ქალწულისა[1] სიკუდილი არა განიკუეთა,[113] რამეთუ შეუძლებელ იყო უქმობაჲ სიკუდილისაჲ, ვინაჲთგან ქორწინებისა მიერ იქმნებოდა შობაჲ კაცთაჲ, არამედ ყოველთა მათ | პირველთა ნათესაჲთა თანა ვიდოდა და უამითი-უამად ცხორებასა C 122v ამას შემოსრულთა თანა შემოვიდოდა. და საზღვრად ძალისა მისისასა და დამაყენებელად ქალწულებაჲ იპოვა, რომლისა თანაწარსლვაჲ შეუძლებელ არს.

რამეთუ ვითარცა-იგი ღმრთისმშობელსა მარიამს ზედა იქმნა, რომელ „სიკუდილი იგი“, რომელი „ადამისითგან ვიდრე მისდამდე სუფევდა“,[1*] ვინაჲთგან მისდა მოვიდა და ნაყოფსა მას ქალწულებისასა მიემთხჳა, მყის შეიმუსრა. ეგრეთვე ყოველსა სულსა თანა, რომელი ქალწულებით აღასრულებდეს ჴორცთა ამათ შინა ყოფისა ჟამთა ცხორებასა, შეიმუსრვის და დაიჴსნების სიკუდილისა ძალი, რაჟამს არა აქუნ,[2] თუ ვიეთმცა[3] შემშჭუალა[4] თჳსი იგი საწერტელი.[2*]

---

[1] ქალწულისამდე C; [2] აქუნდა A; [3] ვისმცა C; [4] შემსჭუალა A.

[1*] რომ. 5,14; [2*] შდრ. I კორ. 15,55; ოს. 13,14.

რამეთუ ცეცხლიცა, უკუეთუ არა დაერთოს მას ზედა შეშაჲ და ლერწამი და თივაჲ, ანუ სხუაჲ რაიმე აღმატყინებელი მისი, თავით
35 თუსით ვერ აღეგზების.[1] ეგრეთვე | ვერცა სიკუდილისა ძალმან პოვოს A 333r
საქმე განვრცელებად, უკუეთუ არა ქორწინებამან მისცეს მას ნივთი და მოკუდავთა მათ შემოიყვანებდეს სოფლად და მოუმზადებდეს.

2. და უკუეთუ იჭუულ ხარ სიტყუათა ამათთჳს, აღმოიკითხენლა განსაცდელთა იგი სახელნი, რომელნი სიკუდილისა მიერ კაცთა ზედა მოიწევიან, თუ რაჲდენ არიან, ვითარცა დასაბამსავე სიტყჳსასა ვთქუთ, და გულისჴმაყოთ, თუ ვინაჲ არს დასაბამი მათი, ქალწულებისაგან,[2] ანუ თუ ქორწინებისა.[3]
5 ანუ შესაძლებელ არს-ა ქურიობისა გლოვაჲ, ანუ სიობლისაჲ, ანუ შეილთათჳს განსაცდელთა შინა მიმოკუეთებაჲ, არა თუ პირველ შემოვიდეს ქორწინებაჲ, რომელ-იგი მშობელი არს ამის ყოვლისაჲ?

რამეთუ სიხარულნი იგი და მხიარულებანი და გულისთქუმანი და გემონი, რომელნი არიან ქორწინებასა შინა, ამათ ყოველთა სალმობათა
10 თანა მივლენ. რამეთუ ვითარცა ჴრმალი შესახებელად არს გლუ და ბრწყინვალე და წმიდა და ჰამო ნებსა ზედა, ხოლო პირი მისი არს ორღანოჲ სიკუდილისაჲ, საშინელ ხილვად და უსაშინელესი, რომელსა ეცეს, ესევითარი არს ქორწინებაჲცა, ვითარცა კეთილადმოხუეწილი რაჲმე ჩანს შესახებელად და განსასუენებელ საცნობელთა წინაშე ჴორციელთა,
15 არამედ რაჟამს შევიდეს ჴელთა შინა შემახებელისა მისისათა, სალმობათაცა მისლვაჲ შეიყუანის თავისა თჳსისა თანა, რამეთუ გლოვისა[4] და განსაცდელთა მიზეზ არს კაცთათჳს.

3. ამან გამოაჩინნა საწყალობელნი და სავსენი ცრემლითა ხილვანი, ურმანი სიჩჩოებისა ჳამსა მოოჴრებულნი, | დასატაცებელად[5] ძრიელთა C 123r
წინაშემდებარენი, რომელნი მრავალგზის იღიმეოდიან[6] უმეცრებისაგან ბოროტთაჲსა განსაცდელსა მას ზედა. ხოლო სიქურივისა მოქმედი
5 რაჲ არს სხუაჲ?[7] არა ქორწინებაჲ?[8] ამისთჳს განშორებაჲ მისი ამათ ყოველთა უცნაურად მომავალთა ბოროტთა განმაქარებელ[9] არს.

და არა უცხო არს საქმე ესე. რამეთუ სადა დაიჴსნას პირველითგან[10] შეცოდებულთა ზედა დადებული იგი[11] საშჯელი[12] და არღარა მწუხარებაჲ დედათაჲ, სიტყჳსაებრ წერილისა,[1*] განმრავლდებოდის და
10 არცა უძლოდის მწუხარებაჲ შობასა კაცთასა? საცნაურ არს, ვითარმედ მის[13] თანა დაიჴსნას განსაცდელიცა იგი სოფლისაჲ და აღიჴოცოს A 333v

---

[1] აღიგზების A; [2] ქალწულებისაგან] – A; [3] ქორწინებისაგან A; [4] გლოისა A; [5] მი-მოდასატაცებელად C; [6] ღიმოეოდიან A; [7] სხუაჲ] + და A; [8] ქორწინებაჲა A; [9] განმაქარებელი A; [10] პირველითგან C; [11] იგი] – A; [12] სასჯელი A; [13] მათ A.

[1*] შდრ. შესაქ. 3,16.

ცრემლი თუალთაგან, ვითარცა იტყჳს წინაჲსწარმეტყუელი,[1]* რაჟამს არღარა იყოს „უშჯულოებით მიდგომაჲ, არცა ცოდვასა შინა შობაჲ“,[2]* არცა სისხლთაგან, არცა ნებითა ჴორცთაჲთა, არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისაგან იქმნებოდის შობაჲ.[3]*

ხოლო ესე მაშინ იქმნების, რაჟამს კაცმან მუცლად-იღოს ცხოველსა მას ადგილსა გულისა თჳსისასა უხრწნელებაჲ იგი სულისაჲ და შვეს „სიბრძნე და სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნაჲ“,[4*[114]] რამეთუ შემძლებელ არს ყოველსა, რომელსაცა ენებოს, დედად ყოფად მისა,[1] რომელი-იგი არს სიბრძნე ღმრთისაჲ, სიმართლე და სიწმიდე და გამოჴსნაჲ, ვითარცა თავადი უფალი იტყჳს, ვითარმედ: „რომელი იქმოდის ნებასა ჩემსა, იგი არს ძმაჲ ჩემი და დაჲ და დედაჲ“,[5]* და რაჲღამცა უკუე ადგილი პოა[2] სიკუდილმან ესეეითართა ნაშობთა თანა?

4. ჭეშმარიტად, „მათ შორის დაინთქა სიკუდილი ძლევითა ცხორებისა მიერ“.[6]* და ესრეთ ეჰგონებ, თუ ხატ არს „საუკუნოჲსა მის ცხორებისა“[7]* და ნეტარებისა ქალწულებისა და მონაზონებისა მოქალაქობაჲ.

რამეთუ მრავალნი ჰქონან თავსა შორის თჳსსა სახენი წინამდებარეთა[8]* მათ სასოებითა[3] კეთილთანი და უკუეთუ ვინმე გამოიძიოს, პოოს[4] ჭეშმარიტებაჲ სიტყუათა ჩემთაჲ ესრეთ:

პირველად, რამეთუ რაჟამს „მოკუდეს ცოდვისაგან კაცი, ცხოველ არს ღმრთისა“[9]* და არღარა გამოიღებს „ნაყოფსა სიკუდილისასა“,[10]* რომელი-იგი განშორებულ იყოს ქორწინებისაგან და სოფლისა და შეიმოსოს სახჱ[5] იგი მოღუაწებისაჲ მოღუაწეთაჲ და რაჲზომცა მისსა ძალსა ეტეოდის, ექმნას აღსასრული ჴორციელისა ცხორებისაჲ, და მოელინ მიერითგან „გამოჩინებასა დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“[11]* | და არცა ერთსაღა[6] იქმნ შუაკედლობასა C 123v შორის თჳსსა და ქრისტეს მოსლვისა, შორის შემომავალთა მიერ მისგან ქორწინებითა ნათესავთა. და მერმე ამას ზედა უმეტესი იგი ყოველთა[7] აღდგომასა მას გამოჩინებადთა მათ კეთილთაჲ ამასვე ცხორებასა მოიგის.

რამეთუ ვინაჲთგან ანგელოზთა მსგავსყოფად არს მაშინ ცხორებაჲ მართალთაჲ, აღთქუმისაებრ უფლისა,[12]* ხოლო ანგელოზებრივისა ბუნებ-

---

[1] მისსა A; [2] პოვა A; [3] სასოებით A; [4] პოეოს A; [5] სახე A; [6] ერთისაღა A; [7] ყოველთა] + მათ A.

[1]* შდრ. ეს. 25,8; [2]* შდრ. ფს. 50,7; [3]* შდრ. ინ. 1,13; [4]* I კორ. 1,30; [5]* მთ. 12,50. მკ. 3,35; [6]* II კორ. 5,4; [7]* ეფ. 1,21; [8]* შდრ. კოლ. 1,5; [9]* რომ. 6,10; [10]* რომ. 7,5; [11]* ტიტე 2,13; [12]* შდრ. ლკ. 20,36.

ისა ერთი საქმე არს ქორწინებისაგან და ზრუნჳათაგან ამაოთა უცხოე- A 334r
ბაჲ და გულისთქუმათაგან ჴორციელთა, და ესევე აქუს ჭეშმარიტისა
მონაზონებისა აღმასრულებელთა და ამით ჯერითა მოუღებიეს სადმე
კეთილი იგი საქმე აღდგომისაჲ, შეერთებული „ბრწყინვალებასა წმი-
დათასა“,[1*] და შეუგინებელობითა და უზრუნველობითა ცხორებისა მი-
სისაჲთა სიწმიდესა უჴორცოთასა მიმსგავსებული, — და ვინაჲთგან
ესევითართა საქმეთა მომატყუებელ არიან ქალწულებაჲ და მონაზონებაჲ,
რომელმან-მე სიტყუამან ღირსებით აქოს მადლი იგი? ანუ რაჲ იპოოს[1]
სხუაჲ საქმე ესრეთ დიდ და პატიოსან, რაჲთამცა დიდებულებასა მისსა
თანა-შეესწორა?

[1] პოვოს A.

[1*] ფს. 109,3.

თავი XV

1. გარნა უკუეთუ გულისჴმა-გიყოფიეს სიმაღლე მადლისაჲ მის, ამისიცა ჯერ-არს გულისჴმისყოფაჲ, ვითარმედ: სათნოებაჲ იგი ქალწულებისაჲ არა ლიტონი[1] და მარტივი საქმე არს,[2] არცა ჴორცთამდე ოდენ დადგრომილი, არამედ ყოველთა ზედა მოვალს[1*] და მიიწევის, რავდენნიცა სათნოებანი არიან სულისანი.

რამეთუ რომელი განშორებულ იყოს სოფლისაგან და ჭეშმარიტისა მის სიძისადა შემშჭუალულ[3] იყოს ქალწულებისა მიერ, მან არათუ ჴორციელთა ოდენ ბილწებათაგან განაშოროს თავი თჳსი, არამედ ამიერ იწყოს სიწმიდესა და ყოველსავე ზედა ეგრეთვე სიწმიდით ვლოს, და ეშინოდის, ნუუკუე სადმე გული მისი მიდრკეს ბოროტისა ზიარებად და შეიწყნაროს ვნებაჲ მრუშებისაჲ მის მიერ.

ხოლო სიტყუაჲ ესე ჩემი ესევითარი არს, რამეთუ კუალად მოვაქციო იგი: რამეთუ უფლისადა შემშჭუალული[4] სული, რომელსა ენებოს, რაჲთა იქმნას მის თანა ერთსულ[2*] და ექმნას აღთქუმაჲ, რაჲთა იგი მხოლოჲ „უყუარდეს ყოვლითა გულითა და ძალითა“,[3*] ესევითარი იგი არცა სიძეჲსა შეეყოს,[4*] რაჲთა არა იქმნას მის თანა ერთჴორც, არცა სხუაჲ რაჲ წინააღმდგომთაგანი ცხორებისათაჲ შეიწყნაროს.

რამეთუ ზიარი შეგინებაჲ არს ყოველთა შორის ენებათა და უკუეთუ ერთისა რაჲსაგანმე შეიგინოს, ვერღარა ჴელ-ეწიფების | უბიწოჲსა მის C 124r სამოსლისა მისისა ქონებად.

2. ხოლო კეთილ არს იგავითცა გამოსახეაჲ სიტყჳსაჲ[5] ამის: რამეთუ ვითარცა ტბასა შინა მყოფი წყალი, ვიდრემდის არარაჲ არს მისდა შთავრდომილ, დაწყნარებულ და წმიდა იყვის, ხოლო უკუეთუ შთავარდის ქვაჲ, დაიკჳსნის ტბაჲ იგი და დაწყნარებულებაჲ მისი, რამეთუ ქვაჲ იგი განჰკუეთ | წყალსა მას და სიღრმედ შთავალნ, ხოლო იქმნის A 334v მისგან ღელვაჲ და აღდგებოდიან წყალნი წყალთა ზედა და განვიდის ღელვაჲ იგი საშოვალისაგან კიდემდე და აღივსის ტბაჲ იგი ღელვითა, ეგრეთვე დაწყნარებაჲ და მყუდროებაჲ სულისაჲ აღშფოთნის ყოველითურთ, რაჟამს ერთი რაჲმე ვნებაჲ შთავარდის მას შინა და აღამრღუს იგი.

ლიტონი] + არს A; [2] საქმე] – არს A; [3] შემსჭუალულ A; [4] შემსჭუალული A; [5] სიტყუსა A.

[1*] შდრ. სიბრძ. 7,24; [2*] შდრ. I კორ. 6,17; [3*] II შჯ. 6,5; [4*] შდრ. I კორ. 6,16.

და ამასცა იტყჳან ჭეშმარიტად სათნოებისა მეცნიერნი,[113] ვითარმედ: შეუძლებელ არს, თუმცა ერთი ვინ სათნოებაჲ ჯეროვნად და კეთილად მოიგო და არამცა სხუანიცა მოვიდეს მის თანა, არამედ რომლისა თანა ერთიცა სათნოებაჲ დაემკჳდროს, მის თანა სხუანიცა შეუდგენ უეჭუელად.

15 აწ უკუე წინააღმდგომსაცა ზედა ესრეთვე არს, რამეთუ რომელსაცა ძალსა სულისა ჩუენისასა ეენოს, ყოველივე მას შეუდგეს.

და ჭეშმარიტად, ვითარცა იტყჳს მოციქული,[1*] ერთსა მას ასოსა ყოველნი ეზიარებიან. და თუ ევნებინ ერთსა ასოსა, მის თანა ელმინ ყოველსავე, და თუ იდიდებინ ერთი, ყოველიე[1] იხარებნ მის თანა.

[1] ყ˜ნივე] – A.

[1*] შდრ. I კორ. 12,26.

თავი XVI

1. გარნა ბევრეულნი არიან ცხორებასა ამას შინა ცოდვისა მიმართ მიდრეკანი და მრავალსახედ მოასწავებენ წერილნი სიმრავლესა მათსა.

რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „მრავალ არიან მდევარნი ჩემნი და მაჭირვებელნი ჩემნი“,[1*] და „მრავალ არიან, რომელნი მბრძოდეს მე მაღლით“[2*] და სხუაჲ ესეცითარი მრავალი.

ხოლო ამისიცა უფროჲსად კეთილ არს თქუმად, ვითარმედ: მრავალნი არიან მრუშებისა მზრახველნი, რომელნი ისწრაფიან განხრწნად „ჭეშმარიტად პატიოსნისა მის ქორწილისა და შეუგინებელისა მის საწოლისა“.[3*] და უკუეთუ გნებავს, სახელად-სახელად აღვრაცხნეთ მემრუშენი ესე:

რამეთუ მემრუშე არს რისხვაჲ, მემრუშე არს ანგაჰრებაჲ, მემრუშე არს შური, ძჳრისჴსენებაჲ, მტერობაჲ, სიძულილი და ყოველნი იგი, რომელთა აღრაცხავს მოციქული, ვითარცა „წინააღმდგომნი ღმრთისმსახურებისანი“,[4*] მემრუშეთა ბანაკნი არიან.

ხოლო გულისჴმა-ყავთ, ვითარმცა იყო დედაკაცი ვინმე შუენიერი და საწადელი და ამისთჳს შეირთომცა იგი მეფემან ვინმე ქორწინებად და შუენიერებისა მისისათჳს ბილწი ვინმე კაცნი ზრახვიდეს მისა[1] მიმართ ბოროტისათჳს, ხოლო იგი, ვიდრემდის ყოველთა მათ განმხრწნელთა მიმართ მტერობით იყოს და შეასმენდეს მათ შჯულიერისა მის ქმრისა მიმართ, | არს წმიდა და პატიოსან და არა აქუს მის ზედა ადგილი A 335r ცთომასა მას მათ მეძავთასა, უკუეთუ კულა ერთი ვინმე მემრუშეთა მათგან შეიწყნაროს მისსა ზიარებად, ვერღარა იჳსნას იგი ტანჯვისაგან | სხუათა მათგან კრძალვამან, რამეთუ კმა არს დასაშჯელად[2], C 124v უკუეთუ ერთისა მისგან[3] შეიგინოს საწოლი იგი. ეგრეთვე თანა-აც, რომელი ღმრთისა ცხოველ იყოს სული, რაჲთა არავის ბოროტთა და განმრყუნელთა მისთაგანსა ეზიაროს. უკუეთუ კულა შეიწყნაროს ენებისა ერთისა მიერ შეგინებაჲ გულად, დაუჴსნიეს მასცა სულიერისა მის ქორწინებისა სამართალი. და, ვითარცა წერილი[5*] იტყჳს: „სულსა შინა უკეთურსა არა დაიმკჳდროს სიბრძნემან“.

ეგრეთ[4] არს ჭეშმარიტად და სულსა შინა მრისხანესა, ანუ მოშურნე-

---

[1] მისსა A; [2] დასასჯელად A; [3] მის მიერ A; [4] და ესე ესრეთ C; „თავდაპირველად აქაც გეჭონდა „ეგრეთ“, გეიანდელ რედაქტორს „ეგ-“ გადაუშლია და თავზე დაუმატებია „და ესე ესრ..“ თუმცა ორიგინალი თავდაპირველ წაკითხვას თანხვდება“.

[1*] ფს. 118,157; [2*] ფს. 55,3; [3*] ებრ. 13,4; [4*] 1 ტიმ. 1,10; [5*] სიბრძ. 1,4.

სა, ანუ სხჳსა რაჲსმე ესევითარისა მიერ წარტყუენულსა შეუძლებელ არს სახიერისა მის სიძისა დამკჳდრებად.

2. რამეთუ რომელმან ღონემან შეაერთოს ერთად ბუნებით უცხოჲ იგი და უზიარებელი?

ისმინე მოციქულისაჲ,[1]* ვითარ იტყჳს, ვითარმედ: „არცა ერთი ზიარებაჲ არს ბნელისაჲ ნათელისა[1] თანა, ანუ სიმართლისაჲ უშჯულოებასა თანა“, ანუ რაჲთა მოკლედ ვთქუა – ყოველივე, რაჲცა არს უფალი, კეთილთა თანა შეერთებული,[2] არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ.[116] და ვინაჲთგან შეუძლებელ არს ბუნებით შეუზავებელთა ზიარებაჲ, შეუძლებელ არს სადმე სახიერსა მას თანა შეერთებად ბოროტსა რასმე თანაზიარი სული.

ამას უკუე ვისწავებთ ამის ყოვლისაგან, ვითარმედ: თანა-აც ყოველსა სულსა ჯეროვნად ქალწულსა, რაჲთა ყოვლისაგანვე ენებისა, რომელი განმრყუნელ იყოს მისისა სიწმიდისა, განეშოროს და დაიცვას თავი თჳსი წმიდად შჯულიერად შემრთველისა მისისა ქრისტესთჳს,[117] უკუდავისა მის სიძისა, რაჲთა „არა აქუნდეს ბიწი რაჲმე, ანუ ნაოჭი ცოდვისაჲ“.[2]*

რამეთუ ერთი არს წრფელი იგი გზაჲ, რომელი ჭეშმარიტად იწრო[3]* არს და საჭირო, და ორკერძოვე მიქცევათა[118] არა შეიწყნარებს და მცირედცა მისგან მიდრეკასა სწორი აქუს დაცემისა ღელვაჲ.

---

[1] ნათლისა A; [2] რაჲცა... შეერთებული] რომელიცა არს უფლისა, კეთილთა თანა შეერთებულ C.

[1]* II კორ. 6,14; [2]* ეფ. 5,27; [3]* შდრ. მთ. 7,14.

თავი XVII

1. და ვინაჲთგან ესე ესრეთ არს, ამისთჳს ჯერ-არს ყოველთაგან
ბოროტთა | შორსყოფაჲ, რამეთუ რომელნიმე ბილწთა გულისთქუმათა A 335v
ძლიერად წინა-აღუდგებიან, ხოლო აღასრულებენ გულისთქუმასა მათსა
პატივისმოყუარებასა[1] ზედა და დიდებისა კაცთაჲსა ძიებასა, ანუ სხუ-
ათა ვნებათა შინა, და მსგავსსა იქმან მონისასა, რომელსა ჰნებავნ და
სურინ აზნაურებისათჳს და არა ისწრაფინ განრომად მონებისა მისგან,
არამედ იცვალებნ უფალთა და ჰგონებნ, თუ ცვალებაჲ უფალთაჲ არს
აზნაურებაჲ, და არა გულისჴმა-ჰყოფნ,[2] ვითარმედ მონებასაცე შინა არს,
დაღაცათუ სხუათა და სხუათა უფალთა | დაემონებოდის, გარნა ეიდრემ- C 125r
დის იყოს ვინ მძლავრებით მის ზედა უფალ, არა აჴუს მას[3] აზნაურებაჲ.

ხოლო არიან სხუანი, რომელნი მრავლითა მით გულისთქუმათა მიმართ ბრძოლითა არა იძლინეს და[4] წინააღმდგომისა მის ვნებისაგან ძლეულ იქმნნეს,[5] და სიფიცხესა მას შინა მოღუაწებისასა მწუხარებისა მიერ და მრისხანებისა და ძჯრისჴსენებისა და სხუათა ყოველთა ვნებათაგან, რომელნი ვნებისა მის[6] გულისთქუმათაჲსა წინააღმდგომ არიან, მათ მიერ ადვილად ძლეულ-იქმნნეს.[7] ხოლო ესე იქმნების, რაჟამს სარბიელსა მას ცხორებისა მათისასა არა წესი იგი სათნოებისაჲ და გულისსიტყუაჲ ღმრთისმოშიშებისაჲ, არამედ ვნებაჲ რაჲმე წინამძღუარ იყოს.

2. რამეთუ მცნებანი ღმრთისანი ფრიად ბრწყინვალე არიან, ეითარცა წერილი იტყჳს, და „განანათლებენ თუალთა“[1*] და უჩუენებენ, ვითარმედ „მხოლოჲსა ღმრთისა შეერთებაჲ არს კეთილ“.[2*] ხოლო ღმერთი არცა მწუხარებაჲ არს, არცა გულისთქუმაჲ ჴორცთაჲ, არცა მოშიშებაჲ, არცა სიფიცხჱ,[8] არცა მრისხანებაჲ, ანუ სხუაჲ რაჲმე ვნებაჲ, რომელნი უსწავლელთა სულთა ეუფლებიან, არამედ, ეითარცა მოციქული იტყჳს, არს იგი თჳსიბრძნე და სიწმიდე,[3*] და[9] ჭეშმარიტება, სიხარულ, მშუდობა[4*] და ყოველიეე,[10] რავდენი არს მსგავსი ამათი.

ეითარ უკუე შესაძლებელ არს, რაჲთამცა ესევითარსა მას შეერთო წინააღმდგომთა მათ საქმეთა მიერ უფლებული? ანუ ეითარ არა პირუ-

---

[1] პარჳსმოყუარებასა A (სწორი ფორმაა C-ში წარმოდგენილი „პატივისმოყუარებასა“. ასეევე ბერძნულში); [2] ჰყოფენ A; [3] მას] – A; [4] არა იძლინეს და] ძლეულ იქმნეს A; [5] ძლეულ იქმნეს] – A; [6] მისგან A; [7] ძლეულ იქმნნეს] იძლევიან A; [8] სიფიცხე A; [9] და] – A; [10] ყოველი A.

[1*] ფს. 18,9; შდრ. ფს. 18,8; 118,130; [2*] ფს. 72,28; [3*] შდრ. I კორ. 1,30; [4*] შდრ. რომ. 14,17; გალ. 5,22.

ტყუება[1] არს, უკუეთუ ვინ ისწრაფდეს ბრძოლად ერთისა ვნებისა რომლისამე, რაჲთა არა უფლებულ იქმნას მის მიერ, და წინააღმდგომი მისი ვნებაჲ სათნოებად შეჰრაცხოს[2] და ივლტოდის[3] რაჲ გულისთქუმისაგან, მწუხარებისა მიერ შეპყრობილ იქმნას,[4] ანუ სიფიცხისაგან ისწრაფდეს A 336r
განშორებად და სიცხარესა (sic) და მოშიშობასა შთავარდეს?

რამეთუ რაჲ განყოფილებაჲ[5] არს გინათუ ესრეთ, გინათუ ეგრეთ სათნოებისაგან დაცემად და, უფროჲსად, თავადისა ღმრთისაგან განვრდომად, რომელი-იგი არს სრულიადი სათნოებაჲ? რამეთუ ჴორციელთაცა სენთათჳს არავინ თქუას, თუ განყოფილებაჲ რაჲმე აქუს, გინათუ უზომოჲსა შიმშილისა და წყურილისაგან მოკუდომად, ანუთუ გარდამატებულისა ჭამისა და მთრვალობისაგან.

და ამისთჳს, რომელი საშუალსა[6] ცხორებასა და სიმართლესა ეძიებდეს, ულირს საშუალსა[7] მას ზედა უვნებლობისასა დამარხვად თავი თჳსი[119] და იყოს მიუახლებელ და შეუზავებელ ორკერძოთავე ვიდრე წინააღმდგომთა სათნოებისათა.

არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, არამედ თავადისა უფლისაჲ არს ბრძანებაჲ და ისმინეთ მისი, | ვითარ ასწავლიდა თჳსთა მოწაფეთა, რაჟამს C 125v
ვითარცა კრაჲნი შორის მგელთა იქცეოდინ,[1*] არა ტრედ ოდენ იყუნენ, არამედ გუელისაჲცა რაჲმე აქუნდეს. ხოლო ესე იგი არს, რაჲთა არა ოდენ სიმარტივესა და სიწრფოებასა შეუდგენ, რამეთუ ესევითარი წესი უგულისჴმოებასა მიეახლების, და არცა კუალად მრავალღონეობაჲ ოდენ[8] და სიმახჳლე, რომელი მრავალთა მიერ საქებელ არს, შეერაცხოს[9] სათნოებად შეუზავებელად წინააღმდგომისა მისგან, არამედ რაჲთა ორთა მათგან წინააღმდგომთა ერთი შეზავებული სათნოებისა წესიერებაჲ ქმნან და დაუტეონ ტრედისაცა უგულისჴმოებაჲ და გუელისაცა ბოროტსა ზედა სიბრძნე, და მოიღონ მისგანცა და ამისგანცა, რაჲთა ორისა მისგან ერთი სათნოებაჲ ქმნან, შეზავებული სიწრფოებითა და გულისჴმისყოფითა. ამისთჳს იტყჳს, ვითარმედ: „იყჳენით ბრძენ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“.[2*]

---

[1] პრუტყუებაჲ A; [2] შეერაცხოს A; [3] ილტოდის A; [4] იყოს A; [5] განყოფილობაჲ A; [6] საშოვალსა A; [7] შაშოვალსა A; [8] ოდენ] – A; [9] შეერაცხოს] + ოდენ A.

[1*] ლკ. 10,3; მთ. 10,16; [2*] მთ. 10,16.

თავი XVIII

1. აწ უკუე ბრძანებაჲ იგი უფლისაჲ ეყოთ წესად ცხორებისა ჩუენისა და უფროჲსად, რომელნი ქალწულებისა და მონაზონებისა მიერ ღმერთსა შეეწყნარებიან. რამეთუ არა ერთისა სათნოებისა მიმართ ოდენ ხედვიდენ და სხუანი შეურაცხ-ყვნენ, არამედ ყოველითკერძო კეთილსა მას მოიპოებდენ თავისა თჳსისა, რაჲთა ესრეთ უშიშ იყვნენ ცხორებასა ამას. რამეთუ არცა ბრძენმან | მჴედარმან ერთი რაიმე ასოჲ შეიჭურის A 336v საჭურველითა და სხუაჲ ყოველი გუამი შიშველ არნ და ესრეთ შეევიდის ბრძოლად, რამეთუ რასა ერგოს მას ერთისა მის ასოჲსა შეჭურვაჲ, უკუეთუ შიშველსა მას გუამსა მიიღოს სასიკუდინე წყლულებაჲ? ანუ ვინ უწოდოს მას შუენიერ, რომლისა განმაშუენებელი რაიმე ასოჲ დაკუეთილ იყოს? რამეთუ ნაკლულევანისა მის სირცხჳლი მრთელისა მისცა სიკეთესა განჰრყუნის.

და უკუეთუ, სიტყჳსაებრ სახარებისა,[1*] საკიცხელ არს, რომელმან იწყოს აღშენებად გოდლისა და დადვას მოსწრაფებაჲ თჳსი საფუძველსა ზედა, ხოლო აღსასრულისაჲ არღარა იზრუნოს. ანუ[1] რასა გულისჴმა-ვჰყოფთ ჩუენ სხუასა ამის იგავისაგან? გარნა ამას, რაჲთა ვისწრაფოთ აღსრულებად მოქალაქობასა მას სათნოებათასა თითოფერითა მით მცნებათა აღსრულებითა. რამეთუ ვერცა ერთი ქვაჲ სრულ-ჰყოფს ყოვლისავე გოდლისა შენებასა, ვერცა ერთი მცნებაჲ საძიებელისა მის სისრულისა მიმართ მიიყვანებს სულსა, არამედ საფუძველისაცა ჯერარს უეჭუელად დადებაჲ და, ვითარცა მოციქული იტყჳს,[2*] „ოქროჲსა მიერ და ქვათა პატიოსანთა აღსრულებად ნაშენებისა მის.“

რამეთუ ესრეთ ეწოდების საქმესა მცნებათასა სიტყჳსა მისებრ წინაჲსწარმეტყუელისა,[3*] რომელი იტყჳს, ვითარმედ: „შევიყუარენ მცნებანი შენნი უფროჲს ოქროჲსა და ანთრაკისა | პატიოსნისა მრავლისა“. C 126r

იყავნ უკუე საფუძველად სათნოებისა ქალწულებაჲ და განშორებაჲ სოფლით, ხოლო ეშენებოდენ საფუძველსა მას ზედა ყოველივე საქმე სათნოებისაჲ, რამეთუ დაღაცათუ საფუძველი იგი წმიდა და პატიოსან არს, არამედ უკუეთუ ყოველივე ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ კაცისაჲ არა მას ეწამებოდის, არამედ შეიგინებოდის სხჳთა მით უწესოებითა სულისაჲთა, ესე არს „საყური იგი ოქროჲსაჲ ყურსა ეშუასა“[4*] ანუ მარგალიტი ფერჴთა შინა ღორთასა, დათრგუნეილი მათ მიერ.[5*]

---

[1] ანუ] – A.

[1*] ლკ. 14,28-30; [2*] I კორ. 3,12; [3*] ფს. 118,127; უს. 18,11; [4*] იგავთა 11,22; [5*] მთ. 7,6.

2. რამეთუ ვითარცა სახლისა უფალმან დიდებულმან არა თავსიდვას უშუერად და ხენეშად ხედვად სახლისა თჳსისა, რაჲთამცა იყო ტაბლაჲ მისი სავსე სკორითა და პატიოსანნი ჭურჭელნი[1]* მისნი — მწკრივითა | სავსეთა ადგილთა დაგდებულად, და რაოდენნიცა უპატიოჲსა A 337r საქმისა ჭურჭელნი იყვნიან, შესავალსა ზედა მდებარედ სახილველად შემავალთა, არამედ ყოვლითავე შუენიერად და კეთილად განაწესის და თითოეული[1] თჳსსა ადგილსა დააწყჳის და ესრეთ უშიშად შეიწყნარებენ შემავალთა, რამეთუ არა ეშინინ სირცხჳლისაგან, უკუეთუ გამოცხადნეს განგებაჲ სახლისა მისისაჲ.

ესრეთვე თანა-აც ჩუენისაცა სამკჳდრებელისა[2]* სახლისა-უფალსა და[2] განმგონებელსა,**[120] გონებასა ვიტყჳ, — რაჲთა ყოველსავე კეთილად განაგებდეს თითოეულსა[3] ძალსა სულისასა, რომელნი-იგი ორღანოდ და ჭურჭლად დაჰბადნა ჩუენ შორის ღმერთმან, რაჲთა ყოველსავე კეთილისა მიმართ იქმარებდეს. და უკუეთუ არავინ[4] ცუდად შეჰრაცხოს სიტყჳაჲ ჩუენი, ვთქუათ თითოეულისათჳს, თუ ვითარ ვინ იქმაროს უმჯობესისა მიმართ.

3.[121] ვიტყჳთ უკუე ესრეთ, ვითარმედ უჴმს გონებასა, რაჲთა გულისთქუმაჲ სიწმიდესა შინა სულისასა დასუას და აქუნდეს იგი, ვითარცა შესაწირავი რაჲმე და დასაბამი თჳსთა კეთილთაჲ გამორჩეულად, და განათჳსოს იგი ღმრთისა მიმართ და ესრეთ დაიცვას წმიდად და შეუხებელად და არასადა ბილწებათა შინა ამის სოფლისათა შეაგინებდეს მას.

ხოლო გულისწყრომაჲ და რისხვაჲ და სიძულილი — რაჲთა ჰყვენ ვითარცა ძაღლნი მეკარედ, რაჲთა ცოდვისა წინადადგომად ოდენ მღუძარე იყვნენ და „მპარავსა“ მას და მბრძოლსა ზედა აღიძრვოდინ, რომელი-იგი საღმრთოჲსა მის საუნჯისა განრყუნად შევიდოდის ამისთჳს, რაჲთა „მოიპაროს და დაკლას და წარწყმიდოს“.[3]*

ხოლო სიმჴნე და ახოვნებაჲ, უჴმს, რაჲთა საჭურველისა წილ ჴელთა აქუნდენ[5] და არასადა შეშინდეს შიშისაგან მტერისა, არცა „აღძრვისაგან ულმრთოთაჲსა ზედამომავალისა,“[4]* და სასოებაჲ და მოთმინებაჲ კუერთხისა წილ იქმარნის[6] განსუენებად მათ მიერ, ოდეს-სადა განსაცდელთაგან დაშურეს.

---

[1] თითოეული A; [2] ბერძნულის მიხედვით „და“ კავშირი აუცილებელია (შდრ. διϰοδεσπότην ϰαὶ οἰϰονόμον, τὸν νοῦν λεγω), რაც თითქოს იკითხება C ნუსხაშიც (შესაბამისი ადგილი მნიშვნელოვანწილად გადასულია); [3] თითოეულისა A; [4] ვინ არა A; [5] აქუნდეს A; [6] იქმაროს A.

[1]* შდრ. II ტიმ. 2,20-21; [2]* შდრ. II პეტრე 1,13-14; [3]* ინ. 10,10; [4]* იგ. 3,25;

** როგორც A-ში, ასევე C-ში გვაქვს „განმგონებელი“, თუმცა ბერძნულ ტექსტში გვაქვს „განმგებელი“ (οἰϰονόμος).

| ხოლო მწუხარებისა იგი მონაგები ჟამსა სინანულისასა[1*] ცოდვისა C 126v
რაჲსათჳსმე, უკუეთუ მოიწიოს, იჴმაროს, რამეთუ სხუაჲ (sic) არასადა
საჴმარს არს იგი ამის ადგილისაგან კიდე.
| ხოლო სიმართლე იყოს მისდა საზომად კეთილად[2*] და უთხრობ- A 337v
დეს ყოველსა შინა უცთომელობასა სიტყუასა ზედა და საქმესა, თუ
ვითარ ჯერ-არს ყოფაჲ სულისაჲ და ვითარ განაგნეს ძალნი მისნი.
და უმეტესობისა მიმართ სურვილი, რომელ-იგი ფრიად არს თი-
თოეულისა სულსა შინა, იგი საღმრთოსაცე გულისთქუმასა ზედა დად-
ვას და სანატრელ იყოს, რაჟამს ანგაჰრ მას ზედა იყოს, სადა ქებულ
არს ანგაჰრებაჲ.[3*]
ხოლო სიბრძნე და მეცნიერებაჲ ჰყვენ განმზრახად კეთილისა და
თანაგანმგედ[4*] ცხორებისა მისისა, რაჲთა არასადა შესცთეს უსწავ-
ლელობისაგან, გინა უგუნურებისა.
უკუეთუ კულა არა ჯეროვნად, და ვითარცა ღმერთსა დაუბადებიეს
ბუნებასა შინა, იჴმარებდეს თქუმულთა მათ ძალთა, არამედ შეცვალნეს
იგინი ბუნებისაგან და გულისთქუმაჲ თჳსი დადვას ბილწებათათჳს და
სიძულილსა იჴმარებდეს ძმათა მიმართ და „უჟუარდეს უსამართლოე-
ბაჲ“[5*] და მჴნე იყოს ბოროტსა ზედა და სასოებაჲ აქუნდეს ამაოებასა
ზედა და სიბრძნესა და მეცნიერებასა სდევნიდეს თავისა თჳსისაგან[6*]
და ნაყროვნებასა და უგუნურებასა შეემოყუსოს და სხუათა ყოველთა
ძალთა სულისათა ესრეთ განაგებდეს, ესევითარი იგი ბოროტ არს და
უკეთურ, რომელ არცა თუ ვინ შემძლებელ არს მისისა ბოროტისა
ღირსად თქუმად.
რამეთუ ვითარცა უკუეთუ ვინ უმეცრად შეიჭურვოდის და მოიქციოს
ჩაფხუტი, რაჲთა უკუანაკერძოჲ იყოს პირითკერძო და დაუბნელებდეს
თუალთა, და პირისაკერძი იყოს ქედსა ზედა და ჯაჭუ შეიცუას ფერჴთა
და დეზნი მოიბნეს მკერდსა, და რაჲდენი მარცხენისაჲ იყოს, მარჯუენე-
სა[1] აღიღოს და მარჯუენისა საჭურველი მარცხენესა მიანდოს, და რაჲ-
იგი მოიწიოს ბრძოლასა შინა ესევითარსა მას აღჭურვილსა ზედა,
იგივე მოიწიოს მას ზედა, რომელი ესრეთ შეცვალებულად და ბორო-
ტად იჴმარებდეს ძალსა სულისასა.
| 4. ამისთჳს უკუე თანა-გუაც, რაჲთა ვიზრუნოთ წესიერად განგებაჲ C 127r
მათ ძალთაჲ, რომელსა ჭეშმარიტი მონაზონებაჲ და სიწმიდე მოგუატყუებს
.ჩუენ. რამეთუ „ჭეშმარიტად სიწმიდედ“ ითქუმის | ყოველთავე აღძრვათა A 338r
სულისათა სიწმიდით და სიბრძნით განგებაჲ, და ესევითარსა მას განგე-

[1] მარჯუენასა C.

[1*] შდრ. II. კორ. 7,10. [2*] ფს. 44,7-8; [3*] შდრ. მთ. 11,12; ლკ. 16,16; [4*] შდრ. სიბრძ. 8,9; [5*] ფს. 10,5; [6*] შდრ. სიბრძ. 8,9.

ბასა სულისასა არღარა ეჴმაროს შრომაჲ და ჭირი ზეცისა საქმეთა მოგებად, არამედ ადვილად წარჰმართოს ძნელადშერაცხილი იგი,[122] რაჟამს ბუნებით განშორებითა მით ბოროტებისაჲთა აქუნდეს საძიებელი იგი.

რამეთუ რომელი გარეგან ბნელისა იყოს, ნათელსა შინა ყოფად არს უეჭუელად; და რომელი არა მომკუდარ იყოს, შეუძლებელ არს, თუმცა არა ცოცხალ იყო. ეგრეთვე, რომელმან „არა ამაოებასა ზედა აღიღოს სული თჳსი“,[1*] იყოს იგი ჭეშმარიტებისა გზასა ზედა, რამეთუ ვითარცა განრომაჲ ცთომილებისაგან არს დადგრომაჲ[1] გზასა მას ზედა წრფელსა და ვითარცა განთავისუფლებულნი მონებისაგან, რაჟამს განერნენ სხუათა უფლებასა შინა. ყოფისაგან, მერმეღა იწყებენ თავთა თჳსთათჳს მოსწრაფებად,[2] ეგრეთვე, რაჟამს სული განთავისუფლდეს ჴორცთა მონებისაგან და ცთომისა, მაშინ იცნას ბუნებითი იგი საქმე თჳსი. ხოლო აზნაურებაჲ ესე არს, ვითარცა მოციქულისაგან გჳსწავიეს, „რაჲთა არა ვიყვნეთ უღელსა ქუეშე მონებისასა“,[2*] არცა ვითარცა მონანი შევიკრვოდით საკრველსა მას ქუეშე ქორწინებისასა.

5. გარნა არა იქმნების ამით ოდენ სრულებაჲ აზნაურებისაჲ. ნუმცა ვინ ესრეთ სუბუქად ჰგონებს მონაზონებისა და ქალწულებისა საქმესა, რაჲთამცა მცირედითა ოდენ ჴორცთა კრძალვითა წარჰმართა ვინ ესევითარი საქმე, არამედ ვინაჲთგან „ყოველი, რომელი იქმოდის ცოდვასა, მონაჲ არს ცოდვისაჲ,“[3*] ამისთჳს საცნაურ არს, ვითარმედ ყოველსავე საქმესა ზედა ბოროტისა მიმართ მიდრეკაჲ დაიმონებს კაცსა და წყლულებასა ცოდვათასა დასდებს მას ზედა. და ამისთჳს, რომელი დიდსა მას საქმესა ქალწულებისა და მონაზონებისასა შევიდეს, ყოველსავე ზედა უჴმს, რაჲთა შემსგავსებულად თჳსისა მის მოქალაქობისა იყოს და ყოველსავე ცხორებასა შინა თჳსსა აჩუენებდეს სიწმიდესა. რამეთუ ვითარცა არს საქმე იგი მეთევზეთაჲ, სიტყჳსაებრ უფლისა,[4*] | რომელ კეთილთა მათ და ჰამოთა თევზთა გამოარჩევენ ბოროტთაგან, რაჲთა არა წამლიანთა მათ კეთილნიცა იგი განრყუნენ, ეგრეთვე ესე საქმე არს ჭეშმარიტისა მის სიწმიდისაჲ, რაჲთა ყოველთა საქმეთაგან სიწმიდესა გამოარჩევდეს და მავნებელთაგან | შორს იყოს და დაუტეობდეს მათ ცხორებასა მას შინა სოფლისასა, რომელი-იგი იგავით „ზღუად“ იწოდების, ვითარცა-იგი მეფსალმუნე იტყჳს სწავლასა მას შინა აღსარებისასა. რამეთუ დაუდგრომელსა მას და[3] შფოთითა სავსესა ცხორებასა „წყლად სულისა დამთქმელად და სიღრმედ ზღუსა და

C 127v

A 338v

[1] დადგომაჲ A; [2] მოსწრაფედ A; [3] და] – A.

[1*] ფს. 23,4; [2*] გალ. 5,1; [3*] ინ. 8,34; [4*] მთ. 13,47-48.

ნიავქარად“[1*] სახელ-სდებს, რომელსა შინა ყოველი ბოროტისმოყუარე და განდგომილი გონებაჲ, მსგავსად მეგუპტელთაჲსა, ვითარცა „ლოდი დაინთქმის.“[2*] ხოლო რომელი იყოს ღმრთისმოყუარე და მხილველ ჭეშმარიტებისა, რომელსა „ისრაელ“ ეწოდების, რომელ არს „მხილველი ღმრთისაჲ“, იგი მხოლოჲ წიაღ-ვალს[3*] მას შინა, ვითარცა ჴმელსა, და არასადა ღელვათა მათ მიერ მწარეთა და მლაშეთა სოფლისათა დაინთქმის. რამეთუ ესრეთსახედ წიაღ-ველო ისრაელმან ზღუაჲ წინამძღურებითა მოსესითა და მეგუპტელი აღჴდა გზასა მას ზედა და დაინთქა თითოეული[1] მის თანა მყოფისა გონებისაგან, რამეთუ ისრაელი სუბუქად ვიდოდა მას ზედა, ხოლო მეგუპტელი უფსკრულად[2] შთავიდოდა.[4*] ეგრეთვე უკუე სათნოებაჲ საქმე არს სუბუქი და ზეაღმავალი, რამეთუ ყოველნი მოქმედნი მისნი „ვითარცა ღრუბელნი ფრინვენ“, სიტყჳსაებრ ესაია წინაჲსწარმეტყუელისა,[5*] და „ვითარცა ტრედნი – მართუეთა მათთა თანა“.

ხოლო ცოდვაჲ მძიმე არს და[3] ტალანტსა ზედა ბრპენისასა მჯდომარე, სიტყჳსაებრ წინაჲსწარმეტყუელისა,[6*] რამეთუ, ვითარცა მოციქული[7*] იტყჳს, „მათ ზედა აღესრულა სახედ, ხოლო დაიწერა სასწავლელად ჩუენდა.“

[1] თითუეული A; [2] უბსკრულად A; [3] და] – A.

[1*] ფს. 68,2-3; [2*] შდრ. გამოსელ. 15,5 [3*] გამოსელ. 14,21 ებრ. 11,29; [4*] გამოსელ. 14,2; [5*] ეს. 60,8; [6*] ზაქ. 5,7; [7*] 1 კორ. 10,11.

თავი XIX

ხოლო ამასვე გულისჴმა-გჳყოფს ჩუენ წინაჲსწარმეტყუელიცა მარიამ, რომელმან, გან-რაჲ-ვლეს ზღუაჲ, აღიღო ბობღანი და უპირობდა[123] კრებულსა მას დედათასა,[1*] რამეთუ, ვითარ ვჰგონებ, ბობღნისა მიერ ქალწულებასა მოასწავებს სიტყუაჲ, პირველად მარიამის მიერ აღებული, რომელ, ვჰგონებ თუ, ღმრთისმშობელსა მარიამს მოასწავებს, რამეთუ ვითარცა ბობღანი ტყავისაგან მკუდრისა არს და ჴმასა დიდსა გამოიღებს, ეგრეთვე ქალწულებაჲ მაღალ და სახელოვან იქმნების, რაჟამს არარაჲ აქუნდეს თავსა შორის თჳსსა ცხორებისა ამისგან სოფლიოჲსა ზიარებაჲ. და ვინაჲთგან მკუდარ იყო ბობღანი, რომელი აქუნდა მარიამს, ხოლო მკუდრობაჲ ჶორცთაჲ ქალწულებაჲ არს, არასადმე უჯერო არს ესე, ვითარმედ | ქალწული იყო წინაჲსწარმეტყუელი იგი, რამეთუ C 128r ესე საგონებელ არს ჩუენდა, დაღაცათუ არა მტკიცედ ვიცით, A 339r ვითარმედ წინაჲსწარმეტყუელი მარიამ კრებულისა ქალწულთაჲსა წინამძღუარ იქმნა, ვინაჲთგან მრავალნი იტყჳან მისთჳს, ვითარმედ უქორწინებელ[1] იყო, რამეთუ არასადა აჴსენა მისთჳს წერილმან ქორწინებაჲ და შვილიერებაჲ, თუ არა არა აჰრონის და მოსესგან, არამედ ქრისაგანმცა ეწოდებოდა, რამეთუ თავ დედაკაცისა ქმარი არს.[2*] რამეთუ უკუეთუ რომელთა თანა პატიოსან იყო შვილიერებაჲ და კურთხეულ და საძიებელ, უკუეთუ მათ შორის გამოჩნდეს ქალწულებაჲ, არა უფროჲსად ჩუენ მოსწრაფებით მოვიგოთ-ა იგი, რომელნი-ესე არა ჶორციელად, არამედ სულიერად ვისმენთ წერილისა სიტყუასა?!

რამეთუ გუესმის წერილითგან, ვითარმედ შვილიერებაჲ კეთილ არს, არამედ გულისჴმა-ვყოთ, თუ რაჲსა სახჱ იყოს ძუელსა მას შინა შვილიერებისა ძიებაჲ. რამეთუ თუ ვითარი შვილიერებაჲ უჴმს წმიდათა, წინაჲსწარმეტყუელი ესაია და მოციქული პავლე გამოგჳცხადებენ. ერთი იგი, რომელ იტყოდა, ვითარმედ: „შიშითა შენითა, უფალო, მიუდეგით და გულმოდა და ეშეჳით სული მაცხოვარებისა შენისაჲ“,[3*] ხოლო პავლე, რომელი-იგი ისწრაფდა, რაჲთამცა იქმნა შვილმრავალ, ვიდრეცა ქალაქნი და ნათესაენი შენა და არა კორინთელნი და გალატელნი ხოლო თჳსითა საშოჲთა ნათლად მოიყვანნა

[1] უქორწინებელი A.

[1*] შდრ. გამ. 15,20; [2*] შდრ. I კორ. 11,3; ეფ. 5,23; [3*] ეს. 26,17-18.

უფლისა მიერ,[1*] არამედ „იერუსალჵმითგან ვიდრე ილირიკედმდე"[2*] აღავსო სოფელი თჳსთა შვილთა მიერ, „რომელნი-ოგი ქრისტეს მიერ სახარებითა შენა."[3*] სანატრელ არს ქალწულებისაცა საშოჲ,[4*] რომელმან უხრწნელსა მას შობასა ჰმსახურა,[124] და არცა შობამან ქალწულებაჲ დაჰკსნა და არცა ქალწულებაჲ ესეითარისა მის შობისა დამახრწეელ იქმნა, რამეთუ სადა[5*] „სული მაცხოვარებისაჲ იშვას", ეითარცა ესაია[1] იტყჳს, მუნ უკჱმარ იქმნებიან ყოველნი ჴორცთა ვნებანი.[6*]

[1] ესაჲა A.

[1*] შდრ. გალ. 4,19; [2*] რომ. 15,19; [3*] I კორ. 4,15; [4*] შდრ. ლკ. 11,27; [5*] ეს. 26,18; [6*] შდრ. ინ. 14,6.

თავი XX

1. ხოლო გუასმიეს მოციქულისაგან[1*] ესევითარიცა სიტყუაჲ, ვითარმედ ორკეცი[125] არს თითოეული კაცი: ერთი იგი ხილული, რომლისა ბუნებაჲ არს ხრწნილებისა მიცემაჲ, ხოლო მეორე — დაფარულთა შინა გულისათა, რომელი-იგი მიიღებს განახლებასა.[2*] და ვინაჲთგან ორკეცი არს კაცი, არა უჯერო არს, რაჲთა ორკეციცა ქორწინებაჲ[126] გულისჴმა-ეყოთ: ერთი — გარეშისა კაცისაჲ და ერთი — შინაგან, და რომელმან თქუას, თუ ჴორცთა სიწმიდე შინაგანსა მას ქორწინებასა შეეწევის, არარას გარეგან ჭეშმარიტებისა იტყუნ.[1ა*]

| 2. და ვითარცა შეუძლებელ არს, თუმცა კაცი თჳსითა ჴელითა ერთბამად ორთა ჴელოვნებათა აღსრულებად შევიდა, — რაჲთამცა მუშაკობდამცა | და ჴნეიდა ჴარითა და მასვემცა ჟამსა მენაველობდა ზღუასა შინა, ანუ მჭედლობდამცა და მასვე ჟამსა ხუროვნობდამცა, არამედ უკუეთუ ენებოს ერთისა ქმნაჲ, მეორისაგან უჴმს განშორებაჲ, — ეგრეთვე ვინაჲთგან ორნი ქორწინებანი არიან წინაშე ჩუენსა — ერთი, რომელი ჴორცთა მიერ აღესრულების, და მეორე სულისაჲ, — საცნაურ იყავნ, ვითარმედ ერთისა მათგანისა შეყოფაჲ მეორისა განშორებასა იქმს. რამეთუ ვერცა ორთა საქმეთა, ურთიერთას განშორებულთა, ერთბამად შემძლებელ არს თუალი[2] ხედვად, უკუეთუ არა, მას რაჲ ჰხედვიდეს,[3] მეორისა ხედჳსა განეშოროს, და რაჟამს მას მიჰხედნეს,[4] მისსა ხედვასა[5] მოსწყდეს. ვერცა ენაჲ შემძლებელ არს ერთბამად მრავალთა ენათა მსახურებად, რაჲთამცა ერთად იტყოდა ებრაულსაცა და ბერძულსა. ვერცა სასმენელი შემძლებელ არს ჰამბავთაცა და სწავლისა სიტყუათა[127] ერთბამად სმენად, რამეთუ განყოფილებაჲ იგი ჴმისაჲ, უკუეთუ თითოეულად ისმოდის, შევალს გონებად მსმენელისა, უკუეთუ კულა ერთად შეირიოს და ესრეთ ისმოდის, ვერღარა შემძლებელ არს გონებაჲ ურთიერთას განყოფად მათდა.

A 339v

C 128v

3. ეგრეთვე უკუე ჩუენ თანა დანერგული იგი გულისთქუმისა ძალი ვერ შემძლებელ არს, რაჲთამცა ჴორციელთაცა გულისთქუმათა ჰმონებდა და სულიერსაცა ქორწინებასა აღასრულებდა, რამეთუ არა ერთითა საქმითა მოიგებებიან ორნივე, არამედ სულიერსა მას წინამძღუარ ექმნების მარხვაჲ და მოკუდინებაჲ ჴორცთაჲ და ყოველთა ჴორციელთა შეურაცხებაჲ, ხოლო ჴორციელისა მის გულისთქუმისა შემწე ყოველივე წინააღმდგო-

---

[1] იტყჳს A; [2] თუალით A; [3] ხედვიდეს C; [4] მიხედნეს A; [5] ხილვასა A.

[1*] შდრ. II კორ. 4,16; [2*] შდრ. II კორ. 4,16; [3*] შდრ. ინ. 14,6.

მი იქმნების. და ვითარცა უკუეთუ ორნი უფალნი იყვნენ გამოსარჩეველად, რაჲთა ერთსა დაემორჩილოს კაცი, ვინაჲთგან შეუძლებელ არს ერთბამად „ორთა უფალთა მონებად“,[1]* რომლისაგან იყვის უმეტესი
10 სარგებელი, იგი გამოირჩიოს, რომელი გონიერ არნ, ეგრეთვე ვინაჲთგან ორნი ქორწინებანი წინა-გჳსხენ და შეუძლებელ არს ორთავე შინა ყოფაჲ, რამეთუ „უქორწინებელი იგი ზრუნავნ უფლისასა[1] და ქორ- A 340r
წინებული იგი ზრუნავს სოფლისა“.[2]* ესე არს კაცთა ბრძენთა საქმე, რაჲთა არა მოვსწყდეთ უმჯობესისა მის გამორჩევასა და არცა უფლისა
15 მიმყვანებელსა გზასა უმეცარ ვიქმნეთ,[2] | რომლისა პოვნაჲ ესრეთ C 129r
იქმნების.

4. რამეთუ ვითარცა ჯორციელსა მას ქორწინებასა შინა, რომელი ისწრაფდეს, რაჲთა საწადელ იქმნას და საყუარელ ყოველთა მიერ, იღუწის იგი, რაჲთა ჯორცითაცა შუებულ იყოს და სამოსლითა შემკულ, და რაჲთა არცა ცხორებისა მისისაგან,[3] არცა ნათესაობისაგან იყოს
5 მის ზედა ყუედრებაჲ, ეგრეთვე რომელსა სუროდის სულიერისა მის ქორწილისათჳს, პირველად უჴმს, რაჲთა გამოაჩინოს თავი თჳსი განახლებულად და ყოელისავე სიძულისაგან განშორებულად განახლებითა მით გონებისაჲთა,[3]* და მერმე, რაჲთა იქმნას მდიდარ არა ქუეყანისა საფასეთა მიერ, არამედ — ზეცისა საუნჯეთაგან.

10 ხოლო ნათესაობისა პატიოსნობაჲ[128] — არა ამაოჲ ესე და თჳთმოსრული, რომელი მრავალთა უკეთურთაცა აქუს, არამედ რომელი-იგი შრომითა და მოსწრაფებითა თჳსთა სათნოებათაგან მოგებულ იყოს, რომელი მათ ხოლო აქუს, რომელნი არიან ძე ნათლისა[4]* და შვილ ღმრთისა და „ნათესავ დიდებულ აღმოსავალით მზისა“[5]* პატიოსნებისათჳს და სი-
15 ნათლისა[4] საქმეთა მათთაჲსა.

ხოლო შუებულებაჲ მოიგოს არცა ჯორცთა განპოხებითა მათითა, არამედ ყოველივე წინააღმდგომი, რაჲთა უძლურებითა ჯორცთაჲთა სრულ-ჰყოფდეს ძალსა მას სულისასა.[6]* ხოლო ვიცი ზითეცა ამის ქორწილისაჲ არა განჴრწნილთა საფასეთაგან ქმნილი, არამედ თჳსისა მის
20 სიმდიდრისაგან სულისა მიერ[5] მიცემული. გნებავს-ა, რაჲთა სახელები მათ საფასეთაჲ ისწაო?

ისმინე პაჲლესაგან, კეთილისა მის ქორწილისა განმგებელისა, — და ესე[6] არიან საფასენი იგი: პირველად სიწმიდე,[7]* სიმართლე, მშჳდობაჲ,

---

[1] უფლისა A; [2] ვიქმნეთ C; [3] მისგან A; [4] სინათლისა] სინანულისა A (სიტყვა „სინანულისა“ წმ. გიორგი მთაწმიდელს Ath. 39-ის მის მიერ რედაქტირებულ ტექსტში გასწორებული აქვს ბერძნულის კვალობაზე.); [5] მიერ] — A; [6] და ესე] — A.

[1]* მთ. 6,24; ლკ. 16,13; [2]* I კორ. 7,32-33; [3]* შდრ. რომ. 12,2; ეფ. 4,22-23; [4]* შდრ. ინ. 12,36; I თეს. 5,5; [5]* იობი 1,3; [6]* შდრ. II კორ. 12,9; [7]* შდრ. II კორ. 6,6.

სიხარული და მსგავსნი ამათნი, ნაყოფნი სულისანი,[1*] რომელთა-იგი
25 აღჰრაცხავს, ყოველნი ძღუენნი არიან ესევითარნი მის ქორწილისანი.
და ისმინე კუალად სოლომონისიცა, ვითარ იტყჳს, რაჲთა ჭეშმარიტი
სიბრძნე შემოვიყვანოთ თანამკჳდრად, რომლისათჳს ღაღადებს, ვითარმედ:
„ეტრფიალე მას, რაჲთა დაგიცვას შენ, პატივ-ეც მას, რაჲთა შეგიტკბოს
შენ.“[2*]
30 | რამეთუ ამათ სიტყჳათა მიერ აწუევს ყოველსა კაცსა, რაჲთა ღირსი A 340v
ქორწილისაჲ მის მოიგოს სამოსელი და ესრეთ დღესასწაულობდეს
ქორწილსა მას შინა მოხარულთა თანა, რაჲთა არა განვარდეს გარე,
რაჟამს დღესასწაულისა მის თანაზიარყოფად ევედრებოდის, ხოლო
სამოსელი საქორწინე[129] არა ემოსოს.[3*]
35 | ხოლო საცნაურ არს, ვითარმედ სიტყჳაჲ ესე ზიარ არს მამათათჳს- C 129v
ცა და დედათა, ჭაბუკთა და მოხუცებულთა, რამეთუ, ვითარცა იტყჳს[1]
მოციქული, „არა არს მამაკაცებაჲ და დედაკაცებაჲ,[4*] არამედ ყოვე-
ლივე ყოველსა შინა ქრისტჱ არს“.[5*] და ვინაჲთგან ესრეთ არს, ამისთჳს,
რომელიცა ტრფიალ ექმნა სიბრძნესა, მას აქუს საღმრთოჲ იგი სურ-
40 ვილი და გულისთქუმაჲ, რომელ არს ჭეშმარიტი სიბრძნე, და სული,
რომელი უხრწნელსა მას სიძესა შეეყოს, მას აქუს ჭეშმარიტისა სი-
ბრძნისა ტრფიალებაჲ, რომელ არს ღმერთი.
არამედ თუ რაჲ არს სულიერი იგი ქორწილი და თუ რომლისა
პირისა მიმართ ხედავს წმიდაჲ იგი და ზეცისა ტრფიალებაჲ, მცირედ
45 რაჲმე თქუმულთა ამათგან[2] გამოგუეცხადა ჩუენ.[130]

---

[1] იტყჳს] + მოხუცებული A. C-ში ეს სიტყჳა წაშლილია, არც პერძნულ დედანში არის: καθώς φησιν ὁ ἀπόστολος (502,38). P3-ში (A) გადამწერლისეული შეცდომა უნდა იყოს, გამოწეული იმით, რომ მან, როგორც ჩანს, მექანიკურად გაიმეორა რამდენიმე სიტყვის წინ ტექსტში არსებული იგივე სიტყვა: „მოხუცებულთა“.

[2] A ნუსხაში, ისევე როგორც C-ს თავდაპირველ ტექსტში დამატებულია შემდეგი სიტყვები: „სრწმიდისა ღმრთისასა“, რაც C-ს გვიანდელ რედაქტორს მართებულად გადაუშლია ორიგინალის კვალობაზე.

[1*] შდრ. გალ. 5,22. [2*] იგ. 4. 6-8; [3*] შდრ. მთ. 22, 11-12; [4*] გალ. 3,28; [5*] კოლ. 3,11.

თავი XXI

1. გარნა ვინაჲთგან სიწმიდესა ღმრთისასა მიახლებაჲ თუნიერ ესეგითარისაჲ სიწმიდისა, რომელი მას შეეტყუების, შეუძლებელ არს, ამისთჳს თანანადები არს, რაჲთა მაღალი და მტკიცე შუაკედელი[1] ექმნათ შორის ჩუენსა და გულისთქუმათა ჯორციელთა, რაჲთა არა მიახლებითა მით მათითა სიწმიდე სულისაჲ შეიგინებოდის. ხოლო შუაკედელი[2] მტკიცე არს ყოველთა მიმართ ვნებულთა საქმეთა სიძულილი და განშორებაჲ,[131] რამეთუ ერთი არს ბუნებასა შინა გულისთქუმაჲ, და ვითარცა წყალი ერთისა წყაროჲსაგან მრავალთა სადინელთა მივალნ, ეგრეთვე იგი ყოველთა ზედა საცნობელთა განეფინების და თითოეულისა საცნობელისაებრ გემოჲსმოყუარეთა შეეზავების. და რომლისაგანცა საცნობელისა[3] შეიწყნაროს კაცმან გულისთქუმაჲ, მის მიერცა მოიწყალა გული მისი, ვითარცა უფალი გუასწავებს,[1*] ვითარმედ რომელმან თუალთა გულისთქუმაჲ აღასრულოს, მას გულად მიულებიეს ცოდვისა მის ვნებაჲ. რამეთუ მე ვჰგონებ, ვითარმედ ერთისა მის საცნობელისა მიერ, რომელ არიან თუალნი, ყოველნივე საცნობელნი მოასწავნა უფალმან, რაჲთა ჩუენ შეუდგეთ A 341r სიტყუასა მისსა.

და კეთილად შევსძინოთ ესეცა, ვითარმედ რომელსა ესმას რაჲმე გულისთქუმით, ანუ შეეხოს გულისთქუმით, გინათუ სხუაჲ რაჲმე ჩუენ შორის მყოფთა მათ ძალთაგანი გულისთქუმად მიდრიკოს, მას გულითა[2*] უცოდავს.

2. ხოლო რაჲთა ესე არა იქმნას, ამისთჳს უჴმს მონაზონსა, რომელსა ენებოს სიწმიდით ყოფად, რაჲთა დააწესოს თჳსსა ცხორებასა შინა, რომელ არარაჲ შეიყუაროს[4] საქმე, რომელსა შინა სამჭედური გულისთქუმისაჲ დამალულ იყოს და, პირველ ყოველთასა, რაჲთა ჭამადთა გულისთქუმასა ეკრძალოს, რამეთუ ვითარცა დედაჲ არს იგი ბრძოლათაჲ და გულისთქუმანი ჭამადთა და სუმათანი რაჟამს განმრავლდენ, აღავსებენ ჯორცთა სავსებითა მით ბოროტთაჲთა, | რომლისაგან იშვებიან ვნებათა სიმრავლენი. და ამისთჳს, რაჲთა C 130r მყუდროებით იყოს გუამი ჩუენი და არა აღიმრღუეოდის სიმაძღრისაგან ვნებათაჲსა,[5] გჳჯმს, რაჲთა ვილუაწოთ მარხეისათჳს და ნუმცა

---

[1] შუაკედელი C; [2] შუაკედელი C; [3] რომლისაგანცა საცნობელისა] რომლისა საცნობელისაგან C; [4] შეაყუაროს A; [5] სიმაძღრისა ვნებათაგან] A.

[1*] მთ. 5,28; [2*] მთ. 5,28.

გულისთქუმასა ეჰყოფთ საზომად და საზღვრად ჭამისა, არამედ თითოეულისა საქმისა საჴმარსა, და დაღაცათუ საჴმრისა მისცა მოღებასა შინა გულისთქუმაჲვე არს, რამეთუ ნაკლულევანებამან იცის ყოველისავე დატკბობაჲ და გულისთქუმით მოღებაჲ. არა ბოროტ არს საჴმარი იგი გულისთქუმისა მისთჳს, არამედ ჯერ-არს, რაჲთა ყოველისაგანვე კეთილისა გამოვარჩევდეთ და განსუენებასა ჴორცთასა შეურაცხ-ეჰოფდეთ.

3. რამეთუ მუშაკთაცა ვხედავთ, ვითარ იფქლსა ბზისაგან განჰყოფენ, რაჲთა თითოეული თჳსსა ადგილსა იჴმარონ: იფქლი — კაცთა საზრდელად, ხოლო ბზე — დასაწუელად,[1] გინა პირუტყუთა საჭამადად,[2] ეგრეთვე მუშაკი სიწმიდისაჲ განჰყოფდინ გულისთქუმისა საჴმარსა, ვითარცა ბზისაგან იფქლსა, და მავნებელი იგი კერძი მიაგდენ პირუტყუებრივთა მიმართ,[132] რომელთა აღსასრული არს დაწუაჲ,[1*] ვითარცა მოციქული იტყჳს, და განეშორენ მათგან, ხოლო საჴმარი თჳსისა ბუნებისაჲ მადლობით მიიღენ.[2*]

[1] დასაწუელად A; [2] ჭამადად A.

[1*] ებრ. 6,8; შდრ. მთ. 3,12; ლკ. 3,17; [2*] შდრ. I ტიმ. 4,3.

თავი XXII

1. არამედ ვინაჲთგან მრავალნი მეორესა მას კერძსა უზომოებისასა მიდრკეს და გარდარეულითა მარხვითა შესცთეს და განაშორნეს სულნი მათნი მაღალთა მათგან ხედვათა და არღარა თავისუფლებით | ვიდოდა A 341v გონებაჲ მათი, არამედ ჭორცთავე შეექცა, [ა]მისთჳს კეთილ არს ამის- განცა კრძალვაჲ და ორკერძოვე უზომოებისაგან შორსყოფაჲ, რაჲთა არცა ნაყროენებისა მიერ გონებასა ჩუენსა დავაბნელებდეთ, არცა კუალად სენნი მოვიყვანნეთ გუამთა ზედა და ესრეთ დავამდაბლოთ გონებაჲ უძლურებასა მას ჭორცთასა შექცევითა, არამედ ვიჴსენებდეთ სიტყუასა მას სიბრძნისასა, რომელი-იგი სწორად სძაგებს მარჯუენესაცა და მარცხენესა კერძსა მიდრეკასა[1*]

რამეთუ გუამი ჩუენი ოთხთა ნივთთაგან, – არა მსგავსთა, არამედ ურთიერთას წინააღმდგომთა, – შეზავებულ არს, მჭურვალისა და გრილისა[1] ნოტიისა და ჴმელისა, და მჭურვალე გრილსა თანა შეზავებულ არს და ნოტია – ჴმელსა თანა, უზეშთაეს სიტყჳსა, რამეთუ შორის შემოსრულთა მათ ბუნებათაგან შეიერთნიან.

და ესრეთ ურთიერთას განყოფილნი იგი[2] ნივთნი საზრდელთა მიერ შეიზავნიან[3] და[4] ცივი იგი და ცხელი ნოტიათა და ჴმელთა[5] ჭამადთა მიერ[6] შეიზავებიან. და კუალად, ნოტიაჲ იგი და ჴმელი გრილთაგან და მჭურვალეთაგან[7] შეიერთვიან.[8]

და ესრეთ ურთიერთას განყოფილთა[9] | საზრდელთაგან იქმნების C 130v წინააღმდგომთა მათ ერთობაჲ.[10] და რასა ვაგრძელებდე, თუ ვითარ განიყოფვიან და შეიერთებიან იგინი, ვითარცა ღმერთსა ჰნებავს?

2. რამეთუ მე ამისთჳს შემოვიღე ესე შორის, რაჲთა ვიქმოდით ჩუენცა სწორებასა მათსა და არა განვამრავლებდეთ ერთსა და მეორესა დავაკლებდეთ, არამედ ვჰბაძვიდეთ ეტლთა ზედა მდგომარესა, რამეთუ ვითარცა უკუეთუ იგი არა სწორად მსრბოლნი იყვნენ, არა იქმს ამას, რაჲთამცა მალემსრბოლსა სცემდა უმეტესად სლვად და[11] არცა მცონარსა მას და გჳანსა აშთობნ აღჳრითა, არცა ძნიადმოსაქცეველსა და განმზიდვარსა თავისუფლად დაუტეობს, რაჲთა[12] ვინაჲ უნდეს, რბო-

---

[1] გრილისა]+ თანა შეზავებულ არს A; [2] იგი] – A; [3] შეიერთვიან A; [4] და] რამეთუ C; [5] ნოტიათა და ჴმელთა] გრილთაგან და მჭურვალთა C; [6] მიერ] – C; [7] გრილთაგან და მჭურვალეთაგან] ნოტიათა და ჴმელთა ჭამადთა მიერ C; [8] შეიერთებიან C; [9] განყოფილნი A; [10] წინააღმდგომთა მათ ერთობაჲ] ერთობად მოყვანებაჲ და ერთობაჲ C; [11] და] – A; [12] და A.

[1*] შდრ. იგ. 4,27; რიცხ. 20,17; II რჯ. 5,32.

დის უწესოდ. არამედ ძნიადმოსაქცეველსა მას ჰმართებნ და განმზიდვარსა ახრწევნ და გჳანთა მათ ასწრაფობნ, ვიდრემდის ყოველნი შეასწორნის[1] სირბილითა, ეგრეთვე უჴმს ჩუენსა გონებასა, რომელი-იგი ზედამდგომელი[133] არს და ჰქონან აღჳრნი ჴორცთანი,[134] | რაჲთა არცა A 342r
რაჟამს გარდარეულ იყოს მჴურვალებაჲ ჟამსა სიჭაბუკისასა, მოიპოებდეს შემმატებელთა სიმჴურვალისათა, არცა რაჟამს სენთაგან ანუ სიბერისა განმრავლდეს, სიგრილე აღაორძინებდეს მას განმაგრილებელთა ჭამადთა მიღებითა. და სხუასა ყოველსავე ზედა ესე ქმნას, „რაჲთა არცა მეტი იგი განმრავლდეს და არცა ნაკლული დამცირდეს“,[1*] არამედ ორკერძოვე უზომოებაჲ დაჴსნას და არცა ნაყროვნებითა და შუებითა უწესოდ[2] აღძრულ და აღჳრაღუსხმელ ყენეს ჴორცნი, არცა გარდარეულითა მარხვითა სენიან და უძლურ და დაჴსნილ ყენეს მოღუაწებისა მიმართ.

ხოლო[3] ესე არს სრული იგი მარხვისა წესი, რაჲთა არა ჴორცთა საქმესა ჰხედვიდეს[4] კაცი, არამედ — სულისა მსახურებათა აღსრულებასა,[135] რაჲთა მას ოდენ თჳსი სიწმიდე და მოღუაწება[5] არა დაეხრწეოდის, გინა თუ ჭამისა მიერ, გინა თუ გარდარეულისა მარხვისა.

[1] შეასწორნეს A; [2] უწესო და] A; [3] ხოლო] — A; [4] ხედვიდეს A; [5] და მოღუაწება] — A.

[1*] *II* კორ. 8,15; გამ. 16,18.

თავი XXIII

1. ხოლო თუ ვითარ ჯერ-არს თითოეულისა საქმისა ქმნაჲ, რომელი ამას ცხორებასა შინა იყოს, და თუ ვითარ უჴმს მოწყალებაჲ, რომელსაცა ენებოს სწავლად კეთილად, არიან წერილნიცა ამათ ესევითართა საქმეთა მასწავლელნი, ხოლო უჯეშმარიტეს[1] არს სიტყჳთ სწავლისა საქმით ხილვაჲ და არცა ერთ არს საქმესა მას შინა სიძნელე, რაჲთამ-
.ცა გზათა შორთა და ზღუათა სლვითა იპოვა მასწავლელი იგი, არამედ „ახლოს არს სიტყუაჲ იგი“,[1*] ვითარცა მოციქული იტყჳს და[2] აქა არს | სათნოებისა იგი მოძღურებაჲ, სადა-იგი წარმართებულ არს ჭეშმარი- C 131r
ტად ესევითარი ესე ცხორებაჲ და ისწავლების საქმითცა და სიტყჳთ ზეცისა იგი მოქალაქობაჲ.

რამეთუ ყოველი სიტყუაჲ თჳნიერ საქმეთასა, დაღაცათუ შემკული იყოს, მსგავს არს ხატსა უსულოსა, რომელი ფერთაგან წამალთაჲსა შუენიერად ჩანნ,[3] ხოლო რომელი იქმოდის და ასწავებდეს, ვითარცა სახარებაჲ იტყჳს[2*], იგი არს ჭეშმარიტად კაცი ცხოველი და შუენიერითა სიკეთითა საქმეთა მოქმედი.[3*]

2. ამისთჳსცა უკუე, რომელი აღიღებდეს მონაზონებასა და ქალწულებისა მოქალაქობასა,[4*] უჴმს ესევითარისა წინამძღურისა პოვნად, რამეთუ ვითარცა ვერ შემძლებელ არს კაცი თავით თჳსით დასწავლად უცხოჲსა რაჲსმე ენისა, დაღაცათუ ფრიად სუროდის მისდა სწავლად, არამედ ისწავლის[4] მათგან, რომელთა | იცოდიან იგი და ესრეთღა[5] A 342v
უცხოთა მათ ენათა თანამზრახვალ იქმნის, ეგრეთვე არს ცხორებაჲ ესე. ვინაჲთგან ჩუენ უცხო ვყავთ ბუნებაჲ ჩუენი და უმეცარ სათნოებისა საქმეთა ბოროტითა მოქალაქობითა, აწ შეუძლებელ არს მისი სხუთა სახითა დასწავლად, თჳნიერ წინამძღურებითა[6] მისითა, რომელსა წარე-
მართოს იგი,[136] რამეთუ ყოველნივე ჴელოვნებანი ამის სოფლისანი მოძღურებითა მეცნიერთა მისთაჲთა წარემართებიან და ვერვინ იქმნებისა თავით თჳსით მჴედელ, გინა ხურო, ანუ სხუაჲ რაჲმე, და ვინაჲთგან სოფლისა საქმენი ესრეთ იქმნებიან, ამისთჳს რაჲ ვთქუთ?

რამეთუ არა თუ ახალი არს და აწ დაწყებული საქმე ესე, რომელ უღონოებისაგანმცა თავთა თჳსთა მივანდობდით უმჯობესისა პოვნასა,

---

[1] უჯეშმარიტ A; [2] და] – A; [3] ჩან A; [4] ისწავლიან A; [5] ესრეთ A; [6] წინამძღურობითა A.

[1*] რომ. 10,8; II რჯ. 30,14; [2*] შდრ. მთ. 5,19; [3*] შდრ. ფს. 44,3; [4*] შდრ. იგ. 3,18.

არცა[1] ჴორციელი საქმე არს, რაჲთამცა უკუეთუ ვერ ვპოვეთ უმჯობესი, არავე რაჲმცა[2] გუეცნოს?

არამედ ვითარცა სამკურნალოჲ ხელოვნებაჲ, რომელი პირველად უცნაურ იყო, მოიპოვეს კაცთა უფლისა მიერ მოცემითა და იცნეს მარგებელიცა და მავნებელი გამოცდილებითა და ესრეთ დააწესეს საქმე იგი, და აწ რომელსა ენებოს ჴელოვნებისა მის სწავლად, არარაჲ ჭირი შჯირს,[3] რაჲთა თავისა თჳსისა მიერ გამოცადნეს წამალნი, თუ რომელნი არიან განმწმედელ გუამისა, ანუ – რომელნი მაკუდინებელ, არამედ სხუათა მიერ პოვნილნი იგი ისწავლნეს და ესრეთ ჴელოვნებაჲ იგი წარჰმართოს, ეგრეთვე სულიერიცა ესე მკურნალობაჲ, რომელ არს სათნოებაჲ, რომლითა განეჰკურნებთ ყოველთავე სულისა ენებათა, რაჲ ჭირი არს, რომელ ჰაზრითა | და ჭირითა მოვიგოთ?[137] არამედ ადვილ C 131v არს სწავლაჲ მისგან, რომელსა წარემართოს იგი მრავლითა სხუათაგან სწავლითა და ფრიადითა გამოცდილებითა. რამეთუ უმეცრებაჲ და სიყრმე ყოველსა საქმესა ზედა საცთურ არს და ვერვინ ჰპოვოს, თუ წა-სადა-მართებულ არს კეთილთაგანი რაჲმე თუნიერ გამოცდილებისა და მეცნიერებისა. და რაჲზომ-იგი უზეშთაეს არს ყოვლისა საქმისა ესე საქმე, ესრეთვე უმეტესიცა კრძალვაჲ გუჴმს მისთჳს, რაჲთა არა ვსცთეთ მას შინა.

რამეთუ სხუათა მათ საქმეთა შინა, უკუეთუ იქმნას ცთომილებაჲ, ნუუკუე იქმნას დაჭირვებაჲ საფასეთაჲ და დაცემაჲ პატივისაგან ჴორციელისა, | ხოლო დიდსა ამას და მაღალსა საქმესა ზედა არათუ A 343r საფასეთაჲ იქმნების დაჭირვებაჲ, არცა დიდებისა სოფლიოჲსაჲ და წარმავალისაჲ, არცა სხჳსა რაჲსაგანმე, გარეგან მოსრულისა ჩუენდა, არამედ დაჭირვებაჲ იგი ცთომილებისაჲ თავადსა სულსა შეეხების და მისი იქმნების წარწყმედაჲ.

რამეთუ რომელმან იგი მამული მონაგები წარწყმიდოს, არა უსასო იქმნების პირველისავე სიმდიდრისა კუალად პოვნად ღონითა რაჲთამე, ხოლო რომელმან სული თჳსი წარწყმიდოს, ვითარ პოვოს იგი?

3. და ვინაჲთგან მრავალნი არიან შემავალ ამას ცხორებასა უმეცარნი და გამოუცდელნი, ესემცა არს ღონე მათი, რაჲთა პირველ ყოვლისა პოვონ წინამძღუარი ამის გზისაჲ და მასწავლელი კეთილი, რაჲთა არა უმეცრებისა მათისაგან უგზოთა შინა და ეკლოვანთა შესცთენ.

რამეთუ „კეთილ არიან ორნი უფროჲს ერთისა“,[1*] ვითარცა სოლომონ იტყჳს, და ადვილად დაეცემის ერთი იგი, რაჟამს უმეცარ იყოს,

[1] ანუ არა A; [2] რაჲმცა] – A; [3] სჯირს A.

[1*] ეკლ. 4,9.

მტერისა მიერ, რომელი უმზირის ყოველსა კაცსა. და ჭეშმარიტად „ვაჲ არს ესევითარისა მის“, სიტყუსაებრ მისვე ბრძნისა სოლომონისა, რამეთუ „რაჟამს დაეცეს, არავინ ჰყავნ აღმადგინებელი“.[1*]

რამეთუ ესრეთ ვიეთმე ქმნ[ნ]ეს, რომელ განზრახვითა კეთილითა პატიოსანი ესე ხატი შეიმოსეს, არამედ ვითარცა შევიდეს მას შინა, მეყსეულად სისრულისა საზომსა მიწთომად ჴელ-ყვეს და ერთისა მის დაცემისაგან აღდგომილნი სხუსა დაცემითა სიმაღლისაჲთა დაეცნეს, რამეთუ გონებისა ცთომილებითა აცთუნნეს თავნი თჳსნი და იგი შეჰრაცხნეს კეთილად, რომლისა მიმართ გონებაჲ მათი მიდრიკეს. იგინი არიან რომელთა სიბრძნემან „უქმად“ სახელ-სდვა, რომელთა გზათა თჳსთა ზედა ეკალნი დაჰფინნეს,[2*] რომელთა სწავლანი სამოციქულონი დაუტევნეს[3*] და უქმობაჲ საქმედ მოიგეს; ამათგან იქმნებიან მესიზმრენი, რომელნი ცთომათა სიზმართასა უფროჲს ირწმუნებენ, ვიდრე-ღა სიტყუათა სახარებისათა და უცნებათა საეშმაკოთა ანგელოზთა გამოჩინებად C 132r სახელ-სდებენ. და კუალად სხუანი, რომელთა მჴეცებრიჲობაჲ და სიფიცხე და კაცთა სიძულილი სათნოებად შეურაცხიეს, უმეცარნი ნაყოფსა მას დაყუდებისა და სიმდაბლისასა.[138]

4. და ვითარ ვინ წარმოთქუნეს ყოველნი იგი ესევითარნი დაცემანი, თუ რავდენთა ბოროტთა წინამძღუარ იქმნების | განუკითხველობაჲ და A 343v თჳსსა ნებასა შედგომაჲ, რამეთუ ამისგან გუცნობიან[1] ვიეთნიმე, რომელნი შიმშილსა შინა დაადგრეს ვიდრე სიკუდილამდე და ჰგონებდეს, თუ „სთნავს ღმერთსა ესევითარი მარხვაჲ.“[4*] და კუალად სხუანი თჳსთა ნებათა შედგომითა მეორესა კერძსა მიდრკეს, რამეთუ სახელად ოდენ მოიგეს მონაზონებაჲ და უქორწინებელობაჲ და არარაჲთა უმეტეს იქმნნეს[2] ერისა კაცთასა, არა თუ ოდენ, რამეთუ მუცელი მათი გულისთქუმასა ჭამადთასა მისცეს, არამედ სოფელსავე შინაცა იქცეოდეს და განცხადებულად დედათა თანა იყოფჳოდეს[3] და[4] არა მავნებელ უწოდდეს ეგევითარსა მას მათ თანა აღრეებასა, რაჲთამცა ბოროტი მათი იჭჯ[5] სახელითა მით უვნებელობისაჲთა დაფარეს[139] და შეურაცხად გამოაჩინეს მაღალი ესე საქმე.

5. ამისთჳს უკუე ჯერ-არს, რაჲთა ახლადგამოსრულნი სოფლით არა დაიდებდენ შჯულსა თავთა თჳსთათჳს,[140] რამეთუ არა მოკლებულ არიან ცხორებასა ამას[6] ჩუენსა კეთილისა წინამძღუარნი, არამედ ფრიად ბრწყინავს მოქალაქობაჲ ესე აწ ჩუენ შორის და აღყუავებულ არს,

[1] გჳცნობიენ A; [2] იქმნეს C; [3] იყოფჳოდიან] – A; [4] და] – A; [5] სიტყვა „იჭჯ“ C-ში გადასულია; [6] მას A.

[1*] ეკლ. 4,10; [2*] შდრ. იგ. 15,19; [3*] შდრ. I თეს. 4,11; ეფ. 4,28 [4*] ებრ. 13,16.

რომლისა პოვნად შემძლებელ არიან, რომელნი ვიდოდინ კეთილსა მას კუალსა და შეუდგენ სურნელებასა მას ნელსაცხებელისასა[1*] და „აღიცვნენ ქრისტეს სურნელებითა“.[2*]

რამეთუ ვითარცა-რაჲ ლამპარი ენთებინ და ყოველნი,რომელნი შეუდგენ მას, განანათლებენ[1] და თუთ არა მოაკლდებინ[2] ნათლისაგან სხუათა განათლებითა, ეგრეთვე ამის მოქალაქობისა სიწმიდე წარმმართებელისა მისისაგან სხუათა მათ ზედა მისდა შედგომილთა მიეფინების. რამეთუ ჭეშმარიტ არს წინაჲსწარმეტყუელისა იგი სიტყუაჲ,[3*] რომელ „წმიდისა თანა და უბიწოჲსა და რჩეულისა თანა მყოფი ესევითარიცე იქმნებისო“

6. უკუეთუ კულა ეძიებ სახესა, რაჲთა არა შესცთე პოვნად ესევითარისა წინამძღურისა, ცხად არს სახე მისი: უკუეთუ კულა იხილო მოქალაქობაჲ კაცისაჲ, მდგომარე შორის სიკუდილსა და ცხორებასა, რომელი ორკერძოვე უმჯობესსა გამოარჩევდეს და არცა უქმობაჲ სიკუდილისაჲ აქუნდეს აღსრულებასა შინა მცნებათასა, არცა კუალად ცოცხალ არნ გულისთქუმათა მიმართ სოფლისათა,[4*] არამედ სადაცა ჰორციელი საქმე იხილებინ, მუნ მკუდართა | უაღუძრველეს არნ,[3] ‖ ხოლო საქმეთა მიმართ სათნოებისათა, რომლითა ჭეშმარიტნი იგი სულიერნი გამოჩნდებიან, ჭეშმარიტად ძლიერ და ახოვან და მჭნე. ესევითარისა მის წესისა მიმართ ხედევდი, იგი იყავენ შენდა სახე საღმრთოჲსა ცხორებისაჲ. | C 132v ‖ A 344r

მიემსგავსე მისსა მას მჭცოვანებასაცა და სიჭაბუკესა, და უფროჲსად მიემსგავსე სიჭაბუკესა შინა სიბერესა და სიბერესა შინა სიჭაბუკესა მისსა, რამეთუ ვერცა ახოვნებაჲ მისი და სიმჭნე ჰასაკისაჲ სიბერემან დაჰჭსნა, არცა სიჭაბუკემ მისი უგუნურებისა მოქმედი იყო, არამედ იყო შეერთებაჲ რაჲმე წინააღმდგომთაჲ ორთავე შინა და უფროჲსად — შეცვალებაჲ ბუნებისაჲ, რამეთუ სიბერესა შინა ძალი კეთილისა მიმართ ჭაბუკ იყო და სიჭაბუკესა შინა ჰასაკი იგი ბოროტისა მიმართ უქმ იყო. და უკუეთუ გულისთქუმათა მისთა ეძიებ, მიემსგავსე ძლიერსა მას და მჴურვალესა საღმრთოჲსა მის სიბრძნისა ტრფიალებასა, რომელი სიჭაბუკითგან ვიდრე სიბერედმდე დაადგრა მის თანა.

უკუეთუ კულა შეუძლებელ ხარ მისა მიმართ ხედვად, ვითარცა მზისა მიმართ თუალითა უძლურნი, მიჰხედენ მისსა ქუეშე განწესებულსა მას წმიდათა კრებულსა, რომელნი-იგი დიდად ბრწყინვენ, რომელთაგან-

[1] განანათლებს A; [2] მოაკლდების A; [3] არს A.

[1*] შდრ. ქება-ქებათა 1,4; [2*] II კორ. 2,14-15; [3*] ფს. 17,26-27; [4*] შდრ. ტიტე 2,12.

ნი მრავალნი ჭაბუკნი ჰასაკითა სიწმიდისა საქმეთა შინა მჴცოვან იქმნნეს და ეწინეს გონებითა თჳსითა[141] სიბერესა და საქმითა ჟამთა თანა-წარჰჴდეს, რომელთა სიბრძნისა ტრფიალებაჲ უფიცხლეს და უმძლავრეს ჴორციელთა ტრფიალებათასა აჩუენეს, არათუ ბუნებანი მათნი სხუაებრ იყუენეს, რამეთუ ყოველთა შორის „ჴორცთა აქუს ბრძოლაჲ სულისა მიმართ“,[1]* არამედ ამისთჳს, რამეთუ მათ კეთილად ისმინეს მეტყუელისაჲ მის, რომელი იტყჳს, ვითარმედ: სიწმიდე „ძელი არს ცხორებისაჲ ყოველთა, რომელნი მოეკიდნენ მას“.[2]*

ამას ძელსა ზედა მსხდომარეთა სიჭაბუკისა იგი ღელვანი, ვითარცა ტივითა[3]* რაჲთმე კეთილადქმნულითა, განვლნეს და ნავთსაყუდელსა ნებისა ღმრთისასა მიიწინეს; და აწ მყუდროებასა შინა და ჰაერკეთილობასა უღელვოსა არიან სულნი მათნი სანატრელნი კეთილად წიაღსლვისა[1] მათისათჳს ამიერ, რომელთა საქმე მათი კეთილსა მას სასოებასა[4]* ზედა დაამყარეს, ვითარცა ძლიერთა კაჟთა[5]* მიერ ნავი, და უშიშ იქმნნეს[2] ღელვათაგან | და, ვითარცა მნათობნი სიმაღლით ცისაჲთ, A 344v
თჳსთა საქმეთა ბრწყინვალებანი დაუსხნეს წინაშე ყოველთა, რომელთა უნდეს შედგომაჲ კეთილსა მათსა.

აწ უკუე ჩუენცა სასოებითა ღმრთისაჲთა უცთომელად განვლოთ განსაცდელისა იგი ზღუაჲ, შესრულთა მოქალაქობასა მას ანგელოზებრსა და წარმართებულთა მას შინა.

7. შენ უკუე[3] რასა გამოეძიებ და აღპრაცხავ, თუ სადა ვიეთნიმე შემოვიდეს მოქალაქობასა ამას და იძლინეს ვნებათაგან და არარაჲ იქმნა საქმე მათი და ამისთჳს უსასო ხარ, ვითარცა შეუძლებელისა საქმისა მის მიმართ? შენ მათ ხედევდი, რომელთა წარჰმართეს იგი კეთილად და შენცა მიენდვე და შეჰკადრე კეთილსა მას მენაւეობასა ნავითა სულისა წმიდისაჲთა მენავეთმოძღურებითა ქრისტესითა ნავსა შინა სიწმიდისასა ღმრთისა მიერ მამისა წარმართებული.

რამეთუ არცა, „რომელნი-იგი შთაველენ ზღუასა ნავებითა და იქმან საქმეთა წყალთა შინა მრავალთა,“[6]* მოწევნულსა ვიეთმე ზედა დანთქმასა იქმან დამახრწეველ თჳსისა სასოებისა, არამედ კეთილსა მას სასოებასა შეიმოსენ და აღსასრულად გზისა მათისა ისწრაფიან.

ანუ არა ყოველთა უბოროტეს არს-ა ამისისა კრძალვისათჳს, თუ ნუუკუე მოიწიოს ცთომაჲ ცხორებასა ამას შინა წმიდასა, ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა ცთომათა და ცოდვათა შინა დაბერებაჲ

---

[1] წინააღსლვისა A (C-შიც თავდაპირველად ეს მონაცემი იყო, მაგრამ რედაქტორს შეუმჩნევია ცდომილება და ზედმეტი „ნა“ ამოუფხეკია); [2] იქმნეს C; [3] უკუე] – A.

[1]* გალ. 5,17; [2]* იგ. 3,18; [3]* შდრ. სიბრძ. .14,5; [4]* შდრ. II თეს. 2,16; [5]* შდრ. ებრ. 6,18-19; [6]* ფს. 106,23.

და უმჯობესად შერაცხვაჲ ამის განზრახებისაჲ? რამეთუ უკუეთუ ბოროტ არს ერთგზის მიახლებაჲ ცოდვასა და ამისთჳს უმჯობესად გგონიეს ყოვლადვე არა მიახლებაჲ უალრესსა მას ცხორებასა, რაჲზომ უძჯრეს არს ყოველისაცე ცხორებისა შენისაჲ ყოფად ცოდვასა შინა და ამისთჳს ყოველითურთ შორს დარჩომაჲ წმიდისა მის ცხორებისაგან?

ვითარ ისმენ სიტყუათა მათ ჯუარცუმულისათა, გულისთქუმათა შინა მყოფი ეგე, ცოდვათა შენთათჳს მომკუდრისა მის,[1*] მათ შინა ცოცხალი ეგე?! ვითარ ისმენ მცნებასა მისსა, რომელი ბრძანებს შედგომად მისდა[2*] და, ვითარცა ეშმაკთა საძლეველისაჲ, ჯუარისაჲ მჴართა ზედა ტურთვაჲ, რომელი-ეგე არა ჯუარს-ეცუმი სოფლისა[3*][142] და მოკუდინებასა ჯორცთასა არა შეიწყნარებ?![4*] ვითარ ირწმუნებ სიტყუათა მათ პავლე[5*] მოციქულისათა, რომელი-იგი გეევედრების | „წარდგინებად ჯორცთა შენთა მსხუერპლად ცხოველად სათნოდ ღმრთისა“, რომელი-ეგე „თანახატ ექმნები სოფელსა ამას, და არა შეიცვალები განახლებითა გონებისა შენისაჲთა“,[6*][143] „არცა ხუალ ახალსა მას ცხორებასა შენსა“,[7*] არამედ ჯერეთ საქმენი „ძუელისა მის კაცისანი.“ გიპყრიან?![144] A 345r

ვითარ იყო შენ მღდელ ღმრთისა, რომელი-ეგე ამისთჳს ცხებულ ხარ, რაჲთა შესწირვიდე მისდა ძღუენთა,[8*] ხოლო ძღუენთა არა უცხოთა, არცა გარეთ შემოღებულთა, არამედ რომელი-იგი ჭეშმარიტად შენი არს, რომელ არს „შინაგანი კაცი შენი“,[9*] რომელსა თანა-აც, რაჲთა იყოს სრულ და წმიდა, ვითარცა თქუმულ არს ტარიგისა მისთჳს,[10*] ყოველისაგანეე ბიწისა და სენისა განშორებული?! ვითარ უკუე შესწირო ესე ღმერთსა, რომელი-ეგე არა ისმენ რჩულისასა, რომელი ბრძანებს არა შეწირვად არაწმიდისა?! და უკუეთუ ღმრთისა ხილვად გსურის, რად არა ისმენ მოსესსა,[11*] რომელი უბრძანებს ერსა ქორწინებისაგან და ყოველისა სოფლისა საქმისაგან განწმედად თავთა თჳსთა, რაჲთა დაიტიონ ღმრთისა გამოჩინებაჲ?![145] უკუეთუ კულა ესე ყოველი მცირედ გიჩს, – „ჯუარცუმაჲ ქრისტეს თანა“,[12*] „წარდგინებად თავისა თჳსისაჲ მსხუერპლად ღმრთისა“,[13*] „მღდელყოფად ღმრთისა მაღლისა“,[14*] ღირსყოფად დიდსა მას ღმრთისა-ხილვასა,[146] – რაჲ გიპოვოთ შენ ამის ყოველისა უმაღლესი?!

რამეთუ უკუეთუ ესენი მცირედ გიჩან და არა დიდ, მცირედ სამე შეჰრაცხნე ამათ მიერ მომავალნი იგი კეთილნი, რამეთუ მის თანა ჯუარცუმისაგან მის თანაცა ცხორებაჲ და მის თანა დიდებაჲ[15*][147] და

[1*] შდრ. რომ. 6,2.10; [2*] შდრ. მთ. 10,38; [3*] შდრ. გალ. 6,14; [4*] შდრ. II კორ. 4,10; [5*] შდრ. რომ. 12, 1-2; [6*] შდრ. რომ. 12, 1-2; [7*] შდრ. რომ. 6,4; [8*] ებრ. 8,3; [9*] შდრ. ეფ. 3,16; II კორ. 4,16; რომ. 7,22; [10*] შდრ. ლევ. 22,19; გამ. 12,5; [11*] შდრ. გამ. 19,15; [12*] გალ. 2,19; [13*] შდრ. რომ. 12,1; [14*] შესაქ. 14,18; [15*] შდრ. რომ. 8,17.

სუფევაჲ იქმნების, ხოლო თავისა თჳსისა წინაშე ღმრთისა წარდგინებისაგან ბუნებისაგან კაცობრივისა ანგელოზთა ბუნებისა მსგავსობაჲ მოგუეცემის. და რომელმან ჭეშმარიტი მღდელობაჲ მოიგოს და დიდსა მას მღდელთმთავარსა შეეყოს,[148] „ეგოს იგიცა მღდელ უკუნისამდე, არღარა მიცემული ჴელთა სიკუდილისათა“.1*

ხოლო ხილვისა ღმრთისა ნაყოფი სხუაჲ რაჲღა ვთქუათ? რამეთუ არარაჲ არს სხუაჲ ნაყოფი მისი, გარნა თჳთ ღმრთისა ხილვაჲ, რამეთუ ყოვლისა სასოებისა თავი და ყოვლისა გულისთქუმისა უმეტესი და ყოველთა კურთხევათა და აღთქუმათა ღმრთისათა და გამოუთქუმელთა მათ კეთილთა და უზეშთაესთა ყოველისა ცნობისა2* აღსასრული და თავი ესე არს, რომლისა მოსესცა სუროდა ხილვად | და ყოველთა A 345v წინაჲსწარმეტყუელთა და მეფეთა და მართალთა3*.

ხოლო ღირს-იქმნებიან მხოლონი „წმიდანი გულითა“, რომელნი-იგი ამისთჳს ჭეშმარიტად „ნეტარ არიან“ და ნეტარცა ეწოდების, „რამეთუ მათ ღმერთი იხილონ,“4* რომელთაგანი ერთი, გუნებავს, რაჲთა შენცა იყო, „ჯუარცუმული ქრისტეს თანა“,5* წარდგომილი წინაშე ღმრთისა, მღდელ უბიწო6* და შესაწირავ, წმიდაქმნილი ყოვლითა სიწმიდითა ქალწულებისა მიერ, განმზადებული მოსლვისათჳს უფლისა, რაჲთა შენცა „იხილო ღმერთი გულითა წმიდითა“, „აღთქუმისაებრ დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“,7* რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

[ლოცვა ყავთ მამისა ეფთჳმესთჳს, რომელმან ესე წიგნი თარგმნა. ღმერთმან ადიდენ სულითა. ამენ]

1* ებრ. 7,23; 24,3; 2* შდრ. II კორ. 12,4; ფილ. 1,9; 3* ლკ. 10,24; 4* შდრ. მთ. 5,8; 5* გალ. 2,19; 6* შდრ. II კორ. 11,2 7* მთ. 5,8.

კომენტარები

1. **„მაღალთა მათ გონებისა ხილვათა შინა“** (115,11-12) – იგულისხმება საღმრთო ხედვაში წარმატებული ადამიანის სულიერი მდგომარეობა, გონებითი მჭვრეტელობა (შდრ. „უკუეთუ *გონებაჲ*, რომელი-იგი მთავარი არს კაცთა შორის, მარადის *მაღალთა* მათ საქმეთა და *ხედვათა შინა* იქცეოდის, შემწე-ეყოფის მას ღმერთი...“, წმ. გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება, წმ. ეფთვიმე ათონელის თარგმანი, P3, 372; შდრ. „თქუმულთა მათ თანა აღვმაღლდი და ჴელის აპყრობითა სიტყუათა მისთაჲთა შინაგან შეუვალთა ჴეცისათა შევედ... ხოლო იგი თჳსისა საქმისაგან არა მომედგრდებოდა, არცა მოსწყუედდა სიტყუასა თჳსსა *მაღალთა გონებათა შინა ქცევისაგან. ეგრეთვე სახედ დიდისა მის მოღუაწებისა იხილვებოდა*, რამეთუ მჭურვალებასა შემწყალსა ყოველი ძალი მისი განეჴმო და სიკუდილად მიახლებულსა, ეითარცა ცუარითა შეცურეულსა, ესრეთ დაუჭენებელად *აქუნდა გონება თჳსი ხედვათა მათ მიმართ მაღალთა* და ეგეთდენისა მის სალმობისაგან არა-რაჲ ეენებოდა“, გრიგოლ ნოსელი, წმიდა მაკრინას ცხოვრება“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარი დაურთო ლალი დათაშვილმა, თბ., 2010, გვ. 21; შდრ. *„გონებაჲ ჩემი ქრისტჱს თანა არს ზეცას“*, იოანე საბანისძე, „აბო ტფილელის მარტვილობა“, ძვ. ქართ. აგიოგ. ლიტ. ძეგ., თბ., 1963, გვ. 70; აგრეთვე: „დაუტევნეს მღელვარებანი საწუთოჲსანი და განყარნა ყოველნი სიზრქენი ნივთთანი, რაჲთა განეწმიდოს თუალი სულისაჲ და ყოს იგო მარჯუე *საღმრთოთა ხედვათათჳს*“, იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976, გვ. 70; შდრ. „...არცა გონებაჲ და გული განმიწმედიან სარკე-ყოფად ღმრთისა და *საღმრთოთა ხედვათა*, არცა სიტყუაპოვნიერ ვარ გამოთქუმად ძალსა მაღალთა გულისჴმისყოფათასა, – ეითარ მეტყუელ ვიქმნე სიტყუათა, აღმატებულთა ყოვლისაჲე კაცობრივისა დაბადებულებისა და ქმნულებისათა“, წმ. იოანე დამასკელი, დასახ. ნაშრომი გვ. 71; შდრ. „რომელთა *გონებაჲ* არა იყო ყოველადვე ქუეყანისა საქმესა და ზრუნეასა, არამედ გარნა *სიყუარულსა ხოლო ღმრთისასა*“, წმ. ეფრემის თქუმული, ჴსენებაჲ წმიდათა მამათაჲ ყოველთა მეუდაბნოეთაჲ, საკითხაი მამათათჳს შესუენებულთა, „უდაბნოს მრავალთაჲი“ აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 28, თბილისი 1994, გვ. 104).
2. **„მარტივითა სიტყჳთა“** (115,15) – იგულისხმება უბრალო, ლიტონი საუბარი.
3. **„სწავლულისაჲ მის“** (115,18) – ბერძნულში შეესაბამება τὸν ἀκροατήν, რაც ნიშნავს **„მსმენელს“**, **„შემსმენელს“** და რაც მოცემულ კონტექსტში გულისხმობს პიროვნებას, რომელიც განისწავლება ქრისტიანულ მოძღვრებაში. ამ სიტყვის ფუძისეული სახესხვაობა მრავლობითი რიცხვის ფორმით გეხვდება ლაოდიკიის საეკლესიო კრების V კანონში (ბერძნ. ἀκροώμενοι; ლათ. audientes). ეპისკოპოს ნიკოდიმოს მილაშის განმარტებით, ეს სიტყვა ჩვეულებრივ გამოიყენებოდა როგორც

სინანულის გარკვეულ საფეხურზე მყოფი პირების, ისე კათაკმეველთა მიმართ (**Правила Православной Церкви съ толкованіями Никодима, епископа далматинско-истрійскаго, С-Петербургъ, 1912 г. т. II, ст. 83-84**).

4. **„სიძნელეცა ცხორებისა მის სოფლიოჲსაჲ“** (115,21-22) – (βαρεῖς τῆς δυσχερείας τοῦ κοινοτέρου βίου). წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში გულისხმობს საერო ცხოვრებისთვის დამახასიათებელ მრავალგვარ სიძნელესა და განსაცდელს (შდრ. „ესე ქვეყანაც *აღსავსეა ამაოებით, ჭირითა და გლოვა-მწუხარებით*“, წმ. ანტონი დიდი, „სწაელანი“, საქ. ეკლ. კალ., თბ., 1991, გვ. 260).

5. **„ჭეშმარიტებისა მის კეთილისა“** (116,1,30-31) – იგულისხმება ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ბუნებითი სიკეთეა (შდრ. მთ. 19,17; შდრ. „ღმერთი არ ანერებს სიცოცხლის მინიჭებას თეით უღირსებისთვისაც კი, რადგან მან, როგორც ბუნებით **უშურველმა და კეთილმა**, განიზრახა ქვეყნიერების შექმნა და შეიქმნა კიდეც, რაც კვლავაც ქმნადობს ადამიანისა და მისი ცხონების გამო“, წმ. ანტონი დიდი, „სათნოებათმოყვარეობა“, საეკლესიო ბიბლიოთეკა, ტ. V, ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2006, გვ. 35; შდრ. „თავად შემოქმედი და უფალი საკუთარი ქმნილების გამო თავის თავზე იღებს ბრძოლას და საქმით ხდება იგი მოძღვარი. ამასთან, რადგან ღმერთობის იმედით შეიტყუა მტერმა ადამიანი, ხორცის საბაბით თეითეე ხდება შეტყუებული, ერთობლივად საცნაურდება რა ღვთის სიკეთე, სიბრძნე, სამართლიანობა და შემძლეობა: სიკეთე იმიტომ, რომ არ უგულებელყო მან საკუთარი ქმნილების უძლურება, არამედ შეეწყალა იგი, დაცემული, და ხელი გაუწოდა მას; სამართლიანობა იმიტომ, რომ ადამიანის ძლეევის შემდეგ არათუ სხვას ამარჯვებინებს იგი ტირანზე, არცთუ იძულებით სტაცებს ადამიანს სიკვდილს, არამედ ვინც ძველად ცოდვის მიერ დაიმონა სიკვდილმა, სწორედ ის აქცია უფალმა მძლეველად, – უფალმა, *კეთილმა და სამართლიანმა*, – და მსგავსით უკუგამოიხსნა მსგავსი“, წმ. იოანე დამასკელი „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა“, ედიშერ ჭელიძის თარგმანი, თბ., 2000., გვ. 380).

6. **„უჴნებელსა შობასა“** (121,1,6) – იგულისხმება მაცხოერის უტკიეილო, ყოეელგეარი ენებულების გარეშე შობა ქალწული მარიამისგან.

7. **„თჳსი არს უჭორცოჲსა მის ბუნებისაჲ“** (121,2,5) – იგულისხმება ქალწულების სათნოება, რაც თეისობრივია ზეციური ძალებისთვის – ანგელოზებისთვის. რაც შეეხება ადამიანს, ქალწულება მისთვის ნებაყოფლობითი ღვაწლია, პიროვნული არჩეანია (შდრ. „წარმოგიდგებოდენ შენ ჭეშმარიტისა სიძისა მიმართ აღთქუმანი, *არაოდეს მაიძულებელისა ქალწულყოფად, ანუ აღმთქუმულყოფად შენდა*. გარნა შენ მრავალნი მიიხუენ და მრავალნი აჩუენენ ქალწულებისა აღთქუმანი“, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ნინო ქაჯაიამ, თბ., 1992, გვ. 235,8-11; შდრ. „ქალწულთაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ, რომელნი-იგი ყოელისა ბიწისა საწოლისასა, ბილწისა სიძეისა და მრუშებისაგან და ყოველიეე საქმჱ, რომელი ცოდეა-ექმნების კაცთა, მისგან განშორებულ არიან. ესეეითართა ქალწულთაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ. და *არიან სანთელნი იგი მათნი კეთილნი საქმენი, რომელ-იგი აღუთქუნეს სიძესა, რომელ არს ქრისტჱ*“, თქუმული წმ. ევსუქი ხუცისა იერუსალჱმელისაჲ მკუდართა აღდგომისათჳს და საშჯელისათჳს..., „უდ-

აბნოს მრავალთავი", გვ. 175; შდრ. „უაღრეს ბუნებისა არს სიწმიდე სრული ქალწულებისა", წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ-არს კიბე, საქ. ეკლ. კალ., თბ., 1986, გვ. 404; შდრ. „სიწმიდესა ქალწულებისასა უვნებელობა ეწოდების და სამართლად, რამეთუ წინამსრბოლი არს ყოველთა აღდგომისა და უხრწნელებისა განხრწნადთა მათ ბუნებათასა", იქვე, გვ. 456; შდრ. „კინნღა მასცა წარხედ სიწმიდისა და ქალწულებისა მადლითა, რომლისა მიერ უფროჲს ყოელისა შესაძლებელ არს მიახლებად ღმრთისა, წმიდისა მის და უხრწნელისა, რომელი-იგი მომნიჭებელ არს უხრწნელებისა და აღამაღლებს ქუეყანით ზეცად მოღუაწეთა მათ", იქვე, გვ. 479).

8. **„ვნებულისა გონებისა მიერ"** (121,2,8) – (ბერძნ. ὑπὸ της ἐμπαθους διαθέσεως). წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში უნდა გულისხმობდეს დასაბამიერი ცოდვით ანუ თავდაპირველი ვნებით გაუკუღმართებულ ადამიანურ გონებას, რომელიც ნებაყოფლობით დაექვემდებარა უკეთური ძალის მიერ შემოთავაზებულ საცთურს, რამაც განაპირობა ადამიანური ბუნების დაცემა. ეკლესიის დიდი მოძღვრისა და მასწავლებლის განმარტებით, ადამიანის ბუნების დაცემას წინ უძღვის გონების დასნეულება ვნებათა მიერ, რაც იწოდება **„ვნებულ გონებად"**. ეს სიტყვები ასევე გულისხმობს ადამიანის გონების აღძრულობას, მიდრეკილებას სხვადასხვა ცოდვის მიმართ (შდრ. *„...ვნებათა სამკუდრებელისა ამის გონებისაჲ..."*, „განმარტება სამოციქულისი", გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2000, გვ. 15; შდრ. „გონების ვნებაჲ გულისსრახვებისაგან განშორებული ჭეშმარიტი მონაზონია", წმ. ევსუქი ხუცესი, „სათნოებათმოყუარეობა", გვ. 233; შდრ. „დასწერა **ვნებულთა მათ** სახითა ჯუარისაჲთა მეორედ და მესამედ, და მყის აღემართნეს კაცნი იგი ცოცხალნი და გონიერნი და ჰმადლობდეს ღმერთსა", ჴსენებაჲ წმიდისა ანტონისი, „უდაბნოს მრავალთავი", გვ. 93). „ვნებული გონების" საპირისპიროდ საეკლესიო ლიტერატურაში გონებასთან მიმართებით არაერთგზის გვხვდება ტერმინი **„უვნებელი"** (შდრ. „ამისთჳს სიბრძნის მეტყუელებაჲ არღარა საგონებელ ჰყოფდა, ვითარმედ კაცი არს, არამედ ანგელოსი, კაცობრივითა ხატითა გამოჩინებული და ვითარმცა არცა ერთი რაჲ აქუნდა ჴორცთა ცხორებისა მიმართ თჳსებაჲ, გინა ზიარებაჲ, ესრეთ იყო **გონებაჲ** მისი ყოელითურთ **უვნებელ**, რამეთუ ეერ დაამდაბლებდა ჴორცთა აგებულებაჲ გონებასა მისსა თჳსთა ვნებათა მიმართ, რომელი-იგი უმაღლეს მათსა ქმნილ იყო", გრიგოლ ნოსელი, წმიდა მაკრინას ცხოვრება..., გვ. 26; შდრ. „გონებისაჲ ჯერ-არს მარადის დაცეა გულისსიტყუათაგან ბოროტთა, რამეთუ მის გამო იქმნების წარმართებაჲ ბოროტისა მიმართ და კეთილისა. ამისთჳს თანა-აც განშორებაჲ ბოროტისაგან და კეთილისა მიმართ მოსწრაფებაჲ, რომლისა მიერ ესოდენი ნაყოფი სიწმიდისაჲ და სიმართლისაჲ იქმნების, ვითარცა-იგი ღაღადებს დიდი იგი ჴმაჲ ტარსუნელისა მის ნესტჳსა პაელესი და გეაუწყებს, თუ რაჲ არს ნაყოფი სულისაჲ, რომელ არს: «სიყუარული, სიხარული, მშუდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ» და შემდგომი ამისა", „ქართული სამართლის ძეგლები", ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., „მეცნიერება", 1970, გვ. 71). საეკლესიო ლიტერატურაში

ანალოგიური შინაარსით გვხედება აგრეთვე გამოთქმა **„შავი გონებითა“**. მაგალითად, „წმ. ანტონი დიდის ცხოვრების“ უძველეს ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ფრიად შეურაცხ ვიდრემე ხარ და **შავცა ხარ გონებითა**“ (უდაბნოს მრაველთავი, გვ. 79). დაცემული, ენებული ანუ „შავი“ გონების საპირისპიროა საღეთო მადლით გაბრწყინებული და განღმრთობილი გონება, რაც ზემოხსენებულ „ცხოვრებაში“ იწოდება როგორც *„მართლგონებად“* (შდრ. „გულის-სიტყუათასა გონებასა მისსა, უნდა მისი გამოხეთქად მართლგონებისად“, უდაბნოს მრაველთავი, გვ. 78).

9. **„არა ჭორწინებისა მიერ“** (122,2,12) – იგულისხმება შობის ის განსაკუთრებული, ყოველგვარ გონებასა და შემეცნებაზე აღმატებული მოვლენა, რაც მხოლოდ მაცხოვრის განკაცებასთან დაკავშირებით გამოვლინდა (შდრ. ლუკა 1,26-35; მთ. 1,18-25; შდრ. „არა ხოლო ესე აქუს [მაცხოვარს] ზეშთაბუნებისა და ზეშთაარსებისაობად, რომელ უქცეველად და შეურევნელად მეზიარა ჩუენ და არარაჲ ევნო ზეშთა საკისისა მის და გამოუთქუმელისა დაცარიელებისაგან, არამედ რამეთუ *ყოველთა ახალთა უახლესი აჩუენა ბუნებითთა წესთა შინა ჩუენთა ზეშთაბუნებისა შჯულთაობაჲ და არსებასაცა ჩუენსა შინა არსებათა უზეშთაესობაჲ, რაჟამს ყოველნივე ბუნებითნი საქმენი ჩუენნი უზეშთაეს ჩუენსა აქუნდეს*“, პეტრე იბერიელი (ფსევდოდიონისე არეოპაგელი), „საღმრთოთა სახელთათჳს“*, შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 23,10-16). მაცხოვრის შობასთან დაკავშირებით წმ. იოანე დამასკელი ბრძანებს: „ყველა სიახლეზე უახლესია, რაც მხოლო სიახლეა მზის ქვეშ, რითაც საჩინოდება ღვთის უსასრულო ძლიერება, რადგან *რა არის იმაზე უფრო აღმატებული, ღმერთი რომ ადამიანი ხდება?*“ („მართლ. სარწმ. ზედმიწ. გადმოც.“, გვ. 380-381) (შდრ. არსენ იყალთოელის ძვ. ქართ. თარგმანი: „აღსრულების ყოველთა ახალთა უახლესი და მხოლოჲ ახალი მზესა ქუეშე, რომლისა მიერ განუზომელი იგი ძალი ღმრთისაჲ საცნაურ იქმნების. რამეთუ *რაჲ უფროჲს არს კაც-ქმნასა ღმრთისასა?*“, იქვე, გვ. 149-150; შდრ. „თეით ქრისტე არის დიდება ქალწულობისა, რადგან არა მხოლოდ მამისგან იშვა იგი დაუსაბამოდ, წარუდინებლად და შეუწყვეილებლად, არამედ მაშინაც, როდესაც ჩვენებრ ადამიანივე გახდა იგი, ჩვენსე აღმატებულად, შეუღლების გარეშე განსხვეულდა ქალწულისგან და თეითვე თაეის თაეში ჭეშმარიტი და სრული ქალწულობა გამოაელინა. ამიტომ, თუმცა მას ჩვენთვის ქალწულობა რჯულად არ დაუდია, რადგან, მისივე თქმისებრ, «ყველა ვერ დაიტევდა სიტყვას» (მათე 19,11), მაგრამ საქმით გეასწავლა იგი და გაგვაძლიერა კიდეც მისკენ, რადგან ვისთვის აღარაა ცხადი, რომ *ამჟამად ადამიანებში ქალწულობა იმოლვაწება?*“, წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწმ. ზედმიწ. გადმოც.“, გვ., 459).

10. **„სავსებაჲ იგი ქრისტეს ღმრთისაჲ“** (122,2,19) – წმ. გრიგოლ ნოსელი პირიფრაზირებულად ახდენს პაველე მოციქულის სიტყვების ციტირებას (კოლ. 2,9), რომელშიც გადმოცემულია საეკლესიო სწავლება იმის შესახებ, რომ განკაცებული ღმერთის ჰიპოსტასი განკაცების შემ-

* ქვემოთ ამ ნაშრომს ეუთითებთ შემდეგნაირად: წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც.

დეგაც სრულადეე იტეედა ღმრთეებას; ეს ჰიპოსტასი, ქალწულის წიაღში დამკვიდრებული, როგორც წმ. გრიგოლ ნოსელი გვასწავლის, თავის ღმრთეებასთან კვლავაც ყოველითურთ განუშორებელი, იშვა რა კაცობრიეად ქალწულისაგან, ქალწულისგანვე ჭეშმარიტ ღმერთადაც გამობრწყინდა ქმნილების მიმართ (შდრ. „ღეთის სიტყჳის განკაცებისას ღმრთეების მთელი და სრული ბუნება მის ჰიპოსტასთაგან ერთში შეუერთდა მთელ ადამიანურ ბუნებას, და არა ნაწილი – ნაწილს. მართლაც, საღეთო მოციქულმა თქვა, რომ «მასში მკეიდრობს **ღმრთეების მთელი სისავსე** ხორციელად» (კოლას. 2. 9), ესე იგი – მის ხორცში. ხოლო ამ მოციქულის მოწაფე, ღმერთშემოსილი და საღეთოთა დიდად [მცოდნე] დიონისე ამბობს, რომ *«მთლიანად გეეზიარა ჩვენ თავის ჰიპოსტასთაგან ერთში»*. რა თქმა უნდა, ეს არ გვაიძულებს ვთქვათ, რომ წმინდა ღმრთეების ყეელა ჰიპოსტასი (ანუ სამიეე) ადამიანობის ყეელა ჰიპოსტასს შეუერთდა ჰიპოსტასურად, რადგან არანაირი ნიშნით არ ზიარებია მამა და სულიწმინდა ღეთის სიტყჳის ხორცშესხმას, თუ არა სათნოჩენითად და განზრახეითად. ამასთან, ღმრთეების მთელი არსების მთელ ადამიანურ ბუნებასთან შეერთებას ვამბობთ, რადგან იმათგან, რაც ჩვენი შექმნისას ჩვენეულ ბუნებაში დასაბამიდან შთანერგა ღმერთმა-სიტყვამ, არაფერი დაიკლო მან, არამედ ყოველივე მიიღო: სხეული, გონისმიერი და მოაზროვნეობითი სული და მათი თვისებები (რამეთუ ამათგან ერთ-ერთს მოკლებული ცოცხალი არსება ადამიანი არ არის). მართლაც, მან, მთლიანმა, მთლიანი მიმიღო მე და მთლიანი შემიერთდა მთლიანს, რომ ყეელასთვის მიემადლებინა ხსნა, რადგან «არმიღებული უკურნებელი იქნებოდა»", წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწ. ზედმიწ. გადმოც.", გვ. 387-388; შდრ. „ამასთან, ის, რომ ღმრთეება ადამიანი გახდა ან ხორცი შეისხა მან, ანდა განკაცდა, არასოდეს გესმენია, მაგრამ ის, რომ ღმრთეება შეუერთდა ადამიანობას მის ჰიპოსტასთაგან ერთში, გეისწაელია. და რომ *ღმერთი შეისახავს ანუ შეიარსებებს უცხოს, ესე იგი, ჩვენეულს*, ეს თქმულია...", იქვე, გე. 394; შდრ. **„სავსებაჲ ღმრთეებისაჲ** ყოელითურთ შეურეენელად და სამარადისოდ განუყოფელად არსებით მკჳდრ იქმნა, სრულებით მიღებულსა მას თანა ჩუენგან ბუნებასა კაცობრივსა, რომელ არიან ჴორცნი და სული გონიერი სულითურთ საცნაურით და თჳთმფლობელით", „სამოციქულოს განმარტება", II, გამოკრებული იოანე ოქრიპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა თბ. 2006, გვ. 662).

11. **„ესეზომ ბუნებით ურთიერთას შორიელთა თჳსითა შუგამდგომელობითა ერთობად მოიყვანებს"** (122,3,6-7) – (შდრ. ბერძნ. τὰ τοσοῦτον ἀλλήλων ἀφεστῶτα τῇ φύσει τῇ παρ' ἑαυτῆς μεσιτείᾳ εἰς συμφωνίαν ἄγουσα; ინგლ. by its mediation bringing into harmony these existences so widely divided; რუს. **приводя своимъ посредствомъ столь далеко отстоящее другъ отъ друга по естеству въ согласие;** ფრანგ. par sa médiation elle conduit à un accord deux êtres de nature si distantes.). წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში გადმოსცემს სწავლებას ქალწულებითი ცხოვრების უდიდესი მადლის შესახებ და მიუთითებს, რომ ამგვარი ღვაწლის გზით, ადამიანი, ერთი მხრივ, მისგან ბუნებითად სრულიად განშორებულს, ღმერთს, თანაეზიარება, ხოლო მეორე მხრივ, ამავე სათნოე-

ბის შუამდგომლობით, თავად ღმერთი განწმენდილ ადამიანთა ცხოვრების თანამონაწილე ხდება (შდრ. „და ვინაჲთგან ესეეთარი არს ქალწულებისა ძალი, რომელ სეცათა შინაცა მამასა მას თანა სულთასა ჰგიეს და კაცთა ცხორებასა იქმს და ღმერთსა თავისა თჳსისა მიერ კაცობრივისა ცხორებისა ზიარებად მოიყვანებს და კაცთა თავისა თჳსისა მიერ ზეცისა საქმეთა სურვილად მიიყვანებს და ვითარცა საკრველი რაჲმე იქმნების კაცთა ღმრთისა თანა შეერთებისაჲ და ესეზომ ბუნებით **ურთიერთას შორიელთა თჳსითა შუამდგომელობითა ერთობად მოიყვანებს**“,* წმ. გრიგოლ ნოსელი, ქალწულებისათჳს, გვ. 122,3,1-7).

12. **„საფილაფოზოთა და ძნელოვნებითა დათხზულთა სიტყუათა“** (122,3,14-15) – ბერძნულ'ში გვაქვს τοὺς κομπωδεστέρους των λόγων. ტერმინი **„საფილაფოზოთა“** მთარგმნელის შენამატია, რასაც მოცემულ კონტექსტ'ში უარყოფითი დატვირთვა აქვს. ცნობილია, რომ ეფთჳმე მთაწმიდელი **„ფილაფოზს“** უწოდებს წარმართ ფილოსოფოსს, ანუ იმას, ვინც საეკლესიო სიბრძნის გარეთ იმყოფება. ეფთჳმესთან **„ფილაფოზი“** განმაქიქებელი სიტყვაა (შდრ. „ვიეთნიმე შეექცეს ქუეყანისა ზომისა ჴელოენებასა, რომელი-იგი მოიპოეს მეგუპტელთა, ანუ მასკულაეთმრიცხუველობასა, რომელსა პატიე-სცემენ ქალდეველნი, და *ესრეთ ამათთა მათ მიერ სწაელისაგან საღმრთოთა სიტყუათაჲსა განეშორნეს. და მეტყუელებამანცა და გამომთქუმელობამან და ფილაფოზობამან მრავალნი უცალო ყუნეს, რომელთა ნიჭით არს ტყუილი, რამეთუ გამომთქუმელობაჲ იგი არა იქმნების თჳნიერ ხლაპართა*, არცა ფილაფოზობაჲ – თჳნიერ ტყუილით მიმოქცეცისა სიტყუათაჲსა“, ბასილი კესარიელის „სწაელთა“ ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკელეეა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1983, გვ. 127,25-31; შდრ. „რომელი-იგი კაცთა შორის უფროჲს ყოელისა დიდად და მტკიცედ შერაცხილ არს, ესე იგი არს სიბრძნე და **ფილაფოზობაჲ**, *მისიცა სიმაღლჱ ამაო არს და არაჭეშმარიტ, უკუეთუ ჴორციელი ოდენ იყოს და საღმრთოჲ სიბრძნე არა შერთულ იყოს მას თანა, და არარად შერაცხილ არს იგი*“, იქვე, გვ. 199,3-6).

ორიგინალის τοὺς κομπωδεστέρους არის შედარებითი ხარისხი სიტყვისა κομπώδης, რაც ნიშნავს როგორც **„მკვეხარას“**, **„ტრაბახას“**, ისე **„მჭევრს“**. ეფიქრობთ, რომ **„ძნელოვნებითა დათხზულთა სიტყუათა“** უნდა გულისხმობდეს რთული სინტაქსური წყობის შემცველ ხანგრძლიე ფილოსოფიურ მსჯელობას, რაც დამახასიათებელი იყო ანტიკური მჭევრმეტყველებისთვის.

13. **„ერთჯერ“** (123,6) ორიგინალ'ში გვაქვს τρόπον τινα, რაც შემდეგნაირად შეიძლება ითარგმნოს: **„გარკვეულწილად“**, **„გარკვეულ აზრით“**, **„რაღაც სახით“**, **„ფაქტობრივად“** (შდრ. ინგლ. as it is; რუს. **но теперь, некоторым образом**; ფრანგ. en fait).

14. **„არცა შემდგომად საბრჭესა შთაჭრისა გუეცნა კეთილი ესე“** (123,21-22) – (შდრ. ბერძნ. μηδὲ τῇ ὑστεροβουλίᾳ τὸ καλὸν ἐγνωρίσαμεν; ინგლ. If we had not to learn the good by after-regrets!; რუს. **если бы случилось не такъ, и мы не опоздали узнать сие благо!**; ფრანგ. Si nous

* ამგვარი შემოკლებით ვიმოწმებთ აქაც და ქვემოთაც ყველგან წინამდებარე პუბლიკაციას.

n'avions pas connu le Beau avec des regrets tardifs!). აღნიშნული სიტყვები ერთგვარი მინიშნებაა წმ. გრიგოლ ნოსელის ცხოვრების გარკვეული მონაკვეთის შესახებ, ვიდრე იგი ბერად აღიკვეცებოდა. წმიდა მამა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქალწულებითი ღვაწლის უდიდესი ღირსება მან მას შემდეგ შეიცნო, რაც საკუთარ თავზე გამოსცადა ქორწინებითი ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მრავალგვარი სიძნელე და განსაცდელი (შდრ. „გონებაჲ კაცისაჲ, რომელი ბევრეულთა სოფლისა ზრუნვათაგან მიმოიდევნებოდის, ვერ-შემძლებელ არს იგი კეთილად განცდად ჭეშმარიტებისა. *და ამისთჳს კეთილ არს ყოველისა პირველად სოფლისაგან განშორებაჲ, რამეთუ დიდ არიან საცთურნი მისნი.* რამეთუ რომელი-იგი არა შეკრულ არნ ქორწინებითა, გულისთქუმითა ბოროტითა და ტრფიალებითა საძაგელითა სტანჯავნ, ხოლო რომელი-იგი შესრულ არნ უღელსა მას ქორწინებისასა, კუალად თითოსახითა ზრუნვითა და საურაჲთა აშთობნ მას. უშვილოებასა შინა სურვილითა შვილიერებისაჲთა შეაწუხებნ; კუალად, შვილნი რაჲ ესხნიან, ზრუნვითა მათითა განილევინ. მონაგებთა საურაჲთა აჭირვებნ, შურითა მეზობელთაჲთა, ზედაჲსზედა სამშჯაეროდ მისლეითა, მარცხებითა ამის სოფლისა საქმეთაჲთა. ამით ყოელითა და სხჳთა ურიცხჳთა ვნებითა დააბნელის და სხჳთა ურიცხჳთა სიმრავლითა ვნებათაჲთა შეპყრობილ იქმნის. ყოველი დღჱ თჳსსა საურაჲსა და შფოთსა მოიღებნ. კუალად ღამენი ზრუნვათა მათ დღისათა აუცნებდიან. ესრეთ ურიცხუნი არიან საცთურნი ამის სოფლისანი, ხოლო განრომაჲ ამათ ყოელთაგან სხჳთ სახით არა არს, თუნიერ სრულიად მოძულებითა და სიყლტოლითა ამის სოფლისაგან და საქმეთა მისთა ბოროტთა და დაუდგრომელთა. ხოლო სიყლტოლაჲ სოფლისაგან არა თუ ჴორცითა განშორებაჲ ოდენ არს საქმეთა მისთაგან, არამედ რაჲთა სრულიად განაშოროს კაცმან სული თჳსი სიყუარულისაგან სოფლისა", ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გე. 216,9-30; 217,1-5).

წმ. გრიგოლ ნოსელის ასკეტური ძეგლის ფრანგულად გამომცემელი მ. ობინო კომენტარს ურთავს ორიგინალის ὑστεροβουλία-ს („გვიან მზრახველობა") და აღნიშნავს: ὑστεροβουλία გამოყენებულია სეპტუაგინტაში მხოლოდ ერთხელ (იგ. 31,3; ძველ ქართულ რედაქციებში სახეზეა შემდეგი შესატყვისები: OS: „ნაკლულევანსა ზრახვასა", B: „უკანასკნელი ზრახვაჲ"). ეს სიტყვა ასევე გვხვდება ბასილი დიდთან Hom. II in. ps. 14, III (PG 29,273A; იხ. Grégoire de Nysse, Traité de la Virginité, Introduction, texte critique, traduction, commentaire et index de Michel Aubineau, les Éditions du CERF, 29, Bd de Latour-Maubourg, Paris, 1966, გე. 275, შენიშვნა 4).

15. **„ცხორებასა მას მოღუაწებისასა"** (124,3,10) – (შდრ. ბერძნ. πρὸς τὴν παρθενίαν; ინგლ. into the virgin life; რუს. **к девству**; ფრანგ. **à** l'état de virginité). მოცემულ კონტექსტში საუბარია წუთისოფელში არსებული შფოთისა და განსაცდელის შესახებ, რაც თან ახლავს საერო ცხოვრებასა და ქორწინებას. როგორც ორიგინალში, ისე სხვაენოვან თარგმანებში, რომლებიც ზემოთ დავიმოწმეთ, სიტყვა **„მოღუაწებისას"** ნაცვლად ყველგან გვაქვს **„ქალწულება"**. საფიქრებელია, რომ მთარგმნელი გარკვეული მიზანდასახულობით იყენებს ამ შესატყვისს იმის წარმოსაჩენად, რომ ქალწულების სათნოება, რაც გულისხმობს პიროვნულ არჩევანს, ნებაყოფლობით ღვაწლს, მსგავსია ანგელოზთა მოქალაქობისა

(შდრ. I კორ. 7, 8-32-34; შდრ. „ელიაც... განა უქორწინებლობას არ შეეტკბო და განა ზეადამიანური ამაღლებით არ მიიღო მან ამის დასტური? ვინ დახშა ცანი? ვინ აღადგინა მკედრები? ვინ განაპო იორდანე? განა არა მან, **ქალწულმა** ელიამ? ელისემაც, მისმა მოწაფემ, განა მისი სწორი სათნოება არ გამოავლინა, როდესაც ორმაგად დაიმკჳდრა მან მადლი სულისა, რასაც ითხოედა? ანდა სამი ყრმა? განა **ქალწულობა** არ იღვაწეს მათ და ამით ცეცხლზე უფრო ძლიერნი არ გახდნენ, რაჟამს **ქალწულობის** გამო მათი სხეულები ცეცხლისგან დაუწეელი აღმოჩნდა? ანდა დანიელმაც განა **ქალწულობით** არ გამოაწრთო სხეული, რასაც მხეცებმა კბილები ვერ შეახეს? განა სხეულის განწმენდა არ უბრძანა ღმერთმა ისრაელს, როდესაც უნდა გამოცხადებოდა მას? განა მღედლებიც საკუთარი თაეის განწმენდის შემდეგ არ შედიოდნენ შეუეალთა შიგნით და არ სწირაედნენ მსხეერპლს? განა რჯულმა დიდ აღთქმულებად არ გამოაცხადა უბიწოება?... **ქალწულობა** არის ანგელოზთა მოღვაწეობა და ყეელა უსხეულო ბუნების თვისება, თუმცა ამის თქმით ქორწინებას როდი შეურაცხეყოფთ (ნუ მოხდება ეს!), რადგან ვუწყით, რომ უფალმა თაეისი აქ ყოფნისას აკურთხა ქორწილი, მოციქულმა კი თქვა: «პატიოსანია ქორწინება და შეუგინებელია საწოლი» (ებრ. 13,4), – არამედ **ქალწულობას** შეეიცნობთ, როგორც კარგზე უკეთესს. მართლაც, სათნოებათა შორისაც არსებობს უმეტესობა და უდარესობა, როგორც აგრეთვე ბოროტებათა შორის. ეიცით, რომ მოდგმის დამწყებთა შემდეგ ქორწინებით არის ნაშობი ყეელა მოკედავი, თვით ისინი კი **ქალწულობის** ქმნილებანი არიან და არა ქორწინებისა. ამრიგად, რაოდენ ადამიანზე უზემოესია ანგელოზი, ეგოდენ ქორწინებაზე უპატიოსნესია **ქალწულობა**“, წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწმ. ზედმიწ. გადმოც.“, გე. 458-459).

16. **„უხრწნელსა მას თანა სიძესა“** (125,8,7-8) – (ბერძნ. τῷ ἀφθάρτῳ νυμφίῳ). იგულისხმება უფალი იესო ქრისტე (შდრ. მთ. 25,6; მრ. 2,19; ლკ. 5,34). წმ. გრიგოლ ნოსელი იყენებს მაცხოერის სიმბოლურ სახეს, რადგან, საეკლესიო სწაელებით, უფალი იესო ქრისტე მარადიული **„სიძეა“** მისდამი დაწინდული ყეელა მორწმუნისა (შდრ. *„ვინადგან საღმრთოსა მას და წმიდასა სიყუარულსა უხილაეისა მის სიძისასა, რომელი დაფარულად აღეორძინა სიღრმეთა შინა სულსა თჳსისათა*, საანჯმნო ჰყოფდა, მაშინ ყოეელთა მიმართ და გულითადსა მას სურეილსა განაცხადებდა სასურველისა მის თჳსისა მიმართ მისწრაფებითა და რადთა ადრე განიჭსნას ჴორცთაგან და მას თავადსა შეეყოს, რამეთუ ჭეშმარიტად ტრფიალისა მიმართ თჳსისა იყო სრბაჲ მისი და არა რაჲსა მიმართ სხჳსა მიდრკებოდა თუალი მისი სიფლისა ამის სასურველთაგანისა“, გრიგოლ ნოსელი, წმიდა მაკრინას ცხოერება.., გე. 26).

17. **„ყოვლითკერძო საცთურ არს ქორწინებაჲ“** (126,10,1) – (შდრ. ბერძნ. πολύτροπός ἐστι καὶ ποικίλη τῶν ἐκ του γάμου κακων ἡ χορηγία; ინგლ. strangely different are the ills with which marriage supplies the world; რუს. **брак влечеть собою разнообразныя и различныя бедствія**; ფრანგ. qu'elle est multiple et bigarrée la profusion des maux issus du mariage). მოცემულ კონტექსტში, რასაკეირეელია, საუბარია არა ქორწინების უარყოფაზე, ან მის დაკნინებაზე, რაც უკიდურესი გაუცხოება იქნებოდა საეკლესიო მოძღერებისგან, არამედ ქორწინებითი ცხოერებისათვის დამახასიათებელ მრავალგეარ განსაცდელზე, რაც საერო, ყოფით ცხოერებაში სხვადასხვა სახით ელინდება (შდრ. „ორნი გზანი არიან ცხორებასა

ამას შინა: ერთი უკუე ზომიერი და მსოფლიოჲ, ქორწინებისასა ვიტყჳ, ხოლო მეორე ანგელოზებრი და ზეშთა სოფლისაჲ, რომელ არს ქალწულებისაჲ, რომელთა შორის, *უკუეთუ ვინმე სოფლიოჲ იგი და ქორწინებისაჲ აღირჩიოს, საბრალობელ უკუე არა არს, ხოლო ეგოდენთა მადლთა სიმდიდრესა ვერ მიემთხუევის, არამედ მიემთხუევისჳ, ვინაჲთგან იგიცა გამოიღებს ნაყოფსა ოცდთაათეულსა*, ხოლო უკუეთუ ვინმე უბიწოჲ და ზეშთა სოფლისაჲ შეიტკბოს, დაღათუ ფიცხელ ახლად დამწყებელთათჳს და ძნიად წარსამართებელ არს გზაჲ, გარნა ჰქონან მადლნი ყოელად საკრველნი, რამეთუ სრული ნაყოფი ასეულისაჲ აღაყუაჳილა", ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე, „დიდი სჯულის-კანონი", გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1975, გვ. 469,2-11; შდრ. „ხოლო სიწმიდე რაჲ თქუა სახღვრად ღმრთისა ხილეისა, არა თუ ქორწინებულნი განყარნა მისგან, არამედ *სიწმიდით დამცუელნი ქორწინებისანი ქალწულებით დაცეულთა თანა ირინნა მხილველ უფლისა და ამათგან განერდომილი მსიძაჲი დაკლებულ და განერდომილ ქადაგა ხილეისაგან უფლისა*", „სამოციქულოს განმარტება", III, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ექთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი 2011, ებრ. მიმართ. 12,14-ის განმარტება; შდრ. *„მე უმჯობესობაჲ მითქუამს ქალწულებისაჲ*, ხოლო ორიე უცოდველ არს – კრძალულებით ქალწულებაჲცა და შჯულიერად ქორწინებაჲცა", „სამოციქულოს განმარტება", II..., 2006„ გვ. 232).

18. **„ძუელთა მათ თქუმულთაჲ"** (127,19-20) – ორიგინალში ამას ემატება შემდეგი სიტყვები: „რომლებმაც მასალა მისცა პოეტებს ტრაგედიებისთვის" (შდრ. ბერძნ. ἅ τοις ποιηταις των δραμάτων τὰς ὑποθέσεις ἔδωκε; ინგლ. which have furnished subjects to dramatic poets; რუს. **каторыя поэтамъ дали содержаніе для трагедій**; ფრანგ. qui ont fourni aux poètes les sujets de leurs drames). აღნიშნული სიტყვები უკავშირდება ტრაგედიებში მოთხრობილ ამბებს, რომლებშიც მთელი სიმძაფრით არის გადმოცემული ნაირგვარი ცოდვის, განსაცდელისა და სისასტიკის შესახებ, რაც სხვადასხვა ჟამს აღსრულებულა ამ წუთისოფელში.

19. **„შეერთებანი უშჯულონი"** (127,21-22) – (ბერძნ. μίξεις παράνομοι) აღნიშნული სიტყვები გულისხმობს უკანონო, ცოდვისმიერ სქესობრივ კავშირს (შდრ. „ქორწინებაჲცა ღმრთისა მიერ განწესებულ არს, ხოლო ქორწინებულნი არა ყოველნი შჯულიერად იქორწინებიან, არცა სათნოდ ღმრთისა, *არამედ იგინი ხოლო არიან სათნო მისსა, რომელნი საღმრთოთა შჯულთაებრ ჰყოფდენ მეუღლებასა თჳსსა*", „სამოციქულოს განმარტება", II..., 2006, გვ. 129).

20. **„ბუნებისა შფოთი და განრყუნილებაჲ"** (127,22) – (შდრ. ბერძნ. ἡ παντοδαπὴ της φύσεως σύγχυσις; ინგლ. every sort of disturbance of nature; რუს. **всякого рода нарушеніе естественныхъ законовъ**; ფრანგ. ce renversement de tout ordre naturel). აქ, ერთი მხრივ, იგულისხმება ჩვენი დაცემული ბუნების მოწუწესრიგებლობა, ენებიანობა და ამბოხი, ხოლო მეორე მხრივ – ადამიანის ბუნების უკიდურესი გაუკუღმართება, რჯულისაგან განდგომა, ბუნებითი წესის დატეება (შდრ. რომ. 1, 26-27).

21. **„რჩულნი"** (127,29) – (შდრ. ბერძნ. νόμους; ინგლ. laws; რუს.

законы; ფრანგ. les lois). მოცემულ კონტექსტში ეს სიტყვა აღნიშნავს თითოეული დანაშაულისთვის განკუთვნილი სასჯელის შესახებ არსებულ კანონებს, კანონმდებლობას.

22. **„განწმედილითა თუალითა სულისაჲთა“** (128,9-10) – წმ. გრიგოლ ნოსელი გულისხმობს სულიწმიდის მადლით განწმედილ გონებას, სულიერ მჭვრეტელობას, როდესაც ადამიანს სულის თვალით ძალუძს დაინახოს და შეიმეცნოს სულიერი სინამდვილე, რაც მატერიალური თვალისათვის უხილაობა (შდრ. *„ყოველივე ზეშთაცა გონებაჲ აღსავსე არს საცნაურითა ნათელითა. და ყოველივე უმეცრებაჲ და საცთური განიჴადების ყოველთაგან სულთა*, რომელთაცა შინა შეეიდეს იგი, რამეთუ ყოველსავე ნათელთ-სიდიდესა მისცემს მათ და საცნაურთა მათ თუალთა მათთა განსწმედს ზედამდებარისაგან მათდა უმეცრებისა არმურისა, რამეთუ აღსძრავს და განაფრთხობს ფრიადითა სიძძიმითა ბნელისაჲთა დაწუხვილთა. და მისცემს მათ პირველად უკუე ნათელსა ზომიერსა. და ესრეთ მათ გემოჲ რაჲ იხილონ ნათლისაჲ მის და უმეტესად სუროდის, მაშინ უსრულესადრე მისცემს მათ თავსა თუსსა და უმეტესად გამოუბრწყინდების, რამეთუ შეიყუარეს ფრიად“, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გე. 34,15-25; შდრ. *„ყოველით კურძო ფრთხილ იყაე და დაუძინებელად გაჴუნდინ თუალი იგი სულისაჲ კრძალვად თავისა თჳსისა“*, ბასილი კესარიელის „სწაულათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გე. 21,26-28; შდრ. „უხილაჲისა ღმრთისა მხედველ უხილაჲნიეე საკმარ არიან თუალნი გულისანი, რომელ არს *გონებაჲ განწმედილი და მხედველი უხილაჲთაჲ*, რაჟამს ღმერთმან განუნათლნეს ყოველნი გ'სანი გულისჴმისყოფისა მისისანი“, „სამოციქულოს განმარტება“, II.., 2006, გე. 542; შდრ. აგრეთვე მთ. 13,15; მრ. 8,18; ინ. 12,40; შდრ. „მონაზონი იგი არს, რომლისა თუალი სულისაჲ მიუაჩრდილებელად ნათელ იყოს“, წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელარს კიბე, გე. 372).

23. **„ცოდვათა ეკლისა“** (129,2,16-17) – ბერძნულში სიტყვა **„ცოდვათა“** მხოლობით რიცხვშია τὴν ἁμαρτίαν, რაც მოცემულ კონტექსტში გულისხმობს ამპარტავნების უმძიმეს ცოდვას. ეს ცოდვა ეკლესიის მამათა მიერ მიჩნეულია როგორც დასაბამი და მისაზი სხვა შეცოდებებისა (შდრ. *„ყელაფრის მწყურვალი – ამპარტავნება*, რომელსაც ძალუძს ქედაზიდოს არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ანგელოზებიც ცათაგან და სინათლის ნაცვლად სიბნელე შემოახეიოს მათ“, წმ. ეფსუქი ხუცესი, „სათნოებათმოყვარეობა“, გე. 264; შდრ. *„ეკლტოდეთ ამპარტავანებასა, რამეთუ ეკლურ არს და აცთუნებს სულთა*, რამეთუ იგი არს წინამძღუარი გულფიცხლობისაჲ“, „ფსეუდომაკარის თხზულებათა ქართული ეკრსია“*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გ. ნინუამ, თბ., 1982, გე. 154,28-30; შდრ. *„იეტლტოდეთ ყოველისაგან ამპარტავანებისა და გულფიცხლობისა, რამეთუ იგი არს, რომელი არა უტეეებს კაცსა შენანებად“*, იქვე, გე. 155,23-25; შდრ. *„ამპარტავნებაჲ საბურველი არს სულისაჲ და ეერ ძალ-უძს ხილვად თავისა თჳსისა“*, იქვე, გე. 230,30-32; შდრ. „არა მოვაკლებთ მადლითა ღმრთისაჲთა ჴსენებასა თქუენსა,

* ქვემოთ ამ ნაშრომს ეუთითებთ შემდეგნაირად: წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი.

თქუენ ძლით მმადლობელნი უფლისანი, რამეთუ კეთილისა ძირისა კეთილნი მორჩნი ხართ, ნაყოფიერნი კეთილთა საქმეთა მიერ და ნამდჳლვე შრომნებრ შორის ეკალთა. *რამეთუ ესოდენთა მოქცეულებითა, ჭეშმარიტებისა სიტყჳსა განმხრწნელთაჲთა გარემოცეულთა არა მიდრეკაჲ საცთურთა მიმართ, არცა სამოციქულოჲსა სარწმუნოებისა ქადაგებისა დატეგებითა აწ მომდინარისა განახლებისა მიმართ შეცვალებაჲ, ვითარ არა დიდებისა მადლობისა ღირს ღმრთისა მიმართ და თქუენდაცა დიდთა ქებათა მომატყუებელი*“, ბასილი კესარიელი, თხზ. ძვ. ქართ. თარგმ., გე. 243,25-34).

24. **„სიგრძესა ჟამთა მათ თანა საუკუნოჲსა მის ცხორებისათა“** (130,3,18) – ბერძნულში გვაქვს „უხანგრძლივესი ჟამი ადამიანურობისა“ (τὸν μήκιστον χρόνον του ἀνθρωπίνου; ინგლ. with the endless ages; რუს. **сіе продолженіе (жизни) съ безконечными веками**; ფრანგ. court intervalle à l'infinité des siècles). მოცემულ კონტექსტში ადამიანის ამქვეყნიური არსებობის თუნდაც ყველაზე უფრო ხანგრძლივი ჟამი შედარებულია მარადისობასთან იმის ნათელსაყოფად, თუ რაოდენ თანაშეუსწორებელი და კნინობითია პირველი მეორესთან შედარებით.

25. **„მარადის მდგომარისა ამის სოფლისა“** (130,3,42-43) – (ბერძნ. της ἀεὶ μενούσης). იგულისხმება მატერიალური სამყარო, წუთისოფელი, ქვეყნიერება, მთელი ეს ხილული სოფელი, რომლის მარადისმდგომობაც, ცხადია, უნდა გავიგოთ მხოლოდ იმ აზრით, რომ უფლის მეორედ მოსვლამდე, მიუხედავად ყოველი ხილული ნივთისა და ცოცხალი არსის წარმაელობისა, ეს სამყარო კვლავაც მყარად იქნება შენარჩუნებული. ამქვეყნიური წარმაელობა, პირველ რიგში, ადამიანის ყოფითი ცხოვრების დროებითობას გულისხმობს. წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში მიანიშნებს იმის შესახებ, რომ სწორედ ეს ქვეყანაა მწირობისა და მსხვრომის ადგილი ღვთის ნებით არარსებობიდან არსებობაში შემოსულ ადამიანთა სხვადასხვა თაობისათვის, რომლებიც გარკვეულ ჟამს იბადებიან და, ერთხელ დაბადებულნი, გარდაცვალების გზით ტოვებენ მას, ხოლო თავად წუთისოფელი, ანუ ეს ხილული სამყარო, კვლავაც აგრძელებს თავის მდგომობას. საესებით ცხადია, რომ აქ აშკარა მინიშნებაა ეკლესიასტეს სიტყვებზე: *„ნათესაი წარვალს და ნათესაი მოვალს, ხოლო ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“* (ეკლესიასტე, მცხ. ხელნ., თბ., 1985, გე. 44; შდრ. „რამეთუ თუთ ეგე ქორწინებაჲცა სიკუდილისაჲვე ნუგეშინისცემა არს. რამეთუ ერთისა სამარადისოდ ყოფაჲ ვერ ეგებოდა, ამისთჳს *მონაცვალეობაჲ ტომისაჲ ქმასაყოფელობად ცხოვრებისა მიმართ დამბადებელმან მოიღონა*“, ბასილი კესარიელის თხზ. ძვ. ქართ. თარგმ., გე. 257, 24-29).

26. **„საღმრთოჲსა მის ცხორებისა აქუნდეს ტრფიალებაჲ“** (130,4,3-4) – იგულისხმება განწმენდილი ადამიანის გონების ტრფიალება საღმრთო მშვენიერებისადმი, ანუ ისეთი სულიერი მდგომარეობა, როდესაც საღმრთო სიკეთეთა შემცნობი და თანაზიარი ადამიანის გონება ნივთიერი სამყაროს ნაცვლად საღმრთო მშვენიერებას არის შემსჭვალული (შდრ. „ამისთჳსცა *საღმრთოდ განისაჯუთრეს ჭეშმარიტი ტრფიალებაჲ უფროს სიყუარულისა*, რაჲთა სრულიად ზეშთა-აღამაღლონ იგი ესევითართა მათ კაცთა უჯეროდ შერაცხჳისაგან. რამეთუ ღმრთივშუენიერ-ყოფაჲ ჭეშმარიტისა ტრფიალებისაჲ არა ხოლო ჩუენგან, არამედ ყოველთა საღმრთოთა სიტყუათაგან იგალობებოდა რაჲ, ვერ დაიტიეს

ერთა სიმრავლემან ერთ-სახეობაჲ იგი ტრფიალებისა ღმერთ-სახელობისაჲ“, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გვ. 40,12-19; შდრ. „ხოლო არს განმაცკრებელსცა **ტრფიალებაჲ საღმრთოჲ**, რამეთუ არა უტევებს, რაჲთა თავთა თჳსთად ცხოველ იყვნენ ტრფიალნი იგი, არამედ მათდა, რომელთა მიმართ ტრფიალ იყვნენ... ეინაჲცა დიდი პავლე, შეპყრობილ რაჲ იქმნა **საღმრთოჲთა ტრფიალებითა** და მიიღო ძალი იგი მისი განმაცკრებელი, საღმრთოჲთა მით პირითა იტყჳს: «არღარა მე ცხოველ ვარო, არამედ ცხოველ არსო ჩემ შორის ქრისტე». და ეითარცა ჭეშმარიტი ტრფიალი, განცკრებულადცა ღმრთისა უწოდს თავსა თჳსსა, რამეთუ არღარა თაეისა თჳსისად ცხონდებოდა, არამედ ტრფიალისა მისა მისისა ცხოველ იყო, ეითარცა ფრიად საყუარელისა“, იქვე, გვ. 41,7-20; შდრ. „ხოლო გულისმთქუმელობითისა კერძოჲსა სათნოებითი უკუე მოძრაობაჲ არს ნამდჳლეე სასურველისა და ჭეშმარიტად კეთილისა მიმართ აღპყრობილ-ყოფაჲ ყოელისა სურჯულისა თჳსისაჲ და რაოდენი-რაჲ არს ჩუენ შორის *ტრფიალებითი ძალი* და წადიერებაჲ, მუნ შემსჭუალვაჲ ყოელისაჲეე რწმუნებითა ამისითა, ეითარმედ არარაჲ სხუაჲ არს სასურველ ბუნებისა მისისა თუნიერ ხოლო სათნოებაჲ და სათნოებისა წყარომყოფელი ბუნებაჲ“, ეპისტოლე კანონიანი გრიგოლი ნოსელისაჲ, „დიდი სჯულისკანონი“, გე. 512,1-7). წმიდა მამები ღვთის მიმართ ადამიანის მხურვალე სიყვარულის წარმოსაჩენად ხშირად იყენებენ სიტყვა **„ტრფიალებას“** (შდრ. „გონებისა კეთილისა **ტრფიალებაჲ ღმრთისა** მიმართ“, I პეტრე, 3,21; შდრ. „ჩემი *ტრფიალი* (ე. ი. მაცხოვარი) ჯუარცუმულ არს“, წმ. ეგნატე ანტიოქიელი, საქ. ეკლ. კალ., თბ., 1988, გვ. 622). ღვთისადმი უსაზღვრო ტრფიალების გამომხატველია დავით წინასწარმეტყველის შემდეგი სიტყვები: *„ეითარცა სურინ ირემთა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“* (ფს. 42,2). ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. წმ. გრიგოლ ნოსელის შრომა: „პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“, ტექსტი ძვ. ბერძნულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ედიშერ ჭელიძემ (საქ. ეკლ. კალ., თბ., 1989, გვ. 256-257).

27. **„ჭეშმარიტმან მან გულისჴმისმყოფელმან“** (130,4,7-8) – ბერძნულში გეაქვს „საღმრთოთა კეთილთა მცოდნე“ (შდრ. ὁ ἐπεσκεμμένος τὰ θεια καλως; ინგლ. studying the divine ways; რუს. **правильно понимающій божественные предметы**; ფრანგ. qui a bien observé les choses divines), რაც მოცემულ კონტექსტში, ბუნებრივია, უნდა გულისხმობდეს ისეთ ადამიანს, რომელსაც სულიწმიდის მიერ აქვს მინიჭებული განმრჩეველობის უდიდესი უნარი, ერთმანეთისაგან განასხვაოს და გამიჯნოს მარადიული და წარმაეალი, სულიერი და მატერიალური, უნიეთო და ნიეთიერი სიკეთეები (შდრ. *„აწ უკუე ცნობაჲ ჭეშმარიტისა მის სიმართლისა ძნელ არს და უჭმს დიდი და მაღალი და სრული გონებაჲ“*, ბასილი კესარიელის „სწაელათა“, ეფთეიმე ათონელისეული თარგმანი, გე. 130,22-23; შდრ. „მართლაც, არა თუ კნინია ეს სათნოება [იგულისხმება **„განმრჩეველობის მადლი“** – პროტოპრესვიტერი. გ. ზ.], არამედ სულიწმიდის უსაჩინოეს ნიჭთაგანი, რის შესახებაც უთქვამს მოციქულს: „ნაწილს სულისგან ეძლევა სიტყვა სიბრძნისა, სხვას – ცოდნისა, იმავე სულის კვალობაზე, სხვას – რწმენა, იმავე სულში, სხვას – კურნებათა ნიჭი, სხვას – *სულთა განმრჩეველობანი*“, I კორ. 12,8). შემდეგ, სულიერ ნიჭთა ჩამონათვალის დასრულებისას, დასძენს: „ხოლო ამ ყოველივეს მოქმედებს ერთი და

იგივე სული" (I კორ. 12,11); შდრ. „ნახეთ, მაშ, არა მიწიერი, არცთუ კნინი რამეა საბოძვარი *განმრჩეულობისა*, არამედ ესაა საღვთო მადლის უდიდესი ძღვენი, რომელსაც თუ მონაწონი მთელი ძალითა და გულმოდგინებით არ შეუდგება და მის წინაშე წარმოდგომილ სულთა *განმრჩეულობას* მტკიცე განსჯით არ დაეუფლება, აუცილებლად ისე მოხდება, რომ იგი, როგორც ღამეში გზააბნეული, არა მხოლოდ ბოროტების უსაშინლეს ორმოებში ჩაეარდება, არამედ თვით გაეკეტებულ და სწორ ადგილებშიც წაიფორხილებს" (წმ. კასიანე რომაელი, „სათნოებათმოყვარეობა", გვ. 131; შდრ. „რამეთუ გულისსიტყუაჲ *კეთილად განმრჩეულობისაგან* რაჲ საქმეთაჲსა დაემჴუას, ნივთსა შორის იოცნებს ყოფასა კეთილისასა არა აღმხილველი უნივთოჲსა მის კეთილისა მიმართ და ქუეყნიერთა მიმართ მიადენს *გულისთქუმითსა ძალსა სულისასა ჭეშმარიტისა სასურველისა* დატეებითა", ეპისტოლე კანონიანი გრიგოლი ნოსელისაჲ, „დიდი სჯულის-კანონი", გე. 518,12-16).

28. **„ჴორცთა ამათ შინა"** (131,13-14) – (ბერძნ. ἐν τω σκήνει) იგულისხმება ადამიანის ამქვეყნიური არსებობა, წუთისოფელში მყოფობა. ამაევ შინაარსს იტევს სიტყვა **„საყოფელი"**, რაც წმ. პეტრე მოციქულთან დასტურდება: „ხოლო სამართლად შემირაცხიეს, ვიდრე-ესე ვარ მე ამას **საყოფელსა** შინა განღჳძებად თქუენდა მოჴსენებითა. უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატეებაჲ **საყოფელისა** ამის ჩემისაჲ, ეითარცა-იგი უფალმან ჩუენმან, იესო ქრისტემან მაუწყა მე" (II პეტრე 1,13-14).

29. **„მწირობისა"** (131,15) – (ბერძნ. τὴν παροικίαν). სიტყვები **„მწირობა"**, **„მსხემობა"**, **„მდგმურობა"** საეკლესიო ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავს ადამიანის დროებით მყოფობას წუთისოფელში, რადგან ეს ქვეყანა მხოლოდ დროებითი და არა მარადიული სამყოფელია ადამიანისათვის (შდრ. „წელნი დღეთა ცხორებისა ჩემისათანი, რომელთა *ემწირობდ* (*„ემსხემობ"*, CB და KS რედაქციით) ქუეყანასა ამას, არიან ას ოც და ათ წელ" (შესაქ. 47,9. „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი", ნაკეთი I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, „მეცნიერება", თბ., 1989, გვ. 276-277; შდრ. I პეტრე 1,17; შდრ. ებრ. 11,13; შდრ. ფს. 119,5). ამ ტერმინთან დაკავშირებით იხ. „გზა სამეუფო", წმ. კლიმენტი რომაელის „ეორინთელთა მიმართ" I ეპისტოლე, თბ., 1997, სქოლიო 1, გე. 8).

30. **„კედარი"** (131,22) – წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში იმოწმებს დაეით წინასწარმეტყველს (ფს. 119,5), სადაც სიტყვა **„კედარი"** იხსენიება. დიდი კაბადოკიელი მოძღვრის განმარტებით, **„ბნელსა"** ეწოდების ებრაელითა ენითა **„კედარი"**. სიტყვა **„კედარი"**, რომელიც ყოფით მნიშვნელობით ქვეყნიერების გარკვეულ მხარეს აღნიშნავს, სიმბოლური, გადატანითი მნიშვნელობით საეკლესიო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ნათელთან უხიარებლობის, ღვთისაგან მიტოვებულობის, ჭეშმარიტი რწმენისაგან დაკლებულობის, სულიერი სიბნელის, საღეთო ჭეშმარიტებისაგან გაუცხოებული მდგომარეობის აღსანიშნავად (შდრ. **„კედარსა** მას ქუეყანასა", „მოქცეულ ქართლისაჲ", შატბერდის კრებული X ს-ისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979, გე. 320). ფსალმუნის აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით, სადაც სიტყვა **„კედარი"** იხსენიება, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დავიმოწმოთ საეკლესიო კომენტარი: „კედარი – სარკინოზთა ტომით დასახლებული ბაბილონის მეზობელი ქვეყანაა, რომელთა შორის განთესილები (განსახლებულნი) იყვნენ ებრაელები. სარკინოზები გამოირჩეოდნენ მხე-

ცური ზნე-ჩეულებებით და, მართლაც, არაფერია იმაზე მძიმე, ვიდრე ბოროტ ადამიანებთან ურთიერთობა! ღვთაებრივი დაჳთი კედარის დასახლებებს უწოდებს ყოველივე მიწიერს, რაც იმაჳეს ნიშნავს, რასაც წყედიადის დასახლებები. გამოიკელიე მართალთა ღაღადება და დარწმუნდები, რომ ყველა ისინი გოდებენ ამ წუთისოფელზე, აქ არსებულ საწყალობელ სიცოცხლეზე, რადგან სურვილი (აქეთ) განსლვად [განშორებად] და ქრისტეს თანა ყოფად" (ფილ. 1,23); შდრ. „ამის გამო წინასწარმეტყველი სწუხს თავისი მწირობის განგრძობისათვის როგორც რამ დაბრკოლებაზე სეციურ სიხარულთან სასიარებლად; ვინაიდან არა მიწისაგან მოღებული სხეული მსხვმობს აქ, არამედ სხეულისათვის ღვთის მიერ ბოძებული სული", [თარგმანი ჩვენია. პროტოპრესვიტერი გ.ზ.]. რუს. ტექსტი: **"Кидар - соседняя страна с Вавилоном, населенная племенем сарацин, имевших зверские нравы, между которыми расселены были евреи. А ведь нет ничего тяжелее - чем обращение со злыми людьми. Да и все земное божественный Давид называет селениями кидарскими, что есть то же, что селения тьмы. Исследуй гласы праведных и ты убедишься, что все они оплакивают мир "сей" и в нем бедственную эту жизнь, ибо желание (имеют) разрешится и со Христом быти (Фил. 1,23). Пророк поэтому огорчается продолжением своего пришельствия, как препятствием к небесной радости; ибо не тело, взятое из земли, странствует здесь, но душа, посланная в тело от Бога" (Григорий Богослов, Афанасий, Феодорит, Евсевий, Василий В., Никита, Каллист и Игнатий Ксанфопулы. Псалтирь в святоотеческом изъяснении, Свято-Успенская Почаевская Лавра, 2003, стр. 506).**

31. **„იჭჳთა მით ოდენ უგულისჴმოთაჲთა არს ესრეთ"** (131,27-28) – (შდრ. ბერძნ. ἐν μόνῃ τῃ ὑπολήψει των ἀνοήτων ὑφέστηκειν; ინგლ. exist only in the conception of the unreflecting; რუს. **существуеть только въ одном представлении неразумных;** ფრანგ. ne sont telles que dans l'opinion des insensés) – იგულისხმება, რომ სულიერი წყედიადით მოცული ადამიანები დაბრმაებულნი არიან წუთისოფლის საცდურით და ვერ ხედებიან, რომ ის ყველაფერი, რაც მათ მიერ კეთილად ან ბოროტად არის მიჩნეული, მაგ. დიდება, სიმდიდრე, სიგლახაკე, უძლურება, მდიდართა ან ღარიბთა შეილობა, ძალაუფლება ან სხვა რაიმე, მხოლოდ უგუნურთა აზრით არის ასეთი და არა სინამდვილეში. სიტყვა „იჭუ", რაც ტექსტში მოქმედებით ბრუნვაშია – „იჭჳთა" – აღნიშნავს: „ფიქრს", „შეხედულებას", „წარმოდგენას" (შდრ. ინგლ. conception; რუს. **представлении**; ფრანგ. l'opinion), რაც შეეხება სიტყვას **„უგულისჴმოთაჲთა"**, მართებულია A-ს წაკითხვა **„უგულისჴმოთაჲთა"** (შდრ. ბერძნ. των ἀνοήτων; ინგ. unreflecting; რუს. **неразумныхъ**; ფრანგ. des insensés), განსხვაებით C-სგან, სადაც გვაქვს **„უგულისჴმოჲთა"**.

32. **„წინამდებარისა მის ჭეშმარიტისა სადგურისა მიმართ"** (132,4,56-57) – ბერძნულში გვაქვს „წინამდებარე მიზნის მიმართ" (შდრ. πρὸς τὸν προκείμενον σκοπόν; ინგლ. to its self-imposed end; რუს. **предположенной себе цели**; ფრანგ. le but qu'il s'est fixé là-haut), რაც მოცემულ კონტექსტში გულისხმობს ღვთის მარადიულ სასუფეველს, რომლის მოპოვებაც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის უპირველესი მიზანია (შდრ. მთ. 6,33). საეკლესიო ლიტერატურაში სიტყვა **„სადგური"** სიმბოლური მნიშვნელობით ხშირად მიემართება სასუფეველს (შდრ. „ხოლო რაჲ არს მენაეეთმოძღურებაჲ ესე, რომელსა იტყჳს? გარნა თუ სხუაჲ არარაჲ, არამედ ჴელოენებაჲ რაჲმე საქმეთა ზედა სულისათა და

დაუდგრომელსა მას ზედა ბუნებასა კაცთასა, თუ ვითარ ვინ შეუძლოს იგი წიაღ-ყვანებად სოფელსა ამას და ცხორებასა ამას წარმავალსა, რომელი-ესე მრავალგან წოდებულ არს წერილთა მიერ ზღუად და მდინარედ და წყლად, ვითარცა მეფსალმუნემ იტყჳს, ვითარმედ: «გამოავლინა მაღლით, შემიწყალა მე და შემიწუნარა მე წყალთაგან მრავალთა». რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ შფოთსა მას სოფლისასა იტყჳს წყლად, რომელსა შინა არცა კეთილი მისი მტკიცე არს და შეურყეველ, არცა ჭირი მისი არს შეუცვალებელ, არამედ ყოველნივე საქმენი მისნი ღელვასა შინა და მიმოვრდომასა და შეცვალებასა არიან", ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გე. 137,11-21; შდრ. „ნეტარ ხართ თქუენ, წმიდანო ქრისტჱსნო, რამეთუ გულს-მოდგინებითა თქუენითა აქა მოიწიენით და კეთილად ნავი თუსი წარიმართეთ და აღძრვისა მისგან დიდისა ღელჳისა განერენით და თუსითა ჴელოვნებითა და მოსწრაფებითა, რომელი-იგი გაქუნდა, *აქა მოიწიენით აწ ნავით სადგურსა ამას ცხორებისასა სულისა წმიდისა თქუენდა წინამძღუარებითა*, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე. ამენ", ეფრემის თქუმული შესუენებულთათჳს, „უდაბნოს მრავალთაჲი", გე. 107-108; შდრ. „ნუ იქნები თავით თუსით მენაველ, რაჲთა არა დაჲთქა ნავი ზღუასა. მიეც ფლობაჲ ნავისმართებელსა, რაჲთა მან მიჰმართოს სავანესა მას და დაადგინოს ნავთსადგურსა მას ცხორებისასა", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყჳის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 156,10-12).

33. **„სოფლისა ამის ზღუასა"** (132,4,59) – ბერძნულში მხოლოდ **„ამსოფლიური ყოფის"** აღმნიშენელი სიტყჳა გეაქვს (τὸν βίον), რაც შეეხება **„ზღვას"**, იგი მთარგმნელის შენამატია. საეკლესიო ლიტერატურაში ეს სიტყჳები ხშირად გამოიყენება წუთისოფელში არსებული დაუდგრომლობის, შფოთის, ურიცხჳი საცდურისა და განსაცდელის აღსანიშნავად (შდრ. „და ერთი რაჲმე სიყუარული ჴორციელი, რომელი აქუნ კაცსა და შეკრულ არნ ნებსით თუსით, იგი ექმნის მას ჯაჭუ და საკრეელ და ტყრთ მძიმე და დამანთქმელ **ზღუასა ამის სოფლისასა** და არა უტევებნ მას ღმრთისა მისლვად, რამეთუ რომელიცა ვინ შეიყუარა, მის მიერცა მიიზიდვის", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყჳის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 245,33-246,3; შდრ. „ვით მსრბოლთა ნიავი უჴმს კეთილმსრბოლობისათჳს, ხოლო ჩუენ ჴელისამჴყრობი ჩუენი და *უცილობელად წარმაელებელი მარილიანთა მათ ზედა ღელვათა საწუთოჲსათა*", ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გე. 246,1-3). იხ. აგრეთვე **კომენტარი 39**. **„სოფლისა ზღუაჲ"** წუთისოფლის მნიშენელობით არაერთ შემთხვევაში გვხვდება ნევმირებულ ძლისპირებშიც. დავიმოწმებთ ერთ მათგანს: **„სოფლისა ზღუაჲ** აღძრულ არს ღელვითა ცოდვისაჲთა, საშინელად დამთქამს მე და მოეიელტი შენდა, ნაეთსაყუდელსა, და ესრეთ გიღაღადებ: დანთქმისაგან მიჴსენ მე, მრავალმოწყალე", ნევმირებული ძლისპირნი (ხელნაწერი A 603), ძველი ქართული მწერლობის ძეგლები, III, გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ, მეცნიერება, თბ., 1982, გვ. 567. აღნიშნულთან დაკავშირებით, ეფიქრობთ, უაღრესად საყურადღებოა წმ. პაელე მოციქულის სიტყვების (გალ. 1,4) საეკლესიო კომენტარი. მოციქულისაჲ: „რაჲთა განმარინნეს ჩუენ სოფლისა ამის ბოროტისაგან". თარგმანი: არა სოფელსა უწოდს ბოროტ, არცა ჳამთა საწუთოჲსათა, რომელნი-ესე ღმრთისა მიერ კეთილად დაბაღებულ არიან, არამედ ცოდვათა ამათ და უწესოებათა, რომელნი

შეგუემთხუეიან საწუთროსა ამას სოფელსა შინა დღითი-დღე და ჟამითი-ჟამად" („სამოციქულოს განმარტება", II..., 2006, გვ. 472).

34. **„ზრქელი იგი და ქუედადრეკილი გონებითა და სულითა"** (132,5,1) – (*Βερ.ძნ.* Ο δὲ παχὺς τὴν διάνοιαν καὶ κάτω βλέπων καὶ συγκεκυφὼς τῃ ψυχῃ). აღნიშნულ სიტყუებში იგულისხმება ცოდეებში დაცემული ადამიანის უკიდურესად გაუხეშებული სულიერი მდგომარეობა, ღეთისაგან გაუცხოება, გონებისა და სულის სიუხეშე, ხორციელი გულისთქმებისა და ენებებისადმი დამონება, მხოლოდ ამქეყნიურ, მატერიალურ საზრუნაჳსე მიჯაჭეულობა (შდრ. ინ. 1,13; შდრ. I კორ. 2,14; შდრ. „ეინაიცა მოციქული მისწერდა რაჲ **ზრქელთა** და ჯერეთ ჩჩულთა მიმართ, თჳთმებრეე ჯორცთაჲ წინა-უყო მათ...", „სამოციქულოს განმარტება", II..., 2006, გვ. 218; შდრ. „ესე ჩუეულებაჲ წარმართთა ფილოსოფოსთაჲ არს, ვითარცა **ზრქელთა** და მშუნეიერთაჲ, რაჲთა არცა ერთი რაჲ რწმენეს საქმეთა მათგან, რომელნი ზეშთა იყვნენ ცნობისა... მათისა", ებრ. მიმართ ეპისტ. 11,13-ის განმარტება, გვ. 88).

35. **„საშჯელი გეჰენიად და ბნელად გარესკნელად და ცეცხლად მიცემაჲ"** (133,5,32) – აღნიშნული სიტყუები გადმოსცემს ეკლესიის სწაელებას ჯოჯოხეთის შესახებ, რომელიც მარადიული ტანჯუის ადგილია ცხონებას მოკლებულთათჳის. მაცხოერის მიერ სიტყუა **„გეჰენია"** არაერთგზის არის გამოყენებული დაუსრულებელი, მარადიული ტანჯუის აღსანიშნაედ (შდრ. მთ. 5, 29-30; 18,9; 23,33; მრ. 9,43, 45,47; 13,15; ლკ. 12,5; შდრ. *„გეჰენიასა შინა დაისაჯოს"*, წმ. ეგნატე ანტიოქიელი, „ფილად. მიმართ ეპისტოლე", საქ. ეკლ. კალ., თბ., 1988, გვ. 572).

36. **„მიშუებაჲ ღმრთისაჲ"** (133,5,39) – აღნიშნული სიტყუები ორიგინალში არ დასტურდება, ისინი წმ. ეფთჳმე მთაწმიდელის შენამატია და გადმოსცემს სწაელებას ღეთის დაშეების შესახებ, როდესაც უფალი განგებულებით უშვებს განსაცდელს ადამიანსე, რაც სხეადასხა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწეეული. როგორც ჩანს, მთარგმნელი მოცემულ კონტექსტში საგანგებოდ ამახეილებს ყურადღებას ღეთის დაშეების იმ შემთხეევაზე, როდესაც ადამიანი ცუდადმჳეაობრობის, ამპარტაენებისა და მოყეასის განკითხეის ცოდეაში იმყოფება, რასაც, მისიეე სწაელებით, თან სდეეს სხეა უმძიმესი შეცოდებანიც, რომელთა საბოლოო შედეგიც მარადიული სატანჯეელია. ღეთის დაშეების მაგალითები არაერთგზის გეხეედება როგორც წმიდა წერილში, ისე ეკლესიის მამათა შრომებში, სხეადასხა სახის პატერიკში, ზოგადად, საეკლესიო ლიტერატურაში. ამ საკითხის შესახებ საგანგებოდ მსჯელობს წმ. იოანე დამასკელი (იხ. „მართლ. სარწ. ხედმიწ. გადმოც.", თბ., 2000, გვ. 376-378).

37. **„მონებისა მისგან მეგჳპტელთაჲსა"** (133,6,9) – საეკლესიო მწერლობაში ეგეიპტე, სიმბოლური მნიშენელობით, ხშირად უიგიეება ჯოჯოხეთს, ხოლო ეგეიპტელნი – ეშმაკთ. სწორედ ამგეარი სახე-სიმბოლოა გამოყენებული მოცემულ კონტექსტში, სადაც საუბარია ეგეიპტელთა მონობისაგან ისრაელიანთა გათაეისუფლების შესახებ (შდრ. „ეერცა განთაეისუფლდეს მონებისა **მისგან მეგჳპტელთაჲსა**, რომელმან არა დაუტეოს ეგჳპტე, – ბნელსა მას და უყუნსა სოფლისა ცხორებასა ვიტყჳ" (გვ. 133,6,9-11). სიტყეები **„უხილავნი მეგჳპტელნი"** ასეთიეე სიმბოლური მნიშენელობით არის გამოყენებული წმ. მაკარი დიდის მიერ (შდრ. „ხოლო კაცი განთაეისუფლდა **მონებისა მისგან** მწარისა და უხილავთა მათ **მეგჳპტელთაგან**, რომელ არიან ეშმაკნი", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყეის

ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 320,6-8; შდრ. „უკუეთუ სულთ-ითქუნეს სულმან მან ღმრთისა მიმართ და ღაღად-ყოს, მოავლენს მისა შემწედ სულიერსა ამას მოსეს, რომელმან იჴსნას იგი **მონებისა მისგან მეგუპტელთაჲსა**“, იქვე, გე. 321,3-5; შდრ. „და ვითარცა აჰრდილსა მას შინა რჩულისასა მოსეს ეწოდებოდა მაცხოერად ისრაჱლისა და განიყვანნა იგინი ეგუპტით, ეგრეთვე აწ ჴეშმარიტი იგი მჴსნელი ქრისტე შევალს დაფარულთა შინა სულისათა და გამოიყვანებს მას **ეგუპტით მძიმისა მის მონებისაგან** და გუასწავებს ჩუენ, რაჲთა განვიდეთ სოფლით და დაეგლახაკნეთ საქმეთაგან ამის სოფლისათა, რაჲთა ყოვლადვე არაჲ ჴრუნვაჲ გუაქუნდეს, არამედ რაჲთა ღამე და დღე ვდგეთ კართა ზედა და მოველოდით, თუ ოდეს მოვიდეს უფალი და განახუნეს დაჴშულნი იგი კარნი გულისანი და მოჰფინოს ჩუენ ზედა ნიჭი იგი სულისა წმიდისაჲ, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 344,8-17).

38. **„მეწამული იგი“** (133,6,11) — იგულისხმება მეწამული, ანუ წითელი ზღვა, რომელიც მოსე წინასწარმეტყველის წინამძღოლობით სასწაულებრივად განვლეს ისრაელიანელებმა ეგვიპტის ტყეობიდან გამოსვლის დროს (შდრ. „უფალი განაგებდა მათთჳს და უბრძანებდა მოსეს კუერთხითა განპებასა *ზღუასა*, რაჲთა განვლოს ერმან. მაშინ განიპო ზღუაჲ და იქმნა ზღუდედ მარჯუენით და მარცხენით, ვიდრემდე განვლო ერმან მან, ვითარცა ჴმელსა. შევიდეს მეგუპტელნიცა, რამეთუ სავალ და წრფელ ეგონა *ზღუაჲ* იგი. განვიდეს ისრაჱლნი *ზღუსაგან* და შევიდეს მეგუპტელნი *ზღუად*. სწორ იყო მათ ორთავე შესლვაჲ, ხოლო არა სწორ იყო განსლვაჲ. რამეთუ პრქუა უფალმან მოსეს: «მოაქციე კუერთხი შენი და ეც *ზღუასა*». მაშინ დაანთქა ფარაო და ყოველი ძალი მისი მეწამულმან *ზღუამან*. იხილა ერმან მან დიდი იგი მაცხოვრებაჲ, რამეთუ მტერნი მათნი წარწყმდეს სლუასა შინა“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 323,19-29).

39. **„შავი ესე და ბნელი ამაოჲსა ამის ცხორებისა ზღუაჲ“** (133,6,11-134,12) — აღნიშნული სიტყვები თავიანთი მნიშვნელობით იგიცვა, რაც **„სოფლისა ზღუაჲ“**. ამასთან დაკავშირებით იხ. **კომენტარი 33**.

40. **„ფრთითა მით სათნოებისაჲთა“** (134,6,29-30) — წმიდა მამის მიერ სახისმეტყველებითად გამოყენებული სიტყვები მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს ჭეშმარიტი რწმენით განათებული მოღვაწეობითი ცხოვრების შედეგად მოპოვებულ სულიწმიდის მადლს, რაც ადამიანს განწმედას, გულისხმიერებასა და მუდმივ განახლებადობას ანიჭებს. წმ. გრიგოლ ნოსელის სწაელებით, როგორც ფრინველს ფრთების მეშვეობით შეუძლია ზეცად აფრინდეს და თაი დააღწიოს მისთვის დაგებულ მახეს, ასევე ადამიანსაც მხოლოდ ღვთის მადლის შემწეობით, სიწმიდით, სათნოებითი და საღმრთო მოქალაქეობით ძალუძს განერიდოს წუთისოფლის მრაველგვარ საცთურს (შდრ. „რამეთუ ადამ რაჲ დაჰბადა ღმერთმან, არა მისცნა მას ფრთენი, ვითარცა მფრინველთა, არამედ განუმზადნა მას *ფრთენი იგი სულისა წმიდისანი*, რომელთაჲ ეგულებოდა მიცემად აღდგომასა, რაჲთა იგინი მიიტაცებდენ მას, სადაცა სულსა ენებოს. და *ფრთეთა მათ აწე მოღებად სულნი წმიდათანი ღირს იქმნებიან და გონებითა ზეცად აღვლენ*“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 254,14-19; შდრ. „უქორწინებელი ზრახავს მხოლოდ უფლისასა, რაჲთა წმიდა იყო სულით და ჴორცით და პატივსაცა ქალწულებისასა მიგითხრობდ და ტაძრად ღმრთისად სახელ-გდებდი

შენ, ვითარცა *ფრთეთა წადიერებისათა შენდა იესუს მიმართ აღსუბუქ-ბად* და შიშისა სიფიცხითა არა დაცემად შეგეწეოდე", ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გე. 236,32-36).

41. **„მტკიცენი იგი და შეურყეველნი"** (134,7,9) – წმ. გრიგოლ ნოსელი ამ სიტყვებით გადმოგვცემს სწავლებას სულიერი ღირებულებების, ღეთის მარადიული, უნივთო სიკეთეების შესახებ, რაც წარმავლობასა და ცვალებადობას არ ექვემდებარება და არც არასოდეს უქმდება (შდრ. „ზეციური მარადიული სასუფეველი... არის *შეუძრაჲი, დაურღეველი*, რომელიც მაშინაც შენარჩუნდება, როდესაც სხვა ყველაფერი წაირხოცება"; შდრ. ინგ. The eternal kingdom of heaven... is the unshakable, undestructible thing that will remain when everything else passes away, "the Epistle to the Hebrews, a comentary, the Most Reverend Dmitri Archbishop of Dallas and the South, New york, 2003, p. 224"). ამის საპირისპიროდ, წინასწრებ სიტყვებში („არა დაუდრგომელთა მათ ძიებითა **მტკიცენი იგი და შეურყეველნი** უდებ-ეყენეთ") მინიშნებულია ნივთიერ სამყაროში არსებულ ხორციელ სიკეთეთა შესახებ, რომელთაც მხოლოდ ჟამიერი არსებობა აქვთ და დროის მდინარებასთან ერთად უჩინარდებიან (შდრ. მთ. 7,24-28; შდრ. აგრეთვე წმ. გრიგოლ ნოსელი: „რომელი წარმავალსა ამას სდევდეს და წარუვალი იგი დაუტეეოს, უეჭველად ორთაგანეე გამოეჴუების; ერთსა მას – დატევებითა და მეორესა, რამეთუ დამჭირვად შეუძლებელ არს", „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსა" A 55, 85rb-va).

42. **„მამასა მას უხრწნელებისასა"** (135,8,17) – იგულისხმება ღმერთი – ერთარსება სამება, რომელიც არის წყარო სულიერი უხრწნელებისა.

43. **„პირმშოჲსა მის შუენიერებისა"** (135,8,17-18) – იგულისხმება თავდაპირველი, საღმრთო მშვენიერება, რომლის მიმსგავსებითაც, დატევნისამებრ, წარემატებიან სიკეთეში თვით ანგელოზებიც, რომელთა საქმე, მისწრაფება და წარმატება, დიდი საეკლესიო მოძღვრის სწავლებით, საღმრთო დიდებულების დაუცხრომელი ჭვრეტა და შემეცნებაა (შდრ. „უკუეთუ მადლი იგი სულისა წმიდისაჲ არა განამწაროს ბოროტად ქცეეითა, არამედ ყოელითურთ შეუდგეს ბრძანებათა მეუფისათა და გონებითა თჳსითა ბოროტთა მათ გულისსიტყუათა წინააღუდგებოდის და შემშჭუალულ იყოს ყოელით კერძო უფლისადა..., *ეგეეითარი სული ღირს იქმნების მართლიად საკურველებათა და მადლთა ზეცისათა და შეიცვალების იგი უმეტესსა პატივსა და საიდუმლოთა საღმრთოთა და დიდებითი დიდებად მიეალს და განსუენებით განსუენებად უზეშთაესად*, რაჲთა იყოს გონებაჲ მისი საზომსა დიდსა და კადნიერებასა ფრიადსა და სიმდიდრესა მადლისასა. და ესრეთ სრულსა მას საზომსა ქრისტეანობისასა მისწუთის მოღუაწებითა თჳსითა და შეწევნითა ღმრთისაჲთა და შეირაცხოს იგი სრულთა მათ მსახურთა თანა ქრისტესთა სასუფეველსა შინა კეთილისა მის გონებისა მისისათჳს და ფრიადისა მოსწრაფებისა, რომელი კეთილსა შინა გამოაჩინა და დაიმკჳდროს უფლისა თანა უკუნითი უკუნისამდე, ამენ", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 337,9-24; შდრ. „...არცათუ უხორცონი იგი ბუნებანი ანგელოსთანი არიან წარუმართებელ, და მარადის ერთსა ზედა, არამედ *ყოელადეე დიდებითი დიდებად აღელენ და გულის-ხმის-ყოფასა ზედა მარადის გულის-ხმის-ყოფასა განამრაელებენ*", წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ არს კიბე, გე. 419).

44. **„სულიერისა მის და გონიერისა ნათლისა“** (136,6) – იგულისხმება ღმრთეების ბუნებითი ბრწყინვალება (შდრ. ინ. 8,12; I ინ. 1, 7; შდრ. „რაჟამს გონებაჲ ყოველთა არსთაგან განეშოროს და ამისსა შემდგომად თავიცა თჳსი დაუტეოს და *შეერთოს ზეშთაბრწყინვალეთა მათ შარაჟანდედთა*, მაშინ მიერ და მუნ გამოუბრწყინდეს მას გამოუკუღეველი იგი სიღრმე სიბრძნისაჲ. რამეთუ ვითარ-იგი ვთქუ, ყოველთა მიერ ესე იცნობების და ესე არს სიტყუათაებრ წერილისათა: ყოველთა მოქმედი იგი და მარადის ყოველთა შეტყუებული და თჳთ მის ყოველთა შეტყუებისა და წესისა მიზეზი და მარადის დასასრულსა პირველთასა შეაწყობს დასაბამთა თანა მეორეთასა და ერთსა ყოველთა ერთ-სულობასა და შეწყობასა კეთილის-მოქმედებს“, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გე. 72,24-33; შდრ. „რამეთუ გონებაჲ, რომელი არა განიბნეოდის და არცა საცნობელთა მიერ სოფლისა მავნებელთა საქმეთა და გულისსიტყუათა მიიზიდებოდის, მაშინ შემოკრბების თავსა შორის თჳსსა, რამეთუ ოდეს ბოროტისა მიმართ განსაჴალი არა ჰქონდის, აღეალს ღმრთისა მიმართ, და *რაჟამს მიუთხრობელითა მით ბრწყინვალებითა განათლდეს, მერმე თჳსიცა ბუნებაჲ სრულიად დაჰეწყდების* და არცაღა საზრდელისა ზრუნვად, არცა სამოსლისა მიეალნ გონებაჲ მისი. არამედ მოიცალის ყოველისაგანვე ჴორციელისა ზრუნვისა და ყოველი მოსწრაფებაჲ მისი არნ მოგებად საუკუნეთა მათ კეთილთა და ზრუნავნ, თუ ვითარ წარჰმართოს სრული სიწმიდჱ და სიმჴნე სულიერი და სიმართლე და სიბრძნე და სხუანი იგი სათნოებანი, რომელნი-იგი ოთხთა ამათ მშობელთაგან იშვებიან და თითოეულად შეამკობენ ცხორებასა მას მოღუაწისასა“, ბასილი კესარიელის თხზ. ძვ. ქართ. თარგმ. გე. 218,10-23; შდრ. „სიწმიდემან გულისამან შეიწყნარა ბრწყინვალებაჲ საღმრთოჲ, ხოლო ბრწყინვალებაჲ არს ძალი გამოუთქუმელი, რომელი იცნობების უცნაურად და იხილვების უხილავად“, წმიდა იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ-არს კიბე, გე. 300).

45. **„პირუტყუებრიჲისა ბუნებისა“** (136,15-16) – მოცემულ კონტექსტში იგულისხმება უკიდურესი სულიერი დაცემულობა, ხორციელი ვნებების გაბატონება ადამიანის სულზე, გულისთქმებისადმი მონობა, რაც შედეგია სულიერი ცხოვრების უგულვებელყოფისა და ღვთისაგან სრული გაუცხოებისა (შდრ. „...რა ვნებებსაც უფრო შეეთვისება სული წინასწარი მიდრეკილებისა და ჩვევის შედეგად, *მომეტებულად სწორედ მათგან წაითრევა ქვეითკენ*“, წმ. მარკოზ მონაზონი, „სათნოებათმოყვარეობა“, გე. 194; შდრ. I ინ. 2,16-17).

46. **„საღმრთოჲსა მის და ნეტარისა გულისთქუმისა“** (136,17-18) – იგულისხმება მარადიული, უხრწნელი და უნივთო სიკეთეები, რაც ზეცაშია, ღვთის გარშემოა. ეკლესიის მამათა სწავლებით, ღვთის მიერ ადამიანში შთანერგილი გულისთქმის უნარი, თუ იგი გაუკუღმართებული არ არის, მხოლოდ საღვთო სიკეთეთა სულიერი წვდომისა და ზიარებისკენ მიილტვის (შდრ. *„სულსა ბუნებით აქუს სურვილი კეთილისაჲ და უმჯობესისა გულისთქუმად ისწრაფის მარადის“*, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 157,3-4; შდრ. *„სულსა, რომელსა უფლისა სუროდის, ყოველივე სიყუარული მისი მისა მიმართ ოდენ არს და მისა შეკრულ არს გონებაი მისი“*, იქვე, გე. 246,27-39; შდრ. *„რომელმან იხილოს გემოჲ სიტკბოებისა ღმრთისაჲ, ეერ განძღების ყოლადვე.* არამედ რაოდენცა მდიდარ იყოს, უფროჲსად გლახაკად შეურაცხია თაჲი თჳსი და

რაჲზომცა მიიღებდეს სიტკბოებასა მას, უფროსად მოემშეევის და მოეწყურების მას მისა მიმართ", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გვ. 286,25-29; შდრ. „ესე არს დამკჳდრებაჲ ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რაჲთა დაუეიწყებელად გუაქუნდეს ჴსენებაჲ მისი ჩუენ შორის, რამეთუ ესრეთ ეიქმნებით ტაძარ ღმრთისა; რაჟამს არცა ზრუნვითა ქუეყანისა საქმეთაჲთა ჴსენებაჲ მისი განიკუეთებოდის ჩუენგან, არცა ენებათა ჴსენებითა გონებაჲ შეშფოთნებოდის, არამედ *რაჲთა ყოელისაგანეე იელტოდის ღმრთისმოყუარე იგი და ღმრთისა მიისწრაფდეს* და იოტებდეს ენებათა მათ წარსაწყმედელად მიმყუანებელთა და მარადის ცხორებისა საუკუნოჲსა მომატყუებელთა საქმეთა შინა იქცეოდის ჴორცითა და გონებითა", ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გვ. 219,23-31). ამასთან დაკაშირებით, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია წმ. კირილე ალექსანდრიელის სიტყვები, რაც თავის შრომაში დამოწმებული აქვს მთავარეპისკოპოს დიმიტრი რუსტერს: „მათ, რომლებშიც რწმენის მიერ მკვიდრობს ქრისტე, ზეცად აღამაღლონ გონება და ეიდრე ისინი ამქვეყნად იმყოფებიან, მათი აზრები შემსჭვალულია იმ საგნებს, რაც ზემოთაა, და მათი სამკვიდრებელი ზეცაშია" [თარგმანი ჩვენია. პროტოპრესვიტერი გ.ზ.] (ინგ. ტექსტი: "Those in whom Christ dwels by faith have a mind raised aloft... and while walking upon earth, their thoughts are set upon those things which are above, and «their dwelling is in heaven»", the Epistle to the Hebrews, a comentary, 2003, p. 238).

47. **„განუძღომელისა მის სიტკბოებისა"** (136,18-19) – აღნიშნული სიტყვები მთარგმნელის შენამატია და გულისხმობს ღმრთის ზეკეთილობას, რომელიც, წმ. იოანე დამასკელის სიტყვებით, თავად არის „არსთა არსებობის წყაროდ მყოფი, ცოცხალთათჳს მიზეზი სიცოცხლისა... ყოველივესთჳს – ყოველივე სიკეთისა" (წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწმ. ხედმიწ. გადმოც.", გვ. 327). ეს სიტყვები შეიცავს სწავლებას **ჰეჭტასისის,** ანუ **ღვთისკენ მარადიულად მზარდი ძლიერებით დაუცხრომელი სწრაფვის** შესახებ, რაც **„განუძღომელ"** ნეტარებას ანიჭებს ღვთის შემმეცნებელ სულს (შდრ. „რომელმან იხილოს გემოჲ სიტკბოებისა ღმრთისაჲ, **ვერ განძღების** ყოელადვე. არამედ რაოდენცა მდიდარ იყოს, უფროსად გლახაკად შეურაცხია თავი თჳსი და რაჲზომცა მიიღებდეს სიტკბოებასა მას, უფროსად *მოემშეის და მოეწყურების* მას მისა მიმართ", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გვ. 286,25-29; შდრ. „რამეთუ ჭეშმარიტი ქრისტეანობაჲ საზრდელი არს სულისაჲ და სანოვაგჱ ჰამოჲ და რაედენ ვინ მიიღებდეს მისგან, უფროსად მოესურვების მისთჳს და იქმნების გონებაჲ იგი **უძღებ**", იქვე, გვ. 283,28-30 შდრ. „ხოლო ესრეთ განგურემულ არიან სურვილითა ზეცათაჲსა და მშიერ სიმართლისათჳს სათნოებათაჲსა და *ბრწყინვალებაჲ იგი სულისაჲ განუძღომელად აქუს*, დაღაცათუ მიიღონ გულისჴმისყოფაჲ საიდუმლოთაჲ, ანუ თუ თანამდებ იქმნენ სიხარულსა მას და მადლსა ზეცისასა, არავე მიენდეებიან თავსა თჳსსა, არცა შეურაცხია, თუ ეართ რანიმე, არამედ რაედენცა მადლსა ღმრთისასა ღირს იქმნენ, ეგოდენცა ტკივილით ეძიებენ მას. და რაოდენცა წარმართებაჲ სულიერი თავთა შორის თჳსთა იხილონ, ეგოდენცა *მშიერ და წყურიელ იქმნებიან* მიღებად და აღორძინებად მადლისა მის. და რაჲსომცა სულიერად განმდიდრდენ, ეგეზომცა გლახაკ და დაერდომილ უჩნს მათ თავი თჳსი და *უძღებ არიან იგინი სურვილითა მით საღმრთოჲთა*", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის

ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 331,25-31 – 332,1-5; ეპეტასისის შესახებ ვრცლად იხ. ე. ჭელიძის კომენტარები „სათნოებათმოყვარეობის“ მისეულ თარგმანზე, კრებული, კომენტარი №493, დასახ. გამოც. გე. 402-411; შდრ. იქვე კომენტარი 814, დასახ. გამოც. გე. 503-504).

48. **„განჴურდების გული მისი“** (136,20-21) – ბერძნულში აღნიშნული სიტყვები არ დასტურდება, ისინი მთარგმნელის შენამატია და გულისხმობს ისეთ სულიერ მდგომარეობას, როდესაც საღმრთო მადლის მოქმედებით ადამიანში აღმოცენდება ღვთისა და მოყვასის მიმართ უმაყრესი სიყვარულის გრძნობა, რაც ეკლესიის მამათა მიერ სულიერ მხურვალებად ითქმის, ამგვარი საღმრთო ტრფობით აღძრული ადამიანი ნივთიერი სამყაროს ნაცვლად, მთელი არსებით ესწრაფვის ღვთის უნივთო სიკეთეებს (შდრ. ლკ. 24, 32; შდრ. „სხუასა ჟამსა ეგეცითარითა სიყუარულითა **განჴურდიან სულისაგან წმიდისა**, რომელ უკუეთუმცა შესაძლებელ-იყო, რომელ ყოველნიე კაცნი წიაღთამცა თჳსთა შეიტკბნეს და არა განარჩევენ იგინი ბოროტსა კეთილისაგან“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 291,19-23).

49. **„სულიერისა მის და უნივთოჲსა სიკეთისა“** (136,23-24) – ბერძნულში გვაქვს **„გონიერი ნათელი“** (νοητὸν φως), რაც, ნივთიერი, მატერიალური სამყაროსაგან განსხვავებით, აღნიშნავს მხოლოდ გონებით შესამეცნებელ სულიერ ნათელს. მოცემულ კონტექსტში წმ. გრიგოლ ნოსელი უნდა გულისხმობდეს როგორც თავად ღმერთს, რომელიც არის წყარო ყოველგვარი სიკეთისა, ასევე ღვთის სასუფეველს, სადაც ყველაზე მეტად არის გამოვლენილი საღეთო სიკეთენი (შდრ. I კორ. 2,9; შდრ. „სული, რომელმან განაშოროს თავი თჳსი ყოველისაგანეე სიყუარულისა ამის სოფლისა და *გონებაჲ მისი, რაჲდენცა ძალ-ეძღას, მოსწყჳდოს ქუეყანისაგან და უფლისა წყალობათა ოდენ ეკიდოს*, უეჭველად ჰპოებს იგი შეწევნასა მისსა, რომელი ეძიებდეს მას ყოველითა გულითა თჳსითა. და არარასა ზედა განისუენებდეს ამის სოფლისა საქმეთა, არამედ მას ოდენ ეძიებდეს და მოელოდის განსუენებასა მას მადლისა მისისასა“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 268,26-32).

50. **„ხედვათა მიერ საღმრთოთა განათლებაჲ“** (138,6) – ბერძნულში **„საღმრთოთა“**-ს ნაცვლად გვაქვს **„უხილავთა“** (τῶν ἀοράτων). იგულისხმება სულიერი მხედველობა, მჭვრეტელობითი ძალი, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს **„სულიერი თვალით“** შეიმეცნოს გონითი (ნოეტური) სამყარო (შდრ. „გარნა არაჲე ყოლად უხიარებელ არს სახიერებაჲ მისი არცა ერთისა ეისთჳს არსთაგანისა, არამედ რომელმან-იგი თავსა შორის თჳსსა მდგომი ზეშთაარსებისა დაამყარა შარავანდედი თითოეულსა არსთაგანსა შემსგავსებულითა მისითა ბრწყინვალებითა, სახიერების შუენიერებით გამოუჩნდების; და დასატევნელითა მით და *ხედვითა და ზიარებითა და მსგაჲსებითა თაჲისა თჳსისა მიმართ მიუწოდს წმიდათა გონებათა*, რომელთა უწყოდის, ვითარმედ ჯეროვნად და დიდად შუენიერებით მოუკდებინ მას“, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გე. 7,7-14; შდრ. *„გონებაჲ მისი შუენიერებათა მათ შინა ზეცისათა იშუებდა“*, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 203,30; შდრ. „განწმენდილ და ღვთისმოყვარე სულში მყოფი გონება ჯეშმარიტად **ხედავს** ღმერთს, – უშობელს, განუჯერეტელსა და გამოუთქმელს, ერთადერთს წმინდას გულით განწმენდილთათვის“, წმ. ანტონი დიდი, „სათნოებათმოყვარეობა“,

გე. 41; შდრ. „სხეულის მხედველობის ორგანო თვალებია, სულის მხედველობის ორგანო კი – გონება, და როგორც უთვალო სხეული ბრმაა და ვერ ხედავს მზეს, რომელიც მთელ ამ მიწასა და ზღვას ანათებს, არცთუ ის ძალუძს, რომ სინათლით დატკბეს, ამგვარადვე *სულიც, კეთილი გონებისა და ღირსეული მოღვაწეობის არმქონე, ბრმაა და ვერ ცნობს ყოველიერების შემოქმედ და კეთილმოქმედ ღმერთს*“, იქვე, გე. 34).

51. **„ჴორციელთა საცნობელთაჲთა“** (138,8-9) – იგულისხმება ადამიანის გრძნობითი ორგანოები (შდრ. „რამეთუ ვითარცა ღმერთმან ადამს უბრძანა, ვითარმედ: «რომელსა დღესა ხისა მისგანი შჭამოთ, სიკუდილით მოსწყდეთ». რომელი-იგი პირველად სულსა ზედა მოიწია, რამეთუ *საცნობელნი იგი მისნი წმიდანი და ზეცისანი დაბნელდეს და მკუდარ იქმნეს*. ხოლო ჴორცთა სიკუდილი უკუანაჲსკნელ იქმნა.. ეგრეთვე აწ კუალად, რაჟამს დაეგო ქრისტე კაცებასა ჲა განჴორციელდა და ჯუარცუმაჲ და სიკუდილი ჩუენთჳს თაეს-იდეა, აწ ჭეშმარიტად სარწმუნოსა მას სულსა, ვიდრეცა ჴორცთა შინა იყოს, მიიყვანებს განსუენებასა მას საღმრთოსა და გულისჴმისყოფასა საიდუმლოთასა და განათავისუფლებს საბურველისა მისგან ენებათაჲსა ზიარებითა სულისაჲთა. და *საცნაურთა მათ საცნობელთა მისთა კუალად მასვე მისცემს და საღმრთოჲთა მით ნათლითა განანათლებს მას* და შემდგომად ამისა მერმესა აღდგომასა მიიყვანებს ჴორცთა მათ წმიდასა მას და უხრწნელსა დიდებასა. და ესრეთ ბრწყინვალებაჲ იგი საღმრთოჲ შეიმოსოს და სულსა თანა სუფევდეს“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 388,20-36). საეკლესიო ლიტერატურაში ასევე გეხედება გამოთქმა „სულიერნი საცნობელნი“, რაც ნიშნავს სულიერ შეგრძნებებს, ანუ სულიერ გრძნობადობას (შდრ. „ღაღადებენ უკუე დაბადებულნი და მიუთხრობენ, რომელთაცა აქუნდეს **სულიერნი საცნობელნი** და გულისჴმა-უყოფენ მათისა მის დაბადებისა მიზეზსა, სამებით დიდებულსა ღმერთსა და მამასა, და გამოუთქუმელსა მას ძალსა მისსა და სიწმიდესა, რომელ არს მხოლოდშობილი იგი სიტყუაჲ და სული წმიდაჲ. რამეთუ ესე არიან უხილავნი ღმრთისანი, რომელნი სოფლის დაბადებითგან გონებითა იხილეებიან“, თარგმანებაჲ პრომაელთა ეპისტოლისაჲ, პაველეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხეთა წმიდათა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევაა დაურთო ექვთიმე ყოჭლამაზაშვილმა, თბ. 2003, გე. 25-26).

52. **„ორნივე იგი“** (138,11) – იგულისხმებიან წმ. ელია წინასწარმეტყველი და იოანე ნათლისმცემელი (შდრ. ლკ. 7,28; შდრ. „იოანე [ნათლისმცემელი] უპირატესია ნაშობთა შორის დედათასა, რადგან იგი წინასწარმეტყველებდა ჯერ კიდევ დედის წიაღში და, თავად სიბნელით გარემოცულმა, შეიცნო მომავალი ნათელი [მაცხოვარი]. წინასწარმეტყველთაგან უპირატესია [იოანე] იმით, რომ ის, ვის შესახებაც წინასწარმეტყველებდა და ვისაც ყველა პატრიარქი და წინასწარმეტყველი მხოლოდ ხილვებსა და ჩვენებებში ხედავდა, ხოლო საკუთარი თვალით მისი ხილვის ღირსნი ვერ გახდნენ, მან იხილა ხორციელად მოსული“, [თარგმანი ჩვენია. პროტოპრესვიტერი გ.ზ]. რუს. ტექსტი: **“Іоанн болій въ рожденныхъ женами, потому что онъ пророчествовалъ въ самой матерней утробе и, самъ, сокрываясь во тьме, узнал пришедший Светъ. А лишше пророковъ в немъ то, что Того, о Комъ онъ пророчествовалъ и Кого все патріархи и Пророки представляли себе только въ снахъ и виденіяхъ, не сподобившись узреть собственными очами,**

онъ увидель пришедшимъ во плоти." (**Преподобный Исидор Пелусиот. Письма. Том I. Москва, 2000, стр. 17**); შდრ. „ელია ეტლსა ცეცხლისასა და ცხენთა ცეცხლისათა, მისდა მოსრულთა, არა შეეშინა, არამედ სურვილითა მით ზეცად აღსლვისაჲთა საშინელთა მათ შეჰკადრა და სიხარულით აღჴდა ეტლთა მათ ზედა ცეცხლისათა, რომელი-იგი ჴორციელღა იყო", ბასილი კესარიელის „სწაელათა" ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 143,4-7).

53. **„სამარადისოდმავალი აღძრვაჲ"** (140,26) — (შდრ. ბერძნ. τὸ ἀεικίνητον; რუს. **постоянно-движущееся естество**; ინგლ. it should always move). აღნიშნული სიტყვები გულისხმობს ადამიანის გონების სამოქმედოდ აღძრულობას, რადგან ამგვარი ბუნება მიეცა მას შემოქმედისგან (შდრ. „უჴორცოდ გულისჴმა-ჰყოფდი ღმერთსა შენ შორის დამკჳდრებულისა მაგის უჴორცოსა სულისა მიერ და გარეშემოუწერელად, რამეთუ შენსაცა გონებასა არა აქუს ბუნებით ერთსა ადგილსა დადგრომაჲ, არამედ ჴორცთა თანა შეერთებისათჳს იყოფების ერთსა ადგილსა", ბასილი კესარიელის „სწაელათა" ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 28,15-18; შდრ. **„გონებისა თჳისი არს დაუდგრომელობა**, ხოლო შემძლებელ არს დაყენებად მისა, რომელსა იგი ყოველიეე ძალუც ღმერთსა", იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ არს კიბე, გვ. 448).

54. **„ძნიადმოსაწყუედელი იგი და ძნიადდასამორჩილებელი"** (141,1,10-11) — ბერძნულში გვაქვს τὴν δυσαπαγώνιστον, რაც მოცემულ კონტექსტში მიემართება ქორწინებას, რომლის მიმართაც, წმ. გრიგოლ ნოსელის სწაელებით, ბუნებითი ლტოლვა აქვს ყოველ ადამიანს. წმიდა მამის სიტყვები: „აქუს მას [ე.ი. ქორწინებას] **ძნიადმოსაწყუედელი იგი და ძნიადდასამორჩილებელი** გულისთქუმისა საქმე", გულისხმობს იმას, რომ ქორწინებისადმი გულისთქმა ბუნებითად არის შთათესილი ადამიანში, მაშინ როდესაც ქალწულებითი ცხოვრება ნებაყოფლობითი ღვაწლია, პიროვნული არჩევანია, რაც მოკლებულია ბუნებისეულ შემწეობას.

55. **„კანონთა ეკლესიისათა"** (141,1,13) — ბერძნულში გვაქვს **„ეკლესიის კანონები"**, **„ეკლესიის დოგმატები"** τὰ δόγματα τῆς ἐκκλησίας. სიტყვა τὸ δόγμα გამოიყენება როგორც **„დოგმატის"**, ისე **„კანონის"** მნიშვნელობით. აღნიშნული სიტყვები გულისხმობს საეკლესიო კანონებს, წმიდა ეკლესიის უცვალებელ რჯულსა და მოძღვრებას.

56. **„გარეგან არიან იგინი საიდუმლოთაგან ღმრთისათა"** (141,1,19-20) — ბერძნულში გვაქვს Ἔξω γάρ εἰσιν ἐκεῖνοι τῆς τοῦ λόγου τῶν μυστηρίων ἀυλῆς. როგორც ჩანს, მოცემულ კონტექსტში იგულისხმებიან ცრუ სწაელებისა და უკიდურესობებისკენ მიდრეკილი მწვალებლები, კერძოდ, მარკიონელები და ტატიანელები (ტატიანე სირიელის მიმდევრები), რომლებიც, თითქოსდა განსაკუთრებული სიწმიდის საბაბით, შეურაცხყოფდნენ და კრძალაჲდნენ როგორც ქორწინების საიდუმლოს, რომელსაც მრუშობის ცოდვასთან აიგიჲებდნენ, ასევე ღვინის გამოყენებას თეით ზიარების საიდუმლოშიც კი, რითაც, ფაქტობრივად, საეკლესიო საიდუმლოთა უარყოფამდე მიეიდნენ (შდრ. ეფ. 5,22-33; შდრ. „ითარცა მარკიონთაგან განაყოფი არს წუალებაჲ მათი სიძულილითა ქორწილისაჲთა და გარემოქცეითა ღუნისაჲთა და დაბადებულისა ღმრთისა ბილწად და არაწმიდად შერაცხითა, *არა შეეწყნარებთ მათ ეკლესიად, არა თუ ნათელ-იღონ ნათლისღებითა საუენითა*"; ეპისტოლე ბასილი კაპადოკიელისა, კანონი 47, „დიდი სჯულისკანონი", გვ. 490,18-22).

57. **„ბაკსა მას შინა უკეთურისასა“** (141,1,21) – ἐν τῇ μάνδρᾳ τοῦ πονηροῦ. აღნიშნული სიტყვები: **„ბოროტის, უკეთურის ბაკი“, „ბოროტის ბაგა“** მოცემულ კონტექსტში სიმბოლური მნიშვნელობით არის გამოყენებული და გულისხმობს ცოდვისა და უკეთურების სადგომს, სამყოფელს, რომელშიც ეშმაკის მიერ ცდუნებული, ამპარტავნების ცოდვით სნეული ადამიანები მკვიდრობენ, რომლებიც ბოროტის ნებისადმი ნებაყოფლობითი მორჩილებითა და გონებითი სიბრმაეით ვერ ხედებიან, რომ ყოველგვარი უკიდურესობა არის **„სამეუფო გზის“** უარყოფა, რაც დამღუპველია.

58. **„ყოველი სათნოებაჲ საშუალსა ზედა არს“** (141,1,23-24) – აღნიშნული სიტყვები უკავშირდება საეკლესიო სწავლებას რწმენაში ზომიერების, ანუ **„სამეუფო გზის“** შესახებ, რაც გულისხმობს ყოველგვარი უკიდურესობისა და თვითრჯულობისაგან განშორებას (შდრ. „რამეთუ სათნოებანი საშუალნი არიან, ვითარცა თქუა წმიდამან ბერმან, ვითარმედ: გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ..., რამეთუ არცა მეტი არს კეთილ, არცა ნაკლული. ამისთჳს წერილ არს, ვითარმედ: «ნუ მისდრკები მარჯუ, ნუცა მარცხ, არამედ გზასა სამეუფოსა ვიდოდეთ» (შდრ. II სჯ. 5,32; 17,11). და წმიდა ბასილი იტყუს: «ვითარმედ წრფელი გულითა იგი არს, რომლისა გული არა იყოს მოყუარე მეტისა, გინა ნაკლულისა, არამედ რაჲთა დგეს იგი საშუალსა გზასა ზედა სათნოებათასა». რამეთუ მე ამას ვიტყუ, ვითარმედ ცოდვა თავით თუსით არა რაჲ არს, არცა არსება არს იგი, არცა ჴორცნი ასხენ, ნუ იყოფინ! არამედ ოდეს სული მიდრკეს სათნოებისაგან, იქმნების იგი ენებულ, და მერმე აღასრულებს იგი ბოროტსა, და მერმე მის მიერ იტანჯვის, რამეთუ ბუნებითსა განსუენებასა ვერ ჰპოებს მისთანა“, წმ. ანტონი დიდი, „სწაელანი“, საქ. ეკლ., კალ., თბ., 1991, გვ. 414; შდრ. „და კუალად უკუეთუ დიდ-დიდთა ვინ მოღუაწებათა ჴელყოს თავით თუსით გამორჩევითა და შეურაცხ-ყოს მამათა მიერ დადებული ესე წესი, რომელი პირველითგან გამოცადეს და გამოირჩიეს და მომცეს ჩუენ საღმრთოდ ნამარხეველად, ვითარცა ჭეშმარიტად უცდომელი და საშუალი სამეუფოჲ გზაჲ, *რომელ არს განშორებაჲ თუთრჩულებისაგან, რამეთუ თუთრჩული ყოველი მარადის მცთომ არს და გამოუცდელ და დაუმტკიცებელ, ამისთჳს უკუეთუ საცნაურ არს, ვითარმედ ეითარცაიგი* მორჩილ სიტყუსა და საქმისა მიერ გამოცდილ არს ყოველსავე შინა და შეურყეველ, ეგრეთვე არა შესაწყნარებელ არს საქმე მათი, რომელნი იგი გარეგან წესისა ჰყოფდეს რასაცა“, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 70; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ჟურნ. „გზა სამეუფო“, № 1, გვ. 3-7).

59. **„კურთხევაჲ ღმრთისაჲ“** (143,10-11) – მოცემულ კონტექსტში იგულისხმება ღვთის მიერ აბრაამისთვის მიცემული კურთხევა (შდრ. შესაქ. 12,2; 48,9. „წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი“, ნაკვეთი I, შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, „მეცნიერება“, თბ., 1989, გვ. 92; 282-283; შდრ. ებრ. 6,14-15).

60. **„ერთგზის მუცლადღებამდე ჰმსახურა ქორწილსა“** (143,11-12) – აღნიშნული სწაელება უაღრესად მნიშვნელოვანია საეკლესიო ეგზეგეტიკის კუთხით, რამდენადაც იგი პირველად გვხვდება წმ. გრიგოლ ნოსელთან, რომელიც ალექსანდრიის საღვთისმეტყველო სკოლისთვის დამახასიათებელი ალეგორიზმით განმარტავს წმიდა წერილის მუხლებს ძველი აღთქმის პატრიარქ ისააკთან დაკავშირებით. გრიგოლ

ნოსელის სწავლების მიხედვით, ისააკმა, მას შემდეგ, რაც რებეკამ, მისმა ცოლმა, ტყუპები – ესავი და იაკობი – შვა, ქალწულებითი ცხოვრება დაიმარხა, თუმცა კი სიცოცხლის ბოლომდე მეუღლესთან თანამყოფობდა.

61. **„იქმნას ყოვლითურთ ჴორც და სისხლ“** (144,27) – მოცემულ კონტექსტში იგულისხმება უკიდურესი ენებიანობა, ხორციელი გულისთქმებისადმი, ქვენა გრძნობებისადმი დამონება, მშვინვიერი მდგომარეობა, სულიერი ცხოვრების უგულებელყოფა (შდრ. ინ. 1,13; შდრ. I კორ. 2,14; შდრ. „რომელთა ენებოს გულთა შინა მათთა, სულთა და გონებათა დაწერად რჩულსა მას სულისასა და სუროდის შემოსად ხატსა მას ქრისტესსა ზეცისასა, თანა-აც მათ, რაჲთა ყოველითაე მოსწრაფებითა და სიჴელოვნითა მოქმნან და განწმიდონ გული მათი ყოვლისაგანეე ნივთისა ამის საწუთროჲსა და სიზრქისაგან **ჴორცთა და სისხლისა**, *რომელ არიან ზრუნვანი და საკრეველნი ამის სოფლისანი*“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 353,11-17; შდრ. „ხოლო უკუეთუ არა დაიწეროს რჩული ღმრთისაჲ გულსა შინა, ეგეეითარ∙ იგი გული ჯერეთ **ჴორც და სისხლ არს** და არღა მოქმნილ არს გული იგი, ვითარცა ღმერთსა ჰნებავს“, იქვე, გე. 353,28-30; შდრ. *„მშვნეიერ არს ჴორციელად ცხორებული, და ჯერეთ არღა განათლებული გონებითა სულისა მიერ წმიდისა*, არამედ მხოლოდ თანანერგითა მით, კაცობრივითა გულისჴმისყოფითა მყოფი, რომელი-იგი მიერ შობითგანეე სულსა შინა ყოველთასა დაუნერგავს დამბადებელსა“, „სამოციქულოს განმარტება“, II..., 2006, გე., 186-187; შდრ. „იგიეე და ერთი კაცი ჴორცთა შინა მყოფად ითქუმის, რაჟამს ცოდუასა მიედეენოს, და სულსა შინა მყოფად – რაჟამს სათნოებასა მოქმედებდეს; და მარადის ზოგად მყოფთა მათთჳს – სულისა და ჴორცთა – წინააღმდგომობაჲ ითქუმის, რამეთუ მიწისაჲ მიგჳსიდაეს მიწად, ხოლო ზეცისაჲ მიგჳწოდს ზეცად. *და ესე არს ჴდომაჲ მათი ურთიერთას, რამეთუ გარეშისა განხრწნაჲ, შინაგანისა – განახლება, ხოლო ამისი შუებულებაჲ – მისდა დაძუელება იქმნების*; ეინაიცა სიტყუათა ამათ მიერ არცა ორთა კაცთა, არცა ორთა გუამთა იტყჳს ჩუენ შორის, არამედ გულისსიტყუათა წინააღმდგომობასა კეთილისა და ბოროტისასა ესრეთ სახელ-სდებს“, სამოციქულოს განმარტება..., II, გე. 520).

62. **„შეგინებულისა ცხორებისა“** (146,1,21) – (შდრ. Βεβηλ. ῥυπαροῦ βίου; ინგლ. an impure life; რუს. **порочной жизни**; ფრანგ. une vie souillée). იგულისხმება არაწმინდა, ბიწიერი, მანკიერი ცხოვრება, რაც იწვევს ადამიანის უკიდურეს დაცემასა და დამდაბლებას. აღნიშნული სიტყვები ასევე გულისხმობს მაცხოვრისადმი უკიდურეს უმადურობასაც, რადგან ამგვარ ცხოვრების შედგომილი ადამიანები თაეიანთი ქმედებით, ცოდვისადმი დამონებულობით უპატიო ჰყოფენ ქრისტეს სისხლს, რომელიც ჩვენი ხსნისათჳს დაიღვარა (შდრ. *„ეითარ არა გინებაჲ არს ესე მისსა*, რაჟამს მან მყენა ძე ღმრთისა, ნიჭითა მით სულისა წმიდისაჲთა, ხოლო ეჰყოფთ თაეთა ჩუენთა ძე ვნებათა? იგი მოსრულ არს, რაჲთა საეანე-ყოს ჩუენ თანა, თანა მამით და სულითურთ, ხოლო ჩუენ მის წილ ჩუენ შორის შეეიყვანებთ ეშმაკსა, *რომელი-ესე ზოგად უმადლოებაჲ და გინაჲ არს მისსა და სულისა მის*, რომლისა მოცემითა მადლით მოგუეტეენეს ცოდვანი ჩუენნი“ („სამოციქულოს განმარტება“, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, III, ებრაელ. მიმართ ეპისტ. 10,28-29-ის განმარტება).

63. **„დიდთა მათგან კეთილთა და ჭეშმარიტად «უზეშთაეს-**

თა ყოვლისა გონებისათა» უცხოყოფაჲ“ (147,24-25) – წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლება მოცემულ კონტექსტში უკავშირდება ამქვეყნიურ, მატერიალურ, წუთისოფლის საზრუნავს შემშჭვალულ ადამიანებს, რომლებიც გაუცხოებულნი და დაკლებულნი არიან ჭეშმარიტი საღვთო სიკეთეებისგან.

64. **„ვნებულსა ზრახვასა გონებისასა** (148,13) – (შდრ. ბერძნ. τῆς ἐμπαθοῦς διαθέσεως; ინგლ. weakness of passion; რუს. **страстным вожделениемъ**; ფრანგ. disposition passionnelle), იგულისხმება გონების სიუხვეში, ენებებით დამძიმებულობა, ნიეთიერებაზე მიჯაჭვულობა.

65. **„სულისა იგი შინაგანმხედველობაჲ დაებნელოს“** (148,14) – ბერძნულში გვაქვს τὸ διορατικὸν τῆς ψυχῆς **„სულის მხედველობა“**, ადამიანის ყველაზე აღმატებული, სულიერი ანუ პნევმური ნაწილის უნარი, განჭვრიტოს საგანთა ბუნება და შეიმეცნოს სულიერი სინამდვილე, რაც, ჩვეულებრივ, ფიზიკური თვალით არ იხილება.

66. **„დამცირებაჲცა და ამაღლებაჲცა სიტყჳთა საკჳრველებათაჲ ერთად შერაცხილ არს** (148,16-17) – (შდრ. ბერძნ. καθέστηκε τό τε ἐλαττοῦν διὰ τοῦ λόγου καὶ τὸ ὑπεραίρειν θαύματα). „საკჳრველებაჲ“ (ბერძნ. θαύματα) ეკუთვნის ზემორე სიტყვებს – „დამცირებაჲცა და აღმაღლებაჲცა“, რასაც მოცემულ კონტექსტში შემდეგი შინაარსი აქვს: სიტყვის მეშვეობით დაამცირებ თუ აამაღლებ საღვთო სიკეთეებს, რაც არის სწორედ ჭეშმარიტი საკვირველება, ეს თანაბრად შეირაცხება მათთვის, რომლებიც მოკლებულნი არიან გულისხმიერებას, სულიერი ხედვის უნარს (შინაგან მიხვედრილობას), რადგან ვისაც დაბადებიდან არ უხილავს მსის ნათელი, შეუძლებელია სიტყვით განემარტოს იგი, რამდენადაც მხოლოდ მოსმენის უნარი არ იმარჯვს ამის შესამეცნებლად.

67. **„უხილავსა მას ადგილსა გონებისა“** (148,24) – (შდრ. ბერძნ. ὑψωθει τὴν διάνοιαν; ინგლ. in the depth of his consciousness; რუს. **въ таине сознанія**; ფრანგ. dans le secret de sa conscience). ადამიანის გონების უხილაეი ადგილი გულისხმობს მისეული შემეცნების განსაკუთრებულ სიღრმეს, საღვთო მწდომელობის უნარს, შეიმეცნოს და დაიტიოს საღვთო სიკეთისა და მშვენიერების გონისეული, უნივთო გამოელინებანი, რაც დაფარულია გრძნობადი თვალისთვის.

68. **„განკჳრვებაჲ“** (148,24-25) – (შდრ. ბერძნ. ἐκστάσει; ინგლ. ecstasy; რუს. **изумленіе**; ფრანგ. saisissement). აღნიშნული ტერმინი, რომლის ბერძნული ეკვივალენტია ἔκστασις, როგორც წმიდა წერილში, ასევე ეკლესიის მამებთან გამოიყენება საღვთო ხილვებთან, გამოცხადებებთან დაკავშირებით (შდრ. „რიცხვ.“ 24,4; „საქმ. მოც.“ 10,10; 11,5; 22,17); piph. haer. 48,4 (p.226.7ff; M.41,86 ic); Jon Chrys. hom. 22,1 in Ac. (9.178E) და გულისხმობს ადამიანის გონებით სეაღსელას საღვთო ხედვათა მიმართ (შდრ. „განკჳრვებაჲ სულისა ამაღლებაჲ არს ჯორცთაგან და ჯორციელთა საღმრთოთა ხედვათა მიმართ“, „განმარტება სამოციქულოსი“, I_, თბ., 2000, გვ. 138; შდრ. „რამეთუ აღიტაცა გონებითა, და *საკჳრველი* მდგომარემან იხილა, თავისა თჳსისაგან რეცა თუ გარეშე ყოფილმან“, ჴსენებაჲ წმიდისა ანტონისი, „უდაბნოს მრავალთაეი“, გვ. 85; შდრ. „მოიწია მის ზედა სული ფიცხელი და აღტაცებულ იქმნა იგი, და ჟამ ერთ ჭეშმარიტებით განეიდა მისგან სული მისი და მერმე მოეგო კვალად თავსაეე თეისსა“, წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ არს კიბე, გვ. 287; შდრ. „ექსტაზი ცხადყოფს... საკეირველებასთან დაკავშირებულ გაოგნებას და გრძნობათა

გარეთ გასელას, წარმართებულს სულიერთა მიმართ", [თარმანი ჩეენია, პროტოპრესვიტერი გ.ს]; ბერძნ. Τὸ γὰρ ἔξω τῶν αἰσθητῶν γενέσθαι, ποδηγούμενον ἐπὶ τὰ πνευματικά, Didym. Ac. 10:10 (M.39.1677A). G. W. H. Lampe, A Patristic Greek Lexicon, Oxford, Clarendon Press, 1961, p. 438).

69. **„კაცოდენისა სახლისა სიმაღლესა"** (149,1,36) – აღნიშნული სიტყვები, ისევე როგორც მისი მომდევნო – **„სიმაღლე ცისაჲ"**, ორიგინალში არ დასტურდება. იგი ეფთვიმეს შენამატია და თან ერთვის წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ მოტანილ ანალოგიებს იმის წარმოსაჩენად, თუ რამდენად აღმატებულია საღმრთო სიკეთის მშეენიერება ყოველგვარ ამქვეყნიურ სიკეთეზე.

70. **„დიდმან დავით"** (149,2,3) – იგულისხმება დავით წინასწარმეტყველი, ისრაელის მეფე (შდრ. „ჭეშმარიტი უმანკოჲ იგი არს, რომელი იყოს ვითარცა დავით, რომელი იტყოდა, ვითარმედ: «მე უბიწოებითა ჩემითა ვიდოდე», რომელმან ყოველივე მანკიერებაჲ განდევნა სულისაგან თჳსისა მოღუაწებისა მიერ სათნოებათაჲსა, რომელი-იგი ღირს იქმნების მკჳდრობასა მას კეთილთასა", ბასილი კესარიელის „სწავლათა" ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გე. 132,36-133,2; შდრ. „და კუალად გულისხმაყაე და *ჰპოო დავითცა, მშჳდი და დიდი იგი სულითა*, რამეთუ რისხევასა შინა განრისხებოდა ცოდვილთა ზედა, ხოლო სიმშჳდესა შინა თავსიდებდა კაცთაგან, უფრო ხოლო მტერთასა მჴნე, საქმეთა შინა ღმრთისა სათნოებისათა მშჳდი, და არა მიაგებდა მტერთა ბოროტისა წილ ბოროტსა", იქვე, გე. 212,16-20). წმ. მაქსიმე აღმსარებლის სწავლებით, *„დავითის მეფობა სახარებისეული მსახურების წინასახეა"* (იხ. წმ. მაქსიმე აღმსარებელი, „ჭეშმარიტი ცოდნის შესახებ", „გზა სამეუფო", თბ. 1996, №1 (4), გე. 23).

71. **„ჴორციელთა მათ საბურველთაჲსა"** (149,2,7-8) – აღნიშნული სიტყვები უკაეშირდება სხეულებრივ სიმძიმეს, მატერიალურ, გამიწიერებულ აზროვნებას, სულიერი მხედველობისგან დაკლებულობას, რაც აბრკოლებს გონებას, ჴსიაროს სულიერი სამყაროს უნიჱთო სიკეთეებს (შდრ. „გონება ყველაფერს ხედავს, – იმასაც, რაც ცაშია, – *და არაფერი აბნელებს მას, თუ არა მხოლოდ ცოდვა*, ხოლო განწმენდილისთვის არაფერია ჩაუწუდომელი, ისევე, როგორც სიტყვისთვის – გამოუთქმელი", წმ. ანტონი დიდი, სათნოებათმოყვარეობა", გე. 32; შდრ. **„დღემდე იგივე საბურველი** საკითხავსა მას ზედა ძველისა რჯულისასა ჰგიეს აღუძარცველად, რამეთუ ქრისტეს მიერ განქარდების", II კორ. 3,14; შდრ. „საბურველი გულსა მათსა ძჳს", II კორ. 3,15; შდრ. „რაჟამს მოვიდეს სულსა ზედა მადლი წმიდისა სულისაჲ, *აცსძრცჳს მისგან საბურავსა მას ეშმაკისასა, რომელი დაჲბურა კაცსა ზედა ურჩებითა* და აღიღებს მისგან ყოველსავე შეგინებულსა და ბილწსა გულისსიტყუასა. მაშინ სული იგი განწმდის და მიიღის თჳსიე კეთილი იგი ბუნებაჲ, რომელი წარეწყმიდა და ხედავნ იგი თუალითა თჳსითა დიდებასა ჭეშმარიტებისა მის ნათლისასა და მჱსჱ იგი სიმართლისაჲ ბრწყინავნ გულსა მისსა", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 279,14-20; შდრ. „რამეთუ წმიდათა შორის ხატი იგი წმიდისა სულისაჲ აწუე გამოხატულ არს შინაგან, ხოლო მაშინ მადლი იგი სულთა მათ ღმრთიე-შუენიერ და ნათლით შემოსილ ჰყოფს, ხოლო ცოდვილთა და უღირსთა, რომელთა სულნი აქაეე **საბურველითა მით ცოდვისაჲთა** დაბურვილ არიან და საქმით

აღსრულებითა ენებათაჲთა დაუბნელებია იგი, მას დღესა ბნელ და უშუერ და საეს სირცხჳლითა გამოჩნდენ გარეგან", იქვე, გვ. 388,14-20).

72. **„უჭორცოთა მათ და სულიერთა კეთილთა"** (149,2,8-9) – ბერძნულში გვაქვს **„უსხეულოთა და გონისეულთა"** – **ἀσωμάτων καὶ νοητῶν**, რაც, ბუნებრივია, გულისხმობს სულიერ, გონისეულ ანუ ნოეტურ სამყაროს.

73. **„ბუნებასაცა სულისასა"** (151,1,10) აღნიშნულ სიტყვებში იგულისხმება საგანთა არსობრივი ჭერეტა და არა მხოლოდ მათი ხილულად, ზედაპირულად აღქმა. შესიტყვება – „სულის ბუნება" (შდრ. ბერძნ. φύσιν ψυχης; ინგლ. qualities of the man's soul; რუს. **природу души**; ფრანგ. la nature de l'âme) გულისხმობს შინაგანმხედველობას, **„შემმეცნებელ თვალს"**, რითაც ადამიანს აქვს უნარი იმისა, რომ საღეთო შესაქმე, დატეენისამებრ, არსობრიეად განჭერიტოს და თაეად ღეთიურობაც, მის (ღეთიურობის) მოქმედებაში, ძალისამებრ შეიმეცნოს.

74. **„მოიგონებს"** (151,1,10) – (შდრ. ბერძნ. περινοει); ბერძნული სიტყეა აღნიშნაეს სიღრმისეულ განსჯას, აღქმას, გააზრებასა და შემეცნებას.

75. **„ნივთთა მათ ჭორცთასა"** (151,1,10) ბერძნულში გვაქვს „ხორცში გამოელენილი თვისებები" (შდრ. τὰς τῷ σώματι ἐμφαινομένας ποιότητας; ინგლ. characteristics which have been developed by his bodily constitution; რუს. **природные качества тела**; ფრანგ. les qualités qui apparaissent dans le corps), რაც ადამიანის სხეულის ნიშან-თვისებებს უკაეშირდება.

76. **„თითოეულისა მის განყოფასა მოიგონებს და კუალად – ერთობასა"** (151,1,11) – (შდრ. ბერძ. ...κοινῇ καὶ καθ' ἑαυτὰς ἐπισκέπτεται· ἰδίᾳ τε γὰρ αὐτῶν ἑκάστην χωρίζει τω λόγῳ, καὶ πάλιν τὴν κοινὴν συνδρομήν τε καὶ σύμπνοιαν περὶ τὴν του ὑποκειμένου σύστασιν θεωρει; ინგლ. ...It takes... both in combination and singly; first singly, by analysis, and then in that living combination; რუს. **...разсматриваетъ ихъ какъ вообще, такъ и каждое отдельно; потомъ каждое изъ нихъ отличаетъ отъ другаго особым понятіемъ, и снова смотритъ на общіх ихъ строй и соединеніе**; ფრანგ. ...sa raison sépare en effet chacune de ces qualités en particulier, puis considère comment toutes en commun elles concourent et conspirent à la constitution). ეფთჳმეს მიერ ორიგინალის კონტექსტი საგრძნობლად არის შემოკლებული, თუმცა, წმ. გრიგოლ ნოსელის სწაელების ძირითადი აზრი, რაც უკაეშირდება სულიერებასა და საღმრთო ხედვებში დაწინაურებული ადამიანის მწედომელობისა და განმრჩეველობის უნარს, შეიმეცნოს და აღიქვას არა მხოლოდ სხეულთა გარეგნული ნიშან-თვისებები, არამედ მათი შედგენილობაცა და ბუნებაც და ეს ყოველივე განჭერიტოს როგორც მათ [სხეულთა] მთლიანობაში, ისე განცალკეებულად, შენარჩუნებულია.

77. **„უძლურმან მან გონებითა"** (151,1,12) – ბერძნულში გვაქვს **„გონებით არასრულყოფილი"**, **„გონებით არასრული"** (ὁ ἀτελὴς τὴν διάνοιαν), რაც გულისხმობს სულიერ ცხოერებაში გამოუცდელ, მჭერეტელობითი და განმრჩეველობის უნარისაგან დაკლებულ ადამიანს, ეისაც ჯერ კიდეე არ განუწმენდია საკუთარი თაეი ხორციელი და ენებადი ზრახებებისაგან (შდრ. „განეიწმინდოთ აზროენება, რადგან მე მწამს, რომ მას, ყოველმხრივ განწმენდილსა და ბუნებითად მდგომს, ძალუძს მჭერეტელი გახდეს", წმ. ეესუქი ხუცესი, „სათნოებათმოყვარეობა", გვ. 259).

78. **„სიკეთისა რაჲსამე ოცნებაჲ“** (151,1,13-14) – (შდრ. ბერძნ. κάλλους τινὸς περικέχυται φαντασία; ინგლ. in the glow of a seeming beauty; რუს. **имѣющій видъ некоторой красоты**; ფრანგ. une apparence de quelque beauté). იგულისხმება ისეთი რამ მოვლენა, საქმე, რაც სინამდვილეში ჭეშმარიტი სიკეთე როდია თავისი ბუნებითა და არსებით, არამედ მხოლოდ მოჩვენებითად ჩანს კეთილად, ატარებს რა საკუთარ თავში სიკეთისა და მშვენიერების მხოლოდ გარეგნულ სახესა და მსგავსებას.

79. **„კიბედ, იქმარის“** (151,1,20) – წმ. გრიგოლ ნოსელის აღნიშნული სიტყვები უკავშირდება მატერიალური, ანუ ნივთიერი სამყაროს მშვენიერებით, როგორც რამ „კიბით“, ადამიანის გონების ზეაღსვლას საღვთო სიკეთისა და მშვენიერების შესამეცნებლად, რაც არის პირველადი მშვენიერება და მიზეზი ამქვეყნად არსებული ყოველგვარი მშვენიერებისა.

80. **„საცნობელთა ჩუენთადა განყოფაჲ ჯეროვნად კეთილისა და ბოროტისაჲ“** (151,2,6-7) – წმ. გრიგოლ ნოსელი იმოწმებს პაველე მოციქულის სიტყვებს (შდრ. ებრ. 5,15). ბერძნულში გვაქვს: γεγυμνάσθαι τὰ αἰσθητήρια πρὸς τὴν τοῦ καλοῦ καί μὴ τοιούτου διάκρισιν (შდრ. წმ. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი: „საცნობელნი და გონებანი წურთილნი ჰქონედ განრჩევად კეთილისა და ბოროტისა“). იგულისხმება განმრჩეველობის უდიდესი მადლი, რაც ადამიანს საშუალებას აძლევს **„სულის თვალით“** განჭვრიტოს გრძნობადი და გონისეული, ჭეშმარიტი და მოჩვენებითი, წარმავალი და მარადიული, რათა ჭეშმარიტი სიკეთე გამიჯნოს ყოველივე იმისაგან, რაც მხოლოდ გარეგნულად ატარებს სიკეთის ნიშან-თვისებას, სინამდვილეში კი უდიდეს საფრთხეს შეიცავს და საზიანოა ადამიანის სულისთვის (შდრ. „ისეე როგორც მესაჭეები გამიზნულად მართავენ ხომალდს, რომ არ შეაჯახონ იგი ზღვისქვეშა კლდეს ან წარაფს რასმე, ამგვარადვე სათნოებითი ცხოვრების მოტრფიალენიც *გულმოდგინედ უნდა იაზრებდნენ, თუ რა აკეთონ, რას განერიდონ, და იმას რაცხდნენ თავისთვის სარგოდ, რაც ჭეშმარიტი და საღვთო რჯულდებანია, მოიკეთდნენ კი – უკეთურ ზრახვებს სულისას*“, წმ. ანტონი დიდი, „სათნოებათმყვარეობა“, გვ. 14; შდრ. „არცა ვნებათა ჴსენებითა გონებაჲ შეშფოთნებოდის, *არამედ რაჲთა ყოველისაგანვე იელტოდის ღმრთისმოყუარე იგი და ღმრთისა მიისწრაფდეს* და იოტებდეს ვნებათა მათ წარსაწყმედელად მიმყვანებელთა და მარადის ცხორებისა საუკუნოჲსა მომატყუებელთა საქმეთა შინა იქცეოდის ჴორცითა და გონებითა“, ბასილი კესარიელის თხზ. ძვ. ქართ. თარგმ., გვ. 219,26-31).

81. **„მუცელი და ნაყროვანებაჲ ყვეს კეთილისა მსაჯული“** (152,2,12-13) – (შდრ. ბერძნ. λαιμὸν καὶ γαστέρα τοῦ ἀγαθοῦ ποιοῦνται κριτήρια; ინგლ. make their gluttony the test of what is good; რუს. **прекраснаго сделали гортань и чрево**). იგულისხმება გემოთმოყვარეობისა და ნაყროვანების ცოდვა, რაც უმთავრეს სიკეთედ და მის [სიკეთის] ერთადერთ საზომ[ად] ც არის მიჩნეული მათთვის, რომელთაც მხოლოდ ამქვეყნიური სიამეებისკენ აქვთ გულისთქმა (შდრ. „ვითარცა-იგი *პირველი განერდომაჲ ჭამისა მიერ იქმნა*, უეჭველად ხარისხი მოღუაწებითისა მოქალაქობისაჲ, ბუნიერ მარხვისა და კრძალულებისა, პოვნად შეუძლებელ არს“, განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ, „სამართლის ძეგლები“, ტ. III, გვ. 148).

82. **„მარტივსა მას და უნივთოსა და გამოუსახველსა მას კეთილისა ბუნებასა“** (152,2,15-16) – იგულისხმება ღმერთი – ყოველად-

წმიდა სამება, რომელიც, წმიდა იოანე დამასკელის სწავლებით, არის: „მარტიეი, შეუდგენელი, უსხეულო, უხილაჲი, შეუხებელი, გარეშემოუწერელი, უსასრულო..., მიუწვდომელი, კეთილი, სამართლიანი, ყველა ქმნილების შემოქმედი“ („მართლ. სარწ. ხედმიწ. გადმოც.“, გე. 322).

83. **„მდაბალთა და წარმავალთა“** (152,3,5) – ბერძნულში გვაქვს ταπεινά τε καὶ πρόσκαιρα, რაც გულისხმობს ნივთიერ, არამდგრად, მარადიული ღირებულების არმქონე, ამქვეყნიურ წარმაეალ მოვლენებსა და საქმეებს (შდრ. „ეინაჲთგან მახლობელ არს სიკუდილი, *ყოველივე ესე საწუთროჲ არარა არს*“, „სამოციქულოს განმარტება“, II..., 2006, გე. 230; შდრ. „არარაჲ ხილულთა ამათგანი არს სამარადისო, არამედ *ყოველივე სიზმრებრ და აჩრდილებრ განქარვებად*“, იქვე, გე. 231).

84. **„ფრთოვანქმნულ იყოს ფრთითა მით ზეცისაჲთა“** (152,4,3) – იგულისხმება ადამიანის გონებითი ზეაღსვლა სულიწმიდის მადლის მოქმედების შედეგად, რაც დაუცხრომელ წადილს აღძრავს მასში, გამუდმებით და ყოვლადძლიერად ისწრაფეოდეს ღვთის უნივთო სიკეთეებისკენ.

„ფრთოვანქმნულყოფა“ მოცემულ კონტექსტში გულისხმობს ადამიანის მუდმივ განახლებადობას, მუდმივ სწრაფვას საღმრთო მშვენიერებისადმი, რაც ეკლესიის მამებთან **„ეჰექტასისის“** სახელწოდებით არის ცნობილი (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ე. ჭელიძის კომენტარები წმ. გრიგოლ ნოსელის თხზულებაზე „პასუხი ეჭუსთა მათ დღეთაჳს, საქ. ეკლ. კალ. თბ. 1989, გე. 253; 256-258); შდრ. „და არცა ზეშთა კერძო შემსგავსებულად ძალისა მიცემულისა მის მათდა ღმრთისმხილველობისა შეუძლებლობით განლაღნებიან, არცა შთამართ უდარესთა მიმართ დამდაბლდებიან, *არამედ კეთილად დგომით და მიუდრეკლობით აღიხილვენ შარავანდედთა მიმართ მათდა გამობრწყინვებულთა და თანაშეზომილად შემსგავსებულისა მის მათდა გამობრწყინვებისა სურვილისა კრძალულებითა წესიერითა სიწმიდით და ღირსებით ფრთოვან იქმნებიან*“ (წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გე. 7).

85. **„ეტლ სულისა, ზეცად აღმყვანებელ“** (152,4,6) – ბერძნულში გვაქვს „ერთი ეტლი ადამიანის სულისთჳის“ (შდრ. ბერძ. ἓν ὄχημα τῆ ἀνθρωπίνῃ ψυχῃ; ინგ. vehicle on which man's soul can mount into the heavens; რუს. **колесница для поднъятія души человеческой на небо;** ფრანგ. un seul véhicule dans son voyage vers les cieux), რაც გულისხმობს სულიწმიდის მადლის მოქმედებას ადამიანზე, რომლის ძალითაც კაცობრივი სული, რომელსაც, თავად აეტორისეე განმარტებით, მართებს, „მიამსგავსოს თავი თჳსი, ძალისაებრ ბუნებისა ჩუენისა, სახესა მას *ზეცით გარდამოსრულისა მტრედისასა, რომლისა ფრთეთა მოგებად სურდა დაეთსაცა*“, როგორც რამ **„ეტლით“**, ზეაღიყვანება. საესებით ცხადია, რომ წმიდა მამის სწავლება უკავშირდება ღეთისადმი, ადამიანის დატევნისაებრ, მიმბაძველობის შედეგად შეძენილ სულიწმიდის მადლს, ღმერთშემოსილებას, სიწმიდეს, რაც ადამიანის განღმრთობის, ანუ **„მადლით ღმერთობის“** საწინდარია.

86. **„ფრთეთა მოგებად“** (152,4,8) – აღნიშნული სიტყვები გადატანითი, სახეობრივი და სიმბოლური მნიშვნელობით არაერთგზის გეხვდება წმ. მეფე დავით წინასწარმეტყველთან (შდრ. ფს. 54,7; 16,8; 17,16). მოცემულ კონტექსტში აშკარა მინიშნებაა 54-ე ფსალმუნის მე-7 მუხლზე: „და

ეთქუ: ეინმცა მცნა მე ყრთენი, ეითარცა ტრუდისანი, და აეფრინდე მე და განეისუენო“ (ფსალმუნი, ახალი შესწორებული გამოცემა, მოამზადა ე. ჭელიძემ, თბ., 2006, გვ. 84).

წმ. გრიგოლ ნოსელისეული სახისმეტყველებითი გააზრება ამ სიტყვებისა (**ფრთეთა მოგებად**) უალრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი უკავშირდება სულიწმიდის მადლის მოპოვებას, ღმერთშემოსილებას, საღმრთო მოქალაქეობით, ანუ სათნოებით, მოღვაწეობითი ცხოვრების შედეგად შეძენილ მადლისმიერ სიმსუბუქესა და გონებით ზეაღმავლობას (შდრ. *„სარწმუნოებითა ფრთოან იქმნების ამაღლებად საქმეთა მიმართ სათნოებისათა“*; „სამოციქულოს განმარტება“, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, III, ებრ. მიმართ ეპისტ. 1,19-20-ის განმარტება, გვ. 82).

87. **„ესევითართა მეცნიერნი“** (153,13) – (შდრ. ბერძნ. ὁι ταῦτα παρατηρήσαντες). მოცემულ კონტექსტში იგულისხმება დამკვირვებელი, შემსწავლელი, ანუ ის, ვინც აკვირდება და სწავლობს ფრინველთა აგებულებასა და მათთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

88. **„ესევითართა სიბრძნისმეტყუელნი“** (153,21-22) – (შდრ. ბერძნ. ὁι ταῦτα φιλοσοφήσαντες). მოცემულ კონტექსტში უნდა იგულისხმებოდნენ ასტრონომიაში განსწავლული ადამიანები.

89. **„სული და ორთქლი ჰაერისაჲ“** (153,22) – ბერძნულ ორიგინალში სიტყვა „ორთქლი“ არ დასტურდება და მხოლოდ „ჰაერის“ აღმნიშვნელი სიტყვა გვაქვს (τῆ ἀέρα). ეფთვიმეს შენამატი მოცემულ კონტექსტში მიზნად ისახავს ერთგვარ კომენტარს ჰაერის მდგომარეობასა და მისთვის დამახასიათებელ თვისებასთან დაკავშირებით, კერძოდ კი, მისი ქროლვადობისა და ორთქლიანობის წარმოჩენას.

90. **„შეიბნევის“** (153,24) – შდრ. ბერძნ. ἐγχαράσσεσθαι, რაც აღნიშნავს ამოჭრას, ამოტეიფრვას, ჩატეიფრვას, ჩაბეჭდვას.

91. **„მსგავსითა მსგავსი ჰოს“** (154,5,5) – წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, შეუძლებელია სხვა სახით, ანუ სხვაგვარად ადამიანის სულის შეერთება ღმერთთან, თუ არა მხოლოდ სიწმიდის გზით, რადგან სწორედ სიწმიდე, რაც ბუნებითია თავად ღვთისთვის, საშუალებას აძლევს ადამიანს, მისი თანაზიარი გახდეს ამავე თვისებით (თვისება თავისი მსგავსი თვისებისაკენ მიილტვის), ანუ სიწმიდისა და უხრწნელობის გზით შეერთოს ღმერთს (შდრ. „ყოველსა უხრწნელსა ზეცისათა თანა აქუს თუსებაჲ და არა ქუეყანისათა“, საქმოციქულოს განმარტება... II, გვ. 386; შდრ. „უხრწნელებისათჳს დაჰბადა კაცი და უკუდაეებაჲ მისცა მას, გარნა ვინაჲთგან შურითა მტერისაჲთა შემოჴდა ხრწნილებაჲ, მაშინ შემოქმედმან ყოველთამან ახალი და უცხოჲ გზაჲ განაჩინა – მოკუდაეისა მის უკუდავად შეცვალებაჲ და ხრწნილებისა უხრწნელ ყოფაჲ, რომელი-ესე ახალ არს საკურველებისათჳს, და კუალად, არა ახალ, *რამეთუ არა სხუასა გუაძსა, არამედ მასვე, უხრწნელებისაგან განჭუებულსა და უკუდაეებისაგან მოკუდაე ქმნულსა*, კუალად-აგებს პირველსაე წესსა უკუდაეებისა და უხრწნელებისასა, და თუსსა მას არა არსისაგან არსად მოყუანებულსა და ცოდჳისა მიერ დაძველებულსა კუალად განაახლებს*, რამეთუ ამის საკუნოდ განახლებისა წინდად შთაჰბერა მას სულისაგან თუსისა“, იქვე, გვ. 387).

92. **„თავისა თუსისაგან და თავისა მიერ და თავისა თუსისა შორის ესევითარი – მარადის კეთილ და შუენიერ“** (154,5,17-19) –

იგულისხმება, რომ ყველაფერი არის ღვთისაგან, და რომ მთელი ქმნილება სათაყვანო იღებს ღვთის ნებისაგან, აღსრულდება ღვთისაეე ნების, როგორც აღმსრულებელი ძალის, საშუალებით ანუ „მიერ“ და ნარჩუნდება, ე.ი. მდგრადია ღვთისაეე ნებაში, ანუ საღვთო ნების ყოველისმომცველ საზღვრებში (შდრ. „მოუედ ამიერითგან, რაჲთა უგალობდეთ სახიერებასა, ვითარცა ნამდჳლეე არსსა და ყოველთა არსთა არს-მყოფელსა, რომელი-იგი არს იგი თავადი ზე'მთაარსებისა, არს ყოველისაეე ძალისაებრისა ყოფისა გუამმყოფელ, მიზეზ და დამბადებელ ნამდჳლისა, მყოფობისა, გუამისა, არსებისა, ბუნებისა, დასაბამ და საზომ ჟამთა და საუკუნეთა, არსობა და საუკუნე არსთა, უამ-ქმნადთა ყოფა ესრეთ ვითამე მყოფთა, შესაქმე ესრეთ ვითამე შექმნულთა. *ნამდჳლეე ამის არსისაგან არიან საუკუნენი და არსებაჲ და ყოფაჲ და ჟამი და ქმნაჲ და ქმნადნი, არსთა შორის არსნი და ესრეთ ვითამე მყოფთა შორის მყოფნი.* და რამეთუ ღმერთი არა ესრეთ ვითამე არს, არამედ მარტიე და გარე-შეუსაზღვრებელობით ყოველიეე ყოფაჲ თაესა შორის თჳსსა აქუს და პირეელითგანეე აქუს; ვინაჲცა მეუფედ ითქუმის საუკუნეთა, ვითარცა მის თანა და მის შორის მპყრობი ყოლისაეე ყოფისა და არს-ყოფისა და დგომისაჲ. და არცა იყო, არცა იყოს, არცა იქმნა, არცა იქმნეს, არცა ქმნულ არს, უფროსსა არცა რაჲ იყოს არსთაგანი. რამეთუ იგი არს ყოფაჲ მყოფთაჲ; და არა ხოლო მყოფთა ყოფა არს, არამედ არამყოფთაცა და ყოფადთა ყოველთა ყოფაჲ პირველ საუკუნითგან თაესა შორის თჳსსა აქუნდა, რამეთუ იგი არს საუკუნე საუკუნეთა, რომელი იყო პირეელ საუკუნეთა“, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძეელი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გვ. 60,22-38; 61,39-41).

93. **„უზეშთაეს ყოვლისაეე შეძინებისა და აღორძინებისა“** (154,5,22) – წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში გადმოსცემს სწაელებას ღმერთის ყოელადსრულყოფილების შესახებ, რომელიც უნაკლულოა სიკეთის, სიბრძნის, ძალის მხრივ, რომელიც არაფერს იძენს გარედან, მარადიულად აქეს რა ყოველგვარი სისრულე საკუთარ თაეში.

94. **„შეუწყნარებელ ყოვლისაეე ქცევისა და შეცვალებისა“** (154,5,22-23) – აღნიშნული სიტყვები უკავშირდება საეკლესიო სწაელებას ღეთის უცვალებლობისა და გარდაუქმნელობის შესახებ (შდრ. ფს. 101,26-28 „დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანაჲ დაფუძნე, და ქმნულნი ჴელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარჴდებიან, ვითარცა სამოსელნი დაძუელდნენ, და ვითარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი, და იცვალნენ. *ხოლო შენ თავადი იგიე ხარ და წელიწადნი შენნი არა მოაკლდნენ*“. იხ. „ფსალმუნთა“ სემომითითებული გამოც.).

95. **„სიტყჳერი ესე და გონიერი ცხოველი“** (156,2,1) – (შდრ. ბერძნ. τὸ λογικὸν τοῦτο καὶ διανοητικὸν ζῷον), წმ. გრიგოლ ნოსელის განმარტებითვე, საესებით ცხადია, რომ აღნიშნული სიტყვები ადამიანის მახასიათებელია, რომელიც არის გონებისა და აზროვნების მქონე ცოცხალი არსება (შდრ. „რამეთუ საზღვარი კაცისაჲ არს: **ცხოველი სიტყჳერი მოკუდავი, გონებისა და ჭელოვნებისა შემწყნარებელი**“, იხ. წმ. იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976, გვ. 93; შდრ. „არსებაჲ ხატოანქმნილი და სახე-დადებული სულიერისა და მგრძნობელისა სხეულისაგან და *სრულ-მყოფელი ცხოველისაჲ და კუალად მიმღებელი სიტყჳერისა და მოკუდაჲისაჲ*, განასრულებს სახესა კაცისასა...“,

იქეე. გვ. 119).

96. **„წმიდისა მის და უხრწნელისა ბუნებისა მიერ დაიბადა მისდაჳ მსგაჳსად“** (156,2,2-3) – (შდრ. ბერძნ. τῆς θείας τε καὶ ἀκηράτου φυσεως ἔργον καὶ μίμημα γεγονως). იგულისხმება ღვთის მიერ ადამიანის შექმნა თავის ხატად და მსგავსად. „ხატისებრობა“ გონისმიერობას აღნიშნავს, „მსგავსებისებრობა“ კი – სათნოებით მსგავსებას, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვის არის შესაძლებელი (შდრ. „ვინც ელვარეჰყო გონება საღვთო აზრებით და სიტყჳას ჩვეჳა მისცა, რომ საღვთო ჰიმნებით დაუცხრომლად თაყვანს სცემდეს შემოქმედს, შეუმღერეველი წარმოდგენებით კი გრძნობა განიწმინდა, ასეთმა ვინმემ **ხატისებრობის ბუნებისეულ მშვენიერებას შესძინა მსგავსებრიობის ნებაყოფლობითი** (γνωμικόν) **სიკეთე**“, წმ. მაქსიმე აღმსარებელი, ჭეშმარიტი ცოდნის შესახებ, „გზა სამეუფო“, გვ. 17; შდრ. *„მსგავსებისაგან დაჳაკლდი* და დაჳჰბადე ბოროტი, ხოლო ხილულთამიერსა გემოენებასა ვრცელად განუზეენ გრძნობანი“, დავით ალმაშენებელი, „გალობანი სინანულისანი“, გალობა პირველი, შემდგენელი თ. ბექიშვილი, თბ., 1989, გვ. 12).

97. **„სოფლისდაბადებასა შინა“** (156,2,3-4) – შდრ. ბერძნ. ἐν τῇ κοσμογενείᾳ, რაც გულისხმობს წმიდა წერილის პირველ წიგნს – „შესაქმეს“ ანუ „დაბადებას“ (შდრ. „აღმოიკითხე *ჭდაბადებაჲ სოფლისაჲ*» და ჰპოო, ვითარმედ მუნ «ყოველივე კეთილ არს და კეთილ ფრიად»“, წმ. ბასილი კესარიელის „სწაელათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 62,9-10).

98. **„ვნებულებაჲ და მოკუდავებაჲ“** (156,2,6) – მოცემულ კონტექსტში წმ. გრიგოლ ნოსელი გადმოგვცემს სწავლებას ღვთის მიერ შექმნილი პირველი ადამიანის შესახებ, რომელიც ცოდვით დაცემამდე უკვდავი და უცოდველი იყო, რადგან, როგორც წმ. იოანე დამასკელი წერს: „ბუნებაში არ ჰქონდა მას მცოდველობა; უმალ არჩეანში ჰქონდა მას ეს, ანუ უფლებამოსილი იყო იგი როგორც სიკეთეში დარჩენისა და წარმატებისა საღვთო მადლის თანამოქმედებით, ასევე *კეთილისაგან უკუმიქცეისაც და ბოროტებაში ყოფნისა*, რასაც უშეებდა ღმერთი [ადამიანის] თვითუფლებრივობის გამო, რადგან არ არის სათნოება ის, რაც იძულებით კეთდება“ („მართლ. სარწ. ჴედმიწ. გადმოც.“, გვ. 361; შდრ. „ენება ბოროტი ბუნებით ბუნებასა შინა ჩუენსა არა დაბადებულ არს, რამეთუ არათუ ენებათა დამბადებელ არს ღმერთი, არამედ უფროსად სათნოებანი დაიბადნეს მის მიერ ჩუენ შორის, რამეთუ მოწყალებაჲ ბუნებითი არს ჩუენ შორის“, წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ-არს კიბე, გვ. 403).

99. **„უკუეთუმცა წინააღმდგომად იყო გამოსახული იგი სიკეთე პირმშოჲსა მისგან“** (156,2,8-9) – ეკლესიის დიდი მამისა და მასწაელებლის სწავლებით, შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანთან მიმართებით გეეთქვა „ხატისებრობა“ და „მსგავსებისებრობა“, თუკი მასში [ადამიანში] გამოსახული სიკეთე და მშვენიერება საპირისპირო იქნებოდა თავდაპირველი ანუ პირველადი მშვენიერებისა.

100. **„არცა ერთისა რაჲს გარეშეთა ჭირისადა დამონებულ იყო“** (156,2,14) – წმიდა მამის სწაელებით, ღვთის ხატად და მსგავსად დაბადებული ადამიანი, რომელსაც ღვთისაეე გამოუთქმელი სიკეთით მიმადლებული ჰქონდა სამოთხისეული მყოფობა, არ იყო დაქვემდებარებული რაიმე განსაცდელსა და ცოდვას, არამედ თავისუფალი ნებითა და

უფლებამოსილებით შეეძლო მხოლოდ ის აერჩია, რაც სასარგებლო იქნებოდა მისთვის, რადგან თავად ცოდვა, რამაც მისი დაცემა გამოიწვია, არ იყო ბუნებისეული, ე.ი. ადამიანის ბუნებაში არსებული, არამედ ბუნების გარეგანი, არაბუნებისეული, გარედან შემოსული მას შემდეგ, რაც ადამიანი ნებაყოფლობით დაემორჩილა უკეთური ძალის განზრახვას (შდრ. შესაქმე, 3,1-7; შდრ. „რამეთუ საცნაურ არს, ვითარმედ ჴორცნი ღმერთმან დაჰბადნა, ხოლო სული არა; და სული დაჰბადა, ხოლო ცოდეაჲ – არა; არამედ სული შებოროტნა, მი-რაჲ-დრკა ბუნებითისაგან. ხოლო რაჲ იყო მისი იგი პირველი კეთილი? ხედეაჲ განგებითა ღმრთისაჲთა და სიყუარულითა შეერთებაჲ მის თანა, რომლისაგანცა, *დაეცა რაჲ, მრავალთა მათ და თითოსახეთა ბოროტთა მიერ შეპყრობილ-იქმნა*“, ბასილი კესარიელის „სწაელათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 62,26-31.).

101. **„ესრეთსახედ კაცი იქმნა მოქმედ ბოროტისა თჳსისა“** (157,21) – იგულისხმება, რომ ცოდვა, რამაც დააზიანა ადამიანის ბუნება, მან [ადამიანმა] საცდურისადმი ნებაყოფლობითი მორჩილების შედეგად თვითონვე მოაწია საკუთარ თავს. ამრიგად, წუთისოფელში არსებული ბოროტების, განსაცდელისა და ხრწნილების მიზეზი თავად ადამიანია, რომლისთვისაც, ვიდრე იგი უკეთურის განზრახვას შეიწყნარებდა, უცხო იყო ცოდვისმიერი გამოცდილება (შდრ. „იყო ოდესმე ადამ ზეცას არა ადგილითა, არამედ გონებითა. რაჟამს-იგი სულიერ იქმნა და აღიხილნა ზეცად და ხილულთა მათ მიერ მხიარულ იქმნა, უფროჲსად უჯუარდა ქველისმოქმედი იგი, რომელმან მოსცა მას ცხორებისა საუკუნოჲსა საშუებელი და კეთილთა შინა სამოთხისათა განუსუენა და მისცა მთავრობაჲ, მიმსგავსებული ანგელოზთა, და მთავარანგელოზთა თანამოსიარე ყო და მსმენელ ჴმისა მის საღმრთოჲსა. ამას ყოველსა ზედა დამტკიცებულ იყო რაჲ ღმრთისა მიერ და იშუებდა, ადრე განძღა ამით ყოვლითა. და *სიმაძღრითა მით, ვითარმცა შეურაცხ-ყო და პატივ-სცა ჴორციელთა მათ თუალთა მიერ ხილულსა შეუნიერებასა უფროჲს საცნაურისა მის და სიმაძღრე მუცლისაჲ უფროჲს მტკიცეთა მათ კეთილთაჲსა აღირჩია, და მეყსეულად გარეგან სამოთხისა იქმნა და გარეგან სანატრელისა მის ცხორებისა, და არა თუ იძულებით, არამედ ნებსით იქმნა ბოროტ*“, ბასილი კესარიელის „სწაელათა“, ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 63,7-18; შდრ. *„საცნაურ არს უკუე, ვითარმედ თჳთ ნებსით მოატყუა ადამ თავსა თჳსსა სიკუდილი განშორებითა ღმრთისაგან“*; იქვე, გვ. 63,22-23; შდრ. *„და ესრეთ, არა ღმერთმან დაჰბადა სიკუდილი, არამედ ჩუენ მოვიყვანეთ იგი თავთა ზედა ჩუენთა უკეთურებითა მით ნებათა და განზრახვათა ჩუენთა“*; იქვე, გვ. 63,26-28).

102. **„ბოროტისა გამოცდილებაჲ“** (157,37) – (შდრ. ბერძნ. τὴν τοῦ κακοῦ πεῖραν). იგულისხმება, რომ სამოთხეში დამკვიდრებულმა ადამიანმა, რომელიც, წმ. იოანე დამასკელის სიტყვებით: „ღვთის მიერ შეიქმნა როგორც უბოროტო, წრფელი, სათნო, უჯერველი, უზრუნველი, ყველა სათნოებით გაბრწყინვებული და ყველა სიკეთით გამშვენებული“ („მართლ. სარწ. ზედმიწ. გადმოც.“, გვ. 361), არ იცოდა, რა იყო ცოდვა, ვიდრე საკუთარ თავში მისი მიღებით არ დასნეულდა, რასაც გულისხმობს წმ. გრიგოლ ნოსელის ზემოაღნიშნული სიტყვები.

103. **„რამეთუ ბოროტი, ნებისა გარეგანი და თჳსითა არსებითა ხილული, არსთა შორის არარაჲ არს“** (157,39-40) – (შდრ.

ბერძნ. κακὸν γὰρ ἔξω προαιρέσεως κείμενον καὶ κατ' ἰδίαν ὑπόστασιν θεωρού μενον ἐν τῇ φύσει τῶν ὄντων ἐστὶν οὐδέν; инбрг. for, be it observed, there is no such thing in the world as evil irrespective of a will, and discoverable in a substance apart from that; рус. **ибо зла, независящаго отъ воли, имеющаго свое самостоятельное бытіе, во всей природъ существъ нетъ никакого**). иґ҃ульнісьмѣва саеґ҃клесіиом сѵ҃ѣавлева бороткетвева арасьубсьтаґ҃ціукрубва вещьаб, тумца арсьтева ар҃ґ҃ноа ар҃ґ҃ноа ар҃ґ҃ нісьаб имаб, ромѣ иґ҃а моґ҃клебулеа иґ҃ос ѵ҃ӂофиот ламдвіілормаб (ѳдрт. „боркотіа ара сьаб҃иерґ҃бісьаґ҃а ар҃ґ҃; да ѵ҃ґ҃ѵ҃тоѵ сьаб҃иерґ҃бісьаґ҃а ар҃ґ҃, ара боркот ар҃ґ҃; рамѣотѵ ар҃ґ҃аӂа ѵ҃ӂнѵ҃аа ҷҷҷкьлісьаґ҃а ар҃ґ҃, ар҃ґ҃а сьаб҃иерсьа тѵ҃ґ҃ ѵ҃ӂѵ҃ѵ҃ґ҃ дабадебаа ѵ҃сьаб҃ґ҃рісьаа. да ѵ҃ґ҃ѵ҃тоѵ ар҃ґ҃сьнґ҃ ѵ҃ӂоѵ҃ґ҃ґ҃ґ҃ґ҃ сьаб҃иерґ҃бісьаґ҃а ар҃ґ҃іан (рамѣотѵ бѵ҃ґ҃ба сьаб҃иерґ҃бісьа ар҃ґ҃ дабадебаа да ҷкьвѵ҃ґ҃ба҃а, кьлом боркотіса ґ҃аґ҃кьрѳґ҃ґ҃аа да ѳ҃ар҃ѳ҃ґ҃ѵ҃медаа), *ар҃ар҃аа ар҃сьтаӂаґ҃ос ар҃сь боркотісьаґ҃а*. да ар҃ґ҃ацаа тѵ҃т боркотіа ѵ҃ӂѵ҃сь раамѳ, ѵ҃инаа҃тґ҃а҃ґ҃ тѵ҃т таѵ҃ґ҃іса тѵ҃кьліса боркот ар҃ґ҃. да ѵ҃ґ҃ѵ҃тоѵ ґ҃сьѵ҃ ар҃ґ҃а ѵ҃ӂѵ҃сь, ар҃ґ҃асьадмѳ боркот ар҃ґ҃ боркотіа иґ҃а, ар҃ґ҃амедаа аґ҃ѵ҃ґ҃ раамѳ ґ҃аґ҃ґ҃ілоа сьаб҃иерґ҃бісьаґ҃а, ромелґ҃іи-иґ҃а ґ҃аґ҃ґ҃ілеба ар҃ґ҃ ѵ҃ӂѵ҃лісьаа҃“, ґ҃ґ҃д. диониснґ҃ ар҃еѵ҃ѳ҃ѵ҃аґ҃елеґ҃іс ґ҃ґ҃ромаґ҃та ӂ҃ґ҃еллі ґ҃ар҃ѳ҃ґ҃ѵ҃лоа ґ҃ґ҃ѵ҃ґ҃ґ҃ґ҃ґ҃ ґ҃ґ҃ґ҃ґ҃

ბოროტებაჲ მათი თჳთ მათისა მისგან არს ,ეთილთაგან განერდომილებისა და შეცვალება მათდა“, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძველი ქართული თარგმანის დასახ. გამოც., გვ. 57; შდრ. „რამეთუ ჭეშმარიტი იგი ბოროტი, რომელ არს ცოდვაჲ, რომელი უფროჲს ყოვლისა ღირს არს ამას სახელსა ბოროტისასა, იგი ჩუენისა ნებისაგან არს და განზრახვისა, რამეთუ *უფლებასა შინა ჩუენსა არს გინა თუ განშორებაჲ ბოროტისაგან, ანუ თუ ყოფაჲ ბოროტისა შინა*“, ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთჳმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 60,13-15; შდრ. „და ვინაჲთგან ესე ყოველი უწყი, დასცხერ საქმისა მაგისგან, რომელ არა სათნო-გეყოფიან განგებანი ღმრთისანი და ყოლადვე ნუცაჲცა ღმერთი შეგირაცხიეს მიზეზად ბოროტისა, *ნუცა კუალად გგონიეს, თუ ბოროტისა რაჲსამე არსებაჲ არს თჳსაგან*, რამეთუ არა თუ უკეთურებაჲ არსი არს ვითარცა ცხოველი რაჲმე,არცა ბუნებაჲ რაჲმე იპოების მისი არსად მოსრული, არამედ დაკლებაჲ კეთილისაჲ არს ბოროტი. რამეთუ თუალი დაიბადა, ხოლო სიბრმე წარწყმედისაგან თუალთაჲსა მოვალს“, იქვე, გვ. 61; შდრ. „*ბუნებით არცა სულისაჲ არსებაჲ ბოროტ არს, არცა ჴორცთაჲ*, რამეთუ ღმერთმან კეთილად შექმნნა იგინი. არამედ თჳთმფლობელმან ნებამან, რომელიცა აღირჩიოს, მასცა იქმს“, „სამოციქულოს განმარტება“, II.., 2006, გვ. 70).

104. **„პირველსა მას დაბადებასა მეყსეულად მოანიჭა ბუნებასა ჩუენსა მისი მსგავსებაჲ“** (158,2,73-74) – (შდრ. *βερძნ. ἐνθύς ἅμα τῇ πρωτῃ γενέσει χαρισαμένου τῇ φύσει τὴν προς ἀυτὸν ὁμοιότητα*). აღნიშნული სწავლება, რაც უკავშირდება ღვთის მიერ შექმნილი პირველი ადამიანისადმი საღვთო მსგავსების მინიჭებას მყისიერად, უაღრესად მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ეკუთვნის ეკლესიის ერთ-ერთ უდიდეს ავტორიტეტს, წმ. გრიგოლ ნოსელს, რომლის მიხედვითაც საღვთო ბუნების მსგავსება შექმნისთანავე მიენიჭა ადამიანს თავად ღვთის მიერ.

105. **„ამას მოასწავებს სიტყუაჲ ჩემი“** (158,3,8) – ტერმინი „სიტყუაჲ“ ამ ადგილას, ისევე როგორც არაიშუიათად სხვა შემთხვევებშიც, გულისხმობს „წმიდა წერილს“ (შდრ. „არა ჩემი არს სიტყუაჲ ესე, არამედ ნეტარისა პაველისი“, წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, თარგმანი წმ. ეფთჳმე მთაწმიდელისა, წიგნი III, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს: მერაბ ბაბუხადიამ, ლილი ბასილაიამ, ნინო დაბორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კარსანიძემ, მანანა მაჩხანელმა, ნინო შარაშიძემ, ნანა შუღლაძემ, თამარ ცოფურაშვილმა, თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., 1998, გვ. 12). საგულისხმოა, რომ ბერძნულში არ გვაქვს „ჩემი“-ს შესატყვისი μοῦ (შდრ. *Λογος αὐτῳ*). როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელი აღნიშნული ნაცვალსახელის შემატებით სიმკვეთრეს ანიჭებს იმ აზრს, რომ წმიდა წერილი (იგივე „სიტყუაჲ“) [1]შშობლიურია ქრისტიანისთვის, მისი კუთვნილებაა (ანალოგიურია იოანე პეტრიწის გამონათქვამები: „ჩემი პაელე“, „ჩემი ესაია“, „ჩემი ღმრთისმეტყუელი“. ამასვე გულისხმობს საეკლესიო ტრადიციაში დამკვიდრებული გამონათქვამი: „ჩემი იესუ“).

106. **„ყოელადვე მეუფისა ხატსა“** (159,24) – (შდრ. *βερძნ. τὴν εἰκόνα πάντως τοῦ βασιλέως*). – ბერძნულში გვაქვს πάντως, რაც ძ. ქართულში ჩვეულებრივ ითარგმნებოდა როგორც „ყოელადვე“, „ყოველითკერძო“, „ყოელითურთ“. აქედან გამომდინარე, ეფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს C რედაქციის წაკითხვა, სადაც, მართალია, მკრთალად,

მაგრამ მაინც იკითხება „ყოველადვე“. დიდი კაბადოკიელი მოძღვარი მოცემულ კონტექსტში „მეუფის ხატს“ უწოდებს ღვთის ხატებას პირველქმნილ ადამიანში, რაც თუმცა შერყვნა ცოდვამ, მაგრამ მთლიანად ვერ მოსპო და რაც შემდეგ განკაცებულმა ღმერთმა განაახლა ჩვენი ბუნების დასაბამიერ, ცოდვამდელ მდგომარეობაში აღდგინებით.

107. **„სენიანსა ამას და ხორშაკითა სავსესა და საჭიროსა სოფელსა ექსორიობად მოივლინნეს“** (160,23-24) – (შდრ. ბერძნ. εἰς τὸ νοσῶδες τοῦτο καὶ ἐπίπονον χωρίον ἄποικοι πέμπονται; ინგლ. were sent forth into this pestilential and exacting land; რუს. **посылаются для жительства въ это полное болезней и трудов место**; ფრანგ. envoyés en exil dans cette région malsaine et pénible). იგულისხმება პირველ ადამიანთა სამოთხიდან განდევნა. წმ. გრიგოლ ნოსელს ამქვეყნიური ყოფის დასახასიათებლად ორი სიტყვა აქვს გამოყენებული: τὸ νοσῶδες და ἐπίπονον, რომელთაგან პირველი აღნიშნავს „სნეულს“, „ავადმყოფს“, ხოლო მომდევნო – „მძიმეს“, „შრომასთან შეკავშირებულს“, „შრომასთან შერყმულს“, რითაც დიდი საეკლესიო მოძღვარი მთელი სიცხადით ასაჩინოებს ამქვეყნიურ ცხოვრებაში არსებულ უდიდეს სიმძიმეს და განსაცდელს, სადაც სამოთხიდან გამოსვლის შემდეგ საცხოვრებლად მოივლინნენ პირველცოდვით დაცემული ადამიანები (შდრ. „ამას თანა საღმრთოჲსა რაჲ და აღმყჳანებელისა ცხორებისაგან ნეფსით დაეცა წინააღმდგომისა, *ექსორიობისა მიმართ მიიყვანა მრავალნებულისა შეცდალებისა*“, საეკლესიოჲსა მღდელთ-მთავრობისათჳს, წმ. დიონისე არეოპაგელის შრომათა ძე. ქართ. თარგ. დასახ. გამოც., გვ. 180,22-25). წმ. ეფთჳიმე მთაწმიდელი წუთისოფლის დასახასიათებლად დამატებით იყენებს სიტყვებს: „ხორშაკითა სავსესა“, რაც სიცხისმიერ შემწველობას აღნიშნავს. ეკლესიის მამებთან წუთისოფლის სიმბოლოდ არაიშვიათად გვხვდება „საპყრობილე“ (შდრ. „ხოლო კაცი იგი, ვერ მეცნიერ-ყოფილ კეთილისა და ბოროტისა, ვითარცა მიწისაგანი, შეიწყნარა; მტერი იგი და მლიქნმ, ღმრთისა მიმართი იგი მზაკუვარი, ჴელ-მიყოფილ ხესა მას, გარდაჰჴდა მცნებასა და არა ისმინა ღმრთისაჲ, *გამოვარდა ამას სოფელსა, ვითარცა საპყრობილესა*. ესე კაცი მიეცა მონებად მტერთა და სიკუდილი ეუფლა გემოჲს-ხილვითა ხისა მისგან და დაუტეა შვილთა მისთა სამკუდრებელი არა კეთილი: არა პატივი, არამედ შეურაცხებაჲ, არა აზნაურებაჲ, არამედ მონებაჲ, არა მეუფებაჲ, არამედ განდგომილებაჲ, არა ცხორებაჲ, არამედ სიკუდილი, არა გამოჴსნაჲ, არამედ წარწყმედაჲ“, იოვანე ოქროპირი, თხრობაჲ და უწყებაჲ და სახისა გამოთქუმაჲ აღესებისა ზრახვისათჳს, „უდაბნოს მრავალთაჲ“, გვ. 199; შდრ. „და აწ მომიჴსენე მე, უფალო, და *განმიყვანე მე საპყრობილისა ამისგან უშჯულოებათაჲსა*, რამეთუ შენი არს ორკერძოჲ, უფალო, ოდესმე შემოყვანებაჲ სოფელსა ამას და ოდესმე განყვანებაჲ მისგან“, ეფრემის თქუმული, შესუენებულთათჳს, „უდაბნოს მრავალთაჲ“, გვ. 105; შდრ. „სული კაცისაჲ ურჩებისათჳს შორს განდგა ღმრთისაგან, რამეთუ ვითარცა მჭეცნი ივლტიან ნათლისაგან დღისა და შეელენ მაღნართა შინა უდაბნოჲსათა, ეგრეთვე სული განეშორა ნათლისა მისგან ჭეშმარიტისა ნებითა თჳსითა და შემოვიდა სოფელსა ამას, *რომელი არს მაღნარი და უდაბნოჲ და სიბნელე და უცნებაჲ სულისაჲ*“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთჳიმესეული თარგმანი, გვ. 223,15-20).

108. **„უკუანაჲსკნელისა საზომისასა“** (161,1,7) (შდრ. ბერძნ. σταθμὸν ἔσχατον; ინგლ. last stage; რუს. **последнимъ пределомъ**; ფრანგ.

une étape ultime). ბერძნული სიტყვა σταθμὸν მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს „ზღვარს“, „საზღვარს“, „საფეხურს“; წმ. გრიგოლ ნოსელი გულისხმობს ხორციელ ქორწინებას, როგორც სამოთხიდან განშორების, ანუ სულიერი, მადლმოსილი ცხოვრებისაგან გაუცხოების უკანასკნელ ზღვარს, რომლის დაძლევაც, თავის მხრივ, პირველი საფეხური იქნება სამოთხისეული ნეტარებისკენ, ანუ განღმრთობისაკენ უკუმობრუნების სულიერ გზაზე. დიდი საეკლესიო მოძღვრის სიტყვები: „ამისთჳს პირველ ყოვლისა მისსა [ე.ი. ქორწინებისა] დატეობასა, **ვითარცა უკუანასკნელისა საზომისასა**, ქრისტეს მიმართ მიმაჲალთა აწუეცს სიტყუაჲ“, (გე. 161,1,6-8), ბუნებრივია, არ უნდა გაეიგოთ, როგორც ქორწინების საიდუმლოს უარყოფა, რადგან ქორწინება თავად ღმერთის მიერ არის ნაკურთხი და სჯულისმიერი შეუღლება არ შეიძლება დამაბრკოლებელი იყოს ადამიანისთვის სასუფეველში შესასვლელად. მოცემულ კონტექსტში ხაზგასმა მხოლოდ იმაზეა, რომ განდეგილური ანუ ბერ-მონაზენური ცხოვრება ბუნებრივად გულისხმობს ქორწინებისმიერი კაშირის შეწყვეტას, რადგან ქორწინებაში მყოფი, ცხადია, მონაზონი ვერ იქნება. შესაბამისად, დიდი კაბადოკიელი მოძღვრის ზემორე შეგონება არის მოწოდება ქალწულებითი ღვაწლისკენ, როგორც აღმატებული და უპირატესი რამ ცხოვრების წესისაკენ.

109. **„წამლიანი იგი გუელი“** (161,1,17) – (შდრ. ბერძნ. τὸν ἰοβόλον ὄφιν; ინგლ. the venom spitting serpent; რუს. **ядовитаго змия**; ფრანგ. le serpent venimeux). აღნიშნული სიტყვები – შხამიანი გველი – სიმბოლური, გადატანითი და სახეობრივი მნიშვნელობით გულისხმობს ყოველგვარ ცოდვას, ეშმაკეულ განსრახვასა და არაწმინდებას, რაც უაღრესად საზიანოა ადამიანისთვის (შდრ. „ეითარცა მჭეცნი მრაველჟამ რაჲ მოყმენ შიმშილითა, უადვილე იქმნებიან საბრძოლელად, ეგრეთვე გულისთქუმაჲ და რისხვაჲ და სხუანი ყოველნიე იგი ვნებანი. *წამლიანნი იგი და სულთა მაკუდინებელნი მჭეცნი*, მოყმენ რაჲ დაყუდებითა და რაჟამს ნიეთნი მათნი არა იპოებოდიან და მოუძლურდენ, ადვილად საძლეველ იქმნებიან ძალითა სულისა წმიდისაჲთა“, ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გე. 217,18-24). ეს სიტყვები, ამაღე დროს, ერთგვარი მინიშნებაა იმ გველის შესახებ, რომელიც უკეთური ძალის მიერ იქნა გამოყენებული სამოთხეში მცხოერები ადამიანის საცდუნებლად (შდრ. „არღარა ადამს ეშინის *გუელისა მისგან*, რამეთუ ქრისტემან შემუსრა თაჳი იგი ეეშაპისაჲ“, ეპიფანე კვიპრელი, „უდაბნოს მრაველთაჳი“, გე. 262; „სადა-იგი *გუელმან ურჩებითა დასთხია გესლი*, მიერეე სიტყუაჲ იგი მორჩილებითა შეეიდა მისა და ტაძარი იგი ცხოველი დაჰბადა შინა“, პროკლე კონსტანტინეპოლელი, „სინური მრაველთაჳი“, გე. 40; შდრ. „დასაბამითგან ეშმაკმან შურითა და უკეთურებითა თჳსითა **ხისა და გუელისა მიერ აცთუნა** ეეა და ადამ და გამოიყვანნა იგინი სამოთხით და პირველისა მის სიწმიდისა და დიდებისაგან მოიყვანნა იგინი ენებათა მწარეთა და სიკუდილსა და მიერითგან ყოველიე ბუნებაჲ კაცობრიეი დაიმორჩილა და შთააგდო იგი ცოდვათა და ვნებათა შინა ბოროტთა“, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 219,18-23).

110. **„კეთილისა ოდენ შეხებაჲ და ბოროტისა გემოსა არა ხილვაჲ, რაჲთა ესრეთ საქმეთან კეთილისამან დაწყებაჲ მოიღოს არა მიახლებითა ბოროტისაჲთა“** (161,1,18-20) – (შდრ. ბერძნ. τὸ τοῦ

καλοῦ μόνου ἅπτεσθαι τὴν δὲ τοῦ πονηροῦ σεῦσιν ἀπώσασθάι ὡς ἐκεῖθεν ἡμῖν τῆς τῶν κακῶν ἀκολουθίας τήν ἀρχὴν λαβούσης; იხილე. to touch nothing but what was Good, and to leave what was evil untasted; because impatience to remain any longer in ignorance of evil woud be but the beginning of the long train of actual evil; რუს. **чтобы стремиться къ одному добру и удаляться оть вкушения зла; так какь все дальнейшее зло получило у насъ начало оть того, что мы не захотели оставаться в неведении зла**; ფრანგ. celui-ci demande de s'attacher au bien seul et de repousser toute velléité de goûter au mal, parce que l'engrenage des maux a commencé pour nous avec le refus d'ignorer le mal). აღნიშნული სიტყვები უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც პირველმშობელთა სამოთხისეულ მყოფობასთან, ისე, ზოგადად, ჭეშმარიტ სიკეთესა და ადამიანის განღმრთობასთან, ანუ თეოზისთან დაკავშირებით, რამდენადაც წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, ჭეშმარიტი სიკეთის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიუახლებელი, ანუ შეურევნელი უნდა დარჩეს ბოროტებისაგან, რაც საწინდარი ხდება ადამიანის სულიერი აღმასვლისა და განღმრთობისა. ნიშანდობლივია წმიდა მამის მინიშნება იმის შესახებ, რომ ადამიანთა დაცემის, სამოთხის დაკარგვისა და „ბოროტებათა შედგომილების“ მიზეზი თავად მათში იყო, რადგან არ მოისურვეს დარჩენა ბოროტების შეუცნობლობაში (შდრ. **„კეთილისა და ბოროტის ცოდნის ხე იყო გრძნობადი და გემოვანი საკვები**, მორჩენებითად დამატებული, სინამდვილეში კი, ვინც გასინჯავდა, ბოროტებათა შენიეთებაში მისი მომაქცეველი“, წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწმ. ზედმიწ. გადმოც.“, გვ. 359). წმიდა გრიგოლ ნოსელის აღნიშნული სწავლებით, რაც ეკლესიის სხვა მამათა მიერაც არის განმარტებული, ბოროტებასთან წილნაყარი სიკეთე არასოდეს არის სრული სიკეთე (შდრ. „ბოროტება, რომელსაც მშვიდობა და ზაეი აქვს სიკეთესთან, ბოროტება არ არის, და სიკეთეც, რომელიც ბოროტებასთან შემოყესებულია, სიკეთე არ არის“, იხ. იქვე, გვ. 453; შდრ. „არა მართებს ზიარება მღვდელთან, რომელიც არ მარხულობს ოთხშაბათს და პარასკევს, თუნდაც რომ მართლმადიდებლად ჩანდეს იგი, რადგან არ არის სიწმიდე, ერთ რამეში იყო კეთილმორწმუნე, ხოლო მეორეში – არაწმიდა“, (წმ. ნიკიფორე აღმსარებელი, 47-ე კანონი, [თარგმანი ჩვენია. პროტოპრესვიტერი გ.ზ]). რუს. ტექსტი: **“Не следуеть причащаться у священника, который не постится въ среду и пятокь, хотя бы онъ и казался православным, ибо быть въ одномъ отношении благочестивымъ, а въ другомъ осквернаться - ни свято”, (Никодима, епископа далматинско-истрийского, т. II, ст. 594)**; შდრ. „რამეთუ ვითარცა-იგი ცოდვაჲ, რაჟამს განძლიერდეს, მოაკუდინებს სულსა, და თუთ ცხოველებს და მოქმედებს ჴორცთა მათ შინა, რომელთა იუფლონ იგი, ეგრეთვე კაცმან, *რაჟამს განაძლიეროს სათნოებაჲ, მკლველ ქმრების ცოდვასა*; და თუთ მოკუდების ცოდვისაგან [ანუ თვითონაც აღუძრელი შეიქმნება ცოდვის მიმართ, პროტოპრესვიტერი გ.ზ]; და ესრეთ, მიერითგან მის შორის მკუდრ და მოქმედ არს ქრისტე, და იგი იქმს ყოველსავე ჴორცთა მათ შორის, მომკუდართა ცოდვისაგან, საქმითისა და გონებითისა“, „სამოციქულოს განმარტება“, II..., 2006, გვ. 489-490).

111. **„საცნაურსა მას კეთილსა ბოროტისასა“** (161,1,23) – იგულისხმება გარეგნულად, მოჩენებითად კეთილი ბოროტება, ანუ ის, რაც შინაგანად, სინამდვილეში, უკეთურია, მაგრამ გარედან კეთილად გამოგვიჩნდება (შდრ. „არა ჯერ-არს, რაჲთამცა შეუდგა სული ორთავე საქმეთა – ბოროტსა და კეთილსა, არამედ კეთილსა ოდენ. და არა ჯერ-

არს, რაჲთა იქმნენ ჩუენ შორის ორნი ნაყოფნი – კეთილნი და ბოროტნი, **არამედ კეთილი ოდენ ექმნათ და ბოროტისაგან განვეშორნეთ**. და იგჳით ესრეთ იტყჳს: «ნუ შეაბამ კალოსა ზედა შენსა ერთბამად უცხოთესლთა პირუტყუთა – ჴარსა და კარაულსა, არამედ ერთისა თესლისა პირუტყუნი შეაბენ და ესრეთ განლეწე კალოჲ შენი». ხოლო ესე იგი არს, რაჲთა კალოსა შინა გულისა ჩუენისასა არა იყვნენ ერთბამად სათნოებაჲ და უკეთურებაჲ", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყჳის ეფთჳიმესეულსი თარგმანი, გვ. 165,24-33; შდრ. „უკუეთუ ეინმე ბოროტსა სახითა კეთილისაჲთა იქმოდის, ორკეცისა ტანჯჳისა ღირს არს, ამისთჳს *რამეთუ იქმს არა კეთილსა* მას და სრულ ჰყოფს ცოდვასა, რეცა ეითარცა შემწესა კეთილისასა", „დიდი სჯულისკანონი", გვ. 505,5-8).

112. **„განსყიდულ ცოდვითა"** (162,2,3) – (შდრ. ბერძნ. πεπραμένοι τῇ ἁμαρτίᾳ), წმ. გრიგოლ ნოსელი იმოწმებს პაელე მოციქულის სიტყჳებს (შდრ. რომ. 7,14), რაც „სამოციქულოს" ათონამდელ რედაქციებში, ისეე როგორც გიორგისეულ და ეფრემისეულ რედაქციებში, თარგმნილია სინონიმური სიტყჳით – *„განფრდილ"* და გულისხმობს ცოდვისადმი ადამიანის მიდრეკილებას, ცოდვისადმი დამონებულობას. აღნიშნული სიტყჳები წმ. პაელე მოციქულთან გამოყენებულია უაღრესად მნიშჳნელოვანი სწავლების გადმოსაცემად, რაც უკავშირდება, ერთი მხრივ, სჯულის სულიერებას, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის ხორციელებასა და ცოდვით დაცემულ მდგომარეობას (შდრ. „ესე უწყით, რამეთუ სჯული სულიერ არს, ხოლო მე – ჴორციელ და *განფრდილ ცოდვასა შინა*"), დიდი კაბადოკიელი მოძღვარი, „სამოციქულოს" სწაელებაზე დაყრდნობით, გვაუწყებს, რომ სამოთხე, რომელიც სულით ცოცხალთა სამკჳდრებელია, ცოდვის მიერ მომკვდართ არ შეიწყნარებს. წმ. პაველ მოციქულის აღნიშნული სიტყჳები სიღრმისეულად არის განმარტებული შესაბამის საეკლესიო კომენტარში, რომელსაც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო სრულად დავიმოწმებთ: „ჴორციელ ეწოდების ყოველთა მშჳენიერთა და ქუეყანად დამზიდეელთა საქმეთა, ვინაჲთგან მოკუდაებასა თანა შემოჴდა ბანაკებიცა ენებათა პირად-პირადთაჲ, ვითარ რისხვაჲ და მწუხარებაჲ, გულის-თქუმაჲ ბოროტი, რომლითა ჴორციელი იგი კაცი მიეყიდა ცოდვასა. რამეთუ ესრეთ გულისჴმა-იყოფების **განფრდილობაჲ**, რაჟამს **მიეყიდოს ვინ ცოდვასა**" („სამოციქულოს განმარტება", II.., თბ., 2006, გვ. 68; შდრ. „როდესაც ერთგზის ღვთის მცნების ნებაყოფლობითი დარღვეით და უკეთურის კეთების შეწყნარებით შემოსასელელი გზა მიეცით მას, ჩენითვე **მიჳყიდეთ ცოდვას**", წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწმ. ზედმიწ. გადმოც.", გვ., 454; შდრ. „რამეთუ ვინათგან კაცისა მიერ შემოჴდა სიკუდილი სოფლად ცოდეისათჳს, სიკუდილი სათნო იყო მხოლოდ შობილმან ძემან შენმან, მყოფმან წიაღთა შინა შენ, ღვთისა და მამისათა, შობილმან დედაკაცისაგან წმიდისა ღვთისა მშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისა, ქმნილმან სჯულსა ქუშე, დასაჯა ცოდვა ჴორცითა თჳსითა, რათა ადამის მიერ მომწყდარნი ცხოველთა იქმნენ თჳთ მის ქრისტეს მიერ შენისა, და მოქალაქე ქმნილმან სოფელსა ამას შინა, მომცნა ბრძანებანი ცხოვრებისანი, განმაყენნა ჩუმნ საცთურისაგან კერპთასა, მომიყვანნა მეცნიერებად შენ, ჭეშმარიტისა ღვთისა და მამისა, მომგებელმან თავისა თჳსისა ერად საზეპუროდ, სამეუფოდ მღუდელობად, ნათესავად წმიდად, და განმბანნა ჩუმნ წყლითა, და წმ.., მყუნა სულითა წმიდითა, მისცა თავი თჳსი ნაცულად სიკედილისა,

რომლისაგან შეპყრობილ ვიყვენით მისყიდულნი ცოდვისა მიერ", კონდაკი, ექვთიმე ხელაძის სტამბა, თბ., 1899, გე.სლგ-სლვ.).

113. **„ადამისითგან ვიდრე დღეთამდე ქალწულისა სიკუდილი არა განიკუეთა"** (163,1,19-20) – (შდრ. Βερμδ. ἀπὸ τοῦ πρωτοπλάστου καὶ μέχρι τῆς τοῦ παρθενεύοντος ζωῆς διὰ μέσου γέγονεν; ინგლ. unbrouken career of... death... the first man and the lives of virginity which have been led, is intenrupted; რუს. **въ немъ (т.е. девстве) прервалась... смерти, которая непрерывно продолжалась оть прародителя до жизни девственника**; ფრანგ. entre le premier homme et la vie de celui qui pratique la virginité,car il n'était pas possible que la mort). იგულისხმება საეკლესიო სწავლება იმის შესახებ, რომ ცოდვით დაცემის შემდგომ სიკვდილი უფლებდა ყოველ ადამიანზე, რადგან ყველამ მემკვიდრეობა პირველმამისგან, ადამისგან მიიღო, რომელიც შეცოდების შედეგად ხრწნილებას დაექვემდებარა, რაც მისმა შემდგომმა ყველა თაობამ იმემკვიდრა. წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, სიკვდილი, რაც პირველი მამის დაცემის შემდგომ თვისებად გაუხდა ადამიანს, ყველა თაობის თანამდევი იყო (შდრ. „ყოველთა მათ პირველთა ნათესაჲთა თანა ვიდოდა, და ჟამითი-ჟამად ცხორებასა ამას შემოსრულთა თანა შემოვიდოდა. და სასღვრად ძალისა მისისასა და **დამაყენებელად ქალწულებაჲ იპოვა, რომლისა თანაწარსლვაჲ შეუძლებელ არს**", გე. 163,1,21-25). აღნიშნული სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ასპექტით: 1. სიკვდილი, რომელიც პირველი ადამიანიდან დაწყებული („პირველქმნილისაგან", „პირველშეძერწილისაგან" ἀπὸ τοῦ πρωτοπλάστου) მძლეობდა და მოქმედებაში იყო (თავად წმ. გრიგოლ ნოსელი რომ დაეიმოწმოთ, „შეუძლებელ იყო უქმობაჲ სიკუდილისაჲ, ვინაჲთგან ქორწინებისა მიერ იქმნებოდა შობაჲ კაცთაჲ", გე. 163,1,20-21), როგორც კი ქალწულების ნაყოფს მიემთხვია, მაშინვე დაემხო, რითაც მთელი სისავსით ცხადდება ის უმტკიცესი ჭეშმარიტება, რომ ქალწულების ნაყოფი არის არა მოკვდავი ადამიანი, რომელზეც სიკვდილს შეეძლო ემძლავრა, არამედ თავად ღმერთი, რომელიც არის ადამის ნათესაჲის ცოდვისაგან გამათავისუფლებელი და მთელი კაცობრიობის გამომხსნელი ხრწნილებისა და სიკვდილის მძლავრებისაგან (შდრ. „*აწ უკუე, უკუეთუ არა იქმნა ჴორციელად მოსლვაჲ უფლისა, არცა სადმე მისცა მჴსნელმან ჩუენთჳს ფასი სიკუდილსა*, არცა განკუეთა სიკუდილისა მეფობაჲ თავისა მიერ თუსისა. რამეთუ უკუეთუმცა სხუაჲ იყო ფლობილი სიკუდილისა მიერ და სხუაჲ მიღებული უფლისა მიერ, არამცა დაცხრომილ იყო სიკუდილი მოქმედებად თუსთა, არცამცა შესაძინელ ჩუენდა ქმნილ იყვნეს ენებანი ღმერთშემისილთა მათ ჴორცთანი, არცამცა მოეკუდინა ცოდვაჲ ჴორცითა, არცა განეცხოველდებოდით ქრისტეს მიერ ადამის ძლით მომკუდარნი ესე, არცამცა კუალად აგებულ იყო დაკუეთებული, არცა აღმართებულ დაღონებული, არცა შეესაკუთრებოდა ღმერთსა ცთომითა გუელისაჲთა უცხოქმნილი", ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გე. 252,24-34; შდრ. „ვითარ შესაძლებელ იყო, იესუმცა მოვიდა და მან კუალად ნაყოფი სიკუდილისაჲ გამო-ღა-იღოა, რომელი-იგი თუთ აღდგა და აღდგომასა ყოველთა გუახარებდა? *ამისთჳს ეერღარა შესაძლებელ იყო იგი ნაყოფსა მას სიკუდილისასა გამოღებად*", დიდსა ორშაბათსა ცისკრად თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მთავარ-ეპისკოპოსისა კონსტანტინეპოლელისაჲ, „უდაბნოს მრავალთაჳი", გე. 168; შდრ. „ესე [მაცხოვარი] მოვიდა ზეცით ქუეყა-

ნად ენებულისა მისთჳს კაცისა. *ესე კაცი თუთ შეიმოსა ქალწულისა მუცელსა შინა და გამოჩნდა კაცად და თავს-იდეა ენებულისაჲ მის ენებაჲ*... განაძლიერა სულითა და მოკლა კაცის მკლველი იგი სიკუდილი. ესე თუთ მოიგუარა, ეითარცა კრავი, და ეითარცა ცხოვარი, დაიკლა და გჳჭსნნა ჩუენ საცთურისაგან ამის სოფლისა, ეითარცა ქუეყანით ეგჳპტით ერი იგი, და გამოგჳჭსნნა ჩუენ მონებისაგან ეშმაკისა, ეითარცა ჭელთაგან ფარაოჲსთა, და აღბეჭდნა სულნი ჩუენნი სულითა თჳსითა და ჯორცნი ჩუენნი სისხლითა თჳსითა. ესე არს, რომელმან შეიმოსა სიკუდილი, სირცხული და ეშმაკი დააკუეთა მგლოვარმ, ეითარცა მოსემან ფარაო– ესე არს, რომელმან გამოგუყუანნა ჩუენ მონებისაგან აზნაურებად, ბნელისაგან – ნათლად, სიკუდილისაგან – ცხორებად, განდგომილებისაგან – სასუფეველსა საუკუნესა... ესე არს შეენიერისა მის მარიამის ქალწულისაგან შობილი", იოვანე ოქროპირი, თხრობაჲ და უწყებაჲ და სახისა გამოთქუმაჲ აღესებისა ზრახეისათჳს, „უდაბნოს მრავალთაჲი", გე. 200-201; შდრ. „ეჰა, სიკუდილი ქრისტჱსი, სიკუდილისა მომაუდინებელი! *ტკბილი გულის-თქუმაჲ მწარესა სიკუდილსა წყაროდ აღმოსცენდა*", თქუმული ეპიფანჱსი აღესებისათჳს და აღდგომისა უფლისა, „უდაბნოს მრავალთაჲი", გე. 262; შდრ. „ჯორცნი, რომელნი შეიმოსნა უფალმან ღმრთისმშობელისა მარიამისგან, შეიმშჯუალა იგი და დამოეკიდა ძელსა ზედა. და *გული იგი, რომელი ცოცხალ იყო და ეიდოდა გულთა შინა ჩუენთა, გუამმან მან მომკუდარმან სძლო და მოაკუდინა*. საკრველი საქმჱ იქმნა, ეითარ მკუდარმან ცოცხალი იგი მოკლა. არამედ ეითარცა დასაბამითგან არაეის უქმნია გული სპილენძისაჲ, ვიდრე მოსესამდე და მოსე ქმნა საქმჱ იგი ახალი, ეგრეთეე უფალმან ახალნი ჯორცნი შეიმოსნა ქალწულისა მარიამისგან, არამედ არა ზეცით მოიხუნა ჯორცნი იგი. სული ზეცისაჲ იყო, არამედ კაცი ახალი შეიმოსა ღმრთეებისა თანა. და შეიმოსნა ჯორცნი კაცობრივნი და ხატი მონისაჲ შეიმოსა საშოსა შინა. და ეითარცა გული სპილენძისაჲ მოსესამდე არა ყოფილ არს, ეგრეთეე ჯორცნი უცოდველნი ვიდრე უფლისამდე არაეის მიუხუმან სოფელსა შინა. რამეთუ გარდაჴჳდა რაჲ მცნებასა პირველი ადამ, «უფლებდა სიკუდილი» ყოველთა ჴედა შვილთა მისთა. ხოლო მომკუდარმან მან გულსან სძლო გულსა მას ბოროტსა", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 345,12-28). მიუხედავად იმისა, რომ არც ორიგინალში და არც ქართულ თარგმანში ამ კონტექსტში სიტყვა „ღეთისმშობელი" ან „ქალწული მარიამი" ნახსენები არ არის, საესებით აშკარაა, რომ მასჱა მინიშნება, რამდენადაც ორიგინალის სიტყვები: *„ვიდრე ქალწულებაში მყოფის სიცოცხლემდე"* ან *„ქალწულებაში დადგრომილის სიცოცხლემდე"* μέχρι τῆς τοῦ παρθενεύοντος ζωῆς, რაც ეფთვიმეს მიერ შემოკლებულად არის თარგმნილი – *„ვიდრე ქალწულისა"*; მოტანილია არტიკლის გამოყენებით, რომელიც სწორედ კონკრეტულ და არა ზოგადად ქალწულზე მითითების ფუნქციას ასრულებს. აქ წმ. ქალწული მარიამი იგულისხმება, ეს საესებით ცხადია, რადგან თავად წმ. გრიგოლ ნოსელის მიერ არის განმარტებული, რომელიც იქვე სახელსაც პირდაპირ უთითებს, როდესაც წერს: „რამეთუ ეითარცა-იგი ღმრთისმშობელისა მარიამს ზედა იქმნა, რომელ «სიკუდილი იგი», რომელი «ადამისითგან ვიდრე მისდამდე სუფეედა», ვინაჲთგან მისდა მოვიდა და **ნაყოფსა მას ქალწულებისასა მიემთხუა, მყის შეიმუსრა**" (იქვე, 14,1,26-29), რაც კიდევ ერთი ხაზგასმაა იმისა, რომ ქალწულების ნაყოფი ლიტონი,

მოკედაი ადამიანი როდია, არამედ სიკედილის მძლეელი ღმერთი (შდრ. „უკუეთუმცა არა ქალწულიეე ეგო დედაჲ იგი, ლიტონიმცა იყო,რომელი-იგი იშვა, და არამცა დიდებულ იყო შობაჲ იგი. უკუეთუ შემდგომად შობისა ქალწულიეე ეგო იგი, გამოუთქუმელად იშვა... საიდუმლოჲ ესე... უფროჲს სიტყჳსა გარდარეულ არს და საკჳრველება", პროკლე კონსტანტინეპოლელი, „სინური მრავალთავი", გე. 41; შდრ. „წიაღთა მამისათა იყო და წიაღთა ქალწულისათა და ქალწულებისა კლიტჱ არა განხეთქა, რამეთუ **ღმერთი იყო და ესრეთ საშოჲსაგან გამოვიდა და ეგრევე იშვა**, ვითარცა მუცელსა შეეიდა; უვნებელად შეეიდა და უჭრწნელად გამოვიდა სიტყჳსა მისებრ ესეკიელ წინაწარმეტყუელისა, ეითარცა იტყჳს: და მომაქცია მე უფალმან გზასა მას ბჭისა მის წმიდათაჲსა აღმოსავალად. და იყო იგი დაჭშულ და მრქუა მე უფალმან: ძეო კაცისაო, ბჭჱ ესე იყოს დაჭშულ და არა განეღოს ესე, არცა გან-ვინ-ვიდეს მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი მხოლოჲ შეეიდეს და იგი თავადი გამოვიდეს. და იყო ბჭჱ იგი დაჭშულ", იქვე, გე. 44-45; შდრ. *„რომელი-იგი [მაცხოვარი] იშვა ქალწულისაგან და აღამაღლა ქალწულებაჲ"*, იოანე მთაველ-პისკოპოსი კონსტანტინეპოლელი, მკუდრეთით აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსა, „უდაბნოს მრავალთავი", გე. 253; შდრ. „ამისთჳს შობაჲ ღმრთისა ადამიანისაგან დედაკაცისა, რაჲთა მიწით-შობილთა კაცთა ცთომასა, **ვითარცა ღმრთისა დედაჲ, დაჰჴსინდეს ქალწული**", დავით აღმაშენებელი, დასახ. ნაშრ. გე. 23). II. წმ. გრიგოლ ნოსელის სწაელებით, ქალწულება, ქალწულებითი ღვაწლი, რაშიც ბერ-მონაზენობა იგულისხმება, თავისი არსით სიკედილის შემაკავებელია, რამდენადაც ქალწულება თავისთავად არ არის მიზეზი მოკედაი შთამომაელობის შემოყვანისა წუთისოფელში. სწორედ ამის გამო მიიჩნეეს დიდი კაბადოკიელი მოღვაწე, რომ ქალწულებაზე ეერ მძლეობს სიკედილი (შდრ. *„უზეშთაეს ძალსა სიკუდილისასა არს ქალწულებაჲ"*, გე. 163,14). წმიდა მამის სწაელებით, ქალწულების ღვაწლში მყოფმა ადამიანებმა საკუთარ თავში შეაკაეეს სიკედილის სრბოლა და უმეტესისაკენ სელის საშუალება აღარ მისცეს მას, რის გამოც ისინი ერთგვარ ზღუდედ აღიმართნენ სიკედილისა და სიცოცხლეს შორის იმით, რომ თავად არ გამხდარან მიზეზი მოკედაი ადამიანის შობისა, რომელსეც სიკედილი გაერცელდებოდა (შდრ. „და კეთილად უხრწნელ ეწოდების გუამსა მას, რომელსა არა ემსახუროს განხრწნილისა მის ცხორებისა მსახურებასა, არცა თაეს-ედვას, რაჲთამცა მოკუდაეისა მის თესლებისა ორღანო იქმნა. *რამეთუ ამის მიერ განიკუეთა განხრწნისა და მოკუდომისა იგი შეერთებაჲ*", გე. 163,15-18).

ყოველიეე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საესებით აშკარაა, რომ წმ. გრიგოლ ნოსელი უდიდეს ღირსებასა და პატიეს განუკუთვნებს ქალწულებას, რომლის ნაშობიც, ერთი მხრიე, ღმერთია, რომელმაც სულიერი სიკედილისაგან გაათაეისუფლა მთელი კაცობრიობა, რითაც სიკედილის მძლეელადაც წარმოჩნდა, ხოლო მეორე მხრიე, თავად ქალწულებითი ღვაწლი, ანუ ქალწულება სიკედილის დამარღეველია, რამდენადაც იგი არ არის მოკედაი შთამომაელობის წუთისოფელში შემოყვანის საშუალება. წმ. გრიგოლ ნოსელის ამ სწაელებას ეთმობა მთელი XIV თაეი, კერძოდ იგი გემოძღერაეს, რომ ყეელა ადამიანზე, რომელიც ამქეყნად ქალწულებით ღვაწლს შეუდგება, უქმდება სიკედილის ყოველგვარი ძალა, რადგან ქალწულებაში მყოფი აღარ გამოიღებს „სიკედილის ნაყოფს", არამედ ანგელოზთა მსგაესყოფას ეზიარება მარადიულ ცხოერებაში.

114. **„რაჟამს კაცმან მუცლად-იღოს ცხოველსა მას ადგილსა გულისა თჳსისასა უხრწნელებაჲ იგი სულისაჲ და შვეს «სიბრძნე და სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნაჲ»“** (165,3,16-18) – წმ. გრიგორ ნოსელი, მისთვის დამახასიათებელი სახისმეტყველებითი ფრაზეოლოგიით, ხაზს უსვამს იმას, რომ სულის უხრწნელებით ავსებული (სიმბოლურად „მუცლადღებული“ ანუ „დაორსულებული“) გული „შობს“, ანუ ნაყოფად გამოიღებს სხვადასხვა სათნოებას, რაც საწინდარია ღვთისადმი დასაბამიერი მსგავსების აღდგენისა (შდრ. „არსებობს სულიერი თესლი, ღვთის სიყვარულისა და შიშის მიერ მუცლადღებული სულისესულ საშოში, რისგანაც ტკივილებით იშვება სული ხსნისა. ასე უნდა გავიგოთ სიტყვები: «ნეტარია ის, ვისაც აქვს თესლი სიონში და ჰყავს სახლეულნი იერუსალიმში»“ (ეს. 31,9), წმ. იოანე დამასკელი, „მართლ. სარწ. სედმიწ. გადმოც.“, გვ., 458).

115. **„სათნოებისა მეცნიერნი“** (168,11) – ორიგინალში გვაქვს: „ამგვართა გამომჟიებელნი“ τὰ τοιαῦτα ἐξητακότες, რაც უნდა გულისხმობდეს ასკეტური გამოცდილების მქონე მოძღვართ.

116. **„ყოველივე, რაჲცა არს უფალი, კეთილთა თანა შეერთებული, არა არს მათი წინააღმდგომისა ნებასა თანაზიარებაჲ“** (170,2,5-7) – (შდრ. ბერძნ. ὅσα ἐστὶν ὁ κύριος κατὰ τὴν διαφοράν ἐν αὐτῷ θεωρουμένων νοούμενός τε καὶ ὀνομαζόμενος, πρὸς μάντα τὰ ἐν κακίαι κατὰ τὸ ἐναντίον νοούμενα; ინგლ. of all the qualities which we perceive and name as the essence of God's nature, with all the opposite which ore perceived in evil; რუს. **всего того, чем преставляется нами и именуется Господь по различию усматриваемыхъ въ немъ совершенств - со всемъ тѣмъ, что по противоположности почитается злом;** ფრანგ. tout ce que nous concevons et nommons à propos du Seigneur, selon la diversité des points de vue considérés en lui, et tout ce que nous concevons à l'opposé dans le vice). – იგულისხმება, რომ ყველაფერი ის, რაც სიკეთეს უკავშირდება და რაც მთლიანობაში არის თავად უფალი (რადგან სწორედ უფალია ყოველად-სიკეთე, ანუ ჭეშმარიტ სიკეთეთა მთლიანობა, მათი „შეერთებულობა“, ანუ მათი სისავსე), ისევე განეშორება და ემიჯნება არასაღეთო, არაკეთილ, ანუ საწინააღმდეგო ნების და თვისებების მქონე მოვლენებსა და მოქმედებებს, ზოგადად – უკეთურებას, როგორც ემიჯნება სინათლე სიბნელეს, სამართლიანობა – უსამართლობას (შდრ. „რაჲ მოყუსება არს სიმართლისა და უშჯულოებისაჲ? ანუ რაჲ ზიარებაჲ არს ნათლისა და ბნელისა, ანუ რაჲ შეტყუება არს ქრისტესი ბელიარის თანა? ანუ რაჲ ნაწილ უც მორწმუნესა ურწმუნოჲსა თანა“, II კორ. 6,14-15, პაულეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძოწენიძემ და კორნელი დანელიამ, თბ., 1974, გვ. 188).

117. **„შჯულიერად შემრთველისა მისისა ქრისტესთჳს“** (170,2,13) – (შდრ. ბერძნ. τῷ νομίμως ἁυτην ἁρμοσαμένῳ νυμφίῳ) – იგულისხმება მაცხოვარი, მარადიული „სიძე“ მისდამი დაწინდული წმიდა სულებისა, რომელიც, მოძღვრის სახისმეტყველებითი სწავლებით, „სულიერად“, ე.ი. სრული სამართლიანობით აღასრულებს სულიერ ქორწილს, ანუ „დაქორწინებას“, სიმბოლურად მათ „შერთვას“ (შდრ. „ამისთჳსცა კარი სასძლოჲსაჲ დაეკშა მათ, *რამეთუ ზეცისა სიძისა მას არა სათნო-ჰყვნეს,* არამედ შეიკრნეს იგინი სიყუარულითა სოფლისაჲთა და სიყუარული და ტრფიალებაჲ მათი არა იყო ზეცისა სიძისა მიმართ“, წმ. მაკარი დიდის

26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 258,5-8; შდრ. „სულნი იგი ღმრთისმოყუარენი, რომელთა სურის, რაჲთამცა სრულიად ღმერთი შეიმოსეს მრავლითა სასოებითა და სარწმუნოებითა..., არცა ოდეს დასცხრებიან სიყუარულისა მის და ტრფიალებისა საღმრთოჲსაგან, არამედ ყოველითურთ ჯჳარსა ქრისტესა შემოჭუალულ არიან და *სიყუარულითა მისითა განგურემულ სიძისა მის მიმართ ზეცათაჲსა დღითი დღედ წარემართებიან*“, იქვე, 331,18-24; შდრ. „ესრეთ არს ღმრთისა მიერ ჭეშმარიტი და გამოუთქუმელი ზიარებაჲ სულისაჲ უფლისა მიმართ, რაჲთა ეზიაროს ქრისტესა და იქმნას მის თანა ერთსულ. და მიერითგან უეჭველად გამოუთქუმელთა მათ მისთა საუნჯეთა დედუფალ იქმნების სული იგი, *რამეთუ სძალი არს დიდისა მეუფისა ქრისტესი*, ვითარცა წერილ არს: «რამეთუ სათნო-იყო ღმერთმან, რაჲთა მორწმუნენი მისნი იქმნენ ზიარ წმიდისა მის ბუნებისა მისისა». რამეთუ წერილ არს, «რაჲთა იქმნეთ თქუენ ზიარ წმიდისა მის ბუნებისა მისისა. დიდებაჲ დიდად შუენიერებასა მისსა»“, იქვე, გე. 358,13-21; შდრ. „ეგრეთვე სული, რაჟამს შეიწყნაროს იგი ქრისტემან სძლად საღმრთოსა მას და საიდუმლოჲსა მისისა ზიარებასა, რაჲთამცა ყო იგი თანაზიარ სიუუარულისა თჳსისა და გულისჴმა-ყვის მან ყოველიეე სიმდიდრემ იგი სულიერი და გამოსლვაჲ მისი სიგლახაკისა მის პირველისაგან, მიერითგან თანა-აც რაჲთა *ყოველითავე სიბრძნითა მეცნიერებისაჲთა ისწრაფდეს სათანო-ყოფად სიძისა თჳსისა ქრისტესა*“, იქვე, გე. 359,9-15).

118. **„ორკერძოვე მიქცევათა“** (170,2,17) – τὰς ἐφ' ἑκάτερα παρατροπὰς οὐ παραδεχομένη – იგულისხმება გადახვევა „სამეუფეო გზიდან“ ან მარცხნივ, ან მარჯვნივ. საეკლესიო სწავლება ჭეშმარიტების გზიდან ნებისმიერ გადაცთომას გმობს და მწვალებლობად რაცხს.

119. **საშუალსა მას ზედა უვნებლობისასა დამარხვად თავი თჳსი** (172,23-24) – წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში გადმოსცემს სწავლებას ქალწულებით ღვაწლში, ანუ ასკეტურ მოსაგრეობაში ზომიერების, შუალედურობის, ანუ „სამეუფო გზის“ შესახებ, რაც უარყოფს ყოველგვარ საზიანო უკიდურესობას, რადგან როგორც მეტისმეტი ნაყროვანება და შეება, ასევე უზომო შიმშილობითა და წყურვილით საკუთარი თავის შეეწროება უკიდურესობანია, რაც სნეულებისა და დაღუპვის წინაპირობას გეიქმნის.

120. **„განმგონებელსა“** (174,2,11) – შესაძლებელია, ეფთვიმეს თარგმანში, ბერძნულის კეალობაზე, იყო **„განმგებელი გონებაჲ“**, რაც ნიშნავს გონებას, რომელიც წარმართაეს, განაგებს ადამიანურ ბუნებას, მაგრამ გადამწერთა მიერ ფონეტიკური მსგავსების ნიადაგზე **„განმგებელი“** შეიცვალა **„განმგონებელით“**. ამგვარი ცვლილება მხოლოდ მექანიკური ლაფსუსი არ უნდა იყოს, რადგან, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ხელნაწერში, როგორც P3-ში, ისე Ath. 39-ში, გეაქვს **„განმგონებელი გონებაჲ“**, გამორიცხული არ არის ვარაუდი იმისა, რომ საქმე გეაქვს არა გადამწერის შეცდომასთან, არამედ ეფთვიმეს მიერ ტექსტის თავისუფალი თარგმანის მეთოდით გადმოღების ნიმუშთან; თავისთავად, შესიტყვებას **„განმგონებელი გონებაჲ“** არაერთი პარალელი აქვს XI-XII სს-ის ქართულ საეკლესიო ტექსტებში და გულისხმობს „შემმეცნებელ, შემცნობელ გონებას“, ანუ იმასეე, რასაც ბერძნული ὁ νοῶν νοῦς (შდრ. „ეგრეთვე ამასცა ზედა კეთილითა სჳნდისითა და კაძნიერებითა იყვენ **განმგონებლობისაებრ** თჳსისა ყოველი, რომელი მოუჴდებოდის ღმერთ-

სა“, ეპისტოლე დიონჳსი ალექსანდრიელისაი, „დიდი სჯულის|კანონი“, გვ. 452,2-4). თუმცა, როგორც აღენიშნეთ, ბერძნული ორიგინალი მხარს უჭერს წაკითხვას „განმგებელი“, რასაც ხედმიწევნით თანხვედება აგრეთვე სხვაენოვანი თარგმანები. დაეიმოწმებთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ყველა წყაროს (შდრ. ბერძნ. τὸν τοῦ σκηνώματος ἡμῶν οἰκοδεσπότην καὶ οἰκονόμον, τὸν νοῦν λεγω..., ინგლ. The same duty... is incumbent on that **master** of our "tabernacle", the mind; რუს. **хозяинъ и распорядитель и нашего дома, - я разумею умъ...**; ფრანგ. intendant). მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ სიტყვა „განმგებელი“ (ბერძნ. οἰκονόμος) „და“ კაეშირით (ბერძნ. καὶ) შეერთებულია წინარე სიტყვასთან **„სახლისა-უფალსა“** (ბერძნ. οἰκοδεσπότην), ხოლო მისი მომდევნო სიტყვები: **„გონებასა ვიტყჳ“** (ბერძნ. τὸν νοῦν λέγω), რომლებიც მძიმით არის გამოყოფილი, მსაზღვრელის გარეშეა წარმოდგენილი; ამდენად, ბერძნულის მიხედვით, შესაბამისი ტექსტის პუნქტუაცია თარგმანში ამგვარი უნდა იყოს: „ჩუენისაცა სამკუდრებელისა სახლისა-უფალსა და განმგონებელსა, გონებასა ვიტყჳ...“.

121. წმ. გრიგოლ ნოსელი (174,3) წინამდებარე ქვეთავში გვაწვდის სწაელებას ადამიანის სულის ძალთა შესახებ, კერძოდ, თუ რისკენ უნდა იყვენენ ისინი შესაბამის ჟამს მიმართული.

122. **„ადვილად წარჰმართოს ძნელადშერაცხილი იგი“** (176,4,6) – (შდრ. ბერძნ. τὸ τέως δυσεφικτον). კონტექსტის მიხედვით, აშკარაა, რომ სიტყვა „ძნელადშერაცხილი“ აქ გულისხმობს საღვთო მშვენიერებასთან, ზეციურ სიკეთეებთან ადამიანის სულის ზიარებას, რაც წმ. გრიგოლ ნოსელის სწაელებით, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ იგი სიბრძნითა და კეთილგონიერებით, ბუნებისეულად განაგებს თავისი სულის ძალებს, რისთვისაც ღმერთმა შთაბერგა ისინი ჩვენში და არა ბუნების საწინააღმდეგოდ, გაუკუღმართებულად, რაც ამ ძალების [სულის აღძრულობათა] უმართებულოდ, არაჯეროვნად გამოყენებას გულისხმობს. აღნიშნული სიტყვა რომ საღვთო სიკეთეებს უკაეშირდება, ამას ცხადყოფს ორიგინალში ამაეე წინადადების ბოლოს გამოყენებული ლექსიკური მონაცემი: *„საძიებელი იგი“* (შდრ. ბერძნ. τὸ ζητούμενον), რომელიც უშუალოდ მიემართება *„ძნელადშერაცხილს“* (τὸ δυσέφικτον), რამდენადაც ორივე სიტყვა საშუალო სქესითა და აკუზატივით არის წარმოდგენილი, აშკარაა, რომ ჭეშმარიტად „საძიებელი“ მხოლოდ ერთადერთი რამ შეიძლება ჰქონდეს კაცობრივ ბუნებას – საღვთო მშვენიერებასთან ზიარება.

123. **„უჰირობდა“** (178,3) – ბერძნული სიტყვა προπομπεύω აღნიშნავს საზეიმო სვლით, მარშით წინ ძღოლას, წინამძღვრობას, (შდრ. ინგლ. conducted; რუს. **предначала**; ფრანგ. marche en tête), რაც მოცემულ კონტექსტში გამოყენებულია ძველი აღთქმის პირველი მღვდელმთავრის – აარონის დასთან, მარიამ წინასწარმეტყველთან მიმართებით, რომელმაც მას შემდეგ, რაც ისრაელიანელებმა მოსე წინასწარმეტყველის წინამძღოლობით სასწაულებრივად გადალახეს მეწამული ზღვა, საკრავით ხელში უწინამძღერა დედათა კრებულს, რომელთან ერთადაც ქებას აღუვლენდა ღვთის ძლიერებასა და დიდებულებას (შდრ. გამოსლვ. 15,20-21; შდრ. *„მარიამ აღიღო ქმანი და ათძალი, უგალობდა ყოველთა ერითურთ ღმერთსა, რამეთუ განერნეს სრულიად სიკუდილისა მისგან“*, წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გვ. 323,30-32). აღნიშნულ

მუხლს საყურადღებო კომენტარი ახლავს წმიდა წერილის ინგლისურ თარგმანში, სადაც დამოწმებულია წმიდა გრიგოლ ნოსელისა და წმიდა ამბროსი მედიოლანელის სახისმეტყველებითი განმარტებანი: „მარიამი იყო სახე ღვთის დედისა (გრიგოლ ნოსელი) და ეკლესიისა (ამბროსი მედიოლანელი). ღვთის დედა წინ უძღვის ეკლესიას უფლის სადიდებელ საგალობლებში“ (შდრ. ინგლ. "Miriam was a type of the Mother of God (GrgNy) and of the Church (AmbM). The Mother of God leads the Church in songs of praise to the Lord", the ORTHODOX STUDY BIBLE, California 2008, p. 84).

124. **„სანატრელ არს ქალწულებისაცა საშოჲ, რომელმან უხრწნელსა მას შობასა ჰმსახურა“** (179,35-36) – წმ. გრიგოლ ნოსელი XIX თავის დასასრულს ლიტურგიკულ ხარისხამდე მაღლდება და ქალწულის თეალშეუდგამი საიდუმლოთი აღსილი უკვე განმარტებას კი არ გადმოგვცემს აღნიშნული მოვლენებისას, არამედ უგალობს საკვირველი მშობელობითი წიაღის მადლმოსილებას და დიდ საეკლესიო ჰიმნოგრაფთა კვალად უზენაეს შესხმას აღმოთქვამს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ, რომელიც ქალწული იყო შობამდე და მარადიულ ქალწულად ჰგიეს შობის შემდეგაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია წმ. იოანე დამასკელის სიტყვები: „და მაშინ ზედმოუჩრდილა მას უსენაესი ღვთის გვამოვანმა სიბრძნემ და ძალამ, ღვთის ძემ, თანაარსმა მამისამ, როგორც საღვთო თესლმა, და *ქალწულის უბიწო და უწმინდეს სისხლთაგან შეუმტკიცა მან თავის თავს მოაზროვნეობითი და გონისმიერი სულით სულიერქმნილი ხორცი*, სათავე ჩვენეული ცომისა, – თუმცა არა თესლოვნებითად, არამედ შემქმნელობითად წმინდა სულის მიერ; ამასთან, არათუ მცირე-მცირე შემატებებით განსრულდა სახე, არამედ ერთბაშად სრულიქმნა იგი. თვით ღვთის სიტყვა გახდა ხორცის ჰიპოსტასი, რადგან არათუ თავისთავად წინაჰიპოსტასურ ხორცს შეუერთდა ღმერთი-სიტყვა, არამედ დამკვიდრდა რა იგი წმინდა ქალწულის მუცელში, ქალწულის წმინდა სისხლთაგან თავის ჰიპოსტასში გარეშემოუწერლად შეაგვამოვნა ხორცი, სულიერქმნილი მოაზროვნეობითი და გონისმიერი სულით“ („მართლ. სარწ. ზედმიწ. გადმოც.“, გვ. 381-382).

125. **„ორკეცი“** (180,1,2) – (შდრ. ბერძნ. διπλοῦς) – მოცემულ კონტექსტში იგულისხმება ადამიანის ბუნების ორმაგობა, სულისა და სხეულისაგან შეგენილობა, რომელთაგან პირველი არამატერიალური და სულიერია, ხოლო მეორე – მოკვდავი და ხრწნადი (შდრ. „ესრეთ უკუე... ვისწრაფოთ მოგებად ჭეშმარიტად ჩუენთა მათ. ხოლო რაჲ არს ჭეშმარიტად ჩუენი? პირველად უკუე სული, რომლითა ცხოველ ვართ, რომელი არს წურილ, თხელ და გონიერ და არარაჲ უჴმს მას ხრქელთაგან ამის სოფლისათა, და მერმე ჴორცნი, რომელნი მიეცნეს მას ეტლად დამბადებელისა მის სოფლისა ამას შინა. რამეთუ ესე არს კაცი – გონებაჲ შერთული ჴორცთა ამათ შინა შუენიერად და ჭელოვნებით ქმნულთა“, ბასილი კესარიელის „სწაველათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გვ. 210,22-30). ადამიანის ორმაგ ბუნებასთან დაკავშირებით, წმ. პავლე მოციქულთან გამოყენებულია ტერმინები: *„გარეგანი ადამიანი“* და *„შინაგანი ადამიანი“*, რომელთაგან პირველი სხეულს, ხოლო მეორე სულს აღნიშნავს (შდრ. II კორ. 4,16).

ტერმინებს: *„შინაგანი კაცი“* და *„გარეგანი კაცი“* იყენებს წმ. ბასილი დიდიც: შდრ. „გონებაჲ *შინაგანისა მის კაცისაჲ* სახითა მით

გულარძნილითა გარეგანსა მას დააბნელებდეს და ტყუილისა მიერ ფარვიდეს მას", ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გე. 2,4-6; შდრ. „*შინაგანი კაცი* ჩუენი სრულ იქმნების", იქვე, გვ. 18,25-26, „*გარეგანი კაცი* განპოხებული", იქვე, გვ. 18,32-33; შდრ. „რომელთა *იცხონ სულიერითა და ჴელითუქმნულითა მით ზეთითა გონებაჲ და შინაგანი კაცი* და მიიღონ ძალი იგი უხრწნელი და წინდი იგი სულისა წმიდისაჲ, ეითარ არა უფროისად მისწუთენ საზომსა სისრულისასა სუეუეისა და შეილებისასა და ექმნებიან თანამზრახელ ზეცისა მეუფჳსა და აქუს კადნიერებაჲ მამისა მიმართ და შეელენ და გამოვლენ, სადა-იგი არიან ანგელოზნი და სულნი წმიდანი", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყვის ეფთვიმესეული თარგმანი, გე. 278,25-31; შდრ. *„წმიდაჲ იგი არს, რომლისა წმიდა იყოს შინაგანი კაცი"*, იქვე გე. 284,7-8). საეკლესიო განმარტებით, შინაგან კაცად იწოდება ადამიანის გულიც (იხ. „სამოც. განმარტება", II, გე. 71; 560), ისევე, როგორც გონება; შდრ. „რამეთუ არა თუ კაცი არს, რომელსაიგი ჩუენ ეჰმსახურებთ, ეითარმცა გარეშმთა ამით ხოლო სათნო-ვეყუენით მას, არამედ იგი შინაგანსა მას ხატსა სულთასა პხედავს და შინაგანსა მას დაფარულსა გონებასა გამოეძიებს", მელეტი ანტიოქიელი, სინანულისათჳს, „უდაბნოს მრაჳალთაჳი", გე. 132-133.

126. **„ორკეციცა ქორწინებაჲ"** (180,1,5) – წმ. გრიგოლ ნოსელი ამაჳე თაჳის III-IV ქეეთაეებში თაჳადჳ განგჳმარტაეს ორმაგი ქორწინების მნიშნელობას, როდესაც სულიერ ქორწინებაში წარმატების მოპოეების წინაპირობად მარხვას, სხეულის სიწმიდეს, ხორციელ გულისთქმათა და ენებათა მოკედინებას დაგჳისახავს, ხოლო ყოეელივე ამის საწინააღმდეგოს სხეულებრივ, ხორციელ ქორწინებაში მყოფთ განუკუთვნებს. საეკლესიო ლიტერატურაში სულიერი ქორწინება ყოეელთჳის გულისხმობს ადამიანის სულიერ წინდობას ზეციურ სიძესთან – იესო ქრისტესთან, რომელიც მარადიული სიძეა მისდამი დაწინდული ქრისტიანებისა.

127. **„ჰამბავთაცა და სწაჳლისა სიტყუათა"** (180,2,14-15) – (შდრ. ბერძნ. διηγήσεώς τε πραγμάτων καὶ διδακτικῶν λόγων; ინგლ. narrative of facts and hortatomy discourse; რუს. **повествования о делахъ и нравоучительныхъ словъ**; ფრანგ. récit d'événements et un enseignement didactique). როგორც ორიგინალისა და ძე. ქართული თარგმანის, ისე სხვა უცხოენოვანი თარგმანების გათვალისწინებით, მოცემულ კონტექსტში გამოყენებული სიტყვა **„ჰამბავთაცა"** უნდა გულისხმობდეს სხეადასხეა საქმეთა შესახებ უწყეებას, ხოლო მისი მომდეენო **„სწაჳლისა სიტყუათა"** აღნიშნავს სნეობრივი სწაჳლების, დამოძღერითი სიტყვის, რჯულისმიერი მოძღერების გადაცემას.

128. **„ნათესაობისა პატიოსნობაჲ"** (181,4,10) – (შდრ. ბერძნ. γένους σεμνότητα) – მოცემულ კონტექსტში იგულისხმება არისტოკრატიული, გამორჩეული წარმომაელობა (შდრ. ინგლ. family distinction; რუს. **знаменитость рода**; ფრანგ. noblesse de naissance), რომელსაც პიროენული ღაწლის, სიწმიდისა და სათნოებითი მოღაწეობის გარეშეც შესაძლოა მიეკუთენებოდეს ადამიანი, განსხაეებით იმ პირთაგან, რომლებმაც ჭეშმარიტებისადმი ერთგულებით, რწმენითა და მოღაწეობით მოიპოეს სულიწმიდის მადლი, რომლითაც განმდიდრებულნი არიან მხოლოდ *„ნათლის ძენი"* და „ღეთის შეილები" (შდრ. ძე. ქართ. თარგმნ. „რომელნი არიან ძე ნათლისა და შეილ ღმრთისა") და იწოდებიან კეთილშობილე-

ბად აღმოსავლეთისაგან მზისა პატიოსნებისა და ნათელი საქმეების გამო (შდრ. *„ცნათესაჲ დიდებულ აღმოსავალით მზისაჲ»* პატიოსნებისათჳს და სინათლისა საქმეთა მათთაჲსა“, იხ. წინამდებარე გამოცემა გვ. 181,4,13-15; შდრ. ბერძნ. «των ἀφ' ἡλίου ἀνατολῶν ἐυγενεῖς» διὰ τῶν ἔργων τῶν φωτεινῶν χρηματίζοντες).

129. **„სამოსელი საქორწინე“** (182,34) – იგულისხმება სულიერი სამოსელი ანუ სათნოებათა ღირსებანი, რითაც „იმოსება“ განწმედილი სული და რითაც იგი თანაზიარი ხდება ზეციური დღესასწაულისა, ღვთიური ქორწილისა, ანუ მაცხოვართან, მარადიულ „სიძესთან“ შეერთებული [„დაქორწინებული“] წმიდანთა სულების წარუვალი სიხარულისა.

130. **„თქუმულთა ამათგან გამოგუეცხადა ჩუენ“** (182,45) – აღნიშნული სიტყვები, ეფიქრობთ, პასუხობს კითხვაზე: რა გვექნა და არა რა იქნა. ორიგინალში სიტყვასიტყვით ეკითხულობთ: *„ჲთომიერად ჩუენგან ზემოთქმულთა მიერ გაცხადებულ იქმნა“* (შდრ. ბერძნ. μετρίως ἡμῖν ἐκ τῶν εἰρημένων ἀνακεκάλυπται).

131. **„ვნებულთა საქმეთა სიძულილი და განშორებაჲ“** (183,1,6-7) – (შდრ. ბერძნ. τὸ ἐμπαθῶς ἐπιτελούμενον), დიდი მოძღვარი განღმრთობის საფუძვლად, უფლის სიტყვათა კვალობაზე, ვნებათაგან სრულ განშორებას დაგვისახავს, რაც, შემდგომი მსჯელობის მიხედვით, გულისხმობს საკუთარ თავში გრძნობის ორგანოების მოთოკვას, ხორციელ გულისთქმათაგან და ვნებებისაგან განშორებას და სულიერი თვალით ოღენ საღვთო სიკეთეთა მიმართ ხედვას.

132. **„პირუტყუებრივთა მიმართ“** (184,3,6) – იგულისხმება ცხოველური, პირუტყული ანუ ვნებადი მდგომარეობა, რაც ცოდვით დაცემის შემდეგ შემოვიდა ადამიანის ბუნებაში და რისი მოკვეთაც, მოძღვრის სწავლებით, აუცილებელი წინაპირობაა განღმრთობისა. წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში საგანგებოდ მსჯელობს იმის შესახებ, თუ რას უნდა ესწრაფვოდეს ყველაზე მეტად სიწმიდესა და სათნოებით ღვაწლს შედგომილი ადამიანი, ანუ რა არის აუცილებელი და საჭირო ადამიანის ბუნებისთვის, რაც მან ღვთისადმი მადლიერებით უნდა მიიღოს, ხოლო რა არის ის უსარგებლო ზედმეტობა, რაც დაზიანებისა და დაცემის წინაპირობას გვიქმნის (შდრ. „წარმართება უკუე სიტყუერობითისა სულისა ნაწილისა არს კეთილად მსახური გულისჴმის-ყოფაჲ ღმრთისათჳს და კეთილისა და ბოროტისა განმრჩეველობითი ჴელოვნებაჲ, რაჲთა განცხადებული შეუმრღუეველი აქუნდეს ბუნებისათჳს წინამდებარეთა საქმეთაჲსა მხედველობითი სათნო-ყოფაჲ, *თუ რაჲ უკუე არს აღსარჩეველი არსთა შორის, ანუ რაჲ მოსაძაგებელი და განსაგდებელი.* და კუალად... ვერ გამომრჩეველ ჭეშმარიტისა კეთილისა და ცთომილი და შეცვალებული აქუნდეს ბუნებისათჳს საქმეთაჲსა მხედველობითი სათნო-ყოფაჲ, ვიდრემდის «დასდებდეს ნათელსა ბნელად და ბნელსა ნათლად»“, წმ. გრიგოლ ნოსელის კანონიკური ეპისტოლე, „დიდი სჯულის-კანონი“, გვ. 511,20-30; შდრ. „თანა-აც სულსა, რაჲთა გულისჴმისყოფითა სიტყჳსაჲთა ყოველიეე მოსწრაფებითა და მოღუაწებითა *განყენეს წმიდანი იგი ბუნებისა თჳსისა გულისსიტყუანი არაწმიდათა მათგან გულისსიტყუათა ცოდეისათა,* რაჲთა სულმან თჳსისა მისგან ბუნებისა წმიდანი იგი გულისსიტყუანი შენეს გულისჴმისყოფითა სიტყჳსაჲთა და რაჲთა არა ესიაროს და შეერთოს უკეთურებასა მას და უგულისჴმოებით არაწმიდანი იგი გულისსიტყუანი, ეითარცა ბუნებითნი, ესრეთ შენეს.

იტყჳს, ეითარმედ — «ჭლიკოსანნი და აღმომცოხნელნი იგი წმიდანი არიან». ესე იგი არს, ეითარმედ ჯერ-არს, რაჲთა მარადის ორითა პირითა შევიდეს კაცი თაესა თუსსა, რაჲთა წინააღუდგებოდის და არა შეერთეოდის ბოროტსა მას წესსა ენებათასა. ხოლო ჯერ-არს, რაჲთა პირველად სულმან განყოს გულისსიტყჳთურთ თუსით სიტყჳსა მიერ ზიარებისაგან ცოდჳისა და მერმე ჭე̃მმარიტებით განყოს თაეი თუსი ძალითა წმიდისა სულისაჲთა უკეთურებისაგან სულთა მათ ბოროტთაჲსა, რომელ არიან ძირნი გულისსიტყუათანი. რამეთუ ეითარცა მუშაკი, მოქმედი ქუეყანისაჲ, პირველად მოჰჭნავს და განწმედს ეკალთა და კუროჲსთაეთა და მერმე დასთესავს თესლსა, რაჲთა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ესრეთ თანა-აცს, რომელსა ენებოს სათნო-ყოფად უფლისა და მიღებად თესლსა მას მადლისასა, რაჲთა პირველად განწმიდოს და განაახლოს და განმზადოს ყოველითაეე ძალითა თუსითა ქუეყანაჲ იგი გულისა თუსისაჲ. და რაჟამს დავარდეს თესლი სულისაჲ კეთილისა მას ქუეყანასა გულისასა, ასი წილი გამოიღოს მან სრული ნაყოფი", წმ. მაკარი დიდის 26 სიტყჳის ეფთჳიმესეული თარგმანი, გე. 352,14-353,3).

133. **„ზედამდგომელი"** (186,11) – აღნიშნული სიტყჳა ორიგინალ'ში არ დასტურდება, იგი ეფთჳიმეს შენამატი ჩანს და გულისხმობს ადამიანის გონებას, რაც ყველაზე აღმატებული, წარმმართეელი მეწინამძღრეყა კაცობრიეი ბუნებისა (იხ. კომენტარი „განმგებელი გონება").

134. **„აღჳრნი ჳორცთანი"** (186,11) – აღნიშნული სიტყჳები გულისხმობს გონებისადმი სხეულის დაქჳემდებარებას და მის მიერ სათნოებების, როგორც სხეულებრიეი ენებების სულიერ აღჳირთა პყრობას (შდრ. „რაჟამს სიბოროტე საქმეთაჲ გარდაჰრიოს კაცმან, მაშინ სასოწარკუეთილებითა განიშორებს თაეისა თუსისაგან მხილებასა სუნიდისისასა და წარიყრის **აღჳრთა** დაუპყრობელ ყოფად ცოდჳისა მიმართ. ხოლო **უაღჳრობაჲ** ცოდჳისაჲ განაგდებს კაცსა სარწმუნოებისაგან, რაჲთა არღარა პრწყმენდენ საიდუმლონი ქრისტიანობისანი, რომელ არიან აღდგომაჲ გუამთაჲ და ყოფაჲ სასჯელისა და საქმეთაებრ მისაგებელისაჲ", „სამოციქულოს განმარტება", III, I ტომ. 1,19-20-ის განმარტება; შდრ. „გონება ჩემი წარიტაცეს *უაღჳროთა გულისიტყუათა* და მგეემეს მე ენებათა მიერ ცოდჳათა, და მომკლეს მე უწყალოდ, ხოლო შენ, სახიერ, განმკურნე და მაცხოენე", მე-4 კეირიაკის მეშვიდე გალობის ძლისპირი, „მარხვანი", თბ., 1901, გვ. 326).

135. **„სულისა მსახურებათა აღსრულებასა"** (186,22-23) – (შდრ. ბერძნ. *τὴν τῶν ψυχικῶν διακονημάτων ἐνκολίαν*) დიდი კაბადოკიელი მოძღვარი მოცემულ კონტექსტში საგანგებოდ მსჯელობს სრულყოფილი მარხვის მნიშვნელობაზე, რაც გულისხმობს ზომიერ თავშეკავებულობას, სხეულისა და სულის სიწმიდეს, სათნოებით ღვაწლს და არა რაიმე თეითმიზნურ უკიდურესობას, უსარგებლო ზედმეტობას, რაც საზიანოა ადამიანისთეის.

136. **„რომელსა წარემართოს იგი"** (187,2,9-10) – იგულისხმება სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი მოძღვარი, ვისაც შეუძლია მართებულად უწინამძღეროს ქალწულებით ღვაწლს, ანუ ასკეტურ ცხოვრებას შედგომილ ბერ-მონაზვნებს, რომლებმაც, თუმცა ნებაყოფლობით იტეირთეს სამონაზვნო ცხოვრების უღელი, მაგრამ ჯერ კიდეე გამოუცდელნი არიან ასკეტურ მოღვაწეობაში, რაც უპირეელესად თავმდაბლობის, სიწმიდისა და უნებობის სათნოებათა მოპოეებას გულისხმობს.

137. **„რაჲ ჭირი არს, რომელ ჰაზრითა და ჭირითა მოვიგოთ?“** (188,26-27) – (შდრ. Βερμδ. οὐκ ἔστιν ἀνάγκη στοχασμοῖς τισι καὶ ὑπονοίαις μετιέναι τὴν ἐπιστὴμην; ინგლ. guess work and surmisings; რუს. **прибегать къ предположеніямъ, какимъ либо догадкамъ**; ფრანგ. ce n'est point par des conjectures et des suppositions quil faut chercher cette science) – მოცემულ კონტექსტში *„რაჲ ჭირი არს“* ნიშნავს: „რა საჭიროება არის“, „რა აუცილებლობაა“. დიდი კაბადოკიელი მოძღვარი სვამს კითხვას, თუ რა აუცილებლობაა, რომ პიროვნებამ საკუთარ თაუზე მინდობით, ვარაუდებით, მერყეობითა და გონებრიეი დამაშერალობით კელავ მოიპოვოს ის, რაც მრავალთაგან უკვე მოპოვებულია, რომლებსაც, როგორც გამოცდილთ, ღირსეული წინამძღვრობის გაწევაც ხელეწიფებათ მათთვის. სწორედ ამ კონტექსტში გვაწვდის წმ. გრიგოლ ნოსელი ღრმა სწავლებას გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ცხონების საქმეში.

138. **„ნაყოფსა მას დაყუდებისა და სიმდაბლისასა“** (189,3,22-23) – ბერძნულში *„დაყუდების“* ნაცვლად გვაქვს *„სულგრძლება“* (τῆς μακροθυμίας). წმ. გრიგოლ ნოსელი მოცემულ კონტექსტში ააშარაევებს იმ მონაზონთა დაცემულობას, რომლებიც ამპარტაენებისაგან არიან ძლეულნი და ვერ გულისხმაჰყოფენ, თუ რამდენად მოკლებულნი არიან ჭეშმარიტ სამოღვაწეო წესს, განღმრთობილობის მადლს, მორჩილებისა და სიმდაბლის სათნოებას, თუმცა კი საკუთარ ხიბლში თავისი თავი სწორედ ასეთად შეურაცხავთ (შდრ. *„დაყუდებაჲ დასაბამი არს სულისა განწმედისაჲ“*, ბასილი კესარიელის თხზ. ძე. ქართ. თარგმ., გვ., 211,16-17; შდრ. „პსრდის ჩემ შორის *დაყუდებასა, უსაწადელესსა მას ყოველთა ნაყოფთასა*“, იქვე, გვ. 224,32-33; შდრ. *„მორჩილებასა და სიმდაბლეს ეპოებთ თანაწერგად სათნოებითისა ცხორებისა*, რომლისა თუნიერ შეუძლებელ არს წარმართებაჲ მონაზონებითისა მოქალაქობისაჲ“, განგებაჲ ვაჰანის ქუაბთაჲ, „ქართული სამართლის ძეგლები“..., გვ. 146; შდრ. „თითოეული თუსსა სენაკსა შინა შეეყედრენ კრძალულებით კანონსა თუსსა განწესებულსა და *მყუდროებითსა* დიდებისმეტყუელებასა, რომლითა მხოლოჲ მხოლოსა მას მიეახლების მიუახლებელსა და შეეტრფის და აღისურვებს სატრფოსა მას და სასურველსა, არსთა ცხოველობისასა, და ხედაეს განწმედილითა გონებისა თუალითა ზეშთააღმატებულთა მათ გონებათაგანცა უხილავსა და მიწდომად შეუძლებელსა, მეტყუელი: «შეეძერწა სული ჩემი შემდგომად შენსა და მე შემეწია მარჯუენე შენი»“, იქვე, გვ. 148-149; შდრ. „ზრუნეა მცირე გარყუნის *დაყუდებასა*, რამეთუ *დაყუდება* შემოკრება არს გონებისა“, წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ არს კიბე, გვ. 340).

139. **„ბოროტი მათი იჭუ სახელითა მით უვნებელობისაჲთა დაფარეს“** (189,4,11-12) – მოძღვარი ააშარაევებს ფსევდომოღვაწეთა სულიერ მდგომარეობას, რომლებიც ვერ თრგუნაევენ რა ვნებებს, სურთ კი დიდ ასკეტებად ჩანდნენ, ვითარებას ისე წარმოაჩენენ, თითქოს სხვადასხვა ყოფითი საქმე, რაც საზოგადოდ ვნებადი აღძრულობის საწინდარია (მაგალითად, ქალთა გარემოში ტრიალი), მათ სულიერ სიმაღლეს საფრთხეს ვერ უქმნის. წმ. გრიგოლ ნოსელის სწავლებით, ამგვარ პირთა მხრიდან ადგილი აქვს მხოლოდ საკუთარი ვნებადი მიდრეკილებების დაფარეის მცდელობას, რა მიზნითაც ფარისეელურად განიკუთვნებენ ვითომცდა განსაკუთრებულ განწმენდილობასა და უვნებობას, ანუ ვნება-

თა მიმართ აღუძრველობას (შდრ. „რამეთუ ამით პატიჟცემულ არს უქორწინებელობაჲ, ცხად არს, ეითარმედ განშორებითა დედათა თანა ქცეეისაჲთა. ეინაჲცა უკუეთუ ვინმე აღსთქუმიდეს სიტყჳთ და საქმით მათვე მოქმედებდეს, რომელთა-იგი იქმან თანამკჳდრად მქონებელნი მეუღლეთანი, *საცნაურ არს, ეითარმედ სიკეთეს ქალწულებისასა მხოლოდ სახელად ოდენ შეიტკბობს, ხოლო უშეურებასა გემოვნითისა ცხორებისასა ვერ განეყენების*, რომლისათჳსცა ესოდენ ადვილად გიჴმდა შენ დამორჩილებაჲ სიტყჳსა ჩუენისაჲ, რაოდენ იტყჳ თაეისუფალყოფასა თჳსსა ყოელისაეე ჴორციელისა ენებისაგან“, წმ. ბასილი დიდი, დიოდორეს მიმართ ტარსელისა, „დიდი სჯულისკანონი“, გე. 502,20-28; შდრ. „ნეტარ არს ჭეშმარიტად იგი მონაზონი, რომელმან სრულიად უმეცრებაჲ ენებისაჲ მოიგო, რაჲთა ვერსადა შეატყოს თაჳსა შორის თჳსსა ენებისა რაჲსამე კუალი ესევითართა მიმართ საქმეთა“, წმ. იოანე სინელი, კლემაქსი, რომელ-არს კიბე, გე. 331).

140. **„არა დაიდებდენ შჯულსა თავთა თჳსთათჳს** (189,5,1-2) – ბერძნულში გვაქვს: „არ იხელმძღვანელონ საკუთარი თავით ამ ცხოვრების გზაზე“ (შდრ. ἂν εἰη μὴ νομοθετεῖν ἑαυτοῖς τοὺς νέους την τοῦ βίου τούτου ὁδόν ინგ. to refrain from laying down for themselves their future course in this profession; რუს. **не руководствовали сами себя на пути сей жизни**; ფრანგ. Ils auraient donc avantage à ne pas se prescrire à eux-mêmes la route de ce mode d'existence), რაც წმ. გრიგოლ ნოსელის შეგონებაა მონაზენური ცხოვრების დამწყებთათვის – ეკრძალონ თვითრჯულობას, საკუთარ თავზე მინდობას, რაც უთუოდ დიდი საცთურის მიზეზი გახდება მათთვის.

141. **„სიწმიდისა საქმეთა შინა მჭცოვან იქმნეს და ეწინეს გონებითა თჳსითა“** (191,6,25-26) – შდრ. ბერძნ. φθάσαντες τῷ λογισμῷ τὸ ὑπρας καὶ τρόπῳ τὸν χρόνον ὑπερβαλλόμενοι – მოძღვარი გვასწაელის, რომ საღეთო ღეაწლისადმი მხურეალე აღძრულობა ჭაბუკთა შორისაც შეიძლება სრულად აელენდეს თავს და გონებითი მოხუცებულობის მიმნიჭებელი ხდებოდეს მათთვის. აქ მინიშნებაა მრავალ საეკლესიო მოღეაწეზე. შეიძლებოდა მიგეეთითებინა წმ. გრიგოლ ხანცთელზე და მის თანამოსაგრეებზე, რომლებსაც ჯერ კიდეე სიჭაბუკეში მიმადლებული ჰქონდათ *„მოხუცებულობა გონებითა“*.

142-148. **„რომელი-ეგე არა ჯუარს-ეცუმი სოფლისა“..., „არა შეიცვალები განახლებითა გონებისა შენისაჲთა“..., „ძუელისა მის კაცისანი“ გიპყრიან?!“..., „დაიტიონ ღმრთისა გამოჩინებაჲ?!“..., „წარდგინებად თავისა თჳსისაჲ მსხუერპლად ღმრთისა, «მდდელყოფად ღმრთისა მაღლისა», ღირსყოფად დიდსა მას ღმრთისა-ხილვასა“..., „მის თანა ჯუარცუმისაგან მის თანაცა ცხორებაჲ და მის თანა დიდებაჲ“..., „ჭეშმარიტი მღდელობაჲ მოიგოს და დიდსა მას მღდელთმთავარსა შეეყოს“** (192,24-193,52) – იგულისხმება ჯვარცმა არაპირდაპირი მნიშენელობით. მოძღვარი დაუფარავად კიცხაეს იმ პირებს, რომლებიც თუმცა კი გარეგან სასმენელს უპყრობენ მაცხოვნებელ სიტყეებს, არ ულრმაედებიან ამ სიტყეათა აზრს და კელაეაც განაგრძობენ ცოდეისმიერ ცხოვრებას. აქეე მოძღვარი, არაპირდაპირ, ჭეშმარიტ სამოღვაწეო გზასაც დაგეისახავს, ამბობს, რომ სულიერი ჯვარცმის, სხეულებრიე ენებათა მოკედინებისა და

„ჟონების განახლების“, ანუ ბიწიერ აზრთაგან სრული შინაგანი განწმედის გარეშე ვერაფინ შეძლებს *„ახალ ცხოვრებაში“*, – ზეციურ სასუფეველში შესვლას. ეინც კელაე *„ძველი კაცის“*, ანუ ენებებით აღსავსე კაცობრიეი ცხოერების მიმდეარია, ვერ გახდება *„მღდელი ღეთისა“*; ვერ იქნება ღეთისადმი სულიერი მსახურების, სულიერი მსხვერპლშეწირვის აღმსრულებელი, თავისი თაეის, თავისი შინაგანი ღვწის წმიდად და უბიწოდ ღეთისთვის შემწირველი, მაშინ როდესაც ჭეშმარიტი მოღვაწეობა უთუოდ დაგეირგვინდება ღეთისმხილეელობის, უფალთან თანამეუფების, თანადიდებისა და მაცხოერის, – მარადიული მღედელმთავრის, – ჭეშმარიტ მღედლად გამოჩინების საუკუნო პატივით. მოციქულისგან ნაუწყები და დიდი კაბადოკიელი მოძღვრისაგან განმარტებული *„სულიერი ჯუარცმა“* უაღრესად საყურადღებოდ არის კომენტირებული „პაელეთა“ კატენებში. დავიმოწმებთ შესაბამის ტექსტს: მოციქულისაჲ: „ხოლო ქრსიტესთა მათ ჴორცნი თუსნი *ჯუარს-აცუნეს* ვნებითურთ და გულისთქუმით... რომელთა-ესე ჭეშმარიტებით გულისჴმა-ყვეს, ვითარმედ ჴორცნი მათნი ტაძარ ღმრთისა არიან, ამისთჳს ყოელად ქრისტესა განკუთვნილ იქმნნეს, რაჟამს *ჯუარს-აცუნეს ჴორცნი თჳსნი* და მოაკუდინნეს იგი ვნებათაგან და გულისთქუმათა ჴორციელთა, რაჟამს არა ხოლო თჳთ მკუდარ იქმნნეს მათგან ყოელად უქმებითა მათითა, არამედ იგინიცა მოაკუდინნეს მათდა მიმართ, რაჲთა არა ხოლო საქმით, არამედ არცაღა გონებით აქუნდეს მათ ადგილი მათ შორის. იხილე, ვითარ აქაც ჴორცად ბოროტთა საქმედ უწოდს; რამეთუ არა თავთა თჳსთა მოიკლევენ, რომელთა უნდეს ჯუარცუმაჲ ჴორცთაჲ, არამედ ჴორცთა მათთა შინა მყოფთა ვნებათა და გულისთქუმათა მოსწუეედენ, რაჲთა არა ხოლო საქმით, არამედ გონებითცა მოსწრაფე იყვნენ აღმოფხურად ენებათა, ესოდენ ფიცხლად მოღუაწებითა, რაჲთა განილიოს მათ შორის ყოველი ნიეთი ვნებათა და გულისთქუმათაჲ“ („სამოციქულოს განმარტება“, II..., 2006, გვ. 523; შდრ. „ერთი იგი მსხვერპლი ქრისტესი, დაღაცათუ ერთგზის შეიწირა, არამედ განმწმედელობაჲ მისი სამარადისო არს და არაეის დაშჯირდების პირველ *ჯუარცუმისა* მორწმუნეთა და აღმსარებელთა მისთაგანსა; რამეთუ ზოგად ყოველთა კაცთათჳს შეწირულ არს, პირველთა და შემდგომთა, რომელთა ჰრწმენეს მისსა მიმართ“, „სამოციქულოს განმარტება“, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, III, გე., 79; შდრ. „ჴსენებითა ქრისტეს ვნებათაჲთა თანამდებ არს ყოველი ქრისტიანე ამასეე მოციქულისა ჴმასა ჴმობად, ეითარმედ: «მე სოფლისა *ჯუარცუმულ* ეარ, და სოფელი – ჩემდა». აპა ესერა მრჩობლნი *ჯუარცუმანი* გჳჩუენნა, რამეთუ ჩემდამო *ჯუარცუმაჲ* ესე არს, რაჟამს განშორებითა მისგან უჴმარ და მკუდარ იყოს ჩემდა სოფელი. ხოლო ჩემი მისა მიმართ ჯუარცუმაჲ ესე არს, რაჟამს არა ხოლო ჴორცითა, არამედ გონებითაცა განყენებულ ვიყო, არა ხოლო [სოფლისა] საქმეთა, არამედ გულისთქუმათაგანცა მისთა. ეჰა ჴმაჲ სანატრელი და მომატყუებელი ზეცათა სასუფეველისაჲ“, „სამოციქულოს განმარტება“, II..., 2006, გვ. 529).

ლექსიკონისათვის

1. სალექსიკონო ერთეულები წარმოდგენილია სახელის ან საწყისის ფორმით სახელობით ბრუნვაში, ხოლო ზმნები გატანილია შესატყვისი საწყისის ფუძის სახით.

2. ყველა სალექსიკონო ერთეულთან მოტანილი გვაქვს შესაბამისი კონტექსტი და ბერძნული შესატყვისი. ბერძნული შესატყვისი მოგვაქვს იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მნიშვნელობა ბოლომდე არ ფარავს ქართული სიტყვის მნიშვნელობას, რათა სრულად წარმოჩნდეს ეფთვიმე ათონელის მთარგმნელობითი მეთოდი, მისი მიდგომა სათარგმნი ტექსტისადმი; ასეთ შემთხვევებში ბერძნული შესატყვისის შემდეგ ფრჩხილებში ვსვამთ ძახილის ნიშანს.

3. როცა სალექსიკონო ერთეული და მისი ბერძნული შესატყვისი, როგორც მეტყველების ნაწილები, არ თანხვდება ერთიმეორეს (ვთქვათ, ქართულში არსებითი სახელი გვაქვს, ბერძნულში კი – ზმნა), ასეთ სხვაობებს ძახილის ნიშნით აღვნიშნავთ.

4. იმ შემთხვევაში, თუ განსამარტავი ერთეულის ძველი ქართული მნიშვნელობა არ შეცვლილა და ესადაგება მის თანამედროვე მნიშვნელობას, განმარტებას არ ვურთავთ.

5. ეფთვიმე ათონელის თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდის გამო ხშირად ქართულ სალექსიკონო ერთეულთან ვერ ვუთითებთ ბერძნულ შესატყვისს, რადგან სრული იდენტურობა არ არის ორიგინალის ტექსტსა და თარგმანს შორის.

6. იმ შემთხვევაში, როდესაც სალექსიკონო ერთეულს რომელიმე კონტექსტში არა აქვს ბერძნული შესატყვისი, მას აღვნიშნავთ ვარსკვლავით.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც თარგმანში სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებულ ამა თუ იმ ლექსიკურ მონაცემს შეესატყვისება სხვადასხვა ბერძნული სიტყვა, ბერძნული შესატყვისები წინ უძღვის თითოეულ კონტექსტს.

8. ბერძნული შესატყვისი სალექსიკონო ერთეულის განმარტების გვერდით არის გატანილი, როდესაც ის მიესადაგება ქართული სიტყვის მნიშვნელობას ყველა წარმოდგენილ კონტექსტში.

9. ლექსიკონში საკმაო რაოდენობით შეტანილია ორი ან მეტსიტყვიანი განსამარტავი ერთეულები (შესიტყვებები), რაც მიზნად ისახავს ეფთვიმესეული თარგმანის თავისებურების წარმოჩენას.

10. სალექსიკონო ერთეულთან მოტანილ კონტექსტში მუხლები წმიდა წერილიდან ჩასმულია ორმაგ ბრჭყალებში: («.....»).

11. შესავალი ნაწილის (გვ. 115-118) მასალას ვუთითებთ ლათინური "Prefacio"-ს შემოკლებული ფორმით: Pr.

ლექსიკონი

ა

ადვილ-ი – ἐν ῥᾳστώνῃ, ἡ:
„...ადვილად წარჰმართოს ძნელადშერაცხილი იგი“ (18,4,6).

ადვილად ძლეულ-ყოფა – εὐκόλως ἁλίσκομαι:
„...მათ მიერ ადვილად ძლეულ-იქმნეს“ (17,1,16).

აზნაურება-ჲ – თავისუფლება; ἐλευθερία, ἡ:
„...სურინ აზნაურებისათჳს და არა ისწრაფინ განრომად მონებისა მისგან“ (17,1,6).

აზნაურ-ი – თავისუფალი; ελευθεριάζων:
„...ყოველითურთ აზნაურ და მშჳდობით იყოს ცხორებაჲ მისი“ (4,1,16-17).

ათერ-ი – ეთერი; ἀιθήρ, ὁ:
„...ადგილსა მას ათერისასა, რომელი-იგი არს ცეცხლი, შორის ჩუენსა. და ზეცისა მყოფი, შეიბნევის“ (11,4,23-24).

ალისახედ – ἐκφλογωθέντος(ἰ):
„...ცათა შინა ალისახედ, ვითარცა ვარსკულავი, გამოისახვის“ (11,4,27-28).

ამბოხება-ჲ – შფოთი, არეულობა; περισπασμός, ὁ:
„...მოქალაქობასა მას შინა სოფლისასა,... მრავალნი ამბოხებანი და უცალოებანი არიან“ (Pr. 1,3-4).

ამაო-ჲ – ფუჭი;
„...ნათესაობისა პატიოსნობაჲ – არა ამაოჲ ესე და თჳთმოსრული“ (20,4,10-11).

ამაო-ჲ დიდება-ჲ – ἡ κενης δόξα:
„...ანგაჰრებასა ვიტყჳ და შურსა, რისხვასა და ამაოჲსა დიდებისა სიყუარულსა“ (4,1,13-14).

ამაო-ჲ საქმე-ჲ – ταπεινόν, τό:
„...განვიწმიდოთ სიყუარულისაგან ამაოთა საქმეთაჲსა“ (11,3,8).

ამაოება-ჲ – μάταιον, τό:

„...რომელმან «არა ამაოებასა ზედა აღიღოს სული თჳსი»“ (18,4,11-12).

ამაღლება-ჲ — ზეაღმატება; ὑπεραίρειν, τό:
„...რომლისა გონებაჲ უგულისჴმო იყოს, მისთჳს დამცირებაცა და ამაღლებაცა სიტყუთა საკჳრველებათაჲ ერთად შერაცხილ არს“ (10,1,15-17).

ამიერ — ამ დროიდან; ἐντεῦθεν:
„...ამიერ იწყოს სიწმიდესა და ყოველსავე ზედა ეგრეთვე სიწმიდით ვლოს“ (15,1,8-9).

ანგაჰრ-ი — ხარბი, მომხვეჭელი, აქ: ძუნწი; φειδωλός, ὁ:
„...რომელი ანგაჰრ იყოს, უკეთურ არს“ (7,2,7).

ანგაჰრება-ჲ — სიხარბე, მომხვეჭელობა; βιάζεσθαι:
„...რაჟამს ანგაჰრ მას ზედა იყოს, სადა ქებულ არს ანგაჰრებაჲ“ (18,3,25-26).

ანგაჰრებისა ვნება-ჲ — τὸ τῆς πλεονεξίας πάθος:
„ხოლო კაცთა ანგაჰრებისა იგი ვნებაჲ ტყუვილით სახელსა მას უფლებისასა მისცემს არა მათსა მას ზედა“ (4,3,33-34).

ანგაჰრ-ყოფა — βιάζομαι:
„...და სანატრელ იყოს, რაჟამს ანგაჰრ მას ზედა იყოს, სადა ქებულ არს ანგაჰრებაჲ“ (18,3,25-26).

ანგელოზებრივი ბუნება-ჲ — ἀγγελικὴ φύσις, ἡ:
„...ხოლო ანგელოზებრივისა ბუნებისა ერთი საქმე არს ქორწინებისაგან და ზრუნვათაგან ამაოთა უცხოებაჲ“ (14,4,20-22).

ანგელოზთა მსგავსყოფა-ჲ — ἰσάγγελος [εἶναι]:
„...ანგელოზთა მსგავსყოფად არს მაშინ ცხორებაჲ მართალთაჲ“ (14,4,19-20).

ანთრაკ-ი პატიოსანი — ძვირფასი ქვა; λίθος τίμιος:
„...შევიყუარენ მცნებანი შენნი უფროჲს ოქროჲსა და ანთრაკისა პატიოსნისა“ (18,1,24-25).

არაარს-ი — არარსებული, არმყოფი; τὸ μὴ ὄν: „...ვითარცა მკურნალი არაარსთა სენთა კურნებასა არა იტყჳს“ (3,10,35); τὸ μὴ γινομενόν: „...შჯული არაარსთა ბოროტთა ტანჯვასა არა შემოიღებს“ (3,10,36).

არა მსგავს-ი – οὐχ ὁμοειδής:
„რამეთუ გუამი ჩუენი ოთხთა ნივთთაგან, – არა მსგავსთა, არამედ ურთიერთას წინააღმდგომთა, – შეზავებულ არს“ (22,1,11-12).

არარა-ჲ – ἀφανίζω; μηδεμία:
„...არარაჲ არნ მისდა შთავრდომილ“ (15,2,2-3).

არარაჲ საქმე – ἀμηχάνον τὸ πραγμα:
„...არარაჲ იქმნა საქმე მათი“ (23,7,2-3).

არა სწორად – არა თანაბრად, არა შესწორებულად; συμφωνούντων: „...უკუეთუ ცხენნი იგი არა სწორად მსრბოლნი იყვნენ“ (22,2,4).

არაწმიდა-ჲ – ἀναγνος:
„...არა ისმენ რჩულისასა, რომელი ბრძანებს არა შეწირვად არაწმიდისა?!“ (23,7,37-38).

არა ჯერ-ყოფა – შეუძლებლობა; οὐκ ἔξεστι:
„...ესმა და იხილნა უსმენელნი და უხილავნი, რომელი არა ჯერ-არს კაცთა მიერ სიტყუად“ (13,1,31-32).

არმური-ი – ნისლი, სიბნელე; λήμη, ἡ:
„...არმურსა რასმე ზრქელსა“ (10,1,13-14).

არმურიან-ი – დაბინდული, ბნელი; αὐχμώδης:
„...მრღუე ესე და არმურიანი ცხორებაჲ სოფლისაჲ“ (11,4,31-32); იხ. „მრღუე და არმურიანი ცხორებაჲ“.

არსება-ჲ – აქ: არსობრივი დაფუძნებულობა; ὑπόστασις, ἡ:
„რამეთუ ბოროტი, ნებისა გარეგანი და თჳსითა არსებითა ხილული, არსთა შორის არარაჲ არს“ (12,2,39-40).

არსთა მეუფისა ძალ-ი – των ὄντων βασιλευούσα δύναμις:
„...რამეთუ ხატ და მსგავსება იყო,... ყოველთა მათ არსთა მეუფისა ძალისაჲ“ (12,2,11-12).

არს-ი – მყოფი; τὸ ὄν:
„რამეთუ ბოროტი, ნებისა გარეგანი და თჳსითა არსებითა ხილული, არსთა შორის არარაჲ არს“ (12,2,39-40).

ასო-ჲ – სხეულის ნაწილი; μέρος, τό:
„...არცა ბრძენმან მკედარმან ერთი რაჲმე ასოჲ შეიჭურის საჭურველითა და სხუაჲ ყოველი გუამი შიშველ არნ“ (18,1,6-7).

აღგზება — დანთება; ἄρτω:
„რამეთუ ცეცხლიცა,... თავით თჳსით ვერ აღეგზების“ (14,1,33-35).

აღდგომა — აღძვრა; ἐγείρω:
„...აღდგებოდიან წყალნი წყალთა ზედა“ (15,2,6).

აღება — μεταλαμβάνω: „...რავდენი მარცხენისაჲ იყოს, მარჯუენესა აღიღოს“ (18,3,43-44); μεταχειρίζω: „...აღიღო ბობღანი და უპირობდა კრებულსა მას დედათასა“ (19,2-3).

აღვსება — ἐμπίπλημι: „...შარავანდედითა აღივსების და ნათელ იქმნების“ (11,4,35); καταπληρόω: „...აღავსო სოფელი თჳსთა შვილთა მიერ“ (19,34).

აღთქუმა-ჲ — ἐπαγγέλλω(I): „...ანგელოზთა მსგავსყოფად არს მაშინ ცხორებაჲ მართალთაჲ, აღთქუმისაებრ უფლისა“ (14,4,19-20); ὁμολογία, η: „...და ექმნას აღთქუმაჲ, რაჲთა იგი მზოლოჲ «უყუარდეს ყოვლითა გულითა და ძალითა»“ (15,1,14-15).

აღმადგინებელ-ი — ἀνορθων:
„...არავინ ჰყავნ აღმადგინებელი“ (23,3,9).

აღმართჳა — ὀρθόω:
„...რაჲთა დაცემულსა კაცთა ბუნებასა ვნებულისა გონებისა მიერ, ვითარცა ჴელი, მისცეს სათნოებაჲ ესე ქალწულებისაჲ და აღჰმართოს“ (2,2,8-9).

აღმაღლება — ამაღლება; ὑπεραίρω: „...ყოვლისა სოფლისაგან ცხორებაჲ თჳსი აღემაღლოს“ (4,1,20-21); ὑψόω: „...აღმაღლდებოდის გონებაჲ და სდევდეს სიმაღლესა მას საძიებელისასა“ (10,2,32).

აღმატყინებელ-ი — ცეცხლის ანთების, აალების გამომწვევი; διαπανωμένος („განმლეველი“): „რამეთუ ცეცხლიცა, უკუეთუ არა დაერთოს მას ზედა შეშაჲ და ლერწამი და თივაჲ, ანუ სხუაჲ რაჲმე აღმატყინებელი მისი, თავით თჳსით ვერ აღეგზების“ (14,1,33-35).

აღმოკითხვა — ἐπισκέπτομαι:
„და უკუეთუ იჭუეულ ხარ სიტყუათა ამათთჳს, აღმოიკითხენლა განსაცდელთა იგი სახელნი“ (14,2,1-2).

აღმრღუება — συνδιασείω:
„...მყუდროებაჲ სულისაჲ აღშფოთინის ყოვლითურთ, რაჟამს ერთი რაჲმე ვნებაჲ შთავარდის მას შინა და აღამრღუს იგი“ (15,2,8-10); იხ. „აღშფოთება“.

აღმყვანებელ-ი — πορεία(ι):
„...ეტლ სულისა, ზეცად აღმყვანებელ“ (11,4,6).

აღნთება-ჲ — ἄπτω:
„...პირველად სანთლისა აღნთებასა ბრძანებს“ (12,3,20).

აღორძინება-ჲ — ἀύξεσις, ή:
„...მარადის ერთ არს უზეშთაეს ყოვლისაგე შეძინებისა და აღორძინებისა“ (11,5,21-22).

აღრაცხა — ἀπαριθμέω: „...საზელად-საზელად აღვრაცხნეთ მემრუშენი ესე“ (16,1,10-11); καταλέγω: „...აღრაცხავს მოციქული“ (16,1,14); ἀπαριθμέω: „...რომელთა-იგი აღჰრაცხავს, ყოველნი ძღუენნი არიან ესევითარნი მის ქორწილისანი“ (20,4,24-25).

აღსარება-ჲ — ἐξομολόγησις, ή:
„...მეფსალმუნე იტყჳს სწავლასა მას შინა აღსარებისასა“ (18,5,17-18).

აღსასრულ-ი — დასასრული, წარმატება; συντέλεια, η: „...ექმნას აღსასრული კორციელისა ცხორებისაჲ“ (14,4,12); τέλος, τό: „...აღსასრულისაჲ არღარა იზრუნოს“ (18,1,15); κατόρθωμα, τό(!): „...აღსასრულად გზისა მათისა ისწრაფიან“ (23,7,11).

აღსლვა — ἀνέρχομαι:
„...ესრეთ აღვიდოდის სული“ (11,3,15).

აღსრულება — შესრულება, საქმედ ქცევა; διασῴζομαι: „...აღესრულა სიტყჳაჲ იგი ხატებისა და მსგავსებისა ღმრთისაჲ“ (12,2,7); παρέρχομαι: „...ქალწულებით აღასრულებდეს კორცთა ამათ შინა ყოფისა ჟამთა ცხორებასა“ (14,1,29-30); τελειόω: „...ვისწრაფოთ აღსრულებად მოქალაქობასა მას სათნოებათასა თითოფერითა მით მცნებათა აღსრულებითა“ (18,1,16-18); μετέρχομαι: „...სულიერსაცა ქორწინებასა აღასრულებდა“ (20,3,3); πληρόω: „...რომელმან თუალთა გულისთქუმაჲ აღასრულოს, მას გულად მიუღებიეს ცოდვისა მის ვნებაჲ“ (21,1,13-14); προθυμία, ή(!): „...არცა უქმობაჲ სიკუდილისაჲ აქუნდეს აღსრულებასა შინა მცნებათასა“ (23,6,4-5).

აღსრულება-ჲ — დასრულება, დაბოლოება; ἐπιθέσθαι:
„...ვითარცა მოციქული იტყჳს, «ოქროჲსა მიერ და ქვათა პატიოსანთა აღსრულებად ნაშენებისა მის»“ (18,1,21-22).

აღსრულება სიტყჳსა — διασῴζω λόγον:
„...აღესრულა სიტყჳაჲ იგი ხატებისა და მსგავსებისა ღმრთისაჲ“ (12,2,7).

აღსრულებად შესლვა — საქმის დაწყება, რაიმეს საკეთებლად ხელის მიყოფა; ὑπηρετειν: „...შეუძლებელ არს, თუმცა კაცი თჳსითა ჴელითა ერთბამად ორთა ჴელოვნებათა აღსრულებად შევიდა“ (20,2,1-2).

აღჳრ-ი — „...ამაოებისა სლვათა მიმართ მოღუაწებისა იგი აღური* არა შეუნდობდეს“ (6,2,26-27); ἡνία, ἡ: „...არცა მცონარსა მას და გუანსა აშთობნ აღურითა“ (22,2,5-6).

აღჳრაღუსხმელ-ი — აულაგმავი, მოუთოკავი; δυσήνιος: „...და არცა ნაყროვნებითა და შეუბითა უწესოდ აღძრულ და აღურაღუსხმელ ყენეს ჴორცნი“ (22,2,17-18).

აღუმრღუეველ-ყოფა — აუმღვრეველობა, აღუშფოთებლობა; ἀμετεώριστον φυλάσσω: „...თუალნიცა და პირი ეგრეთვე აღუმრღუეველ ყონ“ (6,1,15).

აღუძრველ-ი — აუმოქმედებელი, აქ: მისწრაფების, სურვილის არმქონე; ἀκίνητος: „...ულმობელ და აღუძრველ ვართ ჭეშმარიტისა კეთილისა სურვილად“ (2,3,12-13).

აღუძრველად — უმოქმედოდ; ἀκίνητον: „...არცა კუალად უქმად და აღუძრველად თავთა შორის ჩუენთა შევაყენოთ“ (11,3,6-7).

აღყვანება — აღყვანა, აზიდვა; ἀνάγω: „...განვიწმიდოთ სიყუარულისაგან ამაოთა საქმეთაჲსა და მუნ აღვიყვანოთ, სადა ოდენ მისწუთებოდის გონებაჲ“ (11,3,8-9).

აღყუავებულ-ყოფა — გაფურჩქნა, გაერცობა; ἀνθέω: „...არამედ ფრიად ბრწყინავს მოქალაქობაჲ ესე აწ ჩუენ შორის და აღყუავებულ არს“ (23,5,3-4).

აღშფოთება — συνδιασείω: „...მყუდროებაჲ სულისაჲ აღშფოთნის ყოველითურთ, რაჟამს ერთი რაჲმე ენებაჲ შთავარდის მას შინა და აღამრღუს იგი“ (15,2,8-10); იხ. „აღმრღუება“.

აღჩენა — წარმოჩენა, გამოჩენა (გამოუჩენს); παρέχω: „...და კეთილად აღუჩენს საქმესა მას“ (9,1,3).

აღძარცუა-ჲ — განძარცვა, მოშორება; ἀπόθεσις, ἡ: „ხოლო აღძარცუაჲ უცხოჲსა მის არს ბუნებითისა მის მიმართვე მიქცევაჲ“ (12,2,68-69); ἐκδύω(ἰ): „...«სამოსელთა მათ ტყაეისათა» აღძარცუ-

ვად“ (13,1,10-11).

აღძრვა-ჲ — ამოძრავება, მოძრაობა; κίνημα, τό: „...იქმნეს დავიწყებაჲ სულსა შინა ვნებულთა მათ აღძრვათა ბუნებისათა“ (5,27-28); „...სიწმიდედ ითქუმის ყოველთავე აღძრვათა სულისათა სიწმიდით და სიბრძნით განგებაჲ“ (18,4,3-4); ὁρμή, ἡ: „...არასადა შეშინდეს... «აღძრვისაგან უღმრთოთაჲსა ზედამომავალისა»“ (18,3,13-14); იხ. „სამარადისოდ მავალი აღძრვაჲ“.

აღძრულ-ი — იხ. „უწესოდ აღძრული“.

აღჯდომა — დადგომა, შედგომა, ასვლა; συνδιαπεράω(ι): „...და შეგუპტელი აღჯდა გზასა მას ზედა“ (18,5,27).

აჩრდილ-ი — აქ: ჩრდილი, წარმოსახვა; σκιά, ἡ: „...ფურცელთა და აჩრდილთა ქუეშე დამალვაჲ“ (12,4,21-22).

ახალ-ი ცხორება-ჲ — ἡ καινότης της ζωης: „...«არა შეიცვალები განახლებითა გონებისა შენისაჲთა», «არცა ხუალ ახალსა მას ცხორებასა შენსა»“ (23,7,28-29).

ახლადგამოსრულ-ი სოფლით — ახლად შემონაზვნებული, განდეგილური ცხოვრების ახლად დამწყები; ὁ νέος την του βίου τούτου ὁδόν: „...ახლადგამოსრულნი სოფლით არა დაიდებდენ შჯულსა თავთა თჳსთათჳს“ (23,5,1-2).

ახოვან-ი — მამაცი, გაბედული; ἔμψυχος: „...ხოლო საქმეთა მიმართ სათნოებისათა,... ჭეშმარიტად ძლიერ და ახოვან და მკნე“ (23,6,7-9).

ახოვნად წინადადგომა-ჲ — ძლიერად შეწინააღმდეგება; ἀνδρικως στηναι: „...ვერშემძლებელ ბუნებისა მის მიმართ გულისთქუმათაჲსა ახოვნად წინადადგომად“ (8,29-30).

ახოვნება-ჲ — სიმამაცე; θάρσος, τό: „ხოლო სიმკნე და ახოვნებაჲ, უკმს, რაჲთა საჭურველისა წილ კელთა აქუნდენ“ (18,3,12-13); ῥωμαλέον, τό: „...ვერცა ახოვნებაჲ მისი და სიმკნე ჰასაკისაჲ სიბერემან დაჰკნა“ (23,6,14-15).

გ

გაჯ-ი — გომური; μάνδρα, ἡ: „...ბაკსა მას შინა უკეთურისასა იქცეიან“ (7,21).

ბანაკ-ი – სადგომი, სიმრავლე; ὅμιλος, ὁ:
„რამეთუ ესევითართა მათ შორის დაიმკუდრებენ ანგაჰრებაჲ და... სხუანი იგი ბანაკნი კაცთა შორის შემავალთა ვნებათანი“ (4,5,8-11).

ბაყლ-ი – ჭუჭყი; ῥύπος, ὁ:
„...ჩუენი საქმე არს, რაჲთა ბაყლი იგი, ჩუენ ზედა მოსრული ცოდვათა მიერ, განვიწმიდოთ“ (12,3,1-2).

ბევრეულ-ი – ბევრი, მრავალი; μυρίος:
„გარნა ბევრეულნი არიან ცხორებასა ამას შინა ცოდვისა მიმართ მიდრეკანი“ (16,1,1-2).

ბერწ-ი – στειρα, ἡ:
„დაამკუდრის ბერწი სახლსა შინა მხიარულად, ვითარცა დედაჲ შვილთა ზედა სახარულევანი“ (13,3,16-17).

ბილწებაჲ – μολυσμός, ὁ: „და იპოვა ჭეშმარიტი ქალწულებაჲ, განშორებული ყოველთავე ცოდვისა ბილწებათაგან“ (Pr. 2,1-2); μόλυσμα, τό: „...ართათუ ჴორციელთა ოდენ ბილწებათაგან განაშოროს თავი თჳსი“ (15,1,7-8); αἴσχιστον, τό: „...გულისთქუმაჲ თჳსი დადვას ბილწებათათჳს“ (18,3,32).

ბილწებისა მიზეზ-ი – κακων αἰτία:
„...დაბადებულთა ღმრთისათა სძაგებენ და შეგინებად და ბოროტად და ბილწებისა მიზეზად სახელ-სდებენ მათ“ (7,1,16-17).

ბილწ-ი – ἀκόλαστος:
„...და შუენიერებისა მისისათჳს ბილწნი ვინმე კაცნი ზრახვიდეს მისა მიმართ ბოროტისათჳს“ (16,1,17-19);

ბილწ-ი გულისთქუმა-ჲ – ἡδονή αἰσχρά:
„...რომელნიმე ბილწთა გულისთქუმათა ძლიერად წინა-აღუდგებიან“ (17,1,2-3).

ბიწ-ი – ნაკლი; σπίλος, ὁ: „...არა აქუნდეს ბიწი რაჲმე, ანუ ნაოჭი ცოდვისაჲ“ (16,2,14-15); κηλίς, ἡ: „...ყოვლისაგანვე ბიწისა და სენისა განშორებული“ (23,7,36).

ბნელი გარესკნელ-ი – ჯოჯოხეთისეული სამყოფელი;
„...ბნელად გარესკნელად და ცეცხლად მიცემაჲ“ (4,5,32).

ბნელ-ი უკეთურებისა-ჲ – κακίας ῥύπος:
„...არა მოფენილ იყოს გულსა ზედა ბნელი რაჲმე უკეთურებისაჲ“ (11,4,50).

ბოგდან-ი – მუსიკალური საკრავი; τύμπανον, τό:
„...აღიღო ბობღანი და უპირობდა კრებულსა მას დედათასა“ (19,2-3).

ბოროტ-ი – უკეთური, დასაგმობი; καταγνωσμένος: „...არცა ქორწინებაჲ ბოროტ არს“ (Pr. 2,43); უარსაყოფი, განსაგდებელი; ἀπόβλητος: „...ყოველი დაბადებული ღმრთისაჲ კეთილ არს და არარაჲ არს ბოროტ“ (12,2,40-41); შემაცდენლობა, საცთური; ἀπάτη, ἡ: „...არაჲის ბოროტთა და განმრყუნელთა მისთაგანსა ეზიაროს“ (16,1,26-27).

ბოროტისა გამოცდილება-ჲ – ἡ του κακου πειρα:
„...ბოროტისა გამოცდილებაჲ გარემოქცევითა სათნოებისაჲთა თჳსა გონებასა შინა დაჰბადა ნებითა თჳსითა“ (12,2,37-38).

ბოროტისმყოფარე და განდგომილ-ი გონება-ჲ – ღვთის მოწინააღმდეგე დაცემული ძალა, ეშმაკი, და ეშმაკს დაქვემდებარებული ადამიანური გონება; ἡ ἀποστατικη διάνοια: „ბოროტისმოყუარე და განდგომილი გონებაჲ, მსგავსად მეგუპტელთაჲსა, ვითარცა «ლოდი დაინთქმის»“ (18,5,20-22).

ბოროტ-ი და ღელვა-ჲ – κίνδυνος, ὁ:
„რამეთუ არა მცირედი ბოროტი არს და ღელვაჲ, უკუეთუ იძლიოს იგი ჴორცთა გულისთქუმისაგან“ (8,33-34).

ბრმა-ჲ გონებითა – ὁ τυφλὸς τὴν διάνοιαν:
„...არაჲინ არს ესრეთ ბრმა გონებითა, რომელმანმცა ესე თავითცა თჳსით თუნიერ ჩუენისა სიტყჳსა არა იცოდა“ (11,6,12-14).

ბრჳნ-ი – ტყჳია; μόλυβδος, ὁ:
„ხოლო ცოდვაჲ მძიმე არს და ტალანტსა ზედა ბრჳნისასა მჯდომარე“ (18,5,34).

ბრძანება – κωλύω („აკრძალვა“): „...არა ისმენ რჩულისასა, რომელი ბრძანებს არა შეწირვად არაწმიდისა?!“ (23,7,37-38); παραγγέλλω: „...რომელი უბრძანებს ერსა ქორწინებისაგან და ყოვლისა სოფლისა საქმისაგან განწმედად თავთა თჳსთა“ (23,7,39-40).

ბრძანება-ჲ – ὁδηγία, ἡ(I): „...რამეთუ დაუტევებიეს ბრძანებაჲ სულისა წმიდისაჲ“ (7,1,14-15); δόγμα, τό: „...თავადისა უფლისაჲ არს ბრძანებაჲ და ისმინეთ მისი“ (17,2,26-27).

ბრძენ-ი – φρόνιμος:
„...იყვენით ბრძენ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (17,2,38-39).

ბრწყინვალე-ჲ — καθαρός, ελεγαρέ; στίλβων:
„...ვითარცა კრმალი შესახებელად არს გლუ და ბრწყინვალე“ (14,2,10-11).

ბრწყინვალება-ჲ — λαμπρότης, ἡ:
„...თჳსთა საქმეთა ბრწყინვალებანი დაუსხნეს წინაშე ყოველთა, რომელთა უნდეს შედგომაჲ კეთილსა მათსა“ (23,6,40-41).

ბრწყინვალედ — τηλαυγως:
„...ვითარცა თუალსა, რომელსა ყოველივე სიბრმე განეგდოს, ბრწყინვალედ ხედავს ყოველთა ჰაერისა საქმეთა“ (11,6,4-6).

ბუნება-ჲ — არსება; φύσις, ἡ; „...რომელთაცა საქმეთა თჳთ ბუნებით აქუს დიდებულებაჲ“ (1,34); γένος, τό: „...რამეთუ ერთი არს ბუნებასა შინა გულისთქუმაჲ“ (21,1,7-8).

ბუნება-ჲ სულისა-ჲ — სულის არსობრივი საფუძველი; φύσις ψυχης, ἡ: „ხოლო შინაგანმხედველი სულითა და სწავლული... ბუნებასაცა სულისასა მოიგონებს“ (11,1,8-10).

ბუნებით — κατὰ φύσιν:
„...ამას უკუე ცხოველსა, კაცსა, არა ბუნებით,... აქუნდა... ვნებულებაჲ და მოკუდავებაჲ“ (12,2,4-6).

ბუნებით-ი — ბუნებისეული; τὸ κατὰ φύσιν:
„...თჳსისა მის ბუნებითისა საქმისა მიმართ წარემართოს“ (6,2,15-16); „...აღძარცუაჲ უცხოჲსა მის არს ბუნებითისა მის მიმართვე მიქცევაჲ“ (12,2,68-69).

ბუნებით-ი კეთილ-ი — ბუნებისეული, არსობრივი მშვენიერება; τὸ τη φύσει καλόν: „მას გამოეცხადოს ბუნებითი იგი კეთილი“ (11,6,3).

ბუნებით-ი ხატ-ი — ბუნებისეული, არსობრივი ხატი; τὸ κατὰ φύσιν ἐικων: „...არღარა აქუნდა თჳსისა მის და ბუნებითისა ხატისა მადლი“ (12,2,46-47).

ბუნებისა გარეგან-ი — არაბუნებისეული, გადაგვარებული, გაუკუღმართებული; τὰ παρὰ φύσιν: „...არამედ ნებსით თავსა ზედა თჳსსა ბუნებისა გარეგანი იგი მოიყვანა“ (12,2,36-37).

ბუნებისა შფოთ-ი — ბუნების მშფოთვარება, არევ-დარევა; ἡ τῆς φύσεως σύγχυσις: „...თითოსახე იგი ბუნებისა შფოთი და განრყუნილებაჲ“ (3,10,22).

გ

განმზიდვარ-ი — ἐνδιάστροφος:
„...არცა ბნიალმოსაქცეველსა და განმზიდვარსა თავისუფლად დაუტეობს“ (22,2,6-7).

გამოვარდომა — გამოგდება, გამოძევება; ἐξορίζω:
„რამეთუ არღა ეცნა იგი, ვიდრემდის გამოვარდა სამოთხით“ (12,4,13).

გამომაჩინებელ-ი — წარმომჩენი, აღმნიშვნელი, მომასწავებელი; σημαντικός: „...რამეთუ განწესებულნი სიტყუანი, მის სიკეთისა გამომაჩინებელნი, არა გუსწავიან“ (10,1,29-30).

გამორჩევა — αἱρέω: „...და რაჲ სათნო არნ წინაშე მისსა, კელმწიფებით გამოირჩევდა“ (12,2,15-16); ἐπιλέγω: „...რომლისაგან იყვის უმეტესი სარგებელი, იგი გამოირჩიოს“ (20,3,9-10).

გამორჩევა-ჲ — გამოკრება, არჩევა; ἀναλέξασθαι: „...შესაძლებელ არს... გამორჩევად წმიდათა წერილთაგან ძუელისა და ახლისა შჯულისათა“ (12,1,6-8); ἐκλογή, ἡ: „...არა მოვსწყდეთ უმჯობესისა მის გამორჩევასა“ (20,3,14).

გამორჩეულ-ი — ἐξελών:
„...და აქუნდეს იგი, ვითარცა შესაწირავი რჩმე და დასაბამი თჳსთა კეთილთაჲ გამორჩეულად“ (18,3,2-3).

გამოსარჩეველად — გამორჩევის, არჩევის მიზნით; ἐν αἱρέσει:
„...უკუეთუ ორნი უფალნი იყვნენ გამოსარჩეველად, რაჲთა ერთსა დაემორჩილოს კაცი“ (20,3,7-8).

გამოსახვა — ἐγχαράσσω:
„...ვითარცა ვარსკულავი, გამოისახვის“ (11,4,27-28).

გამოსახვა-ჲ — διαγράφω:
„...უკუეთუ გნებავს გამოსახვაჲ ბოროტისა მის ჯაჭუსაჲ“ (4,5,22-23).

გამოსახვა სიკეთისა — τὸ κάλλος ἐγγράφω:
„...ვითარცა ხატსა შინა სიტყჳსა თჳსისასა გამოსახოს სიკეთე მისი“ (10,2,21-22).

გამოსახვა-ჲ სიტყჳსა-ჲ — τεκμηριωσαι τὸν λόγον:
„...კეთილ არს იგავითცა გამოსახვაჲ სიტყჳსაჲ ამის“ (15,2,1,).

გამოსახვისა შემოღება – ευμεθόδως ὑπογραφήν παρεισάγω:
„...გამოსახვაჲ შემოვიღეთ სათნოჲსა ცხორებისაჲ“ (Pr. 1,22-23).

გამოსახული – გამოხატული; ἀπεικονισμένον, τό: „...უკუეთუმცა წინაალმდგომად იყო გამოსახული იგი სიკეთე“ (12,2,8).

გამოუთქუმელნი კეთილნი – τὰ ἄρρητα ἀγαθά:
„...ყოველთა კურთხევათა და აღთქუმათა ღმრთისათა და გამოუთქუმელთა მათ კეთილთა“ (23,7,57-58).

გამოუთქუმელი – ἄφραστος:
„ვითარ ვინ გულისკმა-ყოს გამოუთქუმელი იგი?“ (10,1,29).

გამოუსახველი – გამოუხატველი, დაუსახველი; ἀσχημάτιστος:
„...ეძიებდესმცა მარტივსა მას და უნივთოსა და გამოუსახველსა მას კეთილისა ბუნებასა“ (11,2,15-16).

გამოუცდელი – იხ. „უმეცარი და გამოუცდელი“.

გამოჩინება – გამოჩენა, წარმოჩენა; ἐκκαλύπτω: „...ესე ძალისაებრ ჩუენისა გამოვაჩინეთ“ (Pr. 1,29); ἐνδείκνυμι: „...გამოაჩინოს თჳსითა განკაცებითა დიდი ესე საიდუმლოჲ“ (2,2,13-14); διαφωτίζω: „...დაფარული იგი სულისა სიკეთე გამოვაჩინოთ“ (12,3,2-3).

გამოჩინება-ჲ – გამოჩენა, გაცხადება; φανερόω(!): „...უმეტესი გამოჩინებაჲ იქმნების კეთილისაჲ“ (Pr. 1,20); παρίστημι(!): „რომელმანმე სიტყუამან უძლოს გამოჩინებად“ (10,1,2-3); παράστασις, ἡ: „...ვერარაჲ სიტყუაჲ შემძლებელ არს მისა გამოჩინებად“ (10,1,10-11).

გამოჩინებაჲ-ი – გამოსაჩენი; παρόν, τὸ:
„...გამოჩინებადთა მათ კეთილთაჲ ამასვე ცხორებასა მოიგის“ (14,4,17-18).

გამოჩინებული-ი – გამოჩენილი; διαλαμψάς:
„...უქორწინებელობასა შინა გამოჩინებულნი წმიდანი“ (Pr. 2,13-14).

გამოჩინებულ-ყოფა – წარმოჩინება, გამორჩეულობა; προεὐδοκιμέω; „...საქმესა რასამე შინა დიდად გამოჩინებულ ოყვნენ“ (Pr. 2,11-12).

გამოცდილი – γνωρίζων:
„...გამოცდილ არიან საქმესა მას“ (3,8,2).

გამოცდილება-ჲ — πειρα, ἡ:
„...გამოცდილებაჲ იგი ესევითარი შეიწყნარეს“ (9,1,22-23).

გამოცდილება-ჲ და მეცნიერება-ჲ — πρὸς κοινωνίαν του σκέμματος „...თუნიერ გამოცდილებისა და მეცნიერებისა“ (23,2,31-32).

გამოცხადება — უწყება; გამოჩენა; ἐμφανής γίγνομαι: „...გამოეცხადოს ბუნებითი იგი კეთილი“ (11,6,3); ἀνακύπτω: „...რაჲ გამოგუეცხადების ჩუენ სიტყუათა ამათ მიერ“ (13,3,4); ἀνακαλύπτω: „...გამოგუეცხადა ჩუენ“ (20,4,45).

გამოძიება — περιεργάζομαι: „...არარას უმეტესსა გამოეძიებნ“ (11,1,15-16); κατεξετάζω: „...უკუეთუ ვინმე გამოიძიოს, ჰოოს ჭეშმარიტებაჲ“ (14,4,6-7); πολυπραγμονέω: „შენ უკუე რასა გამოეძიებ“ (23,7,1).

გამოჴსნა-ჲ — გამოხსნა, განთავისუფლება; ἀπολύτρωσις, ἡ:
„...შვეს «სიბრძნე და სიმართლე, სიწმიდე და გამოჴსნაჲ»“ (14,3,17-18) „...რომელი-იგი არს სიბრძნე ღმრთისაჲ, სიმართლე და სიწმიდე და გამოჴსნაჲ“ (14,3,19-20).

გამოჴუებულ-ყოფა — გამოკლებულობა, დაკლებულობა; ἀποστέρεω: „...კეთილთაგან გამოჴუებულ არს“ (10,1,27).

განათლება-ჲ — გაცისკროვნება, სულიერი სინათლით ავსება; ἀποσχολάζω(ἰ): „...რომელსა ენებოს ხედვათა მიერ საღმრთოთა განათლებაჲ“ (6,1,6).

განახლება — ἐκκαθαίρω(ἰ):
„...თჳსითა მოსლვითა განგუაახლნა“ (12,2,75-76).

განახლება-ჲ — ἐκκαθαίρω: „...რომელი-იგი მიიღებს განახლებასა“ (20,1,4); ἀνακαίνωσις, ἡ; „...არა შეიცვალები განახლებითა გონებისა შენისაჲთა“ (23,7,28-29).

განბნევა-ჲ — დაფანტვა; ἀπορροή, ἡ:
„...უწესოჲ იგი განბნევაჲ მისი შეკრიბოს“ (6,2,8).

განბნეულ-ყოფა — გაფანტულობა; μερίζω:
„...რომლისა სული მრავალთა შინა საქმეთა განბნეულ იყოს“ (Pr. 2,45).

განგდება — უკუგდება; ἀπορρίπτω:

„...თუალსა, რომელსა ყოველივე სიბრმე განეგდოს“ (11,6,5).

განგება — მართვა; νέμω: „...ვითარ ჯერ-არს ყოფაჲ სულისაჲ და ვითარ განაგნეს ძალნი მისნი“ (18,3,22); ποιέω: „...ყოველთა ძალთა სულისათა ესრეთ განაგებდეს“ (18,3,36-37).

განგება-ჲ — წარმართვა; οἰκονομία, ἡ:
„...აღძრვათა სულისათა სიწმიდით და სიბრძნით განგებაჲ“ (18,4,3-4).

განგებულება-ჲ — წესი, მდგომარეობა, კანონზომიერება; οἰκονομία, ἡ: „...განგებულებასა მას ქორწინებისასა შეურაცხ-ვჰყოფთ“ (7,1,1-2); „...განგებულებასა მას ბუნებისასა შეურაცხ-ჰყოფდა“ (8,6).

განდგომა-ჲ — πόρρω ἀνέχω:
„...და უკმს შორს განდგომაჲ მათ საქმეთაგან“ (8,30-31).

განდგომილ-ი გონება-ჲ — იხ. „ბოროტისმოყუარე და განდგომილი გონებაჲ“.

განდევნა — ἀποτάσσω:
„...კორციელი გულისთქუმაჲ სრულიად განდევნონ“ (Pr. 1,25).

განვლა — διαπλέω:
„...სიჭაბუკისა იგი ღელვანი,... განვლნეს“ (23,6,33-34).

განვრდომა-ჲ — ἔξω γενέσθαι:
„...თავადისა ღმრთისაგან განერდომად“ (17,2,17-18).

განვრცელება — χέω:
„...უზომოდ განვრცელდა კაცთა შორის უკეთურებაჲ“ (12,2,43-44).

განთჳსება — შეთვისება, მიდრეკა; ἀφιερόω:
„...განათჳსოს იგი ღმრთისა მიმართ“ (18,3,4).

განკუეთა — დანაწილება, გაყოფა, გაპობა, მოკვეთა; διατέμνω: „...განკუეთონ გონებითა ნივთი იგი“ (11,2,2-3); διακόπτω: „...განიკუეთა განხრწნისა და მოკუდომისა იგი შეერთებაჲ“ (14,1,18).

განკჳრვება-ჲ — ἔκπληξις, ἡ:
„...აქუს განკჳრვებაჲ იგი დამარხულ“ (10,1,24-25).

განმარჯუებულ-ი — ἐπιτηδείως ἔχων:

„...განმარჯუებულ ესევითარისა მისთჳს ღონისა“ (Pr. 2,2-3).

განმაქარვებელ-ყოფა – მოსპობა; ἀτέλεαν ἔχω:
„...უცნაურად მომავალთა ბოროტთა განმაქარვებელ არს“ (14,3,6).

განმაშუენებელ-ი – τὸ εἰς εὐμορφίαν συντέλον:
„...განმაშუენებელი რაჲმე ასოჲ“ (18,1,10).

განმგებელ-ი – νυμφοστόλος:
„...კეთილისა მის ქორწილისა განმგებელისა“ (20,4,22).

განმგონებელ-ი გონებაჲ – ὁ οἰκονόμος νους:
„...განმგონებელსა გონებასა ვიტყჳ“ (18,2,11).

განმზიდვარ-ი – გვერდზე გამზიდველი, გვერდზე გამთრევი; ἐνδιάστροφος: „...არცა... განმზიდვარსა თავისუფლად დაუტეობს“ (22,2,6-7).

განმზრახ-ი – σύμβουλος:
„...სიბრძნე და მეცნიერებაჲ ჰყვენ განმზრახად კეთილისა“ (18,3,27).

განმრყუნელ-ი – προφαινομένος:
„...არავის ბოროტთა და განმრყუნელთა მისთაგანსა ეზიაროს“ (16,1,26-27).

განპოხება-ჲ – გასუქება; καταπιαίνω:
„...არცა ჴორცთა განპოხებითა“ (20,4,16).

განრომა-ჲ – გაქცევა, თავის დაღწევა; διαφεύγω: „...განრომაჲ წუმისა მისგან ცეცხლისა“ (4,6,6); παρατρεπω: „...განრომაჲ ცთომილებისაგან არს დადგრომაჲ გზასა მას ზედა წრფელსა“ (18,4,13-14).

განრყუნა – გაფუჭება, წახდენა; ἐξαλείφω: „...თიკოთა მით თჳსი ფერი განრყუნან“ (12,2,50-51); διαλυμαίνομαι: „...მრთელისა მისცა სიკეთესა განჰრყუნის“ (18,1,11-12); συνεισπίπτω: „...კეთილნიცა იგი განრყუნენ“ (18,5,13).

განსავალ-ი – გასასვლელი, სადინარი; ἀπόρροια, ἡ:
„...ვრცელნი განსავალნი განუბუნეს“ (8,14).

განსასუენებელ-ი – მოსასვენებელი; ἐμφυομένος(ἰ):
„...განსასუენებელ საცნობელთა წინაშე ჴორციელთა“ (14,2,14).

განსასუენებელ-ი და კეთილ-ი — δεξιός:
„...განსასუენებელად და კეთილად ჩნდეს სოფელსა შინა“ (11,5,11-12).

განსაცდელ-ი — συμφορά, τό: „...ხოლო ესე განსაცდელი, რომლითა აწ კაცებაჲ შეპყრობილ არს“ (12,2,16-17); „...შვილთათჳს განსაცდელთა შინა მიმოკუეთებაჲ“ (14,2,6); δυστύχημα, τό: „...იღიმვოდიან... ბოროტთაჲსა განსაცდელსა მას ზედა“ (14,3,3-4); πειρασμός, ὁ: „...ღეს-სადა განსაცდელთაგან დაშურეს“ (18,3,15-16).

განსლვა — ἐξωθέω:
„...და განვიდის ღელვაჲ იგი საშოვალისაგან კიდემდე“ (15,2,6-7).

განრყუნად შესლვა — მოსაოხრებლად, გასაფუჭებლად მისვლა; ἐπὶ λύμῃ παρεισδύω: „...რომელი-იგი საღმრთოჲსა მის საუნჯისა განრყუნად შევიდოდის“ (18,3,9-10).

განსრულ-ი — ἀποταξάμενος:
„...ვინაჲთგან სოფლით განსრულთა უკმს“ (Pr. 1,24-25).

განსუენება-ჲ — აქ: ჩამოყრდნობა, ჩამოყრდნობით დასვენება; ἐπιστηρίζομαι: „...სასოებაჲ და მოთმინებაჲ კუერთხისა წილ იქმარნის განსუენებად“ (18,3,14-15).

განყიდულ-ი — გაყიდული; πεπραμένος:
„...ქორციელ ვართ და მოკუდავ, განყიდულ ცოდვითა“ (13,2,2-3).

განუკითხველობა-ჲ — განუსჯელობა;
„...ბოროტთა წინამძღუარ იქმნების განუკითხველობაჲ“ (23,4,2).

განუშორებელად — ἀχώριστον:
„...განუშორებელად აქუს მწუხარებაჲ ცხორებისაგან მათისა“ (3,3,4-5).

განუძღომელ-ი — მოუყირჭებელი;
„...განუძღომელისა მის სიტკბოებისა“ (5,18-19).

განფენა — ἐγκαταμίγνυμι(l):
„...ყოველთა ზედა საცნობელთა განეფინების“ (21,1,9-10).

განქარვებად-ი — გაქრობადი, წარმავალი; προσκαίρος:
„ამისთჳსცა, ვითარცა უცხოჲ და განქარვებადი, აქუს საწუთროჲსა ამის ცხორებაჲ“ (4,4,10-11).

განყოფა — დაცალკევება, დაყოფა; καταμερίζω: „...რაჟამს განეყოს გული თჳსი ღმრთისა მიმართ და სოფლისა“ (9,2,14); χωρίζω: „...განყონ მის ზედა დადებულისა მის შუენიერებისაგან“ (11,2,3); διακρίνω: „...იფქლსა ბზისაგან განჰყოფენ“ (21,3,1-2).

განყოფა-ჲ — გაყოფა, გარჩევა; χωρισμός, ὁ: „...არა განყოფასა, არამედ... შეერთებასა ჰყოფს“ (3,8,11-12); διάκρισις, ἡ: „...საცნობელთა ჩუენთადა განყოფაჲ“ (11,2,6-7); „...ვერღარა შემძლებელ არს გონებაჲ ურთიერთას განყოფად* მათდა“ (20,2,17-18).

განყოფილება-ჲ — განსხვავებულობა, სხვადასხვაობა; διαφορά, ἡ; „...ესეზომ პოოს განყოფილებაჲ“ (3,1,31-32); „...განყოფილებაჲ იგი კმისაჲ,... შევალს გონებად მსმენელისა“ (20,2,15-16); διαφέρω(I): „...ფრიადი განყოფილებაჲ არს“ (4,4,34); „რამეთუ რაჲ განყოფილებაჲ არს“ (17,2,16).

განშორება — ἀφίστημι:
„...განაშორნეს სულნი მათნი მაღალთა მათგან ხედვათა“ (22,1,2-3).

განშორება-ჲ — ἀπαλλαγή, ἡ: „...დასაბამი თავისა თჳსისა ზრუნვისაჲ არს განშორებაჲ ქორწინებისაგან“ (Pr. 2,53-54); ἀναχώρησις: „...ამისთჳს განშორებაჲ მისი... ბოროტთა განმაქარვებელ არს“ (14,3,5-6); διακλίνω(I): „...სიფიცხისაგან ისწრაფდეს განშორებად“ (17,2,14-15); ὑπεξαίρεσις, ἡ: „...ბუნებით განშორებითა მით ბოროტებისაჲთა აქუნდეს საძიებელი იგი“ (18,4,7-8).

განშორებულ-ი — ἀποταξάμενος: „...ჴეშმარიტად სოფლისაგან განშორებული“ (Pr. 2,37-38); παυσάμενος: „...განშორებულთა მათ ქალწულებისა მიერ“ (14,1,6-7).

განშუენება — ἐνωραίζομαι:
„...სიწმიდითა მით უხრწნელებისაჲთა განშუენდებიან“ (2,1,15).

განცდა — აღქმა, შემეცნება; κατανοέω:
„...შუენიერისა ბუნებაჲ განიცადონ“ (11,2,4).

განცდა-ჲ — κατανόησις, ἡ:
„...მოვალს ძალი მის ნათლისა განცდად“ (11,6,7).

განწესებულ-ი — დადგენილი, დაწესებული, განკუთვნილი; ἴδιος: „...განწესებულნი სიტყუანი,... არა გჳსწავიან“ (10,1,29-30); τεταγμένος: „...განწესებულსა მას წმიდათა კრებულსა“ (23,6,23-24).

განწმედა – ἀποκαθαίρω:
„...ძალნი სულისა თჳსისანი... განიწმიდნეს“ (11,6,1-2).

განწმედილ-ი – κεκαθαρμένος, ὁ:
„...განწმედილმან თუალითა სულისაჲთა“ (11,1,17).

განხუმა – გაღება; ἀνοίγνυμι:
„...ვრცელნი განსავალნი განუხუნეს“ (8,14).

განჴურვება
„...უმეტესად განკურდების გული მისი“ (5,20-21).

გარდამეტებულ-ი – ἄμετρος:
„...გარდამატებულისა ჭამისა და მთრვალობისაგან“ (17,2,20-21).

გარდამოსრულ-ი – იხ. „ზეცით გარდამოსრული ტრედი“.

